ავთანდილ ფაილოძე

კოლხურ-კელაზგური ენობრივი სამყარო

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი 2019

ავტორი გულწრფელ მადლობას უხდის ხონის მუზეუმის დირექციას და ცნობილი ხონელი მოღვაწის **კონსტანტინე ესტატეს ძე ჩხენკელის** ასულს **ნანას** და შვილიშვილს, **მაგდა ნასყიდაშვილს** წიგნის გამოცემაში გაწეული ფინანსური დახმარებისათვის.

რედაქტორი **ვლადიმერ წვერავა, პროფესორი**

ISBN 978-9941-9659-4-4

წიგნის შესახებ

ამ წიგნის გამოცემას, დიდი ხანია ვგეგმავ.

საქმე ისაა, რომ მიხეილ დადიანი წერდა: „სამეგრელოს (იგულისხმება კოლხეთი ა. ფ.) ისტორია და ენაა დასაბამი ევროპის, აზიის და აფრიკის უძველესი ცივილიზაციებისა“...

1948 წ. გამოცემულ სახელმძღვანელოში, ჩვენი უპირველესი ისტორიკოსები: ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი თითქმის ასევე წერდნენ.

ბერძნული მითების თანახმად, ხმელთაშუაზღვისპირეთის პირველი მბრძანებლები, ჰელიოსის შვილები: აიეტის ოჯახი, და-ძმები ყოფილან.

ამასვე იმეორებდნენ: ჰომეროსი, ჰ. მილეტელი, ე. კორინთელი, ჰესიოდე, ჰეროდოტე, ესქილე, სკიმნე, აპ. როდოსელი, ვერგილიუსი, დრაკონციუსი და სხვები.

მეტიც, ამერიკელი პროფესორის, ბრიან საისის სამეცნიერო ჯგუფმა დაადგინა, რომ ევროპელთა წინაპრები, კავკასიიდან იყვნენ.

მიკვლეულ მღვიმეთა, ჰომოსაპიენსის ხანის ადამიანთა ევროპული და კავკასიური კოდი მსგავსია.

უფრო შორს წავიდა იგნას დონელი. ზანურ-იბერიულმა ტომებმა, ატლანტიდის კატასტროფის შემდეგ, შეაღწიეს ამერიკაში, სადაც სათავე დაუდეს მაიას და ოლმეკების კულტურასო.

თანდათან მივდივართ დასკვნამდე, რომ აზიაში, კავკასიურ მოდგმას ეჭირა ირანის ზეგანი, ჰედროზია (დღევანდელი ავღანეთი), ინდოეთი, კორეა და იაპონია.

ასევე ქართველურ ტომებს, სათავე დაუდია საერთოდ, თეთრკანიანი რასისათვის. ესენი იყვნენ: პროტოშუმერები, პროტოსირიელები, ეგვიპტელები, ლიბიელები, პროტოკართაგენელები, ბერ-ბერები, ხოლო მცირე აზიაში: ხეთები, ფრიგიელები, მითანელები, კარიელები, ტროელები, ლიდიელები.

ევროპაში, მათ ეჭირათ ჩრდილო ხმელთაშუაზღვისპირეთი: პელაზგებს ეგეიდა და ბალკანეთი, ტარსენ-ეტრუსკებს იტალია კუნძულებითურთ, იბერ-ბასკებს სამხრეთ გერმანია, საფრანგეთი და პირინეის ნახევარკუნძული.

სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ეგვიპტის და შუამდინარეთის ცივილიზაციებს, შექმნეს უზარმაზარი მეგალითები, კავკასიიდან ბრიტთა სტოუნჰენჯამდე და თვით ამერიკაში. მათ დაიწყეს: მიწათმოქმედება, ირიგაცია, მევენახეობა, ქსოვა და რთვა, ლითონის დნობა. გამოიგონეს: შადუფი, ბორბალი, მრავალი სახის დამწერლობა, კალენდარი...

ამ საკითხებს მეტნაკლებად სწავლობდნენ: მ. წერეთელი, რ. გორდეზიანი, რ. გვეტაძე, აკ. ურუშაძე, კლ. შელია, ამ. ნიკოლეიშვილი, კ. ჭიღლაძე და ამ სტრიქონთა ავტორი.

თუ ვინმემ შეძლო ხუთიოდე „შუმურული“ ან ეგვიპტური ტერმინის გახსნა, ატყდება აჟიოტაჟი, ხოლო ამაზე ათჯერ მეტს ვინც აკეთებს იმის აღიარება უძნელდებათ.

ამ ნაშრომში, ჩვენი მოსაზრებებიდან გამოყოფილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევები, ხოლო მე გამოვავლინე პროტობერძნული, პროტოშუმერული, პროტოიაპონური, პროტოსირიული და ეგვიპტური ტერმინები, რომლებიც „იბერიული“ ენით კი არა, რომელიც 3000 წლის წინ არ არსებობდა, არამედ მხოლოდ ზანურ-სვანური ლექსიკონების მოშველიებით იხსნება. „კოლხა“ არ იყო იბერია, ხოლო ზანური არ იყო იბერიული ენა, რაც ბევრ მეცნიერს დღესაც ერთი და იგივე ჰგონია.

უცხოელი ორიენტალისტები მართლაც აზროვნებენ, ჩვენები კი, სამწუხაროდ, ადგილს ტკეპნიან.

ამის მაგალითია: ვ. ჰუმბოლდტი, თ. მომზენი, ბ. კუფტინი, ედ. მაიერი, რ. ვირხოვი, ან. მეიე, პ. კრეჩმერი, იგ. დონელი, რ. შენკი, ჯ. ჰოპკინსი, ედ. შლიცერი, რ. ანდერსონი, ბლუმენბახი, ვლ. კოვტუნი, ედ. დემოლენსი, ბრ. საისი, ფურნეე, ძებიში, ბ. გრეინშპოკი, ს. კრამერი, ჟ. ჰროზნი, ფ. ზომმერი, კ. ტომსონი, ა. მარტინი, ვ. გიორგიევსკი, ბორდიმანი, არანეგი, შ. კინტანა, მიჩელენა, ლაიოშ ტარდი, რენე ლაფონი, მ. ვენტრიხი, ჯ. ჩედვიკი.

გამოჩენილი მეცნიერი, პროფ. მიხაკო წერეთელი წერდა, რომ „თავმოკლე რასა ქართული მოდგმისა, წინათ დიდი ყოფილა და მას სჭერია მიდია, სპარსეთი, შუამდინარეთი, სირიჲ და მთელი მცირე აზია“. ისინი, შუამდინარეთიდან აქადელმა სემიტებმა გამოდევნეს, მერე ასურელებმა, აღმოსავლეთიდან მიდებმა და სარმატებმა, მითანელმა ხუროტებმა და ურარტუელებმა, მაგრამ მათ, მაინც მოახერხეს კონსოლიდაცია, ჯერ ფრიგიის, დიაუხის და კოლხას სახელმწიფოები შექმნეს, შემდეგ პონტოს, კაპადოკიის, პაფლაგონიის, კარიის და ლიდიის ქვეყნები და თავიანთი არსებობა, საკანონმდებლო ნიადაგზე დააფუძნეს.

„კოლხები“, კრებითი სახელია ზან-ჭანთა და სვანთა ტომებისა, რომლებიც ძვ. წ-ით მეორე ათასწლეულში, ჩრდილო და სამხრეთ ამიერკავკასიაში, ზემო შუამდინარეთში, სირიაში, ირანის ზეგანზე და მცირე აზიაში ცხოვრობდნენ.

დაე ნახონ, რომელი ენით იშიფრება იაპონიის, ინდოეთის, ირანის, ეგვიპტის, შუამდინარეთის, სირიის, მცირე აზიის, ბალკანეთის, ეგეიდის, იტალიის, მისი კუნძულების, პროვანსის და ესპანეთ-ბასკეთის ტოპონიმია.

იმ უძველესი, ჩვენი მონათესავე, ხალხებიდან, რომლებიც ჩათალ (ალაჯა) ჰუიუქიდან და ამიერკავკასიიდან, უზარმაზარ ტერიტორიაზე განსახლდნენ (აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ევროპაში), მხოლოდ ქართველები და ბასკები გადარჩნენ. აი, რატომ არის ქართული კულტურა, ეთნოგრაფია, ენა და ფოლკლორი, სხვებისგან ასე განსხვავებული.

ჩვენი სუბიექტური დასკვნით, ამის მიზეზია დამახასიათებელი ანარქია და შფოთი, დაუდევრობა და საგარეო საფრთხისადმი მოუმზადებლობა, ტომობრივი გაუცხოება, ერთობის უქონლობა.

მიწისძვრების და აქაველთა შემოსევების გამო, ხეთურ-ფრიგიული და პელაზგურ-კოლხურ-ტროიანული ცივილიზაციები დაიღუპნენ, ხოლო გადარჩენილნი, მოსულებში აითქვიფნენ.

ტროას ომი, ეს იყო პოლიტიკური კონფლიქტი, აქეურ-ელინურ და პელაზგურ-კოლხურ, ავტოხთონურ ცივილიზაციებს შორის, რომელიც, სამწუხაროდ მოძალადე-მომხვდურთა გამარჯვებით დამთავრდა.

ინდოევროპელებს: ბერძნებს, ლათინებს, კელტებს, რომელნიც ქართველთა მონათესავე ტომების ადგილზე დასახლდნენ, მზამზარეული

დახვდათ: ტოპონიმია, ჰიდრონიმები და ორონიმები. ნაწილი თვითონ დაამკვიდრეს... მათ არა მარტო აითვისეს დამხვდურთა კულტურა, არამედ ის განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს. ჯერ თვითონ დაეუფლნენ პელაზგურ ენას, ძვ. წ-ით IX-VIII ს-ში კი გადაფარეს, რაც ირკვევა „არგონავტიკიდან“ „ილიადადან“ და „ენეადადან“. ბერძნები ძვ. წ-ით XVI-XII ს-ში ნგრევას რომ მორჩნენ, მერე პელაზგები მოკავშირეებად გაიხადეს, მათივე ნათესავების მიმართ, რაც ირკვევა ზემოთდასრულებული ძეგლებიდან.

ჩვენი წინამორბედების და ჩვენს მიერ მოხმობილი ენათმეცნიერული კვლევები ასაბუთებენ, რომ პროტოშუმერები, ეგვიპტელები, ეტრუსკები და იბერ-ბასკები, წარმოშობით კოლხები: სვანები და ლაზ-ზანები იყვნენ.

აწ გარდაცვლილი მკვლევარი, ამირან ნიკოლეიშვილი კი ქართულ ტომებს და ქართველურ ენებს, ერთმანეთში ურევს. მისი აზრით, კოლხები და იბერიელები ერთიდაიგივეა, ხოლო კოლხების გვერდით, იბერებს ფრჩხილებში სვამს. „კოლხეთს“ მისი აზრით, იბერია ერქვა, ხოლო კოლხური ენა და მეგრულ-ზანური, სხვადასხვაა. ნეტავ, რომელია იბერიული, ის რომელიც 2500 წ. წინ წარმოიშვა? ვსაუბრობ რა ენათმეცნიერულ საკითხებზე, მოვიყვან პროფესორ რაულ გვეტაძის საკმაოდ ობიექტურ მოსაზრებას:

„სამწუხაროდ, თანამედროვე ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა, ამ საკითხებში აბსოლუტურად ვერ ერკვევა, არადა სწორედ ოცდამეერთე საუკუნეშია ატეხილი მთელი სამეცნიერო ბუმი, იმის დასამტკიცებლად, რომ მთელი ქალდეური და ბაბილონური კულტურა, სწორედ ჩვენგან იღებს სათავეს“ („ასავალ-დასავალი“, 2018.23.VIII)

არადა, ამ მიმართულებით მუშაობენ ზ. კიკნაძე და ჯ. შარაშენიძე.

არცერთ პატარა ერს არ ჰყავს იმდენი: აკადემიკოსი, პროფესორი, მკვლევარი, არქიტექტორი და ხელოვნების მუშაკი, რამდენიც საქართველოს. და მაინც, მეცნიერებასა და ხელოვნებაში ახალი, საინტერესო, არაფერი იქმნება. „დათა თუთაშხიას“ შემდეგ, ნორმალური კინოფილმი ვერ გადაიღეს, რვატომეულის შედეგ, ისტორიის ინსტიტუტში, თითქმის არაფერი შექმნილა. ნეტავ, რას ერჩოდნენ პროფ. გ. ყორანაშვილს! ამიტომაც „ცხვება“ სასაცილო და არაფრის მთქმელი დისერტაციები.

„გენიალური“ ენათმეცნიერები და მკითხველები დარწმუნდებიან, რომ ჩვენი, უძველესი ენა, წინაქართველური, უფრო ზანურ-სვანურის

მსგავსი ყოფილა: ქართული ენა გამოყოფია ზანურს და არა პირიქით. ამიტომ გვაქვს ასობით ზანური ტერმინი პროტობერძნულ – პელაზგურში, ბერძნულში, ეტრუსკულ-ლათინურში, იბერიულ-ბასკურში, ეგვიპტურსა და შუმერულში.

პელაზგებიდან მიუღიათ ბერძნებს ზანური ტერმინი „კოტომი“ და არა ქართული „ქათამი“, „იადონი“ და არა ბულბული, რადგან ძვ. წ. II ათასწლეულში, ქართული, ზანურისაგან ჯერაც არ იყო გამოყოფილი.

წიგნის ყურადღებით წამკითხავი, ალბათ დარწმუნდება, რომ საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის დიდი უმეტესობა, წარმოშობით მეგრელ-ჭანები და სვანებია. თავდაპირველი, ქართველური ენა პელაზგურ-ზანური ყოფილა და ამ ენაზე მოსაუბრე ხალხს სჭერია კორეა-იაპონია და ვეებერთელა ტერიტორია, ინდოეთიდან ატლანტის ოკეანემდე, მაშინ, როცა ქართული ენა, ჯერაც არ ყოფილა გამოყოფილი ზანურ-სვანურიდან. ტოსკანურის, იტალიური ენის, ესპანურის და ძველბერძნულის შრეები მიუთითებენ, რომ წინა ქართული, უფრო ზანური ენის მსგავსი ყოფილა, რაზედაც წერს პროფ ფურნეე.

მე რომ სვანური ვიცოდე, ეს მონოგრაფია უკეთესი გამოვიდოდა...

მუშქების, კარდუხების და ტაბალების შერევის შედეგად VII-VI საუკუნეებში, თანდათან ჩამოყალიბდა იბერთა ტომი. მათი სახელიც ზანურია. „იბერი“ მომღერალს, სიმღერის მოყვარულს ნიშნავს. აკი ქსენოფონტე წერს, „როცა ბრძოლისას მტერს ჰკლავენ, აღტაცებულნი ცეკვავენ და მღერიანო“.

ბოლოს, მაჩაბელიც სიმღერით დაიღუპა კრწანისის ომში...

მტკვრის ხეობაში, ქართ-მესხების შემოღწევა, VII ს. ბოლოდან იწყება. ქართლში, ტაო-კლარჯეთში, ზემო კახეთში ჩნდება ქართული ენა, მანამდე კი დომინანტი ზანური ყოფილა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, აუხსნელი რჩება ზემო კახეთის, ქართლის, მთიულეთის და მესხეთ-ჯავახეთის ზანურენოვანი ტოპონიმია. სრულიად უშედეგოა იმ ენათმეცნიერთა ფაცი-ფუცი, ვინც „ქართლოცენტრიზმი“ აიკვიატა და ქართლში მეგრულ-სვანური ტოპონიმიის ახსნას, ბაცბურ-ვაინახურით ცდილობს. არ სურთ დაიჯერონ, ქართლი და ზემო კახეთი ძვ. წ-ით VII-IV საუკუნეებამდე, კოლხეთის სახელმწიფოს რომ ეჭირა. ვერც „დვალურ ენას“ მოუხერხეს რამე, რადგან ასეთი, არც არასოდეს არსებულა.

ზოგი მეცნიერი, ქართლის და კახეთის ტოპონიმიას თურქულით, ოსურით და ვაინახურით ხსნის. ამით, საბუთს ხელში აჩეჩებს მეზობელ ქვეყნებს, ჩვენთვის ტერიტორიული პრეტენზიის წამოსაყენებლად. ე.ი. „ზანებზე და იბერებზე ადრე, აქ, ჩვენ ვცხოვრობდითო“.

განა ამასვე არ „ასაბუთებენ“ ოსები?

ამაზე მეტი უგუნურება გაგონილა?

ეს ხომ კასტრირებული აზროვნებაა, რაც მეცნიერული მცდარობაა და პოლიტიკურად კი – წამგებიანი...

ეს მეცნიერება კი არა, ანტიეროვნული, ანტისახელწიფოებრივი ქმედებაა.

ამათ, ოლონდ ზანური უარყონ და ლამის „თურქულად“ გამოაცხადებენ ქართლ-კახეთს.

ზანური ენა, სინონიმთა სიუხვით გამოირჩევა და ას ათასზე მეტ სიტყვას შეიცავს. ამ ენითაა ნაწარმოები ქართველური გვარსახელების უმეტესობა, რაც ჩვენი მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენს.

ქართლის და კახეთის მოსახლეობა მტრებმა რომ შეამცირეს, ეს ჩვენი მეფეების: ვახტანგ პირველის, მირის და არჩილის, დავით მერვის, გიორგი მეშვიდის, თეიმურაზ პირველის, ვახტანგ მეექვსის, ერეკლეს „დამსახურებაა“ და არ უნდა დავუკარგოთ. ამის შემდეგ, ზანურ-ჭანურ-სვანური მოსახლეობა უმეტესობაა.

ამ საკითხზე 130 წლის წინ წერდა აკაკი წერეთელი.

იყო დრო, როცა მეგრულ ენაზე და მის დაცვაზე საუბარი, დანაშაულად მიიჩნეოდა. მოვიყვან ნათავადარ მიხეილ დადიანის მოსაზრებას, რაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მაშინდელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ბერიამ.

მიხეილ დადიანის აზრით: „მეგრული სიტყვის წარმოება, წარმოადგენს ევროპის, აზიის და აფრიკის პირვანდელ ენას... კაცობრიობის ერებმა, თავისი წარმოშობა, ევროპისა დაფარული უღრმესი, ძველი წყვდიადით, მიუწვდომელი ჩვეულებრივი გამოკვლევისათვის, უნდა ეძებონ სამეგრელოს ისტორიის წიაღში. სამეგრელოს ისტორიით იწყება ევროპის, აზიის, აფრიკის ხალხთა გენეზისის კულტურულ-წინმსვლელობითი მოძრაობის ისტორია“ („სოციალიზმის მშენებელი“, 1932. 5. XII).

აი, ეს ნააზრევი, ავტორისათვის საბედისწეროდ დამთავრდა...

ლ. ბერია, მას სამეგრელოს ავტონომიის მომთხოვნად მიიჩნევდა და წერდა: „თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ყოფილი მსხვილი მემამულე, მეგრელი თავადების, დადიანების მემკვიდრე, მომრიგებელი – შუამავალი“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1925 წ. №210).

ჩვენდა სამწუხაროდ, მისი ნაშრომები მოსპეს ...

ბევრი ვიკვლიეთ და იმ დროს, ექვსი მიხეილ დადიანი დაფიქსირდა. ეს კი მიხეილ პლატონის ძე დადიანია (1876-1938 წწ.)

სამეგრელოს ნაცვლად, კოლხურ-ზანურს თუ ვიტყვით, ეს ნორმალური იქნება, რადგან სამხრეთ ევროპა, მცირე აზია, ირანი და ჩრდილო აფრიკა, 3500 წლის წინათ, სწორედ ზანურ ენაზე საუბრობდა. ამიტომ მიხეილ დადიანს უნდა დავეთანხმოთ, რადგან ზანურ-პელაზგური, წინაქართული და თან, უძველესი ენაა.

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა წერდა, რომ შავი და კასპიის ზღვებს შორის, ადრიდანვე ბატონობდა ზანური, ხოლო მარტვილელმა ფილოლოგმა და მკვლევარმა ომარ ხუხუამ ათობით პროფესორს გადაამეტა ცოდნით და ალღოთი. კერძოდ, ის წერს: „კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ჩამოყალიბებული სახით არსებობდა ამ 6 ათასი წლის წინ. ის გავრცელებული იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანეთში, პირინეისა და აპენინებზე, შავი და აზოვის ზღვების გარშემო, ყუბანამდე და მაიკოპამდე. თვით ტერმინები: „ქართი“ და „ქართალი“ ზანური ენის კუთვნილებაა. ალბანეთი, კოლხური ქვეყანა იყო, საკუთარი დამწერლობით... შემოსევებმა განაპირობეს კოლხურენოვანი სამყაროდან ზანურის თანდათან გასვლა და ქართულენოვანი მოსახლეობის დამკვიდრება“.

მე არა მარტო ვეთანხმები მის მოსაზრებას, არამედ არგუმენტებითაც ვასაბუთებ (იხ. ქვევით. ა. ფ.). (ჟურნალი „სათანო“, 2015 წ. №8. 6-12).

შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი, 30-წლიანი ფიქრის, შრომის შედეგია და ჩემი წინა, სამი ნაშრომის სინთეზი.

ლიტერატურა და წყაროები თვითონ მოვიპოვე.

ამავე დროს, შემოკლებულად გთავაზობთ საძიებელს, რადგან გამოყენებული მასალების სრული ნუსხა, მონოგრაფიას თან ერთვის.

ახლა ჩემი ბოლო სათქმელი ისმინეთ:

პოლიტიკური დაუდევრობა და სინამდვილის გაუაზრებლობა, ბიუჯეტის უკონტროლო ფლანგვა, ანტიმონოპოლიური სამსახურის უმოქმედობა და სხვისი მოიმედეობა, ქვეყანას ღუპავს.

ჩინოვნიკები და ეკლესიის ზედაფენა, ხალხის ნაშრომს ითვისებს და ამაში, მათ, კლეპტოკრატია და პლუტოკრატია ეხმარება. წარმატებულ ქვეყნებშიც არ აქვთ პარლამენტარებს, მთავრობის მოხელეებს და სამღვდელოებას იმდენი სიმდიდრე და პრივილეგიები, რამდენიც ჩვენში.

ამას ემატება, მასის განათლების ნულოვანი დონე, ნარკომანია, სისასტიკე, ავარიები, მარცხიანობა და ძარცვა, რასაც ერთვის ჩვენი მუდმივი თანამგზავრი – სიზარმაცე.

გამრავლება შეწყდა. დახოცილთა რიცხვი დიდად აღემატება დაბადებულებს. ყოველწლიურად მიგრაციაში, ორ ათასზე მეტი მიდის და ამრიგად ვკარგავთ 6 ათას სულს, რაც 6-8 დიდი სოფელია.

„Ganibal ante poztas“ და ამიტომ მირჩევნია, ქვეყანას განაგებდეს კეისარივით ზვიადი და ჭკვიანი, დავით აღმაშენებელივით მკაცრი და ბრძენი მმართველი, ვიდრე „თავისუფლების ხარისხის ამაღლების“ მოიმედე, კარიერისტ-ჩინოვნიკთა უნიათო მასა...

ქედზე კირქვის ვეება ლოდები მაწვება, სუნთქვა მიჭირს და სისხლი მეყინება. ტკივილისაგან გული ჩამწყდა და ძალა დამეშრიტა, სხეული თითქო პარალიზებულია, რადგან ვიცი, 15-20 წელში, ჩვენი ერის ყოფნა -არყოფნის ჟამი დადგება. ამიტომ, ყეყეჩი „ოპტიმისტისგან“ განსხვავებით ის მანუგეშებს, ამას რომ ვერ მოვესწრები;

თუ ჩვენი ერი გონს მოეგო, ხელი მოჰკიდა წიგნს და შრომას, „წამოსწია“ დემოგრაფია, დასძლია სისასტიკე, დაუდევრობა და ნარკომანია, დაე ჩემმა შვილიშვილებმა საფლავში ჩამძახონ:

„ბაბუ, ქართველი ხალხი გადარჩა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

იმედს ვიტოვებ, რომ ეს წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ქართული ისტორიით, კულტურით დაინტერესებულ ლექტორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ქართლოცენტრისტებმა გონება აუმღვრიეს.

ამიტომაც, სახელოვანო პროფესორებო, გენიალურო აკადემიკოსებო!

არ მინდა თქვენი რეცენზიები.

ავთანდილ შაილოძე

თავი პირველი

ბრინჯაოს და რკინის ხანა

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურა, ძვ. წ-ით მეექვსე ათასწლეულით თარიღდება. აქ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ბზენარევი თიხით აგებდა სახლებს, მილსა, მუღანლოსა და არარატის ვაკეებზე. ამიერკავკასიის ისტორიის ფურცელს, სწორედ ისინი ქმნიდნენ.

დიდი კულტურის ცენტრი, ადამიანთა წარმოშობის მთავარი პუნქტი, სწორედ ანატოლია იყო. იქ, ჩათალ-ჰუიუქში, არქეოლოგმა ჯ. მელაარტმა შეისწავლა ენეოლითის მდიდარი ნამოსახლარი, რომელიც კარგადაა შემონახული.

VII ათასწლეულში ისინი შრომობდნენ და რატომღაც VI ათასწლეულში სამკვიდროდან აიყარნენ.

ჩვენი აზრით, ნაწილმა შუამდინარეთს და ეგვიპტეს მიაშურა. მეორე ნაწილმა, მცირე აზიის, ეგეიდისა და ბალკანეთისკენ გადაინაცვლა.

ჩვენ ვასაბუთებთ, რომ კავკასიონის მთების უძველესი მცხოვრებლების, კავკონების შირმის ქვეშ, სვანოკოლხები იგულისხმება. ყობანური და მაიკოპის კულტურა, კოლხურ-სვანურია და არა გადამთიელებისა.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საჩხერეში ნაპოვნი სპილენძის ნივთები, პროფ. ბორის კუფტინმა, უძველესი პერიოდით დაათარიღა. 1934 წ. გამოთქვა გაბედული მოსაზრება, რომ საქართველო ლითონის წარმოების ერთ უძველეს და ძლიერ კერას წარმოადგენდა. ეს ჰიპოთეზა, შემდეგში გერმანელმა პროფესორებმა: ერ. შარტიმ და რუდ ვირხოვმა დაამოწმეს (ჯ. ნადირაძე 44).

XX ს. 30-იანი წლების ბოლოს, ბ. კუფტინმა გათხარა, ძვ. წ-ით III ათასწლეულის (შუა ბრინჯაოს ხანის) წალკის ყორღანები. ამან დაასაბუთა, რომ ქართველები, ძვ. წ-ით IV-III ათასწლეულებში იცნობდნენ

ლითონს. ეს იყო მტკვარ-არაქსის და თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა. მტკვარ-არაქსის იმდროისთვის მაღალი დონის კულტურა, მოიცავდა მცირე აზიის აღმოსავლეთ მთიანეთიდან, მზისკენ ვანისა და ურმიის ოლქებს მტკვრის ჩრდილო და სამხრეთ ტერიტორიებს. ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი ნივთები, გვხვდება სირიაში, რაც მოსახლეობის გადანაცვლებაზე მიუთითებს.

ამ კულტურის შემქმნელად, ბორის კუფტინს, სამართლიანად მიაჩნდა იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ე. ი. თრიალეთის კულტურა, სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობას ეკუთვნოდა.

შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურის შემოქმედი, სწორედ ქართველური ტომებია. მათ შექმნეს საკაცობრიო მნიშვნელობის საკულტო-სარიტუალო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები. ეს ძეგლები შეტანილია რუსულ „Всемирная история"-ში, ხოლო ხელოვნებათმცოდნე ნანა ჯაფარიძეს, თავის ნაშრომში მოაქვს მათი დაწვრილებითი აღწერილობა.

რელიგიის ისტორიის თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა სარიტუალო ვერცხლის სარწყულზე გამოსახული პროცესიები. აქ გამოსახული რიტუალის მონაწილე ქურუმებს (კარიბანტებს) სახეზე ისეთივე ნიღბები უკეთიათ, როგორიც ეგვიპტურ ღვთაებებს, ხოლო ხელში თიხისგან დამზადებული მაღალი ჭურჭელი უჭირავთ, რომლითაც ღვთაებას, შესაწირ ღვინოს მიართმევდნენ.

პროცესიის ცენტრში, გამოსახულია ქვის, ლამაზი ფორმის საკურთხეველი, იქვე მწოლიარე შესაწირი ცხოველით და სამსხვერპლოსთან აღმართული სიცოცხლის ხით.

საწყულის მეორე ფრიზში გამოსახულია ირმები და სხვა ცხოველები, რომლებიც, ალბათ, ღვთაებებისადმი იყო მიძღვნილი (ნ. ჯაფარიძე. 1981. 32)

წალკის ყორღანებშივე აღმოჩნდა ოქროს შტანდარტი, ლომების გამოსახულებით. სქემატურია ლომის გამოსახულება წნორის (ბედენის) ყორღანიდან. იქვეა ნაპოვნი ფაქიზი ხელოვნებით დამზადებული ოქროს საკინძი.

რაც შეეხება თრიალეთის ყორღანის ოქროს მასიური ფურცლისაგან დამზადებულ, ფერადი ქვებით ინკუსტრირებულ და მეორე, სადა თასს,

ისინი უნაკლოა და სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი, მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში.

იმავე ყორღანში აღმოჩნდა ოქროს ფურცლების ბურთულებისგან დამზადებული ყელსაბამი, რომელიც ინკუსტრირებული და შემკულია ძვირფასი ქვებით. თუ გავითვალისწინებთ გარედან მოხატულ, საღვთო ჭურს და პირველ ურემს აზიაში, მაშინ თრიალეთის კულტურა, მტკვარ-არაქსის, ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ღირსეული გაგრძელება და განვითარებაა.

მეტად საინტერესოა იმავე ყორღანების კერამიკაზე გამოსახული მზის, სიცოცხლის და მარადიულობის სიმბოლიკები: ჯვრების და სვასტიკების სახით, რაც აღმოჩნდა ვანშიც.

აქედან გამომდინარე, შუა ბრინჯაოს ხანის ქართველურმა ტომებმა არა მარტო აითვისეს, უფრო განავითარეს მტკვარ-არაქსის კულტურა, რასაც პროფესორმა ბორის კუფტინმა „თრიალეთის ბრწყინვალე კულტურა“ უწოდა.

„ხელოვნების მოკლე ისტორიაში“ (აფანასიევას რედაქციით) აღნიშნულია, რომ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში და სამხრეთში, ძვ. წელთაღრიცხვით III ათასწლეულში ჩნდება: ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს ნივთები, ხოლო ამიერკავკასიიდან, მადნეული, სირიასა და შუამდინარეთში გააქვთ (34).

III ათასწლეულის ბოლოს, მცირე აზიის ნორმალური განვითარება შეფერხდა, რასაც ჩვენ ვხსნით ამინდის ცვლილებებით და ხალხთა დიდი გადასახლებით. მცირე აზიის დასავლეთი ოლქები ეგეიდასა და ბალკანეთში გადასახლდა, ნაწილმა ჰესპერიას მიაშურა, იტალია და მისი კუნძულები დაიკავა. უფრო გაბედულები პროვანსსა და პირინეიზე დამკვიდრდნენ, თანამოძმეთა გვერდით.

ანატოლიასა და სამხრეთ ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი ძეგლები ირანის ზეგანზედაც აღმოჩნდა, რაზედაც მიუთითებდა პროფ. მიხეილ წერეთელი. ხარის თავის გამოსახულება ნაპოვნი იქნა ლურისტანში. იქვე აღმოჩნდა ბრინჯაოსგან დამზადებული დეკორაციული ლაგამი.

ქართველური ტომების ოდინდელ საცხოვრისზე მიუთითებს ირანში არსებული ქართველური ტოპონიმია (იხ. ქვევით).

ჩვენმა ტომებმა, ქვემო შუამდინარეთშიც შეაღწიეს. ისინი არიან პროტოშუმერები, ხოლო მათს სამკვიდროზე, IV ათასწლეულში შემოაღწიეს ბაჰრეინელმა სემიტებმა, რომლებსაც სახელი „შუმერი“ პროტოევფრატელებმა შეარქვეს.

ამიერკავკასიაში კი, მოყოლებული ძველი წელთაღრიცხვით VI ათასწლეულიდან, მოსახლეობა უწყვეტად ვითარდებოდა და მეზობელ ქვეყნებშიც ეშენებოდა. ჩათალ-ჰუიქის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ხალხმა, სათავე დაუდო აზიის, აფრიკის და ევროპის თეთრკანიან რასას.

პირველმა ლითონმდნობელმა კავკასიელებმა, ქართველთა ოდინდელმა წინაპრებმა, დააფუძნეს მტკვარ-არაქსის ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა. ის უძველესია მსოფლიოში. IV ათასწლეულში ამ ტერიტორიაზე ხსენებაც არ იყო სარმატ-ირონების, ხოლო ურარტუელები, იგივე ალაროდიელები, ლენორმანს, ქართველურ ტომებად მიაჩნდა. მე, ახლა იმ აზრისკენ ვიხრები, რომ მითანელებიც (ხურიტები) პროტო – ქართველები იყვნენ.

დასახელებული მტკვარ-არაქსის რეგიონიდან ხდებოდა პირველი ლითონის გატანა ეგვიპტეში, ქალდეასა და ბალკანეთში, მაშინ, როცა შუმერებს, ეგვიპტელებს და პელაზგებს, მხოლოდ სპილენძი გააჩნდათ.

ლიკოფრონი, ხალიბებს, პაფლაგონიელებს უწოდებს. მათ დაიწყეს რკინის პირველი ექსპორტი (ძვ. წ-ით XVIII ს-ში). მათგან შესულა ბერძნულში რკინის სახელ „ხალიბდიკოს“.

ზოგ მეცნიერს „ნაღვერდალი“, ტერმინ „ღვდლის“ (ძველი ქურუმის) სინონიმად მიაჩნია. მათ ისწავლეს რკინის ხანგრძლივი ჭედვის ხელოვნება, რამდენჯერმე დაგრეხა და ისევ გამოჭედა. ასეთ რკინას ბაწარაული ერქვა (კ. ჭიღლაძე).

ზოგი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურის შემქმნელი ხალხის ნაწილი, დასავლეთით გადასახლდა, ნაწილმა კოლხეთში დაიდო ბინა და საფუძველი ჩაუყარა გვიანი ბრინჯაოს ხანას.

ძვ. წ-ით VI-IV ათასწლეულებში ხალხთა გადასახლება ხდებოდა სამხრეთ ამიერკავკასიიდან, ჩათალ-ჰუიუქის (ანატოლია), ირანის ზეგანიდან შუამდინარეთისა და ეგვიპტისაკენ.

გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთები აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიაში: ყობანსა და ალაგირში, რომელიც უძველესი დროიდან კავკონ-სვანებს ეჭირათ, მათი მონათესავეა მაიკოპის კულტურა.

ქვემო იმერეთის ცამეტ პუნქტში 67 სეგმენტისებრი, იარაღი აღმოჩნდა, ასევე: რაჭაში, ჭიათურაში, ბაღდათში, ოკრიბაში, აფხაზეთში, სამეგრელოში.

1909 წელს, ექვთიმე თაყაიშვილმა ნივთები ჩამოიტანა ახალქალაქიდან, ბორჯომიდან, აჭარიდან და სვანეთიდან. გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი ჰგვანან ყობანურს. შემდეგში დადასტურდა, რომ ეს კულტურა, ყობანში, სამხრეთიდან გავრცელდა. (ჯ. ნადირაძე, 41) უვაროვას მიხედვით, ყობანური ცხენის ბალთები ჰგავს ხეთებისას.

არქეოლოგ რ. აბრამიშვილის დაკვირვებით, ცაგერში ნაპოვნი გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთები, ძალზე ჰგავს ქართლის მეტეხის, კავთისხევის, ნავთლულის და სასირეთის კომპლექსებს.

ანტიკური ხანის ავტორები აღნიშნავენ, რომ მცირე აზიის ჩრდილო ოლქის მცხოვრებნი, არა მარტო შესანიშნავი მელითონეები იყვნენ, არამედ ზოდებით და მადნით, შორეულ ქვეყნებსაც ამარაგებდნენ. ჭანეთში მდებარე ხალიბური ქალაქები: სტამენა და გენეტი, ლითონით ვაჭრობდნენ (ს. ბიზანტიელი, 196).

პოლიბიოსის ცნობით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნები ევროპას აწვდიდნენ პირუტყვს, ცვილს, თევზს, ლითონს, მონებს, ხეტყეს, ტყავეულს.

მას ეთანხმება გვიანი ხანის ისტორიკოსი ამიანე მარცელინი.

ზოგი ავტორი წერს, რომ ხალიბების უმნიშვნელოვანესი ქალაქებია: ამისოსი და სინოპე. ე. ი. ისინი, ბერძნულ კოლონიზაციამდე არსებობდნენ (გ. გოზალიშვილი. 1962, 27) ეს ქალაქები კაპადოკიაში მდებარეობდნენ და იქ რომ მოსახლეობა კოლხური იყო, ამას ჰეროდოტეც ადასტურებს.

თვით გ. მელიქიშვილი წერს, რომ ხალიბები პაფლაგონიელებია, რომლებმაც პირველად მოჰკიდეს ხელი რკინის დამუშავებას (1959, 70).

პროფ. ლეონჰარდის ცნობით, მეტალურგიის სამშობლო ჭანეთია და ხალიბთა ქვეყანა, შემდგომი დროის ჭანეთს უდრის (თ. მომზენი, 1949, 417).

ამიანე მარცელინი წერს: „ამ ადგილის მეზობლად არიან დიჰები (დრილებია. ა. ფ.) ყველაზე უმამაცესი მეომრები და ხალიბები, რომლებმაც თავდაპირველად მოიპოვეს რკინა... მათ შემდეგ, ვრცელი მიწები უჭირავთ ბისარებს („ბიძერებს“ ა. ფ.), საპირებს (სასპერებს. ა. ფ.), ტიბარენებს, მისინიკებს, მაკრონებს“ (ს. ყაუხჩიშვილი, 1973, 3.70).

ჩვენში მეტალურგიის ძეგლები კი – საკმაოა.

სტეფანწმინდის განძში აღმოჩნდა ხარის რქაზე გამოსახული კვერთხიანი, შიშველი მამაკაცი – ღვთაების სკულპტურა, მკვეთრად გამოხატული ფალოსური ნიშნით. მისი მსგავსი ძეგლები დაფიქსირდა: ზეკარში, კლდეეთში, კინჩხაში, რაც ერთიან ტრადიციაზე მიუთითებს.

სარდანულ-მუზარადიანი, ჯიღოსანი მეომრის ბრინჯაოს ქანდაკება, რქებმოგრეხილ ვერძთან ერთად, აღმოჩნდა კინჩხაში, გადაეცა სახ. უნივერსიტეტის მუზეუმს, მერე კი ორივე „დაიკარგა“. ბრინჯაოს ხარის პატარა ქანდაკება, ამ ხუთი წლის წინათ, ცაგერში დააფიქსირეს მკვლევარებმა; ჯ. კოპალიანმა და ჯ. კუხალაშვილმა (ახლა ცაგერის მუზეუმშია).

ხარის კულტთან დაკავშირებული ძეგლები ცნობილი იყო კრეტა-მიკენშიც, რადგან იქ ჩვენი მონათესავე ტომები, მსგავსი ენისა და ტრადიციის მქონე ხალხი ცხოვრობდა.

კოლხეთში, ნაპოვნი მშვილდსაკინძები, ვფიქრობთ, აქ სარდანთა დასახლებას უკავშირდება.

ქართლში, თლის სამაროვანში და თრიალეთში ნაპოვნი სატევარი, ტოლჩები, სვასტიკიანი კერამიკა და ცულები, მშვილდსაკინძები, კოლხური კულტურის ნაწილია.

ძვ. წ-ით XII ს. მითი „არგონავტების შესახებ“ მოგვითხრობს, რომ მეფე აიეტს, რკინისპირიანი გუთანი ჰქონდა.

ქართველურ ტომებს მეტალურგია რომ მაღალ დონეზე ჰქონიათ, ამას ასაბუთებს ბრინჯაოს რგოლები (უძველესი ფული ა. ფ.) სარტყლები, რომელთა მსგავსი სამთავროშიც აღმოჩნდა და გ. გობეჯიშვილის დასკვნით, კოლხური კულტურის კომპლექსია. ასევე მიაჩნდა შ. ამირანაშვილს (1971 წ. 84, 87).

რომაული ხანის ისტორიკოსები: აპიანე და სტრაბონი წერენ, რომ ბერძნები, კოლხეთში, ოქრომ და ლითონმა მიიზიდა. აღნიშნავენ, რომ „მთის მდინარეებს ჩამოაქვს ოქრო, რასაც ბარბაროსები ცხვრის ტყა-

ვით ან ვარცხლით აგროვებენ. აქედან მოდის მითი „ოქროს საწმისზეო“ (ს. ყაუხჩიშვილი. 1976. 143, 220)

ბერძენი და რომაელი ავტორები, ერთხმად ადასტურებენ, რომ მოსინიკები და ხალიბ-ხალდები (ლაზ-ჭანები) თავს ლითონის მოპოვებით ირჩენენო.

XIX საუკუნეში რუსმა მეცნიერმა თ. უსპენსკიმ ჭანეთის ტერიტორიაზე მიაკვლია უძველეს ლითონსადნობებს. ის წერდა, რომ ამ ღრანტეებში, მართლაც ძნელი იქნებოდა მადნის მოპოვება (ამით ეთანხმება აპ. როდოსელს ა. ფ.).

სინოპის და ამისოსის დაწინაურებამდე, პონტო-ჭანეთსა და კაპადოკიაში, ლითონით ვაჭრობის პუნქტები იყო სტამენე და გენეტი.

„სტამენეს“ ფუძე, „სტაგირს“ ჰგავს, სადაც მეფე გიორგი (1187 წ.) გარდაიცვალა, ხოლო „გენეტი“, ჭანური „ტი“ აფიქსით გამოირჩევა და „სახბორეს“ ნიშნავს.

მდინარეების, ჭოროხისა და მურღულის ხეობაში, ლაზ-ჭანები უძველესი დროიდან მოიპოვებდნენ რკინას, რითაც თავიანთ მოკავშირე ხეთებს ამარაგებდნენ.

პროფ. გ. გიორგაძემ გამოაქვეყნა ხეთების მეფის საპასუხო წერილი ასურეთის მეფისადმი, რაც ძვ. წ-ით XIV ს. თარიღდება და მასში ვკითხულობთ:

„კარგი რკინა, რომლის შესახებაც შენ მწერდი, კარგი რკინა ქიცუვანთაში, ჩემს ბეჭდის სახლში არ არის. რკინა გასაკეთებლად (დასამზადებლად) ცუდია (ე. ი. ძნელია). მე უკვე ვბრძანე, რომ მათ დაიწყონ კარგი რკინის კეთება. მათ, ის ჯერ არ გაუკეთებიათ, როგორც კი გააკეთებენ გამოგიგზავნი... ახლა კი გიგზავნი სატევრის რკინის პირს“.

აქედან ცხადი ხდება, რომ ხეთები, ლაზ-ჭანებთან ერთად დაუფლებიან ახალ ლითონს და აღმოსავლეთში ყველაზე საშიში ძალა გამხდარან.

ლითონი, ხეთებს და ასურელებს სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთიდანაც გაჰქონდათ. სწორედ ჭოროხის ხეობაში XVIII ს. ლითონსადნობები აღმოჩნდა. ბევრი ლითონსადნობი იყო ხეთების იმპერიის ჩრდილო ოლქებში, სადაც ჭან-ხალდები ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ. ტავროსის მთებიდან, ძვ. წ-ით I ათასწლეულის დასაწყისში, ტონობით რკინა გაჰქონდათ.

მ. როსტოვცევი აღნიშნავს, რომ შუამდინარეთი, სპილენძსა და ვერცხლს კავკასიიდან ღებულობდა.

ედ. მაიერის გამოკვლევით, ბერძნები ადრიდანვე გასცნობიან ხალიბურ რკინას, ხოლო კოლხური ვერცხლი რომ ცნობილი იყო მათთვის, ამას ჰომეროსის „ილიადა“ ადასტურებს. ხალდ-ხალიბები იყვნენ პირველი მელითონეები მსოფლიოში. ამიტომაც წერია „ბიბლიაში“ „ხალიბი და მისოხი, რომელ არს მჭედელი რვალისა“.

სამხრეთ შავიზღვისპირეთის მეგრელ-ჭანები, რომლებსაც სახნავსათესი ცოტა ჰქონდათ, იძულებული იყვნენ მეტალურგიისთვის მოეკიდათ ხელი.

პოეტი, აპოლონიოს როდოსელი, ხატოვნად წერს ხალიბთა შესახებ:

„თემისკირადან გასული არგო, ხალიბთა ქვეყნის გასნვრივ გაცურდა,
ეს ხალხი, ხარებს არ აბამს სახნისს, ხნულს არ მიჰყვება ახოში მხვნელი.
ხალიბი ხალხი მხოლოდ მიწას თხრის, მადანს დაეძებს გადადის ხვითქი
ნახავს, გაადნობს, გაცვლის ხორბალში, რომ არ ამოსძვრეს შიმშილით სული.
ჯაფით იწყება ხალიბთა დილა, ჯაფით მთავრდება ყოველდღიურად“ (1975წ. 107).

რ. ვირხოვის დასკვნით, მაკრონები თავს ირჩენდნენ ლითონის მოპოვებით. მას ეთანხმება მაქსიმოვაც (შ. ამირანაშვილი, 40). ვირხოვს მიაჩნდა, რომ სპილენძის დნობის პიონერები, ტაბალები და ხალიბები იყვნენ.

პროფ. რ. გორდეზიანს, მოაქვს ამონარიდი ვერგილიუსის „გეორგიკებიდან“. მასში ვკითხულობთ: „ხალიბი, ტომი პონტოში, რომელმაც რკინა აღმოაჩინა“.

არც ისაა შემთხვევითი, რომ სკანდინავიელების ენაზე ზღვისპირეთიდან შეტანილ რკინას „მოსინგ“ (ე.ი. მოსონიკური) ჰქვიოდა, ბრინჯაოს „ბროზე“.

საგვარეულო წყობილების რღვევა და ქონებრივი დიფერენციაცია, დასავლურ-ქართულ ტომებში, გაცილებით ადრე დაწყებულა, რისი საბოლოო შედეგი გახდა სახელმწიფოს წარმოშობა, მეფით სათავეში, ერისთავ-მოხელეებით, ფულით, საღვთო, სატახტო ქალაქებით და ჯარით.

ასურეთის მძლავრ ხელმწიფეს, სარგონ II (722-705 წ.), ჭანეთში სავაჭრო ფაქტორიები: ქანიში და ვაბართუმი დაუარსებია („უბანი“ და „ნავსადგური“ ასურულად) სარგონს 600 კაცი ჩაუსახლებია. მადანი და „მზა“ რკინა, ან სპილენძი, ასურელებს ვირებით გადაჰქონდათ, სამაგი-

ეროდ ჭანეთში მოჰქონდათ შუამდინარეთის შალი და სელის ქსოვილი. მათ „ლევკო“ (თეთრი) სირიელები შეერქვათ.

გვიანდელი კოლხეთის ქალაქები, იონიის და ბოსფორის ქალაქებთან ვაჭრობდნენ, ხოლო ფაზისი ვერცხლის ემისიას ეწეოდა. მასში მოჭრილ მონეტებზე, ადგილობრივი ღვთაებები და ტოტემებია გამოსახული. მილეტელ ბერძნებს, კოლხეთში მოუტანიათ ჰელიოს-აპოლონის კულტი, ლომის სახით, რაც ტეტრადრაქმაზეა გამოსახული.

მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში, კოლხეთის ტერიტორიაზე და სამარხებში, სამკაული იშვიათია, I ათასწლეულში ხაშურის ბრილში ვხვდებით სამკაულებს. ასევე ჩრდილო კავკასიაში, დიგორთან.

სამცხე-ჯავახეთში, კვირაცხოველთან, სარდიონის და ბრინჯაოს ყელსაბამი აღმოჩნდა. ამეთვისტოს გულქანდები იპოვეს თრიალეთში, ხოლო ანანურში და ხაიშის განძში, ოქროს ნივთები აღმოჩნდა, ისე როგორც კლდეეთში, არმაზისხევში და ლეჩხუმში (ნ. ლორთქიფანიძე, 2017 წ.).

კოლხური დიდრაქმის ზურგზე გამოსახულია ხარისნიღბიანი, დაჩოქილი, მავედრებელი ქურუმი, რასაც ანალოგი არ მოეძებნა. უნდა გავიხსენოთ მეცნიერ ჯ. პენდლბერის სწორი ვარაუდი, რომ კრეტის, კნოსის ლაბირინთში, სწორედ ხარისნიღბიანი ქურუმი, შესაძლოა თვით მეფე ატარებდა რიტუალს, მთვარის ღვთაებისთვის, რომლის ზოომორფი ხარი იყო.

მეცნიერის აზრით, აქედან უნდა წარმოშობილიყო „მითი თეზევსის შესახებ“.

ამრიგად, ეს ერთი მტკიცე საბუთია კოლხების და კრეტელების ერთიანი რელიგიის, ტრადიციის და ნათესაობისა.

მაიკოპის ერთ ყორღანში აღმოჩნდა ვეცხლის სარიტუალო თასი წარწერით: „აპოლონ წინამძღოლისა ვარ, რომლის ტაძარიც ფაზისშია“. (მ. ინაძე, 176).

დიდი სავაჭრო ქალაქი იყო დიოსკურია, თუმცა კოლხეთის მეფეზე იყო დამოკიდებული. ის და ფაზისი, მილეტელთა ახალშენები იყო, ხოლო ფიჭვნარი სინოპის. დიოსკურიაში 70 ენაზე მოლაპარაკე ხალხი იკრიბებოდა (სტრაბონი).

დიოსკურიის ერთ მონეტაზე მეფე სავლაკია გამოსახული. ჩვენი ხელმწიფე, ბევრმა ბოსფორელ მოაჯანყე (ძვ. წ-ით 107 წ.) სავმაკთან

გააიგივა, მითრიდატე პონტოელის დავალებით, სტრატეგმა დიოფანტემ რომ დაამარცხა, რაც გაურკვევლობაა.

სავლაკ მეფე, სვანეთში, თურმე, დიდძალ ოქროს მოიპოვებდა...

ამ ხელმწიფის „არსებობა“, აკე მეფეს შემდეგ, მეორე საბუთია ძვ. წ-ით III ს-ის კოლხეთის დამოუკიდებლობისა. ამრიგად, ის არ ყოფილა ლეონტი მროველის ფანტაზიის „ქუჯის საერისთავო“ და ფარნავაზის ვასალი...

ისევ ეროვნულ „ვალიუტას“ მივუბრუნდეთ. ძვ. წ-ით VI-IV საუკუნეებში, მონა, სამოციდან სამას სამოცი დრაქმა, რკინის ნაჯახი კი, ორი დრაქმა ღირებულა.

კოლხური ნახევარდრაქმა ქალღმერთ ფასიანას, ზოგის აზრით ისიდას და ხარის თავის გამოსახულებით, ხურდა ფულის (დანგას) მოვალეობას ასრულებდა. ხანდახან, მის განძებში, ოქროს ზოდებიც გვხვდება. ვანის ერთ სამარხში, 21,46 გრამიანი, მეორეში 24,7 გრამიანი ზოდები აღმოჩნდა. მსგავსი შემთხვევა საირხეშიც დაფიქსირდა. 8,1 გრამიან ოქროს სტატერს 108 გრამიანი, ხოლო 8,4 გრამიან ოქროს, 112 გრამი ვერცხლი შეესაბამებოდა. რამდენიმე თეთრი გაჭრილია, რაც აწონის სიზუსტეზე მიუთითებს. ხონში ნაპოვნ ერთ მონეტაზე გ. ლორთქიფანიძემ და გ. გერაძემ, დამზადების პროცესი შეამჩნიეს.

ფოცხოში, ვანსა და ფიჭვნარში, ნაპოვნია ტყვიის საწონები, რაც ზომა-წონის სიზუსტეზე მიუთითებს.

ფრანგმა მკვლევარმა მორგანმა, კავკასიურ ბრინჯაოს რგოლებზე და სამაჯურებზე დაკვირვების შემდეგ, დაასკვნა, რომ ესენია ძველის-ძველი ფული, კავკასიური სიკილა (ივ. ჯავახიშვილი 1979).

ბევრი წერს, რომ პირველი ქართული ფულის დიდი უმრავლესობა, რიონ-ყვირილას აუზშია ნაპოვნი, თუმცა ქვემო იმერეთშიც აღმოჩნდა, რასაც ქვევით დავასაბუთებთ.

სულორის განძში, აქემენიდურ-ირანული სიკილებიც აღმოჩნდა.

ვანის სამარხებში, ზოგ მიცვალებულს პირში უძევს მონეტა, რათა მოხუც ქარონს მისცენ, საიქიოს მდინარე, სტიქზე გადასაყვანად. აქედან გამოთქმა „გავიდა გაღმა“. ამ ფულს, „ქარონის ობოლს“ უწოდებენ.

ხაშურის ერთ სამარხში, მიცვალებულს პირით ეჭირა „ქარონის ობოლი“, ცხივნალში, ბორჯომში, სურამში, მცხეთაში, ლენტეხში და ონში, მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა.

ქართლში კოლხური თეთრის გავრცელება, მესამე საბუთია იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველო, მაშინ „ბუნთურქთა“ კი არა, კოლხეთის სამეფოში შედიოდა.

1929 წ. სოფ. ზარათში 202 ნახევარდრაქმა იპოვეს, დღნორისაში – 174, მესხეთში – 38, ფერსათში – 40.

ვანის ერთ სამარხში, 700-ზე მეტი ნახევარდრაქმა აღმოჩნდა. ესაა „სიკილა“ და „დარიკები“. მასში ნახეს ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერი.

1949 წ. ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში, ოქროს მონეტათა განძი აღმოჩნდა, რომლის ნაწილი, მოარული ხმებით „პატრონმა“ ბათუმში გაყიდა. ერთი მონეტა პროფ. ი. ქუთათელაძემ გადაარჩინა და სახ. მუზეუმს გადასცა. ესაა ოქროს სტატერი, წარწერით „Basileos Aki“. მონეტას დავით კაპანაძე „უიშვიათესს“ უწოდებს. 1864 წ. მისი პირველი ეგზემპლარი, ტრაპიზონის ტერიტორიაზე ნაპოვნი, დაცულია პარიზის მედლების კაბინეტში. ის 8,45 გრამს იწონის. ეს მეოთხე საბუთია იმდროინდელი (ძვ. წ-ით III ს.) კოლხეთის ცალკე სამეფოდ არსებობისა. მეტიც, ჭანეთი ტრაპზონითურთ, მის ფარგლებში ყოფილა.

ხონში, ანტიკური ხანის მონეტები რამდენჯერმე აღმოჩნდა:

პირველი – 1928 წ. (44 ც.), მეორე – ისევ ხონში 1928 წ. (200 ც.), მესამე – ნახახულევში 1966 წ. (46 ც.), მეოთხე – საწულუკიძოში 1966 (180 ც.), კუხში – 1976 წ. (300 ც.), მეექვსე – საწულუკიძოში 1981 წ. (500 ც.).

მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია ურეკის განძის ყელსაკიდები, სამაჯურები, დიადემები და ბეჭდები. ასეთები ბრილის (ხაშური) სამაროვანშიც აღმოჩნდა. დასტურდება ბრინჯაოს დეკორაციული დამუშავება. გვხვდება საკიდები და შტანდარტები, ვერძის გამოსახულებები, საწვივე და საკისრე რგოლები.

ბეჭდები და საკინძეები ნაპოვნია: ბრილთან, მუხურჩაში, ნოსირში, ერგეტასთან, დღვაბაში, საირხესა და ხაიშში.

მოდინახესა და საირხეს ოქროს სამკაულები: საყურეები, ყელსაბამები, ვერძის თავის გამოსახულებიანი სამაჯურები აღტაცებას იწვევს.

მხატვრული დამუშავებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ვანის განძი. ის დამზადებულია უმაღლესი დონის თეგვით, გრეხით და მომცვარ-

ვით. ესენია: კუების გამოსახულებიანი – ყელსაბამი, სასაფეთქლეები, საყურეები, ეტლის, მხედრის და ბორბლების გამოსახულებებით.

ერთ ყელსაბამს სიმინდის ტაროს ფორმა აქვს.

ზოგ სამაჯურს ჯიხვის და ვერძის თავის, ან ტახის გამოსახულება ამშვენებს.

მოიპოვეს ლომკაცის გამოსახულებიანი პექტორალი, დამზადებული ოქროს, ფირუზის და სარდიონისგან.

საინტერესოა სუდარის და ტანსაცმლის ოქროს სამშვენისები, ასე უხვად რომ არის ვანში.

იქვე № 9 სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ-ით IV ს-ის საბეჭდავი, რომელზედაც ბერძნული ასოებით აწერია ქართული ქალღვთაების სახელი: „დედატო“, რომელიც გამოსახულია საშუალო ზომის ტახტზე. მას ერთ ხელში ბარძიმი უჭირავს, მეორეში დაფნის თუ ზეთისხილის რტო, როგორც ნაყოფიერების ღვთაებას...

საინტერესოა ოქროსაგან დამზადებული საბეჭდავი. მასზე გამოსახულია მეომარი ღვთაება, ხელში ლახვარით. ჩვენი აზრით, ის ომის ღვთაება არიაა.

მესამე საბეჭდავზე, ეროტიკული სცენაა გამოხატული. მამაკაც ღვთაებას, მუხლზე უზის მკერდმოღეღილი ლამაზმანი. შესაძლოა, ეს ძეგლი, მამაკაცური საწყისის, გამრავლების „მჭედელ“ კვირიას კულტს უკავშირდებოდეს.

სამკაულზე ზოგჯერ გამოსახულია ფასკუნჯები, გრიფონები, ლომები, ხარები და მგელძაღლები...

ერთ სამკაულზე გამოსახულია ტახტზე ნებიერად წამოწოლილი დიდკაცი, მას ორი, სალამურიანი თუ სტვირიანი მუსიკოსი ართობს. უკან დოქით ხელში, ღვინის მწდეა გამოსახული...

ერთ დიადემას, გომბეშოების გამოსახულებები ამკობს.

ასევე ლამაზია კლდეეთში ნაპოვნი ოქროს აგრაფი.

არაფერს ვამბობთ: არმაზისხევის, ახალგორის და სამთავროს განძთა ბრწყინვალე ძეგლზე, რომლებიც ოქრომჭედლობის უბადლო ნიმუშებია, ისევე, როგორც ოქრომრავალი კოლხეთის: ვანის, საირხეს და ფიჭვნარის მონაპოვრები.

ძვ. წ. IV-III საუკუნეთა ქართლის ძვირფასეულობის ნიმუშები, უდავოდ კოლხური კულტურის არეალში ექცევა...

თავი მეორე

მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი

ქართველთა და საერთოდ, სამხრეთკავკასიელთა ცივილიზაცია, ედემურია. იგი მშობელია თეთრკანიანი რასისა, რაც დაადასტურა მეცნიერულმა კვლევებმა. ამავე ხალხმა, მსოფლიოს მისცა ცოდნა მიწათმოქმედებაზე, ციურ სხეულებზე, გეომეტრიაზე, საირიგაციო სისტემაზე, მეცხოველეობა-მევენახეობაზე, რთვა-ქსოვაზე, მეფუტკრეობაზე, მედიცინაზე, მეტალურგიაზე, კალენდარზე...

მსოფლიოს წამყვანმა ორიენტალისტებმა გაარკვიეს, რომ მინიმუმ 31-20 ათასი წლის განმავლობაში, კავკასიაში ცხოვრობდა ერთი და იგივე წარმომავლობის და გენების ხალხი, რომელთა აბორიგენობა უდავოა.

14 ათასი წლის წინანდელი იტალიის, ვილაბრუმელი ადამიანის გენეტიკური კოდი, სავსებით ემთხვევა წყალტუბის საწურბლიის მღვიმის 13 ათასი წლის წინანდელი ადამიანის კოდს (კ. ჭილლაძე)

ბოლო, 13 ათასი წლის განმავლობაში, ამ რასის გენეტიკური უწყვეტობა დასტურდება ასევე ჭიათურის კოტას კლდის და წყალტუბოს საწურბლიის მღვიმის მცხოვრებთა ნათესაობაში.

კ. ჭილლაძის ნაშრომით, ჰაპლოჯგუფების დომინანტებზე დაკვირვებით, მეცნიერებს გამოაქვთ დასკვნა, რომ თანამედროვე ქართველები, ათასობით წლის წინანდელი კოლხ-აფხაზთა შთამომავლებია (87).

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ კავკასიის მონათესავე და მომიჯნავე მაიკოპის კულტურის მატარებელმა ხალხმა, ეს კოდი – ნათესაობა, კავკონ – სვანებისგან მიიღეს, რომლებიც მაშინ ჩრდილო კავკასიაში მკვიდრდებოდნენ. თავის მხრივ, სტეპის ხალხს გადასცეს CHG კომპონენტი, იმათ კი ევროპაში გაავრცელეს (ფრ. ბლუმენბახის მიხედვით).

კ. ჭილლაძის ნაშრომი, სწორედ იმის მტკიცებულებაა, რომ სამხრეთ ამიერკავკასიაა თეთრკანიანი, ევროპოიდული რასის სამშობლო, ხოლო

ამ ხალხის მიგრაცია ხდებოდა ქვედა პალეოლითის ხანიდან ძვ. წ.-ით II ათასწლეულის შუა ხანებში.

კავკასიის გენეტიკურ კოდს ეჭირა უზარმაზარი ტერიტორიები ინდოეთიდან დასავლეთით, თვით ატლანტის ოკეანემდე...

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს მეგალითები და დოლმენები: (აბული, თრიალეთი, ხევსურეთი, თუშეთი) ასეთივე ძეგლები დაფიქსირდა: სიცილიაზე, კორსიკაზე, მალტაზე, მიკენში, პილოსში, კნოსში. თვით ბრიტი ქურუმები, დრუიდები, მიიჩნევენ, რომ სტოუნჰენჯი იბერიელ ქურუმთა ნახელავია.

მშენებლობა, სხვა ხალხებს, ჩვენმა მოდგმამ ასწავლა. მაინც, ყველაზე ძველი, მეგალითური ძეგლები, შემოინახა ქართველური ტომების ოდინდელ საცხოვრისზე, ხათი-ხეთების ტერიტორიაზე. ბოღაზყოის მეგალითები, 9500 წლით თარიღდება, ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ჩვენი მეცნიერები: მ. დადიანი, რ. გორდეზიანი, მ. წერეთელი, რ. გვეტაძე, კ. შელია, ამ. ნიკოლეიშვილი კ. ჭიღლაძე და პირადად მე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ძვ. წ-ით III-II ათასწლეულებში, ჩრდილო ინდოეთი, ავღანეთი, ირანის ზეგანი და ზაგროს-ტიგროსის და ევფრატის ხეობა, ჩრდილო სირია, მცირე აზია, ჩრდილო აფრიკა და მთლიანად ხმელთაშუაზღვისპირეთი, თავდაპირველად დასახლებული ყოფილა ერთი მოდგმის ხალხით – იბერიულ-კოლხურ-კავკასიური ტომებით, თუმცა ტერმინი „იბერი“ შედარებით გვიანდელია.

ანატოლიიდან (ალაჯა ჰუიუქი) და სამხრეთ კავკასიიდან, ისევე როგორც მაიკოპიდან, ეს ტომები და მათი გენები გადაადგილდებოდა და დასავლეთით ახალ სივრცეებს იკავებდა. თან გაჰქონდა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც სხვა ტომებზე ადრე შეითვისა.

ამ ფაქტორს განაპირობებდა მოსახლეობის გამრავლება, სანადირო და სამიწათმოქმედო სივრცის შემცირება, ომები და სტიქიური უბედურებები.

ესენი იყვნენ: პროტობერძნები, პროტოიტალიკები, პროტოესპანელები, პირველი ეგვიპტელები, პროტოშუმერები და კართაგენელი პროტოფინიკიელები, რომლებიც ზანურ-კოლხურ ენაზე საუბრობდნენ და საფუძველი ჩაუყარეს ჩამოთვლილ ცივილიზაციებს.

ძვ. წ-ით II ათასწლეულის ბოლოს, მოცემულ ცივილიზაციას, ავიწროვებენ ჩრდილოეთის ტყეებიდან და სტეპებიდან სამხრეთისკენ დაძრული ინდოევროპელები, ამარცხებენ აბორიგენებს, აძევებენ ან ითვისებენ მათ კულტურას და რასას.

მოსულმა ინდოევროპელებმა, არა მარტო აითვისეს დამხვდურთა, იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი კულტურა, არამედ ის განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს.

ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხეთი ვრცელი და ძლიერი ქვეყანა იყო და ის კავკასიის დიდ ნაწილს მოიცავდა. „კოლხური" ენა, კაცობრიობის უძველესი ენაა და ის „ქართული" კი არა, ზანურ-ლაზური იყო. ამ. ნიკოლეიშვილს კი კოლხეთ-იბერია ერთიდაიგივე ჰგონია და კოლხას ენა, ზანურ-ლაზური არ იყოო, ასაბუთებს (53).

მსგავსი სისულელეები ბევრი გვხვდება...

ქართველურმა ტომებმა თავი გამოიჩინეს სოფლის მეურნეობაში. ქვეყნიერებაზე, სულ ხორბლის 27 სახეობაა, მათგან 5 ქართული და ედემურია. თორმეტი მათგანი მხოლოდ საქართველოშია დაფიქსირებული.

ტერმინი „ზანდური" მიუთითებს, რომ ის ზანთა მიერ გამოყვანილი ჯიშია. „ჩელტაც" წმიდა ზანურია, ხოლო „დიკა", „მახა", „წითელი მახა" და „კენტეხილა", მხოლოდ კოლხური ჯიშებია. (კენტეხილა, აკად. ვავილოვმა ბასკეთშიც დააფიქსირა).

მკვლევარ კ. ჭიღლაძის განმარტებით, ხორბლის სახელწოდებაში იკითხება „ხორ" (სახლი) და „ბაალ" სახლის ღვთაება. მას პურის სახელი, „შოთი", თოთის სინონიმად მიაჩნია (გვ. 9).

შოთს, ისედაც ნახევარმთვარის ფორმა აქვს.

საქართველო რომ მევენახეობა-მეღვინეობის საწყისი ქვეყანაა, ამაზედაც ბევრი დაწერილა.

ქვემო ქართლში, მარნეულის ვაკეზე აღმოჩნდა ძვ. წ-ით VI ათასწლეულეულის ვაზის რამდენიმე წიპწა და ამპილოგრაფიული ნიშნებით, უძველეს კულტურულ ჯიშს მიაკუთვნეს. მსგავსი აღმოჩნდა ხრამის დიდ გორასა და დანგრეული გორის ნეოლითურ ნამოსახლარებში. შულავერ-შემუთეფეს უძველესი, ქვევრისნაირი ჭურჭელი, რომელზედაც ყურძნის მტევანია გამოსახული, საქართველოს ისტორიულ მუზეუმშია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოლხეთის მეფუტკრეობის ცენტრი ცხენისწყლის ხეობაა. ჩემი ბავშვობის წლებში, პატარა სოფლებშიც ტონობით თაფლი მზადდებოდა.

ბორჯომთან, საკირეს ყორღანში აღმოჩნდა თაფლის ჭურჭელი, რომელიც 14 საუკუნით ძველია, თუთანხამონის საფლავში ნაპოვნ ჭურჭელზე (კ. ჭიღლაძე).

ყველის და სულგუნის კეთება, პირველად სვანოკოლხებს უსწავლიათ;

საყდრისი, მსოფლიოს პირველი ოქროს მაღაროა, თუმცა ამ 3500 წლის წინ, სვანები, ოქროს, ცხენისწყლის სათავესთანაც მოიპოვებდნენ.

ჭიათურის ძეძუანის მღვიმეში აღმოჩენილი ძაფის ბოჭკო, 29000 წლისაა და ასაკით გადაამეტა ჩეხეთში ნაპოვნს. იმავე მღვიმეში სელის და ჯიხვის ბეწვის ბოჭკოებიც აღმოჩნდა (კ. ჭ. 20).

ძვ. წ. VI ათასწლეულში, კავკასიაში ლითონის დნობა დაუწყიათ. ლითონსადნობები აღმოჩნდა: ფიჩორაში, რაჭის ღებში, ხაშურის ბრილში და ჭოროხის ხეობაში.

ლითონის დნობის ხელოვნება, ეტყობა, ეგვიპტეში, მიგრანტმა ქართველურმა ტომებმა შეიტანეს. ბოლო მეტალურგიის გადამცემი პუნქტები: სირია, პალესტინა, კიპროსი უნდა ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, ფინიკიის ქალაქები: ტვიროსი, ტვირენების, ტარსენების დაარსებულია, ისე როგორც უგარიტი, ბიბლოსი, არპადი. ბაალიც კოლხური ღვთაება იყო.

ვ. ჰუმბოლდტის აზრით, სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის პირველი, ავტოხთონური მოსახლეობა იბერიული იყო.

ხმელთაშუაზღვისპირეთის რასა, იდენტურია ტერმინ კავკასიურისა, რომელიც ცხოვრობდა ევროპის ტერიტორიაზე და აზიაში ინდოეთამდე. ამ რასას, ჰქონდა ენობრივი განშტოებები (ბასკური, ეტრუსკული, ლუზიტანური) ამათი მთავარი ენა, პელაზგური იყო, რომელიც ჩვენი გამოკვლევით, ყველაზე ახლო იყო ზანურ-კოლხურთან.

მ. კალინინთან წამიკითხავს, რომ ის ქართველებს, ამიერკავკასიაში ყველაზე ძველ ერად მიიჩნევდა.

ზანთა მონათესავე ტომები: პელაზგები, კავკონები, ეტეოკრეტელები, დოლოპები და სხვები, ეგეიდა – ბალკანეთს, ეტრუსკები ჰესპერია – იტალიას, იბერ-ბასკები პირინეი-პროვანს-გასკონიას, ხოლო სარდანები და წინაქართველები შუამდინარეთს, ეგვიპტეს და კართაგენ-ლიბია-კირენეიკას ფლობდნენ.

თვით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ძვ. წ-ით XII საუკუნეში შეიქმნა დიაოხისა და კოლხეთის სახელმწიფოები.

ახლა, სწორედ კოლხეთზე შევჩერდებით. მ. ინაძე, ქვემოთდამოწმებულ ნაშრომში წერს, რომ „კოლხეთის ძველი ისტორია, სულ უფრო და უფრო მეტად იზიდავს, როგორც სპეციალისტ-ისტორიკოსთა, ასევე ჩვენი საზოგადოების ყურადღებას... კოლხეთს, განსაკუთრებული როლი უჭირავს საქართველოს ისტორიაში, კულტურის, სახელმწიფოებრიობის და ბოლოს, ცივილიზებულ ხალხებთან ურთიერთობაში (გვ. 3).

პირველი ცნობები, არგონავტთა ლაშქრობის შესახებ „ილიადა-სა“ და „ოდისეა“-შია დაცული.

არგონავტთა თქმულების ვერსია, ვრცლად ჰქონდა დამუშავებული ძვ. წ.-ით VIII ს. ავტორს, ევმელიოს კორინთელს. მან პირველად ახსენა ტერმინი „კოლხეთი“, შემდეგ კი პინდარემ და ესქილემ (აკ. ურუშაძე).

ლაკედემონელმა კინეთეოსმა (ზანურად მხრებგაშლილი ღვთება), პოემა შექმნა მედეაზე (ძვ. წ. VIII-VII სს.)

ესქილეს ტრილოგია – „არგო და კირკე“ შეუქმნია...

სოფოკლეს მიერ დაწერილი დრამები, მედეას შესახებ, არ გადარჩენილა, ევრიპიდემ კი შექმნა : „მედეა“, „ინო“, „ფრიქსე“, „ჰიპსიპილე“. მედეას თემას აშუქებენ: სტრატისი, კანთარე და ანტიფონე.

ამ თემას შეეხნენ: სენეკა და ოვიდიუსი, ვალერიან ფლაკუსმა კი შექმნა პოემა „არგონავტიკა“.

რომაელი დრაკონციუსი, საკმაოდ წერს მედეას შესახებ.

ჰეროდოტე მოგვითხრობს, თითქოს მეფე აიეტს, შთამომავლობისაგან დაღუპვა უწინასწარმეტყველეს.

არგონავტთა თქმულებაში იკვეთება კორინთოს (ზანურად „სამკვიდრო“) და კოლხეთის უძველესი კავშირი, რადგან აიეტ მეფე, კორინთული (პელაზგური) წარმოშობისაა, თუმცა „ტი“ აფიქსი აიელის ძეს, მკვიდრს ნიშნავს.

აიეტი „სკვითურ კოლხეთში“ გადასახლებულა.

აიეტის კოლხეთში გადასახლება, ჩვენი აზრით აქაველთა თვდასხმების, სტიქიური უბედურების შედეგი იყო, რითაც ბერძნებმა, რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს, რადგანაც ათასობით პელაზგმა, მეფეს მიბაძა.

წასულ ძელმწიფეს, კორინთო, ჰერმესის ვაჟის, ბუნესათვის მიუნდვია, ვიდრე მისი შვილები, ძველ სამკვიდროს დაუბრუნდებოდნენ.

რატომ ბუნესთვის?

ჰერმესი, ქართულად ერმი, კოლხური ღვთაებაა (ლიდიაში იყო მდ. ერმი) მეცხოველეობის, ვაჭრების, მოგზაურთა მფარველი. მის სარიტუალო დღედ, ოთხშაბათი (ერმისა) იყო მიჩნეული და ამ დღეს, ვაჭრობა იმართებოდა (მაგ. ხონში), ხოლო ქართველურ ტომებს, მეცხოველეობა მაღალ დონეზე რომ ჰქონიათ, ამას ქვევით დავინახავთ. ერმის მსგავსი ტერმინებია: ირემი, ნერბი, ერკემალი.

სახელი „ბუნე“, ბევრ არაფერს გვეუბნება (შეიძლება ბუნება!)

ბუნე, ეტყობა, აგრესორ აქაველებთან ომში დამარცხდა, ან რაიმე დაუდევრობა ჩაიდინა, ვინაიდან კორინთო დაჰკარგა...

ტროასთან ომში, მიკენის მეფე, აგამემნონი მიუძღვის კორინთოს და არგოსის ჯარებს. აი, ვის ჩაუგდია ხელში პელაზგთა მთავარი ქალაქი.

სულ რაღაც 300 წლის განმავლობაში ძვ. წ-ით XV-XII საუკუნეებში, აგრესორი აქაველები (ინდოევროპელები), ბალკანეთში, რიცხობრივ უპირატესობას აღწევენ, ეგეიდაში მკვიდრდებიან და ტროას სამყაროს (მცირე აზია), ომს უცხადებენ.

ბერძნული მითის თანახმად, როცა პელაზგი მეფე, ათამანტი გაგიჟდა და შვილები მოსაკლავად გაიმეტა. ბავშვების დედამ, ინომ, ღვთაებრივი, ოქროს ბეწვიანი ვერძით, ისინი კოლხეთში გადააფრინა. მას „კრიო ერქვა და ის კოლხური კირიბია.

„ინო“ რომ ქართველური სახელია, ამას ასაბუთებს დუშეთის ინო, ინაშაული, მცენარე ინა.

ჰელეს, მზის ელვარებამ თვალი მოსჭრა და ზღვაში დაიღუპა.

დიოდორე სიცილიელი, „მფრინავ ვერძად“, ვერძისქიმიან ხომალდს თვლის, რომლის ნჯღრევა, ჰელემ ვერ აიტანა, გული აერია, გემბანიდან გადავარდა და დაიღუპა.

სხვათა შორის, ბერძნების მიერ დასახელებული „კვირბი“, სწორედ ცხვრის ტყავზე დაწერილი საკრალური ტექსტი იყო, რაც ფესტოსის დისკოზეა და ვანშიც აღმოჩნდა. კარიბანტი ის ქურუმია, რომელიც მას კითხულობს.

როცა ვერძი მოკვდა, მეფის ბრძანებით, ტყავი (საწმისი) გააძრეს და ხეზე გაკიდებულს, მცველად დრაკონი (დარაჯი, გველი მიზირი) მიუჩინეს.

ფრიქსე, ქალკიოპეზე დაოჯახდა და აიეტის სიძე გახდა...

გავიდა წლები... მეფე პელეასმა, შეშინებულმა იმით, რომ ძმისწულს, კრეთევსის ვაჟს იასონს ტახტი არ წაერთმია, მისცა სახიფათო დავალება: კოლხეთიდან ჩამოეტანა ოქროს საწმისი.

იასონმა დაიწყო თანამებრძოლთა შეკრება. მასთან გამოცხადდნენ ცნობილი ბერძენი და პელაზგი გმირები: ფეაკელი ალკინოე, პოლიფემი, იფიკლე, ადმეტე, ერიტე, ექიონი, ეთალიდე, კირონი (კენევსის ძე), მოსპოსი, ვერიდამონტი, მინეტეოსი, ევრიტიონი, ერიბოტე, ოილევსი, კანთოს ევბეელი, კორინთოსი, არეიოსი, ტალაოსი, ჰერაკლე, ნავპლიოსი, იდმონი, პოლიდევკე და კასტორი (დიოსკურები), ლინკევსი, იდასი, პერიკლიმენე, ამფიდამანტი, კეფევსი, ავგია, ანკეოსი, ასტერიონი, ამფიონი, ერგინე, ევფემე, მელეაგრე, ლაოკოონი, პოლემონიოსი, იფიტე, ძეტე, კალაოსი, აკასტე, არგოსი, იასონი, კლიტიოსი, ტელამონი, პელევსი, ფალერე, ტიფისი, ფლიასი, ლეოდოკე.

ამირან ნიკოლეიშვილი დამატებით ასახელებს: ავთოლიკეს, პროკუსტრეს და პოეტ ორფეოსს.

ღვთაება ჰელიოსს, აიეტი, ალოევსი და ცირუ, ანტიოპესგან ჰყოლია.

მაქცია, ავგია, და ფაცია სხვა ქალისგან ჰყავდა. არ ირკვევა პერსე (ფერისი) ვისგანაა. ის კი ვიცით, აიეტის ერთი ცოლი, იდა რომ იყო, მეორე კი კავკონი ქალბატონი (ნიმფა) ეტყობა სვანი.

ელიდას მეფე, აიეტის ძმა, ავგია, ლუარსაბ თათქარიძის შორეული ხასიათია: მცონარა, ზარმაცი, მაგრამ შეუპოვარი. მას საკუთარი თავლაც კი, დაუდევრობის გამო, ვერ დაუსუფთავებია, თუმცა მსახუ-

რები და მეჯინიბეები არ აკლია. ამრიგად სახელიც (ავ+გია=ცუდი გია) ჩვენებური აქვს და ხასიათიც.

ავგიამ, არგონავტებთან ერთად, ძმის წინააღმდეგ გაილაშქრა. მას საკუთარი ინტერესები ჰქონდა და თანაც იმედოვნებდა:

„კოლხთა დიდებულ ბელადს, სვიან აიეტ მეფეს ნახავდა („არგონავტიკა“, 48).

55 ბერძენ-პელაზგ გმირთაგან, 11 ღვთაებრივი წარმოშობის გახლდათ, ოღონდ ჰერაკლე გზაში ჩამოშორდათ.

ავგიას ძმას, ჰელიოსის ძეს, ფერისს, ჩრდილო შავიზღვისპირეთის მეფეს, ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღია, ასევე მაქციას და ალოეს.

ფრიქსეს და ქალკიოპეს ვაჟებს, სამშობლოსკენ რომ მოდიოდნენ, ქარიშხალში მოხვედრილებს, არეტას კუნძულებზე, გემი მეჩეჩზე შერჩენიათ და ისინი არგონავტებს აუყვანიათ, მერე კი, კოლხეთში ჩამოსვლამდე, ლემნოსზე ჰიპსიპილეს წვევიან.

კუნძულ კიზიკთან (ქიზიყი) ძლივს გაეცალნენ ბუმბერაზებს, რომლებიც მათ ხომალდს, კლდიდან მოგლეჯილ ლოდებს უშენდნენ. იასონმა კი ქიზიყის მეფე შუბით განგმირა, მერე თრაკიის მეფეს, ფინევსს, ესტუმრნენ. ბებრიკთა მეფე, ავი ამიკო, ტელამონმა განგმირა. გაეცალნენ პერსეს სამეფოს და ამაძონების სამკვიდროს.

ბოლოს და ბოლოს, მდინარე ფასისში შესცურეს, აღმა აჰყვნენ და აიას მიაღწიეს. მათმა მფარველმა, ქალღმერთმა ჰერამ, ნისლით შეჰბურა შემოგარენი, რომ ისინი ჭენჭროვან-ლერწმოვანიდან შეუმჩნევლად მიეყვანა აიეტის ქალაქამდე. განვლეს ვრცელი ველი და მიადგნენ რეზიდენციას.

ბერძნები გააოცა დიდოსტატური ზრუნვით ნაგებმა სამეფო სასახლემ, რომელთა მოჩუქურთმებულ სვეტებზე ვაზი იყო აშვებული. კოშკები, უფლისწულთა სახლები, კარიბჭეები და შადრევნები უცხო ეჩვენათ...

ფრანგი არქეოლოგის და მოგზაურის, დიუბუა დე მონპერეს (1798-1850 წ.) გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ არგონავტთა მოგზაურობისას, კოლხეთი, გაცილებით მაღალი კულტურის ქვეყანა იყო, ვიდრე იმდროინდელი საბერძნეთი, სწორედ ამის გამო, მან ელინებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

აიეტ მეფე, რომელმაც სტუმრები დედოფალ იდასთან ერთად მიიღო. დიახაც განრისხდა, როცა გაიგო, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები ოქროს საწმისს მოითხოვდნენ.

არგონავტებისგან თითქმის ნახევარი პელაზგი იყო და ზანურის მსგავს ენაზე ლაპარაკობდა.

ასეთები იყვნენ არგოსელები და პელაგზები, აგრეთვე კორინთელი, მილეტელი და დოლოპი გმირები, სპარტელი დიოსკურები: პოლიდევკე და კასტორი (თავიანთი ძმა, ფოკა რომ შემოაკვდათ ა.ფ.). პელას შვილიშვილები: ასტერიონი და ამფიონი, ძეტე და კალაოსი, იდა და იდმონი, კანთოს მაკროსელი (ე.ი. ევბეელი), დოლოპი ვერიდამანტი, დეკალაოსი, კორინთოსი, კირონი, ავგიასი, არგოსი და მისი ძმები, ერგინე, არეიოსი, კეფევსი, ტელამონი, პელევსი, ანხიზე და სხვები. იასონი პელიასის ძმისშვილი, პელაზგი იყო.

იდას და იდმონს, მცირე აზიის ტომთა საუფლო მთის, იდას სახელი ჰქვიათ... მე ჩამოვთვალე კოლხური ენის მცოდნეები, სხვა მოლაშქრეთა ტომობრივი ვინაობა ვერ გავარკვიე, მაგრამ ამათთვის, ზანური გასაგები რომ იყო, ქვევით დავინახავთ...

მაშინ, ლამის მთელი ევროპა, ზანურ ენაზე მეტყველებდა.

როცა არგოსი (ქალკიოპეს და ფრიქსეს შვილი) და პელაზგი ტელამონი, კოლხთა მეფეს მეგრულად (გნებავთ კოლხურად) ესაუბრებიან და საწმისს მოითხოვენ, ამაზე აიეტი, განრისხებული პასუხობს:

„საწმისისათვის როდი მოსულხართ თქვენ ელადიდან ასე სასწრაფოდ,

არა! თქვენ გინდათ სკიპტრა წამართვათ, დაიპყროთ ჩემი მიწა და წყალი,

სამარცხვინოა, უმამაცესმა, ულაჩრეს კაცს რომ დაუთმოს რამე".

აიეტის თქმით, არგონავტები არიან: „სხვისი ქონების დასაუფლებლად აქ ჩამოსული გადამთიელნი" („არგონავტიკა" 123-127), ხოლო არგონავტ ალკინოეს აღიარებით „აიეტზე დიდი მეფე ქვეყნად არ იყო".

მეფის ასული, ქალკიოპე შიშობს, „ჩემი შვილების დაღუპვა ხომ არ სურს მამაჩემსო" და უმცროს დას, მედეას, თავისი სიზმრის მოყოლით არწმუნებს, რომ არგონავტებს რაღაც უბედურება ელით, დახმარებაა საჭიროო...

ამრიგად, დები თანამზრახველები გახდნენ, რადგან ქალღმერთმა აფროდიტემ, მედეას იასონის სიყვარული ჩაუნერგა. მისი სურვილია, თუ საჭირო გახდა, მედეამ წამლებით განკურნოს არგონავტები, რადგან მათ ბრძოლა და მარცხი უწერიათ. ანხიზე ხომ მისი საყვარელია...

პინდარეს მიხედვით, კიპრიდა აქეზებს ქალკიოპეს, ამიტომ მედეა ხსნის წამლების ყუთს და ეხმარება ბერძნებს.

მეფე აიეტი, დაუპატიჟებელ სტუმრებს, ისეთ დავალებებს აძლევს, რასაც თვითონ იოლად ასრულებს, იასონმა კი ყოველივე, მხოლოდ მედეას დახმარებით შეძლო, რაც რეალურის გადმოცემაა.

ჩვენამდე მოაღწია ჰიდრიაზე აიეტ მეფისა და მისი და-ძმების გამოსახულებამ. ერთი და ჩამომჯდარია და პატარა ლარნაკში წამალს აზავებს. აი, ვისგან უსწავლია მედეას ფარმაკოლოგია. აიეტი დგას აღმოსავლეთით, რაც მიანიშნებს, რომ ის იმ მხარის მბრძანებელია, ფერისი ჩრდილო ქვეყნების, ავგია და მაქცია დასავლეთის ხელმწიფეებია. ცირა, ფაცია და კალიფსო – დასავლეთის კუნძულების დედოფლებია ხმელთაშუაზღვის აუზში.

მათ შორის, ციდან ეშვება ჩირაღდნიანი გოლიათი, ის ამარანტ-პრომეთეა ცოდნის, ცეცხლის გამავრცელებელი.

მითოლოგიით, მედეა მსოფლიოს პირველი დასტაქარია. მან ჩაუყარა საფუძველი მედიცინას (მედეას საქმე), ასწავლა ხალხს ბალახთა ჯუ-ლაბების და შხამიანი სამსალების დამზადება. ამრიგად ის ესკულაპის წინამორბედია და ჰიპოკრატეზე 600 წლით ადრე ცხოვრობდა. მისი საექიმო ხელოვნება, საუკუნეების მანძილზე თაობებს გადაეცემოდა. ამას ასაბუთებს, 40 წლის წინათ, სოფ. დედალაურში ლ. ჩიხლაძისგან ნაჩვენები მცენარე: „მედეას ყვავილი, მედეას ბაღიდან“ (ა. ფ. 2013 წ. 71) საეჭვოა გლეხის ქალს „არგონავტიკა“ სცოდნოდა.

ბერძენთა მიერ დარდანელიდან და ბოსფორიდან შავ ზღვაში შემოღწევა, ტროას ომამდე 30-40 წლით ადრე უნდა მომხდარიყო, რადგამ ტროასთან მებრძოლი ბერძენ-პელაზგები, არგონავტთა შვილებია (მაგ. პელევსის შვილს, აქილევსს ახლავს ვაჟი ნეოპტოლომე).

მედეამ, იასონს დახმარება გაუწია. მონუსხა გველი – მიზირი, რომელიც არესის ჭალაში საწმისს დარაჯობდა. იასონმა ჩამოხსნა ოქროს საწმისი და მედეასთან ერთად არგოს მიაშურა.

დიოდორე სიცილიელის ცნობით, მეფე აიეტი, გაქცეულებს დაედევნა, მაგრამ ის, თითქო მელეაგრემ განგმირა. სხვები იმ აზრის არიან, რომ კოლხმა ხელმწიფემ, მტრებს, ფლოტილიით თავისი ძე, აფსირტე დაადევნა.

არგონავტებმა საფრთხე იგერშეს და მედეას სთხოვეს, მოსალაპარაკებლად მიეწვია კოლხთა ადმირალი. მედეამ ეს დავალებაც შეასრულა. მიიტყუა საკუთარი ძმა და იასონს ვერაგულად მოაკვლევინა. კოლხთა ფლოტის მეზღვაურები, აიეტის შიშით, სამშობლოში ვერ დაბრუნდნენ და ეგეიდაში მიმოიფანტნენ.

როცა იასონს მეფე პელიასმა ტახტი მაინც არ დაუბრუნა, მედეამ ახალი ბოროტება ჩაიდინა. „მამას გაგიახალგაზრდავებთო“ – შეჰპირდა მის შვილებს, მოაკვლევინა, დააჭრევინა და მოახარშვინა.

იასონმა პოლიტიკური ქორწინება „გააჩალა“ და კორინთელი მეფის, კრეონტის ასული, გლავკე შეირთო. მედეამ, მათ სასახლეს ცეცხლი გაუჩინა და მეტოქე დაღუპა... ზოგი ვერსიით, მოწამლული კაბა მიუძღვნა, კანის ხურვება შეჰყარა და ამით მოაკვდინა.

სხვა ვერსიით, მედეა აქილევსს მისთხოვდა (მესამე ცოლად), კოლხეთში კი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ძმამ (ფერისმა), აიეტს ტახტი წაართვა, მაგრამ მედეას ვაჟმა, მედოსმა პერსე მოჰკლა და ბაბუას სკიპტრა დაუბრუნა.

ამას გარდა, ცნობილია, რომ დიდმა დრმატურგმა, ევრიპიდემ, კორინთელებისგან ქრთამი აიღო და შვილების მკვლელად, თვით მედეა გამოიყვანა.

სინამდვილეში, მითების მიხედვით, კორინთელებმა თავიანთი პრინცესას დაღუპვა, მედეას არ აპატიეს და შვილები დაუხოცეს...

მედეა და იასონი, კორინთოში ისე ჩადიან, როგორც წილხვედრ ქალაქში, რადგან ის, აიეტს ეკუთვნოდა (ახლა კრეონტი, ბოლოს აგამემნონი დაეუფლა) კორინთოდან გაძევების შემდეგ, მედეა ჰესპერიაში, მამიდა ცირასთან მიემგზავრება (სარდინიასა თუ კორსიკაზე). ამ კუნძულების გასწვრივ მდებარე ზღვას, სახელი ლიდიის მეფის ძის, ტირენისგან მიუღია. იქ მცირეაზიელთა ჩასახლება ღვთაება ტარხონს „უნებებია“.

დიდი სამეფოს მფლობელი, ჰელიოსის ასული ცირა, იღებს ცოდვილ ძმისშვილს, მედეას და მეგრულ ენაზე (კოლხურად) ჰრისხავს:

„შე უბედურო! შენი გაქცევა, სირცხვილს და ტანჯვას გიქადის მხოლოდ,

ვფიქრობ, დიდი ხნით თავს ვერ დააღწევ, აიეტ მეფის საშინელ რისხვას,

მალე ჩამოვა ის ელადაში, რომ შვილისათვის იძიოს შური.

რადგანაც საქმე გაუგონარი მოგიხდენია, შე უბედურო!“

ცირამ სასახლიდან გააძევა, მამისა და სამშობლოს მოღალატე ძმისშვილი.

დღემდე, ხორვატიის ზღვისპირა ოლქში, შემორჩენილია ზეპირი გადმოცემა, რომ ადრიატიკაში, ერთ უბეს, მედეას სახელის მიხედვით „მედოსი“ ჰქვია. სწორედ იქ შეჩერებულან, აიეტისგან ლტოლვილი მედეა და იასონი. თითქო, იქ მოუკლავს უჯიათ სიძეს, დადევნებული ცოლისძმა, აფსირტე. შორიახლო მდებარე 16 პატარა კუნძული, ლეგენდის თანახმად, აფსირტეს სხეულის ნაწილებთან ასოცირდება.

აიეტ მეფეს, აფსირტე, ნიმფა კავკასოსისგან ჰყოლია, რაც უნდა გავიგოთ, როგორც ადგილობრივი, სვანი ქალბატონი.

პროფ. აკაკი ურუშაძე, სახელ „მედეას“ ხსნის, როგორც „ბრძენ ქალს“.

სინამდვილეში, მედეა „მე+დეას“, დედაღვთაებას ნიშნავს და ის ზანური სახელი – კომპოზიტია. აკი, ვანის ერთ სარიტუალო ოქროს ნივთს „Dedato“ („დედატო“) აწერია, მედეაც ღმერთად მიაჩნდათ.

კლავდიუს ოვიდიუს ნაზონის მიხედვით, მედეას სამშობლო, შორეული სკვითეთია (ც. გიგაური, 117) ამასვე წერენ: ევმელიოს კორინთელი, ეპიმედინე და გენიალური ესქილეც.

რომაელი დრაკონციუსიც აღნიშნავს, რომ მედეას სამშობლო, სკვითეთ-კოლხეთია: „შებრუნდა... სკვითიისაკენ და თავისი ნება-სურვილით წავიდა კოლხეთისაკენ“ (გიგაური, 153).

ესქილე, თავის დრამებში: „მიჯაჭვული პრომეთე“ და „მავედრებელი ქალები“, კოლხურ თემატიკას მიმართავს და მიაჩნია, რომ კოლხეთი და სკვითეთი ერთი და იგივეა.

ახლა ესქილედან ამონაწერი წავიკითხოთ:

„კოლხეთის მკვიდრნი, ყმაწვილნი, ქალნი, ომში მამაცნი და უშიშარნი,

მომთაბარენი სკვითთა ურდონი, მკვიდრნი, მცხოვრებნი კავკასიონთან“.

გასაკვირი არაფერია, თუ გავიხსენებთ, რომ ლეჩხუმს, ძველად, სკვიმნია ერქვა.

აიეტი ჰელიოსის და პერსეიდას ძე იყო. მისი ძმა პერსე, ჩრდილო შავიზღვისპირეთს ფლობდა, მეორე ავგია ელიდას, მაქციამ ეგვიპტეში ონი დააარსა, მეოთხე ალოე, ხორბლის და ფქვილის ღვთაება იყო (აქედან პურის აღება-ალოობა).

ცირა ჰესპერია – აიას დედოფალია, (იქნებ სარდინია-კორსიკის) ფაცია და მისი ქმარი, მინა აღმ. ხელთაშუაზღვისპირეთს განაგებენ, კალიფსო სიცილიის დედოფალია... ცირას ერთი შვილი, იტალოსი, იმ ქვეყნის პირველი მეფე გახდა.

მედეას დრამატული თავგადასავალი, სამშობლოს, მამის და ძმის ღალატის თემა, ანტიკურ სამყაროში დიდად პოპულარული ყოფილა. მისი ბიოგრაფიიდან, სცენები მიხატულია ლარნაკებზე, ხოლო მედეა, წამლების სურით ხელში, გამოსახულია თვით პომპეის ფრესკაზე.

ქართველებმა, ქვეყნის დამაქცევრების პატივისმცემლებმა, მას ბათუმსა და ფოთში ძეგლები ავუგეთ.

ზემოთდასახელებული ავტორთა გარდა, მედეაზე და არგონავტებზე წერდნენ: ჰეროდოტე, ჰეროდორე, ეფოროსი, ჰელანიკე, აპოლოდორე, ასკლეპიატე, პავსანია, დიოდორე, ტიმეოსი, სტრაბონი, ფლაკუსი, ოვიდიუსი, სენეკა, აპოლონიოს როდოსელი, ჰოზიდიუს გეტა, დრაკონციუსი, იტალიკუსი...

მედეაზე წერენ ახალი დროის ავტორები: პიერ კორნელი, თ. უსპენსკი, ა. კრონი, ტოკი, ფრანც გრილჰალტერი, ჟან ანუი, ერ. ლუგევე, ლ. სანიკიძე, ო. ჭილაძე, ხოლო ფრანგმა მხატვარმა, ტრუამ, არგონავტების თემას, რამდენიმე მხატვრული ტილო მიუძღვნა.

ხეთების იმპერიის დაკნინებას დაემთხვა ასურეთის აღორძინება. ძვ.წ-ით 1245-1209 წლებში, მას თუქულთინინურთა განაგებდა, რომელმაც მახვილი წარმართა ნაირის ქვეყნებისაკენ, რომელიც ქართველური მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. ის საგრძნობი პოლიტიკური ძალა ყოფილა და ასურელები მიიზიდა ლითონის საბადოებმა. თუქულთინინურთას მათი 40 მეფე (ალბათ ტომის ბელადი ა.ფ.) დაუმარცხებია, დაუმორჩილებია და დაუხარკავს, რასაც თვითონ აღნიშნავს.

ჰენრიხ რაულინსონის აზრით, ასურეთის აყვავების ხანაში, მუშქები წარმოადგენდნენ გაბატონებულ ძალას ჩრდილო სირიაში, ტავრსა და კაპადოკიაში.

ძვ. წ-ით XII ს-ში, მუშქები დაუფლებიან ალზის, ფარემუზის ქვეყნებს და კათმუხის (კარდუხის? ა. ფ.) დაჭერის შემდეგ, ომი გაუმართავთ ასურელებთან.

„არზი-ალზის“ ქვეყანა, ჩვენი აზრით, არეზის, არაქსის ქვეყანაა, რომლის სახელი მითანელებს და ასურელებს დაუმახინჯებიათ. მტკვრის და არაქსის სათავეებთან, ქართველური ტომი, ტაოხები ცხოვრობდნენ. თუ ტერმინი „სქუა“, ლათინურში „სექსად“ იქცა, ალზი – არეზის სახეცვლილება არ გაგვიკვირდება.

„ფარემუზის ქვეყანა“, ზაბახა-ჯავახეთის, ფარავნის მიდამოები უნდა იყოს, რადგან „ფარავანი“ ზანურად: ფულიანთა, დოვლათიანთა, შეძლებულთა სავანეა (ფარა+ვანი) ვანისა და ურმიის სახელებიც წინარე ქართველურია.

სირიაში შესული მესხების შიში, დიახაც ჰქონდათ ებრაელებს, რადგანაც ისინი „ჩაფხუტებისა და მახვილის მქონებელნი, ყველასადმი შიშისა მიმცემელნი, თავს ესხმოდნენ, ვითარცა წვიმა და ნიავქარი“ – წერია „ბიბლიაში“...

„თუბალი და მოსოხი“ და „თუბალკაინი, რომელიც არს მჭედელი რვალისა“. ალბათ, აქედან შევიდა ეგვიპტეში, ან პირიქით (რ. პატარიძე 1980 წ. 31).

300 წელი ბატონობდნენ მუშქები სირია-შუამდინარეთზე და მცირე აზიის დიდ ნაწილზე, ბოლოს კი მათი დამარცხება მოახერხა მეფე ტიგრათპილასერ პირველმა (1115-1077). ის ასახელებს მუშქების 20000-იან ჯარს, რომლის ნაწილი გაუჟლიტავს. 6000 ტყვე მეომარი, ასურეთში ჩაუსახლებია. ხელთ უგდია მათი დიდძალი სიმდიდრე.

ამის შემდეგ, მეფე ტიგრათპილასერს, დიაუხისკენ გაულაშქრებია.

ამ ქეყანას, ასურელები, დაიაენს, ურარტუელები კი დიაოხს უწოდებდნენ. ტაოხებს ასახელებს ქსენოფონტე, მაგრამ აკად. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ ამ სამეფოს ხელმწიფეები, არაქართველური სახელებით გამოირჩევიან: ასია, სიენი, უტუფურსა. ასევე ქართულად არ მიაჩნია ქალაქები: შაშქი, უტუხაი, შერიაზი, მაგრამ ვფიქრობთ სცდება.

უტუ, სიენი და სხვა, ქართველური სახელებია. ასევე დასახელებული პუნქტები „ლუშა“ (ლაზა?) ქათარზა. ვიტერუხი კი დანამდვილებით ოძრხეა. არარატის ჩრდილო ფერდობზე, ლეხიუნინი ჰგავს ჩვენს „ლეხს“, „ლეხურას“, „ლეხუმს“ თვით „ხური“, ჩვენებური „ოხორო“ და ოჯახია.

ტიგრათპილასერ I კი ჰყვება, თავისი ჯარებით როგორ გააღწია ღრმა ხეობებში, გადალახა სასტიკი მდინარეები და მიაღწია დაიაენს. დაანგრია „ასობით ქალაქი და ციხე-სიმაგრე“. მას დიაოხის მეფე სიენისათვის, ნადავლის სახით ჩამოურთმევია: 120 საბრძოლო ეტლი, 1200 ცხენი, 2000 ძროხა და ხარკიც დაუდია.

ასურელი ტრაბახობს, რომ „სიენი, დატყვევებული ჩემს ქალაქ აშურში წავიყვანე და... დიდი ღვთაებათა ქვეყნიდან, მორჩილი გავუშვი, ნაირის ვრცელ ქვეყანას დავეუფლე და მათი მეფე, ჩემს ფერხთა ქვეშ დავამხე“-ო.

ეს წარწერა, არზრუმის სიახლოვესაა ნაპოვნი და დიაოხის დედაქალაქი ზუა, მის მახლობლად უნდა ყოფილიყო, შაშილუ და უტუხაი, უფრო ჩრდილოეთით იქნებოდა.

როცა დიაოხს სამხრეთიდან ასურეთი ავიწროებდა, ჩრდილოეთიდანაც საფრთხე დაემუქრა – მისი ოლქების მიტაცებას კოლხეთი ცდილობდა, რადგან საკმაოდ გაძლიერდა.

ამიტომ დიაოხს, ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა, ეს 300 წელი გრძელდებოდა. ასურეთის აგრესორი მეფე, სალმანასარ III (859-824 წ.) ერთ წარწერაში აღნიშნავს: „ჩემი მეფობის მეთოთხმეტე წელს (845წ. ა. ფ.) გავემართე ნაირის ქვეყნის წინააღმდეგ... ურარტული არამეს ქალაქები, ევფრატის სათავემდე მე გავანადგურე. ასია დაიაენის მეფე, მოეხვია ჩემს ფერხთ, ხარკი და ძღვენი, ცხენები მივიღე მისგან. ჩემი სამეფო გამოსახულება გავაკეთებინე და დავდგი მისი ქალაქის შუაგულში. დავიპყარი ხათების ქვეყანა მის უკიდურეს ნაპირებამდე („ნარკვევები“, II, 374).

პ. უშაკოვის სამართლიანი განმარტებით, „დიაოხი“ იგივე „ტაოხია“.

839 წ. სალმინახარ III ტაბალთა ქვეყანა გაუძარცვავს, ის საგანგებოდ აღნიშნავს იმ ძვირფასეულობას, რაც ტაბალებისგან მიუღია.

ასურეთს მტაცებელი ურარტუ ჩაენაცვლა.

მენუა მეფე, (810-785 წწ.) თავის 40 სტრიქონიან წარწერაში ამბობს:

„დავიპყარი დიაუხის ქვეყანა და ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები დავარღვიე, მივედი სერეთის ქვეყანაში, ქალაქ ზუამდე. დავიპყარი ქალაქი უტუხაი. უტუფურსი, მეფე დიაუხისა, მოვიდა ჩვენს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო... ხარკის გადახდის პირობით. მომცა მან ოქრო და ვერცხლი... ორი მეფე აქაურობას მოვაშორე. გამაგრებული ადგილები, მე მას მოვწყვიტე“... (ვინც წარწერა მოსპოს... ვრცელი წყევლა ერთვის)

ირკვევა, რომ დიაოხს წინააღმდეგობა გაუწევია.

ურარტუელებს გამოუხსნიათ, დიაუხისგან ადრე წაყვანილი ტყვეები. ეს მიუთითებს, რომ წინათ, დიაოხს გაუმარჯვია მომხვდურზე.

მტერს ათასობით ადამიანი, ცხენები, პირუტყვი და ათობით საბრძოლო ეტლი ჩაუგდია ნადავლად. წაუღია: სპილენძი, ვერცხლი და ოქრო (შ. ამირანაშვილი, 35).

დიაუხის მეფე, უტუფურსი, მეორედაც იხსენიება, მენუას მემკვიდრის, არგიშტის (785-764 წწ.) მეფობის მეორე წელს.

784 წლის ახლო ხანებში, არგიშტის ვიტერუხი, ანუ ოძრხე აუოხრებია. 52675 ტყვედან, ბევრი გაუულიტავს, სხვები წაუყვანია, გაურეკავს 1100 ცხენი, 35 ათასზე მეტი ხარ-ძროხა, ათასობით თხა და ცხვარი („ნარკვევები“, I – 377).

ოძრხეზე თავდასხმის საბაბი ყოფილა ის, რომ დიაუხზე ლაშქრობისას, „ლოსას“ (ალბათ ლაზთა ქვეყანას, კოლხეთს ა. ფ.) ოხსხეს და ქათარზას დიაუხისთვის დაუჭერია მხარი.

ე. ი. მოძმე ქვეყანას დახმარებიან...

ახალ წარწერაში ურარტუს მეფე არგიტში წერს: „მივედი ბიას წინააღმდეგ... გავემართე დიდი ქვეყნის წინააღმდეგ, ქ. ზუას წინააღმდეგ. ქ. ზუა დიაოხის სამეფო ქალაქი მე გადავწვი, წარწერა დავდგი ქ. ზუაში. დიაოხის მეფე დავიმორჩილე, შევისწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით... აშკალაშის ქვეყანა დავარბიე, მისი მოსახლეობა ჩემსას მივუმატე. კალა (კოლა ა. ფ.) აშკალაში, სასილო (შაშილუ) დავარბიე. 15 181 ყრმა, 2 734 მამაკაცი, 10 604 დედაკაცი ტყვედ წავიყვანე, ასევე 4 426 ცხენი, 10 478 სული მსხილფეხა საქონელი, 73 770 წვრილფეხა საქონელი. ოთხი მეფე დავასაჭურისე, ჩემი ოლქის მმართველები იქ დავსვი... დიაუხის მეფე დავიმორჩილე. აი რა ხარკი მისცა არგიშტის დიაუხელ-

მა: 41 მინა სუფთა ოქრო (20,7 კგ. ა. ფ.), 37 მინა ვერცხლი (19, 7 კგ.), 10 ათასი მინა სპილენძიო (5 500 კგ.), 100 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა საქონელი, 10 ათასი წვრილფეხა საქონელი უნდა გადაიხადონ ყოველწლიურად... მინა სუფთა ოქრო, 10 ათასი მინა სპილენძი... ხარები, 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი. ის მეფენი, რომლებიც დიუხის მეფის დასახმარებლად მოვიდნენ, მე მათი განადგურება აღვასრულე. იმ წელს დავიპყარი (ლაზის) ლუშას ქვეყანა, ქათარზას ქვეყანა, ერიახის და ვიტერუხის ქვეყნები. ლუშის ქვეყნის მეფე მე დავასაჭურისე, ხოლო იგის ქვეყნის მეფე დავიმორჩილე.

დიაუხის ქვეყანა კვლავ აჯანყდა. მეომრები მე შევკრიბე და გავემართე დიაუხის ქვეყნის წინააღმდეგ. ის გამოცხადდა ჩემს წინაშე ომით“ (16. „ნარკვევები“, 1. 378). ე. ი. დიაუხი დამორჩილებული არ ყოფილა, ის ბრძოლას განაგრძობდა.

თვით ურარტუს მეფეთა სამხედრო ნადავლი, უდავო მტკიცებულებაა ჩვენს ტომებში მეტალურგიის მაღალი დონისა.

ურარტუს მეფის, არგიშტის 768 წლის წარწერით ირკვევა, რომ აჯანყებულ დიაუხს მეფე უტუფურსი წინამძღოლობს. არგიშთი წერს: „დიაუხის მეფე, რომელიც აჯანყდა... შევევედრე ჩემს ღმერთებს“... (ამით წყდება წარწერა).

ამ ლაშქრობათა შედეგად, დიაუხის სამხრეთ პროვინციებს ურარტუ დაეუფლა, ხოლო ჩრდილო პროვინციებს კოლხა. დიაუხის ტერიტორია, ადამიანთა რესურსები, პირუტყვი და ლითონის მარაგი მცირდებოდა.

დიაუხის მიმართ აგრესიის წარმატებით განხორციელების შემდეგ, ურარტუს მეფემ, სარდურ II-მ (764-735 წწ.) იარაღი კოლხას წინააღმდეგ მიმართა.

„ღვთაება ხალდის სიდიადით ხახა, (ხუხა (ლხი)ს ქვეყნის მეფე, მისი ხალხითურთ იქედან წამოვიყვანე, ტყვედ გამოვრეკე და დავასახლე ჩემს ქვეყანაში“. წარწერიდან ირკვევა, რომ სუსას ქვეყანა, რომელიც დიაუხს ეკუთვნოდა, ამ პერიოდში კოლხას დაუსაკუთრებია. ეს ლაშქრობა ძვ. წ-ით 750-748 წლებში უნდა მომხდარიყო.

სარდურ მეფეს მეორედაც ულაშქრია კოლხეთის წინააღმდეგ. მიიჩნევენ, რომ ეს ლაშქრობა 742-741 წლებში უნდა მომხდარიყო. სარდური წერს:

„გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ქვეყანა (მე დავიპყარი) ქ. ილდამუსა, სამეფო ქალაქი კოლხას ქვეყნისა... ბრძოლით

ავიღე, მისი სოფლები გადავბუგე. კოლხას ქვეყნის მეფის ნაცვლები, რომლებიც იქ იყვნენ მე გავულიტე, რკინის ბეჭედი გავაკეთებინე, წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუსაში... გადავწვი, გავაჩანაგე, კაცები და ქალები გავრეკე. ქ. ურაინის ციხე-სიმაგრე მე ავაგე, იქ ჩემი ნაცვალი დავსვი. ვიტერუხის ქვეყნის მეთვალყურე იქ დავაყენე... 8 100 ყრმა წამოვიყვანე, 9 110 დედაკაცი. გამოვრეკე, 17 300 მსხვილფეხა პირუტყვი, 1 500 ცხენი, 31 600 წვრილფეხა პირუტყვი. ღვთაება ხალდისთვის, მე ეს საქმენი, ერთი დღის განმავლობაში აღვასრულე".

ურარტუს მეფე, სარდური II ებრძვის იგანიეხის მეფეს, 748-746 წლებში, ის ახსენებს თავის გამარჯვებას იგანიეხელ დიუცინიზე, ეთიუხის ქვეყნის მეფეზე („ნარკვევები", 385). მეორედ მას იგანიეხი 742-705 წწ. დაულაშქრავს. ქაფურინი დაუნგრევია, მეფე იგანიეხისა დაუმარცხებია.

ფრიგიის მუშქთა სამეფო, რომელიც ადრე მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში ბატონობდა, ასურელი სარგონის (720-207 წწ.) ლაშქრობამ დაასუსტა.

მოსინიკ – მაკრონ – ტაოხთა გაერთიანებას, ურარტული წყაროები ხალიბთა ქვეყანას, ანუ ხალიტუს უწოდებენ. მისი საზღვარი, სამხრეთით, არზრუმს სცილდებოდა, ხოლო ჩრდილო საზღვარი შავი ზღვა იყო. მისი ნაწილი, ძველად მითანის ხურიტულ გაერთიანებაში შედიოდა.

ასურეთის მეფემ, ტიგრათაპილასერ III (745-727 წწ.) სამხედრო რეფორმა ჩაატარა. წარჩინებულნი საომარ ეტლებზე შესვა, ნაკლებ შეძლებულთაგან კავალერია შექმნა, ხოლო რიგითი მეთემეებისგან – სახელმწიფო ხარჯზე, ფეხოსანთა რამდენიმე კორპუსი ჩამოაყალიბა.

ამიტომ ტიგრათპილასერის და მისი მომდევნო მეფის, სარგონ II-ის (722-705 წწ.) ლაშქრობები, განსაკუთრებული წარმატებებით გამოირჩეოდა, რასაც შეუშფოთებია ტაბალები, მაგრამ სარგონს დაუსწრია და 713 წ. ისინი დაუმარცხებია. მათი მეფე ამბარისგან ხარკად აუღია ლითონი და ძვირფასეულობა. სარგონმა დაამარცხა ურარტუ და წაართვა მას მუსასირი, რომელიც ჯიშიანი ცხენებით ამარაგებდა ტუშპას. 708 წელს დაამარცხა კუმუხის მეფე კუშტაშფილიც...

მანვე ჩაასახლა ჭანეთში სირიელი ვაჭრები.

630 წელს ქ. სინოპში, 600 მილეტელი მოახალშენე ჩასახლდა. მანამდე კი სინოპი და ამისი მთავარი პუნქტები იყო, საიდანაც ლითონი ევროპაში გაჰქონდათ.

კაპადოკიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კოლხეთის ვრცელი სახელმწიფო არსებობდა, რაც ხეთას დაცემისთანავე აღმოცენდა. მან დიდი როლი შეასრულა დიაუხის დასუსტებასა და დაცემაში, მაგრამ VIII ს. ბოლოს, თვით მას ურარტუს და კიმერიელთა თავდასხმები დაატყდა.

კიმერიელთა თრაკიული ტომი, მეოტიის (აზოვი) შემოვლით, სამხრეთისკენ დაიძრა და ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შეიჭრა. მას მოჰყვა დარუბანდიდან (ჩორი) სკვითთა ურდოების შემოღწევა და ურარტუს დარბევა... ამით კიმერიელებმა ისარგებლეს და ძველი მოკავშირე, ურარტუ დაამარცხეს, მაგრამ კავკასიის ხალხს, მაწვნის დაყენება ასწავლეს (ა. ჩხენკელი, 36).

748-742 წწ. ურარტუს მეფემ, სარდური მეორემ კოლხეთი დალაშქრა, მეფე კულხახალი დახარკა.

676 წ. ურარტუს მეფემ, რუსა მეორემ (გამეფდა 685 წ.) კავშირი შეკრა კიმერიელებთან და ფრიგია დაარბიეს. მისი ჯარი განადგურდა, მეფე მიდამ თავი მოიკლა. ტაბალები, მუშკები და კარდუები ერთმანეთს შეერივნენ და დაიწყო იბერთა ტომის ჩამოყალიბება, ქართული ენით.

590 წ. კარდუს და სკვითების გაერთიანებულმა ჯარმა, მიწასთან გაასწორა ურარტუს ქალაქები: ტუშპა, თეიშებაიანი, ერებუნი (გ. მელიქიშვილი).

ურარტუ დაეცა.

ამიტომ არის, რომ V ს. ავტორი, ჰეროდოტე, აღმოსავლეთის ყველაზე სახელგანთქმულ ხალხებს რომ ასახელებს, ჩამოთვლის: კოლხებს, სასპერებს, მიდიელებს და სპარსელებს, იმიტომ, რომ სომხებს არ ჰქონდათ მაშინ მნიშვნელოვანი სახელმწიფო წარმონაქმნი, ხოლო ეგრისის მეფეებს, ჰყავდათ ოლქის მმართველი ერისთავები, მოსჭრეს ჯერ ვერცხლის დრაქმა, შემდეგ – ოქროს სტატერი. შექმნეს ბრწყინვალე ოქრომჭედლობა, ააგეს ხიდები, ტაძრები და ეს ქვეყანა, სრულიადაც არ ყოფილა სეპარატისტი ფარნავაზის სამფლობელო...

ხური-მითანის სამეფო, „ინდური ტომების“ კი არა, ქართველთა უძველეს სამეფოდ მიგვაჩნია. „ხური“, ოხოროს, სახლს, საცხოვრისს ნიშნავს ზანურად.

ერთ წარწერაში, მენუა მეფე, ასახელებს „გულუთახს“, მისი სახელი ჰგავს გულუხონს და ძულუხს.

ურარტუს რამდენიმე ღვთაების სახელი ქართულია; ესენია: ხუტუიონი, ტურანი, ნაღაინი, ანაფშა, დუდუაინ, ართობეტინი, ელია, თალაფურა, აია, არდი, ბარცია...

„კუმუხის“ სახელი, ჰგავს ავარიის ყაზი-ყუმუხს...

ურარტუელებს, ქართველებისათვის წაუგლეჯიათ სამხრეთი ოლქები: სევანის ტბის ოლქი, არარატის ველი, არზრუმის და ყარსის ოლქები (გ. მელიქიშვილი, 129), უფრო ჩრდილოეთით, ურარტუმ ვერ წაიწია, რადგან ვფიქრობთ, კოლხებს, იმდროინდელი „ქართლის“ და „კახეთის“ სამხრეთი ოლქები, საგანგებოდ გაუმაგრებიათ.

ფრიგიის განადგურების შემდეგ, დასავლეთ მცირე აზიაში, ლიდია გაბატონდა, რომლის დედაქალაქი სარდი (სარდანთა მიხედვით) იყო, მთავარი მდინარე ერმი. მეფეებმა ალიატემ და კრეზომ მცირე აზიის ბევრი ოლქი დაიპყრეს, მოჭრეს პირველი ოქროს ფული მსოფლიოში, მერე ლიკია და კარია შეიერთეს.

ფრიგიის დაცემის შემდეგ ქართ-მესხები ჩრდილო-აღმოსავლეთით იხევენ. ქართლს და ზემო კახეთს იკავებენ, თანდათან ერევიან ზანებს და სვანებს. იქმნება იბერთა ტომი, ქართული ენით, რომელიც ზანურს გამოეყო. ეს ხდება ძვ. წ-ით I ათასწლეულის შუა ხანებში.

„იბერი“, ზანურად მომღერალი, სიმღერის მოყვარულია, რასაც ქსენეფონტეც ადასტურებს... (კრწანისთან ომში, მაჩაბელი, სიმღერით დაიღუპა).

... ასე განადგურდა დიაუხის, ფრიგიის და ტაბალთა სამეფოები.

დიაუხის მეფეები ყოფილან: **სიენი, ასია და უტტუფურსი;**

ფრიგიისა – **გორდიონი და მიდა;**

კოლხეთის მეფე **კულხახალი, ტაბალთა ამბარი.**

არალეს კულტი და საგალობელი „ოროველა“, ურარტულიდან შესულა ქართულში. ტერმინი „არციბი (არწივი) „ყირა“, რაც მიწას ნიშნავს (აქედან: „ყირა მალა“, „თავდა ყირა“).

მეფეთა სახელები: არგიშტი, რუსა, სარდური, სარდან-ქართველური ტომებიდან უნდა შესულიყო ურარტუში, ისე როგორც მენუა-მენესი.

უნდა აღინიშნოს, რომ, ურარტუს საბოლოო დამხობის შემდეგ, ეს ტერიტორიები, ინდოევროპელმა არმენ-ჰაიკებმა დაიჭირეს. თავიდან,

ისინი ფრიგიის (მუშქები) პოლიტიკურ სივრცეში მოხვდნენ, 590 წ. აქეთ პერიოდში, ურარტუს კულტურას დაეუფლნენ და დაისაკუთრეს.

ამრიგად არმენებმა, სოხმის ტომის ტერიტორია დაიკავეს, ცივილიზაციის ისტორიის ერთ „სახელოვან" გამოცემაში კი წერია: „ურარტუს სომხური სახელმწიფო დაეცაო"!!!

ახლა ჯავახეთზე აცხადებენ პრეტენზიას, ის კი არ მოეხსენებათ, მათ დამკვიდრებამდე, 600 წლით ადრე, ამ ქვეყანას „ზაბახა ერქვა და ჯერ დიაოხის, შემდეგ კოლხას შემადგენლობაში შედიოდა. მეორე საუკუნის 20-იანი წლების ისტორიკოსის, ფლავიეს არიანეს ცნობით, მახელონების და სვანების (ჰენიოხების. ა. ფ.) მეფე ანხიალია.

ლაზების მეფე მალასაა, ზანების (სანების) სპადაგა, აბაზთა რესმაგა და აფშილთა ივლიანე („გეორგიკა", ფ. არიანე, 2.14).

მეხუთე საუკუნეში, კოლხეთის სამეფოს, სპარსთა იმპერიის ხარკი ნებაყოფლობით უკისრია და ყოველ ხუთ წელში, ერთხელ, ას გოგოს და ას ვაჟს უგზავნიდა. ეს, ალბათ იმან განაპირობა, რომ მაშინდელი კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს, მერმინდელი ქართლს და ზემო კახეთს, უშუალოდ ემეზობლებოდა ჰერეთი, რომელიც პროფ. რ. გვეტაძის აზრით, აქემენიდთა დინასტიის სამშობლო იყო („ასავალ-დასავალი", 2018 წ. 21. VIII). იქ დაბადებულან: **კიროს დიდი, კამბიზ შაჰი, დარიოს დიდი, და ქსერქსე.** დასახელებულ მეცნიერს მიაჩნია, რომ ამას ადასტურებს, როგორც ბრიტანეთის მუზეუმში დაცული კიროს დიდის საბეჭდავი, ისე თვით მეფეთა სახელები. მტკვრის სახელი „კიროს", თვით შაჰინშაჰს ერქვა. მის მემკვიდრეს კამბიზს, იორის სახელი ერქვა, ხოლო ალაზანს (ზანეთის გარე მდინარე) მაშინ ანშანად, ე. ი. სვანეთის წყლად მოიხსენებდნენ.

სპარსეთი IV ს-ში დასუსტდა და კოლხეთმაც თავი დაიხსნა.

მეხუთე საუკუნის ბოლოს, არტაქსერქსე მეორეს განუდგა ძმა, ფრიგია-კაპადოკია – ლიდიის სატრაპი, კიროსი. მან დაიქირავა ბერძენთა ჯარი, ქსენოფონტეს და ხირისოფის სტრატეგოსობით.

კუნაქსთან ჯარები საომრად განლაგდნენ, მაგრამ მოულოდნელად, კიროს შაჰზადა, ცხენიდან მკვდარი გადმოვარდა.

ბრძოლამ აზრი დაკარგა. კიროსის ჯარი გაიფანტა. ბერძენთა კორპუსი, სირიიდან სინოპისკენ გაემართა, რათა ზღვით, ეგეიდისთვის მი-

ელწია. მათ გაიარეს: დრილების, ტაოხების, მარების, კარდუხების და შკვითინების მიწა-წყალი.

ქსენოფონტეს ცნობებით, ისინი, საკმაოდ დაბეჩავებულნი ცხოვრობდნენ გამაგრებულ სოფლებში. მოძალადეებს მამაცურად ერკინებოდნენ, მაგრამ ცუდი ხარისხის იარაღ-საჭურველი ჰქონდათ. ერთმა მეომარმა (ალბათ ჭანმა), სტრატეგს უთხრა: მე მათი ენა მესმის"-ო.

ერთმა შეძლებულმა ტაოხმა, მის ტანსაცმელზე დახარბებული მოძალადე ბერძენი, უფსკრულში გადაიყოლა...

თუ ჭანი, ან კარდუხი მტერს მოჰკლავდა, სიხარულით მღეროდა და ცეკვავდა. სხვებზე უკეთ ცხოვრობდნენ, საკმაო საკვები ჰქონდათ ღვინოს კი თიხის ორმოებში (ჭურებში ა. ფ.) ინახავდნენ... ამის შემდეგ, ბერძნები შეებნენ: ხალიბებს, ტაოხებს და ფასიანებს (ჭოროხის სათავის ჭანებს).

ქსენოფორტეს აზრით, „ხალიბთა ტომი, ყველაზე მამაცია იმ ტომთა შორის, რომლის ტერიტორიაზედაც გავიარეთ"-ო.

თარჯიმნის მეშვეობით, სტრატეგოსმა, მაკრონთა თავკაცები დაარწმუნა: „გაგვატარეთ, არაფერს გერჩითო". ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მათი ერთი რაზმი, კერასუნტთან გააქციეს. მეომარი დრილების ქვეყანა კი გააპარტახეს...

ქსენოფორტე წერს, რომ კარდუხები (ქორთუები) და ხალდ-ხალიბები, შაჰინშაჰს არ ემორჩილებიანო (Kc. ctr. 113, 119-120, 141).

ესაა ძვ. წელთაღრიცხვით 401 წელი.

ზანურ-ქართველურ ტომებს, არც სახელმწიფო აქვთ, არც ერთიანი თავდაცვის სისტემა. ტომები, განცალკევებულად იბრძვიან.

კოლხთა მეფემ კი ვერ მოასწრო, ან არ ისურვა თანამოძმეებისადმი მიშველება. ალბათ იმიტომ, რომ ჭანები, მის ძალაუფლებას არ სცნობდნენ.

მათთან ბრძოლაში, ბერძნებს 1400 მეომარი დაეღუპათ...

უფრო ადრე, შაჰმა ქსერქსემ, ბერძნებზე რომ ილაშქრა (ძვ. წ-ით 480წ.), მის ჯარში, ქირით მსახურობდნენ: კოლხები, მარები, მოსხები და ტიბარენები.

ჰეროდოტეს ცნობით, სპარსელების სასარგებლოდ, სასპერებს და მატიანებს 200 ტალანტი, დაახლოებით 5500 კგ. ვერცხლი ჰქონდათ შეწერილი;

მესხებს, ტიბარენებს და მაკრონ-მოსინიკებს (ჭანებს. ა. ფ.) 300 ტალანტი, რაც დაახლოებით 8 ტონას შეადგენდა (ჰეროდოტე, II, 227).

ლიდია – კაპადოკიას, მითრიდატე განაგებდა.

კილიკიის სატრაპს, სიენე ერქვა (დიაოხის ცნობილ მეფესაც. ა. ფ.).

ჭოროხისპირა ლაზებს (ფასიანებს და სასპერებს) ტირიბანი მეთაურობდა.

ქსენოფონტე, ფასისიდან (იგულისხმება ჭოროხი ა. ფ.), 150 სტადიონს მიუთითებს „ბარბაროსულ ქალაქამდე, საიდანაც იყო მედეა".

თვით კოლხეთში, ძვ. წ-ით VI საუკუნეში, მილეტელებს ფასისი, დიოსკურია და გიენოსი, ხოლო სინოპელებს ფიჭვნარი დაუარსებიათ, რამაც გააცხოველა კულტურულ-ეკონომიკური ვითარება ბერძნებთან.

კოლხეთ-ეგრისის წარჩინებული წოდება, ეტყობა, განათლებას ბერძნულ ენაზე ეუფლებოდა, რასაც ასაბუთებს ელინისტური ხანის ვანის ნაქალაქარში ნაპოვნი ბერძნული სარიტუალო ტექსტი და წარწერები სხვადასხვა ნივთზე. ამასვე ადასტურებს მოგვიანო ხანის ფასისის რიტორიკული სკოლა.

ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთსა და ფასისის სიახლოვეს, ცხოვრობდნენ ჰენიოხები (იგივე სვანები ა.ფ.). ბერძნული მითოლოგიით, მათთვის ცხენოსნობა ძმებს, დიოსკურებს, პოლიდევკეს და კასტორს უსწავლებიათ. სწორედ მათ ქვეყნებში დაარსდა დიოსკურია (ცხუმი).

სტრაბონის და ფლავიუს არიანეს დაკვირვებით, ფასისის და ჰიპისის შესართავთან არის სამისნო ქალაქი. ის ჯერ ფარნაკემ, შემდეგ მითრიდატე პერგამონელმა გაძარცვა. ამაში, ცხადია ვანი იგულისხმება, მაგრამ უფრო საინტერესოა ის, რომ საბუთდება ცხენისწყლის და რიონის ადრინდელი შესართავი. ამ ხერთვისის ახლო უნდა ყოფილიყო დიდი სავაჭრო ქალაქი. იქ 60 ენაზე მოლაპარაკე ხალხი იკრიბებაო.

მაინც სად უნდა ყოფილიყო კოლხეთის დედაქალაქი?

ძვ. წ. IV ს-ში, სკილაქს კარიანდელი წერდა, რომ ქ. ფასისიდან 30 კმ-ზეა ის ქალაქიო.

მაშინ ფასისი, ახლანდელი ფოთის აღმოსავლეთით, 15 კილომეტრზე მაინც უნდა ყოფილიყო, იქედან აიამდე 30-40 კმ. იქნებოდა. ჩვენი დაკვირვებით, ის, ჯიხაიშ-იანეთის ჩრდილო აღმ. სექტორშია საძიებელი,

რადგან ფოლკლორი და XX ს. დასაწყისის პრესა ნაქალაქარ „ანარია“-ს აფიქსირებს.

მეორე, ჭაობში ჩაძირული „ანარია“, ნაქალაქარ მუხურის მეორე მხარეს, გუბისწყლის მარცხნივ, მაღლაკის დასავლეთით, ეკალ-ღიჭიან ჯაგნარში ფიქსირდება.

სამწუხაროდ ამისათვის ჯერ ყურადღება არავის მიუქცევია. არც ის მოეხსენებათ, რომ 3000 წლის წინ, ცხენისწყალი, რიონს, ორპირთან კი არა, სანავარდოსთან ერთვოდა, ხოლო გუბისწყალი, ცხენისწყალის შენაკადი იყო და არა რიონის.

აკაკი ურუშაძე აღნიშნავს, რომ მაკრონები, პელაზგურ ხანაში, მაკროსზე ანუ ევბეაზე ცხოვრობდნენ, საიდანაც მოდის მათი სახელი მაკრელები ანუ მეგრელები, სანები და ჭანებიო (ც. გიგაური, 178).

მისი და სხვისი გასაგონად ვიმეორებ, რომ „მ-ეგრელი“, სადაურობის აღსანიშნავი ტერმინია და ის, „ეგრისელს“ ნიშნავს, სატომო სახელი კი ზანი და სანია.

ჩვენი აზრით, ტერმინი „მაკროსი“ მიკრულს, ატიკის სიახლოვეს მდებარეს, მიტმასნილს ნიშნავს.

ვერც იმაში დავეთანხმებით აკაკი ურუშაძეს, ვანისა და ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრები, თითქოს ქუთაისის „ძველისძველობას ასაბუთებდეს“. სად ვანი და სად ქუთაისი!

მკვლევარს მიაჩნია, რომ ევრიპიდეს „კოლხთა ქალაქში“, მაინცდამაინც ქუთაისი იგულისხმება. არც მანძილის სხვაობა აოცებს... მეტიც, ფსევდო სკილაქსიც ქუთაისს გულისხმობსო გვარწმუნებს.

ნოქალაქევ-არქეოპოლისი I-VIII ს. ქალაქია და არაფერი აქვს საერთო ქუთაისთან, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი, პირველის სამართალმემკვიდრეა 758 წლიდან.

ვანი, ძვ. წ-ით VI-I საუკუნეების საკულტო ქალაქი გახლდათ.

ქუთაისი IV-VII საუკუნეებში, ეგრისის ციხესიმაგრეთა ქსელშია. ამიტომ დიდი ომების დროს (542-562 წწ.) ხშირად ახსენებენ პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, გელასი და ევსევი კესარიელები.

ძველი თაობის მწერლები: ჰომეროსი, ევმელიოს კორინთელი, ნანო, აკუსილაე არგოსელი (575-525 წწ.) ესქილე, ევროპიდე, კორინთიაკა, პინდარე, ჰეროდოტე და ქსენოფონტე ქუთაისს არც ახსენებენ, რადგან

ის ქალაქად იქცა მას შემდეგ, რაც ლეონ მეფემ სატახტოდ გამოაცხადა (758 წ.).

მეტიც, იუსტინიანე კეისრის (527-565 წწ.) „ანალებში“ აღნიშნულია: შესანიშნავი ქალაქებია აქ როდოპოლისი და მუხურისი, სხვები უფრო ციხე-სიმაგრეებშია ჩასათვლელიო“ („გეორგიკა“ II, 1965. 105 წ.).

ე. ი. მაშინ ქუთაისი ციხესიმაგრეებში იყო მითვლილი და არა ქალაქებში.

თ. ჟორდანიამ, სახელი „ქუთაისი“, მამაკაცის საკუთარ სახელს დაუკავშირა.

ნიკო მარი და სარგის კაკაბაძე, სახელ ქუთათისს, „ქოათას“, ანუ მეგრულად ქვას უკავშირებდნენ.

ტერმინი „ქუთათისი“ შედარებით ახალია. ის ქართიზაციის პროდუქტია, როცა ეგრისში, ზოგი პუნქტი ქართული სახელით მოინათლა და ეს VII-VIII საუკუნეთა ამბავია.

მოყოლებული აპოლონიოს როდოსელიდან, მას ყველა წყაროში „კუტაია“ ან „კოტაისი“ ჰქვია. თავდაპირველი ფორმა კუტაია-ა. თუ არ გვჯერათ გადაფურცლეთ ბერძნულ-რომაული ლიტერატურა.

„კუტა-კუტალა“ სანური, მეგრული ტერმინია და პატარას ნიშნავს.

ეგრისში, პატარა ბავშვს „კუტას“ ეძახიან, პატარა დოქს „კუტალას“. („იოანე გაცვეთილმან კუტალაით ღუინო მომართვა“, ვ. ბერიძე „მოგონებები“, 81). გვაქვს გვარი კუტალაძე, რაც ქართულად პატარიძეა.

ამრიგად, ის ქრისტიანობამდელ ხანაში, ცნობილი იყო, როგორც პატარა ციხესიმაგრე, ან ქალაქი, ხოლო აპ. როდოსელს არ მოეხსენებოდა აიას ზუსტი მდებარეობა.

„კუტაიას“ კოლხეთის დედაქალაქობას უარყოფს პროფ. თ. მიქელაძეც.

თუ ვინმე ძვ. წ-ით II ათასწლეულის მეორე ნახევრის რამდენიმე ქუთაისურ ძეგლს მაჩვენებს, საქვეყნოდ მოვიხდი ბოდიშს.

არ შეიძლება კაბინეტის მუშაკმა მიაგნოს კოლხურ აიას.

თავი მესამე

3000 წლის წინანდელი კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული რუქა

იმ უძველეს ხანაში, რაზედაც გვაქვს საუბარი, ქართლი, მთიულეთი, ზედა კახეთი და სამხრეთ საქართველოს ოლქები, ზანებით ყოფილა დასახლებული. ქართლის ნაწილი და კავკასიის ქედის გარდიგარდმო ხეობები, კავკონ-სვანებს სჭერიათ. აკი „მარუხი“ სვანთა საცხოვრისია.

ურარტუსა და კიმერიელთა მიერ, 676 წ. დიდი ფრიელიის განადგურების შემდეგ, როგორც მიიჩნევენ, ტაბალების, ქარდუების და მუშქების შერევის პროცესი დაიწყო და თანდათან ჩამოყალიბდა იბერიელთა ტომი, ქართული ენით. ძვ. წ-ით III ს-ში, იბერთა ტომი, ქმნის საკუთარ სახელმწიფოს. ფარნავაზი, ამ შემთხვევაში, გამოეყო ეგრისის სახელმწიფოს. ამ ტომს, ქართლის, კახეთის და მთიულეთის ტოპონიმია მზამზარეული დახვდა, ზოგი თვითონ დაამკვიდრა, ხოლო დამხვდურთა ნაწილი, გააქართულენოვნა.

ამრიგად, ძვ. წ-ით I ათასწლეულის შუახანებიდან, იქმნება ქართული ენა.

ქართლოცენტრისტები არაფრით იჯერებენ, რომ ქართლ-მესხების შემოღწევამდე, აქ ზანები და სვანები მკვიდრობდნენ. მეტიც, ქართლის უძველეს ტოპონიმიას, ბაცბურ-ვაინახურ-ოსურით „ხსნიან“ და ამით, მეზობლებს საბუთებს აძლევენ, ტერიტორიული პრეტენზიების წამოსაყენებლად, ხოლო ეს მე, სირეგვნედ მიმაჩნია.

მახსენდება, დასავლეთ საქართველოს XVII ს. მთავართა საქციელი, საკუთარი მეფის მორჩილებას, ფადიშაჰის მოხარკეობა რომ არჩიეს.

ასევეა ქართველი ენათმეცნიერთა ნაწილიც. ოღონდ, აღმ. საქართველოში ზანურ-სვანური დომინანტი მიჩქმალონ და მზად არიან, შიგა ქართლის ტოპონიმია თურქულით ან ოსურით ახსნან. არად დაგიდევენ იმას, რომ ეს ქვეყნისთვის საზიანოა და მეცნიერულად სიმცდარე.

ქვევით ვნახავთ, აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმია, რომელი ენით იხსნება.

ჩემი ნაშრომი, იმის უდავო დასაბუთებაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქართულ-მესხური ტომების შემოღწევამდე, ზანები და სვანები ცხოვრობდნენ. მათ დაამკვიდრეს ტოპონიმია და ჰიდრონიმ-ორონიმები.

ჩემი სამივე, წინათგამოცემული წიგნი, იმის უდავო დადასტურებაა, რომ დღევანდელი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის მოსახლეობა, სწორედ გვარშეცვლილი და „ვინაობამივიწყებული" ზანებია, რასაც ქვევით დავინახავთ.

ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ 4700 წლის წინათ, კოლხურ, ბანანურ ენას, ბასკური გამოყოფია.

3800 წლის წინათ – სვანური;

2500 წლის წინათ – ქართული, რაც ჩვენი შეხედულებების მტკიცებულებაა. ე. ი. კოლხთა ძლიერების ხანაში, იყო პროტოქართული (პელაზგურ-ზანური).

გურიის ტოპონიმია

გურია, ისტორიული ეგრისის სამეფოს ოლქი იყო. იქ უძველესი დროიდან ცხოვრობდა ადამიანი.

1938 წ. ურეკის ცნობილი განძი სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. ის ეკუთვნის ძვ. წ-ით მეორე ათასწლეულის პირველ პერიოდს. გრიგოლეთში („კუჩხის აბანო"), ოზურგეთში, შრომასა და კინტრიშში ნაპოვნი იქნა კოლხური კულტურის ძეგლები, მონეტათა განძი კი სოფ. ჩიბათში.

ყველა ძეგლიდან ჩანს, რომ გურია, ისტორიული ეგრისის მნიშვნელოვანი ოლქი იყო.

ავტოხთონური მოსახლეობის დიალექტის ნაცვლად, ქართული ენის დამკვიდრების უამრავი ფაქტის გამომზეურების საშუალებას ტოპონიმიაზე დაკვირვება იძლევა, რადგან მისი უმრავლესობა სწორედ ქართულია, ნაწარმოები მეგრული ენით.

მის სამ რაიონში გაედინება მდინარეები: გუბაზოული, ბახვისწყალი, კვინისწყალი, ნატანები, ბჟუჟა, სუფსა, ხენისწყალი.

ნაბეღლავი და ბახმარო ცნობილი კურორტებია.

გურიის ტერიტორიის ქართიზაციის პროცესი, მეექვსე საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მხარის მოსახლეობამ მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე შემოინახა თავისებური, ჭანური ეროვნული ტანსაცმელი, ეთნოგრაფია, ხოლო ლექსიკაში დღემდე იხმარება მეგრულ-ჭანური სიტყვები: აბდალი, დუნია, ნენა, მილეთი, ხვითქი, კურცხალი, ფარა, ფირალი, ოკაწონა, ძამა, ჯო, ჭო, ციცა, ოკვიდიშა (ჩიტსაჭერი ბადე), ლაშე – (მლაშე), ჩოლერა (წინა ორ კბილნაკლული), ბჟღალა – ღია ნაცრისფერი, კალანდა – ახალი წელი, ბაბა – მამა და სხვა.

აკად. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში, რიონის სამხრეთი მხარე, დაუსახლებელი და გავერანებული იყო. ამის შემდეგ მოხდა იქ მოსახლეობის მომრავლება. ქართიზაციის პროცესი, ადგილობრივი ენის შეცვლით დამთავრდა, დაიწყო ქართულენოვანი ტოპონიმიის დამკვიდრება.

დარჩა ძველი ტოპონიმია, რაც ავტოხთონური მოსახლეობის დამკვიდრებულია.

პროფ. პ. ინგოროყვა და ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევენ, რომ ტერმინი „გურია“ წარმოიშვა იმის გამო, რომ ეს ოლქი ჭანეთსა და ეგრისს შორის მდებარეობდა, შეიძლება გურის ტომს უკავშირდებოდესო.

თ. სახოკიამ, ტოპონიმი გურია მეგრულ „გურ“ სიტყვას დაუკავშირა, მაგრამ ლეგენდარული ახსნა მოუძებნა.

ვერ გახსნა ეს საკითხი პროფ. გ. ბედოშვილმა (გვ. 121).

ვფიქრობთ, ცდებოდა პავლე ინგოროყვა, როდესაც გურიის ძირძველი მოსახლეობა მესხ-ქართებად, ხოლო გურო – გური – გერი სატომო სახელად მიაჩნდა. ერთ ადგილზე წერს, გვაქვს სატომო სახელი გურია, აქედან გეოგრაფიული სახელი გურია (პ. ინგოროყვა, 1957, 183-139).

გურიის ტომს არ ასახელებს არც ბერძნულ-რომაული, არც სომხური და აღმოსავლური, მითუმეტეს არც ქართული წყაროები, იმის გამო, რომ ასეთი არ არსებულა.

ჩვენ დავძენთ, რომ გურია, ისტორიული ეგრისის შუა გული, ცენტრი, (მეგრ. გური ა. ფ.) იყო, ვიდრე ჭანეთს ოსმალეთი მიიტაცებდა. ამიტომ ჰქვია მას გურია, ამრიგად თ. სახოკია სწორია.

მემატიანე ჯუანშერი (ვ. გოილაძის აზრით V ს. ავტორი) მერვე საუკუნის ამბებთან დაკავშირებით რამდენჯერმე ასახელებს ტერმინ გურიას. არაბებთან ომში დაღუპულმა ერისმთავარმა მირმა, ანდერძად დაუბარა ძმას არჩილს: „საუხუცესოდ რომელი მქონდა, მომიცემია შენდა, ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგვეთი და გურია“ (ქ. ცხ.. I, 241).

„მატიანე ქართლისაის“ ანონიმმა ავტორმა, იცის, რომ არსებობს მხარე გურია და მას ახსენებს ბაგრატ მეოთხის ანაკოფიის ციხესთან ბრძოლისას. მეფემ გურიის ლაშქარი ხუფათისკენ წაიყვანაო.

1929 წ. შედგენილ ქუთაისის მაზრის ადმინისტაციულ რუქაზე დატანილია უძველესი და მეექვსე საუკუნის შემდეგდროინდელი ორონიმები და ჰიდრონიმები: მთა საცხვარო, გოგოლეისუბანი, ამაღლება, ბურუნათი, ქვემოხეთი, ზემოხეთი, აბუთკარი, ჯალაგონი, გურის ტყე, დვანი, ყვითელაური, კოკოცე – საბალახე სერი, მოთრე, ზემო სურები, პეტხალის წვერი, ტაბახჩა, შაშვა წვერი, ხენის წყალი, სანისლია, სახარა, შუაგორა, ბარამიძეების წყალი, თეთრი ღელე, ჯვარწვერი, სანისლია, სახარა, შუაგორა, საძროხი წყალი, ლაბოროთის მთა.

გამოჩენილმა ენათმეცნიერმა, ნიკო მარმა, იმერული კილო და ჭანური ენა რომ შეისწავლა, გაუჩნდა აზრი, რომ გვიანდელი აჭარის, გურიის და იმერეთის მოსახლეობა გაქართულებული ჭანურ-ლაზურ-მეგრულია. ამის შემდეგ აზრი ასე ჩამოაყალიბდა: „Имери и Гуриици по язику огрузиневшейся Народи группи, нине лази и мегрели“ (ი. მეგრელიძე – ექვთიმე თაყაიშვილი“, 1989, 203).

პროფესორი რ. თოფჩიშვილი წერს: „საჭიროა გამოვლინდეს გურიაში ზანიზმები“.

ეს მე, 2011 წ. გავაკეთე (იხ. გვ. 88-122) დაე სხვამ მეტი გააკეთოს. ახლა გთავაზობთ გურიის უმთავრეს, ზანურ ტოპონიმებს:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

აღვრიცხეთ: ლანჩხუთი, აკეთი, გაგური, ჭანჭათი, აცანა, კონჭკათი, შათირი, მაჩხვარეთი, ორაგვე, ჯუნმერე, ლესა, ჭინათი, ჩანჩეთი, ხაჯალია, ჩოლაბაური, ჭყონაგორა, ჯაპანა, ჯიხეთი, მალთაყვა, ტაბანათი, ჩქუნი, ომფარეთი, ორმეთი, შუხუთი, ჩიბათი, ჩოჩხათი, კოკათი, ხორეთი, ჯურუყვეთი, სუფსა, გრიგოლეთი.

მოსახლეობის უმრავლესობა ზანურ-ჭანურია.

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ოზურგეთი, ლაითური, ურეკი, ასკანა, ეწერი, ბაილეთი, ჭანიეთური, ბახვი, ბოხვაური, გურიანთა, დვაბზუ, ფამფალეთი, კონჭკათი, ლიხაური, აჭი, კვაჭალათი, სილაური, გომი, კვირიკეთი, ორმეთი, ხრიალეთი,

ცხემლის ხიდი, მაკვანეთი, ბუუჟი, მელექედური, მერია, ჭახვათა, ხვარბეთი, ვანისქედი, მაღალი ეწერი, ჟანაურა, ბაღდათი, უჩხუბი, ძიმითი, ჭანიეთი, ქაქუთი, ბოგილი, ჯუმათი, ძირი ჯუმათი, ოცხანა, თავკობული, ქორბუდე, კახური.

მოსახლეობა აქაც მეგრულ-ჭანურია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

ჩოხატაური (ძველი ბირკნალა), ბუკისციხე (აქედან იყო დიდი მოღვაწის, ივანე შარაშიძის მამა სიმონი). დიდი ვანი, გურის ტყე, გაღმა დობირო, გამოღმა დობირო, ზემო ერკეთი, ონჭიკეთი, შუბანი, თავსურები, ტობახჩა, ჩიკიტაური, ზემოხეთი, ზომლეთი. ვანი, ზოტი, კოხნარი, ქვაბლა, ჩხაკოურა, ბუკნარი, სურები, ბჟოლიეთი, ბუქსიეთი, მეწიეთი, ჭაჭიეთი, გუთური.

აქაც მოსახლეობის 3/4 ზანურ-ჭანურია.

წარმოშობით ზანი პროფესორები, „თვისტომის დამწუნებელნი", ამას უარყოფენ და გასაოცარ უვიცობას ამჟღავნებენ...

ქართლის ტოპონიმია

ა) მცხეთის რაიონი

„ქართი" ერქვა უძველეს ციხეს, რომელიც მცხეთაში მდებარეობდა. ამიტომ კოლხები, მცხეთას ქართს ეძახდნენ და როცა დედაქალაქი თბილისში გადავიდა (V ს.) მეგრელთა ხსოვნაში, დედაქალაქი ისევ „ქართ-ად" მოინათლა. მეგრელები, თბილისს ქართს ეძახიან. „ქართუ" – ქართუს ტომიდან მოდის (გ. მელიქიშვილი), მაგრამ ქართულით არ იხსნება?!

რა არის „ქართი"? ის ზანურად ცხოველთა შესარეკი ქართაა და სხვა არაფერი. ეს ტერმინი, შემდეგ მთელს ქვეყანაზე გავრცელდა ქართლის სახელით.

მკვლევარ ნ. ფოფხაძეს კი მიაჩნია, რომ ტერმინი „ქართი" „ქიანაართის" შერწყმით წარმოიშვა. სიტყვები მეგრულია და პირველი „ქვეყანას", მეორე „ერთიანს", ერთიან ქვეყანას ნიშნავსო (კრებული „სერგი მაკალათია, 2013, 83).

ასეთ განმარტებას კატეგორიულად ვემიჯნებით.

„მცხეთა“, მესხთა დასახლებაა. აკი მათ სახელს უკავშირდება ტერმინი „სამცხე“ (გ. მელიქიშვილი 139).

ამასთან, სოფ. მცხეთა ლეჩხუმშიცაა და ის, მესხთა ტომს უკავშირდება.

„კოტორაანთკარი“ – კოტორაშვილთა სოფელია, კოტორა, სანურად, რისიმე ნატეხი, ნაწილია.

„ბურიანი“ – ბურულიანი ან ბურუსიანია. სანურად ისლიანი ან ჭაობიანი;

„ჭილაანთკარი“ – ჭილაძეთა, ჭილაიათა ოდინდელი სამკვიდრო;

„ნაოზა“ – ნანიგვზარია (სანურ-ზანურად);

„პატარა ქანდა“ – ძველი ქანდა (ქანთარია, ქანდარაშვილი გვარებია); ერთი ქანდა აზერბაიჯანშია;

„სასხორი“ – სამოსახლო და სამკვიდროა ზანურად;

„ერედა“ – ზანურია და მრავალრიცხოვან სოფელს ნიშნავს;

„ვეძისი“ – უნიგვზოა ზანურად;

„ლეჩხუმი“ – სვანურ-ზანურად სათევზაო ადგილია (ახლა „თიბისი“ ჰქვია);

„თეზამი“ – თელიან-ნიგვზიანია ზანურად;

„გენეფირი“ – ზანურად სახბორეა;

„ტაბარუკის“ ფუძე „ტაბა“ ტბაა, „რუკის“ ეტომოლოგია საკვლევია;

„წიწამური, ჭიჭემურის ანუ პატარა მურის, შავის ფორმაა (ახსენებენ სტრაბონი და აპიანე). ცაგერშიც არის შავი ციხე, „მური“.

„ნეძველი“ – ნიგოზნარია, აქედან გადასულან ეგრისში მეძველიები VIII ს-ში;

თხოთის მთას ასახელებს „მოქცევაი ქართლისაი“. თხოთი, სანურად თხრილებიანი, ფლატოიანი, ჩამოქცეულ-დამეწყრილი ადგილია.

„ოთხირუას ასახელებს მამია ზევდგინიძის 1475 წ. „შენირულების წიგნი“. ის მეგრულად ჩაქცეულია (ისტ. საბუთები: 1913 წ. 3. 10). შესაძლოა სათხილიას ან თხილნარს ნიშნავდეს.

„ზანავი“ ერქვა მცხეთის ერთ უბანს, რაც ზანთა არე, სადგომია.

„ქსანი“ მდინარეა და სოფელი, ბალკანეთშიცაა და ტროაშიც იყო.

მცხეთასთან იყო ერთგვარიანი სოფლები: კოტორაანთკარი, ჭილაანთ კარი, ნავდარაანთარი, აღდგომელაანთკარი.

ბ) კასპის რაიონი

„ქართლის ცხოვრებაში“, კასპი ნახსენებია V ს. ამბებთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს კასპიების ოდინდელ მოსახლეობაზე...

„ცხავერი“, რცხილნარს ნიშნავს. მისი მსგავსია ცხირეთი, ცხუმი, ცხუნკური, ცხუმარი, ცხუკუშერი.

„ნოსტეს“ – გ. ბედოშვილი რატომღაც ოსურ და არა ზანურ „ნოსა-მოჭყუდუს“ (რძალი) უკავშირებს, რაც გაუგებრობაა. „ნო“ პრეფიქსი, მეგრულში ნამყოფობას აღნიშნავს. რჩება „სტე“, რაც ჩვენი აზრით სტურუათა გვარის ფუძეა და „ნოსტე“ – ნასტურუალს ნიშნავს. აკი ხაშურში გვაქვს ნაბახტევი, იმერეთში ნახახულევი, სამეგრელოში: ნოღარიბე, ნაესაკაო, ნამიკოლაო, ნახარებოუ.

„ბოჟამი“ – ზანურ ბჟა – მზეს უკავშირდება;

„ეზატი“ – საზანოს მსგავსი ტერმინია (შეადარეთ გეზათი);

„ზემოჩოჩეთი“, „ქვემოჩოჩეთი“ – ზანურად საყანეა. (ჩორჩანა ადიგენშია);

„გუდალეთი“ – მსხვილქვიანი ადგილი;

„ზემორენე“ და „ქვემორენე“ – ზევით და ქვევით მდებარეა (ზანური);

„ოკამი“ – საკამია თუ არა, კამლაძეთა სადგომია. „ო“ პრეფიქსი, ქართულში „სა“-ს შეესაბამება.

„თეზი“ – თუზის მსგავსია, საგოჭიაა (ქუთაისში გვაქვს გოჭოროული);

„საკორინთლო“ – კორინთელთა დასახლებაა, „კორუა“ ზანურად სამკვიდროა;

„ლეხურა“ – გვერდისძირის მდინარეა (ს. კაკაბაძე) სვანურად კი სახურმია და ხუმბრალაა. სვანეთში გვაქვს ლახუმელა, ხონთან ლეხი, ლეხუმი.

„გოსტიბე“ – გურის ტიბეს, ანუ ტბორის აღსანიშნავია. იმერეთში გვაქვს გეიშტიბი და გვაშტიბი.

„ლამისყანა“ – ჭენჭყოიანი ადგილია (რამდენიმეა ბალკანეთში);

„წიფორი“ – ზანურად წიფლნარია;

„გომი“ – ცხოველთა სადგომია (რამდენიმეა საქართველოში);

„კაპრაშიანი“ – მცენარე ჯონჯოლს უკავშირდება, რაც მეგრულად კაპრაშია;

„ჩაჩუბეთი“ – ჩაჩუათა „თი“, საცხოვრისია.

„წინარეხი“ – წინ მდებარე ქვიანი ადგილია ზანურად;

„იდლეთი“ კი იდაძეთა „თი“, სამკვიდრო (შეადარეთ კონტუათი);

ხოვლე – ზანურად სალოცავია. ის ჯერ ბაღვაშთა, შემდეგ ჯავახიშვილთა სამფლობელოს შეადგენდა.

ნიგოეთი – ვგონებ ნიგოზეთის აღსანიშნავია (გურიაში გვაქვს იგოეთი). დუისი, ხანდაკი, ჭყოპიანი, ხვითი, მეტეხი, თეძმისხევი ზანური ტერმინებია. აქ იყო ერთი და იგივე გვარის სოფლები: თოგოანთკარი, ჩაჩუბეთი, იდლეთი და სხვა.

გ) გორის რაიონი

(ერთი გორი რაჭაშია, გორა ბაღდათში)

„ავკვეთი“ – აქეთა, ახლო და მომრგვალოა;

„ატენი“ – არტენი ზანურად, მაღალ სართულებიანი, ტერასებიანია (შეადარეთ ათენი);

„ახალი ხიზა“, მდინარეზე გადაჭიმული თოკია, ტვირთის გადასაზიდი;

„აძვი“ – პატარა გუბურაა;

„არბო“ – ერთი წინწყაროს რაიონშია;

„ახრისი“ – არცევი, ტუსრები, სობისი, ოქიანი, ფხვენისი ზანური ტერმინებია;

„ბიისი“ – ბიას (კომშს) უკავშირდება;

„ბობნევი“ – დანარბევი, დაბუბნული. შესაძლოა მც. ბობჩას დავუკავშიროთ...

„ბოშური“ – ზანურად დაბლობია. არის ზედა და ქვედა ბოშური. შეადარეთ იმერეთის ბაში და ტერმინი „ბაშტანა“;

დიდი და პატარა „ჭვარები“ – დიდი და პატარა ნაწვავია;

„ბერშუეთში“ „თი“ აფიქსი, გვარის სამკვიდროს აფიქსირებს, რაც ბერიძე – ბერიშვილთა სამკვიდროა.

„დიცი“ – სვანური ტოპონიმია, მცენარეა (სვანური ბანანი) საკმაზად იყენებდნენ;

„ვარიანი“ – ურუოა, ე. ი. ნაკადულის უქონელი, „ვა“ აფიქსი, ზანურში „არას“ აფიქსირებს, უარყოფაა.

„თორტიზა“ ლაფიან-ტალახიანი ადგილია (შეადარეთ ბორჟომის თორი);

„კარბი“, კორბოული, საკრაულაა ზანურად, მეცხვარეობასთან დაკავშირებული ტერმინია. კირიბი ბატკანია, კორბოული საჩხერეშია;

„ზემო ხვითი“ – ზედა სალოცავია, „ხვითქი“ კიდევ ზანურად სავსეა;

„ორმოცი“ – ორმოებიანი? დაბალი და ჩავარდნილი?

„ოლოზი“ – მოგრძო მთაა ზანურად;

„კვარხითი“ – კვაჩხითის ვარიანტი მგონია, „კვარჩხა“ კი, ზანურად მარცხენაა;

„მეჯუდას“ ეტიმოლოგია საკვლევია, შესაძლოა სვანური იყოს.

„ნიქოზი“ – უძველესი ზანური ტერმინია, გვაქვს კიპროსზეც, შესაძლოა ნიგოზიანს ნიშნავდეს.

„მერეთი“ – ტბორებიანი, ჭენჭყოიანია; (ან სვანური „დასახლება“);

„ძევერა“ – მდინარეა გორშიც და თერჯოლის რაიონშიც;

„ღვედრეთი“ ეპონიმს თუ არა, ღვედივით დაკლაკნილს უკავშირდება; (ღვედი ხონის რაიონშია).

„ჭანჭახა“ – მდინარეა გორშიც და რაჭაშიც, რიონის შენაკადი. სახელი ჭახანით რომ ლოდებს მიაგორებს ამიტომ ჰქვია;

„ხურვალეთი“ – ხორიალეთის (ზან.) საცხოვრისის, სამკვიდროს შერყვნილი ფორმა უნდა იყოს (გორთან სამია);

„კარალეთი“ – ზოგ მკვლევარს „კარავეთად“ მიაჩნია, სინამდვილეში კარალიათა „თი“, ანუ სამკვიდროა. შესაძლოა „კორუალეთის“, ანუ სამკვიდროს აღსანიშნავი ტერმინი იყოს;

„ქორდი“ – დიდ მაღლობს ნიშნავს, თუ არა ნამყოფს;

„ზეღდულეთი“ და „დრე“ – ვფიქრობთ დირეს, გადებულის აღსანიშნავი იყოს. ეს არის ლაზური „ოხორჯა“ და ქართული „დეღაბოძი“;

„სკრა“ – წმიდა სვანური ტოპონიმია, ის კლდიანს ნიშნავს. მესტიის ჭუბერის ხეობაში არის მდ. ნენსკრა. თუ მას პრეფიქს „ნენ“-ს ჩამოვაშორებთ, რჩება „სკრა“, რაც „კლდისას“ ნიშნავს. ნენ-ნენა კი დედაღვათებაა. ისკია მდინარეა მარტვილში, სკაია ერქვა ტროას ქვის კარიბჭეს. ვფიქრობთ „სკალა“, რუსებმა ზანურ-სვანურიდან შეითვისეს;

„ზემო სობისი“ – „სუბვის“ და „ზუბის“ მსგავსი ტერმინია (რაჭაში სორგითია);

„დეგეულა“ – დეგედან მომდინარეს ნიშნავს. „დეგე“ ზანური ტერმინია;

„ზემორეხა“ და „ქვემორეხა“ – „ქვიანს“ ნიშნავს;

„ჭვარები“ – კი ნანვავია...

„ქიწნისი“ – ვენახის ჯიშს, ქიწნურას უკავშირდება.

„ფიცერი“ – ფიცით განაყიდი (ფსორი რაჭაშია);

„ხვითი“ – სავსეს ნიშნავს, გურულები იტყვიან „ხვითქი ციცა“.

ასევე ზანური ტერმინ-ტოპონიმებია: **ბერბუკი, მელვრეკისი, მეჯუდა, თერგვისი, ოქიანი, ლევიტანა** და სხვა.

გორის მიდამოებში გვაქვს ერთგვარიანი წარმოშობის სოფლები: მუმლაანთკარი, ციცაგიანთკარი, გაგლოანთკარი, ყველაანთუბანი, გაიჩაანთუბანი, ზარდაანთკარი.

გორის რაიონის ტოპონიმთა 80% ზანურია, ისევე როგორც მთელ ქართლში და ცხადად ამჟღავნებს თავდაპირველი მოსახლეობის ზანურობას.

დ) ქარელის რაიონი

„არადეთი“ – ბორცვიანი მაღლობია. 1462 წ. იქ მოხდა სასტიკი ომი, რომელშიც ყვარყვარა მეორე სამცხის ათაბაგმა, 500 მეომრით სძლია მეფე გიორგი მერვის ორიათასიან რაზმს.

„ატოცი“ – ზანური ტერმინია და ჰგავს ატაბუნას; ის აღმართ-დაღმართიანი რელიეფია.

„აბისი“ – რაღაც მცენარეს უკავშირდება;

„აფნისი“ – კოპიტის მსგავს მცენარეს, იფნს უკავშირდება;

„ბებნისი“ – და მდ. ბებიულა, ისევ მცენარეს უკავშირდება;

„ავლევის“ – მსგავსია, ბალკანეთის ავლისი;

„ბრეძა“ – ნიგოზნარი, კაკლოვანია.

„ბრეთი“ – დიდი, ფართო სათიბია.

„აგარა“ – აგარაკი, სადგომი, საცხოვრისია;

„დვანი“ – ნაყოფიერი მხარე, შენახული, დოვლათიანი;

„დიბრი“ – მდინარის შემაკავებელი, დამხვედრი, მომაბრუნებელი;

„გვერძინეთი“ – გვერდის ძირის მრავლობითი ფორმაა.

„ლეთეთი“ – თელნარის სვანური ფორმაა.

„ლოშკინეთი“ – გადმონადენი, დალოშილ-გადმონადენი წუმპე, წყალი;

„ზემოლეთეთი“, „ქვემოლეთეთი“ – ზანურად ზემო და ქვემო თელნარია.

„კუდატყე“ – მოკლე ტყეა;

„მოხისი“ – ერთი დედოფლისწყაროშიცაა. ცნობილია 1520 წ. ომით გურიელმა ქართლის მეფე დავით IX დაამარცხა;

„მეხეთი“ – შესაძლოა „მესხეთის“ შერყვნილი ფორმა იყოს...

„კრობანი“ – ზანურად კორუა-უბანის (სამკვიდრო უბნის) ფორმაა;

„ტკოცა“ და „ქვენატკოცა“ – ხმაურა ღელეს, ტკვარცალას უკავშირდება;

„ჭვრინისი“ – ზანურად ჭვირი, ანუ დანაწვავია.

„ხვედურეთი“ – ხვედელიძეთა „თი“, სამკვდრო და საცხოვრისია;

გასარკვევია არცევის და თრეხვის ეტიმოლოგია.

ქარელში არის: გულიაანთუბანი, ჯაგარაანთკარი, ელბაქიანი, თანაანთუბანი, ქობესაანთუბანი, კოდავარდისუბანი და სხვა.

ე) ხაშურის რაიონი

ჩვენი აზრით, ტოპონიმი **ხაშური** კომპოზიტია და ის „ხორის-შურის“ ანუ ოჯახის (ოხოროს) მფარველი სულის სალოცავ-საზორველია. შესაძლოა სვანური „ხაიშურის“ ფუძეკუმშვადი ფორმა იყოს (ხოშური ცხინვალთანაა);

ტერმინიდან ასონიშან „ხანის“ ამოღების შემდეგ, ის ასურეთის „აშურს“ ჰგავს. „ჰარშურა“ მდინარეა მესტიაში.

დიდი და პატარა ბეკამი. „ბეკი“ ზანურად კორდი, ბორცვია. ამრიგად ბეკამი ბორცვიანია.

„ბიჯნისი“ ბეკამის მიჯნის“ კომპოზიტი უნდა იყოს. ე.ი. ის სასაზღვრო არეა. ერთი ბიჯნისი სომხეთშია (მხარგრძელთა სანახარარო);

„ტკოცა“ – ხაშურშიცაა და ქარელშიც (იხილეთ ზევით);

„დუმაცხოვი“ – მაცხოვრის საყდრის მისავალი, თავია;

„ურთხვა“ – საურთხელე(?);

„ვაყა“ – უყავრო (!);

„ბრილი“ – სვანურად ბრევლის, დიდი სამოსახლოს აღსანიშნავი ტერმინია, ესაა უძველესი მეტალურგიის კერა;

„დუნთა“ – კომპოზიტია, მთისთავია ზანურად;

„ჩუმათელეთი“ – კომპოზიტია. „ჩუმას“ ეტომოლოგია საკვლევია;

„ჩონჩხა“ – გაშლილი, შილიფი, არამჭიდრო, თუ არა და გაფანტული (ჩხა) ყანაა;

„ჩორჩანა“ – დიდი ყანები, საყანეებია (ერთი ადიგენშია);

„ოძისი და აძვისი“ – ნიგოზს, კაკლოვანს უკავშირდება.

„ტაშისკარი“ – იგივე ტაშირის (ზან. ღრმა ხეობის) კარია, შესავალია.

„წრომი“, რწომი – ზანურად საჭოტე და საბუეა. იქ არის VIII ს. ჯვარულგუმბათიანი, დიდი ტაძარი.

„ნაბახტევი“ – ბახტუა-ბახტაძე, ნაბახტეველთა და ბახტურიძეთა ოდინდელი სამკვიდროა. აქედან ბახტაძეები VIII ს-ში ხონში გადასახლდნენ. (შეადარეთ: ნაკვარნახო, ნაგვაზაო, ნაესაკაო, ნამიკოლავო, ნახახულევი, ნეძველი, ნოსტე).

„სურამი“ – წმინდა ზანური ტერმინია, ის კომპოზიტია, რომელშიც „სურ“-ა წყაროა და რჩება „ამო“, საამო, ესე იგი ის ამოწყაროიანია. შეადარეთ: „ხევსურეთი“, გურიის „სურები“ (წყაროებიანი) და ლეჩხუმის ლასურიაში, სურმუში.

„ხცისი“ – XI ს. იხსენიება, რადგან იქ ბაგრატ III საყდარი ააგო. შესაძლოა ხუცის შეკუმშული ფორმა იყოს.

„გომი“ – გომური, ზანურად ცხოველთა სადგომია. შეადარეთ: გომმუხაყრუა, გომსატეხები, დაბლაგომი (სამტრედიის რაიონი) გომი (რაჭა).

ასევე ზანურით აიხსნება შემდეგი ტერმინები: **კრისხევი, დიდი ფლევი, ზეკოტა, პატარა ფლევი, იტრია, ტეზერი, ჩუმათელეთი, ტერბი, ყობი, ქემფერი, ცედანი, წაღვლი, ალი, ქაშვეთი.**

ხაშურშიც არის სოფლები, რომლებიც ძველად ერთი გვარით ყოფილა დასახლებული. ესენია: ოსიაური, სარმანიშვილთკარი, ყიფიაანთუბანი (ისინი ქართლში XV ს. დასახლდნენ), რუსაანთუბანი, იმერლიანთკარი, ნაბახტევი.

3) ახალგორის რაიონი

ახლა ვნახოთ, რა ტოპონიმია დაამკვიდრეს „დვალებმა“.

„ერედა“ – ერედვი – ზანურად დიდი საოჯახოა.

„ჩკუნეთი“ – ზანურად საჩორკნი, მძიმე, მკვრივი მიწაა.

„დუდაითი“ – თხემი, იგივე თავასაა ზანურად.

„ზემო ცხილონი“ – ზემო ცხილნარია, მცენარე რცხილა, ხალხურად გამოითქმის როგორც „ცხილა“ (არის ქვემო ცხილონიც).

„დირბი“ – ჩამკეტი მდინარის შემაკავებელია.

„ქოლოთი“ – ზანურად ქვიანია.

„ზემო ზახორი“ – ზანურად ზანთა ზემო სამოსახლოა (არის შუაზახორი, ქვემო ზახორიც).

„ქურთა“ – იგივე ქართა, ცხოველთა შესარეკია.

„წირქოლი“ – ადგილი, სადაც წისქვილის ქვებს ამზადებენ. აქედან წირქვალელისძენი რაჭასა და იმერეთში ჩასახლებულან.

„დადიანეთი“ – ამ საგვარეულოს წინა საცხოვრისია. ეს ერთი საბუთია, რითაც ზანთა და სვანთა ქართლში მკვიდრობა დგინდება (იხილეთ დადიანის ქალის ამბავი).

„ზოდეხი“, „ზოდებიანი“ – ქვიან-ბელტიანი მიწაა ზანურად. მას უკავშირდება გვარი ზოდელავა.

„თოხთა“ – რბილმიწა ადგილია.

„ჩორჩანი“ – ზანურად სარჩენი, დიდი ყანაა (ერთი ჩორჩანი ხაშურშია, მეორე ადიგენში).

„ბეროლა“ – ვგონებ ბერიძეთა სამკვიდროა (იხ. ვაჟას „ბერიძე გაუტეხელი“).

„ოხირი“ ან ოხოროს – (საცხოვრისი) ანდა გახირულის, შუაზე მდებარეს ნიშნავს.

„ცოტაგური“ – ზანურად გულამოღებული, ჩაღრმავებულია.

„ქარჩოხი“ – ქარიანს უნდა ნიშნავდეს, (ხონთან არის ქარჩხაბი).

„წუბენი“ – წუმპენი, საწურბლე?

„მუჯუხი“ – უსახელო (მუჯოხო?)

„მახიარეთი“ – „მახარაიათა თი“, საცხოვრისი.

„ჭორჭოხი“ – ჭენჭყო ადგილი.

„ლარგვისი“ – სვანურად არგვეთ, მარგვეთს ნიშნავს.

„გურუეთი“ ან „გურუათა-თი“ – საცხოვრისია და შუაგული.

„ჩიგოიანი“ – სვანური ტერმინი უნდა იყოს, შესაძლოა ჩიგოგიათა „თი“ იყოს.

„იკოთი“ – მეგრულად, მოსაბრუნი, საქცეველაა.

„ზემო წირი“, „ქვემო წირი“, შესაძლოა ჩაღრმავებას ნიშნავდეს (შეადარეთ საწირე) .

„ზემო წოლდა“ – ქვემო წოლდა (ეტიმოლოგია საკვლევია).

„ბაზუანი“ – ბაზაძეთა გვარის სამკვიდრო ყოფილა.

„გდულეთი“ – გდე, შესაძლოა განაკიდურს, მოშორებულს ნიშნავდეს.

„ყანჩაეთი“ – აზნაურ ყანჩაველთა სამკვიდრო. მოხსენებულია XI ს-ში. VIII ს. ბოლოს, მოსახლეთა ნაწილი ბაღდათში გადასახლებულა.

„კორინთა“ – სამკვიდრო, საცხოვრისია, აქედან გვარი კორინთელი. ასეთი ტოპონიმები ქართლშიაცაა და საბერძნეთშიც.

„ცხავატი“ – ისევ ცხილას, რცხილნარს უკავშირდება (ცხუნკური, ცხუმი, ცხუკუშერი).

„არბევი“ – დიდი, მოზრდილი სამოსახლოა.

„მანგათი“ – სწორს, თანაბარს ნიშნავს. არის გვარი მანაგაძე. მეგრელი იტყვის – „ანგის, მანგი, თანგირე“, ე. ი. „სწორს, თანასწორი შეეფერება“.

„ჭიჭამური“ – ჭიჭემურის ე.ი. პატარა მურის კომპოზიტია. მისი მსგავსია ნიწამური, რაც რომაულ წყაროებში „სევსამორაა“.

„გეზევრეთის“ სახელი, გეზათს ჰგავს და პირდაპირი მიმართულების მაჩვენებელია.

„ორჭოსანი“ – ზანურად გარჭობილი, გზაზე მდებარე, გაჩხერილია, რადგან აქ, ორი ჭა, ვფიქრობთ ვერ იქნებოდა.

„კვაისა“ – ქსნის ხეობის სოფელი, ზანურად ხის კარს ნიშნავს. ალბათ აქ, ოდესღაც არსებული ხის ციხის, ან ჭიშკრის გამო.

ქართლოცენტრისტთა გასაგონად ვიტყვი, არც ამ რაიონშია „დვალური“ ტოპონიმია. სამაგიეროდ, არის ქართველური გვარების სოფლები: პავლიანი, ქენქაანი, ქარელთკარი, ჩიგოიანი, ყანჩავეთი, კეცხოველთი და სხვა.

ზ) ყორნისის (ზნაური) რაიონი

„ზემო ოქონა“, „ქვემო ოქონა“, ქონებიან, შეძლებულ სოფელსაც ნიშნავს, ნოყიერ მიწასაც, „ოქონა“ ვაზის ჯიშია. ასეთი სახელის სოფელი გვაქვს საგარეჯოში და თერჯოლის ჩხარში (ერთი ოქონა მარტვილის რაიონშიცაა).

„ვანელი“ – იგივე სავანე და საცხოვრისია.

„ზემო და ქვემო დვანი“ – სვანურად ნოყიერი ალაგია, მოსავლიანი.

„ზემო ღვედრეთი“, „ქვემო ღვედრეთი“ – შესაძლოა ნაღვერდალს და სამჭედლო ქურას უკავშირდებოდეს. შესაძლოა ღვედივით დაკლაკნილგზიანს ნიშნავდეს.

„იონჩა“ – იოლად მისასვლელს თუ არა, შესაძლოა, მცენარეს, იონჯას უკავშირდებოდეს.

„ჭირბოული“ – ხორკლიანი, ძეძვიანი, ეკალ-ღიჭიანი ალაგია.

„ლაშებალთა“ – მლაშობი ადგილია. „ლაშიჭალა“ ლეჩხუმშია, ლაშებალთა – აფხაზეთში.

„ჩელტათა“ – შესაძლოა თეთრს, ან ჩელტის ხიდს უკავშირდებოდეს.

„ოჟორა“ – ზანურად ჟოლოს მოსაყვანი ადგილია. ამ მცენარის ფესვები, ძველად ქართლიდან ინდოეთში გაჰქონდათ საღებავად.

„გვინჯინა“ – ზანური ტერმინია. ის მაცქერალაა, თუ არა და „გვაჯა“, რაც დაბალს ნიშნავს.

„ერმანი“ – დიდი დასახლებაა.

„ნაბაკევი“ – აქაცაა და სამტრედიის რაიონშიც.

ხახეთი იგივეა, რაც აჭარის ხიხა. ის ჩაჭრილს, ჩახახულს, ღრმა ხეობას ნიშნავს.

„ხონჩა“ – ზანური ტერმინია. ასეთი ფუძით ჩვენში 8 ტოპონიმია და ის სწორ, ტაბაკისებრ ფართო ადგილს ნიშნავს.

„თოხთა“– რბილმიწა ადგილია.

„გადიგინა“ – ჰგავს იდიგნა-ტიგროსის სახელს.

„მეტეხი“ – აქაცაა, თბილისშიც და მცხეთის რაიონშიც.

„თიღვა“, ღვაბუა – ჩავარდნილი, მაგრამ ბარაქიანი ადგილია. აქ ტაძარი ააგო შირვანშას ყოფილმა ცოლმა, გიორგი III დამ, თამარმა.

„წორბისი“ – შესაძლოა საწურბლეს ნიშნავდეს.

„ძაღინა“ – მყრალწყლიანი, მძაღეწყლიანი ადგილია („თხილი დაძაღლაო“ იტყვიან).

„სოხთა“ – სოხაძეთა სამკვიდროა, სოხი კი ჭლაკვია.

„ლესორა“ – სვანურად სასირიაა, ან წყაროსთავი.

„ჩელიათა“ – ზანურად მოთეთრო მთაა.

„ფიჭვიგვინა“ – ფიჭვისმსგავსი, მინაგვანი.

არის სოფლები: თებორა, მუგუთი, ავნევი, სუნისი, უბიათი, თერეგვანი – სულ ზანური ტერმინებია...

ქართლოცენტრისტთა გასაოცებლად, არც ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდა „დვალური“ ტოპონიმია.

თ) ცხინვალის რაიონი

ცხინვალს „ქრცხინვალი“ ერქვა. ეს ტერმინი, წარმომდგარა „ქარცხმელისაგან“, რაც კეთილფურცლოვანი შავრცხილაა. „ქრცხმელი“ თეთრი რცხილაა და ქალაქის სახელწოდებაც მას უკავშირდება. ოსებმა ეს ტერიტორია რომ დაიჩემეს, მას „სტალინირი“ („სტალინ ოსი“) შეარქვეს.

„ზემო ორტევი“ – ზევით მდებარე გატოტვილი დასახლებაა.

„ერედვის“ – სახელი, მრავალრიცხოვან ოჯახებს ნიშნავს.

„გუჯაბაური“ – გუჯაბიძეთა საცხოვრისია, არადა „გუჯაბი“ ზანურში ბოლმიანი, გულჩათხრობილია.

„დვალიანთკარი“ – ამ შემთხვევაში მთიულთა ადგილია, სვანური განმარტებით კი ნოყიერი, ან მრავლის შემცველია.

„თორია“ – ლაფიან, ტალახიანი ადგილია, (ზან.) თორი ბორჯომშიცაა.

„ვანათი“ – დასასვენებელი ადგილი, სავანეა. ვანელი გვაქვს ყორნისში.

„ხონჩა“ – აქაცაა და ყორნისშიც, ბრტყელ ადგილს, ტევადს ნიშნავს.

„გუდისი“ – ჰგავს გუდაურს და მსხვილქვიანს, კლდე-ღრიანს ნიშნავს.

„კეხვი“ – კუზიანი, ცხენის კეხივით აზნექილი არეა.

„ღრომი“ – ზანურად ღრეა.

„ბრილი“ – აქაცაა და ხაშურშიც (ბრევლი?)

„ოლოფთა“ – გრძელი ფრთა თუ მთაა.

„წიფორი“ – საწიფლია, წიფლნარია.

„ქურთა“ – იგივე ქართაა ზანურად (იქნებ ქურა?)

„თელაგინა“ – ზანურად თელნარია.

„ჩელეხსათა“ – ჰგავს ჩელიათას, ზანურად თეთროვანაა.

„კირბალი“ – ზანურად საკრაულა, საბატკნიაა, კარბი გორთანაა, გვაქვს სოფ. კორბოულიც.

„ოქონა“ – როგორც აღვნიშნეთ, ბარე ხუთია საქართველოში.

„ჩხარაული“ – მეჩხერს, გაფანტულს და გაშლილს ნიშნავს. ჩხარი თერჯოლაშია.

„არდისი“ ერთისაა – ზანურად (მთლიანი) არის ბალკანეთში და პიკარდია – პროვანსშიც.

„ძარწემი“ – წყლიან-ჭაობიანი.

„ასკინარეთი“ ჰგავს გურიის ასკანას და „ენეადას“ გმირის ასკანიოს (ენეასის ვაჟი) სახელს, გვაქვს სახელი ასკალო, რაც მოუხეშავს, ტლანქს ნიშნავს.

„კოხათი“ – მწირმიწიანია. რამდენიმეა იმერეთში. ქვემო ქართლის აღმ. ნაწილს „კუხეთი“ ერქვა. ერთი „ფიშტი-კუხი“ ირანშიცაა.

„ხონკარი“ – მინდვრიდან შესავალი კარი, ბრტყელი ალაგიდან შესასვლელი.

„თლიყანა“ – ოდიშში არის სოფელი თლია, ჯავაში თლიაყანა.

„მარალეთი“ – წყლიანი ადგილი (!) იქნებ სვანური მოსახლეობიანი („მარე“-კაცია).

„არგვიცი“ – არგვეთის, მარგვის კიდეს ნიშნავს.

„ღრომი“, დიდი ღრომი – შესაძლოა ღრმულის, ჩავარდნილი ადგილის აღსანიშნავი იყოს.

„სვერი“ – აქაცაა და ზესტაფონშიც. ვგონებ სვრელს, ზოლს ნიშნავს.

„ოლოფრთა“ – ფრთაგაშლილი მხარეა (გვაქვს ოლენტყე).

„კულბითი“ – ჰგავს ეგრისის კუებლევს.

„ქვემო იკორთა“ – აღმართი ან მოსაბრუნია.

„გერი“ – ზანურად სამგელიაა.

„ანძისი“, არკინარეთი, ანდორეთი, ქოჩითა, ჯაბიტა, ქიწინა, კეხვი, კროზა, კუსირეთი.

„ჭრები“, ხოდი, ბაგიტა, ზემოსნეკვი, ხელჩუა ზანური ტოპონიმებია.

„ბერულა“ – შესაძლოა ბერულავათა საცხოვრისი იყო.

„ტანტობეთი“ – ყვავილიან ტბას უნდა ნიშნავდეს.

„ჩეთარო“ – თეთრი თარო.

„ჩელეხსათას“ ფუძე – ზანურად თეთრია.

„ქარცხმელი“ – კოლხურად შავრცხილაა.

„გუდისი“ – ქვიანია.

„ჯაბიტა“ ხიან – შეშიანი ალაგია.

„გოთოთა“ – სწორპირიანი, ზედაპირიანი.

ასევე ზანურით უნდა აიხსნას ტოპონიმები, ხოშური, ელტურა, ქვემო მოხსი, ღროში, ანძისი, ანდორეთი, არკინარეთი, ქოჩითა, ქიწინა, ზემოსნეკვი, ხელჩუა, კროზა, კუსირეთი, ჭარეთი, ზემოხონთკარი, ზემო ოტრევი.

აქაც ყოფილა ერთგვარიანი სოფლები: ინაური, ზადურიანთკარი, კვერნეთი, ძარი, მამისაანთუბანი, ნანიაური, ბერულა, ბრილი აქაცაა და ხაშურშიც (ძველი ოქონა).

ი) ჯავას რაიონი

დიდი გუფთა, მეგრულად დიდი გულიანი მთაა, ე. ი. ჩაღრმავებული მთაა.

„ვანელი“ – დასავანებლის დოსიმილებური ფორმაა.

„პერევი“ – ბევრის შემცველი, მრავალრიცხოვანი დასახლებაა.

„ლეთი“ – სათელიაა სვანურად (ერთი ჭიათურაშიცაა).

„ზღუბირი“ – შემოზღუდული, შემორაგული, შემოკავებული.

„ჩელტათა“ – ჩელე მეგრულად თეთრია, ამრიგად ეს ტერმინი თეთრისას ნიშნავს, შეიძლება ჩელტიანსაც.

„ყემულთა“ – იქნებ ტყემლოვან მთას ნიშნავდეს.

„მართგიჯინა“ – (მეგრ) მაცქერალაა.

„ხვწე“ – (?)

„ერმანი“ – დიდი ოჯახებიანი, ერმრავალი ოჯახებია.

„ჯაბიტას“ – ფუძე ჯა მეგრულად ხეა.

„ხიხათა“ – ენათესავება „ხიხას“, რაც მეგრულად, „ხიხონუა“, ანუ ღრმაა, ასევე ერქვა ძველად აჭარას.

„ტანტობეთი“, ტბიანი არე, მიდამოა.

„ვანელი“ – იგივე სავანეა.

„თლია“ – მეორე ზნაურთანაა, მესამე სამეგრელოში.

„ბაგიათა“ – ცხოველთა ბაგას უკავშირდება.

„ჩეთარო“ – თეთრი არეა (ზანურად).

„ერწო“ – როგორც აღვნიშნეთ ურწუმი, ღრმაა ზანურად.

„ჩელიათა“ – მოთეთრო მთაა ზანურად.

ჯავას გარშემო დამკვიდრებულმა ოსებმა ზოგი ახალი ტოპონიმი დაამკვიდრეს. „დვალური“ კი არაფერია. არის მხოლოდ ქართულ-მეგრული ტოპონიმია.

ყოფილა ერთგვარიანი სოფლები: **კობეთი, ელბაქითა, ჩიტათა, სოხთა... (სბა, ბოგნისი, კროზა, ფაწა, ხოძი და სხვა ზანურებია).**

კ) ისევ დვალების შესახებ

საისტორიო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დვალეთი მდებარეობდა დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ეს იყო ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ოლქი რაჭამდე და საჩხერემდე.

„ქართული ენციკლოპედიის“ მესამე ტომში, მკვლევარი გამრეკელი, პლინიუს უფროსისა და კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობების მოშველიებით წერს: „დვალები, იბერიულ-კავკასიური ტომი“. დასახელებული არიან I-II საუკუნეების ავტორთა მიერ. ცხოვრობდნენ კავკასიის მთებში, დარიალის ხეობაში, ადრეული შუა საუკუნეებიდანვე მოექცნენ ქართველთა კულტურულ-პოლიტიკურ არეალში. VI ს. იქ მისიონერები მოღვაწეობდნენ“.

ვინ არ წერს დვალთა შესახებ. სახელოვანი ვახუშტი, ისტ. გ. გამრეკელი, დ. გვრიტიშვილი, ჯ. გვასალია, თ. ბერაძე, სანაძე.

ისინი დვალებს უკავშირებენ ინგუშურ-ჩეჩნურ-მეგრულ ენას. ნეტავ როგორია ეს ენა, „ინგუშურ-ჩეჩნურ-მეგრული“? ალბათ ამაზე სიცილიც კი ღირს. თურმე ოსთა მოწოლის გამო დვალები ქართლისკენ გადადიოდნენ (სად სწერია?! ა. ფ.), ხოლო XVIII ს. მათი ქართველებში ასიმილაციის პროცესი დასრულებულა.

„დვალებს“ ქრისტიანობა VI ს. მიუღიათ, როცა მთიულები XI-XIII ს. წარმართობდნენ. ესენი ისე დახელოვნებულან ქართულში (მას შემდეგ, რაც ჩეჩნურ-ინგუშურ-მეგრული მივიწყნიათ), რომ პალესტინაში ქართული წიგნები გადაუწერიათ (XI ს. მოღვაწეებს, იოანე, ბიქაელ და გიორგი დვალებს). გიორგი დვალს XI ს. გადაუწერია „ლაბეჭინის ოთხთავი“ (ქსე, ტ. 3) დიახაც სვანეთისთვის, წარმოშობით სვანს.

ვახუშტი დვალეთში ასახელებს: კისის ხევს, ზრამაგს, ჟღელეს, ნარას, ზროგოს, ზახს, თრუსოს, მაღრან-დვალეთს.

ახლა ზემოთდასახელებულ ავტორებს მინდა ვთხოვო. განგვიმარტონ რა ენა იყო, ეს სამი ტომის დვალური „აჯაფსანდალი“? თუ ათიოდე დვალურ სიტყვას დაასახელებენ, თავს დავხრი მათს წინაშე.

გიორგი სააკაძე დვალეთის მოურავი იყოო, ბრძანებენ. რომელ ენაზე ესაუბრებოდა ხელქვეით დვალებს დიდი მხედართმთავარი: ჩეჩნურად, ინგუშურად თუ მეგრულად?

ახლა ავგაროზ ბანდასძის „ძეგლი ერისთავთა“-ს გადავავლოთ თვალი. ის ხომ XIII ს. ხელნაწერია. მწერალი აღნიშნავს: „ოსეთის მეფის

უფროსმა ვაჟმა, სამშობლოდან გააძევა ძმისწულები: „როსტომ, ბიბილაი და ნითლოსანი და ძენი მათნი 70 მონით. ქართველთა მეფემ შეიწყალა ლტოლვილნი, კეთილითა და უწოდეს ბიბილურნი“ (იხ. დოლიძე, ტ. 2. 1965 წ. გვ. 2).

ქართველი მკვლევარნი ბერაძე და სანაძეც აღნიშნავდნენ, რომ „დვალები ქართული მოდგმის ტომი იყო“ (გვ. 14).

„დუალი“, აწინდელი ოსეთი, წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

ახალ სახელმძღვანელოში ჩაიწერა „დვალები ზოგიერთის აზრით ზანური ტომი იყოო“.

დვალების და დვალეთის მოხსენიება – მაგალითად „მიქელ და ლუკიანე დვალების ცხოვრება“-ში (XI) ძველი მოსახლეობის აღსანიშნავი, ძველთაგან შემორჩენილი ზანური ან სვანური ტერმინის განმეორებაა მხოლოდ. ის ნაყოფიერს ნიშნავს.

1660-62 წლის ერთ საბუთში, იმერეთის მეფე, ვამიყ დადიანი თავს უწოდებს „დვალეთის მეფეს“ (ს. კაკაბაძე, 1921, I, 67). ვფიქრობთ, მეფე ვამიყი, დვალეთს ასახელებს მხოლოდ იმერეთის მთიულეთის მნიშვნელობით. ქართლის „დვალეთი“, იმ დროს, ხომ ვახტანგ V შაჰნავაზს ეკუთვნოდა. მასზე იმერეთის მეფე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა...

„XVIII ს. დვალთა ასიმილაციის პროცესი დასრულდა“... და ამას თურმე მოუნდა 140 წელიწადი, 1660-იან წლებში იხსენებოდნენ, 1800 წ. კი „გაქრნენ“. დღეისათვის თუ დაღესტანში 40-მდე დიალექტი არსებობს, როგორ გაქრა დვალთა ენა. თუშური და დიდოელების დიალექტი გადარჩა. რაღა დვალებს გასწირავდა ღმერთი? რატომ ოსები არ აირივნენ ქართველებში? მაშინდელი ქართლის მთიულეთის მოსახლეობა 25-30 ათასი ძლივს იქნებოდა და როგორ შეძლეს დვალების შესრუტვა?

ასეთი ასიმილატორები ვიყავით?

როგორ, ვანის სოფლები: სებეკა, დვალიშვილები, ისრითი, სადაც, ასობით დვალიშვილი ცხოვრობს XVIII ს. გაშენდა? ასობით ადამიანი გადასახლდა ქართლის მთიულეთიდან და ეს ვერც ხელისუფლებამ გაიგო, ვერც მათმა მებატონეებმა და არც წყაროებში აისახა?

დღეისათვის დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში 4000-ზე მეტი მცხოვრებია, ფუძეში გვარსახელად „დვალი“ აფიქსი რომ აქვს. ისინი ვანში, ჭიათურაში, ონსა და ამბროლაურში ცხოვრობენ. ე. ი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთში და იქედან ჩასახლდნენ ქუთაისში, თბილისში და კასპის რაიონში.

თუ რატომ ერქვა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, მეგრულ-სვანური სახელი დვალეთი, ამის შესახებ აღვნიშნავთ, რომ ქართლის დიდი ნაწილი, უძველეს ხანაში, ზანებით იყო დასახლებული. მთიულეთმა მათი ლექსიკა და ტოპონიმია უკეთ შემოინახა. ეს არც „ბუნთურქთა“ და არც ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსული „ქართველურ-ინგუშურ-ჩეჩნური ტომის“ დამკვიდრებული არ არის. ტოპონიმია უდავოდ ადასტურებს, რომ ამ ტერიტორიაზე მეგრული დიალექტის მატარებელი ხალხი ცხოვრობდა. მათი შთამომავლები, უძველესი ქართველები, შემორჩენილი, გადარჩენილი, დაცული მოსახლეობა იყო დვალები, და არავითარ შემთხვევაში გადამთიელნი, როგორც ბევრი ცდილობს დაგვარწმუნოს. ბარის ქართველები, თავის მთიულ, გადარჩენილი, ავტოხთონური მოსახლეობის მიმართ „დვალ“ ტერმინს ხმარობდნენ და ეს მართლაც ეგრისულ-ზანური შინაარსის ტერმინი გახლავთ.

„დვალეთის“ ტერიტორიაზე აღვრიცხეთ ტოპონიმები: ცროგო (მომცრო გორა), გუნდაური (მსხვილქვიანი ადგილი), დვალო გორა (ნაყოფიერი გორა), ზრამაგა, კასრის კარი, კვაისა (ხის კარი), ბოდახევი, ძნელად გასაღწევი, საბორიალო ხევი (ხონის რაიონშია „ობოდირი“ და ბოროწინა“).

„დვალ“-ი, სვანურად ნაყოფის გამომღებს ნიშნავს და ეს ტერმინი ზანთა და სვანთა დამკვიდრებულია.

გურიაში გვაქვს სოფლები: **დვანი და დვალიანთკარი**, ვანური დვალიშვილები, **დვალეთის ქედი**. ეს ტერმინები ეგრისსა და ქართლში ჩეჩნებმა დაამკვიდრეს?

დვალეთი და დვალი ქართული, ზანურ-სვანური ტერმინებია და არა გადამთიელების დამკვიდრებული. დვალთა ცალკე ტომად მოხსენიება რომ აბსურდია, ეს ზევითაც დავინახეთ ცხინვალის, ახალგორის, ოქონას და ზნაურ-ყორნისის მაგალითით.

დვალთა ტომს არც ბერძნები ახსენებენ, არც რომაელები, ხოლო ქართველ ისტორიკოსთაგან მისი მოხსენიება, მხოლოდ „ჩვენებური“ გაურკვევლობაა.

თვით ერწო, ზანურად ღრმას („ურწუმი") – ნიშნავს.

ძვ. წ-ით II ათასწლეულში, ქართლის მთიულეთში სვანებს და ზანებს უცხოვრია. სწორედ ესენია გმირული და ანტიკური ხანის „კავკონები", რომელთა ვინაობა ბინდითაა მოცული. მეტიც, მათ სჭერია მერმინდელი ყობანი, ალაგირი, მაიკოპი, ჩერქეზეთის, ყაბარდოს, ბალყარეთის ტერიტორიები.

მომთაბარე ტომების მოძალების გამო, ჩვენგან ჩამოთვლილი ხალხი ქართველურ ტომთა სამკვიდროს მოედვნენ და შეავიწროვეს ისინი. ამიტომაა, ჩრდილო კავკასიაში სვანური „ელემენტები". ჩვენი მემატიანე, ლეონტი მროველი, ზოგჯერ სიმართლესაც ამჟღავნებს. ფარნავაზის მემკვიდრის, საურმაგის დროიდან მოყოლებული, სვანები დიდოეთიდან (სამხრეთ დაღესტანი, ა. ფ.). ეგრისამდე იყვნენ განსახლებულნიო (გვ. 27). მეტიც, ეგრისამდე კი არა, თვით ჯიქეთამდე, კავკონ-სვანები მკვიდრობდნენ, რასაც ასაბუთებს წყაროები.

რომაელი გეოგრაფი, კლავდიოს პტოლემაიოსი, „წანარებს" ასახელებს სვანოკოლხებთან და ალბანელებთან მეზობლობაში, ხოლო მდ. თერგს „სოანს" უწოდებს.

ვ. ბაგრატიონი წერს, რომ მეორე მეფე, საურმაგმა, ჩრდილო კავკასიიდან გადმოიყვანა დიდძალი ხალხი, დაავანა და უწოდეს „სავანეთი" ანუ სვანეთი (778).

ამასვე წერდა ლეონტი მროველიც.

ამ ცნობებში ჩანს სიმართლე. ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები სვანები, შემოსეულ მომთაბარეებს შეუვიწროვებიათ და ისინი სამხრეთისკენ გადასულან (რ. თოფჩიშვილი, 12).

სვანებს რომ ეგრისის სერ-გორაკები ეჭირათ, ამას ასაბუთებს ტოპონიმები: **კაცხი, კურზუ, ლეხი, ასხი, ცხუმი, ცხუნკური** და ათობით სხვა, ხოლო ქართლის მთიანეთი, მათი რომ ყოფილა, ესეც უდავოა (მ. გასვიანი, ქალდანი).

VIII-X საუკუნეების არაბული წყაროების „სანარია" და ქართული „წანარეთი" ერთმანეთს ფარავენ. ეს ისტორიული მხარე მოიცავს წანარებს, თუშებს, გარდაბნელებს და მერმინდელი კახეთია, თუმცა ამ ხალხს, სომეხი ისტორიკოსი ა. მიკირტუმიანი შეცდომით ვაინახურ ტომებად მიიჩნევს (ჯ. გვასალია, დასახელებული სტატია).

ნ. მარი და ს. კაკაბაძე წანარებს სვანურ ტომად მიიჩნევდნენ.

მკვლევარი ჯ. გვასალია ჩამოთვლის რა ტოპონიმებს, „სნო“, სვანურ ხევად მიაჩნია. გვიან დასახლებული ოსებიც, ხევს შანას, ხოლო ინგუშები მოხევეებს შუანს ეძახიან. ოსები მოხევეებს წონას ეძახიან, აქედან წანარები, სანარები, შონები, ხომ სვანებია! სვანური ტოპონიმია აღირიცხა აღმ. ეგრისში (არგვეთი). საჩხერის რაიონში გვაქვს წონას მღვიმე, სვანური ტოპონიმია არის ჭიათურასა, რაჭასა, ოკრიბასა და მარნეულშიც.

ალაზანს სპარსები „ან შანს“ (სვანების წყალს) ეძახდნენ.

ლეხორაც სვანური ტერმინია.

ზოგიერთი მკვლევარი გამორიცხავს მთიულეთში და ფშავ-ხევსურეთში, როგორც სვანურ, ისე ზანურ ტოპონიმიას, ხშირად კი ანგარიშს არ უწევს ტერმინის აშკარა მეგრულ ძირს.

ავიღოთ ტოპონიმი თოლენჯი (სიმონიანთხევის საკრებულო, თიანეთი). გ. ბედოშვილი გვარწმუნებს, რომ ეს თურქულად მათხოვარია, მაგრამ დასახელებულია X ს. ერწო-თიანეთის გამოსავალში. იმ დროს კი თურქების ჭაჭანება არ იყო ამიერკავკასიაში. ისინი ქართლს, მხოლოდ 1064 წ. მოედვნენ. გ. ბედოშვილს მეორე ადგილას მიაჩნია, რომ ტერმინი განვითარებულია და საკუთარ სახელს, დოლენჯს უკავშირდება. ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. ხევსურეთმა და მთიულეთმა დღემდე შემოინახა ტერმინი „თოლი“, რაც მეგრულად თვალია, ამრიგად თოლენჯი ქართულად „თვალისა“, ანუ საჩინოა. თოლენჯი, წალენჯიხა და სხვა, ზანური ტერმინებია.

„თრანი“ დასახლებულია X ს. ერწოს გამოსავლის საკათალიკოსო ნუსხაში. ადგილობრივნი ამ ტერმინს თრობას უკავშირებდნენ, გ. ბედოშვილს მიაჩნია, რომ ის საკუთარ სახელს, თარას უკავშირდება, საიდანაც თარაშვილები მივიღეთო. (2001. 175) ვერც ამაში დავეთანხმებით, ის ვგონებ სინდიოფალას მეგრული სახელის, თირინას შეკუმშული, მრავლობითი ფორმაა (ნუკრიანი, სორმონი, თრინი).

თრუსო – მცენარე ურძნის ჩაჩნურ-ინგუშურ-თურქულისგან მომდინარეობსო, ამბობს გ. ბედოშვილი. არც ეს არის დამაჯერებელი. მსგავსი ტერმინია ხონის რაიონის სოფ. გორდში ტყე, საძოვარი და მდინარე თურჩუ. მისი მსგავსია ტერმინი თრიალეთი, თრინი?

ცხვინჯეთის შესახებ გ. ბედოშვილი წერს, რომ არა გვგონია ზანური ენის სამყაროდან იყოს შემოსულიო. მას ცხვინჯა ადამიანის საკუთარ

სახელად მიაჩნია. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ცხვინჯი მეგრულად ცხვირია, ეთ კი მრავლობითის მაწარმოებელი აფიქსი, ამრიგად ცხვინჯეთი ცხვირებიანი, მთებიანი დასახლებაა, რომლის ქედებსაც ცხვირები აქვს.

ნოტკორას ქართულ მატიანეში ლეონტი მროველი ასახელებს, ერისმთავარ არჩილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. VIII ს. არაბთაგან წამებული მოხუცი ერისთავი, მისმა მოყმეებმა ნოტკორას დაკრძალესო. გ. ბედოშვილს ნოტკორა და ნოდოკრა ერთნაირად მიაჩნია. ნოტკორა კი მეგრული ზმნა ტკვარუადან მოდის, რაც გამოღრღნილს, ჩამონგრეულს, ჩამორეცხილს, ჩამოტკვერილს ნიშნავს (თუ არა და ჭანურ ნატყევარს (აკად. ს. ჯიქია), ამ ტერმინით ნოტკორა ნაღრღნელი, გამოღრღნილი, გამოტკვერილია.

„ნოდოკრა“ „მითვლილია“ ზანურად. ესე იგი ოდესღაც მითვლილი. აქ ახლო არის წმიდა არჩილის მონასტერი. ის, აკი ნოტკორას დაკრძალეს.

ალაჭანი – სოფელია ივრის ზემო წელზე, ვფიქრობთ ჭანეთიდან მომდინარეს ნიშნავს, ისევე როგორც ალაზანი – ზანეთისგან მომდინარეს. ალაჭანი მოხსენებულია 1170 წ.

არტანი – სამხრეთ-ქართული (ზანური) პროვინციის სახელი ჰქვია ივრისპირა სოფელს. მთიულეთის წყაროები: გუბა, კოდა, ფშანტალა, ათობით პარალელს პოულობს დას. ქართულ ტოპონომიაში.

თოხოლჩას, მკვლევარი გ. ბედოშვილი თურქულ სასმელი წყლით მოვაჭრეს, თულუხჩს უკავშირებს, არადა რა უნდა თურქულ ტოპონიმიას ჩვენს მთაში, თოხოლჩა მეგრული ორი სიტყვის თოლხო+ჩა, ანუ თხელის და თეთრის აღმნიშვნელი ტერმინია. თოხოლჩა, თხელი, თეთრი, კამკამა წყალია და მეტი არაფერი.

არგუნი – დუშეთში რომ არის (ნაჯახს კი არა) შესაკრებელ ადგილს ნიშნავს.

ლეშკაში – სოფელია მთიულეთში, ის სვანურად საკაშიოს, კაშიათა სოფელს ნიშნავს, ლე სვანური აფიქსი ქართულად სა-ს შეესატყვისება.

მკვლევარი გ. ბედოშვილი წერს, რომ მთიულეთში ეთ აფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები ქართულია (თიანეთი. ჟალეთი, ჩელეთი, მაგრანეთი, კაკვეთი) ეს სწორია და აქ ჩელეთი თეთრების აღმნიშვნელი მეგრული ტერმინია, კაკვეთი ალბათ ეპონიმური ტოპონიმია, ისევე როგორც ზარიძე, ჩეკური, კახიანები (გოჯიანები – დაბალ მცენარეს გოჯისოდენას უკავშირებენ.

დოლაანთ ღელე და **დოლიძეანთ ხატი** დოლიძის გვარს უკავშირდება და ენათმეცნიერებაში კარგადაა ცნობილი, რომ დო აფიქსი ჭანურია. ე. ი. დოლიძის გვარი უძველეს დროს (დადიანის და კაშიას არ იყოს) მთიულეთში დამკვიდრებულა.

ჯიხო – სოფ. ერწოში, რაც მეგრულად ციხეს, სიმაგრეს ნიშნავს.

ჯიჯეთი – შესაძლოა ჯეჯელავათა „თი", სამკვიდრო, ან მთის ძირია. „ჯინჯი" აკი ძირია.

ტოლათსოფელი – რაჭაში ორი ტოლაა, საჯავახოში კი ტოლები, ოკრიბაში ტელეფა, აფხაზეთში ასტელეფა.

ბალების ხევი სვანური ტოპონიმია – მესტიაში არის ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთი. ღვთაების ხევია სვანურად.

იხანჯა – ზანური უნდა იყოს.

ხოფცა – სოფელია, შეადარეთ ჭანეთის ხოფა და ხობი.

ოჩანის ციხე – ოჩე მეგრულად ყანაა, მას ყოჩანის ციხესაც უწოდებენ. „ოჩანი ცხენი" ზანურად ურჩი, მეყანეა. ოჩანი შესაძლოა ყანებთან მდებარე ციხეა.

საჯიხოო – საციხეა ზანურად (შეს. საჯიხვე).

საღირას სახდრა – ე. ი. საღირას საყდარია. ბეჟოტაში არის საღირას წყარო, სოფ. ლიშოშიც საღირა მეგრულად პირთეთრაა. აქედან გვარი საღარაია, საღირაძე, საღარეიშვილი. ეს გვარი დასახელებულია XII ს. წყაროებში, საღირაანთ საყდრები ჟებოტაში, მიუთითებს, რომ ამ გვარის სამკვიდრო მთიელეთი ყოფილა.

ხაიშოს – მუხუდოსაც ეძახდნენ, აშკარად სვანური ტერმინია. ბალსქვევით სვანეთში არის სოფ. ხაიში.

ჟალეთი დასახელებულია „ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში". ივ. ჯავახიშვილი მას ჩერქეზულ სატომო სახელს ჟანს უკავშირებდა, ჩვენ კი დაწინწკლულს და მონაცრისფროს, ანუ ჟღალს. თავდაპირველი ფორმა ჟღალეთი იქნებოდა. ეს პუნქტი, ჯიბო ლომაშვილს ნაქალაქარზე ეგულვებოდა (გ. ბ. 153) თეიმურაზ I-მა 1615 წელს აქ გაარღვია შაჰის ჯარის ალყა და გადაიხვეწა კახეთიდან.

რჩხები – დაბალი ჯაგნარია. გ. ბედოშვილს მიაჩნია, რომ აქ ძველად ვენახი ყოფილა. ჩვენი აზრით, რჩხები, მეჩხერის აღსანიშნავი ტერმინია.

სასვერეთი – მცენარე სვიას ან ღარს, სადინარს უკავშირდება, ეგრისში იყო ციხე სვერი, რომელიც XI ს. იხსენიება მატიანეებში (ჭიათურის რაიონში).

კოხრიანა – ერწოში რომ არის, ვფიქრობთ ქვიანს და ტყიანს ნიშნავს, ხონის რაიონის სოფ. სუხჩაში არის კოხორაათი, კოხორა, კოხორეი. ხრიოკს, ღარიბს, მოუსავლიანსაც ნიშნავს. მგონი ამ სახელს უკავშირდება კოხრეიძეთა გვარსახელი.

ერწოში არსებული „კინთა“ მეგრულად მხრებიანი, მხარგაშლილი და ფართოა.

კინთის ტყე – მთის ფართო (მხრებგაშლილი) ტყეა.

კოდა – ღრმა წყაროს ნიშნავს, ხონში არის კოდარა, კოდეი, კოდისწყალი და სხვა.

მელუას წყარო – პირად სახელს ან გვარს, მელუას უკავშირდება.

მიჯნის ხევი – მიჯნა საზღვარია, ტერმინი „მიჯინი“ კი მიცქირეს, საცქერალს ნიშნავს.

ნიგოით გორი – ნიგოითი გურიაშია, იგოეთი კასპში, ვფიქრობთ ნიგოზს უკავშირდება.

თეგერაანი – იქეთა სამგელიაა ზანურად.

ბოკონი – სახლის ძირია, იტყვიან: „სახლის ბოკინი გამოთხარაო“.

მუგუდო – მუგედა მთიულეთში რომ არის, ჩვენი აზრით „მოგუთას“ უკავშირდება (X ს. მოიხსენიება) მუგუდო მეგრული ტერმინია და საჭალეს ნიშნავს, ვანში არის მუქედი

გვერდა – სახნავია, გვერდეი ადგილია ხონის რ-ში, გელავერში, ის მიწის ნაკვეთს ნაწილს ნიშნავს.

გონდაურა – გუნდაეთი იმერეთშია, გუნდს, ქვაყრილს უკავშირდება.

გ. ბედოშვილს ტერმინები: აფშო, აფხუშო, ღონიში, ხაიში, დირჩო, ევჟენტი, ალოტი, ჭოპორტი, ჩინთი, ხარტიში, დოლოშა, ბოჭორმა, ღარტიშო, ღორღაში, ყვარა, ხოფცა, ჯიჩო, ნახურ-ბაცბური წარმოშობის ტერმინებად მიაჩნია, მაგრამ ვფიქრობთ, ისინი ზანურ ენასათან ამჟღავნებენ ნათესაობას. ტი, თი, ში, ჭანური აფიქსებია. მათი ახსნა, მხოლოდ მეგრული ენის მოშველიებით შეიძლება. ის კი ტერიტორიული პრეტენზიისთვის, საბუთებს აძლევს მეზობელ ქვეყნებს.

„არახვეთი“ – ლია კაიშაურს ჩაუწერია ლეგენდა, რომლის თანახმად მას არაგვეთი რქმევია. (გ. ბ. 45) არაგვეთი და არგვეთი საყოველთაოდ ცნობილი ზანური ტერმინებია...

„ცხავატი“ – (მთიულეთშია). ცხვანტა ნახუნაოში (მარტვილის რ-ნი) აღწერა მკვლევარმა იგორ კეკელიამ (ლეწოწორიეში) ასევეა აბედათში. ცხავატი მოშიშვლებული, კენჭებიანი, ჩამორეცხილი ადგილია.

„ლუხუტი“ – ქართლის მთიანეთშია, ხოლო ლახატი სვანურად სახატეა, ლუხუტი მდინარეა ბაღდათში, ხანისწყლის შენაკადი. მას განმარტავენ, როგორც ჩქარა მომმატებელს. ჩქარა დიდდებაო გვარწმუნებენ (ა. ფაილოძე. 2005, 234).

„ლარგვისიც“ სვანურად მარგვისას, მარგალისას, სამეგრელოს პუნქტს ნიშნავს.

ჯ. გვასალიამ აღრიცხა მთიულეთ-გუდამაყრის პუნქტები: **სონთი, სონთიანთი, სონთა,** რაც სვანეთის პუნქტებს ნიშნავს.

ხევსურული და მეგრული პირუტყვის ჯიშები იდენტურია, რაც ძველი დროიდან მოდის. ქვემო ლეჩხუმში, ბოროწინაში, მოჭრილ მუხაში ჩაზრდილი მოზვრის ძვლები, მეცნიერთა დასკვნით ხევსურულ-მეგრულია (ხონის მუზეუმი).

გ. ბედოშვილის აზრით, სოფ. **ღუდას და ღუდას** მთას უკავშირდება ის პუნქტები, რომლებიც რუსულ რუქებზე გუდაურადაა აღნიშნული და ახლაც, ქართველები გუდაურს ეძახიან (ღუდა = გუდა).

„ყორშა“ – მეგრულად ყორეიანი, ქვით ნაგებია.

ღუდას მთა იგივე ღადოა (იმერეთში), რაც სალკლდიანს ნიშნავს. ხევსურებს ჰქონდათ ღუდას ყოვლადწმინდას კულტი. ღუდა-გუდანის სალოცავიც მას უკავშირდება.

დუმაცხო (გუდამაყარი, დუშეთის რაიონი), ამ ტოპონიმს იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები. გ. ხორნაული მას ზანური წარმოშობის ტერმინად მიიჩნევს და ჭანურ ღვთაება ჯუმაჩხას უკავშირებს, რაც ალბათ ახლოა სინამდვილესთან, მაგრამ გ. ბედოშვილი, ჩვეულებისამებრ, ქართული ენის მოშველიებით ცდილობს ახსნას და „მაცხოვრის“ სახელს უკავშირებს, თითქოს ეს ტერმინი შეკვეცილი ფორმით იყოს წარმოშობილი. აკი ბურსაჭირს მაცხუბანს უწოდებენო (2001, 132.22).

დუმაცხო, მეგრულად მაცხოვარის სალოცავის მისასვლელია.

ხევსურეთში, ისე როგორც ეგრისში, მითოლოგიით კოპალა, მორიგე ღმერთის თანაშემწედ არის მიჩნეული, ხოლო ხახმატის ჯვრის დობილებად: აშექალი, მზექალი და სამძიმარია.

ხევსურები ანატორის ჯვარს სცემენ თაყვანს, რაც კოლხური ანთარია. არის სოფელი (დაცლილი) ანატორი. (შეად. ანატოლია)

პატარა კვერებს **ჭიჭიტას** ეძახიან, რაც მეგრულად „პაწაწინას“ ნიშნავს.

„ათენგენობა“ ჩვენი აზრით განთიადის, ანუ ცისკრის, მზის სარიტუალო ზორვაა, მის საპატივცემულოდ მიჩნეული ასადგომი და ალიონის რიტუალია.

„ყანობირი“ – იგივე ყანაა.

„ჩარგალი“ – ჯარგვალია, ვწერდით 2005 წ. თუმცა გ. ელიავას განმარტებით „ჩერგვალი“ ვენახის ჯიშიცაა.

„მაგრანეთი“ – იგივე მარგალეთია.

„ჩარგალში“ გაედინება ჩარგულა, რაც ჩარგალის მდინარეს ნიშნავს. „ულა“ აფიქსიო გამოირჩევა: გომეწრულა, თრანულა, არხულა (შეადარეთ: ჩხარულა, ტყიბულა, ლასკადულა, ხელედულა, ძირულა).

„გუფთა“ ჩეჩნური ენით კი არა, ზანურით იხსნება, როგორც გურიში – მთა, ე. ი. მთის გულის შეკუმშული ფორმა.

„გურის ციხე“ – ცენტრის, შუაგულის ციხეს ნიშნავს, (ზანურად).

უებოტა, ალოტი, ევჟენტი, ჭიაურა (ჭიაური კახეთშია, ჭიათურა იმერეთში), ლიშო, ბუჭყინტა ზანურ-სვანური ტოპონიმებია.

თიანეთში არის ერთგვაროვანი სოფლები: ჩეკურაანთგორი, დულუზაურები, ზარიძეები, დორეულები, კერვალიძეები, გუდანელები...

მ) დუშეთის რაიონი

დუშეთი, ძველად არაგვის ერისთავთა, შაბურიძეთა, შემდეგ მათი „შემცვლელების“, სიდამონიძეთა რეზიდენცია იყო, საშაბუროსთან და ანანურთან ერთად. ისტორიული მთიულეთი ნათლად ასაბუთებს, რომ ძველად ერთი თემი, ცალკე გვარით ყოფილა დასახლებული.

ახლა ტოპონიმები ჩამოვთვალოთ:

„აკუშო“ – სააკვნე თუ არა, მაშინ ალაგია;

„აჭე“ – აჭრილი, დამრეცი ხეობაა (შეადარეთ აჭარა, რაჭა);

„გუდამაყარი“ – დიდი, ქვებიანი ადგილია, მსგავსია გუდარეხი და გუდაური;

„არღუნი“ – სანაჯახეა ზანურად, ე.ი. საჩეხი ტყე.

„ეთვალისი“ – საცქერალა, დასანახი, საჩინოა.

„ინო“ – მცენარე ინას უკავშირდება, მისგან თმის საღებავი მზადდებოდა. ინაშაური სოფელია ვანში. ინო ერქვა მეფე ათამანტის ცოლს, ნიმფას.

„არბოეთი“ – ზანურად საურმიაა (არბი და არბოშიკი კახეთშია);

„არბაჩხანი“ – საურმე სახელოსნოა;

„კორშა“ – ზანურად შეყორილია (შეადარეთ კურსები) ;

„დირჩი“ – მცენარე დირჩოს ან შავ მიწას უკავშირდება;

„კიტოხი“ – იგივე კორტოხი, კონცხი, მწვერვალია (სვან);

„ილტოზა“ – გასაქცევი და სახიზარია;

„ოძისი“ – სანიგვზია ან სათევზაო ადგილია, რადგან „ოძილი“ ზანურად ღრმა წყალია, სათევზაო;

„მუღურე“ – ან ნაღრღნელია, ან „მუხურის“, მხარის, კუთხის შერყვნილი ფორმა;

„მლეთა“ – „მელეთას“ შეკუმშული ფორმაა და გაღმა მხარეს ნიშნავს, (ლეთა რაჭაშია);

„მაქართა“ – ზანურად მახორობაში+ქართას კომპოზიცია და საერთო „ქართას“ ნიშნავს;

„ქვემოაში“ – ქვემო და ახლომდებარეა.

„ქოროლო“ – სადარბაზო, დარბაზოვანია. „ქორო“ მაღალიცაა და დარბაზიც;

„წიფორი“ – ზანურად საწიფლიაა;

„წინამურა“ – ჭიჭე+მურის კომპოზიტია (ლეჩხუმშიცაა და მცხეთაშიც);

„ტონჩა“ – მოთეთრო და გრძელი ალაგია;

„ჭინათი“ – ზანურად საწნელიაა. ჭინა-წნელია (ერთი გურიაშია ლესა-ჭინათი“);

„ხევშა“ – ზანურად ხეობის, ხევისაა;

„აშა“ – აქეთურს, ახლომდებარეს ნიშნავს ზანურ-სვანურად, ასევეა „აფშოც“, მას „აფხუშოს“ ფორმით ახსენებს ვაჟა.

„აღვალა“ – ბარაქიანი და ვრცელი ალაგია. გვაქვს გვარი ღვალაძე.

„ნეძიხი“ – ნიგვზიან-კაკლოვანია.

„ზემოხორხი“ – ზემოოხორო, ზედა საცხოვრისია.

„ჩინთი“ – პატარა და ცუდია(!)

„ლეშქაში“ – სვანური პრეფიქსით ლაქაშიანი, ჭაობიანი არეა, თუ არა და კაშიათა ან ქაშაქაშვილთა ალაგი.

„მუგუდა“ – ქვიანი ადგილია.

„ხარტიშო“ – ეტიმოლოგია საკვლევია.

„სონდა“ სვანთა უბანია, იქვეა სონჩა და სონდისველა, რაც სვანების საცხოვრის ველს, საბალახოს, სათიბს ნიშნავს.

„დოლოშა“ – კლდეზე გადმონადები, ლეყეპოიანი წყალია.

„ნოჯა“ – იგივე ნოჯიკეთი, ნატყევარ-ნაშეშარია.

„ხონის ჭალა“ – სახნავი, ბრტყელი, ვრცელი ჭალა (სულ 7 ხონია).

„გუდანი“ და გუდანის ხატი, ზანურად ქვიან-კლდოვანი ადგილია, ზოგჯერ გუდანს, ღუდას ეძახიან.

„ჭაშა“ – სვანურ-ზანურად ჭას, სიღრმეს უკავშირდება.

„ატაბე“ – მდინარისპირა სერია. ასეთი 6 აღვრიცხეთ საქართველოში, 1 ბალკანეთშია.

„როშკა“ – მდინარეა, ის ხეობის შუაში მიმდინარეს ნიშნავს (შეადარეთ ოშკი).

„როშაფი“ – მეგრულად ქუხილით, გრუხუნით დინებაა.

„დუდაურები“ – გვართან დაკავშირებული ზანური ტერმინია. „დუდაური“ ქართულად „თავაძეა“.

„ვეძათხევი“ – უნიგვზო, უკაკლო ხეობაა.

„მიგრიაულიც“ – მიგრ-მეგრთა ტომს უკავშირდება.

„მუღურე“ – ფხვიერმიწიანი ადგილია.

„ჭართალი“ – იგივე ხმაური, ჭარტალია.

„ხოფა“ – ღრმა, გასახოფი ღელეა.

„ჭოპორტი“ – სვანური ტერმინია. იხსენება X საუკუნიდან.

„კოხი“ – ღარიბი, მწირი, მოუსავლიანი მიწაა.

„ატაბარი“ – აქაცაა. როდოსზეც და ბალკანეთშიც.

„ნოჯიკეთის ქედები“ – ნოჯა და ნოჯიკეთი გვერდიგვერდაა. ნოჯიკეთი კი ისეთი ადგილია, სადაც ადრე ფიჭვნარი იყო ე.ი. ნაფიჭვნარია (მეგრულად).

„წინარეხი“ ზანური ტერმინია. ის წინ მდებარე ქვიან არეს ნიშნავს, რეხი, სწორედ ქვიანია. შემორჩენილია იალაღიძეთა კოშკი.

„ნოკორნის“ ხევი, ნო პროფიქსი ნამყოფობას, წარსულ დროს აფიქსირებს, კორუა კი სამკვიდრო, შესაკრებელი, თავმოყრილი ადგილია. ე.

ი. ნოკორნა ყოფილი შესაგროვებელი, თავშესაკრები, სამოსახლო-ნამოსახლარი ადგილია.

საინტერესოა მეგრული და ხევსურული გვარსახელების შედარება.

ხევსურეთში ბევრია „ური“ აფიქსით ნაწარმოები გვარები.

ქართიზაციამდე ასევე ყოფილა ეგრისის სამეფოშიც.

ფშავური და ხევსურული გვარსახელები რომ ფუძით და შინაარსით ზანურ გვარებს წააგავს და მსგავსია, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ „აფხაზეთის საკათოლიკოსო გლეხების დიდ დავთარში“ (ს. კაკაბაძე, 1914, 12) ფირცხალავა ფირცხელაურად არის ჩაწერილი.

ბალავაძე, რომელიც ახლა იმერეთშია, ძველად ხევსურეთშიც ნაცხოვრება (შატილში).

„ფშავი“ რომ განვმარტეთ, ის განვიხილეთ აფშილებთან მიმართებაში. ისინი ფშასთან, ანუ ღელეებისპირა ბუჩქნარებთან მცხოვრები ხალხია.

დუშეთის რაიონში, ყველაზე მეტია თითო გვარის სოფლები, ესენია: პირმისაანი, ვარსიმიანი, ბანცური, დავითურნი, ვეშაგურნი, ცხვედიეთი, შალიკიანთკარი, საშაბურო, დუდაურები, პეტრიანი და სხვა მრავალი.

ქართლის მდინარეებიდან, აკად. ს. ჯიქია „მტკვრის“ სახელს, მეგრულ „ტკვარუა“ ზმნას უკავშირებდა და ის ნაპირების მტკვერს, მნგრეველს ნიშნავს.

„ქსანი“ – ჩვენი აზრით ხვეულს ნიშნავს. ქართულში იყო გამოთქმა „ერთი ქსანი აბრეშუმი“. ეს გახლდათ ამავდროულად კოლხურ-პელაზგური სამყაროს მდინარის ღვთაება. ტროას მთავარ მდინარეს, ქსანი ერქვა, ქსანი იყო ბალკანეთშიც.

„არაგვი“ მარგვის, მარგვეთის, ზანების მდინარეს ნიშნავს. მდ. არაგოა არის ესპანეთის იბერიაში.

„ლიახვი“ – წყალუხვს და ბინძურსაც ნიშნავს, „ლიახვივით მოდიდდა“.

„თორთლა“ – ხმაურა, ჩუხჩუხა, ფუსფუსაა ზანურად. არის გვარი თორთლაძე (ცხოვრობენ თერჯოლის მიდამოებში).

„ლეხურა“ – სვანური „ლე“ პრეფიქსით გამოირჩევა. ის სახურმიას ან „ლეხორე“-დან (დასახლება) მომავალს ნიშნავს.

„ბებიულია“ – ზანურად ბებნისიდან მომდინარეა.

„ხვედრულა“ – ასევე ხვედურეთიდან მომდინარეა.

„სურამულა“ – სურამიდან მომდინარე ღელეა.

„შვანის წყალი“ – იგივე სვანისწყალია, უდავო ფაქტი იმისა, რომ ამ ადგილას სვანები ცხოვრობდნენ, შემდეგ თათრულად „აბულახლოს-წყალი“ შეარქვეს.

„მეჯუდას“ – „ფცას“, ფრონეს ეტომოლოგია დასაზუსტებელია.

„ღოღიულა“ – ზანურად ღოღეთიდან მომდინარეა.

ფრონე, ასევე ზანურით უნდა აიხსნას. ასევე ზანურ-სვანურ ტერმინებად მიმაჩნია: გვიდაქე, წკერე, ქობულო, ებნისი (ბანიანი სახლებისა), ხარტიშო, ხარაუშა, მუქო, (მუქედი იმერეთშია), დავათი, მუცო, შატილი, ხახაბო, ამხა, ღული, სოდევე, დგნალი, ჭონტილი, ფხუნდაკი, კადოეთი, ჩილდირი (ერთი იმიერ ტაოშიცაა).

ფშავ-ხევსურეთმა და მთიულეთმა დღემდე შემოინახა მეგრული ტერმინები „ქონგური“ – ციხის ქვის ამოღრუტნული, ჩაღრმავებული გულია. მოკლედ „ამოღებულ გულიანია“.

„პაპა“ ზანურად მღვდელია, წვეროსანია, „ბუიანი ბაბაა“ (აქედან პაპავა, პაპავაძე, პაპასკირი, პაპაშვილი, პაპუაშვილი, პაპუნიძე).

„ოშოშია“ მცენარეა, ასფურცელას ეტყვიან. „ოში“, ასია ზანურად.

„ამეჩი“ – ეძახიან ქათმებს და საკენკს უყრიან, რაც ზანურად არის „ა-გაძლევ“, „მიირთვიო“.

„სი დედრი“ – შენ დედრის კომპოზიტია, ისე როგორც „სი+მამრი“.

„ჯამაათი“ – მთიულეთში იგივე თემი, საძმოა (ზანურად).

„ძღაბი“ – გოგოა.

„თოლი“ – იგივე თვალია, ტყაპუჭი – ტყავსაცმელი.

საღარა – თეთრშუბლა, ქერაა.

„ხურჯინი“ – ზანურად მხარსაკიდია. ხუჯი სწორედ ბეჭი, მხარია.

ტერმინი „ხევსურეთი“ ჩვენ განვმარტეთ, როგორც წყაროებიანი ხევი. ეს ზანური ტერმინი კომპოზიტია. წყარო ზანურად სურაა, ხევი კი ზანურადაც ხევია. შეადარეთ გურიის „სურები“ ლეჩხუმის ლასურიაში, „სურმუში“, ქართლის „სურამი“.

„სამოხეო“ – ზანურში ჭირის და ლხინის მოზიარეა.

ეთნოგრაფმა ს. მაკალათიამ ხევსურეთში აღწერა „ონჩხორას“ ტრადიცია. ესაა „საძროხე“, დახმარება დაზარალებული ოჯახისადმი, რაც

გამოიხატება: საკლავით, ქერით, თივით შეწევნაში. ვინც არ შეეწევა „ონჯღორაა“, ე. ი. სირცხვილია.

ვინც შეეწევა, ის „აზარაა“, აქედან აზარაშვილი.

ხევსურულმა ბოლო დრომდე შემოინახა ტერმინი „დიაცი“, რაც ზანურიდან შემორჩა, როგორც დედის აღსანიშნავი სიტყვა.

უდავოდ სწორია ს. მალაკათია, რომ ტერმინ „ფშავს“, ფშას ბუჩქნარიან წყაროებს უკავშირებს. გრ. ზარდალიშვილიც, ხოლო აკაკი შანიძეს, ფშავი „ფხოვის“ ვარიანტად მიაჩნია (გ. ბედოშვილი, 415).

ნ) სტეფანწმინდის (ყაზბეგის) რაიონი

VI ს. ბიზანტიელი მემატიანე, პროკოფი კესარიელი წერს, რომ ძველად, კავკასიის ქედიდან, ლაზეთში შემოიჭრა ჰუნთა (ჰონოგურთა) ლაშქარი. თითქოს, მათთან ბრძოლაში დაიღუპა წმიდა სტეფანე და ამ ადგილას დაფუძნდა მისი სახელობის საყდარი და ქ. ჰონოგურისი.

მკვლევარმა პლ. იოსელიანმა და დოც. მ. სიმონიამ ეს ცნობა, სარწმუნოდ მიიჩნიეს, ჰონოგურისი ხონად, ხოლო გალავანთან არსებული, ყოფილი მინისტრის, აკ. ჩხენკელის წინაპართა აკლდამა, წმიდა სტეფანეს საყდრის ნანგრევებად, რაც გაუგებრობის შედეგია.

XVIII ს-ში, სტეფანწმინდაში, ოსი თავადები, ყაზიბეგები დასახლდნენ და სახელიც ამათ გამო გადაარქვეს. ისე, სად ხონი და სად სტეფანწმინდა, ხოლო XVIII ს. ყაზიბეგთა ჩასახლება, „დიდი არგუმენტია“ ოსებისათვის, ტერიტორიული პრეტენზიების წამოსაყენებლად...

ძვ. წ-ით II-I ათასწლეულებში, ქართლ-კახეთის მთიულეთი რომ ზანებით და სვანებით იყო დასახლებული, ამას ასაბუთებს ტოპონიმია და ჩრდილო კავკასიური ფოლკლორი, რომელიც მოხევეებს და ხევსურებს „სვანებს“ ეძახის.

სოფ. სნო და სნოს წყალი იგივე „შინო“, ანუ სვანური ტოპონიმებია.

აკი თერგსაც „სოანს“ ეძახდნენ, ალაზანს, ანშანს.

„ქოსელი“ – დაბალს, დაქოსილს ნიშნავს. პატარა კაცზე, ზანები იტყვიან „დაქოსილი“ ან „მიქოსილიო“.

„რეხე“ – დასავლეთის ქართველებში გავრცელებული სახელწოდებაა. ასეთი ტოპონიმები ქართლის მთიულეთში და დას. საქართველოში უამრავია.

„არშა“ – სტეფანწმინდის სიახლოვესაა, ის სვანურია და „არისას“ ახლო მდებარეს ნიშნავს. სწორედ აქ შეიყუჟნენ შაჰაბასის ცოლისძმა, ანდუყაფარ ამილახვარი და მისი ცოლი, შაჰ აბასის შვილიშვილი. მაგრამ მათ დასახსნელად, როსტომ ხან ბაგრატიონი აიჭრა მთაში, რომელიც არაგვის გზაზე, ზურაბ ერისთავმა გატარა. „მოისობას“ (აქეთობას) გზა ჩაუკეტა გ. სააკაძემ და ქარჩოხთან სასტიკად დაამარცხა სპარსელები, თუმცა როსტომმა, ალყა გაარღვია და მამას მიჰგვარა ნაწამები ასული...

„დევდარაკი“ – ქვიანი, დიდი ქედია, ჰგავს დევდარიანთა გვარს.

„გერგეტი“ – მაღალ მთაზე აგებული სამების ტაძარია – „გერგეტა“, გერგეტი – ზანურად მზის წარმართული სალოცავი ყოფილა. ერგეტა ზუგდიდთანაა, ხოლო ბალკანეთში ორი „გერგეტ“-ოსია.

„ლაღზნითი“ – სვანურია და ზანების „თი“, სამოსახლოა.

„ზილგახოხი“ – მწერვალია, ეტიმოლოგია საკვლევია.

„ხორისარი“ – ზანურად ოჯახის არეა.

„ბურსაჭირი“ – ბურუსიანს ნიშნავს, ერთი ბურსა კაპადოკიაშია.

„ჯიმარა“ – მწვერვალია, ძმას, ე. ი. სხვა მწერვალთა თანასწორს ნიშნავს.

„წითოხოხი“ – ხოხის ქედი, წითელი მწვერვალი, ძნელად, ხოხვით ასასვლელი „ჭიუხებია“.

„გუდაური“ – დიდი ქვიანეთი.

„უხათი“ – ვანში უხუთია.

„კობი“ – აქაცაა და ბალკანეთშიც.

„ტყარშეთი“ – ზანურად ტყეს შერთული, მიერთებულია.

„ერეთო“ – მოზრდილი დასახლებაა.

„რესის“ – ტეფის, ბურმასის ეტიმოლოგია სარკვევია.

„კარკუჩა“ – ზანურად სახლ-კარია.

„ჯეთა“ – ზედა მთა, ჟიმოე+მთის კომპოზიტია.

„აჩხოტი“ – საძროხეა ზანურად.

„თოთი“ – მთვარისა, ეტყობა აქ მთვარის საზორველი იყო (თოთი ზანურად და ეგვიპტურად მთვარე იყო).

„ფხელიშე“ – ზანურად მხარისა, დასამხარია.

„ყანობი“ – საყანეა, გიმარა ზანურად გასავალია.

„სუატირა“ – წყაროს, თუ არა, სუნს უკავშირდება.

„ზანდეკი“ – სვანურად ზანების საცხოვრისია. ეს კომპოზიტი, ორ ნაწილიანია „ზან“ და „დეკი“, „ნოდოკრა“ – ყოფილი სამკვიდროა.

„ხადა“ – ვგონებ ღადოს (კლდიანის) დისიმილირებული ფორმაა აქედან ხადური.

ო) კახეთი

პროფესორი რ. გვეტაძე წერს, რომ აქემენიდთა სამშობლო იყო ჰერეთი. ისინი მტკვარს კიროსს, ალაზანს ანშანს და იორს კამბისს ეძახდნენ. მეცნიერი იმოწმებს შაჰინ შაჰ კიროსის საბეჭდავის წარწერებს, რაც ლონდონის მუზეუმშია დაცული.

ჩვენი აზრით, ალაზან-ანშანის სახელში იკვეთება სვანთა სახელი „შან-შონ“.

ძვ. წ-ით II ათასწლეულში, ზემო კახეთი ზანებით რომ ყოფილა დასახლებული ამაზე მიუთითებს ადგილობრივი ტოპონიმია.

ტერმინი „ალა+ზანი“, „ულა+ზანის“ შერყვნილი ფრომა უნდა იყოს, ულა ზანურად სვლა, წასვლა, დინებაა, ზანი კი ადგილის სახელწოდება, ამრიგად ზანეთიდან მომდინარე, იგივე ალაზანია.

2005 წ. გამოცემულ ნაშრომში ვწერდით, რომ ტერმინი ალავერდი გარე სალოცავი, გარე სავედრებელია, თუმცა ალავერდი ბალახიცაა. ერთი ალავერდი ზემო იმერეთშია.

მკვლევარი იოსებ ყიფშიძე, ტერმინ ალავერდს, ალერტს უკავშირებდა, ალერტი კი მარტვილის რაიონის სოფ. კიწიაშია.

„არგოხი“ სოფელია ახმეტასთან. არგ, მარგ, ლარგ აფიქსები კი მხოლოდ ზანურში მოიძებნება.

„გათირი“ – სოფელია კახეთში, რაც მეგრულად გაცვლილს ნიშნავს.

ძველი კახეთის მოსახლეობა წანარები, იგივე სან – სანარები იყვნენ, ხოლო „თუში“, აღმართის ჩოჩიალა ურმის კავია, ამრიგად თუშეთი ჩოჩიალა ურმით სავალს უნდა ნიშნავდეს. (?!)

„კოჯორი“ – სვანურად კონცხია.

ზანური ტერმინებია ზროგო და ზრამაგა, ჟალეთი ანუ ჩელეთი, რაც ადრე კახეთის ცენტრი იყო.

„კვეტარი“, კვეტერა ძველი ციხსიმაგრეა და მეგრულად პატარას ნიშნავს.

„ჭარტალა“ – ჭარტალისგან, ხმაურისგან წარმოსდგა. ეს პატარა ღელეა ახმეტაში.

„ჯიმა“, „ჯიმითი“ – მეგრული ტერმინია და საძმოს ნიშნავს, შეიძლება სათემოსაც. შეადარეთ ჯუმათი (გურია) ის დასახელებულია 1393 წლის „შეწირულობის წიგნში“, მის შესახებ, მეორე 1579 წ. განახლებულ საბუთში ჯიმითის გვერდით ძამაურაც სახელდება (გვასალია დასახ. წერილი, 1991 წ., 5. 02).

„მაჩხაანი“ (შეადარეთ ჩხარი) ზანური ტერმინია. ის ხევსურებით არის დასახლებული. ჩხა ფართოს, ვრცელს და არამჭიდროს ნიშნავს. გაფანტულის, მეჩხერმოსახლიანის აღმნიშვნელი ტერმინია. მა აფიქსი, მეგრულად „ჩემს“ აფიქსირებს.

„ულელის“ ხეობა კახეთში რომ არის, ზანურად იხსნება, როგორც ნაცრისფერად დაწინწკლული. ამრიგად დაწინწკლულ ქათამს იმერეთში ულალი ჰქვია. კოლხეთში იყო ღომის ჯიში „ბოჟღა თეთრი“, ე. ი. მონაცრისფრო და მოთეთრო.

„ნარა“ ბარდებიანს ნიშნავს (შეადარეთ ეკალნარი, ბარდნარი).

„საღანძილე“ კი ის ადგილია, სადაც ბალახი ღანძლი იზრდებოდა.

„ლაგოდეხი“ – მეგრული კომპოზიტია. ლაგო, ლაგოზი, „აყალო“ – წითელი მიწაა, რითაც კერამიკას ამზადებენ და ჭურის თავსაც გოზავენ. დიხა, დეხი – ზანურად იგივე მიწაა. ამგვარად ლაგოდეხი აყალომიწიანია. ის წყაროებში XI ს. იხსენიება. ერთი წყარო 1398 წელსაც ასახელებს.

გ. ბედოშვილი „ლაგოდეხს“ კლდედ და ეხად მიიჩნევს;

„მარილისი“ – მლაშე, მარილიანი ადგილია (ერთი ჭიათურაშია);

„მატანი“ – ახმეტაშია, მატანდოსტი ბალკანეთში;

„ვერონა“ – ძნელადსავალია ზანურად. საგარეჯოშია და იტალიაშიც;

„ართანა“ – ზანურად ერთიანია, (ის თელავშია, არდია იტალიაში);

„ორჭობი“ – დასახელებულია „მატიანე ქართლსაიში“ (IX ს.) ის გაჩხერილს ნიშნავს ზანურად.

„ბრეძა“ – ზანური ტერმინია, იგივე ძეგლი ასახელებს და „მრავალძალს“ ნიშნავს.

„ტიბაანი“ – სილნაღშია, შეტბორებულს, ტბორებიანს ნიშნავს;

„ოჯიო“ – საშეშე, შეშიანი ტყეა (ზანურად);

„ინგეთი“ – ინგირის იდენტურია, შესაძლოა საგოდებელი იყოს;

„კოჯორი“ – სვანურად კონცხს, კორტოხს ნიშნავს (ერთი თბილისშია);

„ოსიაური“ – აქაცა და ხაშურშიც;

„ქორეთი“ – მაღალსაც ნიშნავს და დარბაზსაც (ერთი სამტრედიაშია, მეორე საჩხერესთან);

„არგოხი“ – „არგ“ აფიქსი ხომ ზანურია, „ხი“ სამკვიდროს აფიქსირებს.

„დუმასტური“ – მაცხოვრის ეკლესიის მისასვლელი? თავი?

„ხორხელი“ – დიდი სამოსახლო?! (დასაზუსტებელია ა.ფ.);

„დოჭუ“ – დამწვარი, ნახანძრალია ზანურად. მათხოჯში არის გვარი „დოჭვირი“ რაც ოდესმე დანაწვავს ნიშნავს;

ლეჩური სვანური ტოპონიმია (თელავშია);

„ოზაანი“ – საზანოა;

დარჩიები XVI ს-ში საგარეჯოში დაასახლეს და მათ სამოსახლოს დარჩიეთი უწოდეს, ხოლო დამკვიდრებულნი დარჩიაშვილებად ჩაეწერნენ.

ვეჯინი გომბორის, ცივის მთის ციხე და მდინარეა, მეორე ვეჯინი გლდანშია, XI ს. მოიხსენიება. ჩვენი აზრით, ვეჯინი შენილბული, შეუმჩნეველი, დაუნახავი, ფარულია, მცენარეებისგან დაფარულია, ვე არა, უარყოფას აფიქსირებს, ჯინუა – მიჯნი ცქერას.

კახური სოფელ შილდას სახელი ჩამოგავს სვანურ შხელდას (მწვერვალი).

„ყვარელი“ უთუოდ ზანურ „ყვარუა“ ზმნას უკავშირდება და ის საყვარელ, შერჩეულ ადგილს ნიშნავს.

ალექსანდრე I კახთა მეფე, ერთ სიგელში (1505 წ.) ასახელებს სოფ. **ოროტას, ნორიას, ლაკუას, ფხაკის მთამდის.** ესეც მეგრული ტერმინებია (ს. კაკაბაძე, „ისტორიული საბუთები“. III, 43).

თვით კახეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი წარმოშობით მეგრელია. თუ სადავოა ვახვახიშვილის, ლიონიძის და ჯანდიერის წარმოშობის

არეალი, საყოველთაოდ არის ცნობილი ანდრონიკაშვილთა ბერძნული, კომნენოსთაგან წარმოშობა, თუმცა დედით ბაგრატიონები არიან.

ჯორჯაძე (ჯორჯიკია), ბებურიშვილი (ბებურია), ქობულაშვილი (ქობულია), ჩოლოყაშვილ – მაყაშვილი – ირუფაქიძე – რობაქიძე, ვაჩნაძე – ვაჩინადან ან უჩინარიდან და ჭავჭავაძე – ჭავჭანიძეთა იგივეობა, პირადად მე, სადავოდ არ მიმაჩნია. კოკოჩაშვილის გვარში იკვეთება ზანური „კოჩა“.

აკი ლეონტი მროველი წერს, წმინდა არჩილმა, თავისი ერთგული აზნაურები (ალბათ დასავლეთ საქართველოდან) კახეთში ჩაასახლაო.

დაბალი წოდებიდან: ჭიჭიბოშვილი, ჟამუტაშვილი, ჩალაბაშვილი, იოსელიანი, ჯიჯიშვილი, ჯიჯურაძე, საგინაშვილი, ჭიაბერაშვილი, ქვლივიძე, ლოლაძე, ლაფერიშვილი, აბესაძე, ქავთარია, ჭიჭინაშვილი, იმერლიშვილი, მარგიანი, ქავთარაძე, ლობჟანიძე. შინჯიკაშვილი, ბეროშვილი, ბერიაშვილი, კუპრაშვილი, მოდებაძე, ცერცვაძე, კიკნაძე, შაინიძე, სურმანიძე, გულიაშვილი, ჭკადუა, ხაბულიანი, ჩომახიშვილი, ლიპარტელიანი, ელანიძე, სუმბაძე, მოსიაშვილი, სხირტლაძე, რაზმაძე, ნოზაძე, ტაბატაძე, მუმლაძე, ბიწაძე, ტალახაძე, ბრეგვაძე, გუგუნავა, ჩაჩანიძე, ჯავჯანიძე, ლაბაძე, კარდილაძე, ტყემალაძე უკლებლივ კოლხებია, მათგან მხოლოდ რამდენიმე გვარია იმერეთიდან ლაგოდეხში მოგვიანებით ჩასახლებული.

ლევან კახთა მეფის 1537 წლის ერთ „შეწირულობის წიგნში“, რომელიც კახეთის სოფელ გაჟლოტას ეხება, დასახელებულია:

„ყიზილაანი, ჩხეპიანი და შურიანი“ (ისტ. ს. 2. 35).

ვფიქრობთ, ესენი უძველესი გვარებია.

ერთიც აღსანიშნავია: თუშური, ქისტური და ხევსურული კოშკები, სვანური არქიტექტურული ნიმუშებია.

ბ) სამცხე
ადიგენის რაიონი

დეცელი, ენთელი, ზანავი (ზანებისა), დვირი, ძინძე, წყორძის ეკლესია, მუსხო, მორძგვეთი, ზანური ტერმინებია.

გუგუნაური (გუგუნავების ?), გაგვა (გაგუებისა ?), კურცხანის ხეობა ერთი ულამაზესია ადიგენის ხეობაში. ეს მდინარე, ორცხის წყალის შენაკადია. **კურცხანი** მეგრულად ნიშნავს სწრაფს, მჩქეფარეს, დაუოკებელს. ხანდაზმულთა გადმოცემით, აქ ძველად მეგრელი, მეჯოგე ტომები სახლობდა („ძეგლის მეგობარი“, 1986 წ. №2) ეს ზეპირი გადმოცემა, რასაკვირველია სინამდვილეს ეფუძნება.

უნწა, (მცენარეა),

„ოძრხე“ იგივე ოცხეა და მგონი სარცხილიას ნიშნავს), ოცხისწყალი, კეხვი, (კეხიანი, ბორცვიანი, აბზეკილი, შემაღლებული). მეორე **ჩორჩანი** (სარჩენი ანუ ბარაქიანი ყანა), **უდე** (ყუდე) მეგრულად სახლია. **ჩორდვანი** – აქაა, **ჩორდი** კი რაჭაში.

ახალციხის რაიონი

ბობჩა, ბობრი (თეთრი), თისელი (სათესს უნდა ნიშნავდეს), ორადი, პამაჯი (რთული ტერმინია), ჭვინთა (დამწვარი მთა), ჭაჭარაქი (პატარა რაქი ანუ რობი, მთისპირა ჩაღრმავებული ხევი), ოთა (სათავე ?) შურდო (სულის ჩასათქმელი, მოსაბრუნი, იქნებ სულის დასალოცი).

ბორჯომის რაიონი

ისტორიული ტაშირი, რაც მეგრულად ღრმა ხეობას, ჩაღრმავებულს ნიშნავს. (ვ. ბარნოვი მას ტრიალ მინდორს უწოდებს). მდინარის და ქ. ბორჯომის სახელი, თევზის სახეობა ღორჯოს კი არა, მეგრულ ბორჯომს უკავშირდება, რაც ჩაკეტილს (გზის ჩამკეტს) ნიშნავს.

„ბორჯომ+ულა“ ჩაკეტილი ხეობიდან მომდინარეა, ისევ მეგრულად. ძველად, მეგრული სახელი, **ხონი** რქმევია სოფ. წითელსაყდარს.

„კეჩხობი“ – წაღვერშია, ის სათევზაოს ნიშნავს.

„ოსკიფარა“, ისევ მეგრულია, ო სა პრეფიქსია, რომლის შემდეგ სკი სკუა და ფარა ნიშნავს შვილების საფარს, დასამალს, გასახიზნს.

„ოლადის ქვაბნის“ სახელი, გასასვლელს, გასასვლელის ქვაბებს უნდა ნიშნავდეს.

„დადეში“ – თავკაცის, მზრუნველის, მეურვის კუთვნილს ნიშნავს.

„თრულე“ - სათრევს, სათრიელას უნდა ნიშნავდეს.

„ყამიში“ - საყავრიას, ან მეგრულ დანამატს, დამატებას ნიშნავს.

„ჩითახევი“, ჩითახო მეგრულად ნაკლული, ცუდი, არაკონდიციურია, ე. ი. კოჭლი, ანუ მახინჯია. შეიძლება ჩითახევი „ჭითახევის“, ანუ წითელხევის დისიმილირებული ფორმა იყოს.

„დვირი“ -შეიძლება დირეს, ანუ გადებულს უკავშირდებოდეს, მაგრამ დოვე მეგრულად დაღმართია.

„ლიკანი“ (ბორჯომშია) შეიძლება მცენარე ლეკას მრავლობითი ფორმა იყოს.

„თორი“ – მეგრულად საფლობია, ტალახიანია.

„შერვაშეთის მთა“ – (მგონი ამ მთას უკავშირდება გვარი).

„ზედა ნეძვის“ და ქვედა ნეძვის სახელი, ნიგოზს უკავშირდება, ნეძი მეგრულად ნიგოზია.

„ტაბაწყური“ – იგივე ტბაა, წყური, მეგრულად წყალია, ამრიგად ტაბაწყური წყალუხვი, ჭარბწყლიანი ტბაა.

ჟ) ჯავახეთი. ასპინძის რაიონი

ჩუნჩხა, ტურცხი, კუმურიდო – ზანურებია.

„ვარევანი“ – უსადგომო, დაუდგომელი.

„თოთხამი“, კორხი – ზანურებია.

„ოშორა“ – საშორიო, შორს მდებარეა (მეგრულად).

„ოკამი, საკამიაა, ნოჯა, ჯანხოში, ოთა, კოთელია. ერთი ჯანხოთი სტავროპოლთანაა.

„უჯმანა“ – მიღებულია ყუჯმანადან და საყურეს ნიშნავს.

„ტოლოში“ – ტოლოსა, ქუნცა (ქაცვისა) „ოფრეთი“ მიფარებული, ხორენია მოსახლეობას, ოჯახს ნიშნავს.

1929 წ. შედგენილ ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციულ რუქაზე დატანილია ტოპონიმები, რაც არ გვხვდება ახალ რუკებზე, ესენია: ორჭობილი (გაჩხერილი, ხეობაში მდებარე), კოშნი (კოჟნარი, გოროხიანი, ხვანჭიანი) გაგვი.

„ხოჯუარისკენ“ (სახარებოსკენ, მდებარეობს ბაიბურთთან). ხორნის წყალი და ხორნის მთა (ოჯახის, დასახლების, სოფლის წყალი და მთაა). არგანა (არგუნი მეგრულად ნაჯახია, სხვაგვარად საყრდენი ჯოხი), კაპნის ღელე (ე.ი. დაკაპნული, მრავალშენაკადიანი ღელე). მთა „მეღრუკი“ გამოღრული ეროზიით გამოფიტული), ოჩორა (საყანეა), ოჩეშხვე, მეგრულად ყანის ბარაქას ნიშნავს.

„ჭობარეთი“ – მეგრულად საწაბლე ანუ წაბლნარია.

„ჯუმათელი“ – საძმოელს ნიშნავს, ვარენთა-უმთო, უგოროა.

ახალქალაქის რაიონი

„დუმატურცხი“, ტურცხი, შესაძლებელია რცხილას უკავშირდებოდეს.

„ქარცხმელი“, საბას განმარტებით, კეთილფურცლოვანი შავქრცხილაა.

„თოთხამი“ – რბილნარს უნდა ნიშნავდეს (თოთო ხომ პატარა, მოუთავებელი და რბილია).

„კორხი“, იგივე კორტოხია, სერია, კონკია, წვერია.

„მაჭატია“ – უნდა უკავშირდებოდეს სარეველა მანაქას, რომლისაგანაცაა ნაწარმოები გორდის (ხონი რ-ნი) უბნის სახელი მაჭაკეთი.

„ორჯა“ – ო-პრეფიქსი სა-ს მაგიერია, ჯა შეშაა. ამრიგად ორჯა საშეშეა (ორჯა ზანურად მროწლეა, ძროხებია, საძროხეა).

„კოთელია“ – კოდმეანი, მაღალი ადგილია;

„მერენია“ – მეგრულად ტბიანს ნიშნავს (ან დასახლებას სვანურად);

ჯავახეთშია: გოკია, ღრტილა (ხრტილს, რბილს უკავშირდება), ბარალეთი, გოლის ტბა, ვარძია (დაუნახავი, შეუმჩნეველი, შენიღბული).

„სინგრის წყალი“, კარზამეთის ხევი. ერუშეთი. ერები დიდი ოჯახია მეგრულად, აქედან ერუშეთი მისი მრავლობითი ფორმა უნდა იყოს, ვარე ვანი (დაუსახლებელი), ოშორა (შორეული).

ასევეა „ოლავერდი“, ვაჩიანი, ბავრა (შეადარეთ სვანეთის ბავრა), სირქვა და ერინჯაც ზანურია.

„ფარავანი“ განვმარტეთ, როგორც ფულიანთა, შეძლებულთა სავანე, საცხოვრისი. იქ ხომ ჩაძირული სოფლები აღმოჩნდა. „ფარახეთი“ და „ფარავნეში“ რაჭაშია.

„ჩუნჩხა“-ში ჩხა, მეგრულად გაშლილ-გაფანტული, მაგრამ არამჭიდროა. ჩუნის – ეტიმოლოგია გაურკვეველია ჩემთვის.

„მურჯახეთი“ – დასაჯახებელი, დასატაკებელი, შესახვედრი, გზაჯვარედინია.

„თახჩა“ – ჩამოსადები, მაღლა მიმაგრებული სათავსია.

„ერინჯა“ – დიდი ოჯახიანი, ხეებიანი სახლკარია მეგრულად.

„ხორენია“ – საოჯახო დასახლება, დასახლებულია.

თრიალეთი

თრიალეთს განმარტავენ როგორც თრიებიანს, მაგრამ ჩვენ ეს არადამაჯერებლად მიგვაჩნია. ვფიქრობ ეს ტერმინი მივიღეთ ფრიალეთიდან, ფანის თანად გარდაქმნით. ფრიალო კი დამრეცს, ძალზე დახრილს ნიშნავს და ეს, მართლაც ასეთი ოლქია. შესაძლებელია „თრიალეთი“ გასახედ-გასათირს და ვრცელს ნიშნავდეს.

„ნადვალეთი“ – აქ მთიულთა ნამოსახლარს ნიშნავს. ეტყობა აქაც ისევე ცხოვრობდნენ „დვალები“, როგორც ქართლის მთაიანეთში.

„კოხაჯი“ – სუსტი, უნაყოფო, არანოყიერია.

„ლოში“, კლდე-ღრეზე ჩამონადენი წუმბეა, ლეზვივით რომ ეკიდება წყლის მცენარეებს.

„ებანი“ – საბანე, ე. ი. ბრტყელბანიანი. წოფაც ზანურია.

„შაორის მთა (ერთი შაორი ოკრიბაშიცაა). სახელი შუროდან უნდა წარმომდგარიყო, რაც მეგრულად მთის კალთაზე ხეების დასაგორებელი ალაგია.

თეთრიწყაროს რაიონი

ტერმინი ქოთეში, ქოთიანის, ანუ მყრალს ნიშნავს, შეიძლება ქვიანსაც.

„ზირბითი“ – (?) მათი მსგავსია ვანეთი, დრე, ბოგვი.

„მოხისი“ – მეგრულად ჩამოშლილი და ჩამორღვეულია (ერთი კასპშია).

„არდისუბანი“ – მომაღლო უბანი (?), (შეადარეთ არადეთი).

„ორჯოლარი“ – საძროხეა, ორჯი, ერიჯა მდედრი პირუტყვია ზანურად.

„გუდარეხი“ – მეგრულად მსხვილქვიანია.
„ოძის ხევი“ – ნიგვზის ხევია.
„ბოდახევი“ – გაუვალი ხევი, ძნელად გასავალი.
„დურნუკი“ – მეგრულად ჩაღრმავებულია.
„ვანეთი“ – სავანეა.

წალკის რაიონი

„ჩითახევი“, თუ ცუდი ხეობა არა, მაშინ წითელხევია.
„რეხა“, – მეგრულად მსხვილქვიანი ალაგია.
„თეჯირი“, ჩამოფარებული, გადმოფენილია.
„ოზნი“, საზანო, ზანებისა.

სამცხე არქეოლოგიურად

აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი, სამცხის ტერიტორიაზე ასახელებდა შემდეგ ზანურ ტოპონიმებს: **ტოლოში, ჭობარეთი, სალოშეთი, ლოშე, ტიბა.** გამოჰქონდა დასკვნა, რომ ამ ტერიტორიაზე ნაცხოვრება მეგრული წარმოშობის ტომები.

ბრინჯაოს ძეგლების, ცულის და ყალიბის აღმოჩენამ სამცხეში, პროფესორი ოთარ ჯაფარიძე მიიყვანა დასკვნამდე ეთქვა: „ახლა უკვე შესაძლო ხდება ლაპარაკი იმაზე, რომ მესხეთი კოლხური კულტურის სფეროში ექცევა. ამაში გვარწმუნებს ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თავმოყრილი მასალები („მოამბე“ XVI. 53).

ეს, თურმე იმიტომ, რომ მესხეთი, კოლხეთს ემიჯნებოდა!!!

მე კი, კატეგორიულად ვაცხადებ:

„კი არ ემიჯნებოდა, მესხეთი კოლხეთის საზღვარში შედიოდა“.

კოლხურ და სამცხის ბრინჯაოს ძეგლებს შორის „მსგავსებას“ ხაზს უსვამენ: აკად. შ. ამირანაშვილი, პროფესორები: დ. ქორიძე და ო. ფანცხავა, მე კი მათ ვეუბნები:

„მეგობრებო! ეს მსგავსება კი არა, კულტურის და სამეურნეო ცხოვრების ერთობაა, ერთ სახელმწიფოში.

რ) კლარჯეთში

„ახიზა. ხიზა მდინარეზე გადებული თოკის ხიდია, მეგრულად წვრილი თოკია, რაიმეს გადასაზიდად მდინარეზე.

„შხვენჭალა“ – მეგრულად ხვავრიელი ჭალაა, ნოყიერი ჭალაა (შეადარეთ ოჩეშხვე).

არტანუჯს განმარტავენ, როგორც არტაანის + ყუჯს ე.ი. არტაანის ყურს.

„კლისური“ – კლდის რუს, კლდის წყაროს ნიშნავს (მეგრულად).

„ზანავი“ – ზანებისა.

„ხვილიშა“ – (ხვილიფის თავი სამტრედიაში, კულაშის თემში), ნიშნავს მდინარისპირა ბუჩქნარს.

კლარჯეთის დასავლეთში, შავ ზღვამდე, ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ტოპონიმ „ეგრი-ს“, პროფ. ს. კაკაბაძე, ამ ტერმინის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს.

„ხალვაში“ – ხალიანის, ნიშნიანის სინონიმია (გვარ ხალვაშს უკავშირდება);

„გონია“ – კუთხიანი;

„მაკრიალი“ – ბერძენთაგან შერქმეული ტერმინია. ის მანსალის, მარგალის სინონიმია.

„ზურპიჯი“ კი მეგრულად ზღვისპირია;

„ორდალა“ – ნამყოფი, ნამოსახლარი;

„ოხროჯია“ – ოჯახისა (?) ოხორო მეგრულად ოჯახია;

„ოხორდია“ – დიდი სამოსახლოა მეგრულად.

ს) არტაანი

ბაღდადი, ჯინჭრობი, ლორი, სოდურეთი, დუდანა (თავასა). ქუმურის ციხე, ოპიზა (საპირე, პირისპირ მდებარე), სუმჭანკეთი (სამჭიანი), ჭოხორი (დამწვარი მოსახლე?), ეში (ეში ზევითაა, ე.ი. ზევით მდებარე), მიჯნაძორი-საძოვრის მიჯნა (?), იხსენიება XI ს. ბაგრატ IV განჩინებაში.

ტ) ტაო

დიაოხი, ტაოხის დისიმილირებული ფორმაა. **იშხანი** უძველესი ტოპონიმია, აღვლენილ ლოცვას ან წყევლას უკავშირდება (ვფიქრობთ წარმართობის დროისაა). **თუხარისი** – შეიძლება თუთა-მთვარეს და მის მიწიერ ზოომორფს, ხარს უკავშირდებოდეს. **ანჩას** შ. ინალიპა წარმართობის აფხაზურ ღვთაება-ანცვას უკავშირებს, ჩა კი მეგრულად თეთრია, **ორჯონი** (მროწლეს შეიძლება უკავშირდებოდეს). თეფხა საგვერდიაა. **იდი, ურეტი, ორხა** (სარყევი, მორყეული), **კისკიმი, ოშნაგი** (სხვადასხვა, სხვადასხვაგვარი) **ფოცხოვი** – მეგრულად ძნელად გასასვლელია. იტყვიან მიფორცხავსო, გაუვალ, ძიგვიან ადგილს უკავშირდება. ერთი ფოცხო სენაკის რაიონშია.

ტოპონიმ **ბანას** პროფ. ზ. ჭუმბურიძე ბანაკს უკავშირებს, ჩვენ კი ისევ ბანიან სახლს, ან მეგრულად აბანას, რაც სამკურნალო, სააბანოე წყალს ნიშნავს.

„ფოსო“ ძირი, საფუძველია, **ოჯინჯალი** – მრავალშტოიანი ხე, მრავალმხრივია. **ტობა** – ტბაა, **ხონა** – სახნავი. **ჯინჯიგორა** (გორას-ძირი), **ოკამი** (საკამია) **ჯავჯითი** (საქორია). **ურთა, ოროტანი, კოჩანეთი** (კაციანი ე. ი. დასახლებული).

„კოლა“ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ისტ. ოლქია. ძვ. წ-ით II ათასწლეულის ბოლოს კოლხეთში შედიოდა. ტერმინი „კოლხი“, ზოგი მეცნიერის აზრით, სწორედ კოლაელს აფიქსირებს, რაშიც „ხი“ აფიქსი სადაურობას ნიშნავს.

კოლაში არის **„ოჩხი“** (ზანურად თევზის საბუდარი, სათევზაო). **„ვარგენისი“** – (უსაქონლო, უმროწლე-უხბოო).

„ნახირეთი“ შემოზღუდული – შემორაგული;

„თორთუმის“ მხარეში: მრავალი ზანური ტოპონიმია. თვით თორთომის აფიქსი, რთომი მეგრულად ერთგვარი ბალახია, ხოლო თოთო, რბილს, ნაზს ნიშნავს. აქედან, თორთომი რბილნიადაგიანი ან რბილბალახოვანია.

„ხახული“ – ხულას უკავშირდება, ჩვენი აზრით ღრმაა.

„ნიჯგორა“ – ნაძვის გორაა;

„ოლთისი“ – მთის სიგრძივი გასავალია(?);

„ჭიბრეი“ – საწაბლეთია (ჭიბრევი არგვეთშია);

„პარეხი“ – მეგრულად დიდი, ვეებერთელაა.

სპერის მხარეში აღვნუსხეთ: ისპირი, ქიფაისი, ხუნუთი, (სახუნდრისა), მუბურშენი (კუთხეში აშენებული), ნასპერი (ცაგერშიცაა).

უ) პარხალში

„მარაში“, მეგრულად ერთკვირეულს (სახნავს) ნიშნავს, ან კაცის სამოსახლოს.

„პარხალი“, მეგრულადვე დიდი, ვეებერთელაა.

„მესერგური“ მეგრულად შემომესრილის, შემოზღუდულის გულია.

„ვეჟანგეთი“ მეგრულად დაუჟანგავი, დაუზიანებელი, შენახულია.

„ინთკარი“ – გასაქცევი, გასახიზნი კარი (იქნებ სამსახურო კარი?);

„ლიკანი“– ლეკნარია;

„კოშნარა“ – ეგრულად კოჟნარაა, ე. ი. მაღალი ხვანჭიანი ადგილია.

„ბრეძა“ მეგრული ტერმინია და ბევრ ნიგვზიანს ნიშნავს.

„ვანის ხევის“ – სადგომი ხევი.

ჩამოთვლილი ოლქების და მხარეების ასობით ზანური და სვანური წარმომავლობის ტოპონიმი, ქართლოცენტრისტებსაც კი დაარწმუნებს, რომ სამხრეთ საქართველოში, ქართლში, კახეთში და მთიულეთში, ქართლ-მესხების დამკვიდრებამდე, ეს ქვეყნები, ზანებს და სვანებს ეჭირათ. მიგრანტებს, ეს ტოპონიმია მზამზარეული დახვედრიათ, ნაწილი კი თვითონ დაუმკვიდრებიათ, მაშინდელ მოსახლეობას, თანდათან შეუსწავლია ქართული ენა და მიუვიწყებია სატომო საუბარი.

ამიტომაც, ამ მასალებზე დაყრდნობით, გთავაზობთ 3000 წლის წინანდელი კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ რუქას.

თავი მეოთხე

შუამდინარეთის პროტოშუმერები, სირია, პალესტინა

ჩემს სათქმელს ბრძანებს პროფესორი რაულ გვეტაძე, როცა წერს: „სამწუხაროდ, თანამედროვე ენათმეცნიერთა უმრავლესობა, ამ საკითხებში, აბსოლუტურად ვერ ერკვევა. არადა სწორედ 21-ე საუკუნეშია ატეხილი მთელი სამეცნიერო ბუმი, იმის დასამტკიცებლად, რომ მთელი ქალდეური და ბაბილონური კულტურა, სწორედ ჩვენგან იღებს სათავეს“.

ირანის ზეგანი და თვით ინდოეთი, მცირე აზია, სირია, პალესტინა, ჩრდილო აფრიკა და შუამდინარეთი, ქართველური ტომებით ყოფილა დასახლებული, რასაც ასაბუთებს შეკრებილი ტოპონიმია, ლექსიკა და ჰიდრონიმები.

ამერიკელ პროფესორს, სამუელ კრამერს გამოუცია წიგნი „ისტორია იწყება შუმერიდან“ და ი. ჭელიძის მიხედვით, წამოუყენებია „პანბაბილონიზმის“ მსგავსი თეზა.

ქართლოცენტრისტებმა მას დაუპირისპირეს წიგნი: „ისტორია იწყება იბერიიდან“.

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა დაესათაურებინათ – „ისტორია იწყება ქართველური ტომებიდან“, რადგან სახელმწიფო წარმონაქმნები: დიაუხი და კოლხა, უფრო დასავლურ-ქართული ტომები იყო, ხოლო იბერები თუ იგივე ქართებია, მათი ენა, კარდუხების, თაბალების და მუშქების შერევის შედეგია, რაც 2500 წლის წინათ მოხდა, დიდი ფრიგიის განადგურების შემდეგ. მანამდე იბერთა ტომი, წყაროებით არსად სახელდება.

იბერიის სამეფო, შედარებით გვიან, ძვ. წ-ით III ს-ში წარმოიშვა, თუკი ფარნავაზი, მართლაც იყო რეალური პიროვნება...

ადრეული ბრინჯაოს ხანაში, სამხრეთ ამიერკავკასიიდან, ცივილიზაცია და კულტურა, გზას იკვლევდა შუამდინარეთისკენ, სირიისა და ეგვიპტისკენ.

კულტურის და მეტალურგიის გადაცემის პუნქტები, ჩრდილოეთით ლემნოსი, ხმელთაშუა ზღვაზე კრეტა, სამხრეთით კი სირიის და პალესტინის ქალაქები იყო, კიპროსთან ერთად.

ძვ. წ-ით I ათასწლეულის „ქართლში“, გრაკლიანთან ნაპოვნი თიხის საბეჭდავები პარალელებს პოულობენ მესოპატამიურ, კერძოდ ქ. ურუქის საბეჭდავებთან.

გრაკლიანის გორაზე აღმოჩნდა ძვ. წ-ით V-IV ათასწლეულების ოქროს დისკო.

ირკვევა, რომ მესოპოტამიაში, შუმერების დასახლებამდე ქართული ტომები ნაცხოვრება, რომლებიც სვანურ-ზანურის მსგავს ენაზე საუბრობდნენ. მათი ენობრივი მასალა შუმერულში შეჭრილა და დალექილა.

პროფ. ჯ. შარაშენიძის დაკვირვებით, აქადური (სემიტურია. ა. ფ.) ენით არ იხსნება ქალაქების: ნიფურის, ალაბის, ქიშის, ურის, ურუქის, უმას, ერიდუს, ლარსას და ისინის სახელები.

ევროპელი მეცნიერები: ს. კრამერი და ბ. ლანდსბერგერი, მათ „პროტოევფრატელებს“, ან „უბაიდელებს“ უწოდებენ.

შუამდინარეთში კოლხების გამოჩენის შემდეგ, ჩნდება ქვეყანა „ენგერი“ და „ენგერელი ხალხი“, რომლებიც კოლხურ ენაზე საუბრობდა.

ამ. ნიკოლეიშვილის აზრით, კოლხი მეფე, ანმარე (ბატონობდა 3385-სა და 3120 წლებს შორის) „ციდან დაშვებულ კაცს“ ნიშნავს. „ან“ ძველკოლხურად ცაა, „მარე“ – სვანურად კაცი. შუამდინარეთის მითში ხომ არის ნათქვამი, „ურში მეფობა ციდან დაეშვაო“. იმავე ურში, იყო მთვარის ღვთაების, ნანას ტაძარი. პროტოშუმერულ-კოლხურ შუამდინარეთში, ურში შეიქმნა „ურიშიგარა“, ზანურად ურის გოდება, მესამე დინასტიის დაცემის გამო.

ზოგ ცნობას რ. გვეტაძე გვაწვდის. მთავარი ღვთაება აბზუ (ზ. კიკნაძის თარგმანში „აბზუ“ და „აფსუა“, ა. ფ.). მისი სამყოფელია ენგერა, ევფრატის შენაკადი, ხოლო თვით ენგერას ერთვის „ლახუმელა“. მესტიაშიც გვაქვს ენგურის შენაკადი ლახუმელა, სადაც არის სოფ. ლახუმელაც. კ. ჭილლაძის გამოკვლევით, შუმერულად მზე „უთუა“. აქედან დაუთოება, გასწორება, ბაქტერიების დათუთქვა. მისივე აზრით, ტერმინი „ზიკურატი“ მზის ქურაა, ეს არის ხელოვნურ ბორცვზე აღმართული ტაძარი. ისეთ მთაზე, როგორიც თავდაპირველ სამშობლოში ჰქონიათ (65).

საინტერესოა პროფ. კლ. შელიას დაკვირვებები. მას მიაჩნია, რომ ღვთაებების, გორაკების, მდინარეების და არხების სახელებიც კი ლაზურ-მეგრული ენით იშიფრება. დასტურდება, რომ შუმერების მოსვლამდე, იქ კოლხები ცხოვრობდნენ. მათ მეფეს, ანმარეს, ურსა და

კალხუში უმეფია და ის, ერთიანი ქართველური სამყაროს პირველი ძლევამოსილი ხელმწიფე ყოფილა („დიოსკურია“, 2007. VII).

პროფ. ჯ. შარაშენიძეს მოაქვს ქართულ-შუმერულ ტერმინთა პარალელები მ. წერეთლის ნაშრომიდან („სუმერები და ქართველები“, 1912წ.)

„აგარ“ – მინდორი, ქართ. აგარაკი;

„აშ“ – ერთი, ეშთი;

„ბალ-ბალ“ – საუბარი, ჭანურად ბალ-ბლეთი, ყბედობა, ბარბარი;

„ბარ“ – დაბლობი, უდაბნო, ქართულად ბარი;

„ბირ“ – ცეცხლის გაჩაღება, ქართ. ბრიალი, აბრიალება;

„ენენ“ – ენა, ქართ. ენა;

„ერიმ, ერენ“ – ჯარია, (ზანურად ერინჯა მრავალრიცხოვანი ოჯახია, ბევრია (ა. ფ.);

„ქუშ“ – ამოხვნეშა, ქართულად ქოშინი, ღრმა სუნთქვა;

„ნუ“ – არაა, ქართ. „ნუ“ – უარყოფაა;

„რა, რი“ – სიარული. ქართულად, რება, რონინი;

„ფეშ“ – ამოსუნთქვა, ქართ. ფშვინვა;

„დუქ“ – დოქი, ქართულადაც დოქია;

„ეხარ-ხარი“ – წისქვილია, ქართულად ხარ – ხარი, ხმაური, ხრიალია;

„ხართ“ – მარცვლეულის ორმოა, „ხარა“ – მარცვლეულის ჭურჭელი. ჩვენშიც მარცვლეულის სათავსო ხაროა, მარცვლეულის მეორე სათავსოს, ხორგო ჰქვია (ა.ფ.).

„გუბა-გება“ – შუმერულად დგომაა. დამდგარი წყალი, ჩვენში გუბეა;

„ითუ“ – შუმერულად თვეა, ქართულად თუე, თვე;

„კარნუ“ რქას ჰგავსო (მაგრამ რატომ კარს არა? ა. ფ. კარნუქალაქი?) მიაჩნიათ, რომ ჩვენი ენიდან შევიდა შუმერულში ტერმინები:

„უღელი“ და მეუღლე, ანუ „მოკავშირე“, აქედან იოგა (კ. ჭიღლაძე);

„თამადა“ – ჩვენგან შესულა შუმერულში, რაც ჭამა-სმის კი არა, ლხინის მადაზე მომყვანია. აკი კოლხეთში, თამადის ქანდაკება აღმოჩნდა;

„ოჯახირი“ და ოჯახი – ქართველურიდან შესულა შუმერულში და ის ორის ჯახირი, ერთობლივი შრომა-ღვაწლია.

თუ ვინმე შემეკამათება, რომ ამდენი პარალელური მცნება და ტერმინი შემთხვევითია, ვერ დავეთანხმები.

5-4 ათასი წელი გვაშორებს შუმერის ისტორიიდან და ბუნებრივია, ბევრი ენობრივი მასალა წაილეკა, ისევე როგორც პროტოშუმერული;

მკვლევარებმა ზ.ქაფიანიძემდათ.მიბჩუანმარამდენიმეპარალელური სიტყვა გაშიფრეს:

შუმერულად	სვანურად	ქართულად
მარე	მარე	კაცი
შუ	ში	ხელი
მელამ	მელამ	ალი
გურუშ	გურუშ	მდაბიო
ადაბ	დაბ	ყანა
ეზენ	ეზერ	კარგი
იერე	იერე	ვიღაცა
დი	დი	დიდედა
ქი	გიმ	მიწა
დუფ		დაფა
ხარი		ხარი
ბარ		ბარ
გალი		ქალი

„ამარუთუ“ – შუმერულად „მზის ხბოა“ გვარწმუნებენ, საიდანაც წარმომდგარა მარდუქის სახელი. თვით „ამარუთუ“, ზანურ-სვანურად „ამარე“ „ახლო მზეს“ ნიშნავს და ამაში ვეთანხმებით ც. ინწკირველს.

მასვე მიაჩნია, რომ ბედისწერის და დამწერლობის ღვთაება, ნაბუ, ეგვიპტურ თოთს, კოლხურ თუთას და პელაზგურ ჰერმესს ენათესავება, რაც პროტოშუმერულია.

ახლა, ჩვენი დაკვირვებები იხილეთ:

მეცნიერებმა ტერმინი „სანგ-გიგ“, შუმერთა თვითსახელი, შავთავიანად თარგმნეს.

ჩვენი აზრით, „სანგ-გიგი“ პროტოშუმერთა აღსანიშნავი ტერმინია;

„სან“, (ზანს) ნიშნავს, „გიგ“-ის ეტომოლოგია სარკვევია.

„შუმერიც“ წმიდა ზანური ტერმინია და ის „მემთვრალეს“, სმის მოყვარულს ნიშნავს. „შუმირი“ – მეგრულად, სწორედ მთვრალია, ისევე როგორც ჭანურად, საიდანაც თურქულში დამკვიდრდა.

როგორც უძველესი ქართული ტომები, შუმერებიც პატივს მიაგებდნენ მთვარის ტოტემს, ხარს. ამის გამო, მათი მეფეები: გილგამეში, ურნამუ, ენქიდუ, ღვთაება შამაში, ბელი და სხვები, ხარის რქებით არიან გამოსახულნი.

ურუქში იპოვეს ოქროსა და პატიოსანი ქვებისგან დამზადებული ხარის თავის გამოსახულება. ის სწორედ მთვარის თაყვანისცემის პროდუქტია. ამრიგად, როგორც „სანგ გიგ“, ისე „შუმერი“, ზანური ტერმინებია.

„ქალდეა“ – ორი ქართული სიტყვის: „ქალის“ და „დეას“ კომპოზიტია. ის ქალ-დედას, ანუ დედაღვთაებას ნიშნავს. ე. ი. ეს დედაქალღმერთის კუთვნილი სახელმწიფოა. დია-დეა, იგივე ნენაა ზანურში. ასე იწოდებოდა ის, პელაზგურ და ეტრუსკულ ენობრივ სამყაროში. ამას უკავშირდება ჭანეთის უძველესი სახელი ხალდე-ქალდეა. სხვათა შორის, ხალდე სოფელია მესტიაში.

„ბურუნანი“ ევფრატის უძველესი სახელია, ის ისლიან-ბურულიანს ნიშნავს, ე.ი. ჭაობის ნაპირებიანს.

„კურატა“ – ევფრატის შენაკადია, რომლის ფეძე „კურ“, მტკვრის იდენტურია;

„იდიგნა“ ტიგროსის ერთი უძველესი სახელია. მისი მსგავსია დეგეულა (გორთან), გდულეთი (ახალგორთან), მოდეგნა (ახალქალაქთან). ჩვენი ხალხი კი იდიგნას ჭანურად „ორონტს“ უწოდებდა, რადგან ორი მდინარის „ტი“, შვილი, ანუ შერთვის ნაყოფია. ორონტი ერქვა ენეასის ერთ-ერთ ხომალდს.

„შუბარია“ ძალზე ჰგავს შუბანს;

„გილგამეშიანში“ – „გილ“ აფიქსის რაობა გასარკვევია, ხოლო „ში“ აფიქსი ჭანურია;

„ხუმბაბა“ ლახუმელას „ბაბა“, ე.ი. მამაა.

„კენტრიტი“ – მდინარეა, შეადარეთ კინტრიში;

„ინანა“ – მთვარის ღვთაებაა და ის იგივე ნანა – ნენანა (დედაღვთაებაა);

„ბელი“ – ჭანურად იგივე შვილი, ღვთაების ძეა;

„უთენა“ – პროტოშუმერულად დასვენების დღე. ე.ი. სარიტუალო, უთენია ასადგომი დღეა;

„ბაბილონი“ – ძველქართულად მაღლარი, ხეებზე აშვებული ვაზია.

„კაკალი“ – პროტოშუმერულად და ქართულად კაკალია;

„სუქალმახი“ – მეფის დიდი მოხელეა. ამრა – ამარანტის აღმზრდელს, ასევე სულკალმახი ერქვა.

ლაგაშის მეფე ურნანშე ყოფილა, უმასი უში (შეადარეთ უშანგი) ეანათუმის ძეს, ენთემენას, ლაგაშისათვის შეუერთებია, „გუედენას ველი“.

შეადარეთ გუდანი.

2212-2065 წწ. შუამდინარეთს განაგებდა მეფე შულგი. „შურიგე“ სულის მაგიერია, შულგიც სულისას უნდა ნიშნავდეს.

ურის მეფე იბისუენი ელამელებთან ომში დაიღუპა, 2024 წ. რასაც უკავშირდება „ურიშგარა“, ანუ „ურის გოდება“ (ზანურად).

ამ დროს სატაძრო ქონება ქალღმერთ „ბაბას“ (ზან. მამისა) საკუთრებად გამოაცხადეს (ურუქაგინამ).

დასახელებულია პუნქტი „ალაბი“, რაც იგივე დაბაა.

დასახელებულია აქადის მეფე უზბაბა, რაც ასევე „უზენაესი მამაა“ ზანურ ენაზე. ასევეა ურბაბა-ლაგაშის მეფე. ჩამოთვლილია მეფეები: იარმეთა და იბლა.

„ქაშში“, „კასიტები“ ან „კასკები“, ირანის ზაგროსის მთიანეთიდან რომ შეიჭრნენ შუამდინარეთში, ქართველური მოდგმის ტომები უნდა ყოფილიყვნენ (ლურისტანიდან. ა. ფ.).

საინტერესოა მათი მბრძანებლების საკუთარი სახელები. „ში“ აფიქსი ჭანური (ლაზური) ენის კუთვნილებაა.

სახელ „კასტილიაშის“ ფუძეში, ზის „კასტილია“, ასე ხშირი ტერმინი ზანურ-პელაზგური ენების გავრცელების არეალში. ესპანეთში დიდი კასტოლიაა, სიცილიაში კასტელამარია და კასტელდაჩა. ერთი კასტირი, ხონიდან 6 კილომეტრზეა.

„ულამბრიაშის“ ფუძეში, ორი ქართველური ტერმინი გვაქვს. „ულა“ – გაქცევა, წასვლაა, ხოლო მეორე „მბრია“ – იგივე ბრენა, ასევე გაქცევა. ე. ი. ის გაქცეულის შთამომავალი, ხიზანია.

„ბურნაბერიაშის“ ფუძეში „ბურნა“, ევფრატის ძველ სახელს (ბურუნანს) ენათესავება, ხოლო „ბერი“ ჭანურად შვილია. ე. ი. ის, ჭაობიანი მხარის შვილია.

500 წელი, ეს კასიტები თუ ქაშქები ბატონობდნენ ბაბილონში. ლაგაშის ენსი, მმართველი გუდეა იყო, რაც კოლხეთში გავრცელებული სახელია (გუდა, ღუდა, გუდუნა).

„ლაგაში“ – შუმერის ქალაქი, ჩვენი აზრით, ლაქაშში, ჭაობში ნაგებია.

„ქ. ერიდუ“ – ჩვენი აზრით, მოსარიდებელი, სახიფათოა. ერიდუ ხომ პელაზგურ-კოლხური განხეთქილების ღმერთი იყო.

ურიც პროტოშუმერულია, ასე იწყება „ურარტუს“ სახელი (ურეკი!).

„ლარსა“ – ქალაქი იყო, შეადარეთ მთიულეთის ლარსა (ვგონებ სვანურია).

„ისინი“ – ქალაქი იყო, შეადარეთ თბილისის ისანი.

„თიბირა“ – (ბით-თიბირა) ვფიქრობთ თაბალთა, თითბრის ოსტატთა ქალაქი იყო და მათ საქმიანობას ასახავდა.

„მოდუ“ – აქადურად ბრძენია და მას ზანური „მორდუ“, ე. ი. აღმზრდელ-დამრიგებელი შეესაბამება.

„მარდუქი“ – ბაბილონის ღვთაება იყო. მიმაჩნია, რომ ისიც „მორდუს“, დამრიგებელს, კეთილ მწყემსს უკავშირდება.

„შედუ“ და „ლამასსუ“ – შუმერულად „მამრი“ და „მდედრია“. ჩვენი აზრით, ის „შეხედულს“ და „ლამაზს“ აღნიშნავს.

„მუშინ-შიმათი“ – პროტოშუმერულად ბედისწერის გამრიგეა და ჩვენი აზრით, შიში მის მიმართ, „ჟიმ-ჟიმი“-ა.

„ურუქის“ თავდაპირველი ფორმა (გამოთქმა) „ურეხი“ უნდა ყოფილიყო, რაც ზანურად თიხიანს, უქვო ადგილს ნიშნავს.

„ამარგი“ – შუმერებს, დამხვდურთაგან უსწავლიათ და საკუთარ ქალაქში დაბრუნება, დედასთან მისვლაა. ის, ვინც ტყვეს აბრუნებს თავის დედასთან, „ამაგს“, „ღვაწლს“ სჩადის. ასე გააკეთა კიროს შაჰმა, 538 წ. ებრაელები რომ სამშობლოში დააბრუნა.

„თუმუზის სიზმარში“ („ნაკადული“,1969 წ.) ნათქვამია:

„აღმობრწყინდა მზის ღმერთი უთუ.
ზიუსუდრამ გააღო სარკმელი ხომალდის...“

კოლხების, აინებისა და პროტოშუმერებისათვის ტირიფი, საკრალური ხე ყოფილა. მას თვით ღვთაება ინანა უვლიდა, რწყავდა...

„ახუში“, სახლში დღესასწაულს აღარ მართავენ“.

აქ „ახუში“ იგივე ახოა, ყანაა. გილგამეშის გამგზავრებაში ის მიდის „ხორანთადან“, რაც იგივე სამკვიდროა.

„ნერგალის“ სახელი, ნერგეეთის იდენტურია.

ერთ ჰიმნში ნათქვამია:

„წმიდა ლაგვინი დგიმიდან ქვედამხობილიყო,
წმიდა ლაგვინიდან რძე აღარ დიოდა“ (42).

აქ ლაგვინი თიხის ჭურჭელი, მეგრულ-იმერული ჭურია.

„ურიშ გარაში“, დასახელებულია ეგალმახის ტაძარი და ღვთაებები: „ბაბა“, „ზუენა“, „ინანა“, „შარა“, „ლამარი“...ლამარის კულტი იყო სვანეთშიც.

ცეცხლის ერთ ჰიმნში ნათქვამია:

„გიბილ, არმურო, ქვეყნად ავარდნილო“.

ჩვენ ასე ვთარგმნეთ: „გაბრიალებულო ალმურო, ქვეყნად ავარდნილო“. ერთ ღვთაებას, სვანური (ალაზნის) სახელი, „ანშანი“ ჰქვია და ის გაგას გზავნის „ლახამუსკენ“ (ლეხი, ლეხუმი, ლახამულა).

ტერმინი: „უსალლიქი, ბელი-ბელეთი, ილათ-ილათია“, რაც ვთარგმნეთ: „უსალუქესი შვილთაშვილი, მოხერხებული“.

„ლუდლუ“ – აღსარებაა, ჩვენებურად ლუღლული.

„მუნნიშუ“ – სნეულებაა,იგივე ბღერი, მუნი.

„მითანგურანი“ – ვიღაც გულადს ნიშნავს.

„ნებროთის“ ქვეყანა, სენაარია, იგივე ზენა, მთიანი, აღმა არეა.

საინტერესოა ის, რომ მზის ღმერთს შამაშს Ѳ („დე“) გრაფემა უჭირავს ხელში.

სირიის ქართველური ტოპონიმია

არბილი სირიული ქალაქია. მუშქ-მესხების ყოფილ საცხოვრისზე. სახელი ჰგავს კახეთის სოფ. არბოს. ერთი „არბო“ გორშიცაა.

„დამასკოს“ სახელი, შესაძლოა „დეასკოს („დედაღვთაების ძე“) შერყვნილი ფორმა იყოს.

„ხარანია“ ზანურად დიდი დასახლებაა.

„კარხემიში“ – ზანურად „ხეობის დიდი კარია“. სწორედ აქ, ძვ. წ-ით 605 წელს, გადამწყვეტ ომში, პარაზიტი ასირიის იმპერია დაეცა. მეფე ასურუბალიტი დაიღუპა. მისი ქონება, 3 ტრილიონ 800 მილიარდის ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, გამარჯვებულმა მიდიის მეფე კიაქსარმა და ბაბილონის ხელმწიფემ, ნაბუქოდონოსორმა დაინადავლეს.

„მუქიში“ – მუშიქის (მუშქის. ა. ფ.), ანუ მესხების დასახლება ყოფილა. ე.ი. კოლხ-მესხები რომ სირიაში ცხოვრობდნენ, მერე ამოიწიეს ჩრდილოეთისკენ აქადელმა სემიტებმა და როგორც ჰეროდოტე წერს, კოლხებისგან ისწავლეს წინადაცვეთა...

„ვაშუკანი“ ზანური ტერმინია. „ვა“ აფიქსი უარყოფისაა, შუკა ჩასახვევია და ვაშუკანი, სწორ ადგილას მდებარე.

„აშური“ – ასირიის ძველი დედაქალაქის სახელიც, წმიდა ზანურია და „სულისას“, სულის ღვთაების სალოცავს ნიშნავს. მისი მსგავსია ქართლის „ხაშური“, „ხორის“ და „შურის“, ე. ი. ოჯახის, კერიის ღვთაების, ან სულის სალოცავი.

ასურეთის ძველისძველი ქალაქი **კალხუ**, იგივე კოლხურს, კოლხებისას ნიშნავს.

კალხა ერქვა ტროას მთავარ ქურუმს („ილიადა").

„მოსული" წმიდა ქართველური ტოპონიმია, მოსულთა სამკვიდრო.

„ნინევია" – ზანური ტოპონიმია. ის, ასურეთის ახალი ხანის დედაქალაქი იყო. დიდი ნენანა-ნინეს საკურთხეველი ყოფილა. ქართველური ტომებიდან უნდა მიეღოთ სირიელებს ინანას კულტი. დიდი დედაღვთაება, „ნენანა", დასახლებულია ფესტოს სარიტუალო დისკოზე (პროფ. გ. კვაშილავა).

ჩვენთან, **ომალოს** ახლო, არის მთა **ღიღილო**.

სირიაში, რეტის **ომალოსთან** არის მთა **ღიღილო** (კ. ჭ.). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ფინიკიელთა პანთეონის ღვთაებათა სახელები არასემიტურია. მაგალითად, ჩემი დაკვირვებით ტანიტი და მელქარტი-ს „ტი" აფიქსები ჭანურია. თუ „ბაალი" ძველქართული ღვთაებაა, ბაალ – ქამონი, ხომ ღვთაება ამონია. საინტერესოა ეშმუნის და მოლოქის სახელები. ამას შემდგომი კვლევა სჭირდება.

პალესტინა

მეცნიერებაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ თუ ტვიროსი ტარსენებმა დააარსეს, თვით ებრაელთა ტერიტორია იბერებს სჭერია და მათგან მოდის ტერმინი „ებრაელი".

გალილეის სახელი, ძალზე ჰგავს სამეგრელოს გალს.

გოლეინის მთები, ქართულ ენაზე შიშველი, უტყეო გორაკებია. აკი ხონის რაიონში გვაქვს გოლაჯიქე, გოლოური, რაც შიშველ, გოლიან მთას ნიშნავს;

ასევე უნდა გაიხსნას „გოლგოთას" სახელიც.

ეგვიპტურ-სარდანული და ქართველური ენები

ზევით ვწერდით, რომ სამხრეთ ამიერკავკასია და ანატოლია ყოფილა კაცობრიობის თავდაპირველი აკვანი. ჩათალ-ჰუიუქის ენეოლითური ხანის საცხოვრისები, უძველესია მსოფლიოში (ჯ. მელარტი).

VI ათასწლეულში, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აყრილა და გადასახლებულა. ძვ. წ-ით III ათასწლეულის ბოლოს, დასავლეთ მცირე აზიის მკვიდრნი, ეტყობა დასავლეთით გადასახლდნენ.

წინა ქართველებს, კავკასია დაუტოვებიათ და ეგვიპტე-შუამდინარეთში შეუღწევიათ, რასაც განაპირობებდა:

ა) სტიქიური უბედურებანი

ბ) ტემპერატურის ცვლილება, გვალვა და მოუსავლიანი წლები

გ) სამხედრო კონფლიქტები

დ) მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა.

ზოგი მეცნიერის აზრით, ძვ. წ-ით VI ათასწლეულში, ან უფრო გვიან, ნილოსის ხეობის ჩრდილო ნაწილში, შეუღწევია ქართველურ ტომებს და აუთვისებია.

მოყოლებული VI-V ათასწლეულიდან დღემდე, ასობით და ათასობით სიტყვა წაილეკა და დავიწყებას მიეცა, მაგრამ ძვ. წ-ით V საუკუნეში, ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, ქართველთა და ეგვიპტეთა მსგავსებას ამჩნევდა.

XVI-XV სს. ძვ. წელთაღრიცხვით, სტიქიური უბედურების თუ სხვა მიზეზით, ე. წ. „ზღვის ხალხები" სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ დაძრულა. ზოგი იტალია-სარდინია-კორსიკა-სიცილიას წვევია. ზოგს, მაგალითად სარდანებს, სარდინია და ლიდია დაუსახლებიათ და იქ პირველი ლითონის ფული მოუჭრიათ. ერთ ნაწილს კოლხეთისა და ურარტუსათვის მიუღწევია. სარდანთა შფოთიან ტომს, რომელიც ეგვიპტეში დამკვიდრდა, ფარაონის არმიის შემადგენლობაში შესულს, მონაწილეობა მიუღია ხეთების წინააღმდეგ, 1289 წ. ქადეშის ომში. სარდანები, ლიბიელებთან კავშირში, ოპოზიციაში ედგნენ ფარაონებს... ამიტომ ისინი ეგვიპტიდან გააძევეს.

ეთიოპია კი ეჭრათ აბისინიელებს, ანუ აბსუებს, ეგვიპტელები კი ქაფთუები იყვნენ (კ. ჭილლაძე). ახლა ბერ-ბერებიც იბერებად მიაჩნიათ.

აფრიკისათვის, სახელი ლიბია, კოლხთა მონათესავე ლიბიურ ტომებს, იქ ჩასახლების შემდეგ უნდა შეერქმიათ. მათი პირველი დასახლება ეგვიპტე-ლიბია-კირენეიკის ზოლშია სავარაუდო.

ძვ. წ-ით XI საუკუნეში, ქართველთა ყოფნას მდინარე ჰაპის (ნილუა) ქვემო წელზე არსებულ ქალაქებში: ტანაში (ტანისი) ონში (მერმინდელი ჰელიოპოლისში) და საკარაში, რომლებიც ქართველური ტოპონიმებია, მოწმობს ფრანგი არქეოლოგის მიერ 1963 წელს საკარაში ნაპოვნი საფლავის მოხატული ქვა. მასზე გამოხატულია ღვთაება გორი (იგივე ქორი) ბრჭყალებში ჩაბღუჯული ქართული ასომთავრული Ⴆ (დ) გამოსახულებით, მის ქვევით, ნ. ფოფხაძეს შეუმჩნევია ქართული, მხედრული წარწერა „იბერ". მკვლევარი გვარწმუნებს, რომ ამით, მისმა შემქმნელ-

მა საზოგადოებას მიანიშნა, რომ წარწერა და ნიშნები, იბერთა ენაზეა შედგენილი (ს. მაკალათია. კრებული, 2013.83).

ეს გამოსახულებები, მეც ბევრჯერ დავათვალიერე, მაგრამ ტერმინი „იბერი“, ვერ შევამჩნიე.

სარდან-ლიბიელები, ეგვიპტეს რომ ეწვივნენ, მაშინ, თვით ადგილობრივნი, მათს მსგავს ენაზე მეტყველებდნენ.

ეს არის, დაახლოებით 3300 წლის წინანდელი ვითარება და ენობრივი სხვაობა, დამხვდურთა და მათ შორის, დიდი არ იქნებოდა.

მკვლევარ კ. ჭილაძის დაკვირვებით, კოლხურ მონეტაზე გამოსახული ქალღმერთი, ისიდაა და მისი სახელი იშიფრება, როგორც „მისი და“, ე.ი. ოსირისის და.

ოსირისის სახელი, ჩვენი აზრით, წინარე ქართულია და ჩამოჰგავს: „ოსიას“, ოსაძეს, ოსიაურს, ოსოქოლოს.

ეგვიპტის ორი ღვთაება, თოთი (იგივე თუთა, ა.ფ.) და ოსირისი, კავკონურ-კოლხურია და სწორედ ამათ ასწავლეს მსოფლიოს მიწათმოქმედება, ირიგაცია, ასტრონომია, წერა-კითხვა, პირამიდების აგება, შადუფი, წამლობა, ბორბალი.

რუსმა პროფესორმა, კოვტუნმა შეისწავლა მრავალი პარალელური სიტყვა, თუმცა ასობით კოპტური „მასალა“ დავიწყებას მიეცა.

ავიღოთ ვლადიმერ კოვტუნის მიერ შერჩეული პარალელური სიტყვები:

კოლხური:	ეგვიპტური:	მდინარეები:
გუმმა,	გუმმა	ტაბარუკ – დაბარუკ
ბაგადა,	ბაგად	ხობი – ხობი (ხოპი)
სამხარია,	სამხარა	გუმა – გუმა (გუბა ა. ფ.)
აკაპა,	აკაპა	ატბარა – ატბარ
გოანდარა,	გონდარა	
კოლდახვარი,	კოტლახვარ	
ჩელოუ	ჩელოვ	
ზასხან	ზასხალ	
გუბაზ	გუბაზე	
შარდინ	შარდაკ	
შაბაკ	შაბაკუ	

ე. ი. ეს ენა, კოლხურ-ზანურის მსგავსია და არა ქართულის.

მეტიც, იალბუზთან, ბაქსანის ხეობაში, რომელიც ძველად კოლხ-კავკონებს ეჭირათ, მეცნიერებმა მიაკვლიეს გვირაბთა ისეთსავსე სისტე-

მას, რომელიც ხეოპსის პირამიდაშია და ის ეგვიპტურზე უფრო ძველია, მაგრამ ვერ გაარკვიეს, ისინი ჩამოსახლდნენ კავკასიაში, თუ პირიქით (65 კ. ჭიღლაძე). ამასთან აუცილებლად მიმაჩნია განვიხილოთ „ბაქსანის“ რაობა.

„ბა-ბა“ ზანურად და სვანურად მამაა. ქსანი კი მდინარის კოლხურ -პელაზგური ღვთაება. ამრიგად, ტერმინი, მდ. ქსანის, მამაღვთაების აღსანიშნავია. ეს მკვიდრი საბუთია იმ ხეობაში კავკონ-სვანთა მოსახლეობისა. „რა“ ტერმინი, მისი განმარტებით, მზის ბორჯღალის აღსანიშნავია, „რამზე“ აქედან მოდის. „რა-ჭა“, მზის ჭას, სიღრმეს ნიშნავსო. ჩვენი აზრით, ტერმინი „რა“ რონინს, რებას, სვლას აღნიშნავს და ის „მოსიარულე, მოგზაური“ ამონის აღსანიშნავია. თვით „ამონი“, „ამოს“ მრავლობითი ფორმაა.

რა-მზე, წმიდა ქართული ტერმინია და ის „მოსიარულე მზეს“, მოძრავს ნიშნავს. მაშინდელმა ქართველებმა, ეტყობა კარგად იცოდნენ, რომ მზე ბრუნავს, მოძრაობს და მოგზაურობს. „ამონ-რა“ – ამოდ მოარული მზეა.

ქართულ-შუმერული „ათენა“, ეგვიპტურში „ატონის“ ფორმით დამკვიდრდებულა. ათენა განთიადის ღვთაებაა და მზე, სწორედ გამთენებელია, ამიტომ ათენა, „რას“ ნიშნის მატარებელია.

ამენ+ხოტებ მეოთხემ, სცადა რა ერთღმერთიანი რელიგიის შემოღება, ეხნატონი, ზუსტად „ენქიათენა“ (ათენას-ატონის სასარგებლო) დაირქვა. მისმა მზეთუნახავმა ცოლმა, ნეფერტიტ-ათონი, ქალიშვილმა კი „თუთა ანქი-ათენა“ დაირქვა, რაც კოლხურად მთვარის და მზის დისკოს (ბორჯღალის) თაყვანისმცემელია.

რუსი მკვლევარი, ვლადიმერ კოვტუნი და გერმანელი რიხტერი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფარაონების სისხლში, „კავკასიური იოგა“ იჯდა. ისინი დარწმუნდნენ კოლხების და ეგვიპტელების ნათესაობაში.

„იოგას“ კ. ჭიღლაძე განმარტავს, როგორც „უღელს“ („იოგელ“) და ის გამაერთიანებელს, დამაკავშირებელს ნიშნავს (63).

ფარაონ სენუსერთ მესამის ქანდაკება, ასე რომ, ჰგავს კავკასიურ ტიპს, ძვ. წ-ით 2000-დან 1785 წლებს შორის მეფობდა. მისი სახელის ფუძეში „სან-სენი“ იკითხება. მისი მსგავსია სხვა ფარაოს, სენეფერის სახელი, რაც ჩვენი აზრით „ფეროვანი სანია“.

ერთი ფარაოს, ნესპანეტჯერენკეს სახელის ფუძეში, იკითხება „ესპანეტ“, ხოლო „ჯერენკე“ ჯრიკის, უძრავის აღსანიშნავი ტერმინია.

ლუქსორი, თებეს უბანი იყო, რაჭაში გვაქვს „სორი“ და „ლესორი“.

დიდკაც პესირეს პროფილი (2778-2723 წწ.), ხუროთმოძღვარ ამენ-ხოტების (ძვ. წ-ით XV ს.), ფარაონ ხეფრენის, ბრწყინვალე დედოფალ ნეფერტიტის და მისი მეტოქის, კიიას სახეები, საკარაში რომ არის გამოკვეთილი, შესანიშნავია. ერთ ძვ. წელთაღრიცხვით 2560-2400 წლების აკლდამაში, (საკარა) გამოკვეთილია ახალგაზრდა ქურუმები და მსხვერპლშეწირვის სცენა. ფიგურები პროფილშია გამოსახული, მაგრამ მრგვალი თავი, წინ წამოწეული ცხვირი, ნაჯახა სახე, უკან გადახრილი, ვიწრო შუბლი, ძალზე ჩამოჰგავს კავკასიურ ანთროპოლოგიურ ტიპს.

ძვ. წ-ით 1350-იანი წლების ახლო ხანებს ეკუთვნის კარნაკის ერთი ფრესკა, რომელზედაც მიხატულია დიდკაცი, მარცვლეულის შემოსავლის აღმწერი ნებანუმი. ის, ვითომ ნადირობის პროცესშია გამოსახული, ოღონდ მდიდრულად მორთული, ასეთსავე ცოლშვილთან ერთად. ე.ი. ნებანუმი, რაღაც რიტუალს ატარებს. მისი ცოლშვილის პროფილიც კავკასიურია. თვით სახელი „ნებანუმი“, ნებიანს, უნარიანს ნიშნავს.

ჩვენ, ქვევით შევჩერდებით ეტრუსკული ტრიკლინიუმის ფრესკებზე, რომელიც მათგან, ტანსაცმლის პომპეზურობით გამოირჩევა.

ჩვენამდე მოაღწია ზემო ეგვიპტის მიერ, ქვემო ეგვიპტის დამორჩილების ამსახველმა ქანდაკებამ. მასში ღვთაებები და ფარაონები, პროფილში არიან გამოსახულნი და ანთროპოლოგიურად, ხეთურ-კავკასიურ ტიპს ჩამოჰგვანან (საკარა).

ასეთივე მსგავსებას ვამჩნევ, მხვნელ-მთესველ ცოლ-ქმარსა და ყურძნის ფეხებით მწურავ ჭაბუკების სახეებში.

მათ ჩამოჰგავს დიდკაც ჰესირეს პორტრეტი: მრგვალი თავი, მოგრძო, კეხიანი ცხვირი, უკანგადახრილი, ვიწრო შუბლი (გომბრიხი, 61).

პროფილში, ასეთივეა თუთანხამონის და მისი მეუღლის ნახატები, რომლებიც პირისპირ სხედან, მდიდრულად მორთულნი (ძვ.წ-ით 1330წ.).

მეტად საინტერესოა, საკარაში აღმოჩენილი ტაიას მასტაბა. ჯერ ერთი, ტაია, კოლხური სახელია, მეორეც ის 2494-2345 წლებით თარიღდება. ტაია, ნიუსერეს პირამიდების ზედამხედველი, დიდკაცი ყოფილა, რიტუალის მონაწილეთა სახეები, ასევე ქართველურის ტიპისაა.

ფარაონი ხეოპსი და დედოფალი ნეფერტიაბეტი (ძვ. წ. 2500) რომელიც ავაზას ტყავის კაბაშია გამოწყობილი, ქართველური ტიპისაა.

მომხიბლავია სენეფერის და მისი ცოლის პორტრეტები. ის, თებეს მმართველი ყოფილა და მეფის მეტად საყვარელი კაცი. „მეფემ იცოდა ჩემი ფასიო“ ტრაბახობს...

ძვ. წ-ით 2000 წ. შესრულებული მუსიკოსი გოგონების სახეები, ასევე ჩვენებური, ანთროპოლოგიური ტიპია (ილუსტრირებული ისტორია, 026).

ღვთაება ოსირისის წინაშე გამოცხადებული მიცვალებულების სახეები, ასევე წაწვეტებული სახის ნაკვთებით გამოირჩევიან („მითოლოგია“, მაცნე, 10).

რამზეს მეს[illegible] და ღვთაება ოსირისის გამოსახულებები, თანაბარი ზომისაა, ოლონდ ოსირისის გვირგვინს, ხარის რქები და სფერო ამკობს. ასევე, რქებ შორის, სფეროთია გამოსახული ხარ-ღმერთი აპი.

დიდკაცი მენსუემსაფი, რას თაყვანისმცემელი, ანთროპოლოგიურად ისიდას და ჩვენებურ ტიპს ჰგავს (მოთოლოგია 293).

ძველი ეპოქის ეგვიპტის ფარაონის მარაოზე, სხვა მაგიურ ნიშნებთან ერთად, ორივე მხარეზეა გამოსახული ასომთავრული „Დ“ (დონ) გრაფემა და მის გვერდით „ბან“-ის მსგავსი ნახატი.

ტანის ნეკროფილის ფრესკაზედაც, რომელიც ძვ.წ-ით 800 წლის ახლო-ხანებისაა, შევნიშნეთ ასომთავრული „დონ“ გრაფემა და მაინც, ეგვიპტური, კრეტული და ეტრუსკული ფრესკების ტიპაჟები ერთმანეთის მსგავსია. ეს საკითხი ხელოვნებათმცოდნეებისა და ანთროპოლოგების კვლევის საგანი უნდა გახდეს.

პირადად მე, მათზე დაკვირვება, მეტად მარწმუნებს, რომ სამივე ეს ხალხი: ეგვიპტელები, კრეტელები და ეტრუსკები, ზანურ-კავკონურ-პელაზგურ-იბერიული წრმოშობის ხალხია.

1700-1680 წლებში ეგვიპტეში ღიკ-სოსები („მწყემსთა ღმერთები“) ბატონობდნენ, მათთან ბრძოლაში დაიღუპა ფარაონი სენეკირა. მის სახელში „სენ-სან“ და „კირა“ ძევს. ჰგავს სენაკასაც.

მათ დროს დასახელებულია პუნქტები: ავარი, მარუქანი, ჯახისი. მეფეები: იახმოსი, იაქოტბე, ხეხემხუტი.

თვალი გადავავლოთ ლიტერატურას:

ჰეროდოტე პალიკარნასელი, როცა საუბრობს ეგვიპტელთა და კოლხთა ნათესაობის შესახებ წერს:

„ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი, იმაზე უწინ, ვიდრე სხვათაგან მოვისმენდი და ისე ვიტყოდი და

რადგან ამას ვფიქრობდი, შევეკითხე ორივეს. კოლხებს უფრო ახსოვდა ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ კოლხები სესოსტრისის ლაშქრიდან არიან... კოლხები შავგვრემანები არიან და თმახუჭუჭები... მხოლოდ კოლხები და ეთიოპიელები არიან, რომლებიც თავიდანვე მიმართავენ წინადაცვეთას... მაკრონები და თერმოდონტთან მცხოვრები სირიელები ამბობენ, რომ ეს კოლხებისგან ისწავლეს...

მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად. მთელი ცხოვრება და ენა (ხაზგასმა ჩვენია ა.ფ.) მსგავსი აქვთ. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტურს კი ეგვიპტურს". (2.105).

მაშინ ენობრივი მსგავსება თვალსაჩინო ყოფილა...

ბერძენი არგოსი წერს, რომ „აია, სესონქოსის (სესოსტრისის ა. ფ.) დროიდან მოყოლებული, მკვიდრად დგას და მისი მკვიდრნი, ამ მეფის მიერ ჩამოსახლებულნი, ეგვიპტელთა შთამომავლებია"...

მსგავსებაზე წერს ლამბერტიც.

სკიმნეც დასძენს, რომ კოლხები ეგვიპტელთაგან არიან წამოსულნი და ამით ჰეროდოტეს ეთანხმება („არგონავტიკა", შესავალი, ვ. 9).

1872 წელს, გაზეთ „ივერიაში", ნ. გამრეკელმა გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, ეგვიპტელთა ექსპედიციის შესახებ კოლხეთში". მას, დაბა ხონი, აიეტის სატახტო ქალაქად მიაჩნდა და აპოლონიოს როდოსელის მიერ აიას მდებარეობის აღწერა: მდინარიდან მოშორება, მის წინ ვრცელი ველი, ამის საბუთად მოჰქონდა. წერდა რომ, რამზეს II თავისი ჯარის ნაწილი კოლხეთში დასტოვა (პ. ვაჭრიძე, 1977, 12).

სამწუხაროდ, მაშინ ნ. გამრეკელს არაფერი მოეხსენებოდა, ეგვიპტიდან სარდანთა, კოლხთა მონათესავე ტომის აზიაში მიგრაციის შესახებ.

ჩვენ, ადგილზე ვერაფერი მოვიკვლიეთ, გარდა იმისა, რომ ხონი, ეგიპტური მთვარის ღვთაების, ხონსუს იდენტურია და შესაძლოა, სარდანთა დაარსებული. ეს რომ ბრინჯაოს გვიანდელი ეპოქის სამოსახლოა, დასტურდება არქეოლოგიურადაც.

საქართველოში ჩამოსულმა (1822 წ.) ფრანგთა სავაჭრო კონსულმა, კავალერმა გამბამ აღნიშნა, რომ პროფესორ **რაულ რეშოტს** შეუგროვებია საბუთები, კავკასიაში ეგვიპტელთა კოლონიების შესახებ, რაც თითქო, ფარაონ სესოსტრისის ხანას უკავშირდება (1987 წ. 103), მაგრამ ჩვენ ვერ მოვიპოვეთ...

ჰეროდოტეს დროს, შესაძლოა, ენობრივი მასალა მეტი იყო. მას ეგვიპტური სტატუეტების შესახებაც მოუთხრეს, მაგრამ ძნელია დადგენა, მართლაც იდგა თუ არა ასეთი სვეტები კოლხეთში...

ახლა კრეჩმერის მეტად საინტერესო მიგნება გავიხსენოთ:

ჰეროდოტეს, არაფერი მოეხსენებოდა, სარდანთა კოლხეთში დასახლების შესახებ. მან კი დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ჰეროდოტესეული ეგვიპტელებისა და კოლხების იგივეობა, სინამდვილეში, სარდანულ-კოლხურის დაკავშირებას ნიშნავს (რ. გორდეზიანი. 156).

კრეჩმერის აზრით, კავკასიაში ნაპოვნი ჩაფხუტები, რქებით რომ არის მორთული და მათში სფეროა ჩასმული, კოლხეთში, სარდანთა ჩასახლების შემდეგ შეიძლება გაჩენილიყო.

მსგავსი სკულპტურა, 1949 წ. ნაპოვნი იქნა სოფ. კინჩხაში და გადაეცა თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმს, ბოლოს კი დაიკარგა.

რ. გორდეზიანმა სარდანებს დაუკავშირა რაჭის შარდომეთის და სამეგრელოს სორტას სახელები.

ჩვენი აზრით, მათვე უკავშირდება გვარსახელები: სორდია, სიორდია სართანია, სარდანაძე, სადრაძე. იტალიაში არის გვარი სორდი (ალბერტო).

პელაზგ-სარდანებს ურარტუშიც შეუღწევიათ. ჩვენი აზრით, სწორედ მათი დინასტები იყვნენ, მრისხანე მეფეები: არგიშტი, მენუა (მენე), სარდური პირველი, სარდური მეორე, რუსა...

სარდანებს, რომლებიც ეგვიპტიდან გამოაძევეს, თან მოუტანიათ გვიანდელი ეგვიპტის განახლებული პანთეონი და ზოგიერთი ენობრივი მასალა. შუა ხანის ეგვიპტის პანთეონში მთავარი იყო: ამონი, მისი ცოლი მუთი და ვაჟი ხონსუ (მთვარის ღვთაება). მას კოლხური თუთა შეესაბამებოდა და ამ ხონსუს, რამდენიმე საუკუნეში, ადგილობრივი უზენაესი ღვთაება – თუთა (მთვარე) დაუჩრდილავს. აი, ამ ხონსუს სამზორველებთან, ჩვენს ტერიტორიაზე და ჭანეთში, ათამდე „ხონი“ დაარსებულა (2 ხონი ესპანეთშია).

იმავე ეგვიპტეში, თოთის კულტიც არსებობდა, რაც კოლხური თუთას იდენტური იყო და მთვარეს განასახიერებდა.

ქართველთა უზენაესი ღვთაება, სწორედ მთვარის ღმერთი რომ იყო, ეს ივ. ჯავახიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა.

ახლა ენობრივი მასალები მიმოვიხილოთ:

„ფარაო“ – ფარაონი, ეგვიპტურად „დიდ სახლს“ ნიშნავსო გვარწმუნებენ. ჩვენი აზრით კი, ის „ფარას“ (ფული) მფლობელია, სიმდიდრის პატრონია, რაც შეეხება „დიდ სახლს“, ის ეგვიპტურად ფეროა და არა ფარაო.

„კას“, „კაია“ სულის ღმერთია. აქედან კვნესა-კუსუნი. კაია ახლაც სახელია ჩვენში და ჭანეთში. კიია ერქვა ამენხოტებ IV-ის მეორე ცოლს.

„პური“-ბერ-ა;

„ობელი“ – უფალია;

„ბატ-ბატონია; (ა. ნ.)

„ნეჯესულ“ – თავისუფალი წოდებაა, რომელიც „ურუ“-ს (დიდკაცებს) უპირისპირდება. ჩვენი აზრით, ეს ტერმინი „ნიჯადის“, ქართულად მოქირავნესგან წარმოსდგა და „მოქირავნე სულია“. ჭანეთში არის სახელი ნეჯმეთი.

„მუთი“ – (მუტი) დედაღვთაება და ამონის მეუღლე იყო. ჩვენებურად სადედოც ხომ „მუტ...“ ინდოევროპულში ჩვენგან შესულა „ Мат“, „Мут“.

„თუთმოსი“ წმიდა კოლხური ტერმინია და ის მთვარის მმოსავი, მისი თაყვანისმცემელია, რადგან თუთა, კოლხურად და ეგვიპტურად მთვარეა.

ამრიგად, სამი ფარაო, მის სახელს ატარებდა, და ეს მმოსავს, მის თაყვანისმცემელს ნიშნავს.

„რა-მზე“ – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოძრავ, მბრუნავ, მოგზაურ მზეს ნიშნავს.

„რა“ სწორედ რონინი და სვლაა. ეს სახელი ერქვა ეგვიპტის 9 ფარაოს (რაინი, რონა, რიონი).

„ამონ – რა“ კი ჩვენი დაკვირვებით საამო, ამო მოგზაურია. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ „ამრა“ აფხაზურად მზეა და ის ახლოა ამონრასთან. ე. ი. აფხაზურმა, უძველესმა კოლხურმა ენამ, შემოინახა ამონის ერთი სახელი.

„ბასტი“ – მხიარულების ქალღმერთი და მზის თვალია. თაყვანს სცემდნენ კატის სახით (ამ ცხოველის მკვლელი სიკვდილით ისჯებოდა). ის, რას ასულად მიაჩნდათ. ბასტი, ძველქართულად მხიარულება და ანცობაა.

„ტეფნუტი“ სინოტივის ღვთაებაა. ჩვენებური ტენი, ტფილი მისი მსგავსია.

„ონი“ – ქალაქი იყო ეგვიპტეში, ის მაქციამ, აიეტის ძმამ დააარსა, მერე ალ. მაკედონელმა „პელიოპოლისი“ დაარქვა. ერთი ონი რაჭაშია.

ქ. „სობეკის“ – სახელი, ჩვენი სებეკას იდენტურია.

ქ. „ჯახისი“ – ჰგავს ჯიხაიშს, ჯოხისს და ჯახუნდერს.

ქ. „ტინის“ სახელი ჰგავს გორის ატენს და ტინს. ის მაღალს ნიშნავს. ზოგ წყაროში ტანაა, ბერძნები „ტანაისს“ ეძახდნენ.

დამპყრობლებმა „ღიკ სოსებმა“ (მწყემსთა მთავრები, ღმერთები) ეგვიპტის ჭალაში დააარსეს „ავარია“, ასეთივე მხარე არის დაღესტანში.

„ღიკ“ – ეგვიპტურად ღვთაებაა, ჰგავს ქართულ ღმერთს და „ღორონთს“.

„საკარა“ – საკულტო ქალაქი იყო. მის მახლობლად, მესამე დინასტიის ფარაონებმა ვეებერთელა პირამიდები, ძეგლები და სტატუეტები აღმართეს. საკარა ღვთაებრივი კარი, ღვთის საუფლოში შესასვლელი კარიბჭეა. აკი ტროას კარიბჭეს სკაია ერქვა. ქართლში არის სკრა, სვანეთში ნენსკრა.

„ი-ამუნი“ – ერქვა სამხრეთ ეგვიპტის უდიდეს ქალაქს. ის იყო ამონის მთავარი საკულტო ცენტრი. ამონის სახელი, ქართულში, მძლეთამძლე დემონის სინონიმად დამკვიდრდა: „ჭამე, თორემ ამუნია მოვა“ – აშინებდნენ ბავშვებს.

„მამონა“–ზანურში სიმდიდრეა, რაც ისევ ამონის განძს უკავშირდება.

„კარნაკი“ (თებეს), ი-ამუნის მთავარი უბანი იყო. ის ცუდ კარიანს უნდა ნიშნავდეს (კარ+ნაკი);

„მემფისი“ – უძველესი დედაქალაქი იყო. მისი ეგვიპტური სახელია „მემფე“, ვფიქრობთ, ქართულად „სამეფოს“ ნიშნავს და არა „ხი კაჰპტას“, რომელიც სულის ღმერთის, პტას სასახლეს, საყდარს ნიშნავს.

„კუნაპეტი“ – ეგვიპტის ძველი სახელია და ძალზე შავს ნიშნავს.

„შუ“ – ქარის, ჰაერის ღვთაებაა. აქედან შარი-შური, შრიალი, შუილი.

„აპი“ – ხარი–ღვთაება იყო ეგვიპტეში. ხარის უღელში შესაბმელს, ქართულად სწორედ „აპოური“ ჰქვია.

„ჰაპი“ – ნილოსის უძველესი სახელია და ღრმას ნიშნავს. აქედან, ძველქართული სიტყვებიც შემოგვრჩა: ხაპი, ამოხაპვა, ხოპიო თეფში, ე.ი. სიღრმიდან ამოღება.

„ნილო-ნილუა“ – ნილოსის შემდეგდროინდელი სახელიც კოლხურია. ის მომშლამავს ნიშნავს და ბერძნებს, სარდანებისგან მიუღიათ (ა. ფაილოძე, 2011).

სახელებიც ჩვენებურთა იდენტურია:

„ნოფრი“ – ძალზე ჰგავს ონოფრეს;

„ბა“–ეგვიპტურად სულია. ზანური „ბაბა“ მამაა და სულის ჩამდგმელი...

„ტეიე“ – დედოფალი იყო, მისი სახელი ჰგავს ტატა-ტაიას.

„მისრი“ განმარტეს როგორც მჭიდრო, ჩვენ დავამატებთ, რომ ის მდინარეზე მისრესილს, მიჭყლეტილს ნიშნავს.

„გორ-ახა“–ღვთაება იყო. ის კომპოზიტია, (გორ+ახა), მთასავით ახოვანს, მაღალს ნიშნავს.

„მენესი“ – პირველი დინასტიის ფარაოს სახელი, ძალზე ჰგავს ქართულ საკ. სახელს, მანასას, დუშეთში არის სოფ. მენესო, მენუა ურარტუს მეფე იყო.

მეფის ვეზირის, **რეხმირის** სახელი, წმიდა ზანურ-სვანურია და ის „ქვის კაცს“ ნიშნავს.

„ხეფრენი“ – ხეპრე“ ეგვიპტურად, თავისუფლად შობილია. ჩვენში თავისუფალი ქცევის, ალაო, მოსულელოა.

„ჯატი“ – ეგვიპტეში ფარაოს თანაშემწე, ვეზირია. ჯეტი ერქვა ძვ. წ-ით 3000 წ. ერთ ფარაოს. ჩვენში არის სახელები: ჯოტი, ჯოტო, ჯუდუ, რომელთა ეტიმოლოგია საკვლევია.

„ჯანუთვოფი“ – XII დინასტიის ფარაო იყო. ჩვენშიც არის: ჯათუ, ჯანიკო, სოფ. ჯახუნდერი.

„ჯოლორი“ (მეგრული) „ჩიგარუა“ ეგვიპტურად, ჯუკარე კორსიკულად (ძაღლია).

ზემო ეგვიპტეში იყო ქალაქები: ტური და ასუანი. მსგავსი ქალაქები გვაქვს ევროპის იმ რეგიონში, სადაც ქართველთა მონათესავე ტომები ცხოვრობდნენ. ჩვენშიც რამდენიმე სატურიაა.

მეორე დინასტიის ფარაონები: მენესი, ჯერი, ჯეტი, ანეჯიმა და კაია, აშკარად ქართველურ სახელებს ატარებდნენ. „ანეჯიმა“ – ანეს ძმაა ზანურად. „კაია“ ახლაცაა სახელი საქართველოსა და ჭანეთში.

შუა ხანის ეგვიპტის 4 ფარაონს ამენხოტები ერქვა, რაც განვმარტეთ, როგორც ამონის მეხოტბე. ტერმინი არ არის ირანული, რადგან იმ დროს, როცა ეს წარმოიშვა, ირანას ზეგანი, ქართველური მოდგმის ტომებს ეჭირათ და არა მიდებს ან სპარსებს.

ფარაონ სნოფრუს სახელი იშიფრება, როგორც სვანი, შონ-სონ, აკი სნო, სოფელია მთიულეთში.

ხუროთმოძღვარ ხემუინის მოწაფეები იყვნენ დიდი ოსტატები: მერიბი და დებხეინი. მერიბი (მერაბი) ხეოპსის შვილი იყო, ააგო ხეფრენის პირამიდა.

ხემუინის მოწაფე ნეხებუ იყო, ფარაონის შექებამ გული რომ გაუხეთქა. ნეხებუ ნახარებუს – (სოფ. მარტვილში) ჩამოჰგავს და სიხარულს, ხარებას უკავშირდება.

„ახ“, სახეშეცვლილი სულია ეგვიპტურად. ჩვენებურად ოხ-რა, ტანჯვის, ანუ სახეცვლის ამოკვნესაა.

სეთი, ოსირისის მეტოქე ღვთაება იყო. ეს სახელი ერქვა რამდენიმე ფარაონს. ჩვენში არის სეთური და სეთურიძე.

პერესი და პერევი ეგვიპტელი დიდებულები იყვნენ. ჭიათურაში, ჯავაში და საჩხერეში გვაქვს 3 პერევი.

„აფრიტო“ – ეგვიპტის პანთეონში ერთი ავი სულია. ჩვენში „აფრაკი“ სწორედ ამას ნიშნავს: „ფრთხილად, აფრაკს არ გადაეყაროს!“.

„იენუია“ – დიდკაცია და ჰგავს იაპონურ „იანები“-ს სახელწოდებას.

ამენხოტებ III ზეობას ჰქვია „ლამარე – ლაბირე“ (მთა) შეადარეთ სვანური, ნარმართული „ლამარია“. „რე“, (ხეპრე, ნოფრე) ზანური აფიქსია. ნეფრი – ნეფრე „მშვენიერი სიმშვენიერით“ სწორედ „რე“ აფიქსითაა ნაწარმოები.

სენუსერტის სახელი, ჰგავს სარდან – სორტას.

ღვთაება „შონი“ ხომ ზანურად სვანს უკავშირდება (შონია, შონვაძე, შონი) აშაიატი და კავატი XXI ს. ფარაონთა სახელები უძველესია. პირველი „აშ“ ზანურ, მეორე „ტი“ ჭანურ აფიქსებს შეიცავს.

რეფორმატორი მეფის, ამენხოტებ მეოთხის ერთ სარიტუალო ტექსტში ნათქვამია: „ზეიმობენ აიაზე, ღმერთის მამაზე და ტეიაზე. ისინი ოქროს ადამიანებმა შექმნეს... უბოძა ათასობით ტვირთი ოქრო, აიას, ტეიეს ქმარს (აფანასიევა, 43) აქ აია, კოლხეთის სინონიმია და პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ „აია“ ამარაგებდა ეგვიპტეს ოქროთი.

„არგონავტთა“ მითის ზეპირ ვერსიებში, კოლხეთი „აიას“ ფორმით არის დასახელებული. აია ეტყობა კოლხეთ-ეგვიპტის უზენაესი ღვთაება იყო, იაპონელი „აინები“, ჩვენი დაკვირვებით აიელებია.

თუ ვინმე იტყვის, რომ ამდენი ენობრივი მასალა შემთხვევითობაა და დამთხვევა, ვერ დავეთანხმებით.

აწ გარდაცვლილი მკვლევარი, ამირან ნიკოლეიშვილი მიიჩნევდა, რომ აფრიკის ბერ-ბერები კოლხების მონათესავე ხალხი იყო. ქართველთა ნათესავები, ცხოვრობდნენ ეთიოპია-ტუნისამდეო. შესაძლოა ამიტომაც იყო ეთიოპიური მეტალურგია საკმაოდ წარმატებული...

ჩემს ახალგაზრდობაში, გაზეთში გამოქვეყნდა, ახლა კი დასახელებული მკვლევარი წერს, რომ მაროკოში, ქართულის მსგავს ენაზე მოლაპარაკე ხალხი, ახლაც ცხოვრობს. ისინი 60-იან წლებში, გვარებსაც (ჭყონდიდარი, გუგუნარი) ასახელებდნენ. ახლა მაროკოს „უარგილიში“ (უვარგისი საცხოვრებელი ა.ფ.) ცხოვრობენ.

როცა ენეასის ფლოტილია **კართაგენს** მიადგა, ის მოწინავე სამეფო იყო და დედოფალი **დიდო** განაგებდა. 3200 წლის წინანდელი კართაგენის სამეფო, ფინიკიელებმა მხოლოდ IX ს. გაიცნეს.

ენეასის ხომალდები, იმ კონცხს მიადგნენ, რომელსაც კოლხ-სარდანებმა კართაგენი (**ხბორების ქართა**) შეარქვეს.

იქ ერთი მთისთვის „**კინთის სერი**“ შეურქმევიათ, რაც ზანურად მხარგაშლილი, ვრცელი სერია. (შეადარეთ კოლხური, „კინდღი“ და „კინჩხა“).

ამის შემდეგ მოდის ალჟირის მთა „**მაღალია**“, რაც ასევე პროტოფინიკურ ხანას ეკუთვნის. ისინი კი ამ ქვეყანას, ენეასზე 500 წლით გვიან გაეცნენ და მიეწერათ კართაგენის დაარსება, ის კი კირინეიკასთან ერთად კოლხთა დაარსებულია. ჩვენს ამ დაკვირვებას ამაგრებს ლეგენდა, კართაგენის ხარის ტყავით შემოსაზღვრის და დასაკუთრების შესახებ.

ლიბიაში არის „**ტაბარუკი**“ (ჩვენთანაცაა). ტრიპოლის სამხრეთით ქალაქია „**გორიანი**“, იქვე „**აჯდაბია**“ „**ბატ-ბატონი**“ მეფეა (ლიბიურად).

ალჟირში „**ტაბარკაა**“, რაც ზანურად ბრტყელია. ასეთი გვაქვს ეგრისის ქედი **ტაბაკელა, ტაბაკინი და ტაბასკო**.

„**დჟენდუბა**“ – ირანის ჯანდაბის იდენტურია.

...კართაგენის დედოფალს, დიდოს შეუყვარდა ცოლშვილიანი ენეასი და დარჩენას სთხოვს, რომ მასზე დაქორწინდეს. ამას კი, ღვთისგან მისია აქვს დაკისრებული, სათავეში ჩაუდგეს რომაელ ხალხს და აქციოს ქვეყნის ჰეგემონად... დიდო, მას, ფრიგიელ ვაჟკაცს, თვით ენეასი, დედოფალს „კართაგენის“ საფუძვლის ჩამყრელს უწოდებს, რაც დროში,

დიდად არ სცილდება ერთმანეთს და ვფიქრობთ, ის სარდანებმა, თერას ვულკანის შემდეგ დააარსეს. ისინი „ზღვის ხალხია“ და ეგეიდელი პელაზგ – ზანები.

ამრიგად, ფინიკიელებს, სულ ტყვილა მიეწერა ამ სახელმწიფოს დაარსება.

მცირე აზია, ხეთები

მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ ინდოევროპელი ხეთები, უზარმაზარი იმპერია რომ შექმნეს, ბაბილონი, მითანი დაანგრიეს და ეგვიპტესაც ებრძოდნენ, ძვ. წ-ით II ათასწლეულის დასაწყისში შესულან მცირე აზიაში და ქართველური ტომების გვერდით დამკვიდრებულან...

სამწუხაროდ, დღემდე გაუშიფრავია პროტოხეთური, ე.წ. „კაპადოკიური ფირფიტები“, რომლებიც ქართველური ტომების ოდინდელ ნამოსახლარზეა ნაპოვნი და სავარაუდოდ, ზანურის მსგავს დიალექტზე უნდა იყოს შედგენილი.

ხეთების კულტურის შესწავლას დიდი დრო და ენერგია შეალია პროფ. ჰროზნიმ და ჰუგო ვინკლერმა და ბოლოს, გაშიფრეს ხეთური იეროგლიფები.

ხეთები, თავიანთ მეზობელ ტომებს, მოკავშირეებად იხდიდნენ. ჰქონდათ მათთან კონსოლიდაციის უნარი და ერთად ებრძოდნენ მოწინააღმდეგეებს.

თვით ხეთების ანთროპოლოგია არაინდოევროპულია და უფრო კავკასიურ ტიპს წააგავს: მრგვალი თავი, ნაჯახა სახე, თხელი, კეხიანი ცხვირი, შედარებით ფართო ყვრიმალები, უკან გადახრილი, ვიწრო შუბლი...

ასე არიან ისინი გამოსახულნი და მათი ღვთაებებიც. ასეთი სახე, პირადად მე, „აგამემნონის ნიღაბს“ მაგონებს.

ისინი არაქართველურ ენაზე მეტყველებდნენ, მაგრამ მათთან თანაცხოვრებისას, საუკუნეთა განმავლობაში, ათობით ქართველური ტერმინი აუთვისებიათ, რადგან მათსვე იმპერიაში, ხეთების დემოგრაფიული წილი 20-30%-ზე მეტი არ იქნებოდა.

უცხოელი რომ მასზე რიცხვით აღმატებულ ხალხს თავის სახელს დაუმკვიდრებს, ამის მაგალითებიც გვაქვს.

758 წ. აფხაზთა ერისთავმა, ლეონმა, თავი ეგრისის მეფედ გამოაცხადა და სახელმწიფოს „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა.

ვიკინგ – ვარიაგ ნორმანებმა, აღმოსავლეთის სლავების სახელმწიფო შექმნეს. ვარდისფერებს, ღაჟღაჟა ნორმანებს, სლავები „როზ–როსებს“ ეძახდნენ და ქვეყანას როსია (რუსეთი ა. ფ.) ეწოდა.

პირველი მთავრის, რიურიკის მოდგმა, დაჟინებით ცდილობდა გასლავებას და ირქმევდა ადგილობრივ სახელებს: ვლადიმირი, სვიატისლავი, იზიასლავი, ვსევოლოდი, მსტისლავი, ვლადისლავი, სტანისლავი, სვიატოპოლკი, იაროსლავი...

ასე მოხდა ხეთების იმპერიაშიც, ოღონ ძალზე ადრეულ ეპოქაში.

მათი მეგალითური კულტურა ძვ. წ-ით 9500 წლით თარიღდება.

პროტობერძნებმა, რომაელებმა, ბიზანტიამ, ავსტრიამ და რუსეთმა, მათგან ისწავლეს ორთავიანი არწივის შტანდარტი.

ამ უაღრესმა ხალხმა, შექმნა განუმეორებელი კულტურა და მეტოქეობას უწევდა ეგვიპტეს, ბაბილონს, მითანს...

ინგლისელი პროფესორი რ. ანდერსონი წერს, რომ ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეთას ცივილიზაციაა და ევროპა, მადლობელი უნდა იყოს ხეთებისა, რადგან დასაბამი, საბერძნეთის კულტურისა სეთებისგან არის მიღებული (ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1984 წ. 793).

აქ, მცირეაზიული ქართველური მოდგმა იგულისხმება.

სწორედ მცირე აზიაშია აღრიცხული ყველაზე ძველი დოლმენები და ამ ხალხის ვინაობა, ჩვენი ხალხის იდენტურია. ისინი შეადგენდნენ ხეთის ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას.

ქვეყანას ხათი, დედაქალაქს ხათუსა ერქვა.

მათი ტერიტორიიდან, გვიან გადასახლებულმა ჭანებმა, ხობთან ახალ საცხოვრისს, „ხეთა“ დაარქვეს.

ერთ წარწერაში მეფე ტელეფინუსი (ძვ. წ-ით 1500 წ. ახლო ხანა) ხეთთა სახელმწიფოს დამაარსებლად: ლაბარნას, ხათუსილს და მურსილს ასახელებს.

ქუსარას მეფე ანითას ძვ. წ-ით 1800 წ. ხათუსა გაუძარცვავს და დაუწვავს. მოსახლეობის ნაწილი გაფანტულა, ზოგი დასავლეთით გადახვეწილა.

ხეთები, ისევ გაძლიერდნენ და მეზობელ ქვეყნებზე გაბატონდნენ. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ის იყო, რომ ზან-ჭანებისგან, რკინის საბ-

რძოლო იარაღი მიიღეს. აკი ზევით აღვნიშნეთ, ერთი წერილის თაობაზე, რომელშიც ასურეთის მეფე, ხეთების მბრძანებელს, რკინის იარაღის გაგზავნას სთხოვს.

ხეთებმა, დასავლეთში მდებარე აშშუვას სახელმწიფო დაარბიეს, დაამარცხეს და მისი 10 ათასიანი ცხენოსანთა კორპუსიც დაატყვევეს. ამ ქვეყნის მცხოვრებნი, წინარე ქართველები იყვნენ.

ბალკანეთში, მიწისძვრისგან და აქაველებისგან შევიწროებული პელაზგ-სარდანები გაიფანტნენ. ნაწილი ეგვიპტეში დამკვიდრდა. რამზეს მეორემ, ხეთებთან ომი რომ გამართა ქადეშთან, მისი 4 კორპუსიდან ერთი სარდანული იყო.

ფ. ზომმერი მიიჩნევდა, რომ ხეთები კავკასიიდამ მოვიდნენ. 3500 წლის წინათ. მხოლოდ ხეთების სამეფოს გააჩნდა მეფის ხელისუფლების შემზღუდავი, დიდებულთა საბჭო „პანკუსი“.

ძვ. წ-ით XII ს. დასაწყისში, ხეთების იმპერიას, ქვეშევრდომებთან ერთად, აქაველნი, მუშქები და კასკები წაესივნენ (გ. მელიქიშვილის აზრით ქაშაგნი), რაზედაც წერენ ეგვიპტურ პაპირუსებშიც. ეს კასკები რომ კოლხური ტომი იყო, ამას მათი კალენდარი ასაბუთებს, რაც ზანურის, მეგრულის იდენტურია.

პროფ. გ. გიორგაძე წერს, რომ ხეთების იმპერიის ძლიერების ხანაში, მუშქ-მესხები, მათთან ერთად ცხოვრობდნენ.

ძვ. წ-ით 1190 წელს ხეთების სახელმწიფო განადგურდა.

ხეთების ყოფილი იმპერიის დიდი ნაწილი, დასავლეთ მცირე აზიისა და შუამდიმარეთის ზემო წელი, მუშქების სახელმწიფომ დაიჭირა. მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქები, დიაუხმა (ტაოხები) და კოლხამ დაიკავეს.

მიაჩნიათ, რომ ხეთას ადგილზე IX-VIII ს-ში აღმოცენებული ფრიგიის სახელმწიფო, იგივე მუშქების ქვეყანა იყო. ასე წერდნენ ასურელები.

ამავე პერიოდში, ტაბალთა ქართველურ სახელმწიფოს, სასტიკი ომი აქვს ასურეთთან. მეფე სარგონი, ახალი ტიპის არმიით, ამარცხებს ტაბალთა მონარქ ამბარს... ეს ქვეყანა მოიცავდა ხალიბ-ჭანებს და ტაბალებს, თვით შავ ზღვამდე, რომელსაც ასურელები „ახშაინას“ (ჩრდილო ზღვას) ეძახდნენ. სამხრეთით ტაბალთა ქვეყანა, არზრუმსაც მოიცავდა.

თვით პროტოხეთები, ქართველური ტომები იყვნენ. ხეთების ენა, მასთან ამჟღავნებს სიახლოვეს, ხოლო ჭანეთის ანუ ხალდიის მხარის

ტერიტორია, აბსოლუტურად ემთხვევა ძველ ხეთას, მერმინდელი ფრიგიის და კაპადოკია – პაფლაგონიის ტერიტორიას.

ხალდე-ქალდეს სახელი ემთხვევა სვანეთის ხალდეს. ენობრივი შედარება კი ასეთია:

„ფუსტი“ – ხეთურად და სვანურად ბატონია.

„არმასი“ – ხეთების და მისი მეზობელი ტომების მთვარის ღვთაება იყო. მერე სომხებს მიუღიათ. ლეონტი მროველის ცნობით, იბერებსაც.

„ვორს“ – ხეთურად მიწაა, სვანურად ქვეყანა.

„ხალიბოს“ – ჰალიბოს ხეთურად მაღარო, შახტი, ქვესკნელია. აქედან შერქმევია ლაზ-ჭანთა ნაწილს, მოსაქმეობის აღსანიშნავი სახელი ხალიბი.

ეს სახელი პელაზგ-ეტრუსკებმა ქვესკნელს, საიქიოს „კალუსს“ მიაკუთვნეს და კალუსი ქვესკნელის, სიკვდილის ღვთაება იყო, აქედან მოდის ტერმინი „კვლა“.

„ტელეფია“ – ხეთურში და სვანურში მელიაა. ტელეფა გვაქვს ოკრიბაში, ტოლა რაჭაში, ასტელეფა აფხაზეთში.

„ტარხუნდარადუ“ – ხეთების მეომარი ღვთაება იყო. მისი სახელი ტარხუ, ტარო, ტაროსის ზანური ღვთაება იყო, კინჩხაში დღემდე შემორჩა ტარეში – ტაროსის წარმართული წაკლოტის, საზორველის ნაშთი, 5000 წლოვანი ურთხელებით... (ტარხუ გვარია ჭანეთში).

სახელი **მურსილი** ჰგავს კოლხურ გვარს მურუსიძე – მარუშიძეს.

„თუთხალია“ – ხეთების მეფე იყო. ვფიქრობთ, ეს სახელი, თუთა (მთვარე) და „ხარის“ კომპოზიტია.

ხათუსას სამეფო სასახლეს ქიცუ-ვანთა ერქვა (ბეჭდის სახლი, ანუ სავანე) არსებობს გამოთქმა „ამან ქიციც იცის და ქიცმაცურიც“. ეტიმოლოგია სარკვევია.

ხეთურ საბეჭდავებსა და კოლხურ ბრინჯაოს ბალთებს შორის აკად. შ. ამირანაშვილი მსგავსებას ამჩნევდა.

დიდი მეცნიერი, **ჰროზნი**, ხეთურ და კავკასიურ ენებს შორის მსგავს ელემენტებს შენიშნავდა.

აშშუვა – ტროას და ფრიგიის განადგურების შემდეგ, მცირე აზიის დასავლეთში აღმოცენდა: ბითინია, პერგამონი, კარია და ლიდია.

ფრიგიის ქალაქს გორდიონი ერქვა. ბოლო მეფეს მიდა (ჰეროდოტეს სიტყვით მიდასი). მის საჭურველმტვირთველს გიგა (გიგესი) რქმევია. 676 წ. ფრიგიას თავს დაესხა ურარტუს მეფე რუსა მეორე, რომელმაც შეიერთა კიმერიელების ჯარიც. ფრიგიის სამეფო განადგურდა.

მისი მკვიდრი, კარდუხ-ტაბალ-მუშქების შერევის პროცესი დაიწყო და წავიდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. მტკვრის ხეობაში. ისინი იჭერენ სამცხე-ჯავახეთს და ქართლ-კახეთს. ესენია: „სასპერები“ (სპერელები).

ნიჭიერი ევროპელი ორიენტალისტები მიიჩნევენ, რომ ნელ-ნელა ჩამოყალიბდა იბერთა ტომი და ქართული ენა. შესუსტდა ზანთა და სვანთა საცხოვრისი, გეოგრაფიული გარემო და ისინი ნელ-ნელა შეისრუტა ქართულმა ენამ. მანამდე, კავკასიიდან დღევანდელი ესპანეთის ჩათვლით, დომინანტი იყო პელაზგურ-ზანური ენა, რასაც ასაბუთებს ხმელთაშუაზღვიპირეთის ტოპონიმია.

აღმოსავლეთში შემოსულმა კარდუხ-მესხებმა, თან მოიტანეს კლდეში ქალაქთა და მონასტერთა კვეთის ხელოვნება. ეგრისში, მათ დაამკვიდრეს დაკრძალვის თავისებური წესი და სოფლები: მესხეთი, სამესხიო, „მესხ“ ფუძიანი გვარები.

ფრიგიის ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის ქვეყანას, ირანელებმა, კაპადოკია (კარგი ცხენების ქვეყანა) უწოდეს.

მოგვიანებით, სწორედ იქ, ალექსანდრე მაკედონელის დიადოხოსმა, ევმენემ, ექვსი ათასი მხედარი შეაგროვა.

დასავლეთით, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე კარია შეიქმნა, რომლის დედაქალაქი ჰალიკარნასი იყო, რაც „ღელის ცუდ კარს“ (ნასს) ნიშნავს, ხოლო „კარია“, მცირე აზიის კარია, შესასვლელია. ჰალიკარნასიდან იყო ჰეროდოტე. ამ ქალაქში, დედოფალმა არტემისიამ, თავის ქმარს, გარდაცვლილ მეფე მავსოლს, დიდებული „მავზოლეუმი“ აუგო, არქიტექტორების ქერსიფრონის და მეტაგენის პროექტით, რომელთაც ეხმარებოდა გენიალური სკულპტორი – სკოპასი.

კარიის მთავარი, სავაჭრო ქალაქი მილეთი იყო, დიდი და მშვენიერი. მასში „ბარბაროსები“, ე.ი. არაბერძნულად მოლაპარაკენი ცხოვრობდნენ.

აკი, დღემდე შემორჩა გამოთქმა: „მილეთის ხალხი ირევა“.

კარიის მესამე, დიდი ქალაქი ეფესო იყო, რაც ზანურად ღრმას, სიღრმეში, ჭაობში ნაგებს ნიშნავს. სწორედ იქ აიგო კიდევ ერთი სასწაული, დედაღვთაების (არტემიდას) ტაძარი, დიანას საზორველი. ეს დიდი და მშვენიერი ნაგებობა ჭაობში, დიდი შრომით და ხარჯით ააგეს მამა-შვილმა: პითეოსმა და სატიროსმა; ალექსანდრე დიდმა მას საჩუქრები მიუძღვნა, დაწვა კი შიზოფრენიკმა და მანიაკმა ჰეროსტრატემ.

უფრო მოგვიანებით, კარიაში გაიზარდა ქალაქი სმირნა, დღევანდელი იზმირი (შეადარეთ გვარი სმირბა).

მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთით, შეიქმნა პერგამონის სამეფო, ქ. პერგამონით. სწორედ აქ, სკოპასმა ააგო საკურთხეველი „ღმერთების და გიგანტების ბრძოლის („გიგანტომაქიის“), გამოსახულებით. ქალაქის სახელი, მეგრულ „ბერგს“ და „ამოს“, ანუ „კარგ სათოხნს“, კარგ ხმელეთს, ნიადაგს ნიშნავს.

იქ აღმოცენდა ქ. ანკარა (ღალისის პირას, ერთი ანკარა კი ონის რაიონშია).

კარიაში, ეფესოსთან, ჰეროდოტე ასახელებს ფოკეას. საქართველოში სამი ფოკაა. ერთი ფარავანთან, მეორე ნინოწმიდის რაიონში, მესამე რიონის ქვემო წელზე (დადიანმა რომ გადალახა 1633 წ.) ფოკეა – ფოკიდა არის საბერძნეთშიც.

მე, საშუალება არ მომეცა, ფეხით შემომევლო ისტორიული კაპადოკია, პაფლაგონია, კილიკია, პერგამონი, ლიდია, ბითვინია, რომლებიც ძველ დროს აშშუვას, ხეთას, შემდეგ ფრიგიის შემადგენლობაში შედიოდნენ.

სანამ ჩვენს მიერ დაზუსტებული და რუკებზე დაფიქრსირებული ტოპონიმ-ორონიმებს ჩამოვთვლიდეთ, მანამ მინდა დიდი ილიას მიერ სომეხი პროფესორის, პატკანოვის „შეხედულების“ საწინააღმდეგო ჩამონათვალი მოგახსენოთ. საქმე იმაშია, რომ ეს მეცნიერი, გვიანი ხანის (ძვ. წ. VI ს.) მიგრანტ სომხებს „აკუთვნებდა“ ხალდეა-ქალდეას, ჭანეთს და თვით ჭოროხის ხეობას. საქვეყნოდ აღიარებული ორიენტალისტი, ლენორმანი კი ბრძანებდა: „შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ, რომ სომხებს არ აბადიათ არავითარი ნაციონალური გადმოცემა პირველ ტიგრანამდე, რომელიც კიროსის თანამედროვე იყო... დანარჩენი მოდის მოვსეს ხორენაციდან, რაც არის მირაბაზ კატინას ცრუსიტყვაობის კომპილაცია“. ასკვნიდა, რომ ურარტუს ენას, არა

აქვს კავშირი სომხურთან, გარდა იმისა, რომ დაუფლებიან ფრიგიის აღმ. მაღლობებს, საიდანაც გაურეკავთ ურარტულთა ნაშთები. მეტიც, მასპერო აღიარებს ქართულ-ურარტულ კავშირებს და იმოწმებს სეისს და გუიარის. ე. ი. VI ს. ვანთან მათი ჭაჭანება არ იყო. (ი. ჭავჭავაძე, 1984, 785-787) ილია, ნიკოლსკის იმოწმებდა იმაში, რომ თითო ოროლა მსგვრების მაგალითი არ ნიშნავს ენათა ერთობას ქართველებთან.

დიდი ილია ჩამოთვლის დ. ჩუბინაშვილის, კიპერტის, ტურიოს, ჰაჯი ხოლმის და ვივიენ სენ მარტენის მიერ ისტორიულ კაპადოკიაში აღრიცხულ ტოპონიმებს: თიანეთი, ჩხორემი, თავია (კიშერის მახლობლად), მუჟური, თამარმე (კესარიასთან) ორგუბე, სარმურსახლი, ჭიჭიკის მთა, ერჯიში მთა (კილიკიაშია, იგივე საძროხიას ნიშნავს ა.ფ.), თეჯირის მთა, ატამური მთა, გაცერის მთა, ჭილობის მთა, ჩხატალი, ორთაყვის მთა, ფარხალი (შეადარეთ პარხალი ა. ფ.), დედა მთა, ქუთაია (შეადარეთ კუტაია ა.ფ.), გომიში (საქართველოშიც რამდენიმე გომია ა. ფ.), ჭალა, ტაზის კარი (იგივე ტაშის კარი). თავშანი, ენგური (ორონტის შენაკადი ა. ფ.), კარი ბაზარი, ქიზიყი (მარმარილოს ზღვის პირას ქალაქია), ონი ქალაქია შავი ზღვის პირას (იყო ეგვიპტეშიც ჰელიოპოლისი და არის რაჭაშიც), ნაჭილობევის მთა, ჟომურა, ქაჯთ კარი, ნებიანი (ერთ ეგვიპტელ დიდკაცს ნებანუმი ერქვა), ქურდბელი, თავშისმათა, ატენი, გემრიელი წყალი, თეძამი (ქართლშიცაა ა.ფ.), ბალხარის მთები (გურჯი ბოღაზის ახლო). ილია. 1984. 790-791 /

ჩვენ, სხვადასხვა წყაროებით შემდეგი მასალები შევაგროვეთ. აღვნიშნავთ, რომ მდინარე ჰალისი (თურქ. ყიზილ ირმაკი) მეგრული ტერმინია და ღელეს, დიდ ღელეს ნიშნავს.

„ანნე“ – დედა, ზანურად ნენა.

„სუმელა“ კაპადოკიის უძველესი ქართული მონასტერია. ეს ტერმინიც ზანურია და „სამებას“ ნიშნავს.

„კაბეირა“ – ზანურად კბილი, კონცხი, კბოდეზე ნაგები ქალაქია.

„ხოფა“ – გასახოფი, ღრმაწყლიანი ადგილია, აქაური ბეგები, თავდგირიძეები, შემდეგ ოსმანაღაოღლუებად ჩაწერეს.

„ათინა“ – ლაზეთ-ჭანეთშია. ათენი კი ატიკის ცენტრი იყო. ათენგენი ჩვენშია და განთიადის ვარსკვლავ-ღვთაებას უკავშირდება.

„გენეტი“ ხალდეას (ხალიბთა) ქალაქი იყო და ზანურად სახბორეა.

„ქორბუდა“ ბორცვზე, კონცხზე, მწვერვალზე აგებული სოფელია. ერთი გურიაშიცაა.

„ოფი“ – ჭანეთის დაბაა, რომლის სახელი მცენარე ოფს (ტირიფის-მაგვარია) უკავშირდება. საჯავახოში გვაქვს ოფეთი და ნაწილოფეთი. ოფს, ბერძნებმა, სოტიროპოლი შეარქვეს. იქ იჯდა ლაზეთის ეპისკოპოსი, რომელსაც ფოთის მიტროპოლიტი, მერე ბიჭვინთელი კათოლიკოსი ასაყდრებდა.

„ამასია“ და ამსაისი (ზესტაფონში) ერთნაირი ტოპონიმია.

„ლიგანის ხეობა“ – იგივე ლეკანის (ლეკა ხეა) ხეობაა.

„მურღული“, მორღვეული ხეობაა, დამეწყრილი...

„ნოღა“ – ჭანეთშია. ის მდინარის შესართავთან მდებარე სოფელია. ასეთი ტოპონიმი, დას. საქართველოში ათია.

ჭანეთში ორი, „სურმენეა“, დაბა–სოფელი, რაც წყაროებიანს ნიშნავს.

იქედან ჩამოსახლდნენ ეგრისში სურმავა-სურმანიძენი.

ისტ. კაპადოკიაში არის „ჩორდუ“. (ჩორი ერქვა დერბენდს). აქედან უნდა მოდიოდეს გვარსახელი ჩორდვანელი – ხურციძე.

კაპადოკიაში, ერთ დაბას „ბურუ“ ჰქვია, ის ჰგავს ევფრატის ძველ სახელწოდებას ბურუნანს. გურიაში და ლაზეთში გვაქვს თითო ბურუნათი, რაც ზანურად ძნელად გასასვლელს, დაბურულს ნიშნავს.

ტერმინი „კერასუნტი“ ოჯახიან-კერიან-წყაროიანის კომპოზიტია.

ამას წინათ, ლაზი ბიზნესმენი, უმით ოსმანაღა-ოღლუ (თავდგირიძე) მეწვია და გადმომცა მისი წიგნი „ლაზი ვორე“ (ლაზი ვარ). მასში კარგი ინფორმაციაა...

„დუდიყვათის“ გორის შესახებ წერს, რომ 1602 თუ 1603 წელს, ოსმალო დამპყრობლებს სიკვდილით დაუსჯია 300 ლაზი-ქრისტიანი, რომლებმაც ისლამი არ მიიღეს. ამიტომ ქვია „თავმოკვეთილთა“ მთა.

„პაპათი“ – მეგრულად „მღვდლისას“ ნიშნავს. ის ნამონასტრევია, სადაც ოსმალო ასკერებმა, მღვდელმონაზვნები სიკვდილით დასაჯეს.

უმითი ართვინის („ერთისა“) სიახლოვეს ასახელებს: „ესენკას“, „აბუშს“, „სუბაშს“ (წყაროსთავი), „მელოს“, „არპავას“, „ბორჩხას“.

ოსმან აღა ოღლუები ხოფას, სონბაიები (ზვანბაიები) მაკრიალს, შევკეტბეიოღლუები, ათინასთან მკვიდრობდნენ. ჭანეთში დღემდე შემოინახა „ოხორჯას“ (საოჯახო დედაბოძის), „შემირშინე ნანას“ (არ

შემიშინდე დედი), ასევე ნადური, მოსავლის აღების და სატრფიალო სიმღერები: „ჰელესტა“, „ჰეიამბო“, „ოროფა ჯგირაფა“, „ოჩეშხვეის“ ტრადიციები და ა. შ.

ძვ. წ.-ით VI საუკუნეში, მცირე აზიაში, რომელიც უძველეს დროს, ჩვენი მონათესავე ტომებით იყო დასახლებული, ბერძნული კოლონიები მომრავლდა.

XI საუკუნიდან, ანატოლიის აღმოსავლეთი ოლქები თურქ-სულჩუკებმა დაიჭირეს, XIV ს-ში კი თურქ-ოსმალებმა მთელი მცირე აზია დაიპყრეს, ჭანეთის გარდა...

ამ დროს, ჭახი დიდებულები, ტრაპიზონში და მის შორიახლო ოლქებში, შინაომებში იყვნენ ჩართულნი, ამის გამო XVI-ს. თურქებმა ჭანეთი დაიპყრეს და ჯერ წარჩინებულებს, შემდეგ დაბალ წოდებებს ისლამი მიაღებინეს.

ვინც კი მოასწრო, XVI ს. ქართლში და იმერეთში გახიზვნა, რჯული შეინარჩუნა. „თიმარს“ („საადგილმამულოს“) მხოლოდ იმას აძლევდნენ, ვინც ისლამს მიიღებდა და ოსმალთა ჯარში იმსახურებდა...

ისტორიული ჭანეთის ეთნოგრაფია, ონომასტიკა და ტერმინები ოსმალებმა აითვისეს.

კარვებს შეჩვეულ ნომადებს, ტერმინი „სახლი“ არ ჰქონდათ და ლაზური „ოდა“ შეუთვისებიათ.

ყარსს „კარი“ ერქვა, არზრუმს – „კარნუქალაქი“.

დედა, ძველზანურად „დია“ და „ნენა-ნანა“, თურქულ ენაში „ანნეს“ ფორმით დამკვიდრებულა.

„ვაი-ვაი“ – ანუ მწუხარების შესაძახილი, ასევე მიუღიათ;

„ბაბა“ – მამის მეგრული სახელი, ასევეა თურქულშიც;

„ფარა“ – ფული, თურქულში, „პარაა“;

„გური“ – თურქულშიც გულია;

„ჭიჭიკო“ – ზანურად „პატარა კაცი“, თურქეთში საკუთარი სახელია;

„იამანი“ – ძვირფასი ქვა, აყიყი, აქატია, თურქეთში საკუთარი სახელია; ასევე გვარებია, თარხუნი, ჩინარი, ქარუქიში;

„იალიტი“ – ჭანურად ზეთისმხდელი, იქ საკუთარი სახელია;

„ინჯია“ – კოლხური გვარი, საკუთარ სახელად უქცევიათ;

„კაია“ – სახელია ლაზეთში, ერქვა ასევე ეგვიპტის I დინასტიის ფარაონს;

„აიშე-გული“ – თურქულ-ქართული კომპოზიტია, ხოლო სახელები: ხატიჯე, დაფნე, იეთერი, სუნა, სურეია, ფიქრეთი, ფერიდე, დილარა, ფეჩაიე, გულფერი ქართულია;

„უსტა“ (ოსტატი) ასევე გადაუღიათ;

„შუმირი“ (მთვრალის აღსანიშნავი ტერმინი), ასევე მიუღიათ. არსებობს თურქული სიმღერა: „სარგოშუმ ააა, დუ შუმე გთეელ“. ე. ი. „სიყვარულით მთვრალი ვარ“;

„ორქენი“ – (ორქო), ასევე გადაუღიათ თურქებს;

„შანა“ და „ბელგა“ – მისატანი ნიშანია, იქ (ბელგა) საკუთარ სახელად დამკვიდრებულა.

„არზუ“ – მეგრულად აზრიანი, იქ საკუთარი სახელია;

„გონჯი“ (მახინჯი) საკუთარ სახელად ქცეულა;

არის სახელი „თუალ“-ი;

„ჯევრიე“ – ჯავრიანი, ასევე გადაუღიათ;

„ჩაყვა“ ლითონის ჭურჭელი, მათში სახელია.

სამწუხაროდ, არავის შეუდგენია ზანურ-თურქული ლექსიკონი.

შუა საუკუნეებში, ჭანეთში იყო ქალაქი „სკამალინიხონი“, რაც ზანურად კლდიან-მოლიანი ხონია. „სკალა“ ზანურ-სვანურად, ძველი ლექსიკით კლდეა. აკი ტროას ქვის კარიბჭეს სკაია ერქვა, ქართლში არის სკრა, მარტვილში მდინარე ისკია. მესტიაში ლესკრა, ლენტეხში ლასკადულა.

„ხონი“ რქმევია ძველად ქ. კოლოსეს, საიდანაც იყო ბერძენი (თუ ჭანი) მემატიანე – ნიკეტა ხონიატე.

ჭანეთის ძველი არისტოკრატები: ბაგრატიონები, მამიკონიანები და ორბელიანები, სომხეთ-საქართველოში დამკვიდრდნენ, ხოლო ანდრონიკაშვილები კახეთში. გაბრები, კალოიანები, ჭანიხიტები, მაზიმიტები, კავასიტები, კომახიტები, დასავლეთ საქართველოს შეეხიზნენ (ა. ფაილოძე, 2013 წ.).

თავი მეხუთე

პროტობერძნები და მათი ენა

ევროპის ძველისძველი ადამიანი, ნეანდერტალელია, ხოლო კანდამოს მღვიმის მცხოვრებნი, 23 ათასი წლის წინანდელი ჰომოსაპიენსის ეპოქისაა.

ამაზე ძველია დედაღვთაების ქვის სკულპტურა. ის 26 ათასი წლის წინანდელია.

ლასკოს, მადლენის, კორკერის და პერ-მერლის სადგომები, 12-15 ათასი წლის წინანდელია. მათში გაკეთებული გამოსახულებები შესანიშნავადაა შემონახული. ძალზე ნატურალისტური და ზუსტია ნუქსის ბიზონის გამოსახულება. („მხატვრობა-ილუსტრირებული ისტორია“, ბ. ს. 2014)

ევროპელი აბორიგენები, ისევ თემურ-გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ, ხოლო ძვ. წ-ით III ათასწლეულში, ბალკანეთში შემოღწევა დაიწყო მცირეაზიულმა ტომებმა, რომელთა ენის განხილვა, მათს ვინაობაში გაგვარკვევს.

დიონისე ჰალიკარნასელის ცნობით, პელასგები, კონტინენტურ საბერძნეთში, ტროას ომამდე 19 თაობით ადრე გამოჩდნენ. მიაჩნიათ, რომ ეს იყო ძვ. წ-ით მეორე ათასწლეულის დასაწყისი. ბოლოს და ბოლოს, „დევკალიონის წარღვნამ“, ნგრევამ და სიკვდილიანობამ, შეამცირა მათი რიცხვი, რასაც დაერთო აქაველთა შემოსევები და ბერძნებმა, რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს. ბევრი დამხვდური ბელადი და მეფე შეურიგდა და დაენათესავა მოსულებს, რაც კარგად ირკვევა „ილიადადან“.

და მაინც, პროტობერძნებმა ღრმა კვალი დააჩინეს ბალკანეთსა და ეგეიდას.

ჰოლანდიელმა მკვლევარმა ფურნეემ, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ წინაბერძნულ ენობრივ მასალაში, შესაძლებელია ქართველური ელემენტების გამოყოფა, რაც სწორედ დასავლურ-ქართული ენისათვის იყო დამახასიათებელი და რამაც შემდგომ, თავისი ჩამოყალიბებული სახე, ზანურში მიიღო.

მიაჩნია, რომ პელაზგური, ქართველური ენების დედაა. ფურნეეს ნარკვევით, ბერძნულში აღირიცხა პროტოქართული 5000 მონაცვლე სიტყვა (ზანური უძველესი ენაა და ის ხუთი ათასი წლის წინ უკვე ჩამოყალიბებული იყო).

პროფ. რ. გორდეზიანი მიიჩნევს, რომ ამ ელემენტების ბერძნულში შეღწევა „ქართველური ტომების ერთი ნაწილის ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულში ეგეიდასა და ბალკანეთში მიგრაციით აიხსნება, ამ ემიგრანტთა მემკვიდრეები პელაზგებია. ქართველური ელემენტები თავს იჩენენ ბალკანეთში, ეგეიდასა და ეტრურიაში. ეს ელემენტები კავკასიიდან შევიდნენ ეგეიდაში და არა პირიქით.

რ. გორდეზიანი მიიჩნევს, რომ პროტობერძნული, უფრო ქართულს ჰგავს, ვიდრე ზანურს (1988, 25-26), მაგრამ მე ფურნეეს ვემხრობი და რატომ ამას ქვევით დავასაბუთებთ. რ. გორდეზიანი, ამ შემთხვევაში ვფიქრობთ ქართლოცენტრისტების გავლენაშია, თორემ ამოდენა ზანური ენობრივი მასალის უარყოფა ხომ შეუძლებელია.

ა) ელინური ცივილიზაცია ებრძვის წინა ბერძნულს. ტროას სამყარო

როგორც ირკვევა, თერას ვულკანმა და ჩრდილოეთიდან შემოსულმა ელინ-აქაველებმა, დაამარცხეს და შეავიწროვეს აბორიგენი მოსახლეობა: პელაზგ-დოლოპ-სარდან-კავკონ-კრეტელ-მაკრონ-ლიდიელები. მოსახლეობის ნაწილი აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით ივლტოდა, ნაკლები კი მისულებს შეეთვისა და მათში აირია, რაც კარგად ირკვევა „ილიადადან".

კრეტაზე და ეგეიდაზე, მცირე აზიელთა მეორე მიგრირება მომხდარა ძვ. წ-ით III ათასწლეულის დასასრულს.

იმ დროს, მცირე აზიის დასავლეთ ოლქებს ფლობდა აშშუვას გაერთიანება, რაც, ზანურად, „აშშო-ვარს", ე. ი. არა აქეთას, შორეულს ნიშნავს.

ის მოიცავდა შემდეგდროინდელ: ხეთას, ფრიგიას (პაფლაგონია, კაპადიკია), ლუვიას, პერგამონს, ლიდიას, კარიას და დარდან-ბითვინიას. მასში შედიოდა ბალკანეთის ჩრდილო ოლქებიც, კერძოდ თესალიათრაკია და ეგეიდის კუნძულები: ლესბოსი, ლემნოსი, მაკროსი (ევბეა), კიზიკოსი (ქიზიყი).

ხეთების იმპერიის დაცემის შემდეგ (ძვ. წ-ით 1190 წ.) მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქართულმა ტომებმა, ისევ გაძლიერება იწყეს. ჰომეროსის მიხედვით, ტროას ქვეყანა მოიცავდა აშშუვას თითქმის ყველა ტერიტორიას, ხოლო აღმოსავლეთით ჭანეთს (ხალდ-ხალიბებს) მერმინდელ ფრიგიას, პონტო-კაპადოკიას.

მითებით, ტროას ილიონი, მედეას შვილიშვილმა ილიამ დააარსა.

ტროელმა პელაზგებმა, თურმე შური იძიეს იმის გამო, რომ მედეას შვილები კორინთელებმა დაუხოცეს, მათ, სამაგიეროდ, ელენე მოიტაცეს.

ომის საბაბი, ინდოევროპელებსა და მცირე აზიელ, აბორიგენთა შორის, სწორედ ელენეს გატაცება გახდა... ბერძნები კი მიზეზს ეძებდნენ...

პარისის მიერ „შეურაცხყოფილმა" ათენამ და ჰერამ, თვით ღმერთები აამხედრეს ტროას წინააღმდეგ; ზევსი, პოსეიდონი და ზოგი სხვაც...

კიპრიდა (ენეასის დედა), ომის ღვთაება არესი, მზიურ-სხივოსანი აპოლონი, მჭედლობის და ცეცხლის ღვთაება ჰეფესტო, ტროელებს და ხალიბებს ეხმარება.

აქაველ-დანაელებს, მობილიზაცია მოუხდენიათ. ყველა ოლქს გამოუყვანია სამხედრო რაზმი და ესკადრა. შეუერთებიათ და დაურაზმიათ მათ გვერდით მცხოვრები პელაზგები: ნესტორი, ოდისევსი, დიომედე, აქილევსი, ასკალაფოსი, აიანტი, აკამანტი და სხვები...

აქილევსი, ლაშქრობის წინ ყოყმანობდა, მაგრამ აგამემნონმა, ცბიერი ოდისევსი მიუგზავნა. თავისი ასული, იფიგენია ავლისში (ავლევი ქართლშია) იხმო, მისი ხელი შეპირდა (მეორე ცოლად), აქილევსს და მზითვად არგოსის „ქვიშონავი ველი" აღუთქვა.

აქილევსიც მერმიდონელთა მძლავრი რაზმით გაემგზავრა...

ჩვენ ახლა გავარკვიოთ, ოდისევსის ვინაობა ნიშანდობლივია, რომ სწორედ მას მიანდო აგამემნონმა, აქილევსის გადაბირება.

ოდისევსის ნამდვილი, პელაზგური სახელია „ოდიში" – ოდისეა, ხოლო აფიქსი „ვსი" ჩვეულებრივი, ბერძნული დაბოლავებაა (ოდემიში კუნძულიცაა).

გამოდის, რომ ის კოლხურ-პელაზგური მიწის ღვთაების სახელს ატარებს. მის კუთვნილებას „ში" აფიქსი გამოხატავს (ოდი+ში).

ახლა აქილევსის ბადალი, მასავით სისასტიკით განთქმული აიანტი ავიღოთ. გამოდის, რომ ისიც პელაზგია. აიეტი და აიანტი, ორივე

„აიას კუთვნილს“, ნიშნავს. აია, ხომ კოლხეთის და მისი დედაქალაქის სახელია, „ტი“, კი ისევ ჭანური დაბოლოებაა (შეად. ჟღენტი, კორტი, ჯიბუტი...).

ჩვენი დაკვირვებით, დაუნდობელი მეომარი, დიომედეც პელაზგია, მისი სახელის პრეფიქსი „დიო“ ხომ ზანურად დედაა, მეორე ნაწილი „მედე“, იგივე „მე დედისა“, ე. ი. „დედაღვთაებისაა“. აკი გვაქვს ზანური გვარსახელი „დედისაძე“ (დეისაძე). აქილევსი პელევსის, ე.ი. პელასგის ძე, მოდგმაა.

ტროას ხალხი, სამამულო ომს ეწევა.

მის მხარეზე მეომარი, აგენორი ამბობს:

„მამათა, მეუღლეთა, ჩვილ ყრმათათვის დავიცავთ ტროას“.

იგივე მეომარი, აქილევსისაგან, ღვთაება აპოლონმა იხსნა.

ერთ შეტაკებაში, სარპედონმა, ჰერაკლეს ძე, ტროას მომხრე ტლეპოლემოსი მოკლა. ამის სახელი, ტლაპო – ლამეს უკავშირდება, ალბათ ლემნოსელია, ჩვენებური... მოკლედ რომ ვთქვათ, აგრესორი აქაველ-დანაელნი, ინდოევროპელნი, ებრძვიან ადგილობრივ, პელაზგურ-კავკონურ-ზანურ სამყაროს.

თრაკიის ორივე მეფე, ბერძნებს ებრძვის, მაგრამ მათგან აკამანტი გადარჩება, რესოს (რეზო ა.ფ.) დიომედე განგმირავს.

აქილევსი, ბუნებით სასტიკი მეომარი, დაუნდობლად ხოცავს მონათესავე პელასგებს და ზანებს. ათენამ შეაგულიანა, როგორმე ჰექტორი მოეკლა, თვით ჰექტორს, ძმის, დეიფობოსის სახით გამოეცხადა და გაამხნევა.

...მოკლული ჰექტორის გვამი, აქილევსმა ეტლს გამოაბა და ათრია. ბოლოს, დიდი გამოსასყიდის ფასად, დაუთმო მამამისს პრიამოსს, მაგრამ ეყო ობიექტურობა, შეეფასებინა მეფის ღირსება:

„პრიამოსი, უკეთესი მეფეა აგამემნონზე“. ჰომეროსი გვაწვდის ცნობას, რომ ტროას ქვეყანა, მოიცავდა ფრიგიას, ლესბოსს, მაკარიას (ევბეა), დარდანებს, თრაკიას, მერმინდელ: ლიდიას, ქიზიყს, კარიას, ხალდეას და კაპადოკიას.

აქილევსი, ჩვეული სისასტიკით ხოცავს პელაზგებს: მელიონს, დარდანოსს, დევკალიონს, რიგმოს თრაკიელს, არეითეოსს... მავედრებელი, უიარაღო უფლისწული, პრიამოსის ძე, დიაიონიც (ზანურად „დედისა“) კი მოჰკლა.

არც ოდისევსი ზოგავს პელაზგებს. მან მოლიონი დასცა.

იდა, ტროას საუფლო მთაა. იდა ერქვა მეფეების: აიეტის და პრიამოსის ცოლებს, ხალიბ ბელადს. ამას, აქაველ აიანტთან შეტაკებისას, ჰეფესტო იხსნის. მისი სახელი „ფესტ-ფუსტი“, ბატონს ნიშნავს. ამრიგად, ხალიბ მეტალურგს, სწორედ მჭედლობის ღვთაება იცავს. ისაა პელაზგ-ზანთა უფალი, რაც ჩანს ფესტოსის დისკოდან (გვაქვს გვარი ფესტვენიძე).

თვით იდაიოსმა, გააშველა აიანტი და ჰექტორი.

მეფე პრიამოსი, კოლხ-ხალიბ მეომრებს, განსაკუთრებული ნდობით ეკიდება და მათ დიპლომატიურ მისიას აკისრებს.

ტროას მთავარი ქურუმი კალხა-სი (კოლხი) იყო. ქალაქის მთავარ კარიბჭეს „სკაია“ ერქვა.

ქალაქის მთავარი მდინარე „ქსანია“, მეორე მდინარეს სამოენტი ჰქვია. იგივე ჰიდრონიმები გვაქვს საქართველოში (მათი მღელვარება ჰეფესტომ დააცხრო). ქსანი მდინარის ღვთაებაა.

„ილიადადან“ ვიგებთ, რომ ტროას ომამდე, რამდენიმე ხნით ადრე, მოძალადე აქაველებს, „შვიდბჭიანი“ თებე დაუნგრევიათ, პელაზგთა ნაწილი გაურეკავთ, ნაწილი მათვე შერევია.

დარდანელ პელაზგთა რეზმებს, ტროასთან ენეასი მეთაურობს.

ვერცხლისმდნობელ ხალიბეს მხარიდან მოსულ კოლხებს, ეპისტროპე და იდაე წინამძღოლობენ.

პრიამოსის დავალებით, იდაე დიპლომატიურ მისიას კისრულობს და ცდილობს, დაარწმუნოს მოძალადე-დამპყრობლები, რომ მიიღონ ოქრო-ვერცხლი და ბრძოლა შეწყვიტონ. ისინი კი დაჟინებით მოითხოვენ ელენეს და მოლაპარაკება ჩაიშლება. აქ იდაე, თარჯიმნის გარეშე ესაუბრება ბერძნებს და პელაზგებს.

ბრძოლა განახლდა. უძლეველი დიომედე, ქალღმერთსაც რომ არ შეეპუა, ტროას მეფის შვილს გორგითეოსს ჰკლავს. (გვ. 83)

„გორგითეოს“–ზანურად დიდი (მხსვილი), მაღალი და ღვთაებრივია.

„ღმერთების ნებით“ და ბერძენთა ცბიერებით, ომის სასწორი, აქაველთა მხარეს გადაიხარა.

ვერგილიუსის „ენეადადან“ ვიგებთ, რომ ტროელებმა არ უსმინეს ქურუმ ლაოკოონს და ბერძნების დანატოვარი ხის, საბედისწერო ცხენი, ქალაქში შეაგორეს. მასში მოთავსებულმა მეომრებმა ღამით გარეთ გამოაღწიეს... კარიბჭე გახსნეს, მეჩეჩებს მიფარებულ ბერძნებს ნიშანი

მისცეს და ქალაქში ხანძარი გააჩაღეს; დაიწყო პელაზგ-ტროელების, დარდანების, ხალიბების, თრაკიელების ხოცვა-ჟლეტა...

აქილევსი, ბოლოს და ბოლოს, პარისის ხელით დაიღუპა.

მისმა ვაჟმა, ნეოპტოლომემ, მეფე პრიამოსი და მისი ვაჟი განგმირა...

ჰექტორის ცოლ-შვილი მონებად იქცნენ...

პრიამოსის ვაჟების (დეიფობოსი, გორგითეოსი, დიაიონი) სახელები ზანურია.

აგამემნონმა, პრიამოსის ასული კასანდრა დაინადავლა და წაიყვანა, მაგრამ ისიც და ქალიც, მისმა მეუღლემ, კლიტემნესტრამ დახოცა, ორესტემ კი ამის გამო, დედაზე იძია შური (ესქილე).

ენეასმა, თავისი მეომრებით, მოხუცი მამა და ცოლ-შვილი გადაარჩინა, ზღვას მიაღწია და დასავლეთს მიაშურა...

რომ არა ბერძნებს მიშველებული, რენეგატი პელაზგების: ნესტორის, დიომედეს, აქილევსის, ასკალაფოსის, აიანტის, ოდისევსის და სხვათა სიბრძნე, სიმამაცე და სისასტიკე, აქაველები, დამოუკიდებლად, მცირეაზიულ, კოლხურ-პელაზგურ ცივილიზაციას ვერ წალეკავდნენ.

„საოცარი“ ისაა, რომ ჰომეროსის მიხედვით, მებრძოლი მხარეები, ერთმანეთს უთარჯიმნოდ ეკონტაქტებიან. ე.ი. ბერძნები, ჯერ თვითონ დაუფლებიან პელაზგურ (ზანურ) ენას, შემდეგ კი, სადღაც VIII ს. ახლოხანებში, გადაუფარავთ ის.

„ბერძენს“, კ. ჭიღლაძე განმარტავს, როგორც „იბერ+ძენს“, ის კი ჭანურად („ბერე+ძე) შვილს ნიშნავს. ე. ი. ისინი შვილებია, იგულისხმება პელაზგებისა, ე.ი. მერმინდელებია, მათი მემკვიდრეებია.

ხმელთაშუაზღვის და ეგეოსის კოლხურ-პელაზგური კულტურა XVI ს-დან აქველ-ლანაელებმა წალეკეს.

ბ) პელაზგურ-ბერძნული პანთეონი

იმ დალოცვილ ბერძნებს, არა მარტო ტოპონიმია, ორონიმები და ჰიდრონიმები, თვით პელაზგურ-ქართველური პანთეონიც კი უსესხებიათ.

თავდაპირველად, როცა მკვიდრ მოსახლეობას ებრძოდნენ, არ ინდობდნენ თვით უზენაეს ქურუმებს, პირდაპირ რიტუალის აღსრულებისას ხოცავდნენ. კრეტას ქურუმსაც ასე მოექცნენ, რაც დასტურდება „თეზევსის მითით“ და არქეოლოგ ჯ. პენტლბერის დასკვნით.

გადიოდა საუკუნეები და რადგან მთვარის ღვთაების კულტი, თვით ვერ დასძლიეს, შეითვისეს ის, ამიტომ, თურმე, „პოსეიდონს, სათნო უჩნდა კურონი“.

მეტიც, კუნძულ **როდოსზე** (მიწის ღვთაების, ოდის სახელის მიხედვით), თვით რომაულ ხანამდე თაყვანს სცემდნენ „ხარისთავიან“, (ნიღბიან) ზევსს.

„დელოსი“ მნიშვნელოვანი კუნძულია. ის „დე“ პელაზგური აფიქსით, დედაღვთაების საუფლო კუნძულია. მითებით დასტურდება, რომ აქ „დაბადებულა ქალღმერთი არტემიდა, რომელსაც პელაზგები, დიადიანას (კოლხურადაც ასეა ა.ფ.) უწოდებდნენ. ის სახელშეცვლილი დედაღვთაებაა, ბავშვთა დაბადების, ცოლქმრული კავშირის, ცხოველთა ჯოგების მფარველი. თავდაპირველად, ამ ღვთაებას, მცირე აზიაში მიაგებდნენ პატივს. მერე ბალკანეთში და ბოლოს იტალიაშიც.

ბერძნები, რეა-კიბელეს ეძახდნენ. რეა კი მათი ახალი ღმერთების დედა იყო. სახელი „კიბელე“ კი წმიდა ჭანურია და „შვილის მომცემს“, ე. ი. შვილოსნობის მფარველს აღნიშნავს.

„ოდი“–მიწის ღვთაება, პელაზგებში ყოფილა გავრცელებული (ოდემიში“, „ოდიში, „ლერა ოდოს“). მისი სახელი, ეტრუსკებიდან უნდა მიეღოთ გერმანელებს (ოდინ-ი). „ოდოია“ მისი საკულტო სიმღერაა სქართველოში.

კიბელე დედაღვთაებას, კარიელმა ბარბაროსებმა (არაბერძნებმა), საოცარი ტაძარი აუგეს ეფესოში. როდოსის სახელიც ოდოს უკავშირდება.

„კიპრიდა“ აფროდიტეს ძველი სახელია. იმ კუნძულზე დაბადებულია და ზანურად „კიპრელი+დია“, ე. ი. დედაღვთაება ჰქვია. ის იერთებს კიბელეს ზოგ ფუნქციას, სიყვარულს და ნაყოფიერებას.

ბერძნული პანთეონის პრომეთე, მათსავე ენაზე „წინარე ღმერთია“, რომლის მოდგმა, მხოლოდ კავკასიაში დაფუძნდა. მას რომ ამარანტი რქმევია, თვით ბერძნები ადასტურებენ (ამარანტის მთები კავკასიონზე).

ქართულ სახელებს ატარებენ მისი შვილი და რძალი (დევკალიონი და პირა).

„თემიდა“ მართლმსაჯულების, სამართლის ღვთაებაა, რომელსაც თვალახვეულს გამოსახავდნენ. ეს, ქართული სახელია და „თემის დედაღვთაებას“, თემის მფარველ დედას აღნიშნავს. მას ევალებოდა პე-

ლაზგურ თემებში (დასახლებებში), სადავო საქმეების გადაჭრა: სახალხო კრების მოწვევა და საკითხის ობიექტური მოგვარება. ამრიგად, ის თემის სამართლის დედაღვთაებაა და მკვეთრად გამოხატულ მატრიარქალურ ადათებს ითავსებს.

„ერიდა“, განხეთქილების პელაზგური ღვთაება ყოფილა და ისიც, უპირობოდ მიუღია ბერძნებს. მისი სახელი, ზანურ-ქართულად, მოსარიდებელი და სახიფათოა (ქ. ერიდუ იყო შუამდინარეთში).

სახელი **ათენა-ათენი**, მეტად გავრცელებული ყოფილა ძველ საქართველოში, ეგვიპტეში და ბალკანეთში. ის წმიდა ქართული განთიადის, აისის, ალიონის, მზის ღვთაება ყოფილა, თუმცა მისი ფუნქციები ჰელიოს-აპოლონზე გადასულა და ქ. ათენის დაწინაურების შემდეგ, სიბრძნის და ომის ფუნქციები შერჩენია.

„დელფო“, დედაუფლის სამისნოს შეკუმშული ფორმაა, ბოლოს კი აპოლონის საზორველი გახდა. პელაზგური „დეაუფალი“, აპოლონმა გადაფარა, თუმცა მისანი პითია, ბერიქალი იყო (დედა, დედის თაყვანისმცემელი) და რადგან ორაზროვანი პასუხები სჩვეოდა, „ორაკულორგული“ შეერქვა.

მეღვინეობის ღვთაება დიონისე, იგივე „დედაღვთაებისა“, ზანურია.

„არაქნე“ მცირე აზიელი, ლიდიელი ქსოვის დიდოსტატი (იგივე ქალღმერთი ა. ფ.) იყო. ამ გაბედულმა ქალბატონმა (პრომეთესაჲით ა. ფ.) ღმერთთან ხელსაქმეში გაჯიბრება გაბედა. განრისხებულმა ზევსის ასულმა ის ობობად აქცია.

„დაფნა“ ნიმფა იყო და პელასგურ-ზანურიდან შევიდა ბერძნულში.

„ჰერმესი“, ჩვენებურად ერმი, მოგზაურთა და მეჯოგეთა მფარველი იყო, ყაჩაღებსაც წყალობდა...

დიდი ნანა, ნენანა და ჰეფესტო ნამდვილად პროტოქართველური ღვთაებები იყო. ამას ასაბუთებს ფესტოს დისკოზე მათი სახელების უაღრესი ფორმით მოხსენიება. ასევე, მათი ტროელების მხარეზე ბრძოლა („ილიადა“). ის იგივე „დიაა“, ახალი კიპრიდაა.

ზემოთ დასახელებული ჰერმეს-ერმი, ხეთურ-ქართველური სამყაროდან შესულა ბერძნულში, აქედან უნდა შესულიყო „ჰორმუზის“ ფორმით სპარსულში და „არმასის“ ფორმით სომხურ პანთეონში. ასე მიაჩნია ავსტრიელ მკვლევარს, ბედჟის ჰროზნის, თუმცა მისი წარმოშობის არეალში სცდება.

ჰერაკლეს ერთი გმირობაა, ბუმბერაზ „გერიონის“ დამარცხება, რომლის სახელიც ზანურად „მგელკაცია“.

ტროასთან, აქაველთა მხარეს რომ ბევრი პელაზგი იბრძვის, ეს ფაქტია. ასევე არგონავტთა „ღვთაებრივი წარმოშობის“ და სხვა გმირები, პელაზგებია, ნახევარი მაინც.

ჰერაკლეს ერთ-ერთი გმირობაა, ჰესპერიტების ბაღში გამგზავრება, რაშიც პირველად ფიქსირდება დასავლეთის სპერი „ჰელიოსის+სპერი“, „ტი“ აფიქსი, ისევ ჭანურია. ესაა თანამედროვე ესპანეთი ან იტალია.

ბერძნული მითოლოგიის დედმამიშვილები, დიოსკურები: პოლიდევკე, კასტორი, კლიტემნესტრა და ელენე, ვითომდა ზევსის შვილებია, არადა ზანურად „დიოსკური“, „დედალვთაების შვილს“ თუ არა, „დიონისეს+სკუარებს“ ნიშნავს.

ელენე და კლიტემნესტრა, ატრიდების: მენელაოსის და აგამემნონის ცოლები იყვნენ.

„ცელქი“ ელენეს გამო, აკი ტროას ომი დაიწყო.

„პოლიდევკე“, ბერძნულ-ქართული სიტყვების კომპოზიტია და ნახევრად დევკაცს (ტიტანს) ნიშნავს. „დე“ აფიქსი, ბერძნებმა პელაზგებისგან მიიღეს.

კასტორი, ზანურ-პელაზგურში გავრცელებული სახელია. ესპანეთში, ბალკანეთში, იტალიაში და იმერეთში რამდენიმე კასტირი და კასტილიაა. ესპანეთის კასტილიაში, გვაქვს გრანდის გვარი კასტრო.

ავიღოთ არგონავტ პელევსის ძმის, ტელამონის სახელი. ის ძალზე ჰგავს ეგვიპტურ ღვთაების ამონის სახელს და ქ. „ტელამარნას“.

ახლა დევკალიონის ვინაობა გავარკვიოთ. ის, პელაზგთა ძველი ღვთაების, პრომეთეს შვილია და ამრიგად ტიტანთა მოდგმისა. მისი ცოლია პირა, ხოლო რძალი პანდორა, ძღვნად მირთმეული ყუთიდან, ათასი დაავადება და უბედურება რომ მოუვლინა კაცობრიობას... როცა განრისხებული ღმერთები კაცობრიობას წარღვნით დაემუქრნენ, ბრძენი მამისაგან გაფრთხილებულმა დევკალიონმა, კიდობანი თუ ხომალდი ააგო. შეიყვანა ნადირ-ფრინველი, ცოლ-შვილი და ამრიგად, კაცობრიობა გადაარჩინა.

„დევკალიონის მითში“ სიმართლეცაა...

ქრისტემდე XV საუკუნეში, ეგეიდის კუნძულ თერაზე, ვულკანი ამოიფრქვა, რასაც დიდი მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა. წაილეკა ბალკანეთი და ეგეიდა. ამ კატასტროფამ, ბერძნებს რიცხობრივი უპირატესობა მიანიჭა.

ბალკანეთი და ეგეიდა, ისედაც აქაველთა თავდასხმებს განიცდიდა. ამ ორი მიზეზის გამო, პელაზგური ქალაქები მიწასთან გასწორდა.

„დევკალიონოს წარღვნა“ ძალზე ჰგავს „გილგამეშიანის“ უტნაპიშტის, ზიუსუდრას და „ბიბლიური“ ნოეს მითებს, რაც ვფიქრობთ პროტოშუმერულია.

აქაველთაგან შევიწროებული პელაზგები, „ზღვის ხალხი“, გაიფანტნენ. ისინი აზიას, აფრიკას და დასავლეთ ევროპას ეწვივნენ. მათ დაასახლეს კირინეიკა, მოედვნენ ლიბიას, ეგვიპტეს, დასავლეთ ევროპას, ჩასახლდნენ კართაგენში.

მოსახლეობის ნაწილი, მოსულ ბერძნებს შეერია და შეეთვისა, რაც კარგად ჩანს „ილიადადან“.

მაინც ვინ იყო პრომეთე?

ტერმინი **„პრომეთე“** ბერძნულია და წინარე, ადრინდელ ღვთაებას ნიშნავს. მისი კერძო სახელი, ბერძნებს მივიწყებიათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის კავკასიონის მთაზე „ამარანტზე“ მიაჯაჭვეს, ამარანტს, „აქაურს“ ნიშნავს. ზანურ-პელაზგურად ადგილობრივის შვილია.

„ამარანტის“ „ამირანად“ მეტამორფოზა, ვფიქრობთ არაბთა ბატონობას უკავშირდება.

ამრიგად, ძველი ღვთაება, ტიტანი პრომეთე, ბალკანეთის მკვიდრი, ჩვენი მინათესავე ხალხის, პელაზგების ღვთაება ყოფილა. მას უცნობებია ხალხისათვის მოსალოდნელი საფრთიხ შესახებ და გაუფრთხილებია შვილი დევკალიონი. ზევსს (ესქილეს მიხედვით) უწინარმეტყველა, რომ მეფობას წაართმევენ. პრომეთე ხშირად ჭკუიო და მოხერხებით სჯობნის ზევსის ქურუმებს. თვით ბერძნების ღვთაება, ზევსი, მას „ღმერთების სწორს“ უწოდებს,... პრომეთემ, ხალხს, თურმე ასწავლა ცეცხლის გაჩაღება, საჭმლის მომზადება, სახლის აგება...

ამირანის, უფრო სწორად ამარანტის – სახელი, უკეთ არის შემონახული კოლხურ-აფხაზურში. მას აფხაზურად „ამრა“ – მზე ჰქვია, ან მზეჭაბუკი (და არა „აბსკილი“. ა. ფ.) ახლა ჩემთვის გასაგები ხდება, რატომ გამოსახავდნენ მას აიეტის დედმამიშვილებთან ერთად. ისიც კოლხურ-პელაზგურ-ეგვიპტური მითოლოგიით, მზის, ამრა-ამონრას შვილია და აიეტის ძმა.

ახალმა ღვთაება ზევსმა, ბოლოს დაამარცხა ტიტანი და კავკასიის მთაზე მიაჯაჭვა. რაც უნდა გავიგოთ, როგორც კოლხ-პელაზგების დამკვიდრება.

ე. ი. ევროპული ცივილიზაციები, თვით ბერძენთა აღიარებით, ძველი ღმერთების „შრომა-გარჯის“ შედეგია და მათ ის „მზამზარეული“ დახვდათ.

თესალია და თრაკია, პელაზგთა ძველისძველი სამკვიდრო, აქაველებს დაუჭერია და მკვიდრები გაურეკია. თესალიელთა წინაპარი, თობელი, თუბალი, ქართველური ტომი ყოფილა (აკ. ურუშაძე კომენტარი, „არგონავტიკა“, 207).

დეა-კიბელე, დოლიონ-დოლოპების და მაკრონების (ზანები და პელაზგები) ღვთაება იყო. ისტ. ეფოროსის გადმოცემით, დოლოპი, პელაზგელი ყოფილა. „დო“ სწორედ ზანური აფიქსია. დილოპები თესალიიდან და მაგნეზიიდან, ბერძნებმა გარეკეს.

მიაჩნიათ, რომ ბერძნულში, „ინთოს“ აფიქსიანი სახელები, არაინდოევროპულია და პროტობერძნულიდან შესულა ელინურში. მათ შორის „კორინთოს“ (ძველი ეფირე), პაკინთოს, „პირინთოს“, „ტრიკორინთოს“. ასევეა „სს“-იანი აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები: ლარისსა, თალასსა, მალასსა.

გ) პროტოგერძნული ენის და ტოპონიმიის შესახებ

ორიენტალისტებმა რამდენიმე ასეული პროტობერძნული ტერმინი აღრიცხეს ბალკანეთში, აპენინზე, პირინეიზე.

ჰოლანდიელმა ფურნეემ, ბერძნულ ენაში აღრიცხა არაბერძნული ფუძის 5000-მდე სიტყვა (ქართველ მეცნიერებს კი ეძინათ).

ბერძნები, ყველაზე ძველი ინდოევროპელებია, ხოლო ეს სიტყვები, მათ აუთვისებიათ პროტობერძნებისგან, პელაზგებისგან, რომლებიც ზანურ-ქართულის მონათესავე ენაზე საუბრობდნენ.

ამ დარგით, ქართველთაგან წარმატებით მუშაობს პროფ. რ. გორდეზიანი. ზემოთ უკვე დავასახელეთ: რენე ლაფონი, მიჩელენა, იან ბრაუნი, ლაიოშ ტარდი, სამუელ კინტანა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს პირინეის ძველი მოსახლეობის ენათა კვლევას.

ჩამოვთვლით იმ სიტყვებს, რომლებიც ბალკანეთის მკვლევარებმა აღრიცხეს:

მე-დეა – მე დედა;
ბატრაკი – ბაყაყი;
აედონ – იადონი;
გერგეტოს – გერგეტა
ბოოს – ხარი (ბღავილი „ბოო“)
ლამელო – ლამისყანა
არტა – არტაანი,
პორფირი – პირისფერი,
ეტოლია – ტოლა, ტოლები,
კერამიკა – კერია,
კოვ – ტყავი,
კრონე – ყორანი,
კილიდო, კილიანი, ნაკლული,
კისა – კისათიბი,
არგოსი – არგვეთი,
კარალია – კარალეთი,
ათენი – ათინა,
დაფნა – დაფნა,
აირეი – ზღვის პირი
ორბელო – ორბელი,
ნიქოზია – ნიქოზი,
ფალოსი – პალო,
ფარხალი – პარხალი
ქსანი – ქსანი
სკაია – სკრა, ისკია
სქუა – სექსი,
„პრასინ“ – პრასის ფერია;
კატრინი – მწიფე კიტრისფერია
და სხვა მრავალი.

ბალკანეთში პროტობერძნული, პელაზგური ტოპონიმია, უკეთ შემოინახა. ეს იმის შედეგია, რომ XV საუკუნეში, აქაველთა გააფთრებული თავდასხმების, ნგრევისა და აწიოკების, ტაძართა ძარცვის, ქურუმთა მკვლელობების შემდეგ (კრეტის გათხრების და „ილიადას“ მიხედვით), მოძალადე აგრესორები თანდათან დაცხრნენ, მერე 2-3 საუკუნეში, რიცხობრივ უპირატესობას მიაღწიეს და შეირიგეს დამხვდურნი. ეს ჩანს როგორც „არგონავტების მითიდან“, ისე „ილიადადან“. პელაზგთა ენა ძვ. წ-ით VIII საუკუნემდე მაინც განაგრძობდა არსებობას, მერე კი დავიწყებას მიეცა, თუმცა ათასობით სიტყვა, ტოპონიმი და თვით პანთეონი, ბერძნებმა აითვისეს.

მანამ კი, ამ ტერიტორიის ძველმა მკვიდრმა, პელაზგებმა, ღრმა კვალი დააჩინეს ბერძნულ ენას, კულტურას, რელიგიას.

პელაზგთა მეფე – მთავრების სამკვიდროს, თანდათან ბერძნები ეუფლებოდნენ, მცირე აზიულ კარიასა და ლიდიაში კი ისევ ბარბაროსულად (არაბერძნულად) საუბრობდნენ.

პელაზგების უმთავრესი ქალაქი, კორინთო (ჰ. მილერტნი) უკვე ბერძნებს ეჭირათ. ბ. გრეინშპოკიც წერს, რომ ევროპის პირველი მცხოვრებნი კოლხები იყვნენ. ამ აზრის არიან დიდი ევროპელი ორიენტალისტები, ხოლო ტოპონიმიის კვლევა გვარწმუნებს, რომ პელაზგური

და კოლხური, ზანური ენა, ახლო იყო ერთმანეთთან. მაშინ ქართული ენა, როგორც ცალკე ენა, არც არსებობდა. ბევრი დაბნეული მეცნიერი, სულ ტყვილა გვარწმუნებს, რომ კოლხური იგივე იბერიელია და ამით „იბერ“-ება.

დ) კრეტა

„ფესტოს დისკო“ 1908 წ. აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერინომ, მეფე მინოსის სასახლის ნანგრევებში. მასზე 244 ასო ნიშანი და 61 სიტყვაა. თარიღდება ძვ. წ-ით 1850-1600 წლებით.

წარწერა გაკეთებულია თიხაზე, ბეჭდური ტვიფრით, დისკოს ორივე მხარეს დიამეტრი 16 სანტიმეტრია, იკითხება შუაგულიდან, ხაზებში ჩასმული გრაფემებით, ბრუნვით.

ეს არის „კოლხური ორქოდამწერლობა“ და მისი გამშიფრავის, პროფ. გია კვაშილავას მიხედვით, ის ნანა დედაღვთაების საგალობელია, რასაც ასრულებდნენ 4000 წლის წინ, ქურუმი – კარიბანტები.

სტრაბონის აზრით, ისინი კოლხეთიდან იყვნენ მოსულნი. აკი აიეტის ძმები და დები, დასავლეთში მკვიდრობდნენ: „ფესტოსის დისკოს ენა პროტოქართულია და ის კრეტაზე, ბერძენთა დამკვიდრებამდეა (ძვ. წ-ით XVII ს.) შედგენილი“. ამას აღიარებენ: გ. ჰუმბოლდტი, პ. კრეჩმერი, ან. მეიე, ედ. შვიცერი, ვ. შახერმეიერი, ჰ. ძებიში, შ. გოგოხია.

ასეთი დამწერლობა, ბერძენთა ცნობით, კოლხეთშიც ჰქონიათ. ჩვენში ეს, საღმრთო ტექსტები, ბატკნის, კრავის (მეგრულად კირიბი) ტყავზე ეწერა. ამიტომ მისი წამკითხავი ქურუმი, კარიბანტი იყო (შ. ნუცუბიძე).

„ფესტოს დისკოს“ შემოუნახავს უძველესი ქართული ენა – მეგრულ-ლაზური და სვანური. ამრიგად, პელაზგური ქართველური ენების დედაა („დიოსკურია“ 2007 VII).

ეს კულტურა, ეგეოსის წინამორბედია. ჯ. ჰოპკინსის აზრით, დისკო „ერთ-ერთი ინტელექტუალური ამოცანაა, რომელიც უძველესმა კულტურამ დაგვიტოვა. ჰ. ძებიშმა დაწერა წიგნი „პელასგური და იბერიული ენა“, სადაც ცდილობს დაასაბუთოს წინაბერძნულის და ქართველურის მსგავსება. მისი აზრითაც, პელაზგური არის ქართველური ენების დედა. ამ ენით უნდა გაიშიფროს წინაბერძნული წარწერები („სახალხო განათლება“ 1989, 19 XII). ე. ი. ქართული, გვიანდელი წარმონაქმნია.

მ. ვენტრისმა და ჯ. ჩედვიკმა, კნოსში ნაპოვნი A ტიპის ტექსტი უძველეს, ხაზოვნად და წინაბერძნულად, ხოლო B ტიპისა, ბერძნულ-მიკენურად მიიჩნიეს.

პროფესორი მ. ვენტრისი წერს, რომ ძვ. წ-ით XX საუკუნემდე, ბერძნული ენა არ არსებობდა. მათი ენა შეიქმნა ეგეიდისა და მცირე აზიის ენათა გავლენით. ეს ენა, ადგილობრივი და მოსული მოსახლეობის ენების შერევის შედეგია.

ჯ. ჩედვიკმა დაასკვნა, რომ ბალკანეთში სხვა ტომი, პროტობერძნები ცხოვრობდნენ, ხოლო ძვ. წ-ით XV ს. კრეტა ბერძნულად არ მეტყველებდა... ძვ. წ-ით, V საუკუნის წარწერებიც კი არაბერძნულ ენაზეა შედგენილი.

„ფესტოს დისკო“, ჰგავს კრეტის მალიის ქვის ბოძზე ამოკვეთილ ნიშნებს. „ფესტ-ფუსტ“, ხეთურად და სვანურად „ბატონს, რომ ნიშნავს, ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

ხეთურში, შუმერულში და ფრიგიულში, კიბელე (ჭანურად შვილის მომცემი ა. ფ.) დედაღვთაება, იგივე ნანაა, ხოლო ფესტოში მას „ნენანა“ ჰქვია.

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „ნე“ პრეფიქსი, მდედრობითი სქესის მიმღეობაა (ნენანა, ნერბი, ნეზვი. ა. ფ.)

ძებიშის ჰიპოთეზა გ. კვაშილავამ დაასაბუთა, რომ დისკოს ენა კოლხურია. ის საუკეთესო საგალობელია.

ამ ათი წლის წინათ, „კვირის პალიტრაში“, ეკა ლომიძე წერდა, რომ ევროპის უძველესი კულტურა არა ბერძნული, არამედ პროტოქართულია და ამას უნდა ვუმადლოდეთ ჰერბერტ ძებიშის დაკვირვებებს. მან შექმნა კომპიუტერული სისტემა, რომლის კითხვარებს მხოლოდ პროტოქართულმა ენამ უპასუხა, რასაც მოჰყვა ლონდონში გ. კვაშილავას გამოსვლა.

თ. გამყრელიძეც გამოეხმაურა „დისკოს“ და აღნიშნა, რომ ეს ტექსტი, ქართულ-ზანურ ენებზეა შედგენილი. ე.ი. პროტოქართულად მიაჩნია.

ამასთან, სვანური და მეგრულ-ლაზური, რომ დაგვეკარგა, დისკოს კვაშილავა ვერ გაშიფრავდა. მას შესაძლებლობა მიეცა, წაეკითხა: ფესტოსის ლარნაკის, მალიის ქვის ბლოკის და არკატოხორის ცულის წარწერები.

რუს მეცნიერს, პ. უსპენსკის, ათონის მონასტერში მოუსმენია ბერძენი ბერების საგალობლები, რომელშიც ღვთისმშობელს „ნენანას“ უგალობდნენ, რაც პელაზგური, ძველისძველი ენის გამოყენებაა.

ჩვენ აღვნიშნეთ ჰოლანდიელი მეცნიერის, ფურნეეს ღვაწლი, მან შეისწავლა 5000 სიტყვა, რომლებსაც არაბერძნული ძირი აქვს და ამრიგად, პროტობერძნულია („კვირის პალიტრა“, 2009 6-12 VIII)

მიგვაჩნია, რომ აშშუვა – ტროა და ფრიგია იყო ბოლო, მძლავრი, მცირე აზიური, პელაზგურ-კოლხური სახელმწიფოები, რომელთა დაცემის შემდეგ, გაბატონდნენ ბერძნები და „კვდომა“ იწყო პროტოქართველურმა ენამ, პელაზგურ-ზანურმა.

ჰ. ძებიშის და გია კვაშილავას მიხედვით, ფესტოს დისკოს ტექსტი, პელაზგურ-პროტოქართულია. ბ. გრეინშპოკის მიხედვით, ევროპის პირველი კოლონისტ-ამთვისებლები ქართველური ტომებია. ასევე მიაჩნდა ჰუმბოლდტს, ხოლო დემოლენსი და ბ. კუფტინი, იტალიის ეტრუსკებს, კოლხეთიდან მოსულებად მიიჩნევენ. მითოლოგიის თანახმად, აიეტის დის, ცირას შვილი იყო იტალიის პირველი მეფე. ეტრუსკ რომულუსს ქ. რომი დაუარსებია და იქ ეტრუსკი მეფეები მბრძანებლობდნენ.

რაც შეეხება ეგეიდას, არა მარტო კრეტა, კიპროსი, როდოსი, მაკროსი (ევბეა), სამოთრაკე, ქიზიყი (კიზიკი), ლემნოსი, ლესბოსი, თერა და თვით ბალკანეთის ნახევარკუნძული, პელაზგებით ყოფილა დასახლებული და წინაქართველურ ენაზე ლაპარაკობდნენ.

მოდით მიმოვიხილოთ ეგეიდის უდიდესი კუნძული კრეტა, რომლის მოსახლეობა, მცირე აზიიდან ძვ. წ-ით III ათასწლეულის დასასრულს გადასულა და დასახლებულა. მათ ადრევე მიუტანიათ აღმოსავლეთიდან მეგალითური კულტურა, ეს იყო მეორე ნაკადი.

პროტობერძნები, ე. ი. პელაზგები, ევროპის პირველი მშენებლები იყვნენ. აგებდნენ ვეებერთელა: სასახლეებს, ტაძრებს, ციხე-გალავნებს.

არგოსი, პილოსი, მიკენი, თებე, ტროა, კნოსი, ალეკასტრო, მილეტი, ათენი, ფესტო და კორინთო, მათი აგებულია. იმ დროს მშენებლობა, მხოლოდ ბრიტმა დრუიდებმა, ეგვიპტელებმა და შუმერებმა იცოდნენ.

ჰელაზგ-კავკონ-კრეტელებია პირველი ევროპული ცივილიზაციის შემქმნელნი და არა ინდოევროპელები.

თვით კრეტა, ზანურ-ქართული ტერმინია და ჩაკეტილს, მიუვალს და „კტიანს“ (კლდიანს ა.ფ.) ნიშნავს.

ძვ. წ-ით II ათასწლეულის დასაწყისში, კუნძულის ქალაქებს არ გააჩნდათ საფორტიფიკაციო ნაგებობები და ციხე-კოშკები. მეზობელ ქვეყნებზე კრეტელთა ბატონობის იარაღი, ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი იყო.

კუნძულ კრეტაზე, კოლხ-ქართველთა კვალის არსებობას ასაბუთებს ტოპონიმია, ჰიდრონიმია, საზღვაო საქმე, მინათმოქმედება, საინჟინრო საქმე და მეტალურგია.

„ორის მთა“ – კრეტაზეა და ბასკეთშიც.

მთავარი, სამეფო ქალაქი კნოსი იყო, რომლის ეტომოლოგია ვერ გავარკვიეთ (კინოსი? მაშინ „მხრებაზიდული“, ზევით მდებარეა“).

ფესტო კრეტის ძველი ნაქალაქარია. ეს ძველი, სვანური ტერმინია და პარალელს პოულობს ხეთურ „ფუსტ“-თან, რაც ბატონს, ე. ი. საუფლო ქალაქს ნიშნავს. სწორედ აქ იპოვეს იდეოგრაფიული დისკო, რომელიც გაშიფრა ბატონმა გია კვაშილავამ და მისი აზრით, ის „დია-ნენანას“ ე. ი. დედაღვთაების სახოტბო ჰიმნია. მასში ნახსენებია ზანთა (პელაზგთა) დიდი დედა, ნენანა, რიტუალში მონაწილეობდნენ ჭაბუკი კარიბანტები და ნახსენებია მჭედლობის ღმერთი – ჰეფესტო. გამოდის, რომ ისიც ზანურ-პელასგური ღვთაება ყოფილა.

ძვ. წ-ით II ათასწლეულის დასაწყისში, კრეტაზე ქ. ალეკასტრო დაწინაურებულა. მისი სახელი კასტირს (ქვიანს) ან მცენარე ლეკას უკავშირდება.

მითების თანახმად, კრეტას ძლევამოსილი მეფე, ზევსის და ევროპეს ძე, მინა (მინოსი) განაგებდა, რომელსაც დამორჩილებული ჰყავდა ახლომახლო ქვეყნები და მათგან ხარკს იღებდა.

კოლხეთიდან გაქცეული მედეა და იასონი, პირველად კრეტას მიადგნენ და მოინახულეს ფაცია (ფასიფაე). ეტყობა მან სტუმრები ცივად მიიღო, ამიტომ ჰესპერიაში გაემგზავრნენ კალიფსო (ქალი ფსოუდან კ. ჭ.) ინახულეს, მერე კი სიცილიაც დასტოვეს და ცირუ-ცირას მიაკითხეს კორსიკაზე. იმან კი როგორც ზევით აღვნიშნეთ, მშობლიურ-მეგრულად (ზანურად) შერისხა სამშობლოს, მამის, ძმის მოღალატე და გააძევა...

მინას ცოლად ჰყავდა აიეტის და, ჰელიოსის ასული ფაცია. იმან დედალოსს ძროხის ფიტული გააკეთებინა, შიგ მოკალათდა და კუროს „თანაეყო“. ფეხმძიმობის შედეგად, ხარისთავიანი ურჩხული, მინოტავ-

რი დაიბადა. ის კნოსის სასახლის ლაბირინთში მოათავსეს და მსხვერპლად სწირავდნენ ხარკის სახით მიღებულ გოგო-ბიჭებს...

ლეგენდარულ მინოსს (მინა, ჩვენში საკუთარი სახელია) თუკი ის მართლა არსებობდა, ძვ. წ-ით XVII ან XV საუკუნეში უნდა ეცხოვრა. ცოტა მოგვიანებით კი, კრეტა აქაველებმა გაძარცვეს და დაანგრიეს. ამრიგად, მინოსი აიეტის სიძე ვერ იქნებოდა. ეს XII ს. მოღვაწეობდა, მაგრამ ბერძნები, ხომ ყოველივე საოცარს, კოლხეთს უკავშირებდნენ...

მითების თანახმად, ზევსი კრეტაზე გაუზრდია ნიმფებს და თხა ამალთეას. მას „კურენტი" დარაჯობდა (იგივე კურატი, დაუკოდავი, აჯილღა მოზვერი)... ჰოსეიდონმა კი მინოსს სამსხვერპლო ხარი გაუგზავნა. მეფეს მოეწონა, გადაარჩინა და მის ნაცვლად, სხვა ხარი შესწირა ზღვათა ღვთაებას. განრისხებულმა პოსეიდონმა, ხარი გააცოფა და ის, დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობას... ჰერაკლემ დაიმორჩილა და მოათვინიერა ველური მოზვერი.

ძვ. წ-ით III-II ათასწლეულებში, შეინიშნება კრეტელთა კავშირები მცირე აზიასთან და ეგვიპტესთან. მეთუნის მორგვი, მცირე აზიიდან შეუტანიათ. ერთ ეგვიპტურ ფრესკაზე, გამოსახულია ფარაონის ვეზირ, რეხმირთან ხარკის მიტანის პროცესია. მათ შორის კრეტელიცაა, მაგრამ ის მხოლოდ ძღვენის მიმრთმევია.

ფინიკიელთა აღზევებამდე, კრეტა ჩრდილო-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე და ეგეიდაზე ბატონობდა კიდეც...

ისე, როგორც თავდაპირველი, ძვ. წ-ით III ათასწლეულის დასაწყისის პერიოდშიც. კრეტაზე დამკვიდრებული მოსახლეობა, ძვ. წ-ით II ათასწლეულშიც, მხოლოდ მცირე აზიური იყო.

ძვ. წ-ით XVIII ს-ში მომხვდურებმა, კრეტა პირველად გაძარცვეს. თავდამსხმელები, ჩვენი აზრით, აშუვა-ტროას ზანურ-პელაზგური ტომები უნდა ყოფილიყვნენ.

კრეტის საბოლოო განადგურება ძვ. წ-ით XVI ან XV ს-ში მომხდარა... მიწასთან გასწორებულა: კნოსი, ალეკასტრო, პლატონისი, ფესტო, სიცოცხლე გაქრა... სიმდიდრე გაზიდეს. მჭიდროდ დასახელებული დაბები ჩაკვდა, გაუკაცრიელდა... გადარჩენილებმა ზღვას, დასავლეთის და სამხრეთის ქვეყნებს მიაშურეს. მათ, ეგვიპტელებმა „ზღვის ხალხები" შეარქვეს, რადგან ამ ისტორიულ კატასტროფას, დროში დაემთხვა „დევკალიონის წარღვნა" (თერას ვულკანური მიწისძვრა)...

ხოლო აქაველ-დანაელები, ნგრევით მოედვნენ პელაზგურ-ტროიანულ სამყაროს... ნაწილმა მიიღო მოძალადეები, დაუმეგობრდა და დაუმეზობლდა მათ, რაც კარგად ირკვევა „ილიადადან“.

ეგვიპტესთან ინტენსიურ სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობას, დიდი კვალი დაუჩენია კრეტის, ეგეიდის და მიკენის კულტურისათვის.

კრეტის ცივილიზაცია, რომელიც ძვ. წ-ით 2500-იან წლებში ყვაოდა, გადამდები აღმოჩნდა. ამას ასაბუთებს საკარას ფრესკების მსგავსება კრეტის კნოსის სასახლის ფრესკებთან. მათში ბრწყინვალებით გამოირჩევა მიწისქვეშა საზორველი, ხარის გამოსახულებით, რომელზედაც ჭაბუკი-კარიბანტი ირაოს გადადის, მიმზიდველია ზღვისა და დელფინების, მხიარული გოგონების გამოსახულებები. აქედან, მიკენში შეუღწევია ცოდნას, ხელოვნების შესახებ. ეგვიპტურ მონუმენტურ სკულპტურას დიდი გავლენა მოუხდენია ადრეული საბერძნეთის ხელოვნებაზე.

არ ვარ ხელოვნებათმცოდნე, მაგრამ ჩემთვის აშკარაა, ეგვიპტური და კნოსური ფრესკების, თვით ადამიანთა მსგავსება: მრგვალი თავი, ნაჯახა სახე, უკანგადახრილი, ვიწრო შუბლი, რასაც ქვევით უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

მეტად საინტერესოა, კნოსის არქეოლოგიური გათხრები.

ჰ. შლიმანისგან განსხვავებით, სერ არტურ ევანსი, მოურიგდა იმ ფერმერს, რომლის ზეთისხილის ბაღიც ვეებერთელა ნანგრევებზე იყო გაშენებული. ერთ-ორ წელიწადში გაიწმინდა დიდი ტერიტორია და კნოსის სასახლის კონტურებიც გამოიკვეთა. აღდგა გეგმა. ეს ყოფილა ვეება სასახლე, მიწისქვეშა ოთახებიანი საზორველებით, 3 და 4 სართულიანი, ნაგები უდუღაბოდ, თლილი ქვებით, ძალზე რთული გეგმით.

სასახლის პირველ სართულზე, შიგა ეზოების გასწვრივ, იყო ზეთსახდელი, ღვინის მარანი, მარცვლეულის სათავსოები. სასახლე ასობით ოთახს და დარბაზს მოიცავდა. იყო სამეფო დარბაზი და სამსხვერპლო, რომელიც ღრმა მიწაში იყო გამოკვეთილი.

სრაფილს და სახურავის ძგიდეებს, ხარის თავისა და რქების გამოსახულებები შემოჰყვებოდა. მის ეზოში, 3000 მსახური ფუსფუსებდა.

არქეოლოგებმა, კნოსის სასახლის სარიტუალო დარბაზში, ე. წ. ლაბირინთში, შეუსაბამო არეულობა შენიშნეს... ნივთები მიმობნეული და

არეული დახვდათ, ლითონის სარიტუალო ჭურჭელი გატანილი, რამაც პროფ. ჯონ პენტლბერს აფიქრებინა, რომ მეფე მაშინ მოკლეს, როცა უფალს თავისი ქვეყნის გადარჩენას ევედრებოდა. ის უზენაესი ქურუმიც იყო და მისი აზრით, რიტუალს ხარის ნიღბით ატარებდა, ამან ეტყობა, სათავე დაუდო მითს „თეზევსის შესახებ“.

თეზევსისგან მინოტავრის მოკვლა, იგივე ხარისნიღბიანი მეფე ქურუმის მოსპობაა. ამრიგად ახალი, დამპყრობელი ხალხის ღვთაება, ზევსი იმარჯვებს ადგილობრივ, კრეტის, ხარის (მთვარის) კულტზე.

ეს ამავე დროს მოასწავებდა კრეტელთა ბატონობის დასასრულს ეგეიდასა და ბალკანეთზე.

კრეტას და კოლხეთის რელიგია: რწმენა-წარმოდგენები რომ ერთნაირი იყო, ამას ადასტურებს კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახული ხარის ნიღბიანი, დაჩოქილი და მავედრებელი ქურუმი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება.

ასე დაამარცხეს ელინ-აქაველებმა ძველი რელიგია, რწმენები დამხვდურებისა.

უფრო გვიან, I საუკუნეში, მოგზაური და ისტორიკოსი, სტრაბონი წერს, რომ იბერები და კოლხები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ „სელენეს“ (მთვარეს) და მას ბოდში (ბოდბე) ადამიანებს სწირავდნენ, ისევე, როგორც კრეტაში ხდებოდა (ა. ფ.) ალბათ ასე იყო: ხონში, ვანსა და ილორში).

XVII ს. მისიონერთა ცნობებით, თეთრ გიორგის, სწორედ თეთრ ხარს სწირავდნენ, ხოლო დიდ ივ. ჯავახიშვილს, სამართლიანად მიაჩნდა, რომ მთვარის ღვთაების ადგილი, სწორედ წმიდა გიორგის დაუჭერია.

„გურნია“ – ქალაქი იყო. ეს ტერმინი ზანურად შუაგულს, შუაში მდებარეს ნიშნავს (შეადარეთ გურია).

„თოლოსი“ – პლატონისთან ამოზრდილი, დიდი დასახლება იყო, რაც ზანურად თვალსაჩინოს, საჩინოს ნიშნავს.

„კეფალინია“ – ჩაზნექილი არეა. ასეთ თევზს, ჩვენ კეფალს ვეძახით. ბალკანეთში მეორე კეფალინია იყო; მის რაზმს, ტროასთან, ოდისევსი მეთაურობდა, არადა ის ითაკედან იყო(!!!)

„კვიტაიონი“ – ზანურ-პელაზგური „კვი“ აფიქსით გამოირჩევა, შეადარეთ კუტაია, რაც ზანურად „პატარა ქალაქს“ ნიშნავს.

„კასტირი“ – კრეტაზეა, ბალკანეთში, ესპანეთში, სიცილიაზე და იმერეთში.

„ჯონია“ – კრეტაზეა და ოკრიბაში.

„ჯარაზო“ – ჩარაზულს, ჩაკეტილ არეს ნიშნავს.

„დეკა“ – სოფელია, მისი სახელი მცენარე დეკას უკავშირდება. მას ასახელებს ვაჟაც. („შენი დეკა და ღვიანი“) ყაზბეგში არის დესი.

„არკატოხორი“ – ზანურად არკადის სამოსახლოა.

„ტრაპეზუნტი“ – კრეტაზეა, ბალკანეთში და ჭანეთშიც. ეტიმოლოგია საკვლევია.

„მაკრიალი“ – იქაცაა და კლარჯეთშიც, მაკრონებს უკავშირდება (ევბეას ძველი მოსახლეები, პელაზგურ-ზანური ტომი).

ისა იქაცაა და მცირე აზიაში, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა სახელოვანი ბრძოლა გადაიხადა (ძვ. წ-ით 334 წ.)

„მაკარია“ – შესაძლოა ბირკას, ბაკარიას უკავშირდებოდეს. ევბეას აკი მაკრი ერქვა და მაკრონთა ტომს უკავშირდებაო გვარწმუნებენ. ჩვენთან არის გვარსახელი მაკარიძე, პროვანსში – მაკრონი, მსგავსი გვარებია იტალიაშიც.

ე) ეგეიდის კუნძულებიდან ზოგიერთი

იაზონის და მედეას დადევნებული კოლხი უფლისწულის, აფსირტეს ფლოტი, „ნესტოსის მხარეს“ მიადგება. ეს ქართულად ნესტიან-ჭაობიანია.

ვისაც კუნძული ლემნოსი უნახავს, დამერწმუნება, რომ იქ მხოლოდ ერთი პატარა კორდია, დანარჩენი მხარეები დაბლობი და ჭაობიანია, ამიტომ შეურქმევიათ ლემნოსი, ანუ ლამიანი (შეადარეთ ლამისყანა).

ეს კუნძული, თავიდანვე, ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაების „ჰეფესტოს“ კუთვნილება ყოფილა. ერთხელ, აბეზარმა ჰეფესტომ დედას, ჰერას თავი მოაბეზრა. განრისხებულმა ქალღმერთმა, ბავშვი მოისროლა. ის ლემნოსზე დაეცა და ფეხის მოტეხის გამო, სამუდამოდ დაკოჭლდა.

ამ კუნძულზე ყოფილა ჰეფესტოს მთავარი სალოცავი. ეტყობა ის, მეტალურგიის გადამცემი პუნქტი იყო, მცირე აზიიდან ბალკანეთზე.

ტროას ომში მომავალი ასკალაფე, აქ ასპიტმა დაკბინა თურმე...

„კიპროსი“ ჩვენი აზრით, კიპაროსიანს (ნაძვის დაბალჯიშა სახეობა) ნიშნავს. ის კიპრიდა – აფროდიტეს მშობლიური მხარეა.

ევბეას ძველად „მაკროსი“ (მაკარია) რქმევია. ეტყობა ეგეიდიდან გადასული ზან-მაკრონთა გამო, მათი ნაწილი პროვანსში გადასულა.

„ოდემიში“ ეგეიდის კუნძულია და კოლხ-პელაზგთა მიწის ღვთეაბის კუთვნილს ნიშნავს. „ში“ ჭანური აფიქსი, კუთვნილებას გამოხატავს. ის ოდის საუფლოა. ვფიქრობ, გერმანულმა ტომებმა მისგან ისწავლეს ტერმინი „ოდინი“.

„კარიელი“ – კავალას უბეშია, შეადარეთ კარია, კარი.

„ისოსზე“ – არის კეფალისი, ე. ი. ჩაზნექილი, ბრტყელი არე.

„ქალკედონის“ ნ. კ. „კარიე“ (ე. ი. მეჩეჩთან მისადგომი კარი).

„ქიოსზე“ – არის მთა კავკასია.

„მეგარა“ – კუნძული, შეადარეთ ეგრის-მეგრი.

კუნძულ „ლესბოსის“ „ლე“ პრეფიქსი სვანურ-კავკონურია. ზუსტი ეტიმოლოგია საკვლევია, უძველეს დროს, მას „პელაზგია“ რქმევია. ე. ი. პელაზგთა სამკვიდრო (აქაური იყო პოეტი ქალი საფო ა. ფ.)

ათონის კუნძული და სახელი მზეს უკავშირდება და სიმაღლესაც.

ასევე, ვგონებ, პელაზგურ-კოლხურია სახელები: „სამოსი“, „აბიდო“, „ქიზიყი“, „არგინე“, „როდოსი“, „კრეტა“, „სამოსი“.

(კიზიკს ილია ჭავჭავაძე გამოთქვამდა, როგორც „ქიზიყს“).

„თემისკირა“ – საიდანაც არგონავტები კოლხეთისკენ გაემართნენ, ზანური ენით იშიფრება, როგორც „თემის+სკუარები“, ე. ი. შვილები.

„კარეია“ – კუნძულია.

3) ჩრდილო საბერძნეთი

ბიზანტიონი, თრაკია, თესალია, მაკედონია, ეპირ-იანინა

მომხვდურმა ბერძნებმა, კონტინენტური ქალაქები: მიკენი, პილოსი, არგოსი, თებე, კორინთო, ათენი და სპარტა დაანგრიეს. ეგეიდაში მინასთან გასწორდა კნოსი, ფესტო, ალეკასტრო, მილეთი...

როგორც ვწერდით, ეს „დევკალიონის წარღვნამაც“ გააადვილა.

ამრიგად, ჰენრიხ შლიმანის, სერ არტურ ევანსის და სხვათა მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით, ბერძნულს კი არა, წინაბერძნულ კულტურას აეხადა ფარდა. ეს კულტურა ძვ.წ-ით III-II ათასწლეულისაა და არა ძვ. წ-ით XV საუკუნეზე გვიანდელი.

მიკენის სამარხში აღმოჩენილი „აგამემნონის ოქროს ნიღაბი“, ძვ. წ-ით XVI ს. ძველია და ის ბერძნებს არ ეკუთვნის. მეტიც, ტროას მაოხარი აგამემნონი, ძვ. წ-ით XII ს. ცხოვრობდა...

თვით ნიღაბი, გამოხატავს ხეთურ-მცირეაზიულ (ქართველურ) ტიპს. ეს არის მრგვალი თავი, ნაჯახა სახე, შედარებვით ფართო ყვრიმალები და კეხიანი, თხელი ცხვირი, უკანგადახრილი, ვიწრო შუბლით.

ამიტომაც ტერმინი – „აგამემნონის ნიღაბი“ მეტად პირობითია.

სტამბოლის აზიურ ნაწილს „ქართალარი“ ჰქვია.

კონსტანტინოპოლის დასავლეთით აღვრიცხეთ:

კირჩხალი – ჰგავს კლარჯეთს კარჩხალს, რაც კარგახსნილს, ფართო, გაშლილ, ვრცელ შესასვლელს ნიშნავს;

„ქსანი“ – პატარა მდინარე და უბეა (ტროაში და ქართლში არის);

„ჩორდუ“ – ზანურია, ჩორდვანი სამცხეშია, იყო საკ. სახელი ჩორდვანელი (ცნობილი თორნიკე ერისთავის მამა) ჩორი ერქვა დერბენდს.

„ანარია“ – რომ ზანურ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის, ამას ადასტურებს კოლხეთის ორი „ნაქალაქარი“, რომელნიც ამ სახელს ატარებენ. პირველი ანარია, ჯიხაიშ-იანეთის სივრცეში ფიქსირდება და მისი მდებარეობა ძალზე ემთხვევა აპოლონიოს როდოსელისგან აღწერილ კოლხთა დედაქალაქს. მეორე ანარია, ნამაშევის ციხის გალმა, გუბისწყლის მარცხვნივ, ჭაობიან-ბუჩქნარშია მითითებული. ამაზე წერდა ჯერ კიდევ XX ს. ქართული პრესა.

„კასტრონი“ ჰგავს ესპანეთის კასტილიას, კასტროს, კასტრახონს, ხონის სიახლოვეს, 7 კილომეტრზე არის კასტირის ხიდი. ერთ პითში, პარნასთან კასტილის წყაროც სახელდება.

„ქსანტი“ – შეადარეთ ზემოთ, მოხმობილი პარალელები;

„კორიე“ – საცხოვრისი, სამკვიდრო ან ყორეებიანია;

„ჯავრისი“ – იგივე საგოდებელია;

„კირჩხა“ – მხრებთეთრია. (იქვე არის ლამია);

„არგოს მოლიონი“ – არგოს მოლიანი ველი.

„კლისორი“ ფლორინას ახლოა. შეადარეთ სოხუმის კელასური (შესაძლოა კერის არეა);

„არავისი“ –სათემო...

„პაეოხორა“ – პავლეს ნასახლარი (ნაოჯახარი) ან ძველი საცხოვრისია (არის მეორე პაეოხორა);

ეგეიდის კუნძულებიდან: **„სკიროსი“, „ტასო“, „ტინო“, „სამოსი“, „იკარია“, „ტილო“**, კაპრატი (კაპრაშის, ჯონჯოლის სახელიდან) კიტი-

რა (შეადარეთ კინტრიში), „ლეროსი“ და სხვები ქართველური ფუძეებით გამოირჩევიან.

„პირეა“ – ზღვის პირია, ხოლო ეპირი და თესალია, წმიდა ზანური ტოპონიმებია;

„ორქომენი“ – ეპირშია. ოქროსფერი სანაპიროა (ზანურად), „ორქი“ აბაშასთანაა;

„კლიდი“ – ჩამკეტი, გაუსვლელი, კლიტული ალაგია;

„ქორეთი“ – ქორო სახლის დარბაზია (ზანურად). მაღალს, ვრცელსაც ნიშნავს. ასეთი სახელწოდების სოფელი საჩხერეშია, არის გვარი ქორაია-ქორიძე;

„ლიანოვერდი“ – ლიანიანი ადგილი, ან ფერდი;

„ნიო–მეგარა“ – ახალო მეგარაა;

„კოუტალა“ – ზანურად პატარა, მცირეა, შეადარეთ „კუტალა“;

„დოგანი“ – შეადარეთ გოდოგანი (მარტვილში და თერჯოლაშია);

„ვაკოუტა“ – არგამშვები, ჩამკეტი (ზანურად);

„ნოე შირაკი“ – კახეთში გვაქვს შირაქი;

„ხონგიო“ – საქართველოში 7 ხონია;

„ჯონია“ – (ბალკანეთში სამია, ოკრიბაში ერთი, კრეტაზე ერთი);

„კრიტეა“ – შეადარეთ შეუღნევი (ეს მესამეა);

„კოროპოულა“ – ჩრდილო დასახლება(?) ან კარაპანზე გადასავლელი.

„კოკინია“ – სახბორე(!);

„ჯალარინი“ – ჭალარინი (?) შეადარეთ ჯალაგონი;

„როფიგილოს“ – როფესავით ჩავარდნილი, ღრმა ადგილი;

„ვერდი“ – ზანურად სავედრებელი, ლოცვის აღსავლენია;

„ახალი სოული“ – შეადარეთ ახალბედისოული (ხონის რაიონი);

„პაპალია“ – პიპინა, სავსე (!) ან ხუცესისა;

„ორშილო“ – ქალაქია, ღრმას ნიშნავს (!) ჰგავს ორშიმოს;

„სხოუტარი“ – შეადარეთ საჩხერის სხვიტორი;

„აქაია“ – შესაძლოა არხის ფორმა იყოს (აქაია, აქაველთა ქვეყანაა);

„მეტოხი“ – ჰგავს თბილისის და მცხეთის მეტეხს;

„ლეხენა“ – შესაძლებელია გვერდისძირს, ან ავადიან-ხაშმიან ადგილს ნიშნავს. „ლეჰი“ ზანურად სნეულია.

მაკედონიაც ადრე პელაზგებით ყოფილა დასახლებული;

დედაქალაქის, „პელას“ სახელი, პელასგებს უკავშირდება. მე, სამწუხაროდ, ეს ქვეყნები ვერ მოვიარე, მხოლოდ რუქებით ვსარგებლობ.

„ოხრიდი“ – გაჩხერილი და ვიწროა(!);

„კოჩანი“ – ზანურად კაცების დასახლებაა;

ისტ. თრაკიაში (სამხრეთ ბულგარეთი) აღვრიცხეთ კირჯალი, რაც ზანურ-პელასგურად განიერი, ფართო და ვრცელი ჭალაა;

„ისკირი“ მდინარეა. ისკია მარტვილში (სერგიეთში) მდინარეა, აბაშის შენაკადი, ისკო გვარია ბასკეთში.

„იანინა“ – სამხრეთ ალბანეთია. შეადარეთ იმერეთის იანეთი;

„არტა“ – იანინას ქალაქია, შეადარეთ არტაანი და არტანუჯი.

„არდისი“ –ცხინვალთანაცაა (ერთიანს ნიშნავს).

ზ) შუა საბერძნეთში

მანდარია, ჭიათურასთან, მოშორებით არის სოფ. მანდაეთი და გვარი მანდარია, „ომანდარია“ მეგრულად ჩქარი გზა-სავალია.

კ. ლევკადაზეა ლარისა. ეს სახელი ჰგავს მთიულეთის „ლარსას“, შუამდინარეთის ლარსას.

კ. კერკირა – იგივე კერკეტი, მაგარი, ქვიანია.

„არტა“ – (ეს მეორე) განმარტება იხილეთ ზევით.

„კერის ოხორი“ ოჯახის, კერის სამკვიდროა.

„კინო“ – ზანურად ზემოთია, „ეუკინი ბუსკა“ ასწიე ზევით ბუსკა – შეუძახებენ ხარს, კინო მხარიცაა და გაშლილს ნიშნავს.

„მეგარხი“ – მეგარას არხი.

„კატამილი“ – ზანურ-ქართულად საქათმეა, ან საქათმია.

„ლამია“ – ჭაობ-ლამიანი ადგილია.

„რახეს“ – იგივე რეხი, ქვიანია.

„ლაპიელა“ – ლარისა – ლაფიანი და სწორი ადგილია.

„მოსხატო“, შეადარეთ მოსხ-მუსხი.

„კარელარი“ – კარის არეა, (იყო პატრიაქი მის. კერულარი) ან კერის არეს ნიშნავს.

„ჯალეო“ – იგივე ჭალა.

„ლერა ოდოს“ – ლერწმოვანის, ჭაობიანი არეს სახლია.

„პაპაჯოსი“ – უხუცესისა, ქურუმისა.

„მარიისი“ – მარის კუთვნილი, შეადარეთ მარელისი.

„კუოტალა“ – ზანურად პატარაა, პატარა ბიჭს კუტას ეძახიან.

არის გვარსახელი: კუტალია, კუტალაძე, რაც იგივე პატარიძეა.

„მელისია“ – გალმა მხარეა, ან ბერძნული შავი, მუქი (მელანოს).

„არკადიის“ მთებში გაედინება მდინარე რიონი, იქვეა ქ. ტრაპიზონი.

„ატაბარია“ – მთაა კუნძულ როდოსზე. ატაბუნა ხონის რაიონშია, მდინარე ცხენისწყალის პირას, რაც მდინარისპირა სერს ნიშნავს.

„თერა“ – პატარა კუნძულია, ეტიმოლოგია საკვლევია

თესალონიკის მხარეს, ძველად რომ პელაზგია რქმევია, ამაზე ზევით უკვე ვწერდით. თვით „თესალია“ ღრმამიწიანს, კარგ სახნავ-სათესს ნიშნავს.

„კოტინდროსი“ კომპოზიტია, მისი პირველი ნაწილი „კოტი“, კორტოხის, თხემის აღსანიშნავია. შესაძლოა მწვანებალახა კორდი იყოს (კოინდარი).

„კოპატოს“ – კოპი, თხემი, კორდია, შესაძლოა მც. კოპიტს უკავშირდებოდეს.

„ანგელოხორი“ – ზანურად ანგეს ნამოსახლარი ან სამოსახლოა.

„ჯალატადეს“ – ჭალატყეა ზანურად(!)

„მატანდისტის“ – პირველი ნაწილი ზანურია. შეადარეთ ახმეტის მატანი.

„ფოკეა“ – ზღვისპირა ქალაქია. ჩვენთანაც ასეთი პუნქტებია, წყალს უკავშირდება. პირველი ფოკა ტბა ფარავანთანაა, მეორე ფოკე რიონზე, დადიანმა ჯარით რომ გადალახა 1633 წ.

„პალეოხორი“ – პავლეს ნამოსახლარია, თუ არა და ძველი სამოსახლო. შეადარეთ „პალიასტომი“. შესაძლოა, პალიკოს ნამოსახლი იყოს.

„კალი“ – მესტიაში არის კალა, სახნავ-სათიბია. (სამკალი)

„ლაპანა“ – იგივე ლაფანაა, მცენარე ლიფონია (კოპიტისებრთა ჯიში), ზემო კახეთში არის ლაფანყური.

„ზიხი“ შეადარეთ ზიგი, ზინგახოხი, (ჯიქი?)

„კარდიცა“ ზანურ ენაზე პატარა ქვაბულია. მცირე ქვაბს მეგრელები „კარდალას“ ეძახიან.

„ლეკანი“ – ალბათ მცენარე ლეკას უკავშირდება, თუ არა და სვანურად უნდა აიხსნას, როგორც „საყანე“.

„დიდია“ – წმიდა ქართულ-ზანური ტოპონიმია, ვრცელ არეს ნიშნავს.

„ვერგინა“ – ჩვენი აზრით, ვერ გიჯინას, ძნელად დასანახის შეკუმშული ფორმაა.

„ქერონეა“ საქერე მიწა, ნაქერალაა (აქ ჩაესვენა თავისუფალი საბერძნეთის მზე, (ძვ. წ-ით 336 წ.)

თ) ათენი და ატიკა

ათენის თავდაპირველი სახელი „ატენი“ უნდა ყოფილიყო, რაც ქართველურად მაღალს, საფეხურებიანს ნიშნავს, სწორედ ასეთი იყო ათენის აკროპოლისი (შეადარეთ გორის ატენი), თუ არა, ის განთიადს, აისს, მზეს და სინათლეს უკავშირდება (შეადარეთ ეგვიპტური ათონი).

ძვ. წ-ით III ათასწლეულის დასასრულს, ალბათ მცირეაზიელ ტომთა თავდასხმის შედეგად განადგურებულა ათენის ლერნას, კორინთოს, ელევსინის და რაფინის ციხედარბაზები, რომლებიც ბალკანეთის თავდაპირველი ცივილიზაციის ძეგლები იყო.

ატიკა პელოპონესის ჩრდილო ყელზე მდებარე ნახევარკუნძულზე მდებარე ოლქია, ევბეის დასავლეთით.

ატიკის სახელმწიფოს ცენტრი, სიბრძნის, განთიადის, ქალწულთა მფარველ ქალღვთაებას, ათენას ეძღვნებოდა. ჩვენში ათენგენია, ჭანეთში ათინა.

დიდებული ქალბატონები, ათენა ღვთაებას, ყოველწლიურად ჭრელ სამოსს, „პეპლოსს“ უქსოვდნენ. ე. ი. პეპელასავით ჭრელს.

ათენის დასავლეთ ნაწილს პელასგია ერქვა, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს **„კერამიკოსი“** (ე. ი. კერიის ჭურჭლის სახელოსნო).

„გერგეტოსი“ ლოცვის აღსავლენი ადგილი იყო ათენში. გერგეტა ჩვენს მთიულეთშია, ერგეტა კი ზუგდიდთან, რაც წარმართული მზის სალოცავი ყოფილა.

„მაგრი“ აღმ. ატიკაშია (შეადარეთ მეგრი).

„აგიო-კოსმოსი“, ათენის ერთი კლდოვანი უბანია. იქ გამოჭრილი ლითონის სადნობი, უძველესია ევროპაში.

ათენის აკროპოლისზე არის განსაცვიფრებელი, კოხტა, პატარა ტაძარი **ერეხთეიონი**, რაც ზანურად „ქვის საუფლო ტაძარია, თუმცა მითი მის აგებას, ვინმე ერეხთევსს უკავშირებს. გაიხსენეთ ზანური სიმღერა: „ერეხელი ვარ და მერეხელი“...

„კიდონა“ – ანუ კიდე, ათენის ერთი განაკიდურია.

„ნოდარგოსი“ – ძველ ნამოსახლარს უნდა ნიშნავდეს, „ნო“ ნამყოფობის პრეფიქსია.

ი) კორინთო და არგოლიდა

აიეტის უძველესი სამკვიდრო ქალაქია კორინთო. ის პელაზგ-ლაზთა სამკვიდროს ნიშნავს (ორი – ქართლშიცაა).

კორინთოსთან ახლოა **ლატარა** (შეადარეთ სვანეთის ლატალი), კორჩე (ხორჩა?) და **არგოსტიდი**, რომლის ფუძე „არგო“, ზანურში მრავალ პარალელს პოულობს.

„კალამე“, ზანურად ლერწმოვანია (ლერწამი კალამია).

ტენარონ სილრმეს თუ არა, ტენიან-ჭაობიანს უკავშირდება.

იკარია პატარა კუნძულია, იქ სადაც „იკაროსი“ დაიღუპა.

„კიტირა“ – საკიტრია, კინტრიშია.

პილოსი არგოლიდის ქალაქია. მისი დაარსება პოსეიდონის ვაჟს, პელევსს მიეწერება. „ილიადას“ მიხედვით, ბრძენი ნესტორი და აქილევსი, პელევსის ვაჟები იყვნენ, თვით პელაზგთა ტომიდან.

„ლოუზიკა“ – იგივე ლაზიკა, პე+ლაზგების ქვეყანაა.

„ლამბია“ – დალამბული, ე. ი. ცუდნაშენია.

„კალიანი“ (ჩრდილო აღმ. საბერძნეთში), იგივე კილიანი, ნაკლიანია (კალა სვანეთშია).

„კორინი“ – საცხოვრისი, სამკვიდრო ან საყორნიაა.

„მაკრონი“ – ზანური, ევბეაში მცხოვრები ტომი იყო. კუნძულსაც მაკროსი ერქვა.

„ხალიბიუმი“ – სოფელი იყო ევბეაზე, ქართული ტომის სახელია. ე. ი. მეშახტის, მემაღაროეს აღსანიშნავია (ხეთური ტერმინია) აკ. ურუშაძის აზრით, პელზგურ ხანაში, ევბეაზე ცხოვრობდნენ ხალიბები. იგივე სანები, ზანები იყვნენ. მკვლევარი მაკრონ-მაკრელ-მეგრელს აიგივებს, რაც ჩვენი აზრით უზუსტობაა. მეგრელი „მ-ეგრისელს“ ნიშნავს და სადაურობის აღსანიშნავი ტერმინია (მაჩაბელი, მეტრეველი, მეგვიპტელი).

„კატოსოული“ – კატოს ნაქონი ნამყოფია.

„ანასოული“ – ანნას კუთვნილია.

„ვარიონ-ბოდბი“ – შეადარეთ ქართლის ვარიანი და კახეთის ბოდბე.

„მინას ვაი“ – მინას საგოდებელი (ეს პატარა სრუტეა).

„კარიტუნა და კანდია“ – ზანურია, პატარა კარს და საკარე ადგილს აფიქსირებს, თუ არა დედაღვთაების კარს;

„ელეოხორი“ – ელეს ნამოსახლარია;
„ჯორისტა“ –(!)
„როხია“ – ზანურად რეხი, ქვიანი ადგილია (როხი ბაღდათშია);
„მოლაი“ – მოლიანი, მწვანე ადგილია (მოლი, მედეას ბალახი იყო);
„ქუტირა“ – ზანურად ქვიანია (იმერეთში ქუტირი და ქვიტირია);
არგოლიდას შესახებ ზევით ვწერდით...
„დოკოზი“ – ზანურად დაკოფსილი, დაბალი ადგილია;
თებეს მეფეს, მითით კადმოსი ერქვა, რაც ჰგავს კოდმეს.

კ) პელოპონესი

ძველი ბერძნული მითის თანახმად, სამხრეთ საბერძნეთის, პელოპონესის სახელი, ეპონიმ „პელოპს“ უკავშირდება.

სინამდვილეში კი ის პელაზგთა პოლისს, მათ ქვეყანას ნიშნავს.

ზევით აღვნიშნეთ, რომ „ილიადას“ თანახმად, არგოსელ პელაზგებს, პილოსის მეფე, ნესტორი წინამძღოლობდა. მერმიდონელთა რაზმებს, აქილევსი მიუძღოდა, ხოლო ყველაზე გავლენიანი მხედართმთავარი, აგამემნონი, მიკენის მეფე იყო და პრეტენზიას აცხადებდა მეზობელ ქვეყნებზედაც. ამის მაგალითია ის გარემოება, რომ აგამემნონმა, აქილევსს აღუთქვა არგოსის „ქვიშოვანი ველი“, რომელიც პილოსის მეფეს, ნესტორს ეკუთვნოდა. მეტიც, აიეტის კოლხეთში გადასახლების შემდეგ, ხელთ უგდია კორინთო (ბუნესთვის თუ კრეონტისთვის წაურთმევია) და მის რაზმსაც მეთაურობდა, ტროასთან ომში.

მოკლედ რომ ვთქვათ, პელაზგთა ტომის ბელადები, აქაველებს გადაუბირებიათ და თანამოძმეთა წინააღმდეგ დაურაზმავთ (ესეც ქართველური ხასიათია).

ერთი უძველესი პელაზგური ქალაქი იყო **სპარტა**, რომლის სახელი ესპანური სპაინ-ს და ქარულ „სპერს“, სპათაგორს ჰგავს. ლაკედემონის სახელში „ლაკეს“ გარდა „დემონიც“ იკითხება.

„დაფნა“ – პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთის დასახლებაა (შეადარეთ დაფნარი) „მიკენი“ ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი, პელოპონესის მთავარი ქალაქი იყო (გათხარა შლიმანმა). მან კრეტის კნოსთან ერთად, დიდი გავლენა მოახდინა ბერძნულ ცივილიზაციაზე.

ტერმინი მიკენი და ეგვიპტის ფარაონ მიკერენას სახელები ერთნაირია. ეს კულტურა კნოსზე უფრო გვიანდელია, თუმცა, შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთნება. „აგამემნონის ნიღაბი“, როგორც აღვნიშნეთ, პროტოელინური ძეგლია. ის კავკასიური ანთროპოლოგიური ტიპია და არა ინდოევროპული.

„არხი“ – სამხრეთის პატარა კუნძულია;

„ფერისა“ – ქართველური ტერმინია. ფერსათი გვაქვს ბაღდათში;

„ლასკანიო“ – სვანურ აფიქსიანი ტერმინია და სხვისას, სასხვოსის ნიშნავს; გურიაში გვაქვს „ასკანა“. ენეასის შვილს „ასკანიო“ ერქვა.

„ასკალო“ კი მოუხეშვს, ტლანქს ნიშნავს;

„ოსსა“ – შეადარეთ ქართლის და კახეთის ოსიაური, გვარი ოსაძე, რომელიც ეპონიმ იოსებ-ოსიას უკავშირდება (ოსირისი?)

„ეგროს“ – შეადარეთ ეგრისი (ის კომოტინთანაა);

„დადია“ – შეადარეთ ქართლის დადიანეთი);

„ორმეთი“– ორმოებიანი (!) ჰგავს ორბეთს;

„პროტი“ – ფოთი?

ეს არის ჩვენს მიერ ბალკანეთში შეგროვილი ენობრივი, ტოპონიმური მასალა. როგორც დავინახეთ, ბევრი ტერმინი ზანურია და უმეტესობას, ქართველური, ზანური ძირები აქვთ. შესაძლოა ზოგი ტერმინის გაშიფრაში უნებლიე შეცდომაც გაგვეპარა, მაგრამ აბსოლუტური უმეტესობა ხომ ზანურია. ისინი პროტობერძნებმა დაამკვიდრეს, ძველი წელთაღრიცხვით III ათასწლეულის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ინდოევროპელები, თემურ-გვაროვნულ წყობილებით, ისევ ტყეებში ბინადრობდნენ, ხოლო ქართველური და პელაზგური ტომები ზანურ ენაზე საუბრობდნენ. ამიტომ ვერ დავეთანხმები, იმ მეცნიერებს, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

შესანიშნავი ფილოლოგის და მკვლევარის, ზვიად გამსახურდიას განმარტებით, „დე“ პრეფიქსი სრულიად უცხოა ბერძნული ენისათვის, მათ ეს პროტობერძნებისაგან უსესხებიათ. ესენია: დემოსი, დემეტრა, დემოფანტე (ელევსინის მეფისძე), დედალოსი, დეიფობოსი (ენეადა), დერკენიოსი, დევკალიონი, დევერა, დემადე, დესპინე, დეიანეირა, დემოკრიტე, დემოლეონტი, დემონი, დეიოტარი (გალატიის მეფე) დემუქოსი, დემარატე, დემოსთენე... „დე“ აფიქსიანი სახელები, ზანურ-პელაზგურ დედაღვთაება დეას უკავშირდება.

დღემდე შემორჩა ჩვენს ენაში დია, დეიდა, დევი, დევკაჟიანი, დემნა... გუთნის დედა, დედაბოძი, დედამიწა.

საბერძნეთში ბევრია ტერმინი „პაპა“ (ზანურად ხუცესი, ბაბუა), ამ ფუძით არის ნაწარმოები; პაპატანასიუ, პაპაჯო, პაპისმედოვი და სხვა.

დიდი პოლიტიკოსის, ქსანტიფეს სახელიც ქართულია.

ლ) პელაზგ-სარდან-ეტრუსკები იტალიაში

იტალიის უძველესი მოსახლეობა, თვით ჰომოსაპიენსის ეპოქიდან დაწყებული, კავკასიური წარმოშობის რომ იყო, ეს დაასაბუთა ვილაგრამას და წყალტუბოს საწურბლიის მღვიმეთა მცხოვრები ადამიანების გენეტიკური კოდების იგივეობამ.

ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულში, თვით იტალიური მოსახლეობის ზეპირი გადმოცემით, მათი წინაპრები, მცირეაზიელი მოახალშენეები – ტირენ-ტარსენები იყვნენ. ბევრი მეცნიერი, მათ პელაზგებთან აიგივებს. ხოლო ვერგილიუსის „ენეადას“ მიხედვით, ისინი ძვ. წ-ით XII საუკუნეში მოსულან, ტროას დაქცევის შემდეგ.

ზოგი მიიჩნევს, რომ I ათასწლეულის ბოლოს მოვიდნენ და იტალიაში 730 წლიდან ჩანან.

პელაზგ-ეტრუსკ-სარდანებს, იტალია ძვ. წ-ით II ათასწლეულში უნდა დაეჭირათ. დაახლოებით ამ დროს ეკუთვნის „მითი არგონავტების შესახებ“, რომლის თანახმადაც, აიეტის ძმა ავგია ელიდას, თვით კორინთოს, პერსე შავი ზღვის ჩრდილოეთს, ცირა (ცირუ) ჰესპერიას (კორსიკას), კალიფსო სიცილია-სარდინიას, ხოლო ფაცია კრეტას ფლობდა თავის ქმარ, მინასთან ერთად (მაქციას სამფლობელო არ ირკვევა).

სარდინია რომ ძვ. წ-ით I ათასწლეულის დასაწყისში, სარდანებით ყოფილა დასახლებული, ამას ასაბუთებს ერთი, IX ს. ფინიკიური წარწერა, რომელიც კუნძულს „შარდანს“ უწოდებს.

ე. ი. მითოლოგიით, ქართველები, მთელს ხმელთაშუაზღვის პირს ფლობდნენ, უძველესი დროიდან.

მეცნიერებმა ისიც გაარკვიეს, რომ ხეთურ-ქართველური ღვთაება „ტარხონიდან“ წარმოიშვა ტერმინი „ტარსენი“. აკი, ენეასის პატარა ფლოტილიას, ჰესპერიისაკენ, ტარხონი მიუძღვის, ხოლო ერთი გემი „ორონტია“.

ამრიგად, ძვ. წ-ით II ათასწლეულის დასასრულს, პელაზგურ-ეტრუსკულ-სარდანულ, ე. ი. ქართველურ ტომებს, დაუჭერია თითქმის მთელი იტალია.

მითოლოგიით, იტალოსის წინაპარი, სწორედ პელასგოსი ყოფილა. ეტრუსკებმა დაუდეს სათავე იტალიის თავდაპირველ ცივილიზაციას. ლათინებმა, მათგან გადმოიღეს: ანბანი, კალენდარი, პანთეონი, ათობით ტერმინი.

ეტრუსკებს, ტარსენებს და ტირენებს ეძახდნენ (აქედან ტირენის ზღვა) პროფ. მიხეილ ვენტრიხმა სცადა, ეტრუსკული ენის დაკავშირება მცირე აზიის მოსახლეობის ენებთან, სურდა მიკენურის და ეტრუსკულის მსგავსების დადგენა, მერე კი აზრი შეიცვალა.

ბევრი მეცნიერის აზრით, ეტრუსკული, პელაზგურია, რომ ისინი იტალიაში ლიდიიდან გადასხლდნენ.

ზოგის აზრით კი თესალიიდან, ზღვით მიაღწიეს იტალიას და ტვირენია დააარსეს. ისე როგორც ადრე, მათს ნაფუძარზე დასახლდნენ ფინიკიელები (ტვიროსში).

დიდ პოეტ ვერგილიუსს, ისინი ტროელ კოლონისტებად მიაჩნდა. ისტორიკოს ტაციტს, მოუსმენია, რომ ეტრუსკები, ლიდიელთა ნათესავებია (მ. წერეთელი „რომის ისტორია", შესავალი).

თვით ეტრუსკების ტრადიციით: ტვირენია, ვოლატერე, ვეი, კლუზიუმი, არეციო და სულ 12 ქალაქი, მცირე აზიელ ტარხონს დაუარსებია. ის კი, ხეთების და ჭან-ზანთა უძველესი ომის ღვთაება იყო. ტოსკანა სწორედ ეტრუსკულია.

კამპანიის ოლქი, ეტრუსკებს აუთვისებიათ. მოუტანიათ აპოლონის კულტი ლომის სახით და სატომო ტოტემი მგელი, მათგან, ლათინებს მიუღიათ.

ძვ. წ-ით XII საუკუნიდან, იტალიაში ალპების გავლით, თანდათან მკვიდრდებიან გალები და მრავლდებიან გერმანიკული ტომები, ძვ. წ-ით VI საუკუნემდე მაინც ეტრუსკები პირველობენ, მაგრამ მათ, დანასისხლად უპირისპირდებიან ბერძენი მოახალშენეები (VIII-VI ს. ძვ. წ-ით.).

ძვ. წ-ით 524 წ. ქ. კუმეს ბერძენმა ბასილევსმა, არისტიდემ, ისინი პირველად, ხოლო 508 წ. მეორედ დაამარცხა. მათი მეფეებიც რომიდან გააძევეს.

კუმესთან, საზღვაო ბრძოლაში, 474 წ. ეტრუსკები ისევ დამარცხდნენ. მძლავრმა სამნიტურმა ტომმა, ისინი კაპუადანაც გააძევა, თუმცა მაინც ინარჩუნებდნენ კულტურულ გავლენას იტალიაში, ბოლოს კი მხოლოდ ეტრურია (ტოსკანა) შერჩათ.

2-3 საუკუნეში, ისინი სავსებით შეერივნენ ლათინებს.

რომმა აითვისა მათი არქიტექტურა, სკულპტურა, ფერწერა.

ძვ. წ-ით I ათასწლეულის დასაწყისში, ეტრუსკებს, ჰქონდათ რკინა. ეტყობა რკინის დნობის ხელობა, მცირე აზიიდან მოიტანეს.

ეტრუსკული კულტურის საილუსტრაციოდ, კმარა კედლის მხატვრობის ნიმუში ტორკვანიიდან (ტრიკლინიუმის აკლდამა), რომელიც ძველი წელთაღრიცხვით 480 წ. თარიღდება. ფრესკაზე გამოსახულია ორი მოცეკვავე, ულამაზეს, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი. ისინი როკავენ სიცოცხლის ხის და მტრედის გარშემო. გამოსახულება ისე დინამიურია, რომ შესაძლოა ჩაითვალოს მაღალი ხელოვნების ნიმუშად. (ზ. აბზიანიძე, ქ. ელოშვილი, 2012, 119). ის ბერძნულ-ეგვიპტურ-მინოსური ხელოვნების ნაზავია.

სამარხებში ნაპოვნია იარაღი, თიხის ჰიდრიები თუ ლარნაკები, მათი მხატვრობა დიდად ორიგინალურია და ფორმა მოხდენილი.

რომისგან ეტრურიის დაპყრობის შემდეგ, რესპუბლიკის, „პრინციპატის" და „დომინატის" ხანაში, იტალიაში მილიონობით მონა ჩაასახლეს. V ს. ჩრდილო იტალია გუთებმა, ლანგობარდებმა. VIII ს. სიცილია მავრებმა დაიპყრეს, რის გამოც, უძველესი ტოპონიმიის ნაწილი წაიღეკა, თუმცა იტალიელი ენათმეცნიერები, ტოსკანურ ენაში, კარგად ამჩნევენ არაინდოევროპულ ენობრივ შრეებს.

თვით ლათინები, თავიანთ წინაპრებად ტროელებს მიიჩნევდნენ.

აკი, გენიალური კეისარი იქადდა: „დედით აფროდიტეს, მამით კი იულოსის (ენეასის, ა. ფ.) შთამომავალი ვარო".

ესტრუსკებიდან მიუღიათ ლათინებს, დედაღვთაების ზანური სახელი „დიანა". კარიაში აკი არტემიდას, დედაღვთაების სახელით სცემდნენ თაყვანს.

ეტრუსკებს, ძვ. წ.-ით VIII ს-ში შემოუღიათ ბერძნულ-ფინიკიური ანბანი, მაგრამ გრაფემებისთვის სახელები შეუცვლიათ. მათგან, ანბანი ლათინებს გადაუღია. ამიტომაც, ასონიშნების უმეტესობის სახელები, ეტრუსკულია, მხოლოდ რამდენიმე ფონემის სახელია ლათინური.

სამგლოვიარო ზარი და ზანური გოდება „ნენია“ (ქათულად „ვაი დედა“), ეტრუსკულიდან ლათინურში უცვლელად შესულა.

განდგომილი ანგელოსის, „ლუციფერის“ სახელიც ეტრუსკულიდან შესულა ლათინურში. „ლუ“ პრეფიქსის შემდეგ, რჩება „ცის ფერი“, ხოლო ლუ მგელია.

ვულკანით 70 წ. დაფარულ ძველისძველ ქალაქ პომპეის, ეტრუსკები „ოსკურს“ ეძახდნენ (შეადარეთ დიოსკურია, სკური, სკურჩა).

მოხუცი, წეროსანი, ეტრუსკულად და ქართულად ბაბუაა.

ქ. გენუა, ზანურად „სახბორეა“, აკი „იტალია, ბერძნულადაც ასეა (შეადარეთ კართაგენი). ეტრუსკულად, სიკვდილის ღმერთი, საიქიოს ღვთაება კალუსია. აქედანაა მიღებული ტერმინი „კვლა“ (რ. გორდეზიანი).

ეტრუსკულიდან, ლათინურში შესულა, ბავშვის შექმნის პროცესი „სექსი“, რაც ზანური ტერმინის „სქუას“ პერიფრაზია.

„კილიდო“, ეტრუსკულად კოჭლი, ე.ი. ნაკლული, კილიანი, მკალობელია.

ხეთური ტერმინი „ჰალიბუს“ (ხალიბი) რაც მიწის წიაღს, მაღაროს, შახტს უკავშირდება, ქვესკნელის ღვთაება კალუსი შეესაბამება. ამრიგად „ხალიბუს“, ჰალიბუს-კალუს, მადნის მთხრელი, მემაღაროეა. აი, როგორ უნდა აიხსნას ხალდი-ხალიბი (ე. კობახიძე). ეს კი, ბერძნებმა, ცალკე ტომად მიიჩნიეს.

„თეს“ პელაზგურად და ეტრუსკულად სიღრმეა (აქედან თესლი). ღვინო „ვინო“, ბრინჯაო – „ბრონზე“, „ვიშნა“ – ქვიშნაა, „თინ“ თენება-განთიადია, „თეა“ თვალია, „ნენე“ გამზრდელია. „თერს“ თრევაა. „ტარ“ სამსხვერპლო ცხოველია, რაც ჩვენებურად ტარიგია. „ლუთ“ ქვაა, აქედან „ლოდი. „კათ“ მზეა და აქედან ქათქათი (ეკ. კობახიძე „ლიტერატურული საქართველო“ 1990 წ. №19).

მცირე აზიაში ცხოვრობდნენ, კოლხ-ზანთა მონათესავე ლუბიელები. მათი და კოლხების საერთო ტოტემი, მგელი იყო, რასაც ყმუილის გამო, „ლუუს“ ეძახდნენ. ეს ტერმინიც ლათინებს „ლუპუსის“ ფორმით, ეტრუსკებისგან მიუღიათ.

რომის ერთ-ერთი ეტრუსკი მეფე, ტარკვინიურ პრისკე (ძველი) იყო.

ლათინებმა (რომაელებმა), თავიანთი ბოლო, ეტრუსკი მეფე, ტარკვინიუს თავხედი („სუპერბუს“) ძვ. წ-ით 510 წელს ქალაქიდან გააძევეს.

ამის მიზეზი გახდა, მეფის შვილის ძალადობა, წარჩინებული ეტრუსკის, ტარკვინიუს კოლატინეს ცოლ ლუკრეციაზე, რის გამოც, ქალმა თავი გაიგმირა.

ამ აღმაშფოთებელი აქტით ისარგებლეს რესპუბლიკელებმა: ბრუტუსმა, პუბლიკოლამ და კოლატინემ. ხალხი აამხედრეს და მეფე-ტირანი, რომიდან გააძევეს. ამის შემდეგ, მათ რესპუბლიკა დააწესეს.

არისტოკრატთა მოზრდილი ნაწილი, ეტრუსკული წარმოშობის იყო ტერმინი „ეტრუსკი“, ჩვენი აზრით, ეას, ან ეტეოკრეტელთა, წინამოსახლეთა, „სკუად“, შთამომავლად უნდა მივიჩნიოთ. კრეტა, ხომ მცირე აზიელებმა აითვისეს.

გაძევებული რომის მონარქის დაბრუნება სცადა, მისმა ნათესავმა, ეტრუსკთა მეფე პორსენამ (მაშინ ჩაიდინა მუციუს სცევოლამ, ცნობილი გმირობა).

პორსენამ დარაზმა ვეის და ტარკვინიის ჯარი. რომზე გაილაშქრეს, მაგრამ უშედეგოდ. ტარკვინია-ტარკვინიუსი, მუხის ზანურ სახელს, რკვია – რკოიანს უკავშირდება. მას მეორენაირად ჭყონიც ქვია (რკონი სოფელია ქართლში, რკვია იმერეთში (მერკვილაძე, ჩარკვიანი გვარებია). ეტრუსკებისა და პელაზგების ნათესაობას აღიარებენ: პ. კრეჩმერი, ა. მაიერი, ე, მეისტერი, კ. ტომსონი, ს. ყაუხჩიშვილი, რ. გორდეზიანი, აკ. ურუშაძე.

ძველად, ეტრუსკებს და პელაზგებს აიგივებდნენ: ჰელანიკე ლესბოსელი, ჰეროდოტე, მარსილე, ტიმეოსი, დიოდორე სიცილიელი, პლუტარქე, აპიანე, სტრაბონი.

ბევრი მეცნიერის აზრით, პელაზგურ-ეტრუსკული, იბერიულ-კავკასიურ ენებს ენათესავება. აქ ტერმინი „კავკასიური“ გადაჭარბება და გაზვიადებაა.

ეს ენა, ახლო იყო ზანურ-ჭანურ-სვანურთან და არა „კავკასიურ-ვაინახურ-ბაცბურთან“.

დიდი „თავსატეხი“ გაუჩნდათ ენათმეცნიოერებს, როცა ეტრუსკულ კამათლებზე წარწერები იპოვეს. ვერ ახსნეს მისი შინაარსი...

ჰოდა, ახლა გაიგონ: „ცალ“ ერთს ნიშნავს (ცალფა, ცალუღელა, ცალი, იგივე ერთია). „სა“ „სუმს-სამს“ შეესაბამება, ხოლო „ჰუთ“ ხუთია და ამას დიდი გენიოსი არ სჭირდება.

„ენეადაში“, ვენერა, (კიპრიდა) იუპიტერს ემუდარება – „შვილიშვილი გადამირჩინე (ასკანიო ა. ფ.) და გინდ ამათუსში გადახვეწეო. აქ აფიქსი „თუსია“. თერჯოლაში არის სოფელი თუზი.

ენეასს, მამის აჩრდილი ეუბნება, რომ უნდა იკისროს დიადი მისია რომში, (რომელთა სურვილია, ბერძნებზე ნაკლები წინაპრები არ ჰყავდეთ) მათი მიზანი, ხომ მსოფლიო მედროშეობაა.

ძვ. წ-ით XIII-XII საუკუნეებში, ძველი პელაზგები, კავკონები, მცირე აზიის დასავლეთი ნაწილის მცხოვრებნი და კრეტელები, ან გადახვეწილია დასავლეთში, ან შერეულია მისულ ბერძნებში.

აპენინის ჩრდილო, მთავარ ქედს, ალპები ჰქვია (ალპანა ლეჩხუმშია). სვანო-კოლხურად, ის გადასასვლელს ნიშნავს, ალპები გვაქვს ესპანეთშიც, იაპონიაშიც, ქ. „მესტრე“ ძალიან ჰგავს სვანეთის მესტიას.

იტალიის დასავლეთ, სანაპირო ზოლს „კარარე“ ჰქვია და ის კარალეთის და კარიის იდენტურია.

„კოჯას“ ეტიმოლოგია საკვლევია...

ტოსკანის „კაშინა“ შესაძლოა კაჟიანს ნიშნავდეს. თბილისში გვაქვს „ქაშუეთი“, დუშეთში – სვანური „ლეშქაში“;

„კორტონა“ – ზანურად კორტოხი, ქიმი, წვერი, კონცხია.

„კასტელა“ – სიცილიაზე ორია, საქართველოში ერთი, ბალკანეთში ორი, ესპანეთში რამდენიმე;

„ფერერა“ – ფერადს, ყვავილოვანს ნიშნავს. გვაქვს ფერეთი და ფერსათი.

„სამნიუმი“ – სამანს, სასაზღვრო ოლქს ნიშნავს, შეადარეთ გეთსამანია.

„არნო“ – არისას, მახლობელს ნიშნავს. ტოსკანის, ფლორენციის მდინარეა.

„არესო“ – იგივე არისაა;

„პო“ – ლათინურად პადუსი, ჩვენებურად პიპინას, დიდს, სავსეს „პომპორას“ ნიშნავს.

„ტიბრი“ – იბერის, ტიბარენის იდენტური ტერმინია. მდ. იბერი ესპანეთშია (ებრო);

„ტარო“ პატარა ქალაქია, ჰგავს თორს, ტოლას, ტოლებს, თარონს (სომხეთშია);

„ბრეშია“ წმიდა ზანური ტერმინ-კომპოზიტია. „ბრე“ ბევრს, შია – იგივე „ფშია“, წყლიან-ბუჩქნარიანია. შეადარეთ ფშავი, აფშილეთი, აფხუშო. ბრეშიის აღებისას, 1799 წ. თავი ისახელა პეტრე ბაგრატიონმა.

„ტორინო“ – იგივე თორი, ლაფიანი ადგილია, თორია ნინოწმიდის რაიონში, ბორჯომში, ერთიც ეგვიპტეში, ერთიც სომხეთში (ზევით, ა. ფ.);

ქ. „ბერგამო“ – ზანურად რბილმიწიანს, ამო სათოხნს ნიშნავს. ბერგი მეგრულად თოხია, შეადარეთ პერგამონი.

„არდია“ – როვიგოდან ზღვისკენაა, ის ზანურად ერთიანს, მთლიანს ნიშნავს. ასეთი ტოპონიმები სამეგრელოსა და ესპანეთშია.

„სარა“ – ლაციუმშია და სურას (წყაროს) შერყვნილი ფორმა უნდა იყოს. შეადარეთ სურამი, სურები, სორტა, სარდომეთი, სორმონი;

„ნოლა“ – ეტრურიაშია, იქ ვილა ჰქონდა დიქტატორ სულას (ნული ხაშურთანაა);

„ტიბრი“ ლავრენტინუმშია, ის დიდი ტიბრის იდენტურია;

„დარდისა“ – ერთი ველია და ოდინდელი სასაფლაო, საგოდებელი უნდა იყოს.

„ეგეროს ჭალა“ – იგივე ეგრისის, წარმართული, კოლხური ღვთაების ჭალაა.

„ათინა“ ათენის, ატონის, ატენის ძველისძველი საკულტო ადგილია.

„სატურისი“ – სატურნისას, თუ არა, სატურიას ნიშნავს;

„ტუსკუსის“ წყალი, ტუსკთა, ეტრუსკთა მდინარეა. ჩვენთან არის გვარი ტუსკია – ტუსკაძე. პარმაში (ეტრურია – ტოსკანაში) დაიბადნენ სახელოვანი მაესტრო, არტურო ტოსკანინი, ფრა ფილიპე ბრუნელესკო (ფლორენციის სანტა მარია დელ ფიორეს ამგები), ვერდი. მისი გვარი ზანურად „მავედრებელია“ (ქურუმია). პუჩინიმ დაწერა ოპერა „ტოსკა“;

„ვერონა“ – ქალაქია, ერთი ვერონა საგარეჯოშია.

ბევრი ტოსკანური გვარსახელი, სადაურობის მაჩვენებელი „ელ“ ქართული აფიქსით გამოირჩევა. მათ შორის: ბოჩელი, ბოტიჩელი, ბოჩარელი, ბოლონიელი, პალომბელი (ფაბრიციო), მაკიაველი, სეგარელი, ფერნანდელი, კანტელი, ლუკანელი, ტორიჩელი, ტოსკანელი.

ტოსკანური დიალექტი, საფუძვლად დაედო იტალიურ სალიტერატურო ენას. ამ ენაზე შექმნეს გენიალური ნაწარმოებები: დანტემ, პეტრარკამ, ბოკაჩომ, ლილიომ, ტასსომ, მიქელანჯელომ, მაკიაველმა, მირანდოლამ. ტყვილა როდი ეძახიან ფლორენციას „200 გენიოსის სამშობლოს“.

ქ. „ბარი“ – (კამპანიაში) და ბარი ესპანეთში (ერთი აპულიაშია).

„ოფანტო“ ძალზე ჰგავს გოფანთოს. ე.ი. მეჩხერს, გაფანტულს.

საინტერესოა სიცილიის ტოპონიმია

სიცილიის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა შეისწავლეს ძველისძველი ნამოსახლარები. ის ძვ. წ-ით II ათასწლეულის აღმოჩნდა. გავრცელებული ყოფილა კოლხურ-ჭანური (მცირე აზიული), ბოძებზე შემდგარი სახლები – „მოსინები“.

აპოლონიოს როდოსელის ტაეპი მახსენდება.

„მათი ხელმწიფე ცხოვრობს მოსინში, რომელიც სხვაზე უმაღლესია“.

სიცილიის ნამოსახლარები ეგეიდური ხანისაა, ხოლო კოლხური „მოსინი“, იგივე მისასვლელი, საახლო, სახლია, ოდაა („მოსოჯით“). ეს იმას ასაბუთებს რომ სიცილიის დასახლება კრეტის, როდოსის, მილეტის, ლესბოსის, კიპროსის, კორინთოს და მიკენის თანადროულია.

სიცილიასთან იყო ორტიგეა. შეადარეთ „კორტი“, რაც ქედმაღალია.

იქვეა **„კასტელა მარია“** და **„კასტელ-დაჩა“.**

„ბუშეტა“ გვარია სიცილიაში, სოფელია კახეთში.

„კაპრი“ (პატარა კუნძულია) მცენარე კაპრაშს (ჯონჯოლი) უკავშირდება.

მ) სარდინია

„სარდანიის“ სახელი სარდანებს უკავშირდება. ასე მოიხსენიებს მას IX ს-ის ფინიკური წარწერა (რ. გორდეზიანი).

„ორისტანო“ ორად გაყოფილი ენერი–ტყეა;

„ალეგრო“ ალაგე, გადასასვლელია;

„ასინარა“–ზღვის უბეა, მრავალმისადგომიანი.

გამოჩენილი მსახიობის, ალბერტო სორდის გვარი სარდანებიდან წარმოსდგა.

ნ) კორსიკის შესახებ

კორსიკა, გამოკვლევით აიეტის დის კალიფსოს (ქალი ფსოუდან კ. ჭ.) საკუთრება იყო (მითოლოგიური).

ნაპოლეონის დროიდან, კუნძული საფრანგეთმა დაიჭირა.

„კორსიკა“ – იგივე ყორეებიანი, ქვიანი, ყორისებია (კურსები).

„პორტო – ფერაიო“ მთავარი ქალაქია და ფერად პორტს, ნავსადგურს ნიშნავს.

„აიაჩო“ – ნაპოლეონის მშობლიური ქალაქია. ამ ტერმინის ფუძე „აია“-ა, რაც კოლხეთის უძველესი სახელია.

„ბასტია“ – პატარა ქალაქია, რაც სარდანულ-ეგვიპტური მზის თვალი და გასართობი ადგილია.

„კორტე“ – ზანურად კორდია, ბორცვი და კორტოხია.

„ლამია“ – ლამიანი, ჭაობიანი არეა.

„კალვი“ – შეადარეთ კალვათა და კალო (არხილოსკალო).

კორსიკელთა, ვენდეტა და ზნე-ჩვეულებები, განსაკუთრებით სვანურს ჰგავს. კორსიკელებმა უარი თქვეს, ებრძოლათ ქართველთა წინააღმდეგ, აფხაზეთის ომის დროს. მათი კულინარია მეგრულია, ახასიათებთ მრავალხმიანი, სიმღერები და მსგავსი ცეკვები.

ჰუმბოლდტის კვლევით, კორსიკაზე თავიდანვე, იბერიული ენა ბატონობდა.

კალაბრიაში, დიდი კომპოზიტორის, ჯაკომო პუჩინის მშობლიურ დაბას „ტორე დე ლაგო“ – „ლაფიანი ადგილი“ ჰქვია.

ვენეციის უნივერსიტეტს „კაფოსკარი“ ჰქვია.

გენიალური ტიციანის (1480-1576 წწ.) გვარი „ვეჩელოა“, რაც ზანურად „არათეთრს“, ე. ი. შავგვრემანს ნიშნავს.

1622 წელს დაბადებულა იტალიელი მხატვარი გვერჩინო, რომელიც ელამი გახლდათ. ე. ი. გვერდზე+ჩინიანი, აქეთ-იქით მხედველი.

რაფაელის გვარი „სანტი“, სანის შვილს, ზანის შვილს ნიშნავს.

1545 წ. რაფაელმა დახატა წარჩინებული, ბალთაზარ კასტელიანო. იყო თეათინელი მისიონერი ქრისტეფორე კასტელი (დაწერა დიდი ნიგნი, საქართველოს შესახებ). ქართველური ფუძეებისაა გვარები: სერანო, კარელილო, ალანო, ნაკარეტე, ზანი.

ო) პირინეის, პროვანსის, გასკონია-ნავარის ძველი მცხოვრებნი

ევროპის სამხრეთი ნაწილი, რომ ჩვენი მოდგმის ხალხით ყოფილა დასახლებული, ამაზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ მეტად საინტერესოა, თვით იმ ქვეყნების გამოჩენილ ენათმეცნიერთა მოსაზრებები.

იან ბრაუნი, ი. ზიცერი, ვლ. გეორგიევი, შ. კინტანა, ასანეგრო, ლაფონი, მიჩელენა უკვე აღვნიშნეთ.

გერმანელი მკვლევარი, ფრიდრიხ შლიცერი გაბედულად წერს: „კავკასიის ტომის ხალხებს ეკუთვნით ყველაფრის, მეცნიერებასა და ხელოვნებაში ნამდვილად კეთილშობილური გამოგონება, ყველაფრის, რაც გონიერი არსებობის ღირსია“...

ფრანგი ედუარდ დემოლინსი წერს, რომ „სამხრეთ გერმანია და საფრანგეთი ეკავათ იბერებს. ეტრუსკები, ისე როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულნი. კოლხებმა დაუდეს საფუძველ მედიტერანული კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს“.

ინგლისელი ა. მარტინი წერს, რომ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის მამამთავრები იბერიელები გახდნენ (ჩვენი აზრით, „ბრიტ“ და „იბერ“ ერთმანეთს ჰგავს, ხოლო ქელენიშის ქვები, ისეთივეა, როგორიც თრიალეთის „ვეშაპები“).

თვით ბრიტი დრუიდების ზეპირი გადმოცემით, სთოუნჰენჯი და მსგავსი ნაგებობები, სწორედ ძველისძველ იბერთა ნახელავია.

პროფესორ **ბრაიან საისის** მკვლევართა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები, კავკასიიდან არიან წასულნი. ევროპის „დის“ კლანებიდან, უძველესი და უმდიდრესია „ზანას“, ანუ მითოლოგიით „დალის“ კლანი, რაც 25 ათასი წლის წინათ, კავკასიაში ჩამოყალიბდა და გავრცელდა მთელს ევროპაში. ის ორჯერ ძველია მომდევნიო „ვალდას კლანზე“ („დიოსკურია“ 2007). ეს გენი აღმოჩნდა ჩრდილო-ამერიკის ინდიელთა ზოგიერთ ტომშიც.

ესპანელთა DHM-ის კოდი 80% ემთხვევა ქართულს.

იგნატ დონელი წერს, რომ ცენტრალურ ამერიკაში, ცივილიზაციამ ატლანტიტიდან შეაღწია. მაია წარღვნამდელი ატლანტიდური ხალხის, კოლხუას მემკვიდრეა კულტურულადაც, ამიტომ მათი იეროგლიფები შესაძლოა კოლხურს (კრეტულს) ჰგავდეს.

მოსული ცივილიზაციის ხსოვნის ანარეკლია ის, რომ ერთ ტომს სანტი ჰქვია და ეს ცივილიზაცია, ევროპიდან (მითოლოგიით ატლანტიდიდან) გავრცელებულა ამერიკაში.

დასავლეთ ევროპის ვეებერთელა სივრცე, მაშინ, პელაზგ-იბერ-სარდანებს ეჭირათ. მხოლოდ ძვ. წ-ით IV-III საუკუნეებში ამ ტერიტორიებზე შეჭრილან კელტები და იბერებს შერევიან.

ძვ. წელთაღრიცხვით III ს. ესპანეთის სამხრეთს იჭერენ კართაგენელები, ჩრდილო ოლქებს, რომაელები ეუფლებიან. მოდავე მხარეთა

საზღვარი, მდ. იბერზე გადიოდა, რაც 219 წ. დაარღვია დიდმა ჰანიბალმა, როცა მდინარე გადალახა და სეგუნტი აიღო. მერე არმია პირინეიზე გადაიყვანა, პროვანსში შეიჭრა, რონა გადალსა და ალპებიდან დაესხა თავს რომაელებს... ბევრი გამარჯვების შემდეგ, კართაგენელები მაინც დამარცხდნენ და პირინეის ნ. კ-ზე რომი გაბატონდა.

რომის დაცემის შემდეგ, პირინეიზე გუთები დამკვიდრდნენ.

711 წ. პირინეიში, ზღვიდან შევიდნენ მავრები. ამირა ალ-ტარიკმა დაიპყრო და არაბები 800 წელი ბატონობდნენ...

ბოლოს და ბოლოს, 1492 წელს, მეფეებმა: იზაბელამ და ფერდინანდმა 300 ათასიანი არმია მიაყენეს გრენადას და ბოლო ემირი, ბოაბდილი აფრიკაში გააძევეს. ამ კატაკლიზმებმა, ტოპონიმური მასალის უმეტესობა წალეკა, ხოლო იბერები, ჯერ გერმანელებში, მერე არაბებში აითქვიფნენ (წარმოიშვა ესპანელი ერი).

ატლანტიდისაკენ, ჰესპერიტების ბაღში გამგზავრება, ჰერაკლეს ერთი გმირობათაგანია. ეს, ჩვენი ენათმეცნიერებისათვის, იმითაა საინტერესო, რომ მან შემოინახა ესპანეთის უძველესი სახელწოდება „სპერი", რაც ქართული, კლარჯეთის ძველი სამთავროს, სპერის იდენტურია, ხოლო ესპანურად გამოითქმის, როგორც „სპაინ" (სოფ. ასპანა ფარავანთანაა, ჯავახეთში).

ანტიკურ ხანაში, პირინეის მთავარ სახელმწიფოს „იბერია" ერქვა.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ პელაზგურ-სარდანულ-ლიდიური ტომების ჩასახლება, ძვ. წ-ით XIX-XVIII ს-ში უნდა მომხდარიყო...

ეს იყო ეპოქა, როცა ალტამირას, ლასკოს და მადლენის მღვიმეთა მცხოვრებნი, ჯერ კიდევ ახალი გამოსული იყვნენ მღვიმეებიდან და ტყეებში თუმურ-გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ, სამეტყველო ენაც კი არ გააჩნდათ.

თანამედროვე ესპანურსა და ქართველურს შორის ათობით და ასობით ენობრივი პარალელია. კანტაბრიულ დიალექტსა და ქართველურს შორის, მსგავსებას ამჩნევდა აკად. არნ. ჩიქობავა.

ესპანეთის აღმ. ოლქი, პროვანსიდან დაწყებული გრენადამდე და განით 150-200 კმ. სივრცით, იბერებს ეჭირათ.

ვინ არ წერდა ქართველების და ბასკების ნათესაობის შესახებ, თუმცა დღემდე სადავოდ მიაჩნიათ ბასკური დამწერლობის ქართულით გაშიფრის ცდა, ინჟინერ ხვედელიძის მიერ.

გასკონია – ბასკონიის ტერიტორიების ნაწილს ესპანეთის სამეფო, მეორე მხარეს, საფრანგეთის რესპუბლიკა ფლობს.

აკად. ვავილოვმა ბასკეთში და ლეჩხუმში, დააფიქსირა სახეობა კენტეხილას ხორბალი და მისი აღების მსგავსი წესი.

XI ს-ში, განათლებულმა ქართველებმა იცოდნენ, რომ დასავლეთში მათი მონათესავე, იბერია არსებობდა.

იოანე მთაწმინდელი, თანამოძმეებმა (ათონის ლავრაში) რომ შეამჭირეს, სავანე დასტოვა და ალექსანდრიაში ჩავიდა, რომ იქედან დასავლეთის იბერიაში გამგზავრებულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო, უკან გამობრუნდა.

ტერმინი „ბასკი“, იგივე დაბალი და ღონიერი, დაბასკულია. იტყვიან „დაებუსკაო“. ბასკა ხის თხელი ნაჭერია, დაბალი, გამოსადებ-გასასწორებელი.

„ბისკაიის უბე“ ერქვა პროვანსის დასავლეთით მდებარე ზღვას, ბასკების სახელის მიხედვით, ვესტგუთებმა კი აქვიტანიის უბე შეარქვეს.

იქვეა უძველესი საჰერცოგო ვანდეა, რაც ზანურად იშიფრება, როგორც „დედაღვთაების სავანე“.

„ხიხონი“ ბასკების ქალაქია, რაც ზანურად, უკანა, მთის გადაღმა ხონია. „ხი ღვინი“ (უკან დაიხიე ღვინია“) ეტყვის მეგრელი ხარს. არის დაბა ხონი და გვარი კასტრახონი. საქართველოში 8, ჭანეთში 2 ხონია.

საინტერესოა ახალგაზრდა მკვლევარის კ. ჭიღლაძის მიერ შეგროვილი მასალა (ის პირადად იცნობს შ. კინტანას. ა. ფ.).

„მუსკისი“ – ბილბაოს გარეუბანია, აქ რკინას მოიპოვებდნენ მუსკები. ბასკური სასულე ინსტრუმენტი, ალბოკა და ქართული ჭიბონი ერთნაირია. ორივე ერს ახასიათებს ოცობითი თვლა და ცეკვა ხანჯლებით. საფრანგეთის ბალეტი, ბასკური ცეკვის ელემენტებისგან შექმნილა (კ.ჭ.).

სვანური და ბასკური „ქვების გადაგორება“ ერთნაირია, ისევე როგორც ხარების შერკინება. მეტიც, მკვლევარს ირლანდიური აირ-ლენდი და ჩვენებური „აირია“, ერთნაირად მიაჩნია. მისი აზრით, ჩვენი მოდგმის ხალხს, ამერიკისთვის მიუღწევიათ და უსწავლებიათ დროის აღრიცხვა, მეგალითების შენება. მკვლევარს აღურიცხავს: „ბაია“, „ამაზონია“, სამხრეთ მექსიკაში „ალვანის მთა“, კოლუმბიაში „კავკასია“, „ანტიოქია“ და მდინარე „კავკა“, ასევე „ვენესუელა“ (2017. 71. 73).

პროფესორები: მოსენსკისი, ტურ ჰეიერდალი, ი. დონელი მიიჩნევენ, რომ ამერიკა კოლხებმა აღმოაჩინეს. „თაბასკო“ ეგვიპტურად ბასკების ქვეყანაა (გვ. 28. ამ.ნ.)

„ვერძი“ – ბასკურად არძია;

„გოჭი“ – გოჭუნა, ასევე გოჭინიო;

„შოშია“ – შოშუა.

„ღორი“ – ღორენი.

ძაღლი (ჯოლორი), ბასკურად ჩაკურია.

ცხენის სახელი, „ლაჩუალ“, „ასპა“, „ჰონი“ ქართულიდან შესულა ევროპულში;

ბასკური „ანდერ“ და მეგრული „ანთარ“ ერთიდაიგივეა;

„ორის მთა“ ბასკეთშია და კრეტაზეც;

„იოგელ“ ბასკურად უღელია (კ. ჭიღლაძე 48).

ვალენსიის კალის ფირფიტებზე გამოსახული ასო ნიშნებს, კ. ჭიღლაძე ზანურ-ქართული ენით შიფრავს. „ეა სო რექ“, მოპასუხე: „აქ ვარ, ვეფხვს ვცემ“. ეს წარწერები ძვ.წ-ით 2000 წ. თარიღდება, მაგრამ პირადად მე, გაშიფრაში ეჭვი მეპარება.

სხვადასხვა წყაროში ნამიკითხავს, რომ ბასკურად „ბერ“ თავია, აქედან – თავსაბურავი.

„სალაპარტა“ ბასკურად სალაპარაკო, აგიტაციაა.

ღვინოს ბასკურად – „ვინო“, ქვიშნას „ვიშნა“ ჰქვია.

ინდიელთა ქ. ტიუანაკოში, კ. ჭიღლაძის ცნობით, თაყვანს სცემდნენ თეთრ, წვეროსან ღვთაებას, „ბერაკოჩას“. ის ინკთა ღვთაება იყო. ჩვენი აზრით, ეს სიჯიუტე-სიკერპის მფარველი ღვთაება იყო, თეთრი და წვეროსანი (ვირაკოჩა. კ. ჭ.).

მკვლევარი ბორდიმანი, დარწმუნებული იყო, რომ იბერ-ბასკ-პელაზგები აღმოსავლეთიდან მოვიდნენ პირინეიზე.

ამ პრობლემას შეეხნენ ქართველი მკვლევარები: რ. გორდეზიანი, შ. ძიძიგური, ა. კიკნაძე...

პირველი საუკუნის მოგზაური და ისტორიკოსი, სტრაბონი ამჩნევდა მსგავსებას პირინეის და იბერიის მცხოვრებთა შორის, ოღონდ თვლიდა რომ იბერები, პირინეიდან გადასახლდნენ აღმოსავლეთში.

ვერგილიუსი კი პირიქით ასაბუთებდა.

იბერების მემკვიდრე ბასკების ენაში, 1700 ქართულის მსგავსი სიტყვაა.

ამ. ნიკოლეიშვილი ჩამოთვლის ბასკურ გვარებს: ალანია, ბერია, ბადაური, ბოგვერია, გიგიური, დანელია, ერისთავი, ემხვარი, ნარსია, ოჩიაური, კორშია, ლაშაური, მელია, მეუნარგია... არის პუნქტები: ვანა, თელავი, ლენტეხი, ონართე, მესტია (85).

გასკონიაში აღვრიცხეთ ტოპონიმები: „სადაბა“ „სანტანდე“.

„სიერა დელ გრედო“, დიდ სერს ნიშნავს.

„სიგეულა“ მდინარეა, რაც ზანურად უკანა მხარისგან მომდინარეა.

„ლოხა“ – ჰგავს ლეხს, ლეხუმს, ლეხურას.

ესპანეთში იყო საჰერცოგო „ოსუნა“ (ამის ჰერცოგს ეკ. ჭვაჭავაძე შეუყვარდა) ოსუნას იდენტურია, წყალტუბოს სოფ. ოსუნელა.

ავიღოთ „იესოიტთა“ ორდენის დამაარსებელი, იგნასიო ლოიოლა, ის ბასკი იყო და გვარიც ზანური აქვს.

ამერიკის დიდი კონკისტატორი და მისიონერი, ისტორიკოსი დიეგო დე ლანდა, წარმოშობით ბასკი იყო (შეად. ლანდია).

ბოლოს, დიდი ინკვიზიტორი, ათასობით ერეტიკოსის და ებრაელის წინააღმდეგ მებრძოლი, დიეგო ტორკვემადაც წარმოშობით ბასკ-იბერი იყო. აკი მის გვარში ჩანს ზანური აფიქსი „რკვე“, რაც მუხას, რკოს იდენტურია.

„სერრა“ – ესპანურად და ზანურად ღამეა.

„ჩიკა, ჩია“ – ესპანურად და ქართულად პატარაა, ჩიაა.

„პირინეი“ ბალკანეთშიც რამდენიმეა, ჩვენი აზრით, ის ვრცელნაპირებიანია.

ვალენსია და ადიგენის ვალე იდენტურია, ძირით მაინც.

ლუზიტანია და ანდალუზია ვრცელი ქვეყნებია, რომელთა ფუძეში ზის „ლაზი-ლუზი“.

„არაგოა“ მდინარეა, ჩვენშიც არაგვი და რამდენიმე მარგვია.

სამხრეთ ესპანეთში აღვრიცხეთ ტოპონიმი „შავიში“ (შავისა?)

„სანიში“ – ზანურად სანებისა (არის გვარი სანიტო).

„კორიშე“ – ყორისა, ყორეებიანია.

„სურაია“ – წყაროებიანია (შეადარეთ სურები, სურამი).

„ოდემისა“ – სახლიანი, საცხოვრისი.

„საბადელი“ – ესპანეთის გასკონიაშია. საბადელი ვფიქრობთ საბადოა, მაღაროა.

„მატარო“ – ჩვენებური ტერმინია (მატარაძე, მატახერია).

„ლაგეშია“ – ალაგეს, გადასასვლელს ნიშნავს.

„ნაოს“ კონცხი, სანაოსნოს კონცხია.

ობდუში საბორიალო, ძნელად გასასვლელია (შეადარეთ ხონის ობოდირი და ლეჩხუმის ბოროწინა).

ლაპოს – ლაფიანი, ტალახიანი არეა.

რიოხა – იგივე რეხი, ქვიანია.

მადრიდის სიახლოვეს, ფილიპე II ააგო ესკურიალის სასახლე, რაშიც „ეაშისკუ“ (შვილი) იკითხება.

ძველი სამეფო ქალაქი, „ტოლედო“, ჰგავს ტოლას და ტოლებს (საქართველოში).

ქვეყნის მთავარ მდინარეს იბერი ერქვა, ვესტგუთებმა კი „ებრო“ შეარქვეს.

„არაგონა“ კასტილიის შემდეგ ყველაზე დიდი სამეფო იყო. აშკარად ქართველური სახელწოდებაა.

„მონტე არაგოც“ ასევეა.

„ესლა“ – ისლიანი ადგილია მდინარე გვადიანას ახლო...

„ხუკარი“ დასახლებული პუნქტია (ხის+კარი?)

„კასტილიის“ მაგვარი ტოპონიმები აღვრიცხეთ ესპანეთში, იტალიაში, ბალკანეთში, კოლხეთში.

„სადაბა“ – სანაპირო ქალაქია, სადაბოს, დასახლებას ნიშნავს.

„კორდოვა“ – კორდზე ნაგები ქალაქია, მავრებმა „კორდუბად“ მონათლეს, დიდი და განთქმული ქალაქი იყო მათი მძლავრობისას.

„ასკანიო“ – სოფელია, გურიაში გვაქვს ასკანა.

„ტურია“ – მდინარეა (სატურია?).

„კანტაბრია“ – გორაა, რაც იბერის გორას ნიშნავს, „კანტა“-ს ეტიმოლოგია საკვლევია (კენტი გორა?)

„ალაგონი“ – მდ. ტახოს შესართავია, ალაგეს, გადასავალს, ფონს ნიშნავს.

„კორდილიერო“ – კორდებიანი, მაღალბორცვებიანი მთაა.

„ილიბერისა“ – იბერისა.

„ისპილისი“ – ჰგავს ჩვენებურ ისპირს, სპერს.

„თითარეა“ – სათითეა (რ. გორდეზიანი).

ახლა ესპანური ტერმინების შესახებ:

„ხოფური“ – მდინარეა საქართველოში (ხობი, ხოფისწყალი) და ჭანეთში. ის ღრმას, ძნელად გასასვლელს ნიშნავს.

„ენგური“ – კოლხეთშია, კაპადოკიაში, შუამდინარეთში.

„ერდი“ – ესპანურად ნახევარია, „გვერდი“ მეგრულად სწორედ ნახევარია.

„რძე“ – ესპანურად „ლეჩეა“, სვანურად „ლეჯი“.

ავიღოთ ზანური ზმნა „ყვარუა“ (სიყვარული). „მიყორს“ ნიშნავს რომ სუბიექტს, ვინმე უყვარს, რაც „ყ“-ან ასონიშნის ამოვარდნის შემდეგ ესპანურად გამოითქმის, როგორც „კორას“-ო.

კატალონიის – მთავარი ქალაქის სახელი „ბარ+ონ-ის“ კომპოზიტია (ბარსელონა), ხოლო სამხრეთ ესპანეთში არის ქ. ბარი.

„მუჩაჩო“ – გოგონაა, ჩვენშიც იტყვიან გოგონაზე „მოჩოთიაო“.

„პანჩიტა“ – პუტკუნაა.

ბალეარზე არის ტოპონიმი, მანაკორი, შეადარეთ მანდიკორი, ხოლო კუნძულის ფუძე „ბალია“ (შეადარეთ ბალსზევით სვანეთი)

ესპანეთის ასობით ტოპონიმს, ჰიდრონიმს და ონომასტიკონს ქართველური ფუძე – შინაარსი აქვს.

ავიღოთ მდინარეების გვადიანას და გვადალკვივირის სახელები. მათ ფუძეში ზანური „გვადი“ და „გვადა“ იკვეთება, რაც თუ არ ვცდები, დაბალს, ფონ-თხელს ნიშნავს.

„გვადალახარა“ ქალაქია მექსიკაში. მისი შინაარსი „დაბლობში ნაგებია“ (გვაქვს გვარები: გვარაკიძე, გვადიბაძე).

„ეიბარი“ – ქალაქია ბასკეთში, იტალიაში სამი „ბარია“.

„სანტანო“ „ტანად ზანს“, სანს ნიშნავს.

„ნავასი“ – ნავსს, თარსს უნდა ნიშნავდეს;

„ორელანა“ – ზანურად ნასადგომები, ნამოსახლარია (ორალელიძე გვარია).

„სანჩესი“, – სანჩო, იგივე თეთრი სანი, თეთრგვრემანია.

„დიოსტადუ“ – იგივე დიდოსტატია.

„პასკუალე“ – პაპის, მღვდლის, ხუცის+შვილს, ნიშნავს.

„ალვარესი“ – ალვის, ჩინარის მსგავსი, მაღალია („ალვარე“-სი).

„დიასი“ – ზანურად „დედისაა“;

„ხულო“ და „ხულია“ – ჭანეთში და ესპანეთშია.

„სუარესი“ წყაროსთან, მის არესთან მცხოვრებია.

„არისმენდი“ და „არითმენდი“ შვიდთვიანს, მოუთავებელს, ჯიუტს, არ დამჯერეს, არ მომსმენს ნიშნავს.

გვარი „დეტრევილი“ ბასკურია, ჰგავს „მეტრეველს“.

„იბარური“ – ვითომ იბერიული?

„ბუსკესი“ – ბუსკა, დაბალი და ღონიერია (შეადარეთ ბუსკივაძე).

ასანია, აზარო, ეჩევარია, სალდანია, ბეხია, ესკობალი, კასტილიო, კასტრო, ისკო, ნარსია, ლასანო, სანხუხო, ლორენტე, რამოსი, კიკე, კოკა, კარვალამი, გელსერო (ღამის მგელი), დელსერო და სხვები, ზანური ფუძეებით და შინაარსით გამოირჩევიან.

კორდონა ბარსელონელი არქიტექტორია, მისი სახელი „კორდს“, მაღალს ნიშნავს. ქედმაღალი, ჩვენში ხომ „კორტია“.

„ეჩევარია“ – ზანურად იშიფრება, როგორც „ოცი წლის არაა“.

„ჩეგევარა“ იშიფრება, როგორც „არა თეთრი“, ანუ შავტუხა.

„ვასქესი“ – ნიშნავს უშვილოს.

„კორტესი“ – კორდზე მცხოვრებია (გაიხსენეათ გენერალი ერნან კორტესი).

სერვანტესის ზეგვარი „საავედრა“, ქართულ-ზანურად, „მავედრებელია“.

„მადოსი“ – იგივე, მადიანი, კარგი მჭამელია.

ესპანურ-პორტუგალიური „ნუნესი“, იგივე დედისაა.

ესპ. „ლორია“ და ზანური ლორია იდენტურია.

„ვირაკოჩაზე“ უკვე მოგახსენეთ, მაგრამ XIX ს-ში, ინდიელთა ტომის ტაბასკოს (სიუ) ერთი მეომარი ბელადი, „კოჩისი“ იყო (ზანურად კაცისა).

დასახელებული ტოპონიმები, ორონიმები, ჰიდრონიმები და ონომასტიკა, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხმელთაშუაზღვის აუზის პირინეო, უძველეს ხანაში, ქართველური მოდგმის ტომებით ყოფილა დასახლებული, რაზედაც მიანიშნებდნენ ქართველი ისტორიკოსები, ამ 70 წლის წინათ გამოცემულ სახელმძღვანელოში. მათი ენა, ახლო იყო ზანურთან, ხოლო ძვ. წ-ით II ათასწლეულში, ქართული ენა, ჯერაც არ იყო გამოყოფილი ზანურს.

განა ამავეს არ წერდა, განსვენებული მიხეილ დადიანი?!.

გერმანიის სამხრეთით მცხოვრები „ებურონები“ იგივე თუბალ-იბერები იყვნენ...

ერთიც მინდა გაგახსენოთ. 962 წელს, გერმანელთა მეფე, ოტონ I-მა მარბიელი უნგრელები გაანადგურა მდ. ლეხთან. ეს „ლეხი“ წმიდა პროტოქართული ტერმინია. ასეთი გვაქვს „ლეხურა“ ქართლში, „ლეხი“ და „ლეხუმი“ ხონში (კინჩხის სიახლოვეს). „ლახუმელა“ სვანეთში და პროტოშუმერულში.

პ) პროვანსი და ნავარა

ბასკეთის 4 პროვინცია საფრანგეთს ეკუთვნის, სამი ესპანეთს. საფრანგეთის წილს გასკონიას, ნავარასაც ეძახიან, რაც ქართულად ნებიერი, ძნელად დასამორჩილებელია. არსებობს ხალხური სიმღერა „ქალაუ ნავარო...“

საფრანგეთში, ნავარის პატარა სამეფო XVI საუკუნის ბოლომდე დამოუკიდებელი იყო, ვიდრე თვით ჰენრიხ ნავარელი საფრანგეთის მეფე არ გახდა. მან გამოსცა (1595 წ) ნანტის ედიქტი, რითაც შეწყდა ხანგრძლივი რელიგიური ომები.

თვით სახელოვანი ფრანგი მწერლები, ბასკ რაინდებს, სამეფოს ყველაზე ფიცხ, მამაც და შეუპოვარ მეომრებად მიიჩნევდნენ. ასეთი იყო თვით მეფე ჰენრიხ ბურბონი, მისი ვაჟი, ჰერცოგი ბოფორი, საარაკო გაქცევა რომ მოახერხა ვენსენის ციხიდან, პრინცი, მარშალი ლუი კონდე, ვალუების ერთგული გენერალი დეპერნონი, ბურბონთა ერთგული გრაფი დე მუი, მამაცი ჰუგენოტი ადმირალი გასპარ კოლინი... ლიტერატურული პერსონაჟები: დარტანიანი, დე ტრევილი, სირანო დე ბერჟერაკი...

პროვანსის უდიდესი მდინარე რონა (ლათ. როდანუს) კოლხური რიონის ანუ „მიმდინარეს“ იდენტურია. რონა, რონინი სვლაა.

„გა რონაც“ სერიდან მომდინარეა ზანურ ენაზე.

„გარონას“ მსგავსია რუანი, რაც მდინარიანი, ღელეიანია, შეადარეთ რუისი.

„ბრეტანი“ მოზრდილი ნახევარკუნძულია. აქედან გადავიდნენ იბერ-ბასკები ბრიტანიაში.

„ვანი“ ქალაქია ბრეტანში, ის სავანე და საცხოვრისია კოლხურად.

„ლუ-ბუგან“ – პროვანსშია, შეადარეთ რაჭის ბუგეული.

„ტარბი“ – შეადარეთ მიტარბი.

„ტოლო“ (პროვანსშია), ჩვენში არის ტოლა, ტოლები, ტელეფა, ტოლლო.

„ბორდო“ – ჩვენი აზრით ბარდიანია, ბარდა (ბალდა) ლებარდე;

ქ. „სერინი“ – შესაძლოა ბნელ-ჩრდილოვანი იყოს;

„კორბიერი“ ჰგავს კარბს.

„მარმაში“ – პუნქტია, შეადარეთ მარმაშენი.

„მარნაა“ შამპანთან, მარნა მდინარეცაა. ჩვენთან არის სოფ. მარანი.

„მონგიო“ ზანურად თანაბარს, თანასწორს ნიშნავს.

„ტურ-სერ მარნი“ – სერის, ფერდობზე მდებარე მარანი (?!)

დასავლეთ პროვანსში არის „ირულეგი“ (სარბოლი ადგილი).

„კასტირი“ – ასეთი ტოპონიმი ესპანეთშია, საბერძნეთში, იტალიაში და საქართველოში.

„ალპები“ პროვანსში მთებია, საქართველოში, იაპონიაში, იტალიაში

„გორდი“ პროვანსშია, საქართველოში და მც. აზიაში.

არდეში და მდინარე არდი, ასეთი სოფელია ცხინვალთან.

„კერანი“ – კერიები.

„შუკლანი“ – შუკიანი, ჩასახვევი ადგილი.

„მასილია“ (მარსელი) ჩვენშიცაა, ის პელაზგთა თავდაპირველი კოლონია იყო. ასეთი ჭალა სენაკშია, მდინარეების აბაშასა და ტეხურს შორის.

თავი მეექვსე
ა) ირანი

ირანის, ზაგროსის მთებიდან შუამდინარეთში, კასიტები რომ შეიჭრნენ და 500 წელი ბატონობდნენ, ისინი ჩვენი აზრით კასკები, ანუ ქაშაგნია. კასკებს ქაშაგებად მიიჩნევდა აკად. გ. მელიქიშვილი.

მათი მეფეების სახელები რომ ჭანურად იშიფრება, ამაზე ზევითაც ვწერდით. ახლა კი ამ. ნიკოლეიშვილის ნაშრომით გაირკვა, რომ ისინიც ზანურად საუბრობდნენ. მათი კვირეული კალენდარის დღეთა სახელები, ემთხვევა ზანურს.

ამ. ნიკოლეიშვილის მოსაზრებები, აბსოლუტურად ემთხვევა ისტორიკოს მიხ. წერეთლის ცნობებს, ჭიღლაძის მიერ მოპოვებულ ცნობებს და რუქებს, რითაც ჩვენს მოდგმას უზარმაზარი ტერიტორია სჭერია, რომლებიც იქ, 10-12 ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ.

ძვ. წ-ით I ათასწლეულის დასაწყისში, მათი სივრცე, სტეპის მიდამოებიდან სამხრეთისკენ დაძრულმა სარმატებმა და მიდებმა შეავიწროვეს.

პელაზგთა ხსოვნაში იჯდა გადმოცემა, რომ მიდია, მედეას ვაჟმა, მიდმა დააფუძნა. ე. ი. მათ იცოდნენ მონათესავე ხალხის შესახებ.

II ათასწლეულში, ისინი დასავლეთისკენ, ნაწილი აღმოსავლეთით გადადის, ან ასიმილირდება მოსულებში. ხსოვნამ შემოინახა აბორიგენთა მიერ დაფუძნებული ტოპონიმია.

სპარსეთის ერთ ოლქს, „ფიშტი-კუხი“ ჰქვია, რაც მწირ, გამოფიტულ, ღარიბ მიწას ნიშნავს.

არქეოლოგებმა, ირანის ზეგანზე აღმოაჩინეს ბრინჯაოს დეკორაციული ლაგამი, რომელიც ძალზე ჰგავს ფრიგიულს. ლურისტანში (შეადარეთ ლორე) ნაპოვნია ხარის თავის გამოსახულება, რაც კოლხურ, ეგვიპტურ და პროტოშუმერულ მოსახლეობასთან მსგავს რელიგიურ წარმოდგენაზე მიუთითებს.

ირანის ოლქი, ხორასანი, ზანურად „ოხორო“ ანუ დასახლებული მხარეა. შესაძლოა ოხორო+სანის კომპოზიტი იყოს. მაშინ, ის, სანების სამოსახლოს ნიშნავს.

ყანდაარის ფუძეც ხომ ქართულია.

„მაზანდარანი“ შესაძლოა ზანების (თვითსახელია) დასახლება ან დარანი, კატაკომბური სამოსახლო იყოს.

ტერმინი, „სპარსი“, სპერს და სასპერს ენათესავება. ეტყობა, სარმატებმა კოლხურ-იბერიული ტერმინი გაითავისეს.

„კტესიფონი“ – დიდი და ძველი ქალაქი იყო. ილია ჭავჭავაძე მას „კტეზიას“ უწოდებს („ქვათა ღაღადი“, 735) ვფიქრობთ, კტიან-კლდიანს, ფონიანს ნიშნავს.

„მეშხედი“ – მესხეთის ანალოგიურია.

„ტებე“ თებე ქართველური ტოპონიმებია.

„ელბრუსი“ და იალბუზი მსგავსია.

სომხეთში არის: ტარონი (ე.ი. თარონი) თორი

„შირაკავანი“ ჩვენშიც ხომაა შირაკი.

„ოგუბრა“ ძველკოხური სიტყვაა. წყალტუბოშია გუმბრა.

„ურმია“ წარმართული ღვთაება ერმის სახელისაა.

„დვინი“ უთუოდ ზანური ტერმინია

„გარნისიც“–გარისს ჰგავს.

ამასთან, ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე მრავლადაა ზანური ტოპონიმები (ჩიქობავა, ხუხუა).

ჩვენ ზოგიერთი შევისწავლეთ:

ყარაბაღის „შუშის“ სახელი, ურარტულში ნახსენები „სუსა“ უნდა იყოს და ის ჯავას შუშითას იდენტურია.

„ბარდავი“ იგივეა, რაც სამეგრელო-ლეჩხუმის: ბარდა, ლებარდე, ბარდნალა;

„არეში“ არისას ნიშნავს;

„ქანდა“ გვაქვს მცხეთასთან

„აფშერონი“, აფშილეთის და ფშავის მსგავსია;

„ხარგურაც“ ზანურია;

„გურჯივანი“–გურჯების სავანე-საცხოვრისია;

„ოსკიფარა“–ერთი ოძრხეშია (შვილების გასახიზნია);

„შამახია“–ჰგავს შომახეთს

„ბაგავანი“ ცხოველთა და ადამიანთა სადგომია

„სუმგაიტი“ სამ სერს, შემაღლებას ნიშნავს (ზანურად);

„განჯა“–ღიას, კარგახსნილს, სავაჭროს ნიშნავს (ზანურად);

„ყუბა“–ძალზე ჰგავს ყობან-ყუბანს.

ბ) ინდოეთი

მე ყოველთვის მანცვიფრებდა ინდოეთის ტერიტორიის ქართველური ტოპონიმია, მაგრამ ხმას არ ვიღებდი, იმის გამო, ვაი თუ ჩემი ჰიპოთეზა, საღ აზრს შორდებათქო.

„თხა“ –ინდურად თხაა.

იქ, კუმაონის ოლქში, მოზრდილი ქალაქია **ხონი.**

„მადრასი“ – ესპანური მადეირას ანალოგია.

„დელი“ – „დე“ ხომ ქართველური აფიქსია (ზ. გამსახურდია) აკი გვაქვს მისამღერი: „დელი-დელი-დელასა“.

ამ. ნიკოლეიშვილს მოაქვს ქართულ-სანსკრიტული პარალელები:

სანსკრიტულ ენაშია:	ქართულ ენაშია:
ბანდჰ – (შეკვრა),	შებანდვა, შეკვრა (ბანდეროლი ა. ფ.)
ენ – (ენა).	ენა
კუდი – (კონა, ფოჩვი).	კონა, კუდი, ფოჩვი,
კუტი (პატარა ა.ფ.),	მოკუნტული, მოღუნული (ე. ი. დაპატარავებული ა. ფ.)
ლამბი (სამკაული),	ლამბვა
ლატა (ხვიარა),	ლატანი (სოფ. ლატალი ა. ფ.),
მალა (აკინძვა),	ხერხემალი,
მარ (სიკვდილი),	მარხვა, სამარე, სამარხი,
მილ (შეერთება),	მილი, შემაერთებელი,
მუშტი,	მუშტი,
ნავი,	ნავი,
სურიტა (თეთრი),	გამოსუსტებული, სუსტი,
ტან,	ტანი,
შარდჰ (დასველება),	შარდი, ჩასველება:
შიავ (შავი),	შავი.

მალაიალამურ ენაშია: (დრავიდების ჯგუფი)	ქართულ ენაშია:
ენოე	ენა
კარუ (ქარი)	ქარი
ნავ (ნავი)	ნავი
ტანუ (ტანი).	ტანი

თამილურ ენაშია	ქართულ ენაშია:
ცუტი – ტუჩი	ტუჩი
ციტი – ცუდი	ცუდი
ცურო – ცური	ცური

გარდა ამისა, დიდად გამაოცა იმ გარემოებამ, რომ ერთმა რუსმა პროფესორმა, გამოაქვეყნა ძველი სლავურისა და „რამაიანა“ – „მაჰაბჰარატას“ შედარება. აქაც ბევრი ენობრივი დამთხვევაა. ეს იმიტომ, რომ ძვ. წ-ით II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ინდოეთში, ჩრდილო დასავლეთიდან „არიელები“ შევიდნენ. თავიანთ მთავრებს „რაჯებს“ ეძახდნენ. ბევრი მეცნიერის მოსაზრებით, ისინი ვოლგისა და ურალის ქვემოწელზე მცხოვრები სლავები უნდა ყოფილიყვნენ...

„ტიბეტის“ ზეგანის სახელი, ძალზე ჰგავს „ტიბარენის“, ქართველური ტომის სახელს.

ნეპალში, ლჰასას მახლობლად, ბორტალას ბორცვზე, არის დალაი-ლამას ვეება რეზიდენცია. ტერმინი „ბორტია“ ნახსენებია დავით აღმაშენებლის ლაშქრობისას, სომხეთის საზღვართან.

ჩრდილო ინდოეთში არის „პავლახორი“, მდინარე „კურაშო“, „მტკვარ-კურას ჰგავს), სუკური, სხონაგარი, ბარანასი, ჩხატაპური, ჯალგაონი (ჭალებისა, ჰგავს ჯალაგონს) ბომბეის მსგავსია ხონის, ქარჩხაბის „ბომბები“ და სოხუმის „ბომბორა“. „კალკუტა“ კარ+კუტას. ე. ი. მცირე შესასვლელიანს უნდა ნიშნავდეს.

„ნავარი“ – თავისუფალი, ძნელად დასამორჩილებელია, ხოლო „ავარა“ ქართულად და ინდურად ერთიდაიგივე – თავისუფალი, დაუმორჩილებელი, მოხეტიალეა.

გ) კორეა

ეტყობა, აინები, აქედან მივიდნენ კორეაში, რაც ზანურად საცხოვრისს, სამკვიდროს ნიშნავს (შეადარეთ, ძაგნაკორეთი, კორინთო).

აინები არაფრით ჰგავენ მონღოლურ რასას.

ერთადერთია რუსი აკადემიკოსი შენკი, რომელიც წერს, რომ კოლხებმა იაპონიამდეც კი მიაღწიესო. ისინი ამირან ნიკოლეიშვილსაც აიელებად მიაჩნია (გვ. 98).

ფხენიანი – ფხაზე, გვერდით მდებარეა.

მათ ჰქონდათ ტირიფის ტოტზე ლოცვა. ძველ კოლხეთშიც იცოდნენ „ტირიფობა“ – ამ. ნიკოლეიშვილის დაკვირვებით, მათი ენა ბასკურს ჰგავდა.

კორეა – ჩინეთის საზღვარზე ანშანია (ალაზანსაც ასე ერქვა),

ჩრდილო კორეაში აღვრიცხეთ: „ჩხონჯინი“, ბონსანი, სუნგარი, ინჩხონი, პუკჩხონი, კეჩხონი (შეადარეთ კეჩხობი), სოკჩხო, ხონგანი (მდინარეა) ჩხონჯუ, სანჯუ, კიმჩხონი, კუნსანი, მასანი, პუსანი...

დ) იაპონია

ახლა ისეთ საკითხს გვინდა შევეხოთ, რომელზედაც არავის უმსჯელია...

ამ 30 წლის წინათ, პროფესორი ამირან ცამციშვილი მისაბუთებდა, რომ იაპონიის თავდაპირველი მცხოვრებლები, წვეროსანი აინები, ნარმოშობით კოლხი მელითონეები იყვნენ. საკუთარი მაღაროების ამოწურვის შემდეგ, ისინი მადნის ძებნით, აღმოსავლეთისკენ დაძრულან. და გადაულახავთ ვეებერთელა სივრცე. ჩვენ შევეცადეთ საამისო მასალები შეგვეგროვებინა. იაპონიისკენ გზაზე არის „ბარნაული“, ზანურად „ბარისკენ სასავლელს“ ნიშნავს (როდინოული, ამბროლაური, მაჩიტაური, მარნეული) ბურიატიის ქალაქის, ულან-უდეს სახელი, ზანურად „ულანთა ყუდეა“ (სახლია).

„ჯაპანა“ (იაპონიის სახელწოდება) ზანურად „ბჟოლნარს“ ნიშნავს. აკი ლანჩხუთში გვაქვს ჯაპანა.

„იაეი“ – იაპონიის უძველესი სახელი, „აია – კოლხეთს“ ჩამოგავს. „აია“ მათში გვარიცაა.

„ტობი“ – პატარა კუნძულია (ასხზე არის მდ. ტობი).

„ხონსიუ“ (ჰონსიუ) უდიდესი კუნძულია. მას ეგვიპტურ-კოლხური მთვარის ღვთაების, ხონსუს სახელი ჰქვია, საქართველოში, მცირე აზიასა და პირინეიზე რამდენიმე ხონია...

აინთა და აიელთა მიერ დამკვიდრებულა შემდეგი ტოპონიმები:

„აკაში“ – ხონსიუ-სიკოკუს დამაკავშირებელი ხიდი რომ გადეს (1998წ.) იგივე აკანი – გადასასვლელია, ალაგეა ზანურად (ის ვულკანური წარმონაქმნია ჰოკაიდოზე).

„ასანა“ – (შეადარეთ ასანიძე) ვულკანია ჰონსიუზე, არის პუნქტი კუტონი, რაც ზანურად პატარა, კუტაა.

„სევა ტბაა“ ხონსიუზე, შეადარეთ სევანი.

„ტოია“ – ტბაა, ჭანურად ის ტოპალა, ზანურად ტობაა. (ტობანიერი ვანშია).

ჰოკაიდოზეა ძიკოგუდანის მთები. მთიულეთში ხომ გვაქვს ზანური გუდაური, გუდარეხი და გუდანის სალოცავი, რაც ქვიანს, კლდოვანს ნიშნავს. ფორმით ძიკოგუდანი კინჩხის „კლდეიდას“ ჰგავს, სილამაზით და სიდიდით კი ჩამორჩება.

„კინაის“ ნახევარკუნძული. ხონთან, მათხოჯში, ობოდირის მთებში გვაქვს („კინიის წვერი“, იაპონიაში არის კინანის ვაკე და კანტოს დაბლობი, ეს უკანასკნელი „კონტუათს“ ჰგავს). „კინოთი“ მხრებიანს ნიშნავს.

„იბამი – გინძამი“ კომპოზიტია, პირველი იბერს ჩამოჰგავს, მეორე კი ზანურად „გრძელს“ ნიშნავს.

„იოკოჰამა“ – ბასკურად ზღვისპირა ქალაქია.

მდ. ისიკარი, ჰგავს მარტვილის ისკიას, ქართლის სკრას, ტროას სკაიას.

„კერამა“ – სოტოს პირველი სიტყვა ჩვენებურ კერამიკას, თიხის ნაწარმის ალაგს უკავშირდება, ათენშიც გვაქვს კერამიკოსი.

„ჰიდას ალპები“, კისოს მთებს უერთდება. ალპები ნავარაში, იტალიასა და ჩვენს ლეჩხუმშია. არის მინამის ალპებიც.

„კისოს“ მთის სახელი ჩამოგავს კისორეთს და ქისათიბს. ის ნაგანოს და გიფუს პრეფექტურებამდე გრძელდება.

„ნაგანი“, განის განაკიდურის ალაგია. არის მთა „აიდიც“ – იანთა მიერ შერქმეული.

„ბექბონის მთები“ – ბექს, მაღლობს, აბრექილს ნიშნავს.

„ასო-კუჯუ“ – პარკია, რაც პატარას (კუჭურია) ნიშნავს;

„ასჰის მთები“ სიკოკუზეა, ჰგავს კოლხურ ასხის მთას;

„გინზა“ – დედაქალაქის პრესტიჟული უბანია და ზანურად გრძელს ნიშნავს.

„სუმიდას“ პრეფექტურა, შესაძლოა ზანურ სამებას ან წყაროს დავუკავშიროთ, „სუ“ წყაროა ზანურად, „სუმი“ სამია;

„ფუძიამა“ – მთა და უდიდესი ვულკანია, დიდფუძიანი (?!)

არის მდ. ტესო – რაც თესლს ნიშნავს და იგივე ღრმაა (შეადარეთ თესალია) ტესო ქალაქიცაა;

„სიმონოსეტი“ – ჰგავს სიმონეთს, ტროასთან იყო ღელე სამოენტი;

„სიმანე“ – ჰგავს სამანს, საზღვარს (იხ. გეთსამანია);

„ტიბა“ – ერთი პრეფექტურაა, შეადარეთ ტიბარენი, ტიბაანი, ტობა, წყალტუბო;

„ტინი“ – მდინარეა, შეადარეთ ატენი, ტინის ხიდი, რაც მაღალს, საფეხურიანს ნიშნავს;

„ტაბაკა“– ტბაა, რაც ბრტყელს, სწორს ნიშნავს;

„გორი–კაკუს“ პარკი მთიანი, გორაკიანი პარკია;

„აიტის“ პრეფექტურა არის. აიტ-აიეტი, ჩვენში კოლხური სახელია;

„დევას მთები“ – უს პარალელურადაა. შეადარეთ დევაბოინი;

„კურობე“ მდინარეა – ჰგავს მტკვრის სპარსულ ვარიანტ – „კურას“;

„ნაგოია“ – ნაგასაკი, ნიგოეთის მსგავსია;

„კობე“ ნავსადგურია, შეადარეთ კობი;

„კუტიანი“ – სიკოკუზეა, ჰგავს კუტაიას, კუტა – კუტალა, ზანურად პატარაა;

„ოზე“ – შეადარეთ ოზნი და ოლოზი (ტაოში);

„ოკის“ კუნძულები, – შეადარეთ ოკამი;

„ფუტიუ“ – ქალაქია, შეადარეთ ფუტიეთი, კერიასაც ფუტი ჰქვია;

„ცუკახარა“ – გვარია, ცუკარო-ესკორიალი ესპანეთშია;

„ნოსირი“ – იქაცაა და სენაკშიც;

„სანრიკუდა“, სანგაკო, სან-ზანთა თვითსახელია;

„ნობის ვაკე“ – ჩაზნექილი, ჩაღუნული ვაკეა, „ნობი“ ხარხინის ღრმა ქვაა, იმერეთში მერატაფასაც ეძახიან.

„ინგო“ საკუთარი სახელია, ის ზანურად ტირია – მტირალაა;

„საკურა“ ალუბალი, ქვიშნაა, ხოლო ტერმინი „საკურკეს“ ნიშნავს.

„ეძომაცუ“ – ნაძვია, ზანურად ნეძი;

„პალმა სოტაცეა“, ჩვენთან გვაქვს მც. სატაცური;

„იამანასი“ ერთი პრეფექტურაა, ჰგავს იანეთს, იამანიძეს. ამ გვარს ატარებდა სახელოვანი ადმირალი იამანასი;

ერთ ცნობილ პოლიტიკოსს, ნობუნას, კოლხური ღვთაების სახელი, სახელად ოდა ერქვა. არის გვარსახელები: სუმიკავა, ტოკუგავა, აკუტაგავა, სირაგავა, ტიბა, კაბაიაში, კავუეი, კაცურა, კაკუტა, აია...

ჩვენ არ ვართ კატეგორიული, დაჟინებით არაფერს ვამტკიცებთ, იღონდ ვსვამთ კითხვას:

ჩვენგან მოხმობილი მასალები, უბრალო დამთხვევაა?

ამ მხრივ, სიტყვა ეკუთვნით ჩვენს სახელოვან ენათმეცნიერებს!

ისინი ვალდებულნი არიან, გამაკრიტიკონ, ან „დათვალონ" ჩემგან გახსნილი პროტოქართული ტერმინები.

ჩემგან მოკვლეული ეძველესი ენობრივი მასალები, ზანურ-პელაზგური, ე.ი. წინარექართველურია და ამაშიც სწორი აღმოჩნდა რეპრესირებული მკვლევარი, მიხეილ დადიანი.

თავი მეშვიდე

ეგრისი I-IV საუკუნეებში

პონტოს მეფემ, მითრიდატე VI ევპატორმა და მისმა სიძემ, ტიგრან არმენიელმა, ძვ. წ.-ით 93 წელს კაპადოკია გაძარცვეს, მოსახლეობა, ვინც კი მოიხელთეს, ტიგრანოკერტში ჩაასახლეს, ტერიტორია კი პონტოს შეუერთეს...

მითრიდატე ევპატორი, რომის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა, რადგან მტერმა ბითინია და პაფლაგონია უკვე დაიჭირა...

ძვ. წ-ით 107 წ. ბოსფორის სამეფოში, მონა სავმაკმა, ხალხი ააჯანყა და ხელისუფლებას დაეუფლა. მითრიდატემ ძლიერი ფლოტით გაგზავნა მხედართმთავარი დიოფანტე, რომელმაც დაამარცხა სავმაკი, დაიპყრო ტამანი, ბოსფორი, ხერსონესი, პანტიკაპეი და სკვითებიც დაიფრინა...

მითრიდატემ მალევე კოლხეთი დაიჭირა და რომაელებიც განდევნა: ბითინიიდან, კარიიდან, პერგამონიდანი, პაფლაგონიიდან, მერე ბალკანეთიც დაიკავა...

რომმა პასუხი მოითხოვა, მაგრამ მითრიდატეს დიპლომატები, იქეთ ემუქრებოდნენ, რომ მათ მხარეზეა: ბოსფორი, სკვითები, ტიგრან მეფე და „კოლხები, ეს ომისათვის გიჟი ტომები“.

დაიწყო პირველი მითრიდატული ომი.

ოპტიმატების რჩეულმა გენერალმა, კორნელიუს სულამ, დაამარცხა დემოკრატიული პარტიის სახელოვანი ლიდერი – გაიუს მარიუსი და მთავარსარდალი გახდა.

ძვ. წ. 89 წ. ომი დაიწყო.

სულას 60 ათასიანი, დისციპლინირებული, ერთნაირი შეიარაღებული არმია და პონტოელთა ოქრო-ვერცხლით მოკაზმული 200 ათასიანი ჯარი ერთმანეთს ათენთან შეება.

ძვ. წ. 88 წ. სულამ დაამარცხა მითრიდატეს გენერალი არქელაე და მას 25 ათასი მეომარი მოუკლა, თუმცა მითრიდატემ 80 ათასი მეომარი მიაშველა დამარცხებულთ.

სულამ, ათენელები, პონტოს მომხრეობისათვის... გაულიტა.

მომდევნო ომში, ორქომენთან, ისევ „ფელიქსმა“ სულამ გაიმარჯვა...

საშინელი ბრძოლა გაიმართა ქერონეასთან. რომაული ლეგიონები შედრკნენ, კოჰორტებმა უკან დაიხიეს. ამაზე გაწყრა სულა. ცხენიდან დაქვეითდა, ხელში დროშა აიტაცა და მარტოოდენ ლიქტორთა გარემოცვით, გადაწყვიტა გმირულად დაღუპულიყო, ჯარს კი მიაძახა:

„რომაელებო! როცა გეტყვიან, სად მიატოვეთ თქვენი სარდალი, უპასუხეთ, როცა ის ქერონეასთან იბრძოდათქო“...

შერცხვენილი არმია მობრუნდა და თავგამეტებით შეუტია პონტოელებს... ისევ სულამ გაიმარჯვა.

მეორე ომში მითრიდატემ დაამარცხა რომის გენერალი მურენა, მაგრამ მესამე ომში, მთავარსარდლად ნიჭიერი ლუკულუსი დაინიშნა. მან გაანადგურა მითრიდატეს დიდი არმია, აიღო სომხების დედაქალაქი არტაშატიც.

ლუკულუსს, სიძუნწისა და სისასტიკის გამო, არმია აუჯანყდა. ის გაიწვიეს რომში, მაგრამ პოლიტიკას ჩამოშორდა. ღვთაებრივი სიმდიდრით და ფუფუნებით ცხოვრობდა („ლუკულიები“).

სწორედ მან წაიღო ქვიშნის ნერგები იტალიაში და ამრავლა...

მთავარსადლად, სახელოვანი გნეუს პომპეუსი დაინიშნა... სწორედ მან ისარგებლა, სულას და ლუკულუსის მოპოვებული გამარჯვებებით... იმის გამო, რომ მითრიდატე დიდს, სულ რაღაც 30 ათასიანი არმია შემორჩენოდა. მან დაამარცხა მითრიდატეს ახალწვეულები ქაბეირასთან, სინოპთან და გააქცია... ის თავშესაფრისათვის ტიგრან II ეწვია, მაგრამ მან უარყო სიმამრი...

მითრიდატემ ბოსფორს მიაშურა...

პომპეუსმა დაამარცხა არმენები, დახარკა, მერე მისდგა მის მოკავშირე, იბერიის მეფე არტაგს, ისიც დაამარცხა და ბოლოს კოლხეთიც დაიპყრო, დაატყვევა მეფე ოლთაკე, ხოლო ქვეყნის გამგებლად არისტარხე დანიშნა. ამან დამოუკიდებლობის მოპოვება სცადა და თრაკიის მეფის, ლისიმაქეს წაბაძვით, საკუთარი ორქოს ფული მოჭრა... ფრთხილმა რომაელებმა, კოლხეთის სამეფო ჯერ გააუქმეს, მერე კი პონტოს შეუერთეს და მის მეფე პოლემონს, ბოლოს ქვრივ დედოფალ პითოდორიდას დაუქვემდებარეს.

ხოლო მითრიდატე:

„ლტოლვილი და უბედურებაში მყოფი ხელმწიფე, თავის მიმართ პატივისცემას და შიშს იწვევდა. სულით არ ეცემოდა. გამოირჩეოდა სიბრძნით სახელმწიფო საქმეებში“ – წერენ აპიანე და კასიუსი.

ბოლოს, პონტოს ხელმწიფემ, შვილის, ფარნაკეს მიერ მოძულებულნაღალატევმა, მონის ხელით მოისწრაფა სიცოცხლე...

49 წ. რომში სამოქალაქო ომი გაიმართა. ამით ისარგებლა ფარნაკემ და ბოსფორის არმიით კოლხეთი, პონტო, კაპადოკია და მცირე არმენია დაიჭირა (მაშინ უნდა გაეძარცვა ვანი-სირიუმი).

ეგრისი ისე დასუსტდა, რომ ახალი თავდამსხმელის, მითრიდატე პერგამონელის მძარცველური თავდასხმა ვერ მოიგერია.

მეომარი ძალები, ეტყობა მინიმუმამდე დავიდა.

ალექსანდრიიდან დაიძრა დიდი კეისარი, ფარნაკე კი იქადდა:

„ამდენი ბრძოლა მომიგია და ეს კეისარი ვინააო“. ამან კი, როგორც კი ზელას ბორცვთან ლეგიონები განალაგა, შესძახა:

„ნუთუ დაუყოვნებლივ არ უნდა დაისაჯოს ეს მამისმკვლელი?!“...

ფარნაკეს არმია განადგურდა, დამარცხებულმა ბოსფორს მიაშურა და მალევე დაიღუპა.

სენატს, კეისარმა, სამსიტყვიანი წერილი მისწერა:

„Veni, vidi, vici“ („მიველ, ვნახე, დავამარცხე“).

ქართველთა ძველი და ახალი საცხოვრისი: მცირე აზია, კოლხეთი და იბერია, რომის განკარგულებაში მოექცა.

ქართლის მეფეს, ფარსმან I-ს ეგრისის სამეფოს დასუსტებით უსარგებლია და მისი აღმოსავლეთი ოლქი, არაგვეთ-მარგალეთი მიუტაცებია. ამის გამო ეგრისისა და ქართლის საზღვარი შორაპან-სკანდას ხაზამდე გადმოწეულა, დაწყებულა ქართული ენის დამკვიდრება.

დაახლოებით I საუკუნიდან, ქართველ ტომებში ენობრივი დიფერენციაციის პროცესი ღრმავდება.

ამ დროს, წარჩინებულის აღსანიშნავი სპარსული ტერმინი „აზნი“ ქართულში „აზნაურის“, ზანურში „ჟინოსკუას“ ფორმით დამკვიდრებულა (ს. კაკაბაძე ს.მ. 1924 I, 259).

ბარტამ მეფის სიძე, ეგრი დიდებული, მოიკლა მირვან ბატონიშვილთან ომში. მას დარჩა ვაჟი ადერკი, რომელიც არშაკის შემდეგ გამეფდა 12-სა და 5 წლებს შორის, რასაც ქართველები სიხარულით შეხვდნენ. ადერკი თუმცა ფარნავაზიანად იწოდებოდა, მაგრამ ასეთი იყო დედით, მამით კი ეგრისის მეფეთა შთამომავალი იყო. ამრიგად ფარნავაზიანთა შირმის ქვეშ, არსებითად ეგრისის დინასტიის წარმომადგენელი ბატონობდა (ს.მ. 1928. I. 24).

დასავლეთის ქართველები კი რომის მფლობელობაში მოექცნენ, თუმცა სვანები, ძველებურად ლაზთა ვასალები იყვნენ, ისე როგორც წებელდის ხეობის სვანები, აგათია საქოლასტიკოსი და პროკოფი კესარიელი „მისიმიანებს“ რომ უწოდებდნენ (ა. ფაილოძე, 2005 - 14).

ბერძენი ისტორიკოს-გეოგრაფები წერენ, რომ ფასისი, „ამარანტის“ მთებში გამოდის და ჩვენი აზრით, ისინი პრომეთე-ამირანის მიჯაჭვის ადგილის, კოლხურ ვერსიას ახმოვანებენ.

აქედან ირკვევა, რომ პრომეთეს ამარანტი რქმევია, ხოლო ტერმინი პრომეთე „წინარე ღვთაებას“, „ძველ ღვთაებას“ ნიშნავს, ამარანტი კი ზანურად „ადგილობრივი ღვთაებაა“...

მეორე – მესამე საუკუნეებში, აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე როგორც ძველ ეგრისში და მთლიანად რომის იმპერიაში, გზას იკაფავს ქრისტიანობა. ჩნდება ქრისტიანული თემები, ჯერ ფარულად, შემდეგ თანდათან ძლიერდება და აშკარა ხდება.

303 წ. იმპერატორმა დიოკლეტიანემ ბრძანება გასცა, დაეწვათ ქრისტიანული წიგნები, დაენგრიათ ეკლესიები. მომდევნო ედიქტით, სასულიერო პირებს აიძულებდნენ, წარმართული რიტუალი შეესრულებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში დააპატიმრებდნენ.

305 წ. დიოკლეტიანემ განაცხადა, რომ ის და თანამმართველი, მაქსიმიანე, სტოვებდნენ თანამდებობებს. ავგუსტუსის ტიტულს, კონსტანტინე ხლორუსი და გალერიუსი მიიღებდნენ, ხოლო კეისრები მაქსიმიანუსი და ფლავიუს სევერუსი გახდებოდნენ.

მაქსიმინიანუსი დევნიდა ქრისტიანებს, კონსტანტინე კი ლოიალურად იყო განწყობილი.

რა ვითარება იყო საქართველოში?

მირიანს, რომ თხოთის ტყეში მზის დაბნელება შეხვდა, ეს 306 წლის 27 ივლისს, 10 საათსა და 25 წთ-ზე დამთავრდა. მირიანის მოქცევა, მაშინ უნდა მომხდარიყო (ს. კაკაბაძე ს. კრ. 1928 II).

311-312 წწ. ქრისტიანთა დევნა შეწყდა და მირიანსაც აშკარად შეეძლო ქრისტიანობის მიღება. 313 წელს რომის იმპერიაში ახალი რელიგია, წარმართობას, იუდაიზმს და მითრაიზმს გაუთანასწორდა (თანაიმპერატორ გალერიუსის ედიქტით).

იბერიაში წმიდა ნინოს ქადაგება 308 წ. დაუწყია.

იმ დროს, ქრისტიანული თემები ისე გაძლიერებულა, რომ საჭირო გამხდარა მღვდლების მოწვევა. ამიტომ, მირიან მეფეს, ელჩები მიუვ-

ლენია სათანადო თხოვნით კონსტანტინე კეისართან (და არა გრიგოლ პართელთან) ეს 313 წ. მომხდარა, ელენე დედოფლის გარდაცვალებამდე...

ს. კაკაბაძის აზრით, ქრისტიანობა ქართლში, ოფიციალურად 330-333 წლებში უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა ეს თარიღებიც სადავოა, რადგან დასავლეთ საქართველოში, უკვე საეპისკოპოსოები არსებულა. აკი, ნიკეის კრებაზე, 325 წელს ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე.

აგათანგელოსის „სომხეთის მოქცევაში" აღნიშნულია, რომ გრიგოლ პართელმა იბერთა, ლაზთა და ალბანელთა ქვეყანაში მღვდლები გაგზავნა: სოფრონი – ეგრისში, თომა – ალბანეთში, იერენარხეს გაგზავნის ადგილი კი მითითებული არაა.

ამ ნაშრომის არაბულ ვერსიაში „იერენარხში", ნიკო მარმა „იბირბსხუა" ამოიკითხა.

ვ. გოილაძის აზრით, „იბირბსხუა" ეპისკოპოსის რანგში გამოუგზავნიათ ლაზეთში, რაც 325 წლამდე უნდა მომხდარიყო, რადგან ამ წელს კეისარს, კონსტანტინოპოლის არიანელი ეპისკოპოსი, ლეონტი განუკვეთავს.

ე. ი. ეპისკოპოსთა ხელდასმა მანამდე უნდა ყოფილიყო.

V ს. მესამე მეოთხედში, ლაზიკა კარგა ხნის გაქრისტიანებული იყო თუმცა ირანის აგრესიის შიშით, ლაზიკის მეფე, ქრისტიანობის ოფიციალურ გამოცხადებას ვერ ბედავდა. ისწრაფვოდა რა ევროპული კულტურისკენ, 523 წ. ეგრისის მეფე წათე და მისი ოჯახი მოინათლა, რაც ბიზანტიის ქვეშევრდომობის აღიარებას ნიშნავდა.

პროფ. ს. კაკაბაძე წერს, რომ მტკვრის სამხრეთით არსებობდა სომხეთის ვასალი ქვეყანა და ცურტავში პიტიახში იჯდა. ეს წმიდა გრიგოლმა გააქრისტიანა, ხოლო მძლავრ ქართლის სამეფოში, ნინომ იქადაგა.

IX ს-მდე ქართველები, თავიანთ განმანათლებლად წმიდა გრიგოლს მიიჩნევდნენ. ამას მოწმობს კირიონ და აბრაამ კათოლიკოსთა მიმოწერა (ა. საფარელი 1984 წ.).

ნინო, მართლა მისულა ქართლში და უქადაგია, თუმცა ქართველებს ამის შესახებ IX ს-მდე არაფერი სცოდნიათ.

კათოლიკოსები, თავიანთ „პოლემიკაში" ნინოს არც ახსენებენ.

608 წ. დვინის საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, წმიდა გრიგოლის კულტი, დიდხანს ვერ იარსებებდა. ამიტომ გამოძებნეს და მოიმარჯვეს რუფინის თხზულება. შეიქმნა: „სინას“, „შატბერდის“ და „მოქცევაი ქართლისაის“ ძეგლები.

მოვსეს კალანკატუელი, ქართულ-სომხური ეკლესიების განხეთქილების მიზეზად მიიჩნევს ალბანეთში არქიეპისკოპოსის, იბერიაში მიტროპოლიტის დასმას (1985-130).

ერთხელ, ანტიოქიის პატრიარქმა ქართველებს აყვედრა: „ათორმეტ მოციქულთაგან, თქვენთან არავის უქადაგიაო“. იგივე წერია „შატბერდის ოთხთავში“. მაშინ რუფინის და ბაკურის შესახებ იცოდნენ, წმიდა ანდრიას შესახებ X ს. შეუტყვიათ.

ანტიოქიის პატრიარქს კი, გიორგი მთაწმინდელმა უთხრა: „ჩვენ პირველწოდებულის და ძმის მისის, მწოდებლის ნაწილნი ვართო“... ამით გააჩუმა მაყვედრებელი.

„დოსითეოსის კატალოგში“ სწერია, რომ წმიდა ანდრიამ, ბითინიასა და პონტოში იქადაგა. ასევე მიაჩნდა ეპიფანე მონოზონს. ხალხს სჯერა, რომ შავიზღვისპირეთში შემოსულან იესო ქრისტეს მოციქულნი: ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა. თითქო მათ მოუსპიათ ჭყონდიდში ძველი ბომონები. შემდეგ ჯიქეთში გადასულან, სადაც სვიმონი გარდაცვლილა, ნიკოფსიაში დაუკრძალავთ.

მეგრელებს სამლოცველოები და ჯვრები აღუმართავთ, რაზედაც ქართლის მეფე (მამით ეგრისელი უფლისწული) ადერკი განრისხებულა, ეგრისში ჯარით გადასულა და შეშინებულ მეგრელებს, ჯვრები დაუმალავთ – გვარწმუნებს ლეონტი მროველი.

ანდრია და სვიმონ კანანელს თუნდაც გაევრცელებინოს ქრისტიანობა, ამ ქვეყანაში, ქართლის მეფე, თავდასხმას ვერ გაბედავდა, რადგან ის, მაშინ რომის ქვეშევრდომი იყო...

დავუშვათ, პონტოში იქადაგეს ანდრია და სვიმონ მოციქულებმა, მაშინ ხომ კოლხეთი მასში შედიოდა.

საქართველოს ორივე ნაწილში შემოსული ქრისტიანული რელიგია, ადგილზე შეეჯახა ქართლში დამკვიდრებულ ჭანურ-ხეთურ არმასს, მთვარის ღვთაებას და კოლხურ თუთას, რომელთა ატრიბუტები, გადატანილ იქნა წმიდა გიორგის გველთან ბრძოლაზე (შ. ამირანაშვილი, 462) ქრისტიანობა, თავის დროს, დიდად პროგრესული მოვლენა იყო.

ქადაგებდა წიგნიერებას და სიწმინდეს. წარმართ ხელმწიფეთაგან დევნის პირობებში, მან მოდერნიზაცია განიცადა. თუ თანასწორობას და ჰუმანიზმს ქადაგებდა, ბოლოს წარჩინებულთა სამსახურში ჩადგა.

ფეოდალებიც, ამ რელიგიას, ხალხის დასაკაბალებლად იყენებდნენ, ისიც „იდეოლოგიური თანადგომისთვის“ თავის „წილს“ მოითხოვდა.

IV-V საუკუნეებში რომის მძლავრობით დასუსტებული ეგრისის, იგივე ლაზიკის სამეფოს, ნამინალურად ექვემდებარებოდა აფშილების და აბაზგების სამთავროები, მისი სამხრეთი საზღვარი, მდინარე ჭოროხამდე გადმოვიდა. ლაზების ვასალად ისევ რჩებოდნენ: წებელდის, კოდორის, ბალსზევით და ლენტეხის ხეობის სვანები. ისინი ჩვეულებრივ ტყავეულით და ოქროთი (ა. ფ.) იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადს.

საჭიროების შემთხვევაში მსახურობდნენ მეფის ჯარში.

იმდროინდელ ეგრისში, ოთხი საეპისკოპოსო მოქმედებდა. ფოთში იჯდა მიტროპოლიტი, რომელსაც ემორჩილებოდა: ზიგანეოსის (ჯიქეთის? ა. ფ.) საისის, (ცაიშის ა. ფ.), როდოპოლისის (ვარციხის) და ოფის (სოტიროპოლის), ჭანეთის ეპისკოპოსი, თუმცა მხარე ბიზანტიას ექვემდებარებოდა.

ფასისის სიახლოვეს, მოქმედებდა ელინურ სამყაროში განთქმული ფილოსოფიურ-რიტირიკული სკოლა (აკადემია), სადაც თვით საბერძნეთიდან ჩამოდიოდნენ (ევგენიოსი, თემისტიოსი) სასწავლებლად.

სწორედ ამ სასწავლებელში უნდა აღზრდილიყო ქართლის სამეფოს უფლისწული მურვანიოსი, შემდეგ ღაზის ეპისკოპოსი, დიდი პეტრე იბერი (შ. ნუცუბიძის და ერ. ჰონიგმანის დასაკვნით, იგივე ფსევდო-დიონისე არეოპაგელი).

გამოთქმულია საფუძვლიანი მოსაზრება, რომ „ათცამეტი“ ასურელი მამა, ქართლში და კახეთში, სამონასტრო ცხოვრება რომ ააღორძინეს, სწორედ პეტრე იბერის მოსწავლეები, წარმოშობით ქართველები იყვნენ.

თავი მერვე

ეგრისის ქართიზაცია და ქვეყნის გაერთიანება

ა) ქართიზაცია

ჩემი სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, ქართველი პროფესორები ასაბუთებენ, რომ ახლანდელი იმერეთი, ძველად, მეგრული ენის მატარებელი ტომით ყოფილა დასახლებული.

ამ „გენიალურ" მიგნებას, ტოპონიმიით ხსნიდნენ.

შემდეგში სად წავიდა, გადაიხვეწა თუ გაქრა „ის ხალხი", აქ მათი აზროვნება მუხრუჭდება, რადგან ზანური ენით ნაწარმოები გვარსახელების ფუძეთა გახსნა, უძნელდებათ. მათ ნაშრომებში, იმერეთის მკვიდრი მოსახლეობა, „აქედან" და „იქიდან" მოსულებია...

უჭირთ იმის აღიარება, რომ მიგრაცია, აღმოსავლეთიდან დასავლეთში ხდებოდა და ზანურ გვარებს, ქართული გვარმაწარმოებლები „ძე" და „შვილი" დართვია. ამას ქვევით დავინახავთ, რაც VIII-IX ს-ბზე მოდის.

ჩვენმა უპირველესმა ისტორიკოსმა, ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ ძველად, ცალკეული სოფელი, ერთი გვარით ყოფილა დასახლებული, ხოლო მეგრულ (ზანურ) გვარებში, დაბოლავება „ია", „იანში" „ენ"-ის ამოვარდნის შემდეგ დარჩენილა.

ჩვენ შევისწავლეთ გადმოცემა, რომ სოფელში, სხვა გვარი რომ არ დამკვიდრებულიყო, ზედსიძეს და ბავშვებს, ქალის გვარზე წერდნენ...

ეგრისის, ანუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ სულ 2-3 საუკუნეში შეითვისა ქართული ენა.

რამ შეუწყო ამას ხელი?

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ტაბალთა, მუშქთა და კარდუხთა ტომების შერევით, თანდათან ჩამოყალიბდა ქართული ენა და იბერთა ტომი. ეს მოხდა ძვ. წ-ით I ათასწლეულის შუა წლებში, 676 წლის ფრიგიის კატასტროფის შემდეგ. მანამდე 1000 წლით ადრე, მცირე აზია და მთელი ჩრდილო ხმელთაშუაზღვისპირეთი ზანურის მსგავს ენაზე საუბრობდა, რაც ზევით დავასაბუთეთ.

იბერთა ტომმა, მტკვრის ხეობას მიმართა, დაიჭირა სპერი, კლარჯეთი, ტაო, სამცხე, კოლა, ჯავახეთი, შემდეგ რიცხობრივი უპირატესობის მეოხებით, ქართლის და ზემო კახეთის მკვიდრი კავკონების: ზანების და სვანების გვერდით დამკვიდრებულებმა, შეისრუტეს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ფარსმან I დასუსტებულ კოლხეთს აღმოსავლეთი ოლქი, არგვეთი ჩამოართვა და იქ გავრცელება დაიწყო ქართულმა ენამ. ეს განაპირობა წირვა-ლოცვის, საგადასახადო ნუსხების და აზნაურთა შვილების ქართულ ენაზე სწავლებამ. ამავე საუკუნეებიდან, განსაკუთრებით არაბთა მძლავრობისას. ქართლის სოფლები დასტოვა ასობით ადამიანმა და ეგრისში გადმოიხვენა.

ვახტანგ გორგასლის აჯანყებათა სერიების დამარცხების შემდეგ, ქვეყანამ მომრავლება-მოშენება იწყო, მაგრამ ისევ ქართული, დაუდეგარი ბუნების, თუ ბიზანტიისაგან წაქეზების გამო, ქართლის მეფე, გურგენი 523 წელს, აუჯანყდა ირანს და ეს წამოწყება კატასტროფით დასრულდა.

523 წელს, ირანმა გააუქმა ქართლის სახელმწიფოებრიობა. ქვეყნის ზედამხედველად ირანელი მარზპანი, არვანდ გუშნასპი დაინიშნა...

გურგენს, ცოლ-შვილი წინასწარ გაეხიზნა ეგრისში, მეფე წათეს კარზე. ახლა თვითონაც გაიხიზნა და თან 300 ახლობელი წაიყვანა, მერე იქაც ვერ დადგა, ბიზანტიას მიაშურა. მისი ამალის უმეტესობა, ეგრისში დარჩა.

542 წელს, გუბაზ მეფე აუჯანყდა ბიზანტიას და დაიწყო 20-წლიანი ომი, რამაც რიონ-ცხენისწყლისპირა მოსახლეობა თითქმის გაანადგურა.

გადარჩენილები გაიხიზნენ. 562 წელს, ირანის ჯარმა ეგრისი დასტოვა.

654 წელს, ქართლი არაბებს დაექვემდებარა „ჯიზიას" გადახდის პირობით. შემდეგ ბიზანტიელი გენერლებისაგან თავმობეზრებულმა ეგრისის პატრიკიოსმა, სერგი ბარნუკისძემ, ეგრისში არაბები მოიწვია და ციხეებში ჩააყენა, მათაც კარგად დაზვერეს ქვეყანა...

721 წელს ქართველები არაბებს აუჯანყდნენ... 30-იანი წლების შუა ხანებში კი, უარი თქვეს ჯიზიაზე.

736 წელს, კავკასიის დასამორჩილებლად გაგზავნეს მურვან იბნ მუჰამედი. ქართლის მმართველებმა, მირმა და არჩილმა, ომი უსარგებლოდ მიიჩნიეს, დიდი ამალით და ცოლ-შვილით ეგრისს მიაშურეს. მათი მხლებლების ნაწილი ეგრისში დაფუძნდა.

დაარსდა თბილისის საამირო. ხარკი დამძიმდა. მთავრებიც კი გარბოდნენ ქართლიდან, მეტისმეტი ხარკით შეწუხებულნი. ქართლის მოსახლეობა ეგრისში ეშენებოდა.

იოანე საბანისძე წერს, რომ „კრძალულ იყო ეგრისი კირთებისაგან სარკინოზთა".

772 წ. არაბებს ნერსე ერისთავი აუჯანყდა, ეგრისში გაიხიზნა, მას 300 მარტო მამაკაცი წაჰყვა, მის ოჯახს უფრო მეტი, იქედან ხაზარეთში გამგზავრებულ დიდებულს, ყველა ვერ წაჰყვებოდა... მათი ნაწილი ეგრისში დამკვიდრდა.

ეს საკითხი ნათლად არ აისახა ჩვენს მატიანეში, თუმცა წარმოიშვა: იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და გურია, თავისი შერეული მოსახლეობით და ქართული ენით. მათი აბსოლუტური უმეტესობა რომ ზან-სვანებია, ამას ასაბუთებს გვარების ფუძეები.

მაინც, როდის მოხდა ქართული ენის მატარებელი ტომის შესვლა-დამკვიდრება შიგა ეგრისში, ამაზე ნათელ პასუხს გვაძლევს დიდი ივანე ჯავახიშვილი:

როცა „არაბებმა დარიალანისა და აღმოსავლეთ კავკასიონის სხვა კარებიც, ქვეყნებიც და თავისი თავი ჩრდილოეთით უზრუნველყვეს, მათი მმართველობა მკაცრი გახდა. მათი ამირები ქვეყნის საშინაო საქმეებშიც ერეოდნენ. ამას დაერთო სარწმუნოებრივი და ეკონომიკური შევიწროება; მათგან მიეცა ყოველი ესე ქვეყანაი, ჟამით-ჟამათ რბევა-საო". ერისთავებიც კი გარბოდნენ ქვეყნიდან. მეტისმეტი ხარკისაგან, ქვეყანა გაღატაკებული იყო.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, თუ საითკენ იხიზნებოდა და სად პოულობდა თავშესაფარს ქართველობა, როდესაც მას განსაცდელი აიძულებდა, საკუთარი მიწა-წყალი მიეტოვებინა... ძველადაც ისინი ლაზიკაში გადადიოდნენ და იქ ეგრისში თუ აფხაზეთის მთებში პოულობდნენ თავშესაფარს. გახიზვნა და გადასახლება მეტის-მეტად გახშირდა არაბობის დროს. მარტო ნერსეს, 300 მამაკაცი წაჰყვა, მის ოჯახს მეტი. ბევრი მათგანი იქ დარჩა. აი, რა დროს და როდიდან უნდა გაჩენილიყო იმერ-გურულთა ტომები დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში (ი. ჯავახიშვილი, 2. 88).

და გამოჩენილი მეცნიერის ეს კვლევა, უდავო ჭეშმარიტებაა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართლის მოსახლეობის ნაწილი ეგრისში გადაბარგდა.

რიგმა გვარებმა დატოვეს მშობლიური სოფლები...

არჯევანიძე – არჯევანის ქუდი (ქარელი)

ბახტუა – ბახტაძე – ბახტურიძე – ნაბახტევი – (ხაშურის რაიონი);

ბერულავა – ბერულაშვილი – ბერულა (ცხინვალი);

გუგუტიძე – გუგუტიანთკარი (გორი);

ბოჭორიშვილი – ბოჭორმა (ზემო კახეთი);

გოკიელი – გოკიო (სამცხე);

დადიანი – დადიანეთი (ახალგორი);

დვალიანთკარი – დვალიშვილები (ცხინვალი);

დუდაური – თავაძე (დუშეთი);

დოლიძე – დოლიანთკარი (მთიულეთი);

დონდუა – დონდუანთკარი (მთიულეთი);

ელბაქიძე – ელბაქიანთკარი (ქარელი);

ეფრემიძე – კარსანი (მცხეთა, რ.თ);

იშხნელი – იშხანი (ტაო);

იდაძე – იდლეთი (ქართლი);

კარსანიძე – კარსანი (მცხეთა);

კალმახელიძე – კალმახი (ტაო);

კაპრაშიძე, კაპრაშიანი – (კასპი);

მელუა – მელაძე – მელიასკარიდან, ან
მელუასწყაროდან (მთიულეთი);

მშველიძე – მშველიეთი;

მეტრეკელი (ეტრევიდან);

კაშია – კაშმეთიდან (მთიულეთი);

კარბელაშვილი – კარბი (გორი);

კორინთელი – კორინთა (ახალგორი);

კარალია, კარანაძე, კარალეთი (გორი);

მუმლაძე, მუმლაანთკარი (გორი);

მეძველია, ნეძველი (ქართლი);

მიქელიანი – მიქელანი (დუშეთი);

საღარაია, საღარაძე, საღირაშვილი, საღარეიშვილი (საღირას ხატი, მთიულეთი);

სარმანიშვილი, სარმანიანთკარი (ხაშური);
სირაძე – ჭანეთი;
სტურუა – ნოსტე (კასპი);
ოსაძე – ოსიაური (ქარელი);
ღოღელიანი – ღოღეთი (ქარელი)
ყანჩაველი – ყანჩაეთი (ახალგორი, ხაშური);
შალიკიანი – შალიკიანთკარი (დუშეთი);
ჩაჩუა – ჩაჩუბეთი (კასპი);
ციცაგი – ციცაგიანთკარი (გორი);
ცხვედიანი – ცხვედიეთი (დუშეთი);
წიქვაძე – წირქოლი (ახალგორი);
წერეთელი – წერეთი (ქართლი);
წივწივაძე – წივწივა (ქართლი);
ძაგანია – ძაგნაკორეთი (ქართლი);
ქანთარია, ქანდარაშვილი, ქანდა (მცხეთა);
ჭილაია-ჭილაძე, ჭილაშვილი, ჭილაანთკარი (მცხეთა);
ხაჭუბერაძე, ხაჭაპურიძე – გორიდან;
ხვედელიძე, ხვედელიანი, ხვედურეთი (ქარელი);
ჯოხიძე, ჯოხისი (ახალგორი);
ჯანელიძე (ჯანელი) – ქართლი;

რასაკვირველია, ეს არ არის სრული სია ქართლის და სამცხის მიგრანტებისა, რომლებმაც მოიტანეს ქართული სასაუბრო ენა ეგრისში და „გააქართველეს“ ზანები.

მათგან შევიწროებულმა სვანებმა, მთებში აინაცვლეს, ხოლო არგვეთის მოსახლეობის ნაწილმა, უფრო დასავლეთით გადაინაცვლა.

ქართ – მესხებმა ასეთივე ზეგავლენა მოახდინეს აჭარასა და გურიაზე.

ზანთა სატომო ენა, შენარჩუნდა მდინარე ცხენისწყლის დასავლეთით აფხაზეთის ღალიძგამდე. ისტორიული „აფხაზეთის“ ტერიტორია რომ უძველეს დროს სვანებსა და ზანებს ეჭირა, ამას ადასტურებს ტოპონიმია და ეპიგრაფიკა (ლიხნის, ბესლეთის, ბედიის, დრანდის, ილორის წარწერები), რაც აღწერეს პავლე ინგოროყვამ და ვ. სილოგავამ.

ტერმინი „მეგრელი“ ზოგ მეცნიერს, სატომო სახელი ჰგონია და „მაკრონთან“ აიგივებს. სინამდვილეში, ის სადაურობის აღსანიშნავია და „ეგრისელს“ ნიშნავს (შეადარეთ მ-ეგვიპტელი, მ-ეტრეველი).

ამ ტომის სახელია ზანი (იხილეთ საზანო), ანუ სანი, ბერძნული „ლა“ პრეფიქსით კი მიღებულ იქნა ახალი ტერმინი „ლაზი“.

აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის და პროფ. იოსებ მეგრელიძის დაკვირვებით, ქართულენოვანი მოსახლეობა კოლხეთ-ლაზეთში ადრეც ჩანს, მაგრამ ეს VI ს. ადრინდელი არაა (ა. ფაილოძე 2011 წ. 59).

უნდა დავეთანხმოთ ი. მეგრელიძეს. ის წერს, რომ არაბობის დაცემამდე, ენობრივ გაქართულებაში მთავარი როლი უთამაშნია ქართულ მოსახლეობას. ამ ენამ გააძლიერა ზოგადქართული კილო და გააერთიანა ქართული ტომები (1989. 204).

აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა, შეისწავლა რა ძველი კოლხეთის და ჭანეთის (ლაზეთის) მეგრულ-ჭანურ კილოკავზე მეტყველი, შემდეგდროინდელი: აჭარის, გურიის და იმერეთის გაქართულენოვნების საკითხი, დაასკვნა, რომ ისინი არაბების მიერ შევიწროებული ქართულ-მესხური მოსახლეობის შთამომავლებია. ეთანხმებოდა აკადემიკოსებს: ნიკო მარს და ივანე ჯავახიშვილს, თუმცა უპირატესობას, მესხურ ელემენტებს ანიჭებდა. ასაბუთებდა, რომ გურულები, ჭან-ლაზ -მეგრელებისა და მესხების ნარევია. გურული კილოკავი, უფრო მესხურს ჩამოჰგავსო (ი. მეგრელიძე, 204).

დიდმა ენათმეცნიერმა, ნიკო მარმა, იმერული კილო და ჭანური ენა რომ შეისწავლა, გაუჩნდა აზრი, რომ გვიანდელი აჭარის, გურიისა და იმერეთის მოსახლეობა ჭანურ-ლაზურ-მეგრულია:

Имери и Гурийци по язику огрузиневшеися народи группи, нине Лази и Менгрели (ი. მეგრელიძე, 1989. 203).

პროფესორი მიხეილ წერეთელი, ასევე მიიჩნევდა, რომ „საქართველოში ყოფილა ხშირი შეტაკება ტომთა შორის, ურთიერთისგან ადგილის წართმევა და დღეს არსებული იმერლები, გურულები, ნახევარი არიან ქართველთა და მეგრელთა, ანუ გაქართველებული მეგრელები, ხოლო ლეჩხუმლები სვან-მეგრელები (1990, 229).

ე. ი. ქართლის მოსახლეობის ეგრისში გადმოხვეწამ, ქართული ელემენტები გააძლიერა.

სამწუხაროდ, ქართლოცენტრისტებმა, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები ისე აამღვრიეს, რომ ზემოთ დასახელებულ, გამოჩენილ მეცნიერთა დებულებები არ ისწავლება. ამიტომაა, რომ გურულ მჟავანაძეს და ჩხარტიშვილს, ისევე როგორც ზესტაფონელ კოჩივარს და შერგელაშვილს თავი, ზანად კი არა, „იტალიელად“ მიაჩნია.

მეცხრამეტე საუკუნემდე, დადიანების ხსოვნაში შემოინახა გადმოცემა, რომ მათი ძირძველი გვარის მთავარი სამკვიდრო-სალოცავი, მთიულეთის ლომისი ყოფილა.

ს. მაკალათიას მოუსმენია, რომ ერთ, ტყვედ ნამყოფ დადიანის ქალს, ნახევარფუთიანი ჯაჭვი ქედზე გადაუდევს და ლომისის სალოცავზე აუტანია:

„მე უბედურს, იქნებ ცოდვები მომეტევოსო!“

გადმოხვეწილთა ერთი ნაწილი, ძირძველ სვანთა შთამომავლებია.

850-იან წლებში, ეგრისის მძლავრმა მეფემ, გიორგი I აღწეფელმა, ქართლიდან დაიბრუნა არგვეთი და სოფ. ჩიხაში, ერისთავად დასვა თავისი ძმისწული ბაგრატი, მაგრამ ეგრისის აღმოსავლეთი ოლქების ქართიზაცია, შეუქცევადი გახდა...

IX-X სს. დღევანდელი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის და აჭარის მოსახლეობა ქართულად ალაპარაკდაო, რადგან სატომო ენა, ზანებმა და სვანებმა სულ დაივიწყეს.

თანდათან, მკვიდრი მოსახლეობის გვარებს, „ძე“ და „შვილი“ გვარმაწარმოებლები დაერთო.

ასევე „ეი“, „აი“, „დო“, „ტი“, „ში“, „გვა“ და მსგავსი აფიქსებით ნაწარმოები გვარების წარმოშობის არეალი, ზანური ენობრივი სამყაროა.

ახლა ტერმინ „იმერეთის“ შესახებ.

აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი სცდებოდა, როცა ტერმინი „იმერელი“ ცალკე ტომად მიაჩნდა. ასაბუთებდა, რომ დასავლეთ საქართველო, იბერიელებით იყო დასახლებულიო და ტერმინებს: „იმერს“ და „იბერს“ აიგივებდა.

პროფესორ სარგის კაკაბაძის განმარტებით, ტერმინი „იმერეთი“, ხელოვნურად არის ნაწარმოები, ახალი დროის „იმერიდან“, იმ ქართველთა აღსანიშნავად, რომლებიც ლიხის მთის იმიერ, ანუ იქეთ მხარეს ბინადრობდნენ.

ს. ყაუხჩიშვილის საწინააღმდეგოდ, გერმანელი ორიენტალისტი რ. ბლახშტაინერი მიიჩნევდა, რომ „იმერელი“, უნდა გავიგოთ არა როგორც ტომი აღმოსავლეთ საქართველოსი, არამედ ტომი, რომელიც იდენტურია მეგრელებისა“. (ა. ფაილოძე, 2005. 25)

ევროპული აღმოსავლეთმცოდნეები, მართლაც რომ აზროვნებენ, ჩვენი მეცნიერები კი, გამუდმებულად, „ადგილს ტკეპნიან“.

ამის მაგალითიც ინებეთ:

გასულ წელს, ერთი ახალგაზრდა, გეოგრაფიის პროფესორი მეწვია, როგორც წესი, ტურისტულ პროექტს ამზადებდა... დიდად გამაოცა იმით, რომ „იმერეთის“ რაობა არ იცოდა. ამათ ხელში, აბა რა კადრები აღიზრდება!

კიდევ ერთხელ განვმარტავ:

ტერმინი „იმერეთი“, პირველად დასახელებულია დავით ნარინის ამბოხებისას, 1258 წ. როცა ის მონღოლებს გადაუდგა, გადავიდა ქუთაისში, ე. ი. იმიერ, გადაღმა ქვეყანაში და იმერეთის სამეფო დააფუძნა.

ქართლისათვის, ეგრისი იმიერი, ლიხის იქეთა, გადაღმა ქვეყანა იყო. ხოლო მცხოვრებნი „იმიერელნი“, ანუ იმერელნი, რასაც მოწმობს ტოპონიმთა და გვარსახელთა მეგრული ფუძეები.

ამაზე ადრე, ეგრისის შიგა ოლქს მუხური, XI ს-ში სამოქალაქო, ბოლოს ვაკის ოლქი შეერქვა. ზედა ოლქს, არგვეთი,

ბ) ეგრისი ქვეყნის გამაერთიანებელი

750-იან წლებში, მეფე მირის სიძემ, აფხაზთა ერისთავმა, ლეონ მეორემ, ისარგებლა ხატმებრძოლეობით, ბიზანტიის დასუსტებით და იმითაც, რომ გარდაიცვალა ეგრისის გამგებელი, იოანე ერისმთავარი, ქართლის მეფის, ჯუანშერის ძმა. ისინი კი მისი მეუღლის ბიძაშვილები იყვნენ.

დედამისი, ხაზართა მეფის ასული იყო და ხაკანის ჯარი მოიშველია, სვანების, აფხაზების და მეგრელთა ლაშქრით აღმოსავლეთით გადმოვიდა და მეფედ ეკურთხა („სახელ იღო მეფე აფხაზთა) ქუთაისში, ამიტომ „მორჩილებდნენ მეგრელნი, თვისთა მეფეთა მოყვრობისათვის“.

დაუკვირდით, ჯერ არსადაა „იმერეთის“ ხსენება!

ასე დაფუძნდა აფხაზთა სამეფო. ჯუანშერ მეფე, მალე გარდაიცვალა და ლეონს მოდავე არავინ დარჩა...

მან რამდენჯერმე მოიგერია ბიზანტიის სამხედრო ექსპედიცია.

აფზახთა რაოდენობა, ამ სახელმწიფოში, ათი პროცენტიც არ იქნებოდა, ისიც „ფხაზე“, ეგრთა გვერდით მცხოვრებნი, მეგრულად მოსაუბრენი და არა XV ს. ჩამოსახლებული აფსუები.

ლეონ მეფე, 758-798 წლებში, მტკიცე ნებით განაგებდა ქვეყანას. ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ (ბიჭვინთაში) კათოლიკოსად აკურთხა იოვანე და ამ სამწყსოს ავტოკეფალია მიანიჭა. ამის მიზეზი გახდა ახლო აღმოსავლეთში არაბთა მძლავრობა, და იქ, (კათოლიკოსად) საკურთხებლად გაგზავნის სიძნელეები.

ხატმებრძოლებთან დავას განაგრძობდა ლეონ II მემკვიდრე, კონსტანტინე V ისავრიელი.

„მატიანე ქართლისაის" მიხედვით, აფხაზეთის საკათოლიკოსო, ბაგრატ მესამეს დაუფუძნებია. ჩვენი აზრით, დაახლოებით ამ დროს, ან უფრო ადრე, გიორგი მეორის (922-957 წწ.) დროსაა ეს სავარაუდებელი.

ვერ დავეთანხმები პროფესორების: გ. მჭედლიძის და მ. დიასამიძის მოსაზრებას, თითქო IV ს. ეგრისში, წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა (გვ. 56).

ბუბა კუდავას მოსაზრებით, IX-X ს. აფხაზეთის კათოლიკოსის მეშვეობით, ეგრისის საეპისკოპოსოები მცხეთელ კათოლიკოსს ემორჩილებოდა, მაგრამ მას, საამისოდ არაფერი საბუთი არ გააჩნია!!!

აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ „მცხეთის კათოლიკოსი, კირიონი, წინანდელ წესთა თანახმად, ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო"-ო. (საკითხები ტ.7. 23-30).

ნეტავ სად წაიკითხა?

ვახუშტი ბაგრატიონის გვიანდელი ცნობებით, ერთიანი საქართველოს პირობებში, ხონის მრევლი, მცხეთელი კათოლიკოსის სამწყსო იყო (ქ.ცხ. ტ. IV).

ამას ემატება მეუფე ანანია ჯაფარიძის მოსაზრება, რომ ნოქალაქევისა და მარტვილის ტაძრების არქიტექტურა, ამ მხარის ქართულ ეკლესიაში ყოფნას ადასტურებს („სახალხო განათლება", 1990. 17.V) (!!!)

არადა ნოქალაქევის ტაძარი VI ს-ის, მარტვილი VII ს. ძეგლია და მაშინ ცალკე სამეფო ეგრისი და მისი ეკლესია, ნომინალურად ბიზანტიის პროტექტორატში მყოფი, მცხეთის ქვემდებარე ვერ იქნებოდა.

მცხეთის საყდრისადმი დაქვემდებარება, ჩვენი აზრით, X ს. ბოლოს უნდა მომხდარიყო, როცა ბაგრატ III ქვეყანა გააერთიანა.

IV-VII ს-ში, დასავლეთ საქართველოში, ქართული ენა არ ისმოდა ქართიზაცია VIII-IX ს. მიმდინარეობდა და თანდათან, რიონ-ცხენის-წყლის აღმოსავლეთი ოლქი, სრულიად გაქართულენოვნდა.

აქამდე კი წირვა-ლოცვა მშობლიურ (ზანურ) ენაზე მიმდინარეობდა, საზეიმო ლიტურგია კი ალბათ ბერძნულად. ძვ. წ.-ით III საუკუნიდან ეგრისი რომ ელინიზებული იყო, ამას ასაბუთებს ვანის არქეოლოგიურ მონაპოვართა წარწერები, თუმცა ზანურში, მარტო „ალილოს“ 6 ვარიანტია...

გარდა ამისა, საეკლესიო ისტორიკოსებმა, ხალხი დააჯერეს, რომ ქართლის პირველი პატრიარქი მელქისედეკი იყო. პარხალის ეკლესიის წარწერა კი, ამ ტიტულით იხსენიებს მის წინამორბედს, იოანეს, ძეგლი კი 980 წლით თარიღდება.

X ს. დასაწყისიდან, ცხადი გახდა ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ეგრის-აფხაზეთის პირველობა.

893-922 წლებში ტახტი ეჭირა მეფე კონსტანტინე მეორეს. ის დაჟინებით ცდილობდა ქვეყნის გაერთიანებას.

„მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს: „მას ჟამსა, გამოვიდა კონსტანტინე აფხაზთა მეფე, დაიპყრო ქართლი და ემტერა სომეხთა მეფე (შირაკავანელი ბაგრატიონი ა. ფ.) სუმბატ ტიეზერაკლი. გამოილაშქრა სპითა დიდითა და მიადგა უფლისციხეს... კეთილად იმზახლნენ სუმბატ და კონსტანტი და უკუ მისცა უფლისციხე და ყოველი ქართლი“ (I. 262).

თხრობას ავსებს სომეხი მემატიანე – იოანე დრასხანაკერტელი.

„...სუმბატ ტიეზერაკლიმ, ვერაგულად შეიპყრო ეგრისის მეფე კონსტანტინე, რომელიც ქართლის დასაჭერად იბრძოდა.

აღშფოთებულმა მეგრელებმა (და არა „აფხაზებმა“ ან „იმერლებმა“ ა. ფ.) სომეხთა მეფეს, მუქარა შეუთვალეს: „თუ არ გაათავისუფლებდა კონსტანტინეს, მომზადებულნი იყვნენ ვინმე, კონსტანტინეზე მხნე დაეყენებინათ მეფედ. სუმბატ მეფე შეშინდა და გაათავისუფლა კონსტანტინე, მისცა თავისი ასული ცოლად და ქართლიც დაუთმო“ (1985. გვ. 109).

906 წ. იმავე მეფეს, კონსტანტინეს, კახეთის ქორეპისკოპოსის მიწვევა მიუღია, გაულაშქრია, კახეთი დაუჭერია და ერედვის ეკლესიაშიც ულოცია. მეფე დასახლებულია სამწევრისის ტაძრის წყლის გაყვანის წარწერაშიც.

კვირიკე ქორეპისკოპოსის თხოვნით, კახეთის მეფე ვეჟინსაც შემოდგომია, არიში, გავაზი დაურბევია და დაუჭერია. კვირიკეს კი ჰერეთის ორჭობი დაუკავებია. ერედვის ეკლესიის წარწერაში ვკითხულობთ:

„მოვიდა კოსტანტი, მეფე აფხაზთა, ილოცა ალავერდის წმიდის გიორგის წინაშე და შემოსა ხატი მისი ოქროთა. დიდი პატივი სცა კვირიკე ქორეპისკოპოსმა“ (ნარკვევები, ტ. 2-520).

სხვა წარწერაში აღნიშნულია:

„ხელმწიფობასა ღვთივ დამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფე გააქცია და მონით მშვიდობით იცქა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრს ბრეძას გარდახდა, მეორედ კვლავ ავიდა, ვეჯინის ციხე დალეწა“... („ნარკვევები“, 2. 520).

კონსტანტინე მეფეს, ჰერეთის ნაწილი, კახეთი, ქართლი მთლიანად დაუკავებია, თუმცა 914 წელს ის, აბულ-კასიმს, დაკავებული ტერიტორიებიდან გაუძევებია.

კონსტანტინეს მემკვიდრე, ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II (922-957 წწ.) დიდი და სახელოვანი ხელმწიფე იყო. მბრძანებლობდა ქართლზე, კახეთზე, ჯავახეთზე. მან გააფართოვა ჭყონდიდის ტაძარი და შექმნა საეპისკოპოსოდ. იყო ეკლესიათა მაშენებელი, ღვთისნიერი და მოწყალე ხელმწიფე. მხოლოდ ფორმალურად მორჩილებდა ბიზანტიას. მას დიდი მაგისტროსის და აფხაზთა მთავრის ტიტული ჰქონდა კეისრისაგან ნაბოძები („გეორგიკა“, 2. 277) ეგზავნებოდა ორსოლიდიანი ბულა, ისევე როგორც ქართველთა კუროპალატს და ალანიის მთავარს.

იმპერატორი კონსტანტინე პირფიროგენეტი, ეგრისის მეფეს „ბრწყინვალე მთავარს“ უწოდებდა („გეორგიკა“ 4, 291)

ცნობილია, რომ გიორგი II ქართლში, უფლისციხეში, მმართველად დაადგინა თავისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე. მან კი გამოამჟღავნა სეპარატიზმი, რის გამოც შეიპყრეს და დაასაჭურისეს.

ამის შემდეგ, გიორგი მეფე გარდაიცვალა და ტახტი ერგო მის ვაჟს ლეონს (957-967 წწ.) ამ ლეონს ჯავახეთი კვლავ დაუჭერია და აუგია კუმურდოს ტაძარი (964 წ.) ხოლო მხარეს, მისი ერისთავი, ზვიად მარუშიანი განაგებდა. („ნარკვევები“ 2.441)

967-975 წლებში, ეგრისში ჯერ დემეტრე, შემდეგ თეოდოსი მეფობდა. ქართლს განაგებდა ეგრისის მეფის მოხელე, იოანე მარუშიძე, რომლის სახელი გოდოგანის ეკლესიაზეა ამოკვეთილი. სწორედ მას ერგო მისია, განეხორციელებინა საქართველოს გაერთიანების დიადი საქმე.

მას შემდეგ, რაც დასავლელმა ფეოდალებმა და მეფე დემეტრემ თეოდოსი მეფე დააბრმავეს და ამრიგად ქმედითუნარიანობა ჩამოართვეს. დაიწყო ანარქია, რბევა, თავგასულობა...

მაშინ, ევედრა იოანე მარუშიძე დავით კურაპალატს, დაეჭირა ქართლი, ან ებოძა ის თავის შვილობილ ბაგრატისათვის. უფლისწულის დედა, გურანდუხტი, გიორგი II ეგრის-აფხაზეთის მეფის ასული, ცოლად ჰყავდა ქართველთა მეფე გურგენს, რომლის მამა, ბაგრატი, ტაოს მეფეთა-მეფის ტიტულს ატარებდა და დავით კურაპალატის მკვიდრი ბიძაშვილი იყო.

ამრიგად, ბაგრატ ბატონიშვილი, ეგრისის მეფეების თეოდოსის და დიმიტრის დისწული გახლდათ და როგორც ტაოს, ისე ქართლის ეგრის -აფხაზეთის კანონიერი მემკვიდრე და შესაფერისი პიროვნება.

დავით კურაპალატმა გაითვალისწინა იოანე მარუშიძის მამულიშვილური განაზრახი, შემოიკრიბა ეგრისის, ტაოს, ქართლის ჯარი, მივიდა ქართლში, ქვახვრელთან (უფლისციხესთან) დაიბარა ქართლის წარჩინებულნი და განუცხადა: „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, მე მისი მსახური“ და მფარველი ვარ და ყველანი დამორჩილდითო.

ქართლის დიდებულები ჯერ გაყუჩდნენ, შემდეგ სცადეს ეგრისში მყოფი ახალი მეფე ქართლში არ შეეშვათ, მაგრამ უშედეგოდ...

979 წელს, ახალგაზრდა ხელმწიფემ, ბიძა თეოდოსი საპატიო ტყვედ ტაოში წაიყვანა და ეგრისის მეფედ ეკურთხა. 995 წელს ბაბუა ბაგრატი („რეგუენი“) გარდაიცვალა და ტაოს მეფის, ხოლო მამის, გურგენის გარდაცვალების შემდეგ (1010 წ.) ქართლის მეფის ტიტულიც მიიღო.

მის დროს აიგო: ქუთაისის ღვთისმშობლის, ნიკორწმინდის, კაცხის, ბედიის და ხცისის ტაძრები. მალე კახეთ-ჰერეთიც დაიჭირა და დაასრულა საქართველოს გაერთიანება.

ერთიანი საქართველოს მეფეები, ამიერიდან ქუთაისში ეკურთხებოდნენ მეფედ (თბილისი არაბებს ეჭირა).

პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს წარჩინებულნი: ამანელისძენი, კახაბერიძენი (ბაღვაშ-მხეიძე-ჩხეიძენი), ვარდანისძენი და საღირისძენი.

ამ პერიოდიდან შემოდის ხმარებაში ტერმინი „საქართველო“, მანამდე „ქართლი“, „ტაო“ და „ეგრისი“ იყო ხმარებაში.

თავი მეცხრე

ა) გადაკეთებული, ანუ აფიქსშეცვლილი გვარები

როგორც ირკვევა, ქართული გვარწარმოქმნა VI-IX ს-თა პროდუქტია, ხოლო ამ გვარებზე ძე და შვილი სუფიქსების დართვა X საუკუნიდან იწყება, რაც ქართიზაციამ დააჩქარა.

გვართა ფუძეებზე „ვა“, „უა“, „ია“ და „ეი“-ზე „ძე“ და „შვილი“ აფიქსების დართვა ქართიზაციამ განაპირობა. თუმცა გვარწარმოქმნა XIX-XX საუკუნეებშიც წარმოებდა. მაგალითად ხაფავა ხაბეიშვილად 1884 წ. ჩაწერეს, დარსაველია კი დარსაველიძედ XX ს. დასაწყისში, ხოლო რამდენიმე ფაილოძემ XX ს. I ნახევრაში დაიბრუნა წინაგვარი ფარულავა.

ეს დასტურდება რუსეთის საიმპერატორო კანცელარიის 1850 წლის დეკემბრის (თავადაზნაურთა წოდებაში დამტკიცების შესახებ) და 1882 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებით.

ძირითადად ამ დროს მიიღო საბოლოო სახე ქართულმა გვარსახელებმა, მაგრამ დასავლურ-ქართული, სვანური და სანურ-ზანური ფუძეები გვარწმუნებს, რომ მათი წარმოშობის არეალი, სწორედ კოლხურ-ეგრისული ენობრივი სამყაროა.

ხოლო ზანური გვარები ამრიგად ფორმირებულა:

აბრამია-აბრამაძე-აბრამიძე;
აბრალავა-აბრალეიშვილი;
აბსავა-აბსანძე;
აბესაძე-აბსანძე;
აკობია-აკობიძე;
ალანია-ალანიძე;
ალასანია-ალასანიძე;
ალმასია-ალმაშვილი;
ამბროლიანი-ამბროლაძე;
ადამია-ადამაძე;
ანთელავა-ანთელაძე;
ანთია-ანთიძე;
აშოტია-აშორდია;
არონია-არონიშიძე;
ანთია-ანთიაური;
არშილავა-არეშიძე;
არჩაია-არჩვაძე;
არდია-არდიშვილი;
არღვლიანი-არველაძე;
ასანია-ასანიძე;
აფსავა-აფსანძე;
ბაბალია-ბაბალაშვილი;
ბაბლუანი-ბაბილუა-ბაბილოძე;
ბარამია-ბარამიძე-ბარაბაძე;

ბარქაია-ბაქარაძე-ბაქრაძე;
ბაძალუა-ბაზღაძე-ბაზაძე;
ბაბუხადია-ბაბუაძე;
ბაკურია-ბაკურაძე;
ბასილაია, ბასილაძე, ბასილიძე,
ბანძავა, ბანძაძე, ბანძელაძე;
ბაღვაში, ბაღვაძე,
ფაღავა, ბაღაშვილი;
ბაღჩავა (კურტანიძედ იქცა);
ბაღდავა-ბაღდავაძე;
ბაჩილავა-ბაშალეიშვილი;
ბზიავა-ბზიკაძე-ბზეკალავა;
ბახტუა-ბახტურიძე-ბახტაძე;
ბებურია-ბებურიშვილი, ბებურიძე;
ბედია-ბედიანიძე-ბედინეიშვილი;
ბეთია-ბეთიაშვილი;
ბენია-ბენიძე;
ბელია-ბელიძე-ბელიაშვილი;
ბელქანია-ბელქანიძე;
ბერია-ბერიძე, ბერიშვილი,
ბერიანიძე;
ბერძენია-ბერძენაძე;
ბესელია-ბესელაშვილი;
ბერულავა-ბერულაშვილი;
ბერძული-ბერძულიშვილი;
ბზიავა-ბზიკაძე;
ბირკაია-ბირკაძე;
ბირკიაშვილი-ბიკვაიძე;
ბიჭია, ბიჭიაშვილი, ბიჭინაძე;
ბიგვავა-ბიგვაიძე;
ბობოხია-ბობოხიძე;
ბოკერია-ბოკელავაძე;
ბოხუა-ბოხოჩაძე;
ბოჯგუა-ბოჯგაძე;
ბულია-ბულეიშვილი
(ბულისკერია);
ბუავა-ბუაძე;
ბურჭულაია-ბურჭულაძე;
ბურჯალიანი-ბურჯანაძე;
ბუკია-ბუსკივაძე;
გაბელია-გაბელაია-გაბელიძე;
გაბედავა-გაბადაძე;
გაბრავა-გაბარაშვილი, გაბრიაძე;
გაბუნია-გაბუნიძე;
გაგულია-გაგულაშვილი,
გაგილაძე;
გალდავა-გალდავაძე-გარდაფხაძე;
განგია-განგლიძე (განგავა);
გამზარდია-გამეზარდაშვილი;
გაჩავა-გაჩლავაშვილი;
გახოკია-გახოკიძე;
გერგაია-გერგაული;
გეგელია-გეგელიძე, გეგელაშვილი;
გედენავა-გედენიძე;
გეგენავა-გეგელაშვილი;
გეგია-გეგიძე;
გელენავა-გელენიძე;
გეთია-გეთიაშვილი;
გერგეშენია-გერგიშვილი;
გვიშიანი-გვინჩია-გვინჩიძე;
გვარამია-გვარამაძე;
გოგიტი-გოგიტიშვილი;
გიგაია-გიგაიძე;
გენძეხაია-გენძეხაძე;
გვასალია-ვასაძე;
გლოანი-გლონისთავიძე-
გელოვანი;
გოდელავა-გოდელიძე-გოდერიძე;
გობეჩია-გობეჯიშვილი;
გოგუა-გოგვაძე-გოგუაძე;
გოგაია-გოგატაძე;
გოგოლავა-გოგოლაძე;
გოლია-გოლიაძე, გოლაძე,
გოლანძია;
გორგოშია-გორგოშიძე;
გოთუა-ღოთვაძე, ღითონელიძე;
გოგინავა-გოგინაძე, გოგნიაშვილი;
გორდელავა-გორდულაძე;
გრიგალავა-გრიგალაშვილი;

გოფონუა-გოფოძე;
გრიგოლია-გრიგოლაშვილი;
გუგუჩია-გუგუჩაძე;
გუგუნავა-გუგუშვილი;
გუდავა-გუდაძე-გუდავაძე;
გულია-გულიაშვილი;
გულბანი-გურაბანიძე;
გულუა-გულუაშვილი;
გურუა-გუჩმანიძე;
გუნია-გუნავა-გუნცაძე;
დავითაია-დავითაძე;
დათუა-დათუაშვილი;
გუჩუა-გუჩმანიძე;
დარსაველია-დარსაძე,
დარსაველიძე;
დარციმელია-დარციმელიძე;
დარჩია-დარჩიძე-დარჩიაშვილი;
დანელია-დანელიძე;
დიდია-დიდავა-დიდიძე;
დიხამინჯია-დიხამიძე;
დიაკონია-დიაკონიძე;
დოლია-დოლიძე;
დვალი-დვალაძე, დვალიძე;
დვალიშვილი;
დონდუა-დონდუაშვილი;
ეგუტია-ეგუტიძე;
ერქვანია-ერქვანიძე,
ერქომაიშვილი;
ესაკია-ისაკაძე;
ესებუა-ესებიძე;
ეფარია-ნეფარიძე, მეფარიძე;
ეფსია-ნეფსაძე;
ეფენია-ეფაძე;
ეჯიბია-ეჯიბაძე;
ვაჩია-ვაჩნაძე;
ვარდია-ვარდიძე;
ვარდანია-ვარდანიძე;
ვაშაკიძე-ვაშაყაშვილი;
ვაჭარაია-ვაჭარაძე, ვაჭრიძე;
ვერულავა-ვერულეიშვილი,
ვერულაშვილი, ვერულაძე;
ზანთარაია-ზამთარაძე;
ზაქარაია-ზაქარიაძე;
ძარია-ზარნაძე;
ზერაგია-ზერეკიძე;
თავაქარია-თავაქარიშვილი;
თევზაია-თევზაძე;
თევდორაია-თედორაძე-
თედორაშვილი;
თვართვაია-თვალთვაძე,
თვართვაძე;
თვალავა-თვალაბეიშვილი;
თოდუა-თოდაძე, თოდიძე;
თოდრია-თოდრაძე;
თოფურია-თოფურიძე;
თორია-თორაშვილი;
თულიანი-თულაძე;
თხილავა-თხილაიშვილი;
თოდუა-თოდაძე;
თურქია-თურქიაშვილი;
თურნავა-თურმანიძე;
იმედია-იმედაძე;
ინასარიანი-ინასარიძე;
ირუფაქია-რობაქიძე;
იობაია-იობიძე;
კაკუბავა, კაკაბაძე-კაკუბერი;
კაკაჩია-კიკაჩეიშვილი;
კაკუტია-კაკუშაძე;
კაკურია-კაკურაძე;
კაკულია-კაკულაძე;
კანკია-კანკაძე;
კარანაია-კარანაძე;

კაპრაშიანი-კაპრაშიძე;
კახაია-კახაძე;
კაჭარავა-კაჭახიძე;
კაშია-კაშმაძე, კაშიაშვილი;
კამკია, კამლაძე, კამკამიძე;
კემულარია-კეპულაძე;
კეკუა-კეკუსანიძე, კიკვიძე;
კეკუტია-კეკუტიძე, კეკუსანიძე;
კერზაია-კერზევაძე;
კეკელია-კეკელიძე;
კეჩხუა-კეჩხუაშვილი;
კვატაია-კვანტალიანი;
კვანტრე-კვანტრიშვილი;
კვიტია-კვიტიაშვილი;
კვირკველია-კვირიკაშვილი;
კვესელავა-კვესელაძე;
კიზირია-კიზივაძე, კეზერაშვილი;
კინწურაია-კინწურაშვილი;
კირტავა-კირთაძე;
კორძაია-კორძაძე;
კოპალიანი-კოპლატაძე,
კოპალეიშვილი;
კოპაძე-კოპალაძე-კობალაძე;
კობლუა-კუბლაშვილი;
კოხია-კოხრეიძე;
კოჩუა-კოჩუაშვილი;
კოჩელაშვილი-გოჩელაშვილი;
კუკულავა-კუკულაძე;
კურცხალია-კურცხალიძე;
კუპრავა-კუპრეიშვილი, კუპრაძე;
კუკავა-კუკარაძე;
კუტალია-კუტალაძე, კუტუბიძე;
კუჭავა-კუჭაშვილი;
კილასონია-კილასონიძე;
კობალავა-კობალაძე;
კობახია-კობახიძე;
კოლუა-კოლუაშვილი;
ლაბახუა-ლაბაძე;
ლანჩავა-ლანჩავაშვილი;
ლაშხია-ლაშხიძე;
ლაშქარავა-ლაშქარაშვილი;
ლოლუა-ლოლაძე, ლილუაშვილი;
ლორია-ლორიაშვილი,
ლოლაძე-ლარაძე;
ლომაია-ლომაძე, ლომინეიშვილი;
ლიპარტელიანი-ლიპარიძე;
მაკალათია-მაკარიძე;
მამულია-მამულაძე;
მაისაია-მაისაშვილი;
მალულარია, მალულარიძე,
მალალურიძე;
მანია-მანჩიძე;
მანჩხავა-მანჩხაშვილი;
მარკოზია-მარკოიძე;
მარღია-მარღიშვილი;
მარშანია-მარშანიშვილი, მარუშიძე;
მატკავა-მატარაძე;
მასხულია, მსხილაძე, მსხვილაძე;
მაშია-მაშანეიშვილი;
მაქაცარია-მაკასარაშვილი;
მელია, მელაია, მელუა-მელაშვილი,
მელაძე;
მელიქია-მელქაძე;
მინდელაია-მინდელი;
მერკვირია-მერკვილაძე;
მიქავა, მიქაძე, მიქანძე, მიქაუტაძე;
მიქაუტიძე, მიქატაძე;
მირცხულავა-მურცხვალაძე;
მიქელაია-მიქელიანი, მიქელაძე;
მეშველიანი-მიშველაძე-მშველიძე;

მოსია-მოსიძე, მოსინავა,
მოსიაშვილი;
მოგელია-მოგელაძე;
მსხალაია-მსხალაძე,
მსხილაძე (მასხულია);
მჟავია-მჟავანაძე;
ნანავა-ნანეიშვილი, ინანეიშვილი;
ნინუა-ნინუაშვილი;
ნაკაშია-ნაკაშიძე;
ნადარაია-ნადარეიშვილი;
ნასია-ნასიძე, ნარსავიძე;
ნიკოლავა-ნიკოლაძე;
ნიკოლაია-ნიკოლეიშვილი;
ნორაკია-ნორაკიძე;
ოდილავა-ოდილავაძე;
ორჟონია-ორჯონიკიძე;
ორალელისძე-კვიტაიშვილი;
ომათმათიძე-აგიაშვილი;
პაპავა-პაპავაძე, პაპაშვილი;
პატარაია-პატარიძე;
ჟორდანია-ჟორდანიშვილი;
ჟვანია-ივანიშვილი;
რევა, რევია, რევიშვილი;
როდონაია-როდონაძე;
როყვა-როხვაძე;
რიჟავა-რიჟვაძე;
რუსია, რუსიძე-რუსეიშვილი;
სალია-სალაძე, სალარიძე,
სალაყაია;
სამსონია-სამსონიძე;
სამსიანი-სიმსივე-სიმსივაძე;
სანიკიანი-სანიკიძე;
სანაია-სანაძე-სანოძე;
სალია-სალარიძე, სარალიძე;
საკანდელია, საკანდელიძე
(მენაბდე);
სარია, სარავა, სარიძე, სარიშვილი;
სარჯველია-სარჯველაძე;
საღარაია, საღარაძე,
საღარეიშვილი, საღლიანი;
სახავა-სახვაძე, სახელაშვილი;
სიორდია, სიორიძე;
სირია-სირაძე, სირდაძე;
სილაგავა-სილაგაძე (სილოგავა);
სიხარულია-სიხარულიძე;
სოლომონია-სოლომონიძე;
სოფია-სოფაძე;
სოხაძე-სოხანეიშვილი;
სტეფანია-სტეფნაძე;
სტვილია-სტვილიდი;
სულავა-სულაძე;
ტაბაღუა-ტაბატაძე;
ტორუა-ტორაძე-ტორუაშვილი;
ტაბეშაძე-ტაბიძე;
ტიბუა-ტიბუაშვილი;
უბილავა-ობოლაძე;
უბირია-უბირი;
უჩავა-უჩაძე-უჩანეიშვილი;
უნდილია-უნდილაძე-ენდელაძე;
ურიდია-ურდულაძე;
ფანცულაია-ფანცულაშვილი;
ფარცვანია-ფურცხვანიძე(?);
ფაჩულია-ფანჩულაძე,
ფაჩუაშვილი;
ფანცუფიში-ფანცულაია;
ფაცია-ფაცეიშვილი;
ფილია-ფიოლია, ფილიაშილი;
ფირცხალავა-ფირცხელაშვილი;
ფირცხალეიშვილი-ფარცხალაძე;

ფონია-ფონაძე;
ფონჯავა-ფონჯაძე;
ფოჩხუა-ფორჩხიძე;
ფულარიანი-ფულარია
(მოსეშვილი);
ფურცხვანია-ფურცხვანიძე;
ფურცელიანი-ფურცელაძე;
ქავთარია-ქავთარაძე;
ქავშარია-ქავჟარაძე;
ქანდარია-ქანდარაძე,
ქანდარაშვილი;
ქარაია-ქარსელაძე;
ქარჩავა-ქარჩაიძე-ქარჩხაძე;
ქადარია-ქადეიშვილი;
ქარაქუში-ქარქაშაძე;
ქარცხია-ქარცხაძე, ქარციძე;
ქაჩიბაია, ქაჩიბაძე, ქაშიბაძე;
ქებურია-ქებულაძე;
ქვარიანი-ქვარაია;
ქვაჩახია-ქვაჩაკიძე;
ქვილითაია-ქვლივიძე;
ქიქავა-ქიქოძე;
ქიშმარაია-ქიშმარეიშვილი;
ქობალია, ქობულია, კობალაძე,
ქვაბულიძე, ქობულიძე;
ქორაია-ქორიძე;
ქოჩაკია-ქოჩაკიძე;
ქორთუა-ქორთუაშვილი;
ქორსუა-ქარსელაძე;
ქაცარავა-ქასრაშვილი, ქაცარიძე;
ქორჩილავა-ქოჩიაძე;
ღადუა-ღადუაშვილი,
ღვანია-ღვანიძე;
ღვინერია-ღვინცაძე, ღვინეფაძე;
ღვამბერია-ღვამბერიძე;
ღურჭუმელია-ღურჭუმელიძე;
ღურჯია-გურჯიძე;
ყურუა-ყრუაშვილი;
ყიფიანი-ყიფშიძე;
ყუფარია-ყუფარაძე;
ყუფუნია-ყუბანეიშვილი;
შარვაშია-შარვაშიძე-შარვაძე;
შავლიანი, შავლაძე-შავლაყაძე;
შანავა-შანიძე-შაინიძე;
შილავა-შილაძე-შილაკაძე;
შუკაკიანი-შუკაკიძე;
შელია-შელაძე;
შონია-შონვაძე;
შუშანია-შუშანიძე-შუშანაშვილი;
შარია-შარაძე;
შარიქავა-შარიქაძე;
შენგელია-შერგელაშვილი;
შკუბულიანი-შუბლაძე;
ჩაკვეტაია-ჩაკვეტაძე;
ჩაბრავა-ჩაბრაძე;
ჩომახია-ჩომახიძე;
ჩანთარია-ჩანთაძე;
ჩაგუნავა-ჩაგუნაძე;
ჩარგაზია-ჩარგეიშვილი;
ჩახუა-ჩახავა-ჩახვაძე;
ჩიგოგა-ჩიგოგიძე;
ჩინჩალაია-ჩინჩალაძე;
ჩიტია-ჩიტაძე-ჩიტიძე-ჩიტეიშვილი;
ჩილაჩავა-ჩლაჩიძე;
ჩოჩია-ჩოჩნიძე;
ჩიკორაია-ჩიკორიძე;
ჩოგოვაია-ჩოგოვაძე;
ჩომახია-ჩომახიძე-ჩომახიშვილი,
ჩიქობავა, ჩიქავა;
ჩიქვანი-ჩიქვინიძე;
ჩხაბელია-ჩხაბერიძე;
ჩხოლუა-ჩხობაძე;

ჩხეტია-ჩხეტიძე;
ჩხიკვაია-ჩხიკვაძე-ჩხიკვიშვილი;
ცაავა-ცააძე-ცაიშვილი;
ცაგურია-ცაგარეიშვილი;
ცეკვავა-ცეკვაშვილი;
წიქოლია, წიქორიძე-ციკორიძე;
ციბე-ციბაძე (VI ს.)
ციტაში-ციტაშვილი, წიტაიშვილი;
ცისკარავა-ცისკარაძე, ცისკარიძე;
ცირგაია-ჩირგაძე;
ცოტავა-ცოტაძე;
ცქიფურია-ცქიფურიშვილი;
ცქვიტარია-ცქვიტინიძე,
ცქვიტიშვილი;
ციცქორავა-ციცქიშვილი;
ცხომარია-ცხომარიძე;
ცხადაია-ცხადაძე, ცხადიაშვილი;
ცხვედიანი-ცხვედაძე;
ძაგანია-ძაგნიძე;
ძაძამია-ძაძამიძე;
ძიგუა-ძიგავა-ძაგნიძე;
ძიგვაშვილი, ძიგრაშვილი;
ძველაია-ძველაშვილი;
წიქვავა-წიქვაძე, წირქვალელიძე;
წიქორიძე;
წულუკიანი-წულუკიძე;
წულაია-წულაძე;
ჭანტურია-ჭანტურაია,
ჭანტურიძე, ჭანტურიშვილი;
ჭანბერია-ჭანბერიძე;
ჭანბა-ჭაბაშვილი;
ჭანია-ჭანიძე;
ჭაჭია-ჭაჭიაშვილი;
ჭედია-ჭედიშვილი;
ჭელია, ჭილაია-ჭელიძე-
ჭილაშვილი;
ჭილაია-ჭილაძე;
ჭილვარია-ჭილლაძე;
ჭიჭინავა-ჭიჭინაძე;
ჭითანავა-ჭითაშვილი;
ჭიაძე-ჯიაძე;
ჭუმბა-ჭუმბაძე;
ჭოლოკავა-ჭოლოკაძე;
ჭილვარია-ჭილლაძე;
ჭყონია-ჭყოიძე;
ჭყოლოფუა-ლაითაძე;
ხარბედია-ხარბეიშვილი;
ხარებავა-ხარაბაძე;
ხარძიანი-ხარძეიშვილი;
(ღვინიანიძე)
ხერგიანი – ხერხაძე;
ხარაზია-ხარზეიშვილი;
ხაზალია-ხაზარაძე;
ხარშილავა-ხარშილაძე;
ხაფავა-ხაბეიშვილი;
ხელაია, ხელიძე, ხელაძე,
ხელაშვილი;
ხეცია-ხეცაძე;
ხვისტანი-ხვინგია-ხვინეგია;
ხვედელიანი – ხვედელიძე;
ხინთბა-ხინთიბაძე;
ხონელია-ხონელიძე;
ხორავა-ხორაიშვილი;
ხუბულავა-ხუბულაშვილი;
ხუნჯუა-ხუნჯუაშვილი;
ხუხუნი-ხუხუა-ხუხუნეიშვილი,
ხუხუნაიშვილი;
ხურცია-ხურცილავა-ხურციძე;
ჯაბუა-ჯაბიძე;
ჯიმშერია-ჯიმშელეიშვილი;
ჯავახია – ჯავახაძე;

ჯანია-ჯანიაშვილი;
ჯარია-ჯარიაშვილი;
ჯამბურია-ჯამბურიძე;
ჯანჯულია-ჯანჯუხაძე;
ჯაჯანია-ჯაჯანიძე;
ჯახუა, ჯახველაძე, ჯახველიძე;
ჯიხვაშვილი – ჯიხვაძე;
ჯახუტაშვილი;
ჯელია-ჯელიძე;
ჯეჯელავა-ჯეჯელაშვილი;
ჯვართავა-ჯვარშეიშვილი;
ჯინჭარაძე-ჯინჭარაული;
ჯიხია-ჯიხაშვილი;
ჯილაია-ჯილაძე;
ჯიგანია–ჯიგანიძე;
ჯიქია-ჯიქიძე;
ჯიხაია-ჯიხაძე;
ჯინჯიხია-ჯინჯიხაძე;
ჯოლია-ჯელია-ჯელაძე;
ჯორჯიკია-ჯორჯაძე;
ჯოხია-ჯოხაძე, ჯოხიძე;
ჯიმუტია-ჯიმუშაძე;
ჯღამაია-ჯღამაძე, ჯაღმაიძე;
ჯღერია-ჯღერაძე.

ასე დართვია ზანურ-მეგრულ გვარებს ქართული გვარმაწარმოებელი „ძე“ და „შვილი“.

ასეა გაფორმებული 340 გვარსახელი.

თავი მეათე

გვარსახელთა ფუძეების განმარტებები

აბესაძეები დასახელებული არიან 1260 წ. საბუთში (რ. თოფჩიშვილი 1997, 43) ზეპირი გადმოცემით, რაც ზუგდიდის არქივის თანამშრომელმა ჩამაწერინა, აბესაძეების წინაპარი, იმერეთიდან მესისხლეობას ზუგდიდში გაქცევია და იქ აბსანძედ ჩაუწერიათ.

აბდალაძე წამოსდგა ზანური ტერმინ „აბდალისგან“, რაც გიჟი, ხელი და გადარეულია.

აბაზაძიდან წარმოიშვნენ: აბულეთისძენი, ძაგანიძენი, სურამელნი, ზედგინიძენი, ამილახვრები და გურამიშვილები (აბულაძენიც).

ალავიძე – წარმოსდგა ტერმინ „ალაბიდან“, რაც არშინს ნიშნავს და ტანის სიდაბლეზე მიუთითებს.

აზარა – ხევში დაზარალებულთა დამხმარე, „ონჩხორას“, ზარალის შემწირველია. აქედან აზარაშვილი (ონჩხორა ზანურად საძროხე შესაწირავია).

არზიანი – მეგრულად ჭკვიანი და აზრიანია.

ანჯა – მეგრულად ხის ერთგვარი ჯიშია, აქედან ანჯაფარია, ანჯაფარიძის გვარი. შესახლოა გაქცევას, გასაქანს ნიშნავდეს.

აფხაზური გვარი **ანჩაბაძე** (აჩბა), რაც ალუჩას, ე. ი. ტკბილს ნიშნავს და არა „ანცვას“ აფხაზურ ღმერთს, როგორც წერდა შალვა ინალ-იჰა. ის გააკრიტიკა ნ. ლომოურმა.

ბასილაიას გვარის ფუძე „ბასილაა“, ანუ ქონიანი, დიდი მჭადი.

ბრეგვაძე წმიდა ზანური, მეგრული გვარია. ის კომპოზიტია და შედგება „ბრე“ (ბევრი, მრავალი) და „გვა“ (გვარი, შთამომავლობა) და მრავალგვაროვანს, ბევრს ნიშნავს. წყაროებში იხსენიება 1515-35 წ. (რ. თოფჩიშვილი. 48).

„ბოგვერი“ – მეგრულად მცირე უროა, აქედან გვარი ბოგვერაძე.

„ბურჯი“ – ზანურად შფოთია. აქედან მოდის ზანურ-სვანური გვარები: **ბურჯალიანი, ბურჯაძე, ბურჯანაძე.**

„ბურჭუი“ – მეგრულად წალდია, აქედან **ბურჭულაძე** – წალდაძეა.

„ბჟა“ – მზეა მეგრულად. მას უკავშირდება ძველისძველი გვარსახელები: **აბჟანდაძე, ბჟალავა, ბჟაკაკავა, ბზიავა, ლობჟანიძე, ქაბზინაძე, ბზლილავა, ბზეკალავა** (ა. ფაილოძე – 2005 წ.).

„ბასკა“ – ვუკალ ბერიძის განმარტებით, თხელი ფიცარი, ან ნაფოტია ე. ი. დაბალ ფიცარზე გამოსადეგ-ასამაღლებელი. აქედან მოდის გვარი ბასკანჩალაძე... დაბალზე იტყვიან „დაბასკულიაო“.

ახლა გაბელაია – ამირეჯიბთა შესახებ.

დიდმოხელის, რამინ ამირეჯიბის 1451 წლის „შეწირულების“ წიგნით ირკვევა, რომ მათი წინაგვარი, გაბელიძე (გაბლიანი-გაბელაია) ყოფილა და არა ჩიჯავაძე, როგორც რ. თოფჩიშვილი მიიჩნევს (1997, 35).

იმერეთის მეფის, ბაგრატ III (1510-1548 წწ.) ერთი „სასისხლო სიგელი“, ასახელებს ამირეჯიბ გაბელიძეს, რაც ჩვენს მოსაზრებას ამაგრებს.

ამ საგვარეულოს, ერგნეთელი გლეხები: ლაღისძე და ჯოხაძე მცხეთის ტაძრისათვის შეუწირავს.

1488 წლის ერთი საბუთით, გაბელიძეს ფალავანდიშვილი მოუკლავს, რის გამოც, სოფ. ოქონა დაუდევს (ჩხართანაა. მეორე ჯავასთან. ა.ფ.).

გაბელიძენი, ახლაც ცხოვრობენ იმ ალაგას.

აბზიანიძის თავდაპირველი გვარი **აბჟანდაძე** (აბჟანდია) უნდა ყოფილიყო კ. გამსახურდია, მას ასახელებს ზვიად ერისთავის (იგივე ღოლობერიძის) მსახურად და აბზიანიძეების „სამშობლო“, სწორედ ჯიხაიშია.

გვარი **ბარამია** – ჯერ ბარამაძედ, შემდეგ ბარაბაძედ გადაკეთებულა. XVI ს. „საკათალიკოსო დავთარში“ ერთი მათგანი, ბარამაძედ არის ჩაწერილი.

ბოჭორიშვილთა წინაგვარი ოქროცვარიძე ყოფილა, რაც ოქრომჭედლის ხელობაზე მიუთითებს.

„ბუსკა“, კოლხურში პატარა და ღონიერი, მოჭიდავეა, აქედან **ბუსკივაძე და ბუსკანძე.**

ბაღდავა და ბაღდავაძე – ბაღდათს უკავშირდება.

ბებურიადან წარმოიშვნენ კახელი თავადები **ბებურიშვილები.** ისინი, ეტყობა თინათინ გურიელს მზითვში გაყოლილი აზნაურებია. ამაზე ზ. ჭუმბურიძეც წერს, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს, რომ მის ბავ-

შვობაში, ლიხაურის სიახლოვეს ცხოვრობდნენ: ბებური, გიორგი, ეტლია, ატატო და მაკა ბებურიები.

გახოკია ბალახის სახეა (ქართულად ცხენისკუდა), მისგან მოდის გახოკიძე.

„გოცა“ პატარაა ზანურად, აქედან გვარი გოცაძე.

გლურჯს ი. ქავთარაძე განმარტავს, როგორც გულცივს, უყურადღებოს, ჩვენი განმარტებით კი, გლურჯი, ზანურად უხეში და ტლანქია. აქედან მოდის გლურჯიძე.

გუჯაბიძეს ი. მაისურაძე განმარტავს როგორც ჯიშს და ჯილაგს, ეს კი მეგრულად, გულჩახვეული, გულღრძო, ბოლმიანია.

გორგილაძე მეგრული წარმოშობის გვარია. ის გაგრძელებულს, გრძელს ნიშნავს და მისი მსგავსია გორგოძე – რაც გორგალივით მსხვილს აღნიშნავს.

გოჯალი, დაბალი და მსხვილია, აქედანაა გოჯიაშვილი.

გენგიური წარმოდგება გენგერედან, ლენგერედან, ლონდრედან.

გოფოძე დასახელებულია XVI საუკუნის ხონის დავთარში, სამონასტრო გლეხად.

გოფონუა – ფონზე გამოსულს, ცხენისწყალზე გადმოსულს ნიშნავს. ასე ჩაიწერა ის გოფოძედ.

კოჩელაშვილი + გოჩელაშვილად ჩაუწერიათ 1850 წელს.

მეგრული „გური“ (გული) უზით ფუძეში შემდეგ გვარებს: გურალია, გურასაული, გურაბანიძე (გულბანი) გურეშიძე, გურასპაშვილი, ძიძიგური, გურასიძე.

გველებიანის და გველესიანის სვანურ, ძირძველ გვარებს ფუძეში, უზით გველი, რომელიც წარმართული ჩვეულების თანახმად, სახლში ჰყავდათ დარაჯად. ერქვა გველი-მიზირი. მასზე „მთვარის მოტაცებაში“ წერს კ. გამსახურდია.

სვანი გლოველები, რაჭიდან ჭიათურაში (ვაჭები) ჩამოსახლების შემდეგ ცერცვაძეებად ჩაწერეს.

დანგა, მეგრულად წვრილი, ლითონის ფულია (ფსომიარე, კირმანეული, დრაქმა, მარჩილი) დრაქმის ან მარჩილის ნახევარი. ამ ფულის მფლობელის, მსესხებ-გამსესხებლისგან მოდის გვარი დანგაძე.

დოლაქიძე წარმოდგა ზმნა „დოლაქონისგან“, რაც შემმოსავს, ჩამცმელს, ე.ი. მსახურს ნიშნავს.

დეისაძე XV ს. იხსენიება „დედისასძის“ ფორმით. ჩვენი აზრით, სოფ. გდეისის კოშკიდან არიან.

ეგრისელაშვილები იმერეთიდან ქვემო ქართლში, დმანისში გადასახლებულ ლორია-ლარაძეთა შთამომავლებია (იხილეთ ლარაძე).

ელანიძე წარმოსდგა ზმნა „ელანიდან“, რაც მეგრულად ელამია.

ეფრემიძე მცხეთის კარსანიდან გადასულა იმერეთში არაბობის დროს (რ. თოფჩიშვილი), თუმცა პროფესორმა თორნიკე ეფრემიძემ, მათი გვარი, ბაგრატიონთა ოსურ შტოს დაუკავშირა.

„თაკვი“ ზანურად გაიძვერა და თვალმაქცია. აქედან გვარი თაკვარელია, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სადაურობას, თაკვერელს ნიშნავდეს.

თაბუკაშვილი, თაბუნაძე, თაბუნიძე, თაბუაშვილი, წარმოსდგა ზმნა „თაბუნისაგან“, რაც ამხანაგი, ტოლი და თანასწორია.

თავაქარია – თავაქარაშვილის ფუძეა „თაუქარა“, ანუ თავქარიანი. ერთი მხატვარი და გადამწერი იყო ლევან II დადიანის კარზე (მამუკა). ის ხონელი, თავაქარია მდივანი უნდა ყოფილიყო.

„თულაძეებს“ ასახელებს იაკობ დეკანოზის „შენირულობის წიგნი“. ისინი შემდეგში თვალაძე, თვალავაძედ ჩასწერეს, ზოგან თულაძედ იწერებიან.

თეუზაიადან მოდის თევზაძის გვარი. „თეუზის“ ეტომოლოგია სარკვევია.

თიკანაძის გვარში, „თიკი“ იგივე ბიბილოა, ალბათ აცქვეტილი თმის გამო მიიღო ეს გვარი.

თორთლაძე წმიდა ზანური გვარია. ის ხმაურას, ჩუხჩუხას, ჩქარა მოლაპარაკეს, თართალიას ნიშნავს. აკი ქართლში გვაქვს მდინარე თორთლა. (თორთლაძენი თერჯოლის სიახლოვეს ცხოვრობენ).

იამანიძე პირველად „ამირან დარეჯანიანში“ იხსენება. „იამანი“ იგივე აქატი, ძვირფასი ქვაა. მეფის აზნაურები იყვნენ. სწორედ ბასილა და კვირიკა იამანიძეებს გამოატანა როსტომ, რაჭის ერისთავმა პამფლეტი მეფე სოლომონთან. არის ზანური ლექსი: „იამანიში თოლი გიღუ“. მათი სამკვიდრო იანეთი და გეგუთი იყო.

იჩქიტი–ძე უცბად მომფიქრებელის, ცქვიტის აღსანიშნავი ტერმინია.

აფიქსი „ინა“, ზანურში „იმას“ „სხვას“ ნიშნავს, აქედან მოდის გვარები: ინაკავაძე, ინანეიშვილი, ინაშვილი, იანტბელიძე, ინასარიძე, ინარიძე.

ქორეთის ეკლესიის XII ს. წარწერაში, იხსნება „ინასარაი“.

„კუტი“, „კუტალა“ – ძველებურად პატარაა. ბავშვს, სუხჩა-ხუნწში, გამიგონია „კუტას“ რომ ეძახდნენ. აკად. ვახტანგ ბერიძეს მოჰყავს ხელნაწერის ძველი მინაწერი: „იოანე გაცვეთილმან კუტალაით ღვინო მომართვა“. ამ პრეფიქსით არის ნაწარმოები: **კუტალია, კუტალაძე, კუტუბიძე, კუტივაძე.** „კუტი“ ძველებურად ინვალიდიცაა.

ფიზიკური ნაკლი, ანუ მეგრულად „კილი“ უზით ფუძეში გვარსახელებს: კილანავას, კილაძეს, კილავას, კილასონიას, კილასონიძეს, კილაბერიას.

კიღურაძე მიცვალებულის, ნამდვილად გარდაცვლილის შთამომავალია.

კალოიანები, საჯავახოში ტრაპიზონიდან ჩასახლდნენ, რადგან გამუსულმანება არ ისურვეს. კალო-იოანე, ტრაპიზონის მეფე იყო XIII ს-ში, ხოლო ესენი, სწორედ მისი შთამომავლებია, გვარი კი „კარგ იოანეს“ ნიშნავს (კომნენოსებია).

„კაკაჩია“ და კიკაჩეიშვილი წარმოსდგა ფუძე „კიკაჩე“-დან, რაც ვაზის ერთი ჯიშია, რომელიც ამათ მოუშენებიათ. „კაკა“ მეგრულად ღილია, ამ შემთხვევაში, „ჩე“, თეთრი ღილ-კილო. ეს გვარი ჯიხაიშში და ზუგდიდთან მკვიდრობს.

ქიაჩის ხატის გაძარცვის გამო, დავა ჰქონდათ შერგელაიებთან.

კაკულავა-კაკულაძეს, ფუძედ აქვს „კაკული, მეგრულად კვირისთავი. შესაძლოა, მათი წინაპარი მრთველი ან მქსოველი იყო.

„კაკაბა“ საცერია. **კაკუბავა – კაკაბაძეში** კი „მცირე ხმალიც“ იკითხება. ეს მესაცრეს ან მჭედლის აღსანიშნავი ტერმინია.

„კოტორი“ – რისიმე მცირე ნატეხი და ნამსხვრევია. აქედან მოდის ქართული გვარი **კოტორაშვილი.**

კიკნაძე, კუკნა-კიკნადან მოდის, რაც პატარას ნიშნავს. გ. ერისთავი მოსამართლეზე ამბობს: „ჩვენს სუდიასა, ა იმ კუკნასა.....“ო.

კიკუსგან – ასევე პატარას რომ ნიშნავს, მოდის **კიკვაძე, კიკვიძე, კიკუტაძე, კიკუაშვილი,** რაც კრუხის პალოს ქინძიბარჯღის სინონიმია.

კვიციანი-კვიცარიძე – წარმოსდგა „კვეცარასაგან“, რაც ყველის ამოსაყვანი, კვეთის მკეთებელ-დამყენებელი ყოფილა.

„კაპრაში“ მცენარე ჯონჯოლს ნიშნავს და აქედან გვარი, **კაპრაშიძე.**

კონტუა უნდა ყოფილიყო რუხაძეთა პირველგვარი, ხოლო შავტუხობის გამო რუხაძედ ჩაწერეს. მათი სამკვიდრო „კონტუათად“ დარჩა.

ჩახრუხაძე იყო თამარის მეხოტბე პოეტი, რომლის გვარის ფუძეში „ხ“ განვითარებულია.

კობეშავიძე – ზანური გვარია. „კობეშეა“ სწორედ კვახია. კობეშავიძის წინაპარი კვახივით მრგვალი ყოფილა. ხონში სამონასტრო გლეხები იყვნენ, ზემო იმერეთში აზნაურები.

კოზოლია – კოზოლიძეებმა სათავე დაუდეს ტყეშელაშვილ-ტყეშელიაძეთა გვარებს.

კელენჯერიძეს განმარტავენ, როგორც უხასიათოს, კუშტს, მიუდგომელს, უხიაკს.

კვანტრე-კვანტრიშვილი ძველად წარჩინებული ყოფილა. გიორგი VIII-ის 1463 წლის სიგელში ორალელიძედ იხსენიება.

„კირთვა მსახურება და მონებაა, კირთება კი ავის ქმნა, ხიმანი. ამას უკავშირდება კირტავა-კირთაძის გვარები.

მეგრული ფუძე კოჩი (კაცი) უზის ფუძეში: კოჩივარს, კოჩაძეს, კოჩიძეს, კოჩაშვილს, ჩქიმკოჩას, ჩქიმკოჩაიშვილს.

კუჭუხიძის ფუძე კუჭურიაა, რაც პატარას ნიშნავს.

კუტივაძე, კუტის, საპყარის, ინვალიდის შთამომავალია.

კუკავა და კუკარიძე, ზმნა კუკინს, ბუზღუნს, ჩივილს, დუდღუნს უკავშირდება.

კირკიტია – კირკიტაძე, ჩხიკინას, ჩხირკედელას, კირკიტას უკავშირდება.

კონჯარია, კანჯარაძე, კენჟერაძე – გარეულ ვირს უკავშირდება და ვირისებრ სიჯიუტეზე მიუთითებს.

ლორთქო ახალს, ნორჩს ნიშნავს, საიდანაც მოდის ლორთქიფანიძეთა გვარი.

ლოჩო – კოლხურად წყნარი და მშვიდია. აქედან მოდის ლოჩია – ლოჩოშვილთა გვარი.

ლალიანი, ლალაიანი, ლალაშვილი – უქნარას, ზარმაცს ნიშნავს.

ლილუა – საქსოვი ჯარას მომწყობი ხელოსანია, აქედან ლილუაშვილი.

ლაგაძე-ლაღიძე, „ლაგა“ ცხენის მოკლე აღვირია. წინაპარი ამის ხელოსანი ყოფილა.

ლაფაჩი – მეგრულად თავისუფალი და გაშინაურებულია.

ლარაძეების წინაპრები ლორიები უნდა ყოფილიყვნენ. ძველად დმანისთან დასახლებულან. დაუარსებიათ დიდი და პატარა ეგრისი, აუგიათ ციხე, საყდარი. XVIII ს. ეს სოფლები დაცლილა. პეტრე ლარაძე ირანში გაქცეულ თეიმურაზ ბატონიშვილს წაჰყოლია. მერე რუსეთში წავიდნენ. პეტრე ლარაძემ დაწერა „დილარიანი". ის 1837 წ. გარდაიცვალა. ლარაძეები ამათი გვარიდან მოდიან.

ასევე ზანური ენის არეალში ექცევა გვარები: **მამრაძე, მამრიკაშვილი, მამრიკიშვილი.**

ხონელი ლაითაძეების წინაგვარი ჭყოლოფუა რომ ყოფილა ამას „ხონის საყდრის დავთარი" ასაბუთებს. ჭყოლოფუა კი მეგრულად „ნანყალობევს" ნიშნავს.

მანაგაძეები, ისევე როგორც თაბუნ-თაბუკაშვილი, სწორს და თანაბარს ნიშნავს. მეგრელი იტყვის: „ანგის მანგი, თანგირე", ე.ი. „მსგავსი სწორს შეეფერებაო".

მაჩალაძის ფუძე, „მაჩალარი", ხელის შემშლელია.

1475 წლის ერთ „სასისხლო სიგელში" დასახელებულია მაღნარიძეები, გეგელიას ძის შვილები, ცხადი ხდება, რომ მათი წინაგვარი გეგელიაა (ს. მ. 1924 წ. 2. 21).

მაჭარაია, მაჭარაძე, მაჭავარიანი, მაჭარაშვილი, აჭარას უკავშირდება, მაგრამ „მაჭარალი" მეგრულად, მწერალი, მდივან-მწიგნობარია. იმერეთსა და ქართლში 8100 მაჭარაშვილი, 840 მაჭარაძე, 36 მაჭარიშვილია (ა. სილაგაძე, ა. თოდაძე, 1997, 135).

მაქაცარია-მაქაცარაშვილი 2005 წ. გამოცემაში, ჩვენ, ქაცარ-თიკანს და მწყემსობას დავუკავშირეთ. თუმცა „მაქაცარია" მეგრული ზმნაა და მისუსტებულს, მინატულს, დალეულს ნიშნავს.

მენაბდის წინაგვარი რომ საკანდელიაა, ამაზე ზევით იხილეთ.

მაწკეპლიძე – მეგრულად მოწკეპილი, კოხტად ჩაცმულია.

მოსინავა – მოსიავა, მოსაძე მებადურია. „მოსა", მეგრულად ბადეა, ამრიგად, ეს ტერმინი მებადურის აღმნიშვნელია, მოსია ჩამცმელიცაა.

მახვილაძე – მახვილს და ხმალს კი არა, „მა ხვილუას", ზანურად დალოცვილს ნიშნავს. მათ ქართლის მთიულეთში, აბისში ციხე ჰქონიათ.

მუჯირი – მეგრულად პურის მწე, მისი მოურავი, დარაჯი, მეკუჭნავეა.

„მიქელიო" შხამა სოკოა, აქედან მოდის **მიქელიანი, მიქელაია, მიქელაძე,** თუ არა და ეპონიმიდან.

„მარღია“ – სხვადასხვა ფერის თვალებიანია. აქედან მოდის გვარი მაღრაძე.

ვაჩნაძე და ვაჩეიშვილი – „არა თეთრს“, შავტუხას ნიშნავს, თუმცა მეგრულად „ვაჩინა“ მამრი ციკანია.

„მულურო“ მეგრულად „მადიანი“, ე. ი. კაი მჭამელია, აქედან მოდის გვარი მაღულარია.

„მურღვლიანი და მურღულია“, სპარსულად ერთგვარ ხოჭოს სახელს უკავშირდებაო (ი. მაისურაძე), რაც არ არის სწორი, რადგან ჭანეთში (ლაზეთი) არის მდინარე მურღული და მისი ხეობა, საიდანაც ეს გვარი გადმოსულა ეგრისში.

მამულია და მამულაძე სამშობლოს და პირად სახელს კი არ უკავშირდება. ის „მამულიას“ ანუ ყვინჩილას ნიშნავს, ასე შერქმევია გვარს მამლაყინწა, მოჩხუბარი, წკიპზე შემდგარი წინაპრის გამო.

მიზანდარი თევზის სახეობა, მაზანდარას უკავშირდება, მეთევზის სინონიმია. სპარსულად კი მწონავი–მემიზნეა.

მანდარია, ახლა ძირითადად ლეჩხუმში მკვიდრობს, ძირძველი ეგრისელი აზნაურის საგვარეულოა. მათი წინანდელი სამკვიდროა ჭიათურას მოშორებული სოფელი მანდაეთი. „ომანდარია“ ჩქარა სვლაა მეგრულად. VIII ს. ეს გვარი უფრო დასავლეთით გადასახლებულა (ისე შორს ცხოვრობდნენ ჭიათურიდან, სწორედ ჩქარი სვლა სჭირდებოდათ).

მარღანიას გვარი, ჩვენი აზრით, მარღიას, სხვადასხვა ფერის თვალებს უკავშირდება.

მურუსიძეს წინაგვარი, მოროშიძე უნდა ყოფილიყო. ამ გვარს, გოდოგნის ეკლესიის წარწერა ახსენებს, მოროსიძეს ასახელებს ქუთაისის საყდრის დავთარიც. საყოველთაოდაა ცნობილი დიდი მამულიშვილის იოანე მარუშიძის ღვაწლი.

უკვე ნარზე დაწყებული გვარებიდან:

ნარჩომაშვილი წარმოშობით ზანური გვარია. „ნარჩო“, მეგრულად ფეხის დიდი ტერფია, აქედან ნარჩომაშვილი დიდტერფიანია.

ნატარიძე, აჭარაში რომ მკვიდრებს, მეგრულფუძიანი გვარსახელია. „ნატარი“ მეგრულად ნაპრალია. ხრამთან, ნაპრალთან, ზვავსაშიშ ადგილზე ცხოვრების გამო მიუღია გვარი.

ნიკურაძე, სამტრედიაში და კულაშში რომ მკვიდრობს, კულაშის ჯვარცმის ეკლესიის ფრესკაზე „ნუკრაძედ“ იხსენიება. მათი ერთი შტო, კანდელაკი გახდა. „ნიკურა“, მეგრულად თეთრშუბლაა, ისე როგორც საღარა, გამოდის სვანური **ნიგურიანიდან.**

ნინუ მეგრულად ენაა, აქედან მიუღია **ნინუას** გვარს, ენასარსალა წინაპრის მეტსახელი გვარად.

ნიკლიკაძე და ლიკლიკაძე ერთიდაიგივე გვარია. მას ასახელებს „ქუთაისის ღვთისმშობლის საყდრის დავთარი“. მათაც ენაჭარტალა წინაპრისგან მიუღიათ გვარსახელი.

ნარსია – მეგრული გვარია, „ნარსი“ გამოფიტული, გამოსუსტებულია.

ნასიძე – წარმოშობილია ნასიდან, რაც შეუხედავს ნიშნავს. რუსთველი ამბობს „თვალად ნასი“-ო.

ნიქაცაძე და ნიქუციძე წარმომდგარია მეგრული ტერმინ „ნიქიციდან“, რაც ნისკარტს ნიშნავს. ე. ი. გრძელცხვირას სინონიმია.

ორჯონია და ორჯონიკიძე ტერმინ „ორჯს“ უკავშირდება, რაც მროწლეს პატრონს, ხვადაგის მფლობელს ნიშნავს. ეს აზნაურული გვარი ღორეშაში მკვიდრობს.

„ო“ პრეფიქსი მეგრულში ისეთსავე როლს ასრულებს, როგორსაც „სა“ ქართულში. ესენია: **ობგაიძე, ოდილაძე, ოდიკაძე, ოდილავაძე, ოდელაძე, ოდიშვილი, ომანაძე, ომერაძე.**

გვარი **ოსაძე** ოსს (ალანი) კი არა, ეპონიმ ოსიას (იოსებს) უკავშირდება. VIII ს. ქართლიდან ეგრისში გადაბარგდნენ.

ოჩიგავა მეგრულ „ოჩიგას“ უკავშირდება, რაც ვაცი და ბოტია.

პაჭკორია მეგრული გვარი – კომპოზიტია. ის მღვდლის ყმას ნიშნავს. პაპა ხომ მეგრულად მღვდელია.

როდონაია წარმოსდგა როდინისგან, სანაყინისგან, ნაცემისგან...

ჭილაია, ჭილაძე წარმოსდგა რჭილ, ჭილისგან და მცენარეს უკავშირდება. ისინი VIII ს. ჭილაანთკარიდან (ქართლი) გადმოვიდნენ.

ბევრი პიროვნება ქილიკობს, **სააკაძე-სააკიანის** „სომხობაზე“. შეიძლება ცალკეული გასომხდა, მღვდელიც გახდა და „ტერ სააკა“ დაარქვეს, მაგრამ ფაქტია, რომ „საკი“, გნებავთ „სააკი“ მეგრულად ტომარაა. ესე იგი ტანსავსე, გატიკნილ-გავსებული, ანუ სრული ტანის აღსანიშნავი ტერმინია, ის მეგრულია და არა სომხური.

საგანელიძე, საგანიძე, საგინაშვილი, საგინაძე წმინდა მეგრულფუძიანი ტერმინია, რადგან, „საგანი“ მეგრულად არის ისარი. ისინი რაჭაში, კახეთში და აჭარაში მკვიდრობენ. წინაპარი ისრის მთლელი ოსტატი იქნებოდა. მისი მსგავსია ჯოლბორდი. შემორჩა ნარჩინებულის, იანქო საგინაშვილის სიგელი, ტფილისის საყდრისადმი. რაღაც დანაშაული ჩაუდენია და თავისი სასახლე (დარბაზი). მიტროპოლიტისთვის დაუთმია. საბუთი 1536 წლით თარიღდება (ს. კაკაბაძე, „ისტორიული საბუთები“, III 1913, 60).

სანაია, სანაძე, სანდაძე, სანაშვილი, სანგულია, სანდუხაძე, სანიკიანი, სანიკიძე, სანიშვილი, სანიძე, სანოიანი, სანოძე ათასობითაა საქართველოში. მათი წარმოშობის არე ჭანეთია, პავლე ინგოროყვა წერს, რომ სანები, პონტოს მთებში მცხოვრები ტომი, ე.ი. ჭანებია (ჰენიოხი, სანიხი, სანიგი), ეს ტერმინები გვიჩვენებს, რომ ისინი მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდნენ. რიზეს ოლქში მცხოვებ ამ ხალხს, ბერძნები ლაზებს ეძახდნენ, შედეგში ამ ოლქს კლარჯეთი ეწოდა. (იხილეთ „გიორგი მერჩული“).

სარჯველაძე – სარივით სწორს და ძველს ნიშნავს. ჯვეი-ჯვეში, მეგრულად ძველია.

„ტორონჯი“ მეგრულად მტრედია, აქედან გვარი **ტორონჯაძე.**

ქორეთის ეკლესიის წარწერაში, გვარი **ქამუშაძე,** ქამფუშაძის, ფორმითაა მიწერილი.

ძაძა უხეში, მძიმე, შავი სამოსია, მგლოვიარეთათვის შეკერილი. აქედან მოდის გვარი **ძაძამია.**

ძოწეული სამეფო სამოსი, პორფირია, შინდისფერი და მძიმე, რომლის მკერავი **ძოწენიძედ** ჩაუწერიათ.

ჭელიძეები, იმერეთში, რაჭის ჭელია – ღელიდან გადმოვიდნენ.

XV ს-ში მეფის მოლარეს, ტაზუ ფულარიანს, ციხისთავ იაკობიძის ძმა შემოკვდომია. „სისხლის ფასი“ ვერ გადაუხდია და იმერეთში გადმოხვეწილი, გუბში, წულუკიძის მამულში დამკვიდრებულა. მისი ვაჟის, მოსეს 11 ვაჟი, მოსეშვილებად ჩაწერილან. მაშინ გუბის ბატონი წულუკიძე ყოფილა (ა. ფ. 2005 წ.).

იმერელი **ჩინჩალაძის** წინაგვარი **ჩინჩალაია** ყოფილა. 1885 წ. ერთ საბუთში აღნიშნულია: „ვწერ ერთი მეგრელი ჩინჩალაია“ (ე. თავბერიძე. 2016).

„საღარა“ – მეგრულად თეთშუბლა ცხენია, ქერა ადამანია, თეთრსახაა („საღარა ცხენითა“...) გვარი „საღისძე“, საღირისძის ფორმით იხსენიება XII ს. წარჩინებულთა შორის (ვარდანიძენი, საღირისძენი, ამანელისძენი, კახაბერისძენი), რომლებიც მონაწილეობდნენ ბაგრატიონთა კოორონაციაში. აქედან მოდის **საღლიანი, საღარაია, საღარეიშვილი, საღირაშვილი, საღინაძე.**

სარგონ ასურელმა (ძვ. წ.-ით 722-705) კაპადოკია-ჭანეთში ჩაასახლა შავტუხა სირიელები, მალე ისინი ქართველებში აირივნენ და „ლევკო“ (თეთრი) სირიელები შეერქვათ. მათგან მოდის: **სირაძე, სირია, სირბილაძე, სირდაძე...**

სიჭინავას გვარში, „სი“ შენს ნიშნავს, „ჭინა“ წნელს, ე. ი. წნელივით სუსტს და მოქნილს.

სეპერიძე, სეფერიძეც მეგრული ფუძითაა ნაწარმოები. „სეფერა“ მეგრულად ერთობ მაღალია.

სიგუნავა და სიგუნაძეს ფუძეში „სიგუა“, მაგრა ჭამა, გაძღომა, გამოსიგვაა.

სხილაძეში ფუძე, „სხილი“, ტოლი და ფარდია. ზოგან მსხილაძედ ჩაეწერნენ, ცხოვრობენ ქვემო იმერეთში.

სარალიძე წარმომდგარია მეგრულ ზმნა „სარალიშიდან“, რაც საბრალოს ნიშნავს.

სოფიას ასახელებს ქრისტეფორე კასტელის „ალბომი და ცნობები საქართველოს შესახებ“. სოფუა მეგრულად წეწვა და გლეჯვაა.

სოხაძე, სოხაშვილი, სოხანეიშვილი, სოხვაძე – მწვანე ხახვს, სოხს უკავშირდება, შესაძლოა მებოსტნეობის გამო.

ტარკილი აფხაზეთის „ლიხნის დოკუმენტის“ ერთი ავტორი რომაა, წარმოშობით მდაბიორია „ტარკილი“, მეგრულად ტიტველია, „გოტარკილი“ კი გახდილი, გაშიშვლებული, ე. ი. ის ღატაკის სინონიმია.

1651 წ. ერთი საბუთი ასახელებს კათოლიკოსის სახლთუხუცესს პაპუა ქარციძეს. ეს გვარი კი ძალზე ჰგავს გურიაში გავრცელებულ გვარს ქარცივაძეს.

ფესტვენიძის გვარის ფუძე ფესტ – „ფუსტია“, ის ხეთურ-ჭანურში და სვანურში ბატონს ნიშნავს.

„სვინტრი“ – მცენარეა, საიდანაც წარმოსდგა გვარები **სვინტრაძე და სვინტრიძე.**

გურული აზნაურები, **ტუსკიები**, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა XVII ს-ში ხონის ახლო, საწულუკიძოში ჩაასახლა. იმერეთის მეფის და თავად ჩხეიძის ყოფილ მამულში. აქ ცხოვრობდნენ: ავალიანები, ბულაშვილები, შათირიშვილები (კათოლიკოსის ყმები).

მეგრულ-ზანურ „უჩას“ (შავგვრემანი, შავტუხა) უკავშირდება ზანური გვარები: **უჩავა, უჩაძე, უჩიძე, დუდუჩავა, უჩანეიშვილი.**

ილია მაისურაძე გვარ **უჯმაჯურიძეს** განმარტავს, როგორც ულაზათო, უშნოს (გვ. 161) სინამდვილეში, ეს გვარსახელი, კომპოზიტია და ორი ნაწილისაგან შედგება. ის, ზანურად „უძმო“ და „ურჯულოა“.

ქოჩაკიძის გვარსახელის განმარტებისას, ი. მაისურაძე იშველიებს იოანე ბატონიშვილის მცდარ მოსაზრებას. ისეთსავეს, როგორიცაა ღოლობერიძის ღულულიხანიდან წარმოშობის შესახებ...

ქოჩაკიძის პირველგვარი ქოჩა და ქოჩაკიაა, რაც ზანურად დაბალს ნიშნავს. ეს გვარი, ილორის საყდრის წარწერაში „ქოჩალკაის“ ფორმით იხსენიება, რაც XII ს. ძეგლია.

ქორაია – ქორიძე ქორს კი არა, ზანურად ვრცელ დარბაზს, მის მფლობელს უკავშირდება. საჯავახოს ვაზისუბანს ძველად ქორეისუბანი (ქორაიების უბანი) ერქვა.

ძველად, **უშვერიძე**, საკმაოდ სულმოთქმულად ნაცხოვრება, რასაც ასაბუთებს ზარათის ეკლესიის ფასადზე ახლახან ნაპოვნი წარწერა, რაც გიორგი ბოჭორიძეს, გასული საუკუნის 20-იან წლებში ვერ შეუნიშნავს. „უშვერი“ აუგი, არასაკადრისი, ბილწი ქმედებაა.

უშვერიძის მსგავსი გვარებია: **უმეცაძე, უზნაძე, ურატაძე, უთმელიძე,** (არუთმელიძე, ურთმელიძე, იხსენიება XVII ს. გურიელის საბუთში („მამუკა არუთმელიძეს სასისხლო საქმე შემთხვევია“).

ღვინჯა – მსხალი, ძალიან მწიფე, გულჩამუქებული ხილია. აქედან მოდის გვარი **ღვინჯილია.**

ფალქოზიძე, მოიხსენიება XIII საუკუნეში „მატიანე სვანეთის კრებისაი“-ში. პროფ. რ. თოფჩიშვილი სვამს კითხვას, ხომ არ არიან ფალქოზიძეთა შთამომავალნი ფარქოსაძენი?

შათირი – მალემსრბოლი, ფაიქია, აქედან მივიღეთ შათირიშვილი.

ცქიტა, ცქიტო, – რქაწვრილა საქონელია. ერთხელ მწყემსი შემეკითხა: „პირნათო, რქაცქიტო უშობელი ხომ არ გინახავსო?“ ცქვიტი და ცქიტიდან მოდის ცქიტიშვილების გვარი.

შინჯიკაშვილის გვარი, მარტყოფში რომ მკვიდრობდა, მეგრულია (შემორჩენილია მათი საბრძოლო კოშკი). ერთი მათგანი, იბრაგიმ ბეგი, გადაუდგა ალი ბეგს, ეგვიპტის ქართველ მმართველს.

„შინჯა“ მეგრულად სიძეა. ვფიქრობთ ჩასიძებული მეგრელის გამო მიიღეს გვარი **შინჯიკაშვილი**, რაც „კაი სიძის შვილს“ ნიშნავს.

ჩემიშიძე დასახელებულია ფარცხნალის ეკლესიის წარწერაში (გ. ბოჭორიძე, 1995, 161), ეს უთუოდ „შით“ ნაწარმოები ჭანური გვარია.

ხაჭაპურიძეები – წარმოშობით ჭანები, ხაჭუბერაძეებია... მათი ცხოვრების არე შიგა ქართლი (ცხივნალი) იყო, მეორე ნაწილი წყალტუბოს და ხონის სიახლოვეს მკვიდრობდა.

ძიძიგურების შესახებ 2005 წ. გამოცემულ წიგნში, გამოთქმულ მოსაზრებას ვამაგრებთ იმ ფაქტით, რომ ისინი „ძიძის+გურები“, ანუ ძიძის გულები და წარჩინებულნი იყვნენ. ჩხარში მცხოვრები, აზნაური ძიძიგურები, ძიძიშვილებად ჩაეწერნენ XIX ს. პირველ ნახევარში. მათი ყმები იყვნენ: მეგრელიშვილები და მჭედლიშვილი.

მიმაჩნია, რომ ჭილაძეთა და ჩიქოვან-ლიპარტიანთა ომისას, ისინი სამკვიდროს გაეცალნენ (ცხოვრობენ სიმონეთში, ხუნწში, მათხოჯში).

„ღვალა“ – სიმდიდრე და დოვლათია. აქედან დოვლათის, მამულის მქონე ღვალაძეა (მეგრულად).

„ცინცი“ – მეგრულ-გურულ კილოზე ჩქარს, ცეტს, დაუდეგარს ნიშნავს. აქედან **ცინცაძე** და **ცინცაბაძე**.

ჭიჭინაძე – მეგრულად პატარას ნიშნავს, ე.ი. ის „პატარკაციშვილია“.

ნითელს, ღაჟღაჟას, რიჟას უკავშირდება კოლხური გვარები: **ჭითავა, ჭითანავა, ჩიტაძე, ჩიტია, ჩიტეიშვილი, ჩიტიშვილი.**

ხინჯს – გულში ჩარჩენილ ბოლმას უკავშირდება: ხიჯავა, ხიჯაკაშვილი, ხინჯიკაშვილი, ისე კი ხინჯი, მეგრულად ხიდიცაა.

ხომერიკი – ძველი, მეგრული დიალექტით მჭლეს, მცირე მჭამელს ნიშნავს. მისი მსგავსია **ხომაშურიძე**.

ხოჯი – მეგრულად ხარია. მას უკავშირდება გვარები: **ხოჯავა, ხოჯავაძე, ხოჯენაშვილი, ხოჯელანი.**

ხულორდავა – ხულოში ოდესღაც მცხოვრებს, იქ ნამყოფს ნიშნავს.

ხუჯაძე – მეგრულად მხარბეჭიანს, ბრგეს ნიშნავს. აკი მხარსაკიდს ხურჯინი, ჰქვია.

შავლიანი და შავლაძენი, იხსენიებიან IX ს. ეგრისის მთავრებად.

861-868 წლებში მეფის ტახტიც დაიჭირეს. (დაწვრილებით იხილეთ 2005 წ. ჩვენი ნაშრომი).

გორდელმა აზნაურებმა ჩიქვანებმა, 1670-იან წლებში ლეჩხუმის მოურავობა, თავადის ტიტული – ლიპარტიანობა მიიღეს და ენერგიულად დაერივნენ მოწინააღმდეგე, ძირძველ თავადებს. ამის გამო, მიქაძეები ჯიხაიშში, ღოღობერიძეებს შეეხიზნენ, მათი ნაწილი ლეჩხუმში ჩაასახლეს. ესენია: მიქაუტაძე, მიქატაძე, მიქაუტიძე.

ჭოხონელიძე რთული აგებულების გვარ-სახელია. ჭო აჭარულ კილოზე ვაჟს აღნიშნავს, ხონე კი სოფელია, „ელ" სადაურობის მანარმოებელი აფიქსი. ამრიგად ის ხონელ ვაჟს ნიშნავს...

„ჭიჭედან" (მეგრულად პატარა) ნაწარმოებია ჭიჭინავა-ჭიჭინაძე და სახელი ჭიჭიკო.

ჯაჭვლიანები სვანი, ჭის მთხრელი ხელოსნები ყოფილან, შემდეგ ეგრისში დამკვიდრებულთ გვარი ჭაიად შეცვლიათ, ქართიზაციის პროცესში კი ჭეიშვილებად ჩაწერილან.

ჯინჭარაძის გვარი – ჯინჯი+ჭანის კომპოზიტია და ძირით ჭანის ძეს ნიშნავს.

ჯიშკარიანის წინაგვარი რიჩგვიანი უნდა ყოფილიყო და დადეშქელიანებმა გამოდევნეს სვანეთიდან. ზოგი მათ, დადეშქელიანებად მიიჩნევს, რაც არადამაჯერებლად მიმაჩნია.

ქართლში მცხოვრები „ჯოლერდიშვილები" წარმოშობით მეგრელებია, მათი გვარის ფუძეში „ჯოლორი" – ძაღლი ზის.

ჯღირაძე – იგივე „ჯგირის". – კარგის შთამომავალია.

სამწუხაროდ, წინა გამოცემაში არ მოხვდნენ: ჯელია, ჯოლია, ჯვარშეიშვილი, ჯაბუა-ჯაბიძე, ჯიხვაშვილი, ჯულუხაძე, ჯულუხიძე ჯულაყიძე, ჯურხაძე.

თავი მეთერთმეტე

ზანური გვარსახელები

ა) სადაურობის აღსანიშნავი გვარები

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ავტოხთონური, ესე იგი – ქართული (მეგრულ-ჭანური, სვანური, ქართული და აფხაზურია). ათობით გვარსახელის ფუძის შინაარსის გახსნა, სადაურობის აღსანიშნავი „ელ“ და „არ“ აფიქსებითაა ნაწარმოები და ამხელს, თუ საიდან არის წარმოშობილი ეს გვარი.

ამ შემთხვევაში, გვარების ფუძეს უნდა დავუკვირდეთ და მივუსადაგოთ ტოპონიმი.

პროფესორი ზ. ჭუმბურიძე ასახელებს ასეთ 35-ს ი. მაისურაძე კი ოცს.

ჩვენ საკმაო დრო შევალიეთ სადაურობის აღმნიშვნელი გვარების დადგენას. მათ შორის:

ადანაია – ადანადან (თურქეთშია);

ამაღლობელი – ამაღლება (ვანის რ-ნი);

არჯევანიძე – არჯევანის ქედი ქართლში;

აჭაია, აჭიშვილი, აჭაიძე – აჭარა;

აბდუშელიშვილი – აბიდოსი (მცირე აზია);

აცანელიძე – აცანა (გურია);

ამაშუკელი – ამაშუკეთი (ხარაგაულის რ-ნი);

ამბროლიანი – ამბროლაური;

ბათუმაშვილი – ბათუმი;

ბანძავა, ბანძელაძე – ბანძა (მარტ. რ-ნი);

ბაღდავა – ბაღდავაძე – ბაღდათი;

ბალდავა – ბალდა (მარტვილის რ-ნი);

ბარელიძე – ბარი (საჯავახო, სამტრ. რ-ნი);

ბაგათელია – ბაგიათი (ქართლშია);

ბახტაძე, ბახტურიძე, ბახტუა, ბახტუაშვილი, ნაბახტეველი – ნაბახტევი (ხაშურის რ-ნი);

ბორჩხიძე – ბორჩხა (კლარჯეთი);

გლონისთავიძე – გელოვანი (გლოლა, ონის რ-ნი);
გოგმეჩაძე, გოგმაჩაძე – გოგმეჩური (აჭარა);
გოგნიაშვილი, გოგნაძე, გოგელია, გოგნიძე, გოგნელია – გოგნი (ოკრიბა);
გოგებაშვილი – გოგიუბა (სამცხე);
გოდერიძე – გოდრი (ჭანეთი);
გოკიელი – გოკიო (ჯავახეთი);
გორდაძე, გორდულაძე, გორდელაძე, გორდელავა, გორდელი – გორდი (ხონის რ-ნი);
გრიგოლია – გრიგოლეთი (გურია, ლანჩხუთი);
გუბელაძე, გუბელიძე, გუბელაშვილი – გუბი (ხონის რ-ნი);
გუგუნავა – გუგუნაური (სამცხე);
გუდავა, გუდავაძე, გუდაძე – გუდასხევი, გორი;
გუგუტიანთკარი – გუგუტიძე;
დახუნდარიძე – ლახუნდარა (ხარაგაულის რ-ნი);
დეისაძე – გდეისი (ხარაგაულის რ-ნი);
დეკანიძე, დეკანოიძე, დეკანოსიძე – დეკანი (ხარაგაულის რ-ნი);
ელბაქიძე – ელბაქიანთკარი (ქარელი);
ვანაძე, ვანიძე – ვანი (ახალც. რ-ნი);
ვარდოსანიძე – ვარდოსანი (კლარჯეთი);
ვახანია, ვახანელი – ვახანი (ხარაგ. რ-ნი);
კავთელაშვილი – კავთისხევი (ქართლში);
ზოდელავა – ზოდი;
თაკვარელია – თაკვერი;
ინწკირველი – ინწკირი (აჭარა);
კარალია – კარალეთი (გორი);
იდაძე – იდლეთი (გორი);
კავთელაშვილი, კავთელაძე – კავთისხევი (ქართლი);
კარბელაშვილი – კარბი (ქართლში);
კალმახელიძე – კალმახი (ტაო);
კარსანიძე – კარსანი (მცხეთა);
კახნიაშვილი – კახნიაური (თერჯოლა);
კვერნაძე – კვერნაქის ქედი (ქართლი);
კვერელიძე, კვერელაძე, კვერხელიძე (ლეჩხუმი);
კრიხელიძე – კრიხი (რაჭა);

კანთელაძე – კოთელია – სამცხე;
კალაძე – კალა (მესტია);
კისკეიძე – კისკიმი (სამცხე);
კირჩხელი – კირცხი (ჭანეთში, კინჩხა, ხონის რ-ნი);
კოპლატაძე, კოპლაძე – კოპლატი (ჭანეთშია);
კოროშინაძე – კორუაშენი (ჭანეთშია);
კუბლაშვილი – კუებლევი (არგვეთი);
კუხალაშვილი, კუხალეიშვილი, კუხელია, კუხიანიძე, კუხელაშვილი, კუხილავა, ქუხილავა – კუხი (ხონის რ-ნი);
ლასურიძე – ლასურიაში (ცაგერის რ-ნი);
ლაფერაძე – ლაფეთი (ოკრიბა);
ლატარია – ლატალი – სვანეთი;
ლაშხია, ლაშხი, ლაშხორიძე, მოლაშხია – ლაშხეთი (ტყიბულის რ-ნი);
ლემონჯავა – მენჯი (სენაკის რ-ნი);
ლეჟავა – ლაჟეთი ან ჟონეთი (წყ. რ-ნი);
ლომსიანიძე, ლომსაძე – ლომსიათხევი (ბაღდათის რ-ნი);
მანჯგალაძე – ჯგალი (სამეგრელო);
მანველაშვილი, მანველაძე – მანავი (კახეთი);
მანდარია-მანდაეთი (ჭიათურის რ-ნი);
მარანელი – მარანი (აბაშის რ-ნი);
მაჩიტიძე – მაჩიტაური (არგვეთი);
მახურაძე – მახურა (ლეჩხუმი);
მელაძე, მელია, მელიავა, მელუა – მელიათი ჭანეთშია;
მერკვილაძე – რკვია (ჭიათურის რ-ნი);
მეიფარიანი – იფარი (მესტია);
მეძველია-ნეძველი (ქართლი);
მურღულია – მურღული – ჭანეთშია;
მინჯია, მინჯორაია – მენჯი;
მუმლაანთკარი – მუმღაძენი (გორი);
მუხაძე – მუხისკარი (ოლთისთანაა);
მუხურაძე – მუხურა (ოკრიბა);
ნახტაგენაშვილი – ნასტაკისი (მცხეთა);
ნასიძე – ნასიძე (სპერი);
ნოღაიდელი – ნოღა, ნოღაიდი (ჭანეთი);
ოდიკაძე – ოდიკი (თორთუმთან);
ოკრებლიძე – ოკრიბა;

ოდიშელიძე, ოდიშელი-ოდიში;
ორბელიძე – ორბელი (ცაგერის რ-ნი);
ორჯონიკიძე – ორჯონი (სამცხე);
ოტოლაძე – ტოლა (რაჭა);
ოშხერელი – ოშხერიდან;
ოყრეშიძე – ოყურეში (ლეჩხუმი);
ოცხელი – ოცხე (სამცხე);
ონიანი – ონი;
პაქსაშვილი, პაქსაძე – პაქსაძეები (აჭარა);
სავანელი – სავანე (საჩხერის რ-ნი);
საკანდელია, საკანდელიძე – სკანდა (თერჯოლის რ-ნი);
სარმანიშვილი – სარმანიანთკარი (ხაშური);
სებისკვერიძე – სებისკარი (ქართლშია);
სეფერთელაძე – საფარეთი (რაჭა);
სვირავა – სვირი (ზესტ. რ-ნი);
სიმსივე – სამსივის ქედი (კლარჯეთშია);
სტვილია – აფსტვილა (აფხაზეთი);
ტერელაძე – ტერჩოული (სამტრედია);
ტორაძე – ტორასხევი (ქართლი);
ურატაძე – ურეტი (ჭანეთი);
ფერსელაძე, ფერსელიძე – ფერსათი (ბაღდათის რ-ნი);
ფირცხალავა, ფირცხალაიშვილი, ფირცხალაია, ფირცხელიანი – ფირცხა (ჭანეთში);
ფორჩხაძე, ფორჩხიძე – ფორჩხა (კლარჯეთი);
ფოთელაძე, ფოთელიძე – ფოთი;
ფოცხვერია, ფოცხორაია – ფოცხო (სენაკის რ-ნი);
ქანდა – ქანთარია, ქანდარაშვილი (მცხეთა);
ქარასანიძე, ქარსანიძე, ქაროსანიძე – ქარსანი (კლარჯეთი);
ქედელიძე – ქედა (აჭარა);
ქელბაქიანი – ქულბაქი (ლეჩხუმი);
ქემერტელიძე – ქემერტი (შიგა ქართლი);
ქვათელაძე – ქვაითი (მარტვილის რ-ნი);
ქუტურუა – ქუტირი (ხონის რ-ნი);
ქორიძე – ქორეთი (საჩხერის რ-ნი);

ღანირეიშვილი – ღანირი (სამტ. რ-ნი);
ღოღელიანი – ღოღა (გორის რ-ნი);
ღურჯია – ღურძაული (აფხაზეთი);
ღურჭუმელია, ღურჭუმელიძე, ღორჯომელიძე – ღორჯომი (აჭარა);
შალიკიანი – შალიკიანი (დუშეთი);
ჩიხორია – ჩიხორი (ხარაგაულის რ-ნი);
ჩიხრაძე, ჩიხლაძე, – ჩიხა (საჩხერის რ-ნი);
ჩომახია, ჩომახიშვილი, ჩომახიძე, – შომახეთი, (რაჭა);
ჩოხარაძე – ჩოხათი (გურია);
ჩუნეშელიძე – ჩუნეში (წყალტ. რ-ნი);
ციცაგი – ციცაგიანთკარი (ქართლი);
ციხისელი – ციხისი (ქართლი);
ცუცქირიძე – ციცქიური (ხარაგაულის რ-ნი);
ცხომარია, ცხომელიძე – ცხუმი (სოხუმი);
ცხვედიანი – ცხვედიანი (დუშეთი);
ცხუკურელიძე – ცხუნკური (წყალტ. რ-ნი);
წეველიძე – წევა (ზესტ. რ-ნი);
წერეთელი – წერეფთა (კლარჯეთშია); წერეთი – ქართლში;
წიქვაძე, წირქვაძე – წირქვალი (ქართლი-ახალგორი);
წივწივაძე – წივწივა (ხაშურის რ-ნი);
წინწკალაძე, წინწკილაძე – წინწკილა (ოკრიბა);
ჭელიძე – ჭელიში (სვანეთშია); ჭელია – ღელე – რაჭაში;
ხალვაში – ხალვაში (ჭანეთში);
ხაჟალია – ხაუჟელი (სამეგრელო);
ხიხაძე, ხიხალიშვილი – ხიხა (აჭარა);
ხოფერია – ხოფა-ჭანეთი;
ხუნწარია – ხუნწელია – ხუნწი;
ხულორდავა – ხულო (აჭარა);
ხეთერელიძე – (ხეთა, ხობის რ-ნი);
ჯალალანია, ჯალალონია – ჯალაგონი (გურია);
ჯოხია, ჯოხაძე, ჯოხიძე – ჯოხისი (გორის რ-ნი);
ჯანხოთელი–„ჯანხოში“ (ასპინძაშია);

კახელი წარჩინებული არიში (ანი) ჭანური არეში (ძიდან) წარმომდგარი გვარია და ისინი VIII ს-ში უნდა დამკიდრებულიყვნენ, რადგან XII ს. ცნობით, უკვე იქ ცხოვრობდნენ.

კახელი ჯიბღაშვილები, უთუოდ ჯიბუხაიათა შთამომავლებია.

იოსელიანები, მარტყოფში ჩაუსახლებიათ (ერთი XX ს. ირანში, ხანის პატივს ფლობდა).

უნდილიები რიგითი აზნაურები იყვნენ. კახეთში დამკვიდრების შემდეგ, ირანში წაუყვანიათ. ალავერდი ხან უნდილაძე, აქტიურად მონაწილეობდა შაჰ-აბასის სახმედრო რეფორმაში, იყო პირველი ყულარაღასი (გვარდიის სარდალი). ააგო დიდი ხიდი ისპაჰანში. ამის შვილები: იმამყული ხანი შირაზის, დაუთ ხანი, განჯის ბეგლარბეგი იყო. მათ აქებს თეიმურაზ I („წამება ქეთევან დედოფლისა“).

დარჩიები ლევან მეფეს და თინათინ დედოფალს დარჩიეთში ჩაუსახლებიათ.

კარდილაძე, მეგრულად მექვაბეს, ჟამუტაშვილი საქმის უსუფთაოდ მკეთებელს ნიშნავს.

ბერია აზნაური იყო და კახეთში ბერიაშვილად ჩაუწერიათ. ჭიჭიბოშვილი, რომ მეგრულიდან ვთარგმნოთ, პატარბიჭიშვილი, იგივე პატარკაციშვილია – ასევე ბერუჩაშვილი, შავტუხაშვილს ნიშნავს. კახეთში ცხოვრობენ ბერულაშვილებიც.

სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, არის ქალაქი ადანა. გადმოცემით, იქ ტყვეთ ნამყოფი ქართველი, დიდი ვაივაგლახით სამშობლოში დაბრუნებული, იმერეთში ადანაიად ჩაუწერიათ.

დღევანდელი იმერეთის, გნებავთ მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა სვანების, ზანების და ჭანების ნარევია. მასში 10%-დეა ქართლელი, და სამცხელი მიგრანტი. მართალია ნაწილს საკუთარი ტომობრიობა და ენა დაავიწყდა, მაგრამ მათი წარმოშობის არეალი ისტორიული კოლხეთია, რასაც მოსახლეობის გვართა ფუძეები ასაბუთებენ. ომებმა და მიხტომ-მოხტომამ, დააჩქარა სადაურობის აღმნიშვნელი გვარსახელების გაჩენა. ქართლის მოსახლეობის მოწოლის გამო, არგვეთის მცხოვრებლებს დასავლეთ და ჩრდილო ოლქებისათვის მიუკითხავს.

ქართლში ჩასახლებული ილურიძე, მეგრულად „გაქცეულის“ შთამომავალია.

მამია ზედგინიძის 1475 წ. „შეწირულების წიგნი“, ქართლში ასახელებს შარაშიძეს.

ლუარსაბ მეფის სიგელი, სოფ. ზნაკვაში ასახელებს ჯავახიშვილის ყმებს **ბახტაძეებს.**

წეველიძეები ზესტაფონიდან ქართლში გადასულან.

სოფ. ჭალაში მცხოვრები **ბახუაშვილები,** გურული ბახვა ცინცაძის შთამომავლებია (ე. ბახუაშვილი);

ბერულავას შთამომავლებია, ქართლში მცხოვრები ბერულაშვილები, ასევე გორთან ცხოვრობენ ძველი ზანები: **ყუჯაშვილები, ბერიშვილები, ლაშქარაშვილები.**

ასევე **ბაშარული,** „მოკლეს“, დაბალს ნიშნავს.

კვაღინაძე, კვაღინიძე (გორში) ზანებია. „კვაღა“ მეგრულად პატარა ნაჯახია.

თუთა გურიელი ვახტანგ შაჰ-ნავაზის ძემ, ლეონმა რომ შეირთო, მზითვად გააყოლეს ძმები მაჭუტიძეები, რომელთაგან ერთი ეპისკოპოსი, მეორე გარეჯის მონასტრის წინამძღვარი გახდა.

ქართლში 700-ზე მეტი კოჩიშვილია. ასევე ყაჩლავა, ყაჩლავაშვილები და ჩოჩია-ჩოჩიშვილებიც, წარმოშობით ზანებია.

ჯოღერდიშვილის ფუძეში, ძევს ზანური „ძაღლიკა“. იქვე არიან **„ჯუმალის“** გვარისანი, რაც საერთო მოსაკრებელია („საოჩის ჯუმალი“).

მემატიანე ჯუანშერი წერს, რომ ქართლში გადასულმა არჩილ მეფემ „კახეთში... ყოველთავე ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა“ (გვ. 243).

კახეთშიც მოხვდნენ ეგრისელნი. წმიდა არჩილმა ეტყობა 740 იან წლებში, წაიყვანა ეგრისელი დიდებულნი და მათ კახეთში საკარგავები უბოძა. ასე მოხვდა ვაჩინა („მამალი ციკანი“) **ვაჩნაძედ** კახეთში. იმავე დროს, **ჭავჭანია-ჭავჭავაძეებიც** კახეთში ჩასახლებულან, ისინი პირველად იხსენიებიან 1438 წ. საბუთში. ტყვილად მიაჩნიათ ისინი მთიულებად. ეს, ალბათ ხიზნობა იყო და არა სხვა რამე. დიდი ილია, ბანძაში რომ ფაღავებთან სტუმრობდა, მეგრელები ამბობდნენ: „ჭავჭანიძე მორთუა, ჭავჭანიძე“ – (ჭავჭანიძე მოვიდაო). ზანურ სამყაროში, ეს გვარები ერთი მცნებისაა.

გარდა ამისა, ჭავჭავაძეთა ღერბზე გემის ღუზაა გამოსახული, რაც მათ ოდინდელ ზღვასთან სიახლოვეზე მიუთითებს. აბა სად მთიულეთი, ან კახეთი და სად ზღვა?! ჩვენ ბევრჯერ დავრწმუნებულვართ ფოლკლორის არასანდოობაში...

XX ს. უნდა გადასულიყვნენ საჩხერე-ჭიათურის მიდამოებიდან სხირტლაძეები კახეთში. ტერმინი „სხარტალა“ ჩვენი დაკვირვებით, სხაპასხუპით, სწრაფი მოლაპარაკეა.

ჯაპანელი (გურია) ჯიბლაია-ჯიბლაძენი, იმავე პერიოდში, ან უფრო ადრე, სიღნაღსა და ლაგოდეხში დამკვიდრებულან.

კოკოჩაშვილის ფუძეში „კოჩი“ ძევს, რაც ქართულად კაცია, რომ ვთარგმნოთ, დაახლოებით „კაიკაციშვილი“ გამოვა.

ჯიჯეიშვილი თელავში დასახლებულა. „ჯინჯი“ მეგრულად ძირია. ამრიგად ის ძირით ჯეია, ჯელიაშვილია, ისე როგორც ჯიჯიშვილი.

ჯაშია წმიდა ჭანური გვარია, ხოლო ჯიმუხაძის ფუძეა „ჯიმუ“, მარილი. შესაძლოა წინაპარი ვაჭარი იყო.

თელავის მიდამოებში, სხვადასხვა დროს ჩასახლებულან იმერლები (ძირით ზანები) და სვანები. მარგიანი, ჩალაბაშვილი, ჭიაბერაშვილი, ქვლივიძე, კიკნაძე (XVIII ს.), აბესაძე, დოლიძე, ლოლაძე, ჭიჭინაშვილი, იმერლიშვილი, ლობჟანიძე, მოდებაძე, ცერცვაძე (გლოველი), კუხალაშვილი, ლაბაძე, ბიწაძე, ჩაჩანიძე, შაინიძე, სურმანიძე, ხაბულიანი, ბახსოლიანი...

ლაგაზაშვილის ფუძეში ზის ლაგოზი, ანუ აყალო მიწა. წინაპარი ან მექოთნე ხელოსანი იქნებოდა, თუ არა და მუდამ გათხუპნული...

საქვეყნოდაა ცნობილი, რომ იმერელი (ეგრისელი) კახეთში ჩასახლებული ირუფაქიძეები (რობაქიძეები) საფუძველჩამყრელი გახდნენ ჩოლოყაშვილ-მაყაშვილთა საგვარეულოსი. აკი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, სტეფანე პაოლინის რომ დაეხმარა „იტალიურ ქართული ლექსიკონის“ შედგენაში, „ირბახად“ სახელდებოდა (იხ. ჩვენი წიგნი, 2005 წ.).

ბ) „აი“ და „ია“ აფიქსებიანი გვარები ზანურია

ამ გვარსახელების წარმოშობის არეალი ეგრისი და ზანური ენობრივი სამყაროა. ჯერ ჩამოვთვლით და შემდეგ გავშიფრავთ რამდენიმე მათგანს, რადგან მათი ფუძეები მეგრული ენით, თუმცა ზოგიერთის გვარი ეპონიმით გამოირჩევა. ბოლოს მათ აფიქსებად „ძე“ და „შვილი“ დართვიათ.

ალბათ მსგავსი გვარების სია აუცილებელია. ასეთია 130 გვარი.

აბაიშვილი,
აგიაშვილი,
ალფაიძე,
ალვაიძე,
ანდრიაძე,
აფხაიძე,
ბაბუჩაიშვილი,
ბაჟუნაიშვილი,
ბეშიტაიშვილი,
ბიკვაიძე,
ბიჭვაიძე,
ბიჭკაიძე,
გაბრელაიშვილი,
გაბაიძე,
გაბრიაძე,
გლუჩაიძე,
გოგიაშვილი,
გოგიტაიშვილი,
გოგიჩაიშვილი,
გოტიაშვილი,
გულიაშვილი,
გუნთაიშვილი,
დათუნაიშვილი,
დავლიანიძე,
დიაკონიძე,
დემეტრაიშვილი,
ეზიაშვილი,
ეზიეშვილი,
ეზეიშვილი,
ელიაშვილი,
ერქომაიშვილი,
ზენაიშვილი,
ზოსიაშვილი,
თათიაშვილი,
თაყაიშვილი,
თხილაიშვილი,
ივანიაძე,
იმედაიშვილი,
იტრიაშვილი,
იმნაიშვილი,
ინაიშვილი,
იჭვაიძე,
კაიკაციშვილი,
კაკალიაშვილი,
კვიტაიშვილი,
კიკალიაშვილი,
კიკოლაიშვილი,
კუჭაიძე,
ლაითაძე,
ლაიშვილი,
ლობიაძე,
მამინაიშვილი,
მამისაიშვილი,
მანჯაიშვილი,
მაჩაიძე,
მექაიშვილი,
მითაიშვილი,
მიქელაიშვილი,
მიქიაშვილი,
ნადარაიშვილი,
ნაკაიძე,
ნატრიაშვილი,
ნაჩაიძე,
ნიკოლაიშვილი,
ნიშნიანიძე,
ობგაიძე,
ოსეფაიშვილი,
პაიკაძე,
პაიკიძე,
პაიჭაძე,
პაპუნაიშვილი,
პინაიშვილი,
უიუიაშვილი,
უიუიკაიშვილი,
რუსაიშვილი,
საითაძე,
საითიძე,
საინიშვილი,
სვიანაძე,
სკამკოჩიაშვილი,
სულაიშვილი,
სულმამაიშვილი,
ტარბაიძე,
ტრაპაიძე,
ტუნიაძე,
ტყეშელიაძე,
ფაილოძე,
ფაიქიძე,
ფარაიშვილი,
ფაიქრიძე,
ფენჩაიშვილი,
ფესვიანიძე,
ფირცხალაიშვილი,
ფიფაიშვილი,
ქართველაიშვილი,
ქარჩაიძე,
ქონიაძე,
ქოჩიაშვილი,
ქუტაიშვილი,
ქუბაიშვილი,
ღაღაიშვილი,
ყაზაიშვილი,
შაქარაიშვილი,
შავიანიძე,
შაინიძე,
ჩლაიძე,
ჩახუნაიშვილი,
ჩიკვაიძე,
ჩიტაიშვილი,
ჩიჩხაიძვილი,
ჩხაიძე,
ჩხატარაიშვილი,
ცხაიშვილი,
წიტაიშვილი,
წვიტაიშვილი,
ჭამჭიანიძე,
ხარაიშვილი,
ხარაიძე,
ხახუტაიშვილი,
ხელაიძე,
ხუტულაიშვილი,
ხუხუნაიშვილი,
ჯიაძე.

გაბრელაიშვილები როკითში (ბაღდათი) ცხოვრობდნენ XVI ს. ისე, როგორც ჩიჩხაიშვილები.

„აფხაიძე“ ვფიქრობ ტერმინ „აფხაზის“, ანდა გვერდის მეგრული შესატყვისია. „ბიკვაიძე“-თა გვარსახელი, „ბიგვადან“ მომდინარეობს, „გოგიადან“ – გოგიაშვილი, „გულიადან“ – გულიაშვილი, მამულიადან – მამულაიშვილი – მამულაძე, დიაკონიადან – დიაკონიძე.

შანავადან-შანაიძე-შაინიძე მომდინარეობს, „შანა“ კი საპატარძლოსათვის მისართმევი ნიშანი-საჩუქარი, ბელგა იყო. ეს გვარი კი შინაარსით „ნიშნიანიძეა“.

სკამკოჩაიშვილი, „შენი კაცის შვილს“ ნიშნავს (მეგრულად). ფარაიშვილი, „ფარა“ ფულია (ისევ მეგრულად), ხელაიადან კი ხელაიძე წარმოშობილა.

„ჩახუნაიშვილი“ მეგრულად „თეთრი ხუნას შვილის“, ან ინვალიდის, „ჩახუნას“ შვილს ნიშნავს. ასახელებს გურიელის 1610 წ. „სიგელი“.

XVI ს. ბოლოს, „ხონის საყდრის დავთარში“, დასახელებულია სამონასტრო გლეხი „ჩიტისღულაიშვილი“, რაც XIX ს. უკვე „ლაიშვილის“ ფორმით ჩაწერეს. იქვე დასახელებულია „ფენჩაიშვილი“, „ყლარტაიშვილი“ (ს. კაკაბაძის – „ხონის საყდრის დავთარი“, 6-7, 15, 17).

1545 წ. გელათის დავთარი ასახელებს დემეტრაიშვილებს.

გურიის მთავრის, მამიას 1610 წლის „შეწირულების წიგნში“, დასახელებულია გლეხები – „ტრაპაიძენი“.

„აფხაზეთის საკათოლიკოსო დავთარი“, გურიის ოცხანაში ცხაიშვილს.

„ქუთაისის საყდრის დავთარი“ (1578წ.) ასახელებს ფერსათის მცხოვრებლებს ქუბაიშვილს და შაქარაიშვილს.

ბანძელი კიკალიები ხიდზე და კონტუათში დამკვიდრების შემდეგ. კიკალიაშვილ-კიკალიშვილ-კიკალეიშვილებად ჩაეწერნენ.

1791 წ. მეფე სოლომონ II და დედოფალმა მარიამმა, გლეხი ალფაიძე გელათის ტაძარს მიუძღვნეს. ალფენიძეები სამურზაყანოში ცხოვრობენ, რაც მათ ზანურობას ასაბუთებს (ს. კაკაბაძე „საეკლესიო საბუთები“, 1921, II. 121).

ფარულავას აზნაურულ გვარში გავრცელებულია ლეგენდა, თითქო ისინი პირველნი გაქრისტიანდნენ და წარმათთა შიშით, ფარულად ატარებდნენ ახალ რჯულს. აქედან მიიღეს გვარი ფარულავა.

მეორე ლეგენდით, სამი ძმა, ფარულავა, წებელდიდან (ზუფუ) მესისხლეობას გამოქცევია, ერთი დიდღვაბუნაში დამკვიდრებულა, ხუნწში დასახლებული კი ფაილოძედ ჩაუწერიათ.

სინამდვილეში, ამ აზნაურულ გვარს 10 კომლი ახალაია, კიკალაია და სოსელია ყმად ჰყოლია, მაგრამ სოფ. კვაუთში, ჩიქვანებთან დავა ჰქონდათ მამულების თაობაზე. (ზუგდიდის სახ. მუზეუმი ფონდი 205, საბუთი 752, ფურცელი 36-7,188-7219).

ამის გამო, ისინი, დადიანს აღმოსალეთით გადმოუყვანია და ახალი სამკვიდრო მიუცია დიდღვაბუნასა და ზედა ხუნწში.

იმერეთის მეფის, ალექსანდრე მესამის (1639-1660 წწ.) ერთი „წყალობის წიგნი" მოგვითხრობს **აგიაშვილთა** შესახებ. ამათი წინა გვარი ყოფილა ომათმათიძე, რაც მეგრულად სამოსის ჩამცმელია, ე. ი. მსახურია მეფისა. აგიაშვილს ხელმწიფისთვის წარუდგენია დავით აღმაშენებლის სიგელი, თავიანთი წარჩინების შესახებ. ამის გამო, მეფეს განუახლებია საბუთი და მისთვის სათავადოდ მიუცია სოფლები, ტყაჩირ-ოფშკვითი საყულია და ქარჩხაძის მამულები 50 კომლი გლეხით (ხონთან).

გლუჩაიძის გვარი „გლურჯს", მეგრულად ტლანქს, მოუხეშავს უკავშირდება.

დავლიანიძე – სამხედრო ნადავლის ხელში ჩამგდები, უცებ გამდიდრებულა.

ფირცხალაიშვილი ნაწაროებია ფირცხალავადან, ხოლო **ხუხუნაიშვილი ხუხუნიდან.**

ქართულში გვაქვს „ია" და „აი" აფიქსიანი 123 გვარსახელი.

გ) ქართიზებული „უა" აფიქსიანი გვარსახელები

შევაჩერეთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ „უა" აფიქსით ნაწარმოები გვარსახელები, რომლებსაც სუფიქსად დართვიათ „ძე„ და „შვილი", წარმოშობით დასავლურ-ქართული, ე. ი. კოლხურია, ასეთებია:

ადუა-შვილი (ხარისჭირაშვილი);
ახუა-შვილი;
ბაბუა-ძე;
ბატკუა-შვილი;
ბაუ-ჟაძე;
ბაღუა-შვოლი;
ბახუა-შვილი;
ბახტუა-შვილი;
ბებუა-შვილი;
ბერუა-შვილი;
ბეჟუა-შვილი;
ბეჩუა-ძე;
ბუა-ძე;
ბუჩუა-ძე;
ბუჭუა-ძე;
გიგუა-შვილი;
გებუა-ძე
გოლა-შვილი;
გულუა-გურუაშვილი;
გუძუა-შვილი;
გუძუა-ძე;
გებუა-ძე;
დათუა-ძე;
დათუა-შვილი;
დგებუა-ძე;
დონდუა-შვილი;
დონჟუა-შვილი;
დოდუა-შვილი;
დუა-ძე;
დუშუა-შვილი;
ვაჩუა-შვილი;
კეზუა-შვილი;
კეზუა-ძე;
კეჩხუა-შვილი;
კიკუა-შვილი;
კობლუა-შვილი;
კონტუა-ძე;
კონტუა-შვილი;
კოლუა-შვილი;
კოშუა-შვილი;
კოჩუა-შვილი;
კოჭუა-შვილი;
კუბლუა-შვილი;
კუტუა-შვილი;
ლაზუა-შვილი;
ლალუა-შვილი;
ლილუა-შვილი;
ლითუა-შვილი;
ლოლუა-შვილი;
მარუა-შვილი;
მასუა-შვილი;
ნანუა-შვილი;
ნარუა-შვილი;
ნარუ-შვილი;
ნასუა-შვილი;
ნინუა-შვილი;
ოქრუა-ძე;
ოქრუაშვილი;
პაპუა-შვილი;
ჟოჟუა-ძე;
სიხუა-შვილი;
სულუა-შვილი;
ტარუა-შვილი;
ტორუა-შვილი;
ფაჩუა-შვილი;
ქიტუა-შვილი;
ღადუა-შვილი;
ყრუა-შვილი;
შავბერუა-შვილი;
ჩიტუა-შვილი;
ციცუა-შვილი;
ძოძუა-შვილი;
ხეჩუა-შვილი;
ხორგუა-შვილი;
ხოლუა-შვილი;
ხოსრუა-შვილი;

ასეთია 80 გვარი.

ახლა ადვილი გასაგებია, რომ „უა“ აფიქსიანი გვარები, ქართიზაციის პროცესში, უფრო „კი“ XI-XIV საუკუნეებიდან XIX ს. ჩათვლით „ძე“ და „შვილი“ აფიქსებით „შეუმკიათ“.

ზოგის ფუძის შინაარსობრივი გაშიფვრა შესაძლოა. მაგალითად **„ხეჩუაშვილი“**, რომელსაც ქუთათისის საყდრის 1578 წ. დავთარი ასახელებს, უკავშირდება ეპონიმ ხეჩოს ან ხეჩუას, რაც ქენქერას, ჩერჩეტს, ალაოს ნიშნავს და მოსულელოა.

ღადუაშვილი – ღადოს, კლდე-ბორცვთან მცხოვრებს, ან „ღადოს“ ხუმარას, მასხარას, ციგანს ნიშნავს.

კოჩუაშვილის ფუძეში „კოჩი“ ანუ კაცია (მეგრულად).

კიკუაშვილი, კიკვაია-კიკვაძე-კიკვიძიდან არის წარმომდგარი.

კუბლუადან მომდინარეობს კუბლუაშვილი და სოფელ კუებლევს უკავშირდება.

გვარები: გოშუა, კოჩუა, ფაჩუა, დათუა, ხორგუა, გურუა, ტორუა, ხოსრუა, ბუჩუა, ნანუა და სხვა ფუძეები უზით დასახელებულ გვარებს. ასეა ნაწარმოები 75 გვარი (იხ. ა. ფაილოძე, 2005 წ.).

დ) ხელობის, (მოსაქმეობის) აღსანიშნავი გვარსახელები

ბაზიერი, ბაზმანი, ბაზაძე, ბაზიერაშვილი – სანადირო ფრინველს, „ბაზს“ უკავშირდება. ის ფრინველთა მწვრთნელ-მგერშავი, ბაქლის მყრელია.

განდელიძე – გამდლის, მამამძუძეს, მორდუს შთამომავალია.

განგებლიძის წინაპარი ქონების გამგე, იგივე მოურავი, მეკუჭნავე ყოფილა. დალაქიშვილის წინაპარი პარიკმახერი ყოფილა. ერთ ძველ ხელნაწერში აღნიშნულია: „ვაკელმა დალაქიშვილმა დაჰკრა ბუკსა ამბოხისასა და აღავლინა შფოთი დიდი იმერეთს“...

დეკანოზიშვილის წინაპარი, დეკანოზი ყოფილა.

კალატოზის და კალატოზიშვილის წინაპარი, კირით ხურო.

დურგლიშვილის წინაპარი ხის ოსტატი იქნებოდა.

გობიანი, გობიანიძე, ხის ჭურჭლის დამამზადებელი, მეგობე.

თოფჩიშვილი – სპარსულად მეთოფეა.

კანდელაკი – ტაძრის მსახური, კანდელის გამწყობია. კულაშში ნიკურაძე, საჯავახოში ქორიძე.

კარდალაძე – ქვაბის მჭედელი – ხელოსანი ყოფილა. „კარდალა“ მეგრულად ქვაბია.

კურტანიძე – მტვირთავი, მზიდავი, მეკურტნეა (წინა გვარი ბაღჩავანიძეა).

მენაბდე – ნაბდის ხელოსანი, წინაგვარი საკანდელიაა.

მამასახლისი – XIX ს-ში წარმოშობილი გვარსახელია.

მეზურნიშვილის, მენაღარაშვილის – წინაპრები მუსიკოსები, ან ამ ინსტრუმენტის დამამზადებლები ყოფილან.

მექოთნიშვილის, – წინაპარი კერამიკოსი ყოფილა.

მეღვინეთუხუცესი – გელათის საკათოლოკოსო საყდრის ყმა, ცირღილაძე იყო. აზნაურობა და ეს ხელობა ებოძა.

მუშკუდიანი – მჭედელია (სვანურად) მხოლოდ ოქროსი.

მესხორაძე – ფულის გამსესხებელია (მევახშეა მეგრულად).

მოსია, მოსიძე – მსახური, მეფის ან მთავრის ჩამცმელი, შემმოსავია.

მჭედლიძე, ჭედია, ჭედიშვილის წინაპარი მჭედელი ყოფილა.

მიზანდარი – მწონავი, მემიზნეა.

მუჯირი – მეგრულად პურის მწე, მისი მოურავია.

ოთხმეზურს ასახელებს შემოქმედის მონასტრისადმი მამია გურიელის შეწირულება, რომელიც შედგენილია 1814 წლამდე („საისტორიო კრებული“, 1928. 2. 88).

ოთხმეზური, ოთხოზორია და წილოსანი, წვრილი მესაკუთრე აზნაური და მესაკარგავეა. მეფე აძლევს 4 კომლ გლეხს, მებეგრე-მსახურად, ის კი ჯარში მსახურობს. იხსენებიან დიდი თამარის კარზე.

პაპავა, პაპავაძე, პაპასკირი, იგივე მღვდელაძე, ხუციშვილია.

ტოგონიძე – „ტოგინიდან“ მოდის, ის კი უძრავი საწოლია, ეს მისი ოსტატი იქნებოდა.

ტოკვი – საომარი კეტის, ტოკვიცის ოსტატი იქნებოდა.

ყვინჩია – თურქული ტერმინია და ბეჭდის ჩამომსხმელს ნიშნავს.

შათირიშვილები – ზედა ხონში, საწულუკიძეოში მკვიდრობენ. აქ ძველად მეფის სასახლე იყო, შემდეგ საჩხეიძო, ბოლოს (1570 წ.) საწულუკიძო გახდა. შათირიშვილნი, მათი შათირ-შიკრიკები ყოფილან.

ქილიფთარი – სპარსულია და მეღვინეს, მერიქიფეთა უფროსს ნიშნავს.

ხაბაზი – პურის მცხობელი, მეპურეა.

ორსანტიას წინაპარი ოსტატი ყოფილა.

ზარელუას წინაპარი მზარეული.

ხარატიშვილის წინაპარი ხის ხელოსანი, დურგლის მსგავსია.

ხარაზი, ხარაზია, ხარაზიშვილი – ფეხსაცმლის ხელოსანი, მეხამლეა.

ჩუბინიძეს წინაპარი მსროლელი, ჩუბინი ჰყოლია.

ხმალაძის წინაპარი – ხმლის მჭედელი უნდა ყოფილიყო.

ხოტივარის ეტიმოლოგია საკვლევია. ზოგი მას „ხოტეველად" მიიჩნევს, მაგრამ ხონის საყდრის XVIII ს. ერთ საბუთში ნათქვამია: „კონტუათელი გუგუტა რუხაძე და მისი ძმა, მეფის ხოტივარი ყოფილიყოო, მეფე გიორგის ვთხოვეთ, გვიბოძა და ხატს შევწირეთო".

ე. ი. აქ, ხოტივარი, რაღაც ხელობაა (ს.კ. ს. რს. 1921. I. 105).

ჯოლბორდი – მშვილდ-ისრის მკეთებელი ხელოსანი ყოფილა.

ე) „ე" „ცინც", „ცირა", „ციც", „უ", აფიქსები

ეს ენობრივი ნაწილაკები, მხოლოდ ზანურ ენას ახასიათებს. „ე" აფიქსი მინიშნების, მითითების, რაიმე განსაკუთრებული ნიშნის, ან გვარ-ჯილაგის მიმანიშნებელია. **ე-ბრალიძე, ე-ლიაძე, ელიაშვილი, ელბეგიძე, ემინაძე, ემინიძე, ემნაძე, ენჯიბაძე, ენდელაძე, ერაძე, ერბელიძე, ერგემლიძე, ერუმაძე, ესიაშვილი, ესეიშვილი, ესაძე, ესებიძე, ერელიძე, ექსეულიძე, ეფაძე, ეჯიბაძე, ეცადეიშვილი, ეცეტიძე, ეძგვერაძე, ესერიძე, ელბაქიძე, ედელაშვილი. ესაკია, ესართია, ესებუა, ესვანჯია, ეფსია.**

ებრალიძე – ებრაელის ძეს კი არა, რაიმე ბრალის მქონეს ნიშნავს.

ეჯიბაძე – ეჯიბის შვილს, **ებანოიძე** – წარმოშობით ბანელს, **ეძგვერაძე** – აძგვირინებულს, აბუზულს ნიშნავს. ამ გვარს ასახელებს სოფ. რიონის საყდრის დეკანოზის, გრიგოლის წარწერა.

„ცინც" – აფიქსით ნაწარმოებია: **ცინცაძე, ცინცაბაძე, ცინცქილაძე, ცინცქალაძე**, ეს უკავშირდება ჩქარს, დაუდეგარს, ცეტს.

„ცირა" – მეგრულად გოგოა, ქალია და მას უკავშირდება გვარები: **ცირამუა, ცირგაია** (ჩირგაძე), **ცირდავა, ცირეკიძე, ცირიდი, ცირაკიშვილი, ციროვი, ცირღილაძე, გოცირიძე.**

ცირიდს, ბერძნული მაწარმოებელი „დი" აფიქსი დართვია, თავადი გ. წულუკიძე, 1799 წ. საბუთში, გოცირიძეს თავის აზნაურად ასახელებს.

ცირეკიძეს ასახელებს მამია V გურიელი, XVIII წ. ბოლოს.

„ციც“ – აფიქსიც ვფიქრობ კატასთან, სიმშვიდესთან დაკავშირებული ტერმინია და ამით არის ნაწარმოები: ციცაგი, ციცბა, ციცვაძე, ციცვიძე, ციციანი, ციციშვილი, ციციანიძე, ციცილოშვილი, ციცინაშვილი, ციცუაშვილი, ციცქარავა, ციცქიშვილი, ციცხვაია.

„უ“ აფიქსიანი გვარსახელები. უბერი, უბირია, უგრეხელიძე, უბილავა, უგულავა, უგლავა, უგრელიძე, უზნაძე, უზუნაძე, ურთმელაძე, უკლება, ულარჯიშვილი, უმეთაძე, უნკაძე, ურთმელიძე, ურუდია, უროტაძე, ურჩაძე, ურღელიძე, უარიძე, უშვერიძე, უშხვანი, უჩაძე.

უკლებას განმარტავენ როგორც უკლებს, შეძლების მქონეს, სავსეს, დოვლათიანს.

უნდილია – არაგულმოდგინე, მოშვებული ხასიათის კაცია, მათი ერთი შთამომავალი, შაჰაბასის კარზე დაწინაურდა.

უზნაძე – წარჩინების არმქონეს, უაზნოს ნიშნავს.

ვ) „ია“ და „ვა“ აფიქსიანი გვარსახელები

ამ აფიქსებით ნაწარმოები გვარსახელები, დღევანდელი სამეგრელოს მოსახლეობის 95 პროცენტს, ხოლო საქართველოს მცხოვრებთა საკმაოდ მოზრდილ ნაწილს შეადგენს. ასეთი გვარები ბევრია ხონში, ვანში, სამტრედიასა და წყალტუბოში, ქუთაისსა და თბილისში.

ასეთი აფიქსებითაა ნაწარმოები 360 გვარზე მეტი. ბევრ მათგანს, გვიან პერიოდში, „ძე“ და „შვილი“ აფიქსები დართვია.

აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს.

ლევან I ნადირობისას რომ დაიღუპა (თავადი ჯაიანი ცხენით შეასკდა) დადიანის მემკვიდრეებმა, „დამნაშავე“ ჯაიანთა ნაწილი თურქეთში გააძევეს, ზოგი კი კინჩხაში ჩაასახლეს. აი საიდან მოდიან აჭარელი ჯაიანები.

ჯაიანზე ჩამორთმეული („სასისხლო“) გლეხები: ფილია-ფიოლიები, სუხჩასა და მათხოჯში ჩაასახლეს.

ზ) „ოი“, „რი“, „ჩა“, „ჩე“, „ჩი“ აფიქსიანი გვარსახელები

„ოი“ აფიქსიანი გვარსახელების წარმოშობის არეალი ძევრულ-ჭანური ენობრივი სამყაროა.

ამ გვარებში ვასახელებთ შემდეგს: ბორშოიძე, ბოჭოიძე, გიგოიძე, გოილაძე, დეკანოია, დეკანოიძე, ზოიძე, ზარბაზოია, თოიძე, ილოიძე,

კაკოიძე, კოიძე, კიპაროიძე, კოიშვილი, კოკოიშვილი, კოინაშვილი, სანანოიძე, ჩიკოიძე, ცხოიძე, ჭყოიძე, ხელოიძე, ხელოიშვილი, ხოროიშვილი, ხუცოიძე, ჯოიძე.

მათგან ბოჭოიძე, მამაკაცის სახელ ბოჭოს უკავშირდება, ბორშოიძე ალბათ ბოში-ბოვშის შესატყვისია. ზოიძე – ზოიას შვილი, თოიძეში ჩანს თოლი (მეგრულად თვალი), კოპაროიძეში მცენარე კიპარისი, კოიძეში სახელი მარკოზი, ჭყოიძეში მუხის მეგრული სახელი ჭყონი. ხელოიშვილში, ხელობა – მოხელეობა. ჯოიძეში ჭანური ბიჭის (ჯო), სახელი იკითხება.

მეგრული წარმოშობისაა გვარსახელები, რომელთა ფუძეს პრეფიქსად „ო“ უზის. ის ქართულ „სა“-ს შეესაბამება. მათ შორისაა: ობგაიძე, ოდელაძე, ოდიკაძე, ოდილაძე, ოდილავაძე, ოდიშელიძე, ოდიშერიძე, ოდიშარია, ოთხოზორია, ორდენიძე, ორდინაძე, ორმოცაძე, ორჟონია, ორთოიძე, ორთავაძე, ორჯონიკიძე, ოსანაძე, ოსაშვილი, ოსეფაიშვილი (?), ოტოლაძე, ოტრაბახიძე, ოყრეშიძე, ოყროშაძე, ოქროშიძე, ოჩხიკიძე, ოჯიკიძე.

ოცხელი სადაურობის აღმნიშვნელი გვარია. ორდილაძე, სადღაც ნამყოფობას აღნიშნავს, ოდიშელიძე სადაურობას აღნიშნავს, ოთხოზორიაზე უკვე აღვნიშნეთ.

გრიგოლ კათალიკოსის (1696-1742) ერთ „შეწირულების წიგნში“, მოხსენიებულია ხრესილელი ობოლაძე, ახალდაბაში კი ეს გვარი „ობოდილაძედ“ წერია, რაც აბდალაძის წინაგვარია. სხვათაშორის, ოჯიკისძე მოიხსენიება ფავნელ – უჯარმელის 1459 წლის მცხეთისადმი „შეწირულების წიგნში“. ოჯიკი მეგრულად ბადეა.

„ჩა“, აფიქსი მეგრულ ენაში უკავშირდება ტერმინ ჩელა ჩეას, რაც თეთრს ნიშნავს. ამ აფიქსით არის ნაწარმოები გვარები: ბიბიჩაძე, ბირბიჩაძე, ბიბიჩიძე, ბოყოჩაძე, ბოხოჩაძე, გოგმაჩაძე, გეგუჩაძე, გვინჩიძე, გლუნჩაძე, გოგიჩაძე, გოგლიჩიძე, გოგიჩიძე, გოჩელაშვილი, კანაჩაძე, კოკოჩაშვილი, ქოჩეაშვილი, ჩახუნაშვილი, ჩეხერია, ჩეჩელაშვილი, ჩიგოგიძე, ჩოგოვაძე, ჩიბურდანიძე, ჩიკვაშვილი, ჩიკვაიძე, ჩიკორია, ჩილაჩავა, ჩომახიძე, ჩინჩალაძე, ჩიტავა, ჩიტაშვილი, ჩიტეიშვილი, ჩიტია, ჩიტიძე და ა. შ.

ჩა-ჩე – მეგრულად თეთრი უზით ფეძეში, შემდეგ გვარებს: **ჩეჩელაშვილი, ჩახრუხაძე, ჩანტლაძე, ჩაფიჩაძე, ჩებიში, ჩელებაძე, ჩიგოგიძე, ჩიქვილაძე, ჩიღვინაძე.**

თ) „ვა“ აფიქსიან გვარსახელებს „ძე“ აფიქსი დართვია

ბევრ კოლხურ (ზანურ) გვარს, ქართიზაციის პროცესის შემდეგ, სუფიქსად დართვია „ძე“, „შვილი“ და გაქართულებულა, თუმცა მათ ფუძეში „ვა“ აფიქსში იკვეთება სწორი წარმომავლობა.

ასეთია 132 გვარი:

ადვა-ძე;
არჩვა-ძე;
არჩვი-ძე;
არჯევა-ნიძე;
ბალანჩივა-ძე;
ბალავა-ძე;
ბაღდავა-ძე;
ბაღდავა-შვილი;
ბაღდვა-ნიძე;
ბაღვა-ძე;
ბაღჩავა-ძე;
ბიკვა-ძე;
ბილვან-იძე;
ბიჭვა-იძე;
ბოკელავა-ძე;
(ბოკერიადან)
ბოლქვა-ძე;
ბოცვა-ძე;
ბრეგვა-ძე;
ბურკვა-ძე;
ბუსკივა-ძე;
გაბიჩვა-ძე;
გალახვა-რიძე;
გალდავა-ძე;
გარდავა-ძე;
გაჩლავა-შვილი;
გოგვა-ძე;
გოგივა-ძე;
გუდავა-ძე;
გულავა-ძე;
დადვა-ძე;
დავა-ძე;
დადივა-ძე;
დევა-ძე;
დოკვა-ძე;
ზივზივა-ძე;
თალაკვა-ძე;
თუთვა-ძე;
თვალავა-ძე;
თვალივა-ძე;
თვალთვა-ძე;
ინაკავა-ძე;
კავა-ძე;
კეზევა-ძე;
კერძევა-ძე;
კვასხვა-ძე;
კიკვა-ძე;
კვა-ჭაძე;
კირვა ლიძე;
კუტივა-ძე;
ლაგირვა-ნიძე;
ლანჩავა-შვილი;
ლივლივა-შვილი;
მანჭავიძე;
მანჯავა-ძე;
მანჯავიძე;
მაღულავა-ძე,
მელივა-ძე;
მჟავა-ნაძე;
ნაგერვა-ძე;
ნამჩევა-ძე;
ოდილავა-ძე;
პაპავა-ძე;
უიუავა-ძე;
უიჟვა-ძე;
სახვა-ძე;
სისვა-ძე;
სივსივა-ძე;
სოხვაძე;
როხვა-ძე;
ტივა-ძე;
ტოხვა-ძე;
ტოხვა-შვილი;
ტუკვა-ძე;
ტუხვა-შვილი;
ტყავა-ძე;
ტყაბელივა-ძე;
(ტყაბლაძე)
ფევა-ძე;
ფეტვა-ძე;
ფურცხვა-ნიძე;
ქანდავა-ძე;
ქარცივა-ძე;
ღოთვა-ძე;
ყაჩლავა-შვილი;
ყვავა-ძე;(?)
შავა-ძე;
შარვა-ძე;
ჩაქვა-ძე;
ჩახვა-ძე;
ჩახვა-შვილი;
ჩეხვა-ძე;
ჩოგოვა-ძე;
ჩივა-ძე;
ჩიკვა-ძე;
ჩიკვაი-ძე;
ჩიჯავა-ძე;
ჩოგოვა-ძე;
ჩოჩივა-ძე;
ჩახვა-ძე;
ჩხიკვა-ძე;
წივნივა-ძე;
ცერცვა-ძე;
ცეცვა-ძე;
ცივა-ძე;
ცუცხვა-შვილი;
ცხვირავა-შვილი;
ძიგვა-შვილი;
ძირკვა-შვილი;
წახნავა-ძე;
ნიქვა-ძე;
წირქვა-ძე;
ჭანუყვა-ძე;
ჭაქვა-ძე;
ჭავჭავა-ძე;
ჭაჭვა-ძე;
ჭეჭვა-ძე;
ჭივა-ძე;
ხარცივა-ძე;
ხარჭავა-ძე;
ხაცაკვა-ძე;
ხიჩავა-ძე;
ხიჯავა-ძე;
ხოჯავა-ძე;
ხუსკივა-ძე;
ჯანგავა-ძე;
ჯანუყვა-ძე;
ჯიხვა-ძე;
ჯიხვა-შვილი;
ჯიჯავა-ძე

„ვა“ პრეფიქსი, მეგრულში უარყოფის, „არას“ გამომხატველია.

დასავლეთ საქართველოში, ამ აფიქსით ნაწარმოები მრავალი გვარსახელია.

მათ შორის დავასახელებ: **ვა-თაძეს, ვა-თეიშვილს, ვა-ტაძეს, ვა-ნილიშა, ვა-რდიას, ვა-რდანიას (ვარდანიძე), ვარდოსნიძეს, ვარდოსანიძეს, ვა-რშანიძეს, ვა-შაკიძეს, ვა-შალომიძეს, ვა-რშალომიძეს, ვა-შაყმაძეს, ვა-ჩაძეს, ვა-ჩეიშვილს, ვა-ჭარაძეს, ვა-ჭრიძეს, ვა-რასკნელიძეს.**

ვაშაყმაძეები რომ ქართიზაციის პროცესში არგვეთიდან გადასულან იმერეთსა და გურიაში, ეს ჩანს იქიდან, რომ თერჯოლის რაიონის სოფელ თუზის ეკლესიის წარწერაში, მოხსენებულია ვინმე ვაშაყმაი, მეორეც, მათ XVI ს. „საქუთათლო დავთარი“ ფერსათში ასახელებს.

ვარდოსანიძეს–ვარდასანიძის ფორმით, საკათოლიკოსო საყდრის გლეხად ასახელებს „ბიჭვინთის იადგარი“. ვარასკნელიძეთა საცხოვრისი, ძველად ახალციხის ნასოფლარ „ტობაში“ ყოფილა და ისინიც ხატიძეთა, ახალაძეთა, ხურციძეთა, ჩორჩანელთა, კურცხალიათა, კურცხალიძეთა, კოპაძეთა მსგავსად, წარმოშობით ჭანებია.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვაჩაძე და ვა-ჩეიშვილი „არა თეთრის შვილს“, ესე იგი შავგრემანის ძეს ნიშნავს.

„ვერულავა“, „ვერულეიშვილი“, „ვერულაშვილი“, თერჯოლის სიახლოვეს რომ ცხოვრობს, ეგრისის ავტოხთონური მოსახლეობის ნაწილია. მათი ერთი შტო, უფრო დასავლეთით გადასულა და მარტვილში დაფუძნებულა. მეგრულად „ვერულავა“ ვერ გაქცეულს, ე. ი. ადგილობრივს ნიშნავს.

ვაჭარია, ვაჭრიძე და ვაჭარაძე, ადვილი შესაძლებელია ხელობის, ვაჭრობის აღსანიშნავი საქმიანობიდან მომდინარეობდეს.

„ვადაქარია“ დაუქარავს ნიშნავს.

„ვადაჩქორია“ და „ვადაჭკორია“ მეცნიერებმა კარგად გაშიფრეს. „ჩკორი“, „ჭკორი“, მეგრულად ყრმას ნიშნავს. ამრიგად ეს გვარი „დაუყმევებელს“, ან „თავისუფალს“ აღნიშნავს. შესაბამისად „ვაზღულიანი“ – „უზღუდოს“ (შემოუზღუდავი კარმიდამოს მქონეს) ნიშნავს.

ხონისა და წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე (გაღმა ჩუნეში, გამოღმა ჩუნეში), ქუთაისის საყდრის საგადასახადო ნუსხა 1578 წ. ასახელებს 5 კომლ **კუტივაძეს.** ის შესაძლოა პატარას ნიშნავდეს.

წინაპრის სიკუტე, სისაპყრე, ამ გვარს საფუძვლად დასდებია.

ჩვენ ღოლობერიძეებზე საკმაოდ ვისაუბრეთ. კუხი მათ სათავადოში შედიოდა, ხოლო სოფლის ძველი მკვიდრებიდან, ბალანჩივაძეები ჩხეიძეთა ყმები იყვნენ, რაც ამაგრებს ჩვენს მოსაზრებას: **ბაღვაშ-ჩხეიძე-მხეიძე-ხეცია-აბაშიძე-ფაღავა – ლიპარტიან – კახაბერიძე** – ღოლობერიძეთა საერთო ჩამომავლობის შესახებ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, **ტყაბლაძეთა** წინაგვარი ტკაბელივაძე ყოფილა.

წარმოშობით მეგრელი **წიქვაძეები, წირქვალელიძენი,** სწორედ არგვეთელ ბაღვაშთა განაყარი შტოების: ჩხეიძეთა, ფაღავათა და ღოლობერიძეთა ყმები იყვნენ. წიქვაძეთა რამდენიმე კომლი ხონის მონასტერს ეკუთვნოდა, რასაც ასაბუთებს ბანძელი თავადების – ფაღავების „პირობის წიგნი“ ანტონ ხონელი მთავარეპისკოპოსისადმი, შედგენილი 1807 წელს (იქვე, გვ. 157-158).

აღსანიშნავია, რომ ხონის რაიონის სოფ. ივანდიდში, XIX ს. 26 კომლი ხაინდრავა ცხოვრობდა. ახლა დარჩა 3 კომლი. შემორჩა ზეპირი გადმოცემა, რომ მათი სახლიკაცები, აქედან განსახლდნენ სამეგრელოში.

უდავო ფაქტია აგრეთვე, რომ **გალდავები,** ვაკე იმერეთიდან გადასულან სამეგრელოში, მარტვილის რაიონში, ხოლო ივანდიდელ გალდავებს, „ძე“ აფიქსი დართვიათ და მათი გვარი გალდავაძედ და გარდავაძედ ქცეულა. ა. გალდავაძე გვარწმუნებდა, რომ მათი წინაგვარი გარდაფხაძე იყო. საინტერესოა უშგულის მურყმელის წმიდა ბარბარეს (XI-XIII ს.) ხატის წარწერა, რომელშიც მოხსენებულია ხატის მამკობელი „გალდი“, იქნებ გალდავა-გარდავაძეთა წინაპარი.

კიკვაძეთა გვარს, კიკვიძე გამოჰყოფია.

თვალავა-თვალავაძე, თვალაძედ და თვალოძედ ქცეულა.

ტივაძეთა წინაგვარი, **ხატიძე** ყოფილა, ხოლო სოფელი ხატიძე კლარჯეთშია.

ცერცვაძეთა წინაპარი, რაჭის გლოლიდან გადასულა იმერეთში, ამიტომ ნაწილს გლოველებსაც ეძახიან. გლოლას უკავშირდება გლონისთავისძეთა გვარსახელი, რომელიც საბოლოოდ გლოან-გელოვანად გაფორმდა (ი. ანთელავა, გვ. 56).

ძიგუა-ძიგვაშვილ-ძიგრაშვილი ერთი და იგივეა.

ვფიქრობთ, ჭანუყვაძე, ჭანიყმაძის შერყვნილი ფორმაა. **ჩიჩუა ჩიჯავაძედ** და **ჯიჯავაძედ** ქცეულა.

ლივლივაშვილს ჩხარში ასახელებს XVI ს. საკათოლიკოსო დავთარი. იგივე ძეგლი, ოკრიბის ბუეთში ასახელებს: ბრეგვაძეებს, ფურცქანიძეს, რომელიც ფურცხვანიძის შერყვნილი ფორმაა. ასევე, საჩხერელი ჩოჩივაძე, ამ საბუთით კათალიკოსის საყდრის მებეგრეა. ჯიმასტაროში ეს ნუსხა ასახელებს გვარ ჩოგოვაძეს, ხოლო ტოხვაშვილი, დასახელებულია ხონის მკვიდრად.

ი) ზოგიერთი დასავლურ-ქართული (ზანური) აფიქსები

„კვა“, „კვე“, „კვი“ აფიქსები

ბევრ დასავლურ-ქართულ გვარსახელებს უზით „კვა“, „კვე“ ან „კვი“აფიქსები, რაც ჩვენი აზრით საკუთარ სახელს, „კვეკვეს“ ან წარმართულ-ქართულ ღვთაებას, კვირია – კვირიკეს უკავშირდება. მის სადიდებლად სვანები დიდ რიტუალებს: „ადერკილაის“ და „საქმისაის“ მიმართავდნენ. მღეროდნენ (ფერხულით) ჰიმნს კვირიაზე, როგორც ხმელთ-მოურავზე და ადამიანის გამრავლების საწყისზე. საუკუნეთა მიღმა მომხდარა ამ სახელთაგან და კვირიას კულტისგან მიღებულ გვარსახელთა ქართიზაცია.

ასეთი გვარებია:

კვაბზირიძე;
კვანტრიძე;
კვანტიძე;
კვანტრე;
კვანტალიანი;
კვატაძე;
კვატიძე;
კვანტრიშვილი;
კვარაკვახიძე;
კვარცხავა;
კვასხვაძე;
კვახაჯელიძე;
კვარაკვახიძე;
კვატია;
კვაჭანტირაძე;
კვარაცხელია;
კვალინაძე;
კვაშალი;
კვაჩიძე;
კვახაძე;
კვატატია;
კვარნახია;
კვახაჭელიძე;
კვაჭაძე;
კვეიძე;
კვეკვესკირი;
კვეკვესქირი;
კვეკვეცია;
კვეტენაძე;
კვერეხაძე;
კვერენჩხილაძე;
კვერიხაძე;
კვერნაძე;
კვეკვესკირი;
კვერღელიძე;
კვესაძე;
კვესეიშვილი;
კვესიტაძე;
კვესელავა;
კვესელიძე;
კვეჩეხაძე;
კვიახიძე;
კვიმსაძე;
კვინიხაძე;
კვინიხიძე;
კვინტრაძე;
კვიჟაშვილი;
კვიჟინაძე;
კვირიკაშვილი;
კვირიკაძე;
კვირიკიძე;
კვირიტიძე;
კვირკველია;
კვიტაშვილი;
კვიტაიშვილი;
კვიტარიძე;
კვიტიანი;
კვიტია;
კვიციანი;
კვიცარიძე;
კვირჩილაძე;
კვიჭაძე;
კვიწინაძე;
კვიჩიკაშვილი.

კვატაია – როგორც ამტკიცებენ, კვანტალიანის მეგრული ფორმაა.

კვაჭანტირაძის ფუძეში, „კვაჭი“, ზანურში: მოხერხებულს, მარმაწას, საქმის მომკვარახჭინებელ-მომგვარებელის აღსანიშნავია. იტყვიან „ეს კაცი კვაჭიაო“.

1770 წ. ერთ (ხონის) საბუთში, დასახელებულია ტოპონიმი „ნაკვარნახუ“, რაც მკვლევარ ოლია სოსელიას განმარტებით, კვარნახიასეულია.

კ) „ეი“, „იე“ აფიქსებით ნაწარმოები გვარსახელები

აღმოსავლეთ საქართველოში, იშვიათია „ეი“ აფიქსით ნაწარმოები გვარები და თუ არის, ისინი დასავლეთ საქართველოდან, ისტორიული ეგრისის მერენდელი ოლქებიდან არიან გადასულნი.

ვფიქრობთ, რომ „იანი“, „ია“ და „ვა“ სუფიქსებით ნაწარმოები გვარსახელები, რთული გრამატიკული ნიუანსებითა და გამოხატვის მრავალფეროვანი ფორმით „ეი“ აფიქსებით შეიცვალა.

„ბერულავა“ იქცა „ბერულეიშვილად“, „აბრალავა“ – „აბრალეიშვილად“, „ბედენავა“ – „ბედენეიშვილად“, „ბიბინიში“ – „ბიბინეიშვილად“, „ბიბინიძედ“ და „ბიბილეიშვილად“, „კეკელია“ – „კეკეიშვილად“, „თვალავა“ – „თვალაბეიშვილად“, „კვირიკია“ – „კვირიკაძე“, „კვირიკეიშვილად“, „კუტალია“ – „კუტალეიშვილად“, „ლაშქარავა“ – „ლაშქარეიშვილად“, „რუსია“ – „რუსეიშვილად“, „ნიკოლაია“ – „ნიკოლეიშვილად“, „კინწურია“ – „კინწურეიშვილად“, „ცაგურია“ – „ცაგარეიშვილად“ და ა. შ.

ჩამოვთვლით ასეთ გვარებს:

აბრალეიშვილი;
ადეიშვილი;
ალეიშვილი;
ასეიშვილი;
ასკილეიშვილი;
ბაბულეიშვილი;
ბადირეიშვილი;
ბაშალეიშვილი;
ბაშელეიშვილი;
ბერდელეიშვილი;
ბედენეიშვილი;
ბერულეიშვილი;
ბეჟანეიშვილი;
ბიბილეიშვილი;
ბიბინეიშვილი;
ბისეიშვილი;
ბუბუტეიშვილი;
ბუთეიშვილი;
ბულეიშვილი;
ბუმბეიშვილი;
ბუტურეიშვილი;
ბუხულეიშვილი;
ბუხუტეიშვილი;
გამგონეიშვილი;
გაჩკუდურეიშვილი;
გეგენეიშვილი;
გელეიშვილი;
გელხვეიძე;
გელხვიძე;
გვაგვირეიშვილი;
გიგინეიშვილი;
გოგეიშვილი;
გოჩალეიშვილი;

გოჩოლეიშვილი;
გულარეია;
გულეიშვილი;
გუჩანეიშვილი;
დეისაძე;
დრეიძე;
ეზეიშვილი;
ერემეიშვილი;
ეცადეიშვილი;
ვარდანეიშვილი;
ვაჩეიშვილი;
ვერულეიშვილი;
ზასეიშვილი;
ზაქარეიშვილი;
ზეთეიშვილი;
ზეიკიძე;
თათეიშვილი;
თედეიშვილი;
თენეიშვილი;
თვალაბეიშვილი;
ივანეიშვილი;
იმამეიშვილი;
იმდეიშვილი;
იმნაიშვილი;
ინანეიშვილი;
იქმოდეიშვილი;
კახეიშვილი;
კაზინეიშვილი;
კეზეიშვილი;
კეკეიშვილი;
კერელეიშვილი;
კესეიშვილი;
კვეიძე;
კვესეიშვილი;
კვირიკეიშვილი;
კიკალეიშვილი;
კიკაჩეიშვილი;
კიკალეიშვილი;
კინწურეიშვილი;
კისკეიძე;
კიტეიშვილი;
კლარტეიშვილი;
კლარჯეიშვილი;
კოკობეიშვილი;
კოპალეიშვილი;
კოტეიშვილი;
კოტორეიშვილი;
კოხრეიძე;
კრავეიშვილი;
კუპრეიშვილი;
კუხალეიშვილი;
ლაზარეიშვილი;
ლასარეიშვილი;
ლაფარეიშვილი;
ლაშქარეიშვილი;
ლეკვეიშვილი;
ლიპარტეიშვილი;
ლომინეიშვილი;
მათეიშვილი;
მამაგეიშვილი;
მამეიშვილი;
მამისეიშვილი;
მარდალეიშვილი;
მაშანეიშვილი;
მატილეიშვილი;
მახარეიშვილი;
მეგემეიშვილი;
მეიფარიანი;
მეიშვილი;
მეკეიძე;
მიგინეიშვილი;
მინდეიშვილი;
მიქელეიშვილი;
მიხელიძე;
მოსეიშვილი;
მხეიძე;
მხეიშვილი;
ნადარეიშვილი;
ნაკეიშვილი;
ნამიჭეიშვილი;
ნანეიშვილი;
ნასარეია;
ნიკოლეიშვილი;
ოსეფეიშვილი;
პატეიშვილი;
პატიეშვილი;
რუსეიშვილი;
რუსიეშვილი;
საღარეიშვილი;
სახეიშვილი;
სეითიშვილი;
სიმონეიშვილი;
სოსანეიშვილი;
სუმბულეიშვილი;
სუსარეიშვილი;
უჩანეიშვილი;
თანცურეიშვილი;
ფარეიშვილი;
ფასეიშვილი;
ფასიეშვილი;
ფირცხალეიშვილი;
ფხეიძე;
ქადეიშვილი;
ქარეიშვილი;
ქიშმარეიშვილი;
ღანირეიშვილი;
ღუბელეიშვილი;
ღრუბელეიშვილი;
ყაჭეიშვილი;
ყუბანეიშვილი;
ყულეიჯიშვილი;
შავლეიშვილი;
შარეიძე;
შაქარეიშვილი;
შაშეიძე;

შეშეიძე;
ჩაელეიშვილი;
ჩარგეიშვილი;
ჩერქეიძე;
ჩიტეიშვილი;
ჩერგოლეიშვილი;
ჩხეიძე;
ცაგარეიშვილი;
ცადრეიშვილი;
ძიმცეიშვილი;
წულეისკირი;
ჭანჭალეიშვილი;
ჭეიშვილი;
ჭეიძე;
ჭირკვეიძე;
ჭიჭეიშვილი;
ჭიჭილეიშვილი;
ჭუჭულეიშვილი;
ხარაბეიშვილი;
ხარეიშვილი;
ხარბეიშვილი;
ხარძეიშვილი;
ხახალეიშვილი;
ხახიეიშვილი;
ხიხანეიშვილი;
ჯვარშეიშვილი;
ჯიჯეიშვილი;
ჯიმშელეიშვილი.

ფარეიშვილის გვარი, ტერმინ „ფარას“ (ზან. ფული) უკავშირდება და ალბათ წინაპარი მევახშე იყო.

ფასეიშვილი – საფასეს, ღირებულს უკავშირდება, არც ისაა გამორიცხული, რომ „ფაციას“ გაქართულებული ფორმა იყოს.

მატილეიშვილი – მინდვრის ბალახს, მატიტელას უკავშირდება. ის მიწაზე გართხმულია, ტენი არ უყვარს და დაბალია. მატილეიშვილიც დაბალის შთამომავალია.

„ყაჭეიშვილის“ გვარი მეაბრეშუმეობას, „ყაჭს“ უკავშირდება. უფრო ადრე „ჭიჭნაუხტი“ ერქვა (ი. ცურტაველი, დ. გურამიშვილი).

„კისკეიძის“ გვარი შესაძლოა სწრაფს „კისკასს“ უკავშირდებოდეს.

„იქმოდეიშვილის“ შესახებ ფარცხანაყანევში ლეგენდა მოვისმინე, თითქო ბატონს გლეხი მოსწონებია და თავისთან დაუბარებია „იქ მოდი შვილოო“. სინამდვილეში ეს გვარი მოქმედს, მუშაკს, მოფუსფუსეს ნიშნავს.

„ბუხულეიშვილი“ – ბუხულას, **სუმბულეიშვილი** – სუმბულს (შესაძლოა ყვავილს), **ლაზარეიშვილი** – ეპონიმ ლაზარეს, **სეითიშვილი** სეითოს, **ჩერგოლეიშვილი** თეთრს და მრგვალს ნიშნავს.

„ჯიმშელეიშვილი“ – ჩვენი მოსაზრებით ჯიმშერიადან უნდა იყოს გაქართულებული.

„ჯვარშეიშვილი“, ჩვენი აზრით, სოფ. ჯვარს უკავშირდება.

ზ. ჭუმბურიძე წერს, თითქო **ნამიჭეიშვილი** ნაბჭევის, ნამოსამართლევის შთამომავალია. ი. მაისურაძე კი მას „ნაბიჭვრის“ შვილად მიიჩნევს და მეც საამისო საბუთი გამაჩნია.

გაბრიელ ჭყონდიდელის 1753 წლის „შეწირულების წიგნი“, სოფ. გულუხეთში ასახელებს გიგინეიშვილს. მისი წინაგვარი ალბათ გოგინავა იქნებოდა...

1578 წ. ქუთაისის საყდრის დავთარი ასახელებს „შეშეიძეს“.

1781 წ. „მიქელაძეთა გაყრის წიგნი“ ასახელებს გვაგვირეიშვილებს.

1810 წ. სიგელით, ნიკოლეიშვილები საჯავახოში მკვიდრობენ.

1823 წ. ღოლობერიძეთა ერთი საბუთი, კიკაჩეიშვილებს ასახელებს და ამათი წინაგვარი კაკაჩიაა (ბერძენიშვილი, 1853. 297).

ლ) „გვა“, „გვი“, „ბრე“, „ხე-ფრე“, „ჩხა-ჩხე“, „ყვა“ აფიქსიანი გვარები

გვა-გვი – აფიქსი წარმოდგენილია „გვაე“-დან, რაც ძალიან, ძაან კარგს ნიშნავს.

ამ აფიქსით იწყება ლაზურ-ზანური გვარები, იბერიულ-ბასკური გვარები და ჰიდრონიმები.

ასეთი გვარებია: გვაგვალია, გვაზავა, გვანცელაძე, გვაძაბია, გვასალია, გვარჯალაძე, ბოგვერაძე, გვაჯავა, გვარამაძე, გვარამიძე, გვენეტაძე, გვახარია, გვიდიანი, გვილავა, გვალბაძე, გვათუა, გვინჩიძე, ლაგვილავა, გვეტაძე, გვენეტაძე, გვიშიანი, გვადიბაძე, გვაგვალეიშვილი, გვიჭიანი, გვამბაია, გვათუა.

„ბრე“-ი აფიქსი, ზანურად (მეგრულად) მრავალრიცხოვანს, მრავალსულიანს ნიშნავს. ასეთებია: ბრეგაძე, ბრელიძე, ბრილიძე, ბრეგვაძე.

ხე-ფხე – აფიქსი, სანურ-ზანურ მდედრობითის საწყისს აფიქსირებს. იტყვიან ახლანდელ იმერეთში: ბახტეიხე, ჩაგუნახე, მელეიხე, ფაილოხე, ძიძიგურიხე, კირთეიხე, რუხეიხე, უგულახე და ეს გვარები, აფიქსირებს ქალის ვინაობას.

„ჩხა-ჩხე“ – აფიქსები სანურ-ზანური ენის კუთვნილებაა. ის მრავალრიცხოვან, გატოტვილ, გამრავლებულ საგვარეულოს აფიქსირებს. კარჩხალი – კარგაშლილი, კარმრავალია. მაჩხაანი – გაშლილია; ნეკერჩხალი – ნეკერგაშლილია; ისევე როგორც ვენახის ჯიში ჩხავერი. კიბორჩხალა – მრავალფეხებაა. ჩონჩხა ვრცელი, გაშლილი ადგილია, ჩხარი – გაშლილი და დაშორებულია, ისევე როგორც კინჩხა – მხრებგაშლილი, მხრებგატოტვილია. მსგავსია ახალქალაქთან ჩუნჩხა, ბორჩხა...

ამ აფიქსითაა ნაწარმოები შემდეგი გვარები: **ჩხაიძე, ჩხაბერია, ჩხობაძე, ფიჩხაძე, ჩხარტიშვილი, ჩხატარაიშვილი, მანჩხავა, ჩხაბელია.**

რაც შეეხება „ყვა“ აფიქსს, აკად. ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ ეს აფხაზურ-ადიღეურ ენას განეკუთვნება, მაგრამ შემდეგმა მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ „ყვა“ აფიქსი, იგივე „ყმა“-ს ნიშნავს. ასეა ნაწარმოები: **ართილაყვა, ინგოროყვა, ღელეყვა, როყვა, ჭანუყვაძე, ვაშაყმაძე.**

„ცქვიტი“ სანურ-ზანურად სწრაფს, ჩქარს ნიშნავს. აკი, ი. ბაგრატიონი „კალმასობაში“ წერს: მეფე სოლომონი უბრძანებს მსახურებს. „საქონელი დაკალით და ცქვიტად მოხარშეთ“-ო.

ამიტომ ჩვენს წინაპრებს მიულიათ გვარები: **ცქვიტარია, ცქვიტინიძე, ცქვიტაია, ცქიტიშვილი** და მისთანები.

„რი“ „ჭკორი“ და „სკუა-სკირი“, რომ ზანურ-მეგრულია, ამას ასაბუთებს შემდეგი გვარები: **გეგეჭკორი, გაბესკირია, გუგუნარი, ვადაჭკორია, კვეკვესკირი, პაპასკირი, პაჭკორია, ჭყონდიდარი.**

ჩვენი ნარმართი წინაპრები რომ მნათობთა თაყვანისმცემლები იყვნენ, ამას ადასტურებს მთვარის ოდინდელი თაყვანისმცემელთა შემდეგი გვარები: **თოთლაძე, თოთაძე, თუთაშხია, თოთიბაძე, თვარაძე, თვართვაია, თოიძე.**

მზისა: ბჟალავა, აბჟანდაძე (აბზიანიძე) ბზეკალავა, ქაბზინიძე, ლობჟანიძე.

ვარსკვლავისა: ხვიჩია, მურიცხია, მირცხულავა, მურცხვალაძე.

ამრიგად, მხოლოდ ამ თავში 1200 ზანური გვარსახელი ჩამოვთვალე.

თავი მეთორმეტე

ლაზურ-ჭანური გვარსახელები

ა) „შა", „ში" აფიქსიანი გვარსახელები

მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ გვარსახელები, რომლებსაც სუფიქსად „ში" აქვს დართული, წარმოშობით მეგრულ-ჭანურია, რადგან ეს აფიქსი, ჩვეულებრივ, მეგრულ-ჭანურში, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია და კუთვნიულებას აღნიშნავს. მისი მსგავსია „შა" სუფიქსიც. ზოგიერთ მათგანს, ქართიზაციის პროცესში დართვია აფიქსებად „ვა", „ია", „ძე" და „შვილი".

„ში" ნათესაობითია, – ნიშნავს „იმისას": ლაბა-სას, შარა-სას, დათუსას, ბექირი-სას და ასე შემდეგ.

მათ შორის ვასახელებთ შემდეგ გვარებს:

აბაში-ა;
აბაში-შვილი;
აბაში-ძე;
აბაშ-მაძე;
აბდულიში;
აბდუშელიძე;
აზაკიში;
ანურაში;
ანუსიაში;
ანუში-ძე;
არეში-ძე;
არონიში-ძე;
აშკაში-ძე;
ბაბრუში-ძე;
ბაითაში;
ბაღვაში;
ბექირიში;
ბეხეში-ძე;
ბიტკაშა;
ბიტკაში;
ბეში-ძე;
ბეში-ტაიშვილი;
ბეში-ტაშვილი;
გაბეში-ა;
გაბროშა-ძე;
გაბროში-ძე;
გაგოში-ძე;
გეგეში-ძე;
გვიში-ანი;
გოგოში-ძე;
გორგოშა-ძე;
გორგოში-ძე;
გოთოში-ა;
დათეში-ძე;
დევრიში-ძე;
დევრიში;
დერბიში;
დურმიში-ძე;
ელიში-ა;
ერგეში-ძე;
ვანილიში;
ვაშაკიძე;
ვარშალომიძე;
ვაშალომიძე;
ზედაში-ძე;
კაკუშა-ძე;
კაპრაში-ძე;
კახაილოში;
კვატაში-ძე;
კაში-ა;
კვაში-ლავა;
კოროში-ნაძე;
კორში-ა;
კოტიშა-ძე;

ლაბაში-ა;
მარუში-ძე;
მამუშა-ძე;
მემეში-ში;
მეხეში-ძე;
მოხვაში;
ნაკაში-ა;
ნაკაში-ძე;
ოქროში-ძე;
ოყრეში-ძე;
სადიკიში;
სამუში-ა;
ტაბაში;
ტაბაში-ძე;
ტაბუშა-ძე;
ტატაში-ძე;
ტომაში;
ტულუში;
ტლაშა-ძე;
ურუშა-ძე;
ფანცუფიში;
ქამაში-ძე;
ქარაქუში;
ქვახულიში;
ღამბაში-ძე;
ყიფში-ძე;
ყორში-ა;
ყურაში-ძე;
ყურეში-ძე;
შარაში-ა;
შარაში-ძე;
შარვაში-ძე;
შერვაში-ძე;
ჩებიში;
ჩუმიში-ძე;
ცარგუში;
ციტაიში;
ძაპში-შვილი;
ხალვაში;
ხარში-ლავა;
ხარში-ლაძე;
ხვარეში-ა;
ხუბუტიში,
ხუშუტიში;
ხუხუში-ა;
ჯანაში-ა;
ჯაში;
ჯაში-ა;
ჯგუში-ა;
ჯევაიში.

აჭარელ თავადთა, **ხიმშიაშვილთა** თავდაპირველი გვარი „ხიმიში“ უნდა ყოფილიყო.

თემურლენგის ქართლში ლაშქრობისას, მისი მემატიანე ასახელებს „ხიმშიას ხეობას“, თუმცა ის გვარად ზევდგინიძე (ამილახვარი) ყოფილა.

ზედაშიძეს ასახელებს XVI ს. გოდოგანის საყდრის წარწერა.

საქართველოს სამეფოების გაერთიანების მესვეურს, იოვანე მარუშიძეს ასახელებს იგივე საყდრის X ს. წარწერა.

გვარსახელი **კვატაშიძე** – კვატასავით დაბალს, დაბასკულს უკავშირდება.

ჩებიში – ჭანურად „თეთრ ბიჭს“ ნიშნავს, ასევე მეგრულად.

ძალზე ადრე, ფეოდალიზმის ჩასახვის პერიოდში, ეგრისში დამკვიდრებულა ჭანი დიდებულები ბაღვაშები. მათ დაიჭირეს დასავლეთ საქართველოს თითქმის ნახევარი. ვახუშტი მათ ძირით ლიპარტიანად მიიჩნევდა. დროთა განმავლობაში გვარი დაიშალა.

აკად. ვახტანგ ბერიძემ შეისწავლა რა ქორეთის და სავანის ეკლესიები, გამოსცა წარწერები, რომელიც ვ. სილოგავამ მეორედ გამოაქვეყნა.

სავანის, ქორეთის და დარკვეთის ეკლესიათა წარწერებში დასახელებული არიან XI ს. დასაწყისის არგვეთის ერისთავები ბაღვაშები, მაგრამ არა ლიპარტიანთა შტო, არამედ მათი განაყრები. ესენია ერისთავ გულზვიადის შვილები გიორგი და ხურსი. ეს უკანასკნელი შირიმის ომში (1022 წ.) დაიღუპა.

გიორგი ერისთავის ვაჟია, მომდევნო ერისთავი გოლიათი, რომელსაც დიდი ოჯახი ჰქონდა. მის შვილებს ერქვა: ანტონი, გოდობრელი, ლიპარიტი, კვირიკე, კოხალა და ლაჩხი. (ვ. სილოგავა „ლაპიდარული წარწერები". 2. 1980. 78), მათ რგანის ეკლესია აუგიათ. ჯრუჭის ეკლესია ხურსი ბაღვაშის აგებულია და საერთოდ, ამ საგვარეულომ სამშობლოს ბევრი სიკეთე გაუკეთა.

ხურსი, ლიპარტ მესამე და მისი ძე რატი, სამშობლოს დაცვას შეწირნენ.

აბაშიძეთა ფეოდალური სახლი, ბაღვაშთა მეორე სახლის, გულზვიადის, გიორგის, ხურსის და გოლიათ ბაღვაშის შთამომავლებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუხსნელი რჩება, როგორ ამოტივტივდნენ აბაშიძეები XV ს-ში არგვეთის მთავრებად, ან რატომ იმარხებოდნენ ბაღვაშთა საძვალე კაცხში. ასევე მიიჩნევდა პროფ. რეხვიაშვილი. აბაშიძეთა განაყარი შტოებია: **ფინეზიშვილი, ღაბუაშვილები.**

„ში" აფიქსით ნაწარმოებია 103 ქართული (მეგრულ-ჭანური) გვარი.

ჭანი მთავრები **გაბრები** XI-XII საუკუნეების ტრაპიზონის სამეფოში წამყვან პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ. XIII საუკუნის შინაომების დროს ისინი სამეგრელოს შეეხიზნენ (ხეთა) და **გაბრავებად** ჩაწერეს, ქართლში, **გაბარაშვილებად** ჩაეწერნენ. ისინი ქ. სამსუნს ფლობდნენ და ტრაპიზონის დიდი დუკები იყვნენ. სამეფოში უმაღლესი თანამდებობები ეჭირათ.

აბდულიში – აბდულის ძეს, მის მოდგმას, **გეგეშიძე** – წმიდა გიორგის ყმის შთამომავლს, **გურეშიძე** – გულისასძეს ნიშნავს.

ადვილი შესაძლებელია, რომ მარუშიანი-მარუშიძე-მარშანიათა გვარი, სოფ. მერუშეეთს უკავშირდებოდეს. მათ მამული თერჯოლის სიახლოვეს ჰქონიათ, რასაც გოდოგნის საყდრის წარწერაც მიუთითებს. მოიხსენებიან უშგულის ჟიბიანის ხატის (XIII ს.) წარწერაში (რ. ყენია, ვ. სილოგავა, „უშგული", 44)

ჩემიშიძეს ასახელებს ფარცხნალის ეკლესიის XVII ს. წარწერა.

შარვაშიძის წინაგვარი ქუაბულელ – ქობულიაა. შერვაშიძე ჭაჭას ძე, ოთაღო, ბაგრატ მეოთხემ, ანაკოფიის ციხის მოალყედ დასტოვა. ის კი აფხაზებმა „ჩაჩბა“-დ მონათლეს.

მოვსეს ხორენაცი წერს, რომ მეფე შაპუჰის დროს (III ს.) ჩრდილო-დასავლეთის უმთავრესი ქვეყნიდან, შეიძლება ითქვას ჩრდილოელთა შორის უპირველესი ხალხის, მამაცთა მოდგმის ჭენთაგან (ჩენთაგან, ა. ფ.) მოსულა სომხეთში ვინმე მამგონი, მამიკონიანთა გვარის წარმომადგენელი, ხოლო არტაგის დროს, სომხეთში ცხოვრობდა არბოკი ჭანბაკური. პროფესორმა ადონცმა, გაარკვია, რომ „ჩენთა“ ქვეყანა ჭანეთია.

ერთხელ. გაგულისებულმა ჭანმა მამიკონიანმა, არმენთა მეფეს, კადნიერად განუცხადა: „ჩვენ არასოდეს ვყოფილვართო თქვენი მსახურნი, ჩვენ ვიყავით ჭანი დიდებულნი, შესაძლოა თქვენზე უფრო წარჩინებულნი და ძმათა შორის ომმა, გვაიძულა აქ მოვსულიყავით“-ო.

ამ საგვარეულომ დიდი როლი შეასრულა სომხეთის ისტორიაში. ქვეყანას მისცა წმიდანები: საჰაკ დიდი (სომეხთა კათოლიკოსი) ვარდანი (სომეხთა სპასპეტი) და მისი ასული შუშანიკი (ქვემო ქართლის დედოფალი).

კაკუშაძეს ასახელებს მეფე სოლომონ პირველის 1778 წლის „შენირულობის წიგნი“, სოფელ მანდიკორის (ოკრიბაშია) მცხოვრებლად.

ბ) „ბერი“, „ბერა“ და „ბერე“ აფიქსიანი გვარსახელები

ახლა გარკვეულია, რომ ამ აფიქსებით ნაწარმოები გვარსახელები ჭანურია, რადგან „ბერი“ ჭანურად „შვილს“ – „ვაჟს“ ნიშნავს. აკი ჭანეთში არსებობს ანსამბლი „ზღუაში ბერები“ („ზღვის შვილები“). მათ გვარებს სუფიქსად „ა“, „ძე“, ან „შვილი“ დართვიათ (იხილეთ დათვის ბელი, ხის ჩამობელვა...).

ამგვარი გზით არის ნაწარმოები ჭანური გვარსახელების გაქართულებული ფორმა.

გვარსახელი „გოგიბერიძე“ იშიფრება, როგორც „გოგი-ში ბერე - შიძე“, რომელშიც „ში“, აფიქსი ამოვარდა და „ძე“ სუფიქსი დაერთო.

სულაბერიძე მიღებულია „სულაში-ბერეში-ძედან“, რაც სულას ვაჟიშვილს, სულას ძეს, მოდგმას ნიშნავს. ღოღობერიძე მიღებულია „ღო-

ღიაშ-ბერეში-ძედან“. „ძე“ აქაც გვიანდელი დანართია, რაც გაარკვია აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. ის აღნიშნავს, რომ ამ გვარსახელს, სავარაუდოდ უდევს მამაკაცის საკუთარი სახელი ღოლა, „ღოლაისძე“ და ჭანური ღოლა (იშ) ბერე(ში) ე. ი. ღოლას ვაჟიშვილი.

ასეთი გვარები მოგვყავს ალფაბეტის მიხედვით:

ბერა-ია;
ბერა-შვილი;
ბერა-ძე;
ბერ-დელიძე;
ბერია-შვილი;
ბერე-კაშვილი;
ბერე-ლიძე;
ბერე-ჩიკაძე;
ბერე-ჩიკიძე;
ბერ-ზელია;
ბერ-ია;
ბერი-შვილი;
ბერი-ძე;
ბერ-სელიძე;
ბერ-დესელია;
გვამ-ბერი-ძე;
გიგი-ბერი-ა;
გოგი-ბერი-ძე;
გოგი-ბერი-ა;
გიორ-ბერი-ძე;
გიორგ-ბერი-ძე;
გოგა-ბერა-შვილი;
გოგო-ბერი-ძე;
გოგ-ბერა-შვილი;
გოგ-ბერი-შვილი;
გუგ-ბერი-ძე;
გუგუ-ბერი-ძე;
გუგუმ-ბერი-ძე;
გულა-ბერი-ძე;
გუმ-ბერი-ძე;
გუგ-ბერი-ძე;
დავლა-ბერი-ძე;
დაჩი-ბერი-ძე;
დედა-ბერი-ძე;
დიდ-ბარი-ძე;
დიდ-ბერი-ძე;
დოლა-ბერი-ძე;
ედი-ბერი-ძე;
ვაჩი-ბერა-ძე;
ვაჩი-ბერი-ძე;
ვაჩ-ბერი-ძე;
თავ-ბერი-ძე;
თით-ბერი-ა;
თით-ბერი-ძე;
თით-მერი-ა;
თუთ-ბერი-ძე;
იანტ-ბერი-ძე;
კაკუ-ბერი;
კაკუ-ბერი-ა;
კახა-ბერა-შვილი;
კახა-ბერი-ძე;
კახი-ბერი-შვილი;
კილა-ბერი-ა;
კო-ბერი-ძე;
კუ-ბერი-ძე;
ლოსა-ბერი-ძე;
მაჩა-ბერი-ძე;
მაცა-ბერი-ძე;
მიქა-ბერი-ძე;
ნიკა-ბერი-ძე;
ნიქა-ბერი-ძე;
სახამ-ბერი-ძე;
სულა-ბერი-ძე;
ტურა-ბელი-ძე;
ქუჩუ-ბერი-ა;
ღვამ-ბერი-ა;
ღვა-ბერი-ძე;
ღოღო-ბერი-ძე;
ყუ-ბერა-ძე;
შალამ-ბერი-ძე;
შეშა-ბერიძე;
შუშა-ბერი-ძე;
ჩაკა-ბერი-ა;
ჩხა-ბელი-ა;
ჩხა-ბერი-ა;
ჩხა-ბერი-ძე;
ცხადა-ბერი-ძე;
ჭამ-ბერა-შვილი;
ჭიქა-ბერი-ძე;
ჭუმ-ბური-ძე;
ხაჭი-ბერი-ძე;
ხოზ-ბერი-ძე;
ხუცა-ბერი-ძე;
ხუცი-ბერი-ძე;
ხუცუ-ბერი-ძე;
ჯამუშ-ბერი-შვილი;
ჯან-ბერი-ა;
ჯან-ბერი-ძე;
ჯოხტა-ბერი-ძე;
ჯუმ-ბერი-ძე;

გვარსახელ დედაბერიძეს ასახელებს ჯვარისაში (ოკრიბას) 1578 წ. საქუთათლო საგადასახადო ნუსხა. ჩამოთვლილ გვარსახელებში „თითმერია“ უდავოდ „თითბერიას“ შერყვნილი ფორმაა. „კახაბერიძე“, ბაღვაშთა განაყარი შტოა. „ტურაბელიძეში“ ეჭვს არ იწვევს მეორე „რაე“-ს „ლასით“ შეცვლა. ქართულში, ერთ სიტყვაში, გრამატიკა ძნელად ეგუება ორ „რაეს“. აკი ძველები „დირექტორს“ გამოთქვამდნენ, როგორც „დილექტორს“.

გიგიბერია იხსენიება შამადავლა დადიანის „შეწირულების წიგნში“ (1470-1474 წწ.), მეორედ კი „ბიჭვინთის იადგარში“ (ს. მ. 1924 წ. 2. 195).

დიდბარიძეები ტყიბულის რაიონის სოფ. ჯვარისაში მკვიდრობენ, ე. ი. თავიანთ ძველ სამკვიდროში.

„აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი“, მაცაბერიძეს ასახელებს ბაშის მკვიდრად.

ოჯოლელი ლოსაბერიძენი, 1787 წლის წყაროში „ლომსაბერიძე“-ებად იწერებიან (ს. ს. 2 გვ. 91). 1621 წლის ზემოთ დამოწმებულ საკათალიკოსო დავთარში, დასახელებულია შუყერში მცხოვრები ლომსაბერიძენიც (ი. დოლიძე – ქ. ს. ძ. ტ. 3, გვ. 619).

ანტონ ხონელმა მთავარეპისკოპოსმა, ნება დართო თავად კაცია წულუკიძეს, ჯოხტაბერიძის მამულის შესყიდვაზე. მაშინ ჯოხტაბერიძეს, მამული ხონელის სამწყსოში ჰქონია. ეს XVIII ს. ბოლო პერიოდით თარიღდება.

გოგიბერიძეები რომ ნამდვილად ჭანებია, ამას ადასტურებს მათი მკვიდრობა სწორედ ჭანეთის საზღვართან. გურიაში, ჩოხატაურში, ქვენობანში და ნაწილისა ვანში (ი. მაისურაძე).

„ხევისბერიძე“, დასახელებულია იმერეთის მეფის, გიორგი მეორის (1569 წ.) „შეწირულების წიგნში“ (ს.ს. I გვ. 18). ამავე საბუთში, წყალწითელას „გამოსავალში“, დასახელებულია გვარსახელი ბერიძე.

1578 წელს, პიტნისხევის მკვიდრად დასახელებულია გუგუმბერიძე, კახაბერიძე და კახაბერაშვილი („ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარი“, 1576 წ.). იგივე საქუთათლო დავთარი ფერსათში ასახელებს: თუთუბერაძეს, კახაბერაშვილს, კახაბერიძეს და ბერაძეს.

ბერია ეკ. ჭავჭავაძის მიმოწერაში, გორდი-ლეჩხუმის გზის შეკეთების მეთვალყურე იყო.

„ბერე“ ახლავს 92 გვარსახელს.

ი. მაისურაძე გვარწმუნებს, რომ წყაროებში ღოღობერიძეები XIII ს-დან ჩანან.

მის შეცდომას ამხელს ვანის მარმარილოს სვეტის და ზარზმის ხატის წარწერები, რაც ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა. „ქართლის ცხოვრების" თანახმად, ესენი XI ს. იჭერენ დიდ თანამდებობებს. გარდაცვლილი ბაგრატ III, მისმა სპასპეტმა, ზვიად ერისთავთ-ერისთავმა (ღოღობერიძე. ა.ფ.) ბედიას დაკრძალა. ამავე პირის ხელში დალია სული გიორგი პირველმა.

ლაშაბერიძე, ლაშას შვილის შთამომავალია, ხოლო ყველაზე ხალხმრავალი გვარი ჭანური ბერიძეა (24 ათასი კაცი).

კახაბერიძე, XI ს-ში ბალვაშთაგან განაყარი შტოა, იგივე მხეიძეებია და ზოგი მათგანი „მხეციძედ", სამეგრელოში „ხეციად" იწერებოდნენ. კახაბერიძეებმა კლდეკარის საერისთავო რომ ჩამოერთვათ, საკომპენსაციოდ რაჭა მიიღეს. ნიკორწმიდის ტაძარს რომ აწერია, „კახაბერყოფილი" კირილე, ესაა ამ გვარის ფუძემყრელი.

ბოლოს კახაბერიძეებს ჩხეიძეები შეერქვათ. მათგან მოდიან ფაღავები, დადიან-ლიპარტიანები და ღოღობერიძენი.

ბერიძე მთიულეთშიც ნაცხოვრება. ამ გვარს ასახელებს დიდი ვაჟა „ბახტრიონში" და „ბერიძე გაუტეხელში".

იგივე „ბიჭვინთის იადგარი" ასახელებს დედაბერიძეს.

ვაჩიბერიძე და ვაშბერიძე რომ ერთიდაიგივეა, ამაზე უკვე ვწერდით.

ბერეკაშვილები, როგორც მშენებელი-კალატოზები, დასახელებულია ქუთაისელი მკვლევარის, არქივის დირექტორის, ბატონ მ. კეზევაძის ერთ სტატიაში.

საერთოდ კი, მეგრულ-ჭანური გვარების ჩამოთვლა-კვლევა, ღრმად გვარწმუნებს, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის 80% მკვიდრი, კოლხურია, ე. ი. მეგრულ-სვანურია.

გ) „ტი" აფიქსიანი გვარსახელები

ჭანურ ენაში, „ტი" აფიქსი, თითქმის ისეთსავე როლს ასრულებს, როგორიც „ში"-ა. ის კუთვნილება-სადაურობას, ან მოსაქმეობას გამოხატავს. ამ მხრივ, ყველაზე ძველია ტერმინი „აიეტი" და „აიანტი", რაც „აიელს", კოლხს ნიშნავს. ის ხომ აიას მფლობელი იყო.

ასეთებია გვარსახელები: აშოტი, ბაგრატი, გოგიტი, სოგბატი, სუმბატი, იაღიტი (ზეთის მხდელი), კორტი (ქედმაღალი, ზვიადი, შეადარეთ კორტოხი), კვატატი (კვატის, დაბლის შვილი), კავაზიტი (კავსა-კავსაძე), კობახიტი (კობახია, კობახიძის წინაგვარი), მაზიმიტი (მაზმიშვილ-მაზნიაშვილთა წინაგვარი), მაჭუტი (მტკივანი, ტკივილიანი თუ ავადმყოფი, მაჭუტიძის წინაგვარი). ჭანიხიტი (ჭანიების, ჭანტურაიების წინაგვარი) ღლონტი (ალბათ ღლავის მაგვარის შვილი), ხუბუტი (ეპონიმიდან: ხუბუტია, ხუბუტეიშვილი).

მათხოჯში ბარამია-ბარაბაძეთა ორი, ქედმაღალი ხასიათის ოჯახთა შთამომავლები, ახლაც „კორტებად" იხსენებიან.

კავასიტ-კავსები ხალდიის (ხალიბ-ჭანეთის) დუკები და დიდებულნი იყვნენ. ჰქონდათ ტრაპიზონის იმპერიის დომესტიკის (მხედართმთავრის თანამდებობა და ლოგოთეტობა (ამერიჯიბის, ჰეროლდის მსგავსი სახელოა).

კომახიტები, მაზიმიტები, ჭანიხიტები, კავასიტები, გაბრები (გაბრავა), მაჭუტები, ქვეყნის ყველაზე დიდი საგვარეულოები, XIII ს. დას. საქართველოს შეეხიზნენ, ტრაპიზონში, გაჩაღებული სისხლისღვრის გამო.

მამიკონიანები სომხებს II ს. შეეხიზვნენ, ხოლო ტაოს და კლარჯეთის მთავრები ბაგრატიდები, ორ შტოდ გაიყვნენ V ს. ისინი სომხეთში ნახარარები (იშხანები) ხდებიან, ხოლო VI ს. ქართლის ერისმთავრობას მიაღწიეს.

დ) „დო" – პრეფიქსიანი გვარსახელები

არცთუ იშვიათია ქართული გვარსახელები, რომლებიც „დო" პრეფიქსით არის ნაწარმოები, ეს კი ჭანურში ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც „სა" აფიქსი ქართულში. ის ჩვეულებრივ ნათესაობას, მდგომარეობას, მოხელეობას და კუთვნილებას გამოხატავს. დოლოპები ზანური ტომი იყო დარდანებთან ერთად. ესენია:

დო-ბორჯგინიძე;	დო-გუზაშვილი;	დო-ლბაძე;
დო-ბაძიშვილი;	დო-კვაძე;	დო-დელია;
დო-გრაშვილი;	დო-კოშვილი;	დო-დელავა;
დო-გუნაშვილი;	დო-ლანაძე;	დო-ლაძე;

დო-ლაკიძე;
დო-ლაბერიძე;
დო-ლუაშვილი;
დო-ლაბარჯაძე;
დო-დანაძე;
დო-ლბანძე;
დო-ლაქიძე;
დო-ლიკაშვილი;
დო-ლია;
დო-ლაძე;
დო-ლიძე;
დო-მიძე;
დო-ნაძე;
დო-ნდუა;
დო-ნდვანი;
დო-ნდუაშვილი;
დო-ნჟაშვილი;
დო-დვანი;
დო-ნდოლაძე;
დო-ლბაია;
დო-ლანაძე;
დო-ნანია;
დო-ჩია;
დო-ჭვირი;
დო-ხნაძე;
დო-ჩანაშვილი;
დო-ღონაძე;
დო-ჯაძე.

„დოლაკინი“ მეგრულად ურდულია. აქედან, გვარსახელი „დოლაკიძე“, „მეურდულეს“, ან „ჩამკეტს“ ნიშნავს.

„ქუთაისის საყდრის დავთარი“ ასახელებს (1578 წ.) გვარს „დოლაბარჯიძეს“. მისი მსგავსია **„დობორჯგინიძე“**. ეს გვარი ლანჩხუთის სიახლოვეს ცხოვრობს. **დოგრაშვილები** სოფელ ზეგანში (ბაღდათის რაიონი), **დოლაბერიძენი** მაღლაკში, (წყალტუბოს რ-ნი). **დოლიძეები** ჩოხატაურის სოფელ ამაღლებაში, **დონაძეები** ლიხაურში, **დონდოლაძენი** მამათში (ლანჩხუთის რაიონი), **დონჟუაშვილები** გაფანტული არიან დასავლეთ საქართველოში, დოლონაძეები ოკრიბაში (ორპირში) მკვიდრობენ.


ჩვენ „ნარკვევების“ მესამე წიგნში, საკმაოდ ვისაუბრეთ ჭანურ ფეოდალურ საგვარეულოთა შესახებ. ჩამოვთვალეთ უმთავრესი ფეოდალური საგვარეულოები. ისიც გავარკვიეთ, როგორ მიაღწიეს ბაგრატიონებმა მეფობას, ჯერ სომხეთში, შემდეგ საქართველოში...

ვერგილიური ერთ ეგტრუსკ მეომარს „დოლიქონის ძეს“ უწოდებს.

დოჩანაშვილი წმიდა ჭანური გვარია და ის ოჩეს, ყანასთან დაკავშირებული ტერმინია.


ამბროლაურელი **დოხნაძეები**, ეტყობა კავსას (კავსაძე) საგვარეულოს შემოჰყვნენ ეგრისში. 1659 წ. ერთი საბუთი **დონაძეს**, ხოლო ქუთაისის საყდრის დავთარი **დოლაბარჯიძეს** ასახელებს.

„დო“ აფიქსით, საქართველოში 40 გვარია ნაწარმოები.






შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები წალკიდან და წნორიდან




აია – კოლხეთის მეფე აიეტი და მისი და-ძმები



საყდრის-
ყაჩაღიანი



კავკასიური რასის გავრცელების არეალი



კავკასიური ჰაპლოჯგუფების გავრცელების არეალი




კავკასიის მოდგმის განსახლების არეალი



კოლხეთის რუქა ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი



დედაღვთაება – ნენანა (დია)



მედეა



კოლხური დიდრაქმა ნიღბიანი ქურუმის გამოსახულებით

ე) გასომხებულნი, გაოსებულნი

ახლა გასომხებული და გაორებული ქართველების შესახებ.

შეკრეს რა, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მითროდატე პონტოელმა და ტიგრან მეორე არმენმა, ძვ. წ-ით 93 წელს კაპადოკია დალაშქრეს – 300 ათასამდე მოსახლე, ტიგრანმა არმენიაში გადარეკა და იმით ტიგრანოკერტი დაასახლა. კაპადოკია კი დარჩენილი მოსახლეობით და ნაძარცვი ქონებით, მითრიდატეს დარჩა.

გვიან საუკუნეებში, სავაჭრო ნიჭის მქონე სომხებმა, რუსეთში, ირანსა და ოტომანთა იმპერიებში, პრივილეგიები მიიღეს და რჯულიც შეინარჩუნეს.

1828-29 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, მუსულმანი ქართველები, რუსებმა გარეკეს და მათ ნამოსახლარზე, სამცხე-ჯავახეთში, თურქეთიდან 30 ათასი სომხური ოჯახი ჩამოასახლეს, სუბკარაპეტა (ბაგრატიონის) მეთაურობით.

V-VI ს-ში **ბაგრატიონები,** უკვე სომხეთის დიდი იშხანებია, ხოლო არაბთა ბატონობის დროს, მეფობაც მოიპოვეს (ანისში, „ტაშირ-ზორაკერტში, ჰერეთში), შემდეგ ტაოში და ქართლში. ისინი ტაო-კლარჯეთ-შავშეთის მემკვიდრე მთავრები იყვნენ, წარმოშობით ჭანები.

მეფე გიორგი III (1156-84 წწ), ბატონიშვილ დემნას მომხრეებს რომ დაერია (1177 წ.) ივანე და სუმბატ **ორბელების** ოჯახები სომხეთს შეეხიზნენ, სადაც ისინი „ორბელიანებად“ ჩასწერეს და სივნიეთის ნახარაობა ებოძათ.

ავიღოთ სომხური გვარსახელი **ვასკანიანი.** ეს წმიდა ზანურ ფუძიანი ტერმინია, რომელშიც „ვა“ მეგრული, უარყოფის აღსანიშნავი აფიქსია, ხოლო სკანი „შენს“, „შენსას“, ე. ი. ეს გვარი არა შენიანს, სხვისას ნიშნავს, ხოლო დაბოლოება იანი, შესაძლოა თვით ქართული იყოს. „ია“ -თი ნაწარმოები გვარსახელები ხომ ძველად „იანით“ მთავრდებოდა.

გვარსახელ **ბაღდასაროვს,** ფუძეში „ბაღდა“, ქართული ფუძე დევს. შეადარეთ გვარსახელი ბაღდავაძე.

ფეოდალურ სახელმწიფოებში, შერეულმოსახლეობიან რეგიონებში, ქართველი, ხშირად „თათრად“ ან „სომხად“ მიიჩნეოდა.

ბიჭიაშვილი, მონოფიზიტობის გამო, **გულიაშვილისა** არ იყოს, „სომხად“ მონათლეს.

მსგავსი სიტუაციების გამო, სამცხე-ჯავახეთში, სომხურ გარემოცვაში ვინც კი მოხვდა, მონოფიზიტობა მიიღო. XIX საუკუნეში, ბევრი, რუსის მოხელეებმა „სომხებად“ ჩასწერს, არადა მათი გვარების ფუძეები წმიდა ქართულია. თეთრიწყაროში მცხოვრები 540 დანელია, დანელიადან ჩაიწერა, არადა მარტო მარტვილის რაიონში 5600 დანელიაა. ბევრი დანელია დანელოვად ჩაწერეს (ა. სილაგაძე, ა. თოდაძე), სიმონია – სიმონიანცებად, სააკაძე – სააკიანად.

ახლა თვალი გადავავლოთ გასომხებული ქართველების გვარებს: ზაქარეიშვილები – ზაქარიანად, ვარძელაშვილი – ვარძენიანად, ვარსიმაშვილი ვარსიგულოვად, ლალიანი – ლალაიანად (რაც ზანურად უქნარა და ზარმაცია), ვახრამიშვილი – ვახრამიანად, სარია – საროიანად, სანაძე – სანოიანად, სარჯველაძე – სარჯიანად, საფარიძე – საფაროვად, სახტარიძე – სახტაროვად, სვანი – სვანიევად, სინჯიკაშვილი (შინჯიკაშვილი) სინჯოიანად, სოგბატი – სოგბატიანად, სოხაძე-სოხინ-სოხაიანად, კოიძე-კოიანად, ტატიშვილი – ტატეოსიანად და ტატოიანად, ტოხვაძე – ტოხოსაშვილად, ტუნაძე – ტუნიანად, ფახურიძე – ფახუროვად, ღამბარაშვილი – ღამბაროვად, ჩეჩელაშვილი – ჩეჩელიანად, ჩერქეზია – ჩერქეზოვად, ცაცუა – ცაცურიანად, სოლომონია – სოლომონიანად, ხასაია – ხასიევად, ხატისკაცი – ხატისოვად, ხუციშვილი – ხუციევად, დარჩია – დარჩიევად.

ასევეა გადაკეთებული მამისთვალოვი, მამეიანი (მამეიშვილი), ზანდაძე – ზანდარიანად, სანგულაძე – სანგალოვად, სანოძე – სანტორაძედ ჩაუწერიათ.

მამულოვი მამულიანად (მამულია – მამულაძე), ქობულია – ქობულაძიდან ქობულოვი „გამოჩეკილა“. მარკოიძე – მარკოიანად, ღარიბაშვილი – ღარიბაევად, ბარათაშვილი – ბარათოვად, მარგიანი – მარგიევად, ბახია – ბახტაძე – ბახტუროვად, აზარაშვილი – აზარიანად, აჭარაძე – აჭარიანად, ზურაბიშვილი – ზურაბიანცად, მცინარიძე – მცინარიანცად, მღებრიშვილი – მგებროვად, მგებრიანცად. (ეს გვარები მოაქვს ილია ხონელს თავის ნაშრომში (ხონის მუზეუმში დაცული დ. ნაცვალაძის დისერტაცია. 1966. 133).

ავიღოთ გვარსახელი „კოჩინიანი“, ან კოჩარიანი. მათ ფუძეში „ძევს“ მეგრული კოჩი (კაცი). ასევე ხოჯი, ანუ ხარი, აფიქსად აქვს გასომხე-

ბულ ხოჯელიანს (ხოჯავა), არეშიძე – არეშოვად, ხარაბაძე – ხარებოვად, ფაილოძე – ფალიანი – ფაილიანად, შუშანია – შუშანაშვილი, შუშანიანად ჩაუწერიათ.

ბერუჩევი კომპოზიტია და „შავტუხა ვაჟის ძეა“ ზანურად.

აჯამიანის ფუძე აჯამი, ანუ გულღრძოა ბეროვის ფუძე ჭანური ბერი-ბერიძეა.

შიგა ქართლის ზანურ-ქართული მოსახლეობის ნაწილი, რუს მოხელეებს და ოს ჩინოვნიკებს „გაუოსებიათ“.

გაბრა-გაბრავა-გაბარაშვილი-გაბარაევად;

ცხოვრებაძე-ცხოვრებოვად;

ხეთაგური – ხეთაგუროვად;

აბდალაძე – აბდალოვად;

ძიგანია – ძიგიევად;

სიორდია – სორდიროვად,

ჩეკურიშვილი – ჩუკუროვად და ა. შ.

ჩოჩია – ჩოჩიევად.

ასე გააუცხოვეს ქართველები მომხვდურებმა.

თავი მეცამეტე

ა) ტომობრიობის აღსანიშნავი გვარსახელები

ქართიზაციის პროდუქტია დასავლეთ საქართველოში, ისტორიულ ეგრისში გაჩენილი ტომობრივ-ეროვნული კუთვნილების აღმნიშვნელი შემდეგი გვარსახელები:

აბსავა;
აბსაძე;
აბსანძე;
აბსანიძე;
აბსარიძე;
აბშილავა
აბხაზავა;
აბხაზი;
აბხაიძე;
ავსანიძე;
აფსავა;
აფსაჯანიშვილი;
აფშილავა;
აფხაზაშვილი;
აფხაიძე;
აფხაძე;
აფხაზავა;
აფხაზია;
აფხაზი;
აფხაზოვი;
ბერძენია;
გურიელი;
გურიელიძე;
გურული;
გურულიშვილი;
ეგრისელაშვილი;
ესვანჯია;
ზანაქიძე;
ზანდუკელი;
ზანბახიძე;
ზაბახიძე;
თურქია;
თურქაძე;
იმერლიშვილი;
კახელი;
კახიანი;
კახიძე;
კახეთელიძე;
ლაზარია;
ლაზარეიშვილი;
ლაზაშვილი;
ლაზბა;
ლაზიდი;
ლაზუაშვილი;
ლაზაშვილი;
ლაზგანი;
ლაზიაშვილი;
ლაზიევი;
ლაზიშვილი;
ლაზუზბაია;
ლაზბაია;
ლეჩხუმელი;
მარგველანი;
მარგველაძე;
მარგველაშვილი;
მარგველიძე;
მეგრელაძე;
მეგრელი;
მეგრელიძე;
მეგრელიშვილი;
მესხია;
მესხაძე;
მესხი;
მესხელი;
მესხიშვილი;
მუსხაჯბა;
რაჭველი;
რაჭველიშვილი;
სანავა;
სანაია;
სანაძე;
სანანოიძე;
სანგულია;
სანდუხაძე;
სანებლიძე;
სანიძე;
სანიკია;
სანიკიანი;
სანიკიძე;
სანოძე;
სანიშვილი;
სანტურიანი;
სვანიძე;

სვანაძე;
სვანიშვილი;
სირია;
სირაძე;
ფრანგიშვილი;
ფრანგულაშვილი;
ფრანგულიანი;
ქართბაია;
ქართველიშვილი;
ქაშაკაშვილი;
ქორთუა;
ქორთუაშვილი;
ყიფჩაყიძე;
შვანგირაძე;
შოგირაძე;
შონია;
შონიძე;
შონვაძე;
შონური;
ჩერქეზია;
ჩერქეზიანი;
ჩერქეზი;
ჩერქეზიშვილი;
ჩერქეზოვი;
ჭანუყვაძე;
ჭანყოშვილი;
ჭანჭალეიშვილი;
ჭანბა;
ჭამბა;
ჭანიძე;
ჭანკოტაია;
ჭანკოტაძე;
ჭანტურაია;
ჭანტურია;
ჭანტურიძე;
ჭანტურიშვილი;
ჭანიშვილი;
ხაზალია;
ხაზარაძე;
ხაზარბეგიშვილი;
ჯავახაძე;
ჯავახია;
ჯიქია;
ჯიქიძე;
ჯიქაბერიძე;
ჯიქაძე;
ჯიქიძე;
ჯიქურაძე;
ჯიქური;
ჯინჯიჭანიძე;

ავიღოთ გვარსახელი ხაზარაძე. ეს გვარი, ისტორიული ეგრისის ცენტრში, სამტრედიის რაიონში, (ბაშში) ცხოვრობს და აქედან განსახლდა სხვა ქალაქებში.

„ხაზარაძე“, ეგრისის სახელმწიფოში მაშინ უნდა დამკვიდრებულიყო, როცა ქართველებს ვოლგა-დონის ქვედა სივრცეში მომთაბარე ამ დასავლურ-თურქულ ხაკანათთან, გაცხოვებული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა.

ეს არის VIII ს. მეორე პერიოდი, ეგრისის სამეფოს შექმნა-განმტკიცების, ეგრის-აფხაზეთის ფეოდალური სახელმწიფოს მმართველის, ლეონის (ზოგის აზრით ბაგრატიონის) მეფობის ხანა.

„ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ ის იყო „ასულის ნული ხაზართა მეფისა“.

ლეონის დედას, ეგრისში გამოთხოვილ ხაკანის ასულს, ამალაც შესაფერისი მოჰყვებოდა. ზოგი ეგრისში დამკვიდრდა და მათი შთამომავლებია „ხაზალიები“, „ხაზარაძენი“ და„ხაზარბეგიშვილნი“.

ვფიქრობთ, მსგავსი გზით დამკვიდრდა ეგრისში: „თურქია“, „თურქაძე“ და ქართლში „თურქესტანიშვილი“. არაბთა მძლავრობის პერიოდში, ხაზართა ხაკანათს, ბიზანტიის იმპერატორები აქტიურად იყენებდნენ სარკინოზთა წინააღმდეგ. აკი არაბთაგან შევიწროებულმა

ქართლის ერისმთავარმა ნერსემ, ჯერ ეგრისს შეაფარა თავი, შემდეგ ხაზარეთს გაემგზავრა, სამხედრო მოკავშირის შესაძენად. შეიძლება მასაც აახლეს თურქებმა რამდენიმე ხაზარი.

„აბს“, „აბშ“, „აბხ“ აფიქსები ძველ ზანთა, დასავლური დასახლების სატომო სახელს უკავშირდება. ამ აფიქსებით ნაწარმოები გვარები, წარმოშობით ზანებია, ეგრელთა გვერდით, იგივე ფხაზე მცხოვრებნია.

ასევე აფშილები, წყაროებ-ბუჩქნართან, პატარა მდინარეების პირას მცხოვრებნია, ისევე როგორც ფშავლები. ისინი სხვა ენაზე მოსაუბრეები კი არა, მეგრელებია. აკი XVII ს. ავტორი, ქრისტეფორე კასტელი წერდა, რომ აფხაზები მეგრულად საუბრობენო. მათი გვარები ხომ მხოლოდ ზანურად „იშიფრება“ (აბხაზავა, აფხავა, აფშილავა, აბხაზი და მისთანანი).

ზანბახიძე და ზამბახიძე, არსებითად ერთიდაიგივეა და ზანს უკავშირდება. ზანბახიძე ზანი ბახიას შვილს ნიშნავს. მისი მსგავსია, ზანკალიანი (ე. ი. კალაში მცხოვრები ზანი), ზანაძე, ზანგალაძე, ზანგულოვი, ზანგურაშვილი, ზანგური, ზანგურიძე, ზანდარაძე, ზანდარიანი, ზანდუკელი, ზანტარაია, ზანდარაია, ზამთარაძე, ზანაქიძე.

ასევე ზან-სანს აღნიშნავს შემდეგი გვარები: სანამაშვილი, სანაშვილი, სანაძე, სანგულია, სანდუხაძე, სანებლიძე, სანთელაძე, სანიკიძე, სანიკიანი, სანიშვილი, სანიძე, სანოძე...

ბ) სვანოკოლხები ეგრისის სამეფოში

ჩვენ საკმაოდ ვისაუბრეთ ანტიკური ხანის სვანების შესახებ...

ფეოდალური ხანის სვანეთი იყო სამშობლოს ჭეშმარიტ შვილთა საიმედო საბუდარი, რაინდთა აკვანი, ქართული ხელოვნების ძეგლთა განძთსაცავი, თავისებური, არქაული ეთნოგრაფიით.

XI საუკუნიდან, სვანეთის ერისთავი (ვარდან) ვარდანიძე იყო.

გიორგი მეორის მეფობის პირველ წლებში მან, ივანე ლიპარტისძემ, (ბაღვაშმა), ნიანია ქვაბულიძემ, უნებისყოფო მეფეს ქვეყანა აურიეს.

ვარდან „ჩამოასხა სვანნი ავის მოხარკულნი და ააოხრეს ეგრისი“.

მეორედ, 1363 წელს, განაწყენებულმა სვანებმა, იმერეთი მოაოხრეს და ქუთაისიც გადაწვეს. განრისხებულმა ბაგრატ V-ემ ამის გამო, სასტიკად დასაჯა ისინი.

ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, ქვემო სვანეთის მოსახლეობა, თავად გელოვანის მეთაურობით, იმერეთის მეფეს ემსახურებოდა, XVII ს. ბოლოდან კი ზემო სვანეთთან ერთად ოდიშის მთავრის, დადიანის ვასალი იყო.

თ. ჟორდანიას ცნობით, დადიანის ბეჭედზე ამის გამო ეწერა:

„მიჭირავს სვანი,
და ზღვანი შავნი
ოდიშ-ლეჩხუმს ვფლობ,
ვარ დადიანი“.

დღევანდელი ჭიათურის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, წყალტუბოს, ხონის, მარტვილის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონების ჩრდილო ნაწილში, მ. ქალდანმა და გ. გასვიანმა, მრავალი სვანური ტიპონიმი აღრიცხეს. ასევე, ძველად, ლეჩხუმის ჩრდილო სოფლები, სვანებით ყოფილა დასახლებული. მარტვილის – „კურზუ“, ხონის „ასხი“, „ლეხი“, ჭიათურის „კაცხი“, წყალტუბოს „ცხუნკური“ სვანური ტოპონიმებია. როგორც ზევით აღვნიშნეთ, სვანეთის საზღვარი, ჩრდილო-დასავლეთით კოდორის ხეობას, ცხუმს და თვით გაგრასაც მოიცავდა. „მარუხი“ – სვანთა კარს, საცხოვრისს ნიშნავს.

მოსახლეობის შემცირება ბარში და ზრდა მთაში, იწვევდა მათს ჩამოსახლებას ეგრისის ბარის სოფლებში. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები, სამხედრო წარჩინების კვალობაზე, სვან რაინდებს, უბოძებდნენ ფეოდს ბარის ზონაში. ეს კანონზომიერი პროცესი იყო.

ასე ჩამოსახლდნენ ბარის ზონაში: ავალიანები, ჩარკვიანები, ასათიანები, აფაქიანები, ამბროლიანები (იხსენებიან ჩვაბიანის საყდრის X საუკუნის ქტიტორულ წარწერაში), ახვლედიანები, ხარძიანები (ღვინიანიძეთა წინაგვარი), ბურჯალიანები (შეაქდარეთ ბურჯანაძე), გაბისონიანები (შეადარეთ გაბისონია), გაბუნიანები (შეადარეთ გაბუნია), გელბახიანები, გიორგობიანები, გოშხეთელიანები, გოლეთიანები, მიქელიანები (მიქელაძენი), ლაჭყებიანები, ქომეთიანები, ლორთქიფანიძენი, დევდარიანები, მაჭავარიანები, კვანტალიანები, მეშველიანები, ქელბაქიანები, დაშნიანები, მეიფარიანები, კოპალიანები (შეადარეთ კოპალეიშვილები), ჯიშკარიანები, ფულარიანები (იმერელ მოსეშვილთა წინაგვარი).

ასევე ჩამოსახლებულან დასავლეთ საქართველოს ბარში: ქვარიანები, რატიანები, ქურდიანები, ხერგიანები (ხერხაძეთა წინაგვარი), ფარჯანიანები (ჯაიანთა წინაგვარი). მართალია, სვანეთის საისტორიო წყაროებში მიქელიანები იხსენიება, მაგრამ მათი წინაგვარი მიქელაია უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ უმრავლესობა აჭარაში ცხოვრობს. მათი წინაპართა ერთი ნაწილი სვანეთს, ჟამთა სიავის გამო შეეხიზნა.

ასევე სვანეთიდან ჩამოსულან: არეშიძეები, გოშხეთელიანები და მაღლაფერიძეები. ამათგან არეშიძე წმინდა ჭანური გვარსახელია, მაგრამ მაღლაფერიძეები, ბარიდან ძველ დროს მთაში შეხიზნული გვარია.

ბახსოლიანები კახეთში და იმერეთში, სწორედ სვანეთიდან ჩასახლდნენ.

დავითულიანები XII ს. ჯერაც უშგულში ცხოვრობდნენ, რაზედაც მიუთითებს უშგულის მურყმელის საყდრის საკურთხევლის წინა ჯვრის წარწერა:

„დედაო ღვთისაო და ივედრე
გიორგი დავითულიანი ამინ“.

უშგულში არის ერთი საინტერესო წარწერა, იოანე ჭაბიანისა, მისი მეუღლის თაბასი და მათი ძეებისა. ჩვენი აზრით. „ჭაბიანი“, **ჭაბუკიანთა** წინაგვარია.

ვ. ბაგრატიონი წერს, რომ დასავლურ – ქართული საგვარეულოს, ანჩაბაძის შთამომავლებია **მაჩაბლები**. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა სოფ. ჟიბიანის (XIII ს.) ლამარიას ეკლესიაში დაცული ვერცხლის კარედის წარწერა:

„...მეოხ და მფარველ გვექმენ მოსავთა და მამკობელთა ხატისა შენისა მე, მეჩაბალახი (ძესა) ესონსა და მეუღლესა ჩემსა ბარბალეს...“ („უშგული“, გვ. 46). „მეჩაბალახი-ძე“-ს ფუძეს მსგავსება **მაჩაბელთან** მგონი საეჭვო არ უნდა იყოს.

უშგულის მურყმელის (XIV ს.) ღვთისმშობლის ხატზე აწერია:

„დედაო ღვთისაო, შეიწყალე და მამაი და შალიკასა ცოდვანი“.

„შალიკა“ „**შალიკიანთა**“ სვანი წინაპარია. სვანეთის მოსახლეობის მომრავლების გამო, ეს გვარი უნდა ჩამოსახლებულიყო ბარში. **შალიკიანები** კი ლეყერეთში რომ ცხოვრობენ, XVII ს. იწოდებიან ამ გვარით,

მათი წინაპრები კი ჩარკვიანები ყოფილან. 27 კომლი შალიკიანი, იმერეთის მეფემ, სოლომონ პირველმა, 1776 წელს გელათის მონასტერს უწყალობა (ს. კაკაბაძე, ს. 2. გვ. 53).

მამულის წყალობის გზით დასახლდნენ ასათიანები გურიაში.

ჯაფარიანის ფორმით, ჯაფარიძე იხსენიება ხუნემირის საყდრის X ს. ქტიტორულ წარწერაში.

სვანეთის მიქელაძეების ყმებად მიიჩნევდნენ თავს, იქაური წარჩინებულნი, გელოვანები.

ივანე და ქაიხოსრო გოშხეთელიანების წარაწერა შემოგვინახა სოჩხეთის საყდრის ერთმა ვერცხლის ხატმა:

„წმინდაო გიორგი, მეოხ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებასა გოშქეთელიანსა ივანეს და ძესა მათსა ქაიხოსროს ამენ". (გ. ბოჭორიძე, გვ. 97).

სვანებად მიაჩნია დ. შავიანიძეს ხორხომელიძეები.

კონსტანტინე მეფის „წყალობის წიგნში" (XIII ს.), გოშხეთელიანებისადმი აღნიშნულია, რომ მათ ებოძათ ხორხომელიძეთა ნასახლარი ადგილი (დ. შავიანიძე გვ. 33). ქომეთიანი დიდღვაბუნიდან (ხონის რ-ნი) ჩასახლებულა ლეჩხუმში (რ. თოფჩიშვილი, 1993 წ. გვ, 21).

ყიფიანები, რომ წარჩინებული სვანი აზნაურებია, ეს უდავოა, მათ გვიან საუკუნეებში, პატარა სათავადოც ჰქონდათ იმერეთში, ხოლო ქართლში ისინი 1452 წლიდან არიან დასახელებული მემკვიდრე და მფლობელ აზნაურებად, ქვათახევის №49 სიგელში (ს. კაკაბაძე, ისტ. ს, 2 გვ. 10).

ვფიქრობთ, გვარსახელ გულბანის გაიმერლებული ფორმაა „გურაბანიძე".

უდავოა, რომ ხვედელიანი ხვედელიძედ ქცეულა, ან პირიქით. სვანი შუკვანი, იმერეთში შუკაკიძედ და შუკაშვილად, ჩეგიანი ჩეგუნაძედ და ჩაგუნავად, ხოლო ფურცელიანი ფურცელაძედ ჩაწერილა.

იოსელიანს სოფ. რიონის მცხოვრებ აზნაურად ასახელებს დეკანოზ გრიგოლის ანდერძი. (გ. ბოჭორიძე, გვ. 109), ხოლო ეზია იოსელიანს, ბანძის ომში გამოჩენილი გმირობისათვის, ალექსანდრე III 1659 თუ 1660 წ. უბოძა მამული და ყმები გვიშტიბში. ქვევით დავინახავთ, რომ მისმა შთამომავლებმა, საკმაო მამულები მიიღეს ქართლ-კახეთშიც (მარტყოფში).

1850 წლის 6 დეკემბერს, რუსეთის იმპერატორმა, უმაღლესი ბრძანებით დაამტკიცა ქართველ თავადაზნაურთა სიები.

სვანური წარმოშობის კეთილშობილთაგან, იმერეთში 1 ყიფიანი და 5 კომლი ჯაფარიძე თავადად შერაცხეს. აზნაურობა დაუდასტურეს: 20 კომლ ყიფიანს, 44 კომლ მაჭავარიანს, 75 კომლ ჯაფარიძეს, 35 კომლ დევდარიანს, 9 კომლ მეიფარიანს, 8 კომლ ქელბაქიანს, 8 კომლ ნიჟარაძეს, 1 კომლ დაშნიანს, 5 კომლ ქურდიანს, 5 კომლ ქვარიანს, 1 კომლ ხეცურიანს. ასევე ასათიანებს, ავალიანებს, იოსელიანებს, რატიანებს.

ახლა ძნელია გაარკვიო ტომობრიობა იმ ქართველებისა, რომლებიც დღევანდელ იმერეთსა და გურიაში ცხოვრობენ და მაინც შესაძლოა გაირკვეს გვარსახელთა სემანტიკურ-ფონეტიკური იგივეობა შემდეგი ჩამონათვალით:

აბდულიანი – აბდულაძე;
ავალიანი – ავალიშვილი;
არღვიანი – არველაძე;
ამბროლიანი – ამბროლაძე;
აფაქელიანი – აფაქიძე;
ბაბლუანი – ბაბილუა, ბაბილოძე;
ბურჯალიანი – ბურჯანაძე;
გაბლიანი – გაბელაია, გაბელია;
(ამირეჯიბი);
გაბუნიანი – გაბუნია – ბაბუნაშვილი;
გაბისონიანი – გაბისონია;
გვარამიანი – გვარამია, გვარამაძე,
გვარამიძე;
გვიშიანი, გვიჩია – გვინჩიძე,
გვიჩიანი;
გიგანი – გიგაური;
გოშვანი – გოშუა – გოშაძე;
გლოანი – გლონისთავისძე
(გელოვანი);
გულბანი – გურაბანიძე;
დადიანი – დადიანიძე;
დონდვანი – დოღონაძე;
თულიანი – თულაძე;
ინასარიანი – ინასარიძე;
ისიანი – ესაძე;
კაპრაშიანი – კაპრაშიძე;
კვასტიანი – კვასხვაძე;
კვანჭიანი – კვანტაძე;
კვიციანი – კვიცარიძე;
კვიტიანი – კვიტარიძე;
კოპალიანი – კოპლატაძე,
კოპალეიშვილი;
კვანტალიანი, კვანტაშვილი,
კვანრაძე;
კვანტიძე, კვატაია, კვატია, კვატაძე.
ლიპარტელიანი – ლიპარიძე;
ლაკვეხელიანი – კვერხელიძე;
მარგველიანი, მარგველანი,
მარგველაშვილი;
მაღლაფერიძის წინა გვარი უცნობია
(ა. ფ)
მეიფარიანი – მეფარიძე;
მეშველიანი, მიშველაძე, მიშველაია;
მარუშიანი, მარუშიძე, მარშანია;

ნიგურიანი – ნიგურაძე – ნუკრაძე;
სამსიანი, სიმსივაძე, სიმსივე;
საღლიანი – საღარაძე –
საღარეიშვილი, საღირაშვილი;
ონიანი – ჭაია – ჭეიშვილი;
ფარჯიანი – ჯაიანი – ფანჯავიძე;
ფირცხელიანი – ფირცხალავა;
ფულარიანი, ფულარია, მოსეშვილი;
ფურცელიანი – ფურცელაძე;
ყიფიანი – ყიფძიძე;
შავლიანი, შავლაძე, შავლაყაძე,
შავგულიძე, შავლიაშვილი;
შკუბულიანი – შუბლაძე;
შონია, დემურია, ჯორჯიკია;
შონია, შონავა, შონვაძე;
შუკვანი – შუკაკიძე;
ჩარგაზიანი, ჩარგაზია,
ჩარგეიშვილი;
ჩხვიმიანი – ჩხვირკიშვილი;
ჩიქოვანი – ჩიქვინიძე;
ცინდელიანი – ცინაძე, ცინარიძე;
ცისკარიანი, ცისკარიშვილი,
ცისკარიძე;
ციცხვარი – ციცხვაია;
ცხვედიანი – ცხვედაძე;
ქვარიანი – ქვარიანიძე;
ხაბულიანი, ხუბულია, ხუბულური;
ხარძიანი, ხარძეიშვილი, ღვინიანიძე;
ხარგიანი – ხარგანაშვილი,
ხერგიანი – ხერხაძე;
ხვისტანი – ხვინგია, ხვინგიაძე;
ხვედელიანი – ხვედელიძე;
ხორგუანი – ხორგუაშვილი;
ხუხუნი, ხუხუა, ხუხუნეიშვილი;
ხუბულია – ხებულური;
ჯაფარიანი – ჯაფარიძე;

ამას დავუმატოთ „იანი“ აფიქსით ნაწარმოები გვარები, რაც მოსახლეობის მოზრდილ ნაწილს შეადგენს.

სვანები, ძველთაგანვე, კავკასიონის ქედის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებზე იყვნენ განლაგებულნი. თავიდანვე კოლხეთის (ეგრისის) მეფეთა ქვეშევრდომები იყვნენ. აღმოსავლეთ საქართველოდან, ისინი ქართ-მესხებმა გამოაძევეს, ხოლო ჰუნთა და ხაზართა მარბიელისგან შევიწროებული; სარმატ-ოსები, ყაბარდოელები და ჩერქეზები, კავკასიონის ჩრდილო ხეობებს შეესივნენ, სვანებმა ვერ შეძლეს მათი ასიმილირება, პირიქით მათში აირივნენ, ან სამხრეთში დაიხიეს. ასე შემცირდა კავკასიის (კავკონების), უძველესი მოსახლეობის საცხოვრისი.

ისტორიოგრაფიაში არსებობს აზრი მდინარეების: თერგისა და ყუბანის სათავეებში სვანთა განსახლების შესახებ, რასაც ადასტურებს ტოპონიმური მასალა (დ. ლავროვი, ა. რობაქიძე).

ბაქსანსა და ყუბანში არსებული სოფლების: უშკვანის, ხუმარის, ლაკუშტის სახელები სვანურია. „ბაქსანი“ – მდინარის მამას ნიშნავს.

ისტორიული ცნობებით, ბალყარეთსა და ყარაჩაიში ფიქსირდება 40-ზე მეტი სვანური გვარი (თ. მიბჩუანი 1986 წ.). ამას გარდა, ავალიანი – დანაევად, მიბჩუანი – მამჩუანად, გუჯეჯიანი – შახმურზაევად ჩაუწერიათ.

მისი შტოგვარებია: შეხურზაშა, ათმურზაშა, ფანგანი კი პანგანოვად, ჯაჭვლიანი – ჩიტკაევად ჩაუწერიათ.

ყაბარდო – ბალყარეთში სვანური წარმოშობისად მიაჩნიათ: შუანოვები, ხონ-ხონოვები, მეჩიევები (სვანურად მეჩი მოხუცი, მცხოვანია). მათ შორის ურთიერთობა იყო ბოლო დრომდე, ჭირსა და ლხინში. ჩეგემელ შახმურზაევებს, სვანები ქორწილში მიუწვევიათ (1969 წ.)

კოდორის ხეობელი ჯაჭვლიანებსა და ყარაჩაელ ჯუჭაევებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობები იყო. ესწრებოდნენ გვარის ყრილობებს. ასეთი შედგა დალის ხეობაში 1990 წ.

სვანებსა და ჩრდილო კავკასიელთა შორის, მიგრაციული პროცესები ჩვეულებრივი იყო. სვანებს ხშირად გადმოჰყავდათ ჯიშიანი პირუტყვი და არქმევდნენ იქაურ სახელებს (კრებული „სერგი მაკალათია“, გვ. 52-53).

აი, ვინ ყოფილა კავკასიის ქედების თავდაპირველი მცხოვრებნი, კავკონები.

გ) ზანები, სვანები და მთიულები

ჩვენ, ზევით გამოვთქვით მოსაზრებები და მოვიყვანეთ ტოპონიმიკურ-ენობრივი მასალა, იმის დასასაბუთებლად, რომ ქართლის (მთიულეთი, ფშავი, ხევსურეთი, ერწო), ძველად, კერძოდ II-I ათასწლეულებში ზანებით და სვანებით ყოფილა დასახლებული.

ამას არა მარტო ტოპონიმია ასაბუთებს, არამედ დღემდე შემონახული ზანური ტერმინები. საერთოა სვანებთან და ზანებთან წეს-ჩვეულებები და თვით ცხოველთა ჯიში (გ. ჩიტაია).

ფშაველებს ჩეჩნები სვანებს ეძახიან.

გვარსახელთა ფუძეების იდენტურობა, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ის, ერთი ძირი ენიდანაა წარმომდგარი:

ანთია-ანთიაური;
არაბიძე-არაბული;
ბასილაია- ბასილაური;
ბექაია-ბექაური;
ბებურია-ბებურაული;
ბურდელაძე-ბურდული;
გაბედავა-გაბედაური;
გიგაია-გიგაური;
გურასიძე-გურასპაული;
გურალია-გურასაული;
გოგოლაძე-გოგოლაური;
დუდაური-(თავაძეა);
დუდუჩავა-დუდუჩაური;
თუთაშხია-თუთარაული;
ზვიადაძე-ზვიადაური,
კარია-კარაული,
კობახია-კობაიძე,
ლაბახუა-ლაბაური;
ოჩიგავა – ოჩიაური;
სამხარაძე-სამხარაული,
სალუქვაძე-სალიქაური;
უნდილია - უნდილაძე, უნდილაური;
ფირცხალავა-ფირცხელაური;
შამათავა-შამანაური;
ჩაჩავა-ჩაჩაური;
ჩიტაია-ჩიტაური;
წონორია-წონოლაური;
ცაბაძე – ცაბაური;
ჭინჭარაძე-ჭინჭარაული,
ჭოლოკავა – ჭოლოკაური;
ხაბულიანი, ხუბულავა-ხუბულური;
ჯაბუა – ჯაბუშანური,
ჯვებენავა – ჯველაური;
ჯღამაია – ჯალმაიძე;

ავიღოთ გვარი მელიწკაური. ის ზანური გვარსახელია და გაღმელს (მელე) მოსახლეს, წკა-წკია – „სას“ ნიშნავს. აღმოსავლეთ საქართველო, რომ უძველეს ხანაში სვანებით ყოფილა დასახლებული, ზევით უკვე ვისაუბრეთ.

ახლა ჩამოვთვლით იმ ენობრივ მასალას, თუ რაც უკავშირდება მთების უძველეს მცხოვრებლებს კავკონებს, რომელშიც ჩვენი ვარაუდით სწორედ სვანები იგულისხმება. ეს ტომი მთავარი ქედის გარდი-გარდმო ცხოვრობდა, რასაც ზემოთხსენებულთა გარდა, „ჯანხოტი“ და სხვა ტოპონიმებიც ადასტურებენ:

ანშანი – (სპარსულად) ალაზანი, სვანების წყალს ნიშნავს.

შვანისწყალი რქმევია უძველეს დროს თერგს.

ოსები მოხევეებს წონას ეძახიან (შეადარეთ წონას მღვიმე);

ინგუშები მოხეევებს „შუანს“ ეძახიან.

წანარები, კახეთის უძველესი მცხოვრებნი, სწორედ სვანების შთამომავლებია, ისე როგორც წოვა-თუშები (სვან-თუშები);

ლარგვისი – სვანურია, არაგვისას ნიშნავს;

ლესორა – ყორნისშია და „წყაროიანს“ ნიშნავს;

ლეთი (ჯავასთანაა) – სვანურად თელნარია;
ლეკები – ფშაველებს სვანებს ეძახიან;
სონდა – დუშეთშია სვანების დასახლებას ნიშნავს;
სონ – ხევს ნიშნავს (იგივე შინოა);
ლეთეთი ქარელშია, სათელიას ნიშნავს;
ლეშკაში – ლაქაშიან-ჭაობიანს, ან კაშია-კაშმაძეთა უბანს ნიშნავს;
სონდისველა – სვანების ველია;
აბულახლოსწყალს ძველად შვანისწყალი რქმევია;
იდლეთი კასპშია, იდლიანი მესტიაში;

იმავე პერიოდში, სვანები სამეგრელოში ჩასახლდნენ და „შონიები" გახდნენ, მათი ნაწილი დემურიად ჩაწერეს, გურიაში კი ჯორჯიკიებად გაფორმდნენ (ასაბუთებს დავით თარხან მოურავი).

დ) მეგრულ-აფხაზური პარალელები

ისტორიული ეგრისის ზღვისპირა ზოლში, მეგრელები და მათი მონათესავე აფხაზები (და არა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში დღევანდელ აფხაზეთში ჩამოსახლებული აფსუები), ეტყობა გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ.

ადრეც ვწერდი რომ „ბა" აფიქსი, რომელიც დართულია აფხაზურ გვარებზე, ზანური „ბა"-ბაა. თვით აფხაზი, ფხაზე, გვერდით მცხოვრებს ნიშნავს, აფხაზნი ფხაზე მცხოვრები ზანია. შესაბამისად აფშილი ფშებთან, წყარო-ბუჩქნართან მცხოვრებს ნიშნავს. აკი აფხუშო ფშავშია, რაც შეეხება ჩერქეზულ-ჯიქურ აფსუებს, ისინი XV ს. მოვიდნენ, არაქართული ენით. ძირძველი აფხაზები რომ მეგრულად საუბრობდნენ, ამაზე წერს XVII ს. მისიონერი ქრისტეფორე კასტელი.

აპიანეს, სტრაბონის, პოლიბიოსის ცნობებს, აჭარაში აფშილების მოსახლეობის შესახებ, ჩვენ ვიღებთ, როგორც აფშილ-ზანების მოსახლეობას.

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის აზრით, სამხრეთ შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ ოლქში, ისტორიულ ჭანეთში მცხოვრები „კასკები", იგივე „ქაშაგები", ანუ ჯიქები იყვნენ.

ეტყობა, მათგან დაერქვა დღევანდელი აჭარის ტერიტორიის ტოპონიმებს: „აფსაროსი", „სუფსა", „ბობოყვათი", „მალთაყვა" (თუმცა ეს მეგრულადაც იშიფრება).

პროფესორი ძიძარია, ცდილობდა აფხაზურად „მოენათლა“, ძველი ჭოროხის ბერძნული სახელწოდება „აკამფსის“-ი, მაგრამ მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ეს ტერმინი ბერძნულია. „ა“ პრეფიქსი, ბერძნულში უარყოფას, „არას“ აღმნიშვნელია, ხოლო „კამფსის“ მოხრილს ნიშნავს. ამრიგად, ჭოროხის ბერძნული სახელია „მოუხრელი“, „სწორი“, რადგან ზღვის ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრზე, მართლაც სწორია.

დღემდე მეცნიერთა დავას იწვევს საკითხი, თუ ვინ იყო VI საუკუნის ბიზანტიელთა სტრატეგოსი კოლხეთში, პეტრას ციხისთავი, იოანე ციბე. ეს იგივე დღევანდელ ციბაძეთა წინაპარია.

ბიზანტიის იმპერატორის კარზე, დაწინაურდა პეტრე ვარსიმა.

ვფიქრობ, ეს ვარსიმა, გურგემ მეფის ამალის წევრი იყო. მან აბრეშუმის ქსოვილით ვაჭრობაზე, მონოპოლია დააწესებინა კეისარ იუსტინიანეს და ამით უზომოდ გამდიდრდა. ვარსიმ ვარძელს ახსენებს „ამირანდარეჯანიანში“ მოსე ხონელი.

გვარსახელები: „გუმბარიძე“, „ნიქაბაძე“, „ქაშიბაძე“, „ხუტუბაშვილი“, „ათაბაძე“, „ახობაძე“, „ბარბაქაძე“, „თოთიბაძე“, „ჩელებაძე“, „ძინძიბაძე“ და სხვები, ისტორიულ აღმ. ეგრისში, ახალი, ფეოდალური სამეფოს წარმოშობის ხანაში, ე. ი. VIII ს. ბოლოს უნდა დამკვიდრებულიყვნენ.

გვარსახელ „თოთიბაძის“ ფუძეში, იკითხება მთვარის მეგრული სახელწოდება „თუთა“, „თოთი“. „ჩელებაძის“ ფუძე „ჩელე“, მეგრულად თეთრს ნიშნავს. „ჯალაბაძის“ ფუძის „ჯა“ მეგრულად „ხე-კუნძია“, ჯალაბი კიდევ ოჯახია. აფშილურ-აბაზგური (აფხაზური) წარმომავლობის გვარსახელებია: აბსარიძე, აფხაიძე, აფხაზი, აფხაზიშვილი, აფხაზავა, აფხაზოვი, აფხაზაშვილი, აფშილავა, აფხაძე, ჩერქეზია, ჩარგაზია, ჩერქეზიშვილი, ჯიქია, ჯიქიძე.

აჭარაში, გურიაში, ქვემო სამეგრელოსა და იმერეთში გავრცელებული აფხაზური გვარსახელები, ზოგმა მეცნიერმა, „ნამზითვობით“ და „გამოქცევით“ ახსნა, მაგრამ ამოდენა მასის ამ გზით გავრცელება, მეტად საეჭვოა. უფრო სარწმუნოა, მათი ეგრისელებთან თანაცხოვრების ჩვეული მოსაზრება.

აფხაზური გვარების მსგავს გრამატიკულ ნიუანსებს შეიცავენ: გვიბირიძე, ესებუა, სებუა, ხობუა, კუტუბიძე, ტაბიძე, ლაცაბიძე.

გვარსახელ ხუცუბას ასახელებს ქუთაისის ღვთისმშობლის საყდრის 1578 წლის დავთრის ნაწყვეტი (ქ.ს.ძ. ტ. 3, 402).

თვით აფხაზური თავადური საგვარეულოებიდან: „შარვაშიძე-შერვაშიძეთა“ წინაპარი, „ქუაბულელი ჭაჭასძე, ოთაღო“ იყო, აფხაზებმა რომ „ჩაჩბად“ მონათლეს, ქუაბულელი ანუ ქობულიაა, რომელიც ჭანურში შერვაშიძედ ეწერა. მეორე თავადური საგვარეულო „მარშანია“, სვანი მარუშიძე-მარუშიანია, რაც სვანურად „სვანი კაცია“. ემხვარი, ემხვაია-ამილახვართა გვარის განაყოფია. ჩხოტუა, ასევე ჩხეტისძე-ჩხეიძეთა გვარის განშტოებაა. ვ. ბაგრატიონი და ი. ბაგრატიონი მიიჩნევდნენ, რომ „ინალიპა“ და „ძიაპშბა“ გააფხაზებული „ინალიშვილი“ და „ძაპშიშვილია“. „ინალა“ – ანუ „ნინალა“, მეგრულად სამსახურია. „იპა“ აფხაზურად ძე. ამრიგად, ინალიპა მსახურის შვილს ნიშნავს.

არსებობს მოსაზრება, რომ ანჩაბაძეთა წარჩინებულ საგვარეულოს განაყოფია ვაჩნაძეთა და მაჩაბელთა ქართული გვარები, ხოლო ჩაბალურხვაზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია. მისი გვარი „ვა“ მეგრული სუფიქსით მთავრდება, ფუძე „ჩაბალუა“ კი მეგრულ ენაზე, გლახაკს ნიშნავს, ხოლო ხვა-ხვამუა დალოცვას (ვ. ბერიძე – სიტყვის კონა). ამრიგად, ჩაბალურხვა წმინდა მეგრული გვარია და ნიშნავს „დალოცვილ გლახაკს“. რაც შეეხება აფხაზეთის სამთავროს, ასეთი ფორმით, XIX საუკუნის დასაწყისამდე არც არსებულა.

აფშილეთის აფხაზური სახელწოდება, „აპსტვილაა“, ვფიქრობთ ამ ტერმინისაგან არის წარმომდგარი გვარსახელი – სტვილია.

ახლა ჩამოვთვალოთ საქართველოში მცხოვრები აფხაზური გვარები, რომელთა ფუძეები აფხაზური წარმოშობისაა.

ტერმინი „აფხა“ მეგრულია. ის გვერდს, ნაწილს ნიშნავს. ვფიქრობთ, აფხაზი, გვერდით მცხოვრების მნიშვნელობით შეარქვეს მათ მეგრელებმა. ამას ასაბუთებს მხარის შესატყვისი სიტყვა ფხარი და ფხა. საერთოდ, ათობით აფხაზური გვარი ქართული გვარების პერიფრაზით, ან კალკირებით არის ნაწარმოები, როგორც ქვევით ვნახავთ.

მარღანია – მარღიას, სხვადასხვა ფერის თვალებს უკავშირდება.

ბარქაია – ბარქას, მზის ბორჯღალს.

ტარკილი – მეგრულად შიშველი, უკანალ შიშველია.

ჩელებაძის ფუძეში ზანური „ჩელე“ თეთრია.

აბსნაძე;
აბსანძე;
აბდიბა;
აბსარიძე;
აბუხბა-ია;
აგიმბა-ია;
აგირბა;
აგირბა-ია;
ათაბა-ძე;
აკვაზბა;
აკვანბა;
აკიჟბა;
აკიჟბა-ია;
აკიშბა-ია;
ალშიბა-ია;
ანანბა;
ანჩაბა-ძე;
აჟიბა;
არშბა;
ასამბა-ძე;
აშამბა;
აშბა;
აშლარბა;
აშუბა;
აშუმბა;
აციმბა;
აძიმბა-ია;
ახობა-ძე;
აღსაბა-ძე;
ახსაბა-ძე;
ბალბა-ძე;
ბალბა-ია;
ბარაბა-ძე;
ბარბა-ქაძე;
ბახბა-ვა;
ბახბა-ია;
ბელება-ძე;
ბუბა-ძე;
გაბა-ძე;
გაბა-დაძე;
გალაბა-ძე;
გადაბა-ძე;
გადაბა-ხაძე;
გვადიბა-ძე;
გვაზბა-ია;
გვამბა-ია;
გოდობა-ძე;
გვალბა-ძე;
გოდიბა-ძე;
გუმბა-რიძე;
დადიბა-ძე;
დიდბა-რიძე;
დუმბა-ძე;
დოლბა-ია;
დოლბა-ძე;
დოდობა-ძე;
ეზუგბა-ია;
ენჯიბა-ძე;
ეზუხბა-ძე;
ზარბა-ზოია;
ზელიგბა-ია;
ზვანბა-ია;
ზვამბა-ია;
ზიბზიბა-ძე;
ზუმბა-ძე;
ზურბა-ია;
ზუბღა-ია;
ზულბა-ია;
ზუხბა-ია;
თარბა-ია;
თოთიბა-ძე;
თუხბა-ია;
იობა-ია;
კაიტამბა;
კაკუბა-ვა;
კარბა-ია;
კაშიბა-ძე;
კობა-ხია;
კობა-ია;
კობა-ლაძე;
ლაბა-ძე;
ლაზბა-ძე;
ლაზბა;
ლაკერბა-ია;
ლაცუზბა-ია;
მიქელბა-ია;
მუსხაჯბა;
მუშარბა-ძე;
მუშანბა-ძე;
ნიქაბა-ძე;
ნადობა-ძე;
პამბა;
უკლება;
უიჟბა-ია;
როსტობა-ია;
საეშამბა;
სელიმბა;
სმირბა;
ტარბა-ია;
ტარბა-იძე;
ტანტიბა;
ტალაბა-ძე;
ქავშბა-ია;
ქაშიბა-ძე;
ქაშიბა-ია;
ქაჩიბა-ია;
ქაჩბა-ია;
ქაცბა;
ქაბა-ნაია;
ქეცბა-ია;
ქვაცაბა-ია;
ქვაცაბია;
ქირთბა-ია;

ქოჩობა-ია;
ყოლბა-ია;
ყულბა-ია;
ყოლბია;
ყურშუბა-ძე;
ჩამბა;
ჩანჩიბა-ძე;
ჩაუშბა;
ჩანჩიბა-ია;
ჩელება-ძე;
ჩვაბა-ნია;
ჩიქობა-ვა;
ჩურუკბა;
ჩხობა-ძე;
ცაბა-ძე;
ციბა-ძე;
ცინცაბა-ძე;
ციქობა-ძე;
ციქუბა-ძე;
ციცაბა-ძე;
ციცბა;
ცუცხუბა-ია;
ცხუცხუბა-ია;
ძვაბა-ია;
ძინძიბა-ძე;
წარალბა-ია;
ჭანბა;
ჭუმბა-ძე;
ჭუმბა-შვილი;
ხაბა-ძე;
ხალითბა;
ხახუბა-ია;
ხიბა-ია;
ხინთბა-ია;
ხინთიბი-ძე;
ხოხბა;
ხოხობა-ია;
ხუთკუბა-ია;
ხუტკუბა-ია;
ხუტუბა-ძე;
ხუტუბა-შვილი;
ჯალაბა-ძე;
ჯიქია;
ჯიქაძე;
ჯიქიძე;

„ბა“ აფიქსი სვანურ-ზანურია და მამას ნიშნავს, ამ შემთხვევაში მამისას. ასეა ნაწარმოები 160 გვარ-სახელი.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი და გაშიფრულია დაახლოებით 2200 გვარსახელი, რაც საქართველოს მთელი ქართული მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენს. ისინი წარმოშობით, კოლხ-ზან-ჭანები და სვანებია, რომელთა დიდმა ნაწილმა მიივიწყა მშობლიური, სატომო ენა და გაითავისა ქართული სალიტერატურო-სახელმწიფო ენა, რომლის საფუძველი კოლხურ-პელაზგურია.

დასკვნა

1920-იან წლებში, ახალგზარდა, დიდი ალღოს მქონე მეცნიერები მიხეილ წერეთელი და მიხეილ დადიანი წერდნენ: რომ „სამეგრელოს (იგულისხმება კოლხეთი. ა. ფ.) ისტორიას და ენას სათავე დაუდია ევროპის, აზიის და აფრიკის თავდაპირველი ცივილიზაციებისთვის“.

დაახლოებით ასევე მიაჩნდათ აკ. ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს 1948 წ. გამოცემულ სახელმძღვანელოში.

ბერძნული მითების თანახმად, ხმელთაშუაზღვისპირეთის პირველი მბრძანებლები, ჰელიოსის შვილები, კოლხეთის მეფის, აიეტის და-ძმები ყოფილან.

ამაზე, თავის დროს მიანიშნებდნენ: ჰომეროსი, ჰ. მილეტელი, ე. კორინთელი, ჰეროდოტე, ესქილე, სკიმნე, აპ. როდოსელი, ვერგილიუსი და სხვები.

მეტიც. ამერიკელი პროფესორის ბრ. საისის ჯგუფმა დაადგინა, რომ ევროპელთა წინაპრები კავკასიიდან იყვნენ.

იგნატ დონელი წერს, რომ ზანურ-იბერიულმა ტომებმა, ატლანტიდიდან შეაღწია ამერიკაში და სათავე დაუდო მაიას და ოლმეკების ცივილიზაციას, ასწავლა კალენდრის შედგენა, იეროგლიფებით წერა, პირამიდების მშენებლობა...

ახლა, თანდათან მიდიან მეცნიერულ დასკვნამდე, რომ პროტოშუმერები, ეგვიპტელები, ლიბიელები, ბერ-ბერები, კართაგენელი და ტვიროსელი პროტოფინიკიელები, კოლხურ-პელაზგური ტომები იყვნენ. შესწავლილი ასობით ტერმინის ჩვენი ენით ახსნა-განმარტება, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ კოლხურ-პელაზგური და იბერიული სამყარო, ძველად დიდი იყო, რაც დაადასტურა DNM-ის კოდმაც.

აღმოსავლეთით მას სჭერია ირანი, ჰედროზია, ინდოეთი და კორეა-იაპონია. ამას თანდათან აღიარებენ: ვ. ჰუმბოლდტი, ფურნეე, ძებიში, შ. კინტანა, მიჩელენა, ლაიოშ ტარდი, რენე ლაფონი, ბასკი არანეგი, ბორის კუფტინი, ბლუმენბახი. თ. მომზენი, ედ. მაიერი, რ. ვირხოვი, ან. მეიე, პ. კრეჩმერი, რ. შენკი, ვლ. კოვტუნი, რ. ანდერსონი, ედ. შლიცერი, ვ. შახერმაიერი, ჰროზნი, ჯ. ჰოპკინსი; ედ. დემოლინსი, ბრ. საისი.

ამ საკითხებს ეხებიან ქართველი მკვლევარნი: მ. დადიანი, მიხ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი, გ. გოზალიშვილი, რ. გორდეზიანი, თ გამყრელიძე რ. გვეტაძე, ამ. ნიკოლეიშვილი, კ. ჭილაძე, ნ. ფოფხაძე, ზ. ქაფიანიძე, თ. მიბჩუანი, აკ. ურუშაძე და ამ სტრიქონთა ავტორი.

მეტიც, ჩათალ-ჰუიუქის ნეოლითური ხანის ნამოსახლარი და მტკვარ-არაქსის (ადრებრინჯაოს ხანის) კულტურა, ქართველური ტომების შექმნილია. მათვე ეკუთვნის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა. ისინი არიან პროტოშუმერები, ძველი ეგვიპტელები და მცირე აზიელები, საიდანაც მოსახლეობა თანდათან მიგრირებდა ჯერ ეგეიდზე, კრეტაზე, მერე ბალკანეთში, იტალიასა და ესპანეთში, რასაც ასაბუთებს ტოპონიმია, ჰიდრონომია და ონომასტიკა, ასევე ანთროპოლოგიური მსგავსება.

პელაზგებმა, წინაკრეტელებმა, ეტრუსკებმა, დოლოპებმა, კარიელებმა და ბასკ-იბერიელებმა, შექმნეს პირველი ევროპული ცივილიზაციები, რაც ლათინებს და ბერძნებს დახვდათ, თუმცა ის განავითარეს და უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს.

ძვ. წ-ით II ათასწლეულსა და I ათასწლეულის დასაწყისში ისინი განდევნეს ან შეავიწროვეს შემოსულმა მოძალადეებმა.

ჩემი ამოცანა იყო, ამ მონოგრაფიაში, კიდევ ერთხელ გადამევლო აზრობრივი თვალი ქართლ-კახეთის ტოპონიმიისათვის. ამ მუშაობაში გამოვიყვანე ოთარ ქაჯაიას, ვუკოლ ბერიძის, სულხან-საბას, გივი ელიავას, გურამ ბედოშვილის, ილია მაისურაძის, ზურაბ ჭუმბურიძის და სხვათა ნაშრომები.

ტოპონიმიკური და ჰიდრონიმული მასალები, უცილობლად ადასტურებენ, რომ ქართლ-კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ტაო-კლარჯეთის ტერიტორია, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში ზანებს და სვანებს ეჭირა. მათ დაამკვიდრეს ამ ენების შესაბამისი ტოპონომია.

კარდუხების, მუშქების და ტაბალთა შერევის შედეგად წარმოიშვა ქართების ტომი (VII ს. ძვ. წ-ით), რომელთა შემოღწევა დაიწყო ქართლში და ისინი ზანების (სანები, ეგრები), სვანების გვერდით დასახლდნენ და დაამკვიდრეს ქართული ენა.

ქართული ენა, 2500 წ. წინათ გამოეყო ზანურს და არა პირიქით, რასაც უცილობლად ადასტურებს შუამდინარეთის, ეგვიპტის, სირიის, ბალკანეთის, იტალიის და იბერია-ბასკეთ-ესპანეთის ტოპონიმია, რომ-

ლის აბსოლუტური უმრავლესობა ზანურია და არა ქართული. მაშინ ლამის მთელი ევროპა ზანურად ლაპარაკობდა.

ამ საკითხებზე, მხოლოდ რამდენიმე პროფესორი წერს: რისმაგ გორდეზიანი, რაულ გვეტაძე, კახა ჭიღლაძე და ამირან ნიკოლეიშვილი, სხვებმა პირში წყალი ჩაიგუბეს, სამაგიეროდ ინგლისური და ფრანგული იციან...

ტოპონიმია მდგრადი ინსტიტუტი გამოდგა. ის დღემდე შემოინახა და გაგვარკვია აბორიგენი მოსახლეობის ვინაობაში.

ეტრუსკებმა და იბერებმა შეარქვეს მერე მოძალებულ ტომებს: გალები, იტალიკები, კელტები, ბერძნები და ლათინები...

ამ ტომებმა შეისრუტეს ქართველური ტომები და მოახდინეს მათი ასიმილაცია, თუმცა ბევრი რამ შეითვისეს.

ჩვენი 2005, 2011 და 2014 წ.წ. ნაშრომები არკვევენ დღევანდელი საქართველოს ტომობრივ შემადგენლობას. გვარსახელების ფუძეთა გაშიფვრა, აფიქსები ცხადყოფს, რომ დღევანდელი მოსახლეობის 2/3 ზანურ-ჭანურ-სვანურია, მაგრამ ქართლოცენტრისტებმა ისეთი წიგნები გამოსცეს, მთელი აქცენტი ქართლ-კახეთზეა გადატანილი. ასურული, ურარტული, ბერძნული და ლათინური წერილობითი ძეგლები კი, პირუკუ ამტკიცებენ.

წინასიტყვაობაში ვწერ და აქაც ვიმეორებ:

ზოგ მეცნიერს, ვგონებ „რაღაც-რაღაცეების" დეფიციტი გააჩნია და ალბათ ამის შედეგია ის წიგნები, რომელიც მკითხველს აოცებს და აბნევს. აი, ამათ კი, სამეცნიერო ტიტულები, დიახაც გააჩნიათ... (იბერები კოლხებია, კოლხური იგივე იბერიულია და მისთანები).

როცა ეგვიპტურ, შუმერულ, ეტრუსკულ და პელაზგურ (კრეტა-მიკენის) კულტურაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ხალხებმა დიდი გავლენა მოახდინეს ინდოევროპელთა ენაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე.

ზანურ-ქართველური ენიდან შესულა ინდოევროპულ ენებში ათობით და ასობით ტერმინი: გორა (გორაკი), რიონი, სალამინა (ლერწამი, სალამინასგან სალამური), „ვენა" – ვანი, რკინა – ხალიბს, სპილენძი – „მესინგ", ბრინჯაო – ბრონზე, „ვინო" – ღვინო, „ვიშნა" – ქვიშნა, „გრად" სიმაგრე (სანგრე=ესპ.-სისხლი).

ჩვენი ენიდან შევიდა ევროპულში „Myt“, „Mat“ (დედა).

ჰ. რაულინსონის აზრით, ტერმინი „მოსკოვი“, მოწყ-მუშკებს უკავშირდება, მათ იქ სავაჭრო ფაქტორია ჰქონიათ (მ. წერეთელი).

ზმნა „ესკუპა“ ინგლისურად გაქცევაა, ჩვენთან ნახტომი, სკუპით წასვლაა. ასევე ზანური „ბოშიდან“ (ბიჭი) ინგლისურში შესულა „ბოიშ“, „ბოდი“ კი ბოძია.

გერმანულ-ნორმანული ღვთაება „ოდინი“, კოლხური მიწის ღვთაება – ოდის სახელს იმეორებს.

მეგრული ბერგი – ობერგე (სათოხარი) ჰგავს ინდოევროპულ ხმელეთ „ბერეგს“. გერმანიის „ბავარიას“, ანალოგი აქვს მესტიის ბავართან. კოლხური წვრილი ფულის სახელი „დანგა“, რუსულში ფულის „დენგის“ ფორმით დამკვიდრებულა.

მთა „მოუნთინის“ სახელი, აქედან შესულა „მონტანიის“ ფორმით: ისევე როგორც „კორდილიერი“, „ალპები“, „იოგელ“, „ტიბრი“, „იბერი“, „რიონი“, „რონა“, „გარონა“, „გვადიანა“, „გვადალახარა“, „გვადალკვივირი“, მეორე „იბერი“.

ჩვენებური, ავი ქარისაგან (ბორა) მიღებულია რუსული „ბურია“, „ბორეასი“. მათვე, ურმის სახელი „არაბა“, არბად მიიღეს.

ასევე გუნდის, მრავალრიცხოვანი ჯგუფის აღსანიშნავი ტერმინი „ხორო“ რუსულში უცვლელად დამკვიდრდა – (ცეკვა „ხორუმი“, „ხორანი ჯიხვებისანი“, გვარი ხორავა, ოჯახი ოხორო).

რუსებს, ქართული დაძგერება-დატაკებისაგან მიუღიათ ტერმინი „ატაკა“.

ასევე სვანურ-ზანურიდან მიუღიათ კლდის სახელი „სკალა“, ხოხობის „ფაზანი“, მოხუცის სახელი „პაპა“. მათვე „მესტია“ მესტად, ე.ი. დასახლებულ ალაგად მიუღიათ. აფიქსები „სკუ“ და „სკი“, ევროპელ სლავებს კოლხურ-პელაზგურიდან უნდა გადაეღოთ.

პროტოშუმერები, ეგვიპტელები, ირანის ზეგანის, მცირე აზიის ჩრდილო აფრიკის და ხმელთაშუაზღვის ჩრდილო სანაპიროების მოსახლეობა, პელაზგურ-ზანურად მეტყველებდა, რასაც ეძღვნება ეს ნაშრომი.

წიგნის ყურადღებით წამკითხავი დარწმუნდება, რომ დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, წარმოშობით მეგრელ-ჭანები და სვანები, ე.ი. კოლხებია და არა „იბერები“. როგორც ეს „პროფესორებს“ მიაჩნიათ. ზანურ-პელაზგურად მოლაპარაკე ხალხს, ძველად სჭერია: კორეა, იაპონია (აინებს) და ვეებერთელა ოლქები ინდოეთიდან – ატლანტის ოკეანემდე, რაშიაც ტოპონიმია გვარწმუნებს.

ქართული მოსახლეობის 70-80% წარმოშობით ზანურ-სვანურ-აფხაზურია, როგორც ამას გვართა ფუძეების შინაარსი მიგვანიშნებს.

შესაძლოა, კიდევ მოიძებნოს პარალელური სიტყვები და ტერმინები.

ზოგი ალბათ შემეკამათება: „ლამის მთელი ევროპა, წინა აზია, ჩრდილო აფრიკა, შუამდინარეთი, კართაგენი და იაპონია გააქართულეო“.

მე კი მისწავლია, რომ აღმოსავლეთში: ალტაურ-მონღოლურ-ჩინური ენები ბატონობდა.

ძვ.წ-ით II ათასწლეულში ქართველური მოდგმის ტომები შუამდინარეთიდან სემიტებმა, ირანიდან სარმატ-მიდებმა, შემდეგ მითანელებმა და ურარტუელებმა, სამხრეთიდან შეავიწროვეს.

ევროპაში კი პელაზგ-ეტრუსკ-იბერები, ინდოევროპელებმა ჯერ შეავიწროვეს, მერე შეითვისეს, თუმცა იმათი კვალი სრულიად არ წაშლილა. ის დარჩა, როგორც ენაში, ისე ტოპონიმიაში, ჰიდრონიმიაში და თვით ონომასტიკაში.

ჩემი ნარკვევი, ამ ვეებერთელა სამუშაოს მხოლოდ დასაწყისია.

ასე რომ, სულაც არ ყოფილა სულელი და უცოდინარი, ზემოთ დასახელებული ნათავადარი, მიხეილ დადიანი, რომელმაც მიხ. წერეთელთან ერთად, პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „ზანური ენა და კულტურაა დასაბამი აზიის, აფრიკის და ევროპის ცივილიზაციებისა“.

ავთანდილ ფაილოძე

AVTANDIL PHAILODZE

COLCHIS-PELAZGIAN LINGUISTIC WORLD

Resume

In the 1920s, a young intuitive scientist, Mikheil Dadiani, wrote that "the history and language of Samegrelo (meaning Colchis, A. Ph.) paved the way for the original civilizations of Europe, Asia and Africa."

This way thought also Acad. Iv. Javakhishvili, S. Janashia and N. Berdzenishvili in the guide book published in 1948 y..

According to Greek myths, the first rulers of the Mediterranean, the sons of Helios, were brothers and sisters of King Aiet of Colchis.

This fact is hinted by Homer, H. Milletel, E. Corinth, Herodotus, Ecclesiastes, Simeon, App. Rhodes, Vergilius and others, in their times.

Moreover, American Professor Br. Sais's team found that the ancestors of Europeans were from the Caucasus.

Ignatius Donnelly writes that Zaner-Iberian tribes reached America from Atlantis and led the Maya and Olmec civilizations, teaching calendar drawing, writing hieroglyphs, building pyramids ...

Now, they are gradually coming to the scientific conclusion that the Protoshumans, Egyptians, Libyans, Ber-berians, Carthaginians, and Tviros Protofinicians, were Colchian-Pelasgian tribes. Explaining the hundreds of terms studied in our language allows us to conclude that the Colchic-Pelasgian and Iberian worlds were much more large in ancient times, as confirmed by the DNM code.

To the east it occupied the territory of Iran, Hydro, India, and Korea-Japan. This is gradually recognized by: f. Humboldt, Fournier, Dzebish, Sh. Quintana, Michelena, Loyosh Tard, Rene Lafon, Basi Araneig, Boris Kuptin, Blumenbach, Th. Mozen, Ed. Meyer, R. Virchov, An. Maye, P. Krechmer, R. Shank, V. Covetown, R. Anderson, Ed. Schlitzer, F. Schachermeier, Hrozn, J. Hopkins, Ed. Demolins, Br. Sais.

These issues refer Georgian researchers: M. Dadiani, M. Tsereteli, G. Melikishvili, G. Gozalishvili, R. Gordeziani, T. Gamkrelidze, R. Gvetadze, Am. Nikoleishvili, K. Chighladze, N. Popkhadze, Z. Kapianidze, T. Mibchuan, Ak. Urushadze and the author of these lines.

Moreover, the Neolithic settlement of the Chathal-Huijuk and the culture of the Kura-Arax (Early Bronze Age) were created by Kartvelian tribes. The Middle Bronze Age culture also belong to them. They are proto-Sumerians, ancient Egyptians and Minor Asians, from whom the population gradually migrated to Aegean, Crete, then to the Balkans, Italy and Spain, as it is proved by toponymy, hydronomy and onomastics, as well as anthropological similarities.

The Pelasgians, the Pre-Cretan, the Etruscans, the Dolops, the Carians, and the Basque-Iberians, created the first European civilizations to be found by Latins and Greeks, though they developed and took them to the highest level.

During the second millennium BC and the beginning of the first millennium BC, they were banished or oppressed by intruders.

My task was, in this monograph, to re-examine the thoughtful eye for the toponymy of Kartl-Kakheti. In this work I have used the works of Otar Kajaia, Vukol Beridze, Sulkhan-Saba, Givi Eliava, Guram Bedoshvili, Ilia Maisuradze, Zurab Chumburidze and others.

Toponymic and hydromagnetic materials undoubtedly confirm that the Kartl-Kakheti, Samtskhe-Javakheti, Tao-Klarjeti territories were occupied by Zans and Svans in the middle and late Bronze Age. They have established a corresponding toponymy for these languages.

As a result of the mixing of Kardukhs, Mushks and Tabals was originated a tribe of Qarts (Georgians, VII BC), who began to come into Kartli and settled alongside the Zans (Sani, Egres), and established the Georgian language.

The Georgian language was separated from Zanuri 2500 years ago, and not the opposite, that is confirmed by the toponym of Mediterranean, Egyptian, Syrian, Balkan, Italian, and Iberian-Basque-Spanish, the overwhelming majority of which are Zanuri and not Georgian. At that time almost all of Europe spoke in Zanuri language.

Only a few professors have written about these issues: Rismag Gordeziani, Raul Gvetadze, Kakha Chigladze and Amiran Nikoleishvili, others have chosen silence, as we say it in Georgian - "have poured water into their mouths", but English and French they know quite well...

Toponymy proved to be a sustainable institution. It has preserved and clarified the identity of the Aboriginal population.

The Etruscans and the Iberians then named the oppressed tribes: the Gales, the Italians, the Celts, the Greeks, and the Latins ...

These tribes absorbed the Kartvelian tribes and assimilated with them, though many things were incorporated..

Our 2005, 2011 and 2014 yy. works cover the tribal composition of present-day Georgia. Deciphering the stems of surnames, the affixes indicate that 2/3 of today's population comes from Zanur-Chanur-Svanuri tribes, but Kartlocentrician scientists have published books, entirely focusing on Kartl-Kakheti. Assyrian, Urartian, Greek and Latin written monuments argue the opposite.

I write in the preface and repeat here:

Some scholars, I think have a shortage of "some things" and perhaps the result are such books that surprise and confuse readers. These ones still have the scientific titles... (Iberians are Colchis, Colchians are the same Iberians and other suggestions like this). When we talk about Egyptian, Sumerian, Etruscan, and Pelasgian (Crete-Mycenaean) culture, we must bear in mind that these peoples have had a profound influence on Indo-European language, culture and art.

From the Zan-Kartvelian language into the Indo-European entered tens and hundreds of terms: hill (small hill), rioni, salamina (reed, salamuri from salamina), "venna" - vani, iron - chalib, copper – "mesing", brinjao – "bronze", "vino" - Wine, "Vishna" – qvishna (cherry). From there it entered the European "fortress" - "Grad" (Sangre = Spanish blood).

From our language into European entered "Myt", "Mat" (mother). According to H. Rawlinson, the term "Moscow" refers to Mosk-Mushks, who had a trade factor there (M. Tsereteli). The verb "Escuppa" is an English escape, a leap to us, "scuppie" - jump. Also from the Zanian - "bosh" (boy) in English is "boish", and "bod" is pole.

The German-Norman deity "Odin", repeats the name of the Colchic land deity – Oda.

Megrelian "Berg" (dig a ground by a hoe) - Oberge is similar to the Indo-European "Bereg" – the shore. The German "Bavaria" is analogous to the Bavar of Mestia. The name of the Colchian petty cash "Danga" is rooted in Russian language as the form of "money" – "Dengi".

The name "Mountain" comes from the form of "Montania": like "Cordillier", "Alps", "Yogel", "Tibr", "Iberi", "Rioni", "Rona", "Garona", "Gvadiana". , "Guadalakhara", "Guadalquivir", the other "Iber".

The Russian "Buria" and "Boreas" are derived from our strong wind - "Bora". They also adopted the name "Uremi" as Arba. Also, the notable term "choir" the Russian khor, meaning numerous groups, was unchangably intro-

duced into Russian language (Georgian dance "khorumi", "khorani of goats", last name khorava, family - okhoro).

The Russians adopted the term "Ataka" from the Georgian clash – "Datakeba". Also from Svan-Zanians they got the name of the rock - "Scala", the "Pazani" - pheasant, the old man's name "Papa". "Mestia" as meaning the place, settlement..

Affixes "Sku" and "Ski" were to be taken by the European Slavs from Colchis-Pelasgian.

The proto-Sumerians, the Egyptians, population of the Iranian uplands, north-east Asia, and the northeastern Mediterranean were Pelasgian-speaking population.

A careful reader of the book will be convinced that most of the population of present-day Georgia, originating from the Megrelian, Chans and Swans, They are Colchis and not Iberians, as some "professors" suggest. Zan-Pelasgian-speaking people have long been preoccupied: Korea, Japan (humming), and many districts from India to the Atlantic Ocean, in which the toponymy assures us.

70-80% of the Georgian population is of Zanuri-Svan-Abkhazian origin, as indicated by the contents of the stems of Georgian last names. Parallel words and terms may also be found.

Some might argue: "By this opinion the whole of Europe, pre-Asia, North Africa, the Middle Ages, Carthage and Japan population were Georgians." But I was also taught that in the East: the Altai-Mongolian-Chinese languages dominated.

In the second millennium BC, tribes of Kartvelian descendants were oppressed at first by the Semits from the Mediterranean, the Sarmat-Mideians from Iran, then the Mythans and Urartuites from the south.

In Europe, the Pelasgian-Etruscan-Iberians, were first oppressed and then assimilated with the Indo-Europeans, though not all of them were completely eradicated. It remained in the language as well as in toponymy, hydrodynamics and onomastics itself.

My essay, is just the beginning of this great job.

So there was nothing foolish and ignorant in the idea of the above-mentioned, former nobleman Mikheil Dadiani, who together with Mikheil Tsereteli, expressed his considaration that "the Zanian language and culture is the basis of the civilizations of Asia, Africa and Europe."

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. „ქართლის ცხოვრება“ ტ. I. 1995 წ.
2. „ქართლის ცხოვრება“ II. 1956 წ.
3. „ქართლის ცხოვრება“ ტ. IV. 1973 წ.
4. ივ. ჯავახიშვილი, „ქართული პალეოგრაფია“, 1949 წ.
5. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, I (1979) 1998-XII. II. III
6. ს. ჯანაშია, „შრომები“ (მასალები) 1954 წ.
7. ს. ჯანაშია, „შრომები“ 1949 I. VI-1968. IV- 1988 წ.
8. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. II. 1955, ტ. III. 1974. ტ. 6. 1980 წ.
9. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“. ქართული მწერლობა, 1989 წ. ტ. 3.
10. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ I, II, III.
11. ს. ყაუხჩიშვილი, „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“, 1973 წ.
12. ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა“, I, II, III, IV.
13. ჰეროდოტე, „ისტორია“, I, II, III
14. Ксенофонт „Анавасис“ 1951 г.
15. აპ. როდოსელი, „არგონავტიკა“, 1975 წ.
16. ვერგელიუსი „ენეადა“, 1976 წ. (რ. მიმინოშვილის თარგმანი).
17. ჰომეროსი „ილიადა და ოდისეა“.
18. Теодор Момзен „История Рима“, 1949 წ.
19. მ. წერეთელი, „ძველი რომი“. 1949 წ.
20. ბასილი, ეზოსმოძღვარი „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“, „ქართული პროზა“, ტ.3. 1982 წ.
21. დ. ბაქრაძე – „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, 1987 წ. სანკტ-პეტერბურგის გამოცემა, 1878 წ.
22. შ. ამირანაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“, 1971 წ.
23. გ. მელიქიშვილი, „საქართველოს ისტორია“, საკითხავი წიგნი, 1980 წ.
24. კ. კეკელიძე, „ძველი ქართული მწერლობა“, 1957 წ.

25. პ. ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე“, 1957 წ.
26. ო. ჯაფარიძე – „საქართველოს არქეოლოგია“, 1991 წ.
27. ო. ჯაფარიძე, „კოლხური ცული“, მასალები, ტ. 3 XVI–B. 1949 წ.
28. დ. ქორიძე, „კოლხური კულტურის ისტორიისათვის“, 1965 წ.
29. ლ. ფანცხავა, „კოლხური კულტურის მხატვრული ხელოვნების ძეგლები“, 1988 წ.
30. თ. მიქელაძე „კოლხეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის-პირეთის კულტურა“, 1974 წ.
31. Г. Мсликишвили, „К история древней Грузии“, 1959 г.
32. დ. კაპანაძე, „წარსულის მაცნეები“, 1995 წ.
33. ნ. ლომოური, „ეგრისის სამეფოს ისტორია“, 1968 წ.
34. ნანა ჯაფარიძე, „ბრინჯაოს ხანის ორქომჭედლობა საქართველოში“, 1981 წ.
35. „რას მოგვითხრობს მოხუცი ჰომეროსი“, 1978 წ.
36. აკაკი ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტულ თქმულებებში“, 1964 წ.
37. ც. გიგაური, „კოლხეთი რომაულ მწერლობაში“, 1985 წ.
38. ფრანც გრილჰალტერი „ოქროს საწმისი“, 1986 წ.
39. მ. ინაძე, „აღმ. ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია“, 1962 წ.
40. ჯ. ნადირაძე, „მზით განათებული საუკუნეები“, 1989 წ.
41. აფანასიევა, ე. ლუკონინი, პომერანცევა „ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება“ (ხელოვნების მოკლე ისტორია) 1989 წ.
42. ე. გომბრიხი, „ხელოვნების ამბავი“, 1950 წ.
43. ჯ. შარაშენიძე, „შუმერები, მითოლოგია და კულტურა“, 1983 წ.
44. ზ. კიკნაძე, „შუამდინარული მითოლოგია“, 1976 წ.
45. გ. გიორგაძე „ათასი ღვთაების ქვეყანა“. 1980 წ.
46. „მხატვრობა „ილუსტრირებული ისტორია“, 2014 წ. ბ. სულაკაურის გამომცემლობა.
47. ვ. სილოგავა, „ლაპიდარული წარწერები“, 1980 წ. I და II.
48. ზ. ნადირაძე, „დასავლეთ საქართველო VII-VIII ს-ში“, 1997 წ.
49. გ. გაფრინდაშვილი, „ქორეთის და სავანის ეკლესიების წარწერები“, 1970 წ. „ძეგლის მეგობარი“, №27.
50. ი. სიხარულიძე, „უქიმერიონის ადგილმდებარეობა“, „ძეგლის მეგობარი“, 1970 წ. №27.

51. რ. გორდეზიანი, „წინაბერძნული და ქართველური“, 1985 წ.
52. ა. კიკნაძე, „იბერიის ლეგენდა“, „ფონი არაგოაზე“, 1977 წ.
53. ს. კაკაბაძე, „ისტორიული საბუთები I-II-III-IV-V. 1912-1913 წ.
54. ს. კაკაბაძე, „ხონის საყდრის დავთარი“, 1913 წ.
55. ს. კაკაბაძე, „აფხაზეთის საკათოლიკოსო გლეხების დიდი დავთარი“, 1914 წ.
56. ს. კაკაბაძე, „შემოკლებული ისტორია საქართველოსი“, 1921 წ.
57. ს. კაკაბაძე, „საისტორიო კრებული“, I, II, III. 1924-1925 წწ.
58. „ბიჭვინთის იადგარი“, „საისტორიო მოამბე“, 1925 წ. II.
59. თ. ბერაძე, „ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“, კრებული, ტ. 3. 1967 წ.
60. რ. პატარიძე, „ქართული ასომთავრული“, 1981 წ.
61. დ. მუსხელიშვილი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, 1977 წ.
62. იოანე დრასხანაკერტელი „სომხეთის ისტორია“, 1985 წ.
63. მ. ხორენაცი, „სომხეთის ისტორია“, 1985 წ.
64. არ. საფარელი, „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, 1984წ.
65. ი. ანთელავა, „დავითის და თამარის საქართველო“, 1991 წ.
66. გიორგი მცირე, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, „ქართული პროზა“, 1982 წ.
67. მ. კახაძე „ლაზიკა VI ს-ში და სტრატეგოსი ჯიბე“, 1954 წ.
68. ვ. ბერიძე „მოგონებები“, 1987 წ.
69. ის. დოლიძე „ქართული სამართლის ძეგლები“, რვატომეული 1965, 1970, 1972 წწ.
70. გ. ბოჭორიძე, „იმერეთი“, 1995 წ.
71. ო. სოსელია, „ნარკვევები ფეოდალური ხანის დას. საქართველოს სოც. პოლიტ. ისტორიიდან (სათავადოები), 1, 2, 3, 1973, 1981, 1990 წლები.
72. ქრ. კასტელი, „ცნობები და ალბომები საქართველოს შესახებ“, 1960 წ.
73. არქ. ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“ (ჭყონიას თარგმანი), 1937 წ.
74. მოვსეს კალანკატუელი, „ალბანთა ქვეყნის ისტორია“, 1985 წ.

75. „გიულდენშტედტის მოგზაურობა ამიერკავკასიაში“, 1962 წ. გ. გეგელაშვილის.
76. „გამბას მოგზაურობა ამიერკავკასიაში“, 1987 წ.
77. ნ. ლორთქიფნიძე „ძველი ქართული სამკაული“, 2015 წ.
78. გ. ლორთქიფანიძე, გ. გერაძე „კოლხური თეთრი“, 2014 წ.
79. ზ. აბზიანიძე, ქ. ელოშვილი, „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“, 2012 წ.
80. ეკ. კობახიძე, „ეტრუსკები და მათი ღმერთები“, „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ. №19.
81. გ. გოზალიშვილი, „მითრიდატე პონტოელი“, 1964 წ.
82. რ. ყენია, ვ. სილოგავა, „უშგული“, 1980 წ.
83. ი. მეგრელიძე, „ექვთიმე თაყაიშვილი“, 1989 წ.
84. მ. წერეთელი, „ერი და კაცობრიობა“, 1990 წ.
85. დ. ჭუმბურიძე, „აკაკი ჩხენკელი“, 2018 წ.
86. ი. ცინცაძე, „ძიებანი რუსეთ-საქართველოს“... II. 1956 წ.
87. „ლვინის დიდი ენციკლოპედია“ (თარგმანი), 2017 წ. I-II.
88. დ. იობაშვილი, „იმერეთი XVIII-XIX ს-ში“, 1983 წ.
89. ი. კეკელია, „ნარკვევები“, 2013 წ.
90. გ. ჭანტურია, „იაპონია“, 2017 წ.
91. ნ. დადიანი, „ქართველთა ცხოვრება“, 1962 წ.
92. შ. ბურჯანაძე, „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა“ – 1462-1770 წ. I. 1958 წ.
93. თ. ეფრემიძე, „ნარკვევები, მოგონებები, ესსეები“, 2014 წ.
94. გია ჭანტურია, იტალია, 2014 წ.
95. არკადი ჩხენკელი, „ქიმია ძველ საქართველოში“, 1979 წ.
96. მიხ. რეხვიაშვილი, „დასავლეთ საქართველო XVII ს-ში“, 1981 წ.
97. კრებული „სერგი მაკალათია“, მარტვილი, 2013 წ.
98. ხ. ცაიშვილი, „წინამორბედნი და თანამედროვენი“, 1986 წ.
99. С. Думин и П. Гребельский "Князья царства Грузинского", Москва, 1998 г.“
100. გ. ჩიტაია, ფირფილაშვილი, ქომეთიანი, „ხეში ჩაზრდილი ძვლები ბოროწინიდან“, 1965 წ. (დაცულია ხონის მუზეუმში)
101. პ. ვაჭრიძე, „ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან“, 1977 წ.
102. ე. თავბერიძე, „თოვლი მკათათვეში“, 2015 წ.

103. ვ. ნოზაძე, „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“, 1989 წ.
104. უმით ოსმანაღაოღლუ, „ლაზი ვორე“, 2014 წ.
105. ა. ფაილოძე „მატიანე ხონისა“, 1997 წ. I.
106. ა. ფაილოძე, „მატიანე ხონისა“, 2011 წ. II.
107. ა. ფაილოძე, „ხონის რაიონი – ტოპონიმია და გვარსახელები“, 2011 წ.
108. ა. ფაილოძე, „ნარკვევები“, 2015 წ.
109. დ. ნაცვალაძე, „ილია ხონელის ცხოვრება და ლიტ. მემკვიდრეობა“, (სადისერტაციო ნაშრომი, 1966 წ.).
110. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, „გვარსახელები საქართველოში“, 1997წ.
111. სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“, 1980 წ.
112. ვ. ბერიძე, „სიტყვის კონა“, 1912 წ.
113. ო. ქაჯაია, „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, 2001, I-II-III ტომები.
114. ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ“, 1971 წ.
115. ზ. ჭუმბურიძე, „გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“, 1999წ.
116. მ. კეზევაძე, „ქართული გვარსახელები იმერეთში“, 2004 წ.
117. დ. შავიანიძე, „ოკრიბული გვარსახელები“, 1997 წ.
118. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2018 წ. 21 VIII. რ. გვეტაძის სტატია.
119. გ. ბედოშვილი, „ქართული ტოპონიმების ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, 2001 წ.
120. რ. თოფჩიშვილი, „ლეჩხუმური გვარსახელები“, 1995 წ.
121. რ. თოფჩიშვილი, „როდის წარმოიშვა ქართული გვარსახელები“, 1997 წ.
122. ი. მაისურაძე, „ქართული გვარსახელები“, 1990 წ.
123. ალ. ღლონტი, „საქართველოს ისტორიული რეგიონები ტოპონიმებში“, 1998 წ.
124. გაზეთი „კომუნისტი“, 1925 წ. №210.
125. გაზ. „სოციალიზმის მშენებელი“, 1932 წ. 5. XII.
126. თ. მიქელაძე, „ძიებანი“ 1974 წ.
127. კ. კეკელიძე, „ძველი ქართული მწერლობა“, 1954 წ.

128. „მითოლოგია-მითები და ლეგენდები“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, გ. ჩირზის და მ. ოლდზის გამოცემით.
129. „მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 1998 წ.
130. გ. გამყრელიძე, „ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები“, 1987 წ.
131. კახაბერ ჭილაძე, „საქართველო ცივილიზაციის აკვანი“, 2017წ.
132. ი. ჭავჭავაძე, „თხზულებანი“ – „ქვათა ღაღადი“, 1984 წ.
133. გ. მელიქიშვილი, „ურარტუ“, 1951 წ.
134. გაზეთი „დიოსკურია“, 2007 წ. VII
135. გაზეთი, „კვირის პალიტრა“, 2009 წ. VII
136. გაზეთი „სახალხო განათლება“, 1989, XII.
137. ამ. ნიკოლეიშვილი, „ქართველთა წარმომავლობის სათაეებთან“, 2016 წ. ვანი.
138. ო. ხუხუა, „ამეტყველებული ისტორიული კოლხეთი“, ჟურნალი „სათნო“, 2013 წ. №8.
139. „თამუზის სიზმარი“, თბ. 1979 წ.

სარჩევი

წიგნის შესახებ 3
თავი პირველი. ბრინჯაოს და რკინის ხანა 11
თავი მეორე. მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი 23
კოლხ-ზანთა პოლიტიკური ისტორიიდან 27
თავი მესამე. 3000 წლის წინანდელი კოლხეთის
ისტორიულ-გეოგრაფიული რუქა 48
გურიის ტოპონიმია 49
ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 51
ქართლის ტოპონიმია 52
ა) მცხეთის რაიონი 52
ბ) კასპის რაიონი 54
გ) გორის რაიონი 55
დ) ქარელის რაიონი 57
ე) ხაშურის რაიონი 58
ვ) ახალგორის რაიონი 59
ზ) ყორნისის (ზნაური) რაიონი 61
თ) ცხინვალის რაიონი 63
ი) ჯავას რაიონი 65
კ) ისევ დვალების შესახებ 66
ლ) ერწო-თიანეთი 68
მ) დუშეთის რაიონი 75
ნ) სტეფანწმინდის (ყაზბეგის) რაიონი 80
ო) კახეთი 82
პ) სამცხე
ადიგენის რაიონი 85
ახალციხის რაიონი 86
ბორჯომის რაიონი 86
ჟ) ჯავახეთი.
ასპინძის რაიონი 87
ახალქალაქის რაიონი 88
თრიალეთი 89
თეთრიწყაროს რაიონი 89
წალკის რაიონი 90
სამცხე არქეოლოგიურად 90
რ) კლარჯეთში 91
ს) არტაანი 91
ტ) ტაო 92
უ) პარხალში 93
თავი მეოთხე. შუამდინარეთის პროტოშუმერები, სირია, პალესტინა 94
სირიის ქართველური ტოპონიმია 101
პალესტინა 102
ეგვიპტურ-სარდანული და ქართველური ენები 102
აფრიკის სხვა ქვეყნები 114
მცირე აზია, ხეთები 115
თავი მეხუთე. პროტობერძნები და მათი ენა 125
ა) ელინური ცივილიზაცია ებრძვის წინა ბერძნულს.
ტროას სამყარო 126
ბ) პელაზგურ-ბერძნული პანთეონი 130

გ) პროტობერძნული ენის და ტოპონიმიის შესახებ 135
დ) კრეტა 137
ე) ეგეიდის კუნძულებიდან ზოგიერთი 144
ვ) ჩრდილო საბერძნეთი 145
ბიზანტიონი, თრაკია, თესალია, მაკედონია, ეპირ-იანინა 145
ზ) შუა საბერძნეთში 148
თ) ათენი და ატიკა 150
ი) კორინთო და არგოლიდა 151
კ) პელოპონესი 152
ლ) პელაზგ-სარდან-ეტრუსკები იტალიაში 154
საინტერესოა სიცილიის ტოპონიმია 161
მ) სარდინია 161
ნ) კორსიკის შესახებ 161
ო) პირინეის, პროვანსის, გასკონია-ნავარის ძველი მცხოვრებნი 162
პ) პროვანსი და ნავარა 171
თავი მეექვსე. ა) ირანი 173
ბ) ინდოეთი 175
გ) კორეა 176
დ) იაპონია 177
თავი მეშვიდე. ეგრისი I-IV საუკუნეებში 181
თავი მერვე. ეგრისის ქართიზაცია და ქვეყნის გაერთიანება 188
ა) ქართიზაცია 188
ბ) ეგრისი ქვეყნის გამაერთიანებელი 195
თავი მეცხრე. ა) გადაკეთებული, ანუ აფიქსშეცვლილი გვარები 200
თავი მეათე. გვარსახელთა ფუძეების განმარტებები 208
თავი მეთერთმეტე. ზანური გვარსახელები 222
ა) სადაურობის აღსანიშნავი გვარები 222
ბ) „აი“ და „ია“ აფიქსებიანი გვარები ზანურია 229
გ) ქართიზებული „უა“ აფიქსიანი გვარსახელები 232
დ) ხელობის, (მოსაქმეობის) აღსანიშნავი გვარსახელები 234
ე) „ე“ „ცინც“, „ცირა“, „ციც“, „უ“, აფიქსები 236
ვ) „ია“ და „ვა“ აფიქსიანი გვარსახელები 237
ზ) „ორი“, „რი“, „ჩა“, „ჩე“, „ჩი“ აფიქსიანი გვარსახელები 237
თ) „ვა“ აფიქსიან გვარსახელებს „ძე“ აფიქსი დართვია 239
ი) ზოგიერთი დასავლურ-ქართული (ზანური) აფიქსები 242
კ) „ეი“, „იე“ აფიქსებით ნაწარმოები გვარსახელები 243
ლ) „გვა“, „გვი“, „ბრე“, „ხე-ფრე“, „ჩხა-ჩხე“, „ყვა“ აფიქსიანი გვარები 246
თავი მეთორმეტე. ლაზურ-ჭანური გვარსახელები 248
ა) „შა“, „ში“ აფიქსიანი გვარსახელები 248
ბ) „ბერი“, „ბერა“ და „ბერე“ აფიქსიანი გვარსახელები 251
გ) „ტი“ აფიქსიანი გვარსახელები 254
დ) „დო“ – პრეფიქსიანი გვარსახელები 255
ე) გასომხებულნი, გაოსებულნი 257
თავი მეცამეტე. ა) ტომობრიობის აღსანიშნავი გვარსახელები 260
ბ) სვანოკოლხები ეგრისის სამეფოში 262
გ) ზანები, სვანები და მთიულები 268
დ) მეგრულ-აფხაზური პარალელები 270
დასკვნა 275
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 284
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 280

ნიგნში გამოყენებულია ილუსტრაციები კახაბერ ჭიღლაძის
ნაშრომიდან – „საქართველო ცივილიზაციის აკვანი“.

დიზაინერი თეა კაკაბაძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 10.07.2019; ხელმონერილია
დასაბეჭდად 10.08 2019; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 19,
ტირაჟი 300; შეკ. №71

ფასი – სახელშეკრულებო

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“ სტამბაში
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33